საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ვ ა ს ი ლ
ბ ა რ ნ ო ვ ი

თხზულებათა
სრული კრებული

ათ ტომად

თბილისი
1962

ვ ა ს ი ლ
ბ ა რ ნ ო ვ ი

თხზულებანი

ტომი
7

1923 – 1925

„საბჭოთა მწერალი“

გამოჩენილი ქართველი მწერლის ვასილ ბარნოვის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემა იბეჭდება პირველად. იგი განზრახულია 10 ტომად. VII ტომი შეიცავს 1923 – 1925 წლებში დაწერილ ნაწარმოებებს.

როგორც წინა ტომებს, ამ წიგნსაც ერთვის ვარიანტები და სიტყვათა განმარტება.

სარედაქციო კოლეგია:

გიორგი ლეონიძე (რედაქტორი)
სოლომონ ყუბანეიშვილი
მიხეილ ჩიქოვანი

მოთხრობები

რომანები

რკინის დევი

– რამოდენა თოვლი მოსულა! მთელი ღამე უთოვლია ამ დალოცვილსა!

– ნახევარ ადლზედ აუგია ფიფქივით თოვლი.

– კიდევაც მოდის, ისწრაფის, ბარდნის.

– ამოქოლილა საქათმის კარი. უთხარი აბრამს გაავლოს კვალი.

– მოჯამაგირე საქონელს უვლის, გომს ასუფთავებს, – უთხრა ცოლს იოთამემ.

და დაავლო ნიჩაბს ხელი. დენილმა თოვლმა თეთრად მოპენტა ოდნავ ჭაღარა.

– ბიჭო ლექსო, კიდეც ამდგარხარ?!

– რათახანია! ხბორებს ვუვლიდი; ცხვარს, თხას მივხედე, რამდენი თოვლი!

– კეთილ უფალს ქადა, პური გადმოუყრია, კიდევაც გვაწვდის.

– რა ქადა, დედი, რა ნაზუქები?!

– შემოდგომის ნათესისთვის დიდი თოვლი დიდებული საბურავი არის: დაიცავს მარცვალს თაგვისაგან, მფრინველისგან თუ სხვა მტრისგან; თბილად ამყოფებს, ნესტს მიაწოდებს. ლამაზ ჯეჯილად ამწვანდება ანეული და...

– შოთებს დაგვიცხობ იმ ხორბლიდან, ნაზუქებს, ქადებს?!

– დაგიცხობთ, კარგო! არ კი გაცივდე. შედი, გათბი, მეც ეხლავ მოვალ.

– რა შემაციებს?!

არ შესციოდა მალხაზ მორბედს მკვიდრად დანაქვთულს, ალის ფერად აღვივებულსა: მაგარი ჩუსტები; კვირტის წინდებზედ ტოლაღები; ხალათად, შალვრად მტკიცე შალი შინვე ნაქსოვი; მოკლე კრაველი სათბილობლად; ტყავისვე ქუდი.

ძლივსღა გაიღო საქათმის კარი. გამოიფინნენ. ძნელად ვიდოდნენ დაბუხულები. მოკივკივებდნენ.

– ვერ ყოყოჩობს ვეღარც მამალი, რაინდულად ვეღარ ტრფიალობს.

– რა რაინდობა, თავის თავი გასჭირებია.

მფრინველთ დანახვამ ხუმრობის გეზზედ შეაყენა ალაბეშა, ის ბანჯგვლიანი: ისკუპა მათკენ, შეჰღრინ-შეჰყეფა. თოვლში ჩაყარა შემკრთალ-შემფრთხალნი. ძლივსღა იძროდნენ. მიაღწიეს მშრალს. დაესივნენ მოფენილ ნაკმაზს. ჩიტებს სტუქსავდნენ პურად ძვირები.

იოთამემ გაკვალა გზა ჭიშკარამდისინ, დაიბერტყა ფეხთსაცმელი; შემოეფარა; დაეყრდნო ნიჩაბს. კვლევა დაუწყო ჰაერს, ცის ტატნობს.

– კიდევ ითოვლებს; დიდ თოვლს ააგებს.

– ამაზედ მეტსა!! მთლად დატვირთულან ხეხილები, ძირს დაუშვიათ მძიმე ტოტები. ტყე და ველი სავსე არის თოვლის ქულებით.

თეთრად ჩახუჭუჭებული ტყით შემოსილი მთების კალთები. მწვერვალები აღარ მოსჩანდნენ: ხშირი ღრუბელი მოჰხვევოდა განუჭვრეტელი. მთელი სოფელი თეთრად იყო გადაპენტილი. თოვლს თუ ყინულს დაეფარნა სოფლის მდინარეც, შიგადაშიგ თუ მოსჩანდა იგი ლურჯადა. ვერ დაჰრეოდა ყინვის ძალა ღრმა გუბეებსა, შეტბორებულ ადგილებს მბრუნავს. ხშირი ბოლი ამოსჩქროდა საკომებიდან: შეშინებულთ ბუხრები თუ გამოტენეს კუნძით, შეშებით. ნაკეცნაკეცად ჩაწოლილი მუქი ღრუბლები თვის სახეთაც აღარ იცვლიდნენ. თოვლდა, თოვლდა გახშირებული; თეთრი პეპელა თუ ცვივოდა მაღალ ციდანა.

დაფიქრებული გაჰყურებდა ვაჟკაცი სივრცეს. ანუგეშებდა მოჭირნახულეს ეს თოვლი დიდი.

– ჭირნახულისთვის მისწრება არის. ხეხილისთვისაც ძლიერ საჭირო: უდროვოდ არ აკოკრდება ხეხილი ბაღში, ბუდკო ყვავილად ადრეულად არ გადიშლება და ულოდნელი სუსხი, სიცივე ვეღარას ავნებს.

მაინც ადარდებდა ოჯახისშვილს ეს თოვლი დიდი:

– საქონლისთვის... გუთნეული ხარკამეჩი, ძროხები, ცხენნი; ახლა წვრილფეხი, საკვები ბევრი დასჭირდებათ შინ დამწყვდეულებს. შარშან უხვად ვერ შევკრიბე თივა, ბზე, ბურდო.

– ბზე ჯერ ბევრი გვაქვს. ეხლა მივედით შუა საბძლამდინ. გუშინ გადმოიშალა მაჟალო ბზიდან. გახსოვს, ზაფხულს შევინახეთ შუა ბზეშია. რა ლამაზად დაჟამებულა!

– მომცრო საბძელი წინად დავცალეთ. დიდიც თურმე ჩავანახევრეთ. თოვლი კი მოდის, ბარდნის, ავსებს მიდამოს, ასწორებს ხევებს.

– საწყალი კურდღლები ან შველები ამ საფლობ თოვლში, – სთქვა ლექსომ და გახედა ტყეს.

– გაუჭირდებათ! მინახავს, ამისთანა ჟამს სოფლისათვის მოუტანებიათ შიმშილისგან თუ მტრისაგან დევნილთ. ონავრობს მგელი, ბევრს ანადგურებს.

– კარგი იქნება ნადირობა თოვლიან დღეში.

– თუ აღარა თოვს, ადვილია კვალის დაკვლევა. მაგრამ ძლიერ საშიშია ტყეში ყოფნა, თუნდა მინდორში; ქარბუქი იცის და შეიძლება დაღუპოს კაცი: ჩაჰფლავს ნამქერში, გაჰყინავს გზაზედ.

– აკი იტყვიან, ქრისტეშობიდან მზე ბრუნდებაო. რატომ არ თბება?

– აბა რა ვიცი! ქალაქს რომ ჩახვალ, ოსტატებს ჰკითხე. თუ ითოშება საწყალი მიწა; ვეღარ ალხობენ ჯერ უძლური სხივები მზისა, ყინვა კი უჭერს. ნამდვილი კია მზის დაბრუნება. ქრისტეშობის თვეში არის მზებუდობა. მერმე ჩვენსკენ შვრება თავის პირს ის დალოცვილი: შევებრალებით ბნელის ხელში ჩარჩენილნი გულთბილს, გულკეთილს. მოდის, მოდის ჩვენ დასახსნელად ბნელისაგან, მისგან ნაშობ სავნებელთაგან. დასთგუნავს წყეულს! იზრდება დღე თანდისთან და მატულობს ნათელიც ტურფა.

– მე და აბრამამ დავნიშნეთ მზის ამოსვლის ადგილები. ეხლა უფრო ზევით ამოდის, გვიახლოვდება.

– იზრდება დღე მზებუდობიდან, მოდის ნათელი თანისთანობით, გვაიმედებს კეთილისმყოფი. ესა სწყინს ბნელსა და იკრებს ძალას უკანასკნელ ბრძოლებისათვის! ქარ-ბუქს აგვიტეხს, ჰლეწავს ყველაფერს, აზარალებს ყოველ სულდგმულსა. მემრე კი...

– ვაჰ, საყვარელო! გამოელევა ბნელეთს თავის ძალა, უნდა დაუთმოს ზამთარმა ზაფხულს. ახ, რა კარგია!

სიტყვა აღარ დაათავა, გაექანა გომურისაკენ: აბრამას კარები გაეღო და ელალებოდა საქონს წყალზედა.

– ფრთხილად გალალეთ, არ გადაჩეხოთ.

– ნუ გეფიქრება!

– დაალაგეთ საქონელი და ვისაუზმოთ. ხინკალს გვიმზადებს დიასახლისი. შევსვათ არაყიც.

– კარგი იქნება ძნელ სიცივეში თითო ყანწი წინწანაქარი.

– ორი სჯობია.

– ჰაი, ჰაი ემჯობინება.

– მეც დავლევ, მამი!

– დალიე, კაცო! შამანი გიდგა მთელი ხელადა.

საქონელი გასცდა ალაყაფს. წინ კამეჩები. ყორანა უძღვის. მხნედ მიარღვევდა მუხლამდინ თოვლს. მიჰყვებოდა სხვა საქონელი. წვრილფეხობა უკან მისდევდა. ცხენი აბრამას ეჭირა თოკით. კამბეჩები დაფალნულები, ქარშიკებით დაშარტულები. დიდია ტანად, მაგრამ მალალი: ვერც სიცხეს უძლებს, ვეღარც სიცივეს. გალექდება. იდურაღება. საქონელი დაბზინებული. მუშა საქონს ქედი ნაცხიმი; რქებიც ნაპოხი. ლექსოს საქმეა!

– ჩემი ყორანა ქედდალოცვილი! ფიცხია ძლიერ, სახრე არ უნდა. ლომა სჯობია იმას ღონითა, ყორანა მაინც უღელს უსწორებს თავის მხნეობით. დაუდეგარი! წნელი ვერ უძლებს, ვერც რვალის ღვედი. აეშვება, ურევს, ამტუტებს, მის შედარებით გორგალა, კუდა... ძლიერ უყვარს ჩემს ლექსოს იგი. იმასაც უყვარს, უჯერებს, მისდევს, ულოკავს სახეს, – გაიფიქრა იოთამემ

და თვალი შეაყენა თვის ბალღზედ. საფიქრი იყო იმისი ბედი: არ იქმნა, წიგნი ვერ შეიყვარა; ვერ შეათვისა სასწავლებელმა პატარას სწავლა; გულიც აეცრუებინა წიგნზედ ნიჭიანს.

– რაც ეს ბალღი მიმიცია სკოლაში, რყევით მიდის სწავლის ამბავი. რასა ჰგავს ესა?! ამ თვის დამდეგს რომ გაუშვეს, დღესაც აღარ მოუთხოვნიათ. კითხვას, წერას გადაეჩვია... ძალიან უყვარს სოფლური საქმე, უფრო საქონი და მისი მოვლა. ვაჟკაცივით მხარში მიდგა უნარით სავსე. იქნება სჯობდეს, ჩემ გზაზედვე გამოიაროს. ძლიერ უჭირსო ნასწავლ ხალხს ეხლა ცხოვრება. მიწის მუშას დოვლათი აქვსო: საჭმელ-სასმელი თითონ მოჰყავს, ტანთსაცმელსაც თავის ხელით დაიმზადებსო: ეს მართალია. მაგრამ, ვაჰ, თუ მხოლოდ აწ ფასობს, შემდეგში კი...

ვერაფერი ვერ დაასკვნა შვილის შესახებ: ირყეოდა, ეჭვს ასდევდა, მაინც ძალიან არ ღონდებოდა: ბიჭს ცხოვრების ერთ-ერთი გზა გათვლილი ჰქონდა, მამისაგან გაკვალული იგი სავალად. მისმა მამამაც არ შეითვისა სწავლა. გამოვიდა სკოლიდან და აზნაური დაადგა მიწას, როგორც რომ გლეხი. ტანადაც გლეხურად შეიმოსა, ტყეში თუ ველში სამუშავოდ მოწყობილი იგი სამოსი. აღარაფრით არ ირჩევოდა მეზობლებისაგან; მხოლოდ მათზე მდიდრად იყო ბარაქიანი: ჰქონდა სახნავ-სათესი. გლეხებსაც კი არ ახსოვდათ მისი სხვაობა. მისი პატარა თუ სხვა სავალს ვერა ჰნახავდა, ნაცადი გზა მის ხელში იყო.

– ცდას მე მაინც არ დავაკლებ, ბოლომდისინ მივყვები მოზარდს. რომელ გზაზედ გაიმარჯვებს საბოლოვოდა, მიმინდვია ეს მის ბედისთვის, მწყალობელი განგებისათვის.

მსწრაფლ გაიარა პატარა დღემ ისეც ბინდულმა. ბევრი წვრილმანი საქმე აჩნდა ჩვეულებრივ გარჯის გარეშე: სიფრთხილეს, ზრუნვას აორკეცებს დარი ბოროტი; მეტს მოითხოვს იგი ქმედობას, გარეთ თუ შინ ბრუნვა-ტრიალსა.

– აბა გოდრები, კაცო ლექსო! გესმის, ზმუიან, საჭმელს ელიან.

– გადაარჩიეთ უგრეხელი? კბილები არ დაალეწოს კენჭმა კამეჩებს.

– უგრეხელიც, ქერიც მზად არის.

– მაშ დაზიდევით! მე მოვუყრი ზღავებზედ ნაბაგს.

– მოვამშრალეთ, მოვაყარეთ; ყველაფერი უკვე მზად არის.

– ბზის დაზიდვას აბა გიშველით.

– ნინიკასაც წამოვკიდოთ ერთი გოდორი.

– რა დროს ბზე თუ გოდორია ამ სიცივეში?! ხედავთ, როგორ თოვს; ნიავიც აჰყვა, ხის კენწერებს არხევს, აქანებს.

– ჩვენ ნინიკას ისიც ეყოფა, რომ ზღაპრის გუდა მოუხსნელად ზურგზედ ჰკიდია. კარგ არაკებს გვეტყვის ამაღამ.

– ჰაი, ჰაი გვეტყვის.

– გეტყვით, გიამბობთ! აგერ მორჩებით ყოველ საქმეს. შემოვუსხდეთ მხიარულ ბუხარს და...

იქვე იდგა დერეფანში იგი ნინიკა დიდი მოზღაპრე. მოხრილიყო, თახთახებდა; ჩოხის კალთაში გაეხვივნა მცივანს ხელები. შიშით და ძრწოლით გაჰყურებდა თოვლის ზვინებს მაღლა აგებულთ. ახლო ნაცნობი ოჯახიშვილის, შორეული მის ნათესავი. მკერვალი იყო, მაგრამ ჯდომა ერთს ალაგას არ უხაროდა და დადიოდა უცოლშვილო, მიმოვიდოდა, ადგილს იცვლიდა. სად არ ყოფილა, ღმერთო ჩემო, რა არ უნახავს! ეშხით იცოდა ნახულის თქმა, გაგონილისა. საქმე... ჭირი იყო მისთვის ქმედობა!

– კაცო აბრამ! წყალი ხომ მოტანილია? იქნებ გაყინოს ან ნამქერით ხევი აავსოს: ატყობ, ქარ-ბუქი ახლოვდება; ისმის გუგუნი.

– როგორ დაძრულა მთის კალთებზედ მძიმე ბურუსი! ქანაობს, ღელავს.

– მთის მწვერვალებზედ ჰფლეთავს ქარი მძიმე ღრუბლებსა, მთა-მთა სდევნის მის ნაფლეთებსა.

– ჩამოეშო ქარიშხალი: ახლო მოისმის გრიალ-შრიალი.

ახლოვდებოდა გუგუნი დიდი, მოისმოდა თანდათან ახლო. აღელვებული მდინარის სახით თუ მოსდგომოდა ქარბუქი სოფელს. გაჩნდა ჰაერში თოვლის ფიფქი მიმომფრინავი, ნამქერის მტვერი.

– ალაბეშა არ დაგავიწყდეთ. ბუნაგში ბურდო გამოუცვალეთ. იქვე აჭამეთ. შეიძლება ამ საშინელ ღამეში ეზოს დაეტანოს მგელი თუ მელა ან ავი კაცი.

– გომის ბანი, სანათური, კარგად დახურეთ?

– გავაწყვეთ ფიცრები; სასუქიც ბლომად დავაყარეთ, რომ ქარი არ ჩამოუშვას.

დააწყნარეს ყველაფერი. შეეფარა მეკომური თავის თბილ ბინას. ფართო დერეფანი. ზედ შუაზედ გომურის კარი. თვით გომური დიდი შენობა. მუხის ბოძებზედ, მუხისავე თავხე, კოჭები. მუხის ფიცრითვე გადახურული. ზევიდან მიწა, თიხა ტკეცილი. მარჯვნივ და მარცხნივ ორივ კედლის გაყოლებით გრძელი ბაგები სხვილ საქონლისთვის. ქვემობოლოს ლასტმოვლებული ბაკი წვრილ საქონლისთვის. მარჯვნივ, ცხენის ბაგის გვერდზედ ფიცრის კედელი. ოდასა ჰფარგლავს. თვით ოდაში ორპირად ტახტი. დიდი ბუხარი. ოდიდან კარი საოჯახო სადგომისაკენ. კართან ახლო სალოგინედ მაღალი ტახტი.

ყოველდღე სახმარი ლოგინი აქ გამოჰქონდათ ოთახებიდან. სალოგინე – ლექსოს საწოლი. შინ არ წვებოდა: იტყუებდნენ გომის სითბო, საქონელთან მახლობლად ყოფნა და... ზღაპრები ნინიასი, საკვირველი არაკები, თან საშიშარნი. მაინც საამო!

– ჭრაქი ხომ კარგად გაამაგრე? არ ჩამოვარდეს.

– ფიქრი არა აქვს!

კარგად ივახშმეს. კაკალა პური. ღორის ლურთები, თითო არაყი. შეშა დასძინეს მგზნებარე ბუხარს. წარსთქვა აბრამამ თავისი ლოცვა:

ჯვარი მწყალობს, ჯვარცმული;
ვერას მავნებს მაცდური;

ჩაწვნენ. მოსხნა ნინიკამ არაკის გუდას. დალაგებით იტყოდა სიტყვას, უღელველადა. უჰ, რამდენი სთქვა! გრძლად სათქმელი ზღაპრები იცის.

– ხომ არა გძინავსთ?

– არა გვძინავს.

– გისმენთ.

– განაგრძე!

– ჰოდა იარეს, იარეს ძმადშეფიცულებმა. ათას ადგილას კიდევ მოუხდათ ხმლით გაკვლევა საძნელო გზისა. მიადგნენ საკვირველებას: ქალაქი იყო, დიდი ქალაქი გაქვავებული. სადარაჯოზედ, ციხე-ბურჯებზედ, სასახლეებში, ქუჩა-მოედნებზედ ხალხი გაქვავებული; ეტლები ცხენებით, ცხოველები, სანოვაგე თუ სხვა სავაჭრო დუქნებში, ყოველი სულიერი და უსულო თეთრ მარმარილოდ იყო გადაქცეული. დიდი მდინარეც, ქალაქს რომ სჭრიდა, შემდგარიყო გაქვავებული. გაჰკვირდნენ ძალიან. სთქვეს, ეს რა ამბავიაო. სულდგმული არავინა სჩანდა, რომ გაეგოთ ამ საოცარი ქალაქის თავგადასავალი. დაფიქრებულები რომ იდგნენ, ვნახოთ, გაჩნდა იმათ წინ შავებში მოსილი დედაკაცი. რა მშვენიერი ვაჟები ხართ, ერთიმეორეზედ უმჯობესიო. ეგეთ კარგ სტუმრებს მასპინძლობაც კარგი შეგფერითო. წადით პირდაპირ, შუა ქალაქში დიდ სასახლესა ჰნახავთ, იქ ჩამოხდით, მოისვენეთ. მზის ჩასვლიდან მზის ამოსვლამდინ თქვენ საკადრისად გაგიმასპინძლდებიანო. გაქრა დედაბერი. წავიდეთ. წავიდეთო.

– გძინავს, ლექსო?

– არა მძინავს! მემრე?

– აბრამას კი დასძინებია. როგორა ხვრინავს!

– ჰოდა ის იყო, მივიდნენ სასახლესთან, რომ შემოესმათ ხმა:

– ფრთხილად! მოვა დევი პირყვითელი ლაშებსისხლიანი, მოუსვამს ფრთას გაქვავებულებს, გააცოცხლებს და გადაჰყლაპავს. ერთსაც თქვენთაგანს ჩანთქავს და წავა. ახლა პირშავი დევი მოფრინდება თვალცეცხლიანი, მოუსვამს ფრთას გაქვავებულებს, გააცოცხლებს და გადაჰყლაპავს. ერთს თქვენთაგანსაც ჩანთქავს და წავა. გრგვინვით წამოვა რკინის დევი ცეცხლის მფშვინავი. პირის ქარით გააცოცხლებს გაქვავებულებს და გადაჰყლაპავს. ჩანთქავს მესამეს თქვენგანს და წავა.

უყურებდნენ განცვიფრებულნი. ძე კაცისა არსადა სჩანდა. აივანზედ ქალი იდგა გაქვავებული და თითქო იმისაგან მოისმოდა ეს გაფრთხილება. სახიფათო ადგილას მოვსულვართ, ფრთხილად უნდა ვიყვნეთ, თქვეს ძმობილებმა და უფროსი დადგა დარაჯად. ერთიც ვნახოთ, წამოვიდა ქშენა-სტვენით დევი ყვითელი...

– გძინავს, ლექსო? ჩასძინებია!

...წამოფრინდა... ყვითელი... რკინის... ალსა ფშვინ... ნაკვერჩხალის თვალ...

– მიშველეთ, დევი! რკინის დევი! – შეჰკივლა ლექსომ და...

წამოფრინდნენ შეშინებულნი. გამოცვივდნენ ოთახიდანაც. აეწყვიტნა წყეულ ყორანას, ევლო მოწყენილს, მისულიყო ერთგულ მომვლელთან. თმას ულოკავდა.

1923 წ.

ანანოს ბედი

1

ობლის კვერი ცხვა, ცხვა,
გვიან გამოცხვა, – კარგად გამოცხვა!

– ერთხელაც რომ ნიჩბით ვუქციოთ, მეტი აღარ დასჭირდება.

– ვგონებ, დაგვაცადოს ავდარმა და მოვასწროთ შეგროვება.

– ხელი ააჩქარეთ: ათიოდჯერ რომ შემოატრიალოთ კევრები, მთლად გაილეწება.

– რა მშვენიერი დარი იყო დილას! როგორ გაჩნდა ეს ღრუბელი ცამოწმენდილზედ?!

– ეგრე იცის მწვერვალმა: უეცრად მოიქუშება. კიდევ კარგი, ადრე ჩავუშალეთ კალო.

აუჩქარეს, შეახურეს ხარები. უქციეს უკანასკნელად, დაურბინეს. გამოუშვეს. ააბრუნეს კევრები. დატრიალდა მახარე არნადით ხელში.

– ცოცხები ჩქარა! საცაა, დაიძვრის ღრუბელი და დაეშვება.

სწრაფად იზრდებოდა საავდრო, მთის წვერს გადმოსცდა; შეეფინა ნახევარ ცასა. შეაგროვეს ნალეწი. მოასწრეს მოგვა; დაარაკრაკეს.

– ბიჭო, მახარე! წამოშლილა ძნა...

– კინაღამ დამავიწყდა!

ავარდა ზვინზედ. ისე ჩამოათავქვევა ძნები, თითქო კრამიტიაო სართულის ფრთაზედ. დაქანდებოდა წყალი, ვერ ჩაუვლიდა. გახედა მაღლიდან.

– ერიჰა! კაკლუაანთ კალო ისევ გაშანშლულია. მარტო დედაკაცები მუშაობენ. ანანოს არნადი?! შინ თუ არ არის კაკლუა.

– ეტყობა.

– დაუსველებს ნიაღვარი გაშლილ ჭირნახულს, – წამოიძახა მახარემ

და ჩამოფრინდა. გადაევლო ხარიხოებს, დაეშვა თავქვე.

– ბიჭო, მახარე!.. ვის გააგონებ?! ფრთები შეისხა.

– ეშხი ეგზნება ჩვენს ჭაბუკს გულში და ის მიაფრენს.

– ავდარიც დარია მაგის ხანში, დარი ხომ დარობს.

– გახსოვს, დედაკაცო, დანიშნულები რომ ვიყავით, რა დროს გავჩნდებოდი თქვენს კარს?

დედაკაცს მოგონებამ სიამის ღიმად გადაურბინა ანაოჭებულ სახეზედ, გაუშუქა მქრალი თვალები.

– ჩვენ მაშინ ნიშანი გვქონდა ნაკურთხი, მახარეს კი მარტო თვალი უჭირავს გოგოზედ; ჯერ ღმერთმა იცის, რითი გათავდება საქმე.

– რყეულად იტყვი! ჩვენს ბიჭს შეჰყვარებია ის; ქალიც კარგია. ავი თვალით არ ინახება და...

2

ქალს არა უშავდა რა, კარგიც იყო ის, მაგრამ ობოლს, სამადლოდ ბიძასთან აზრდილს არა გააჩნდა რა ჩაქშეხეული კაბის გარდა.

– ემჯობინებოდა კარგი ოჯახის ქალი აერჩია; ბევრს უჭირავს ჩვენს ბიჭზედ თვალო, თუნდ ბერიკაანთ.

– რატომ არ ეჭირებათ თვალი; ტოლი არა სჯობს სოფელში; არც ჩვენ ჩამოვუვარდებით ვისვე მეკომურობით, მაგრამ... დეე მოიყვანოს, ვინც გულით მოსწონს.

– არ ვუშლი! გუბის ბაყაყი რომ შემოიყვანოს, მაინც ჩემ რძლად დავისახავ და ქალად.

– ვიცი: შენ ხომ ფიქრიც არ შეგიძლიან ავისა, არამც თუ გაკეთება, – უთხრა სეხნიამ თავის ცოლს

და მფარველობით გადახედა მას: იმის ფროსე იმთავით ამთავამდე კეთილი იყო, მეამიტი. მტრისათვისაც გულშემატკივარი და უჯათს როგორ გაუწევდა თავის ვაჟკაც შვილს.

– მოხდეს, როგორც ღმერთს უნდა! ეს ერთი ქალი გვყავს, მალე დავაბინავებთ და მთელი გამართული ოჯახი ჩვენი მახარესია. მზითვის ძებნა არ არის მისთვის საჭირო, ის კია, რომ ძალიან ეწყინებათ ბერიკაანთ: სათავისოდ გამოელიან.

ამ საუბარში იყო ცოლ-ქმარი, როდესაც კალოს ხარიხებს მოადგა ბერიკაული ყალიონით პირში.

– მოვრჩი კალოს შეგროვებას და საფეხვნოდ გადმოვიარე.

– ჩვენც მოვასწარით, შევახოხმიკეთ. გადმოდი, კაცო! რა შორიდან გველაპარაკები?!

გადმოაბიჯა ხარიხოებს და მიუტოლდა საბძლის კარებთან მჯდომ ცოლ-ქმარს სამასლაათოდ. მთის ფერდობზედ ჩამომდგარი წვიმა კი შენივთებულ ჯანღის ქსელებად ჩამოშვებულიყო; ნისლის ზეწარი თანდათან ახლოვდებოდა; წამოწინწკლა, იმატა, დაუშვა კოკისპირულად. საბძელში შეიწიეს მეზობლებმა.

– ვათვალიერებდით, გვიამებოდა: თქვენი მახარე რომ ტრიალებდა კალოზედ, ორი ვაჟკაცის ტოლას აკეთებდა; დავულოცეთ მარჯვენა.

– გმადლობთ! არც ჩვენ გვაქვს რამე დასამდურავი: მადლიანად ირჯება, ამდღე ფეხს არ ჩაიდრეკს.

– ის გვიკვირს და გვიხარიან, რომ ჯარისკაცობაში არ გადაჩვეულა გლეხურ საქმეს. კიკოლაანთ სერგო, ქვრივის შვილი სოლიკო დაზარმაცებული დაბრუნდნენ, ეჩოთირებათ ჩვენი საქმე, აღარ კადრულობენ.

– ჰო, თინას ბიჭი ამდღეს დუქანში გდია, დედაკაცი კი წელებზედ ფეხს იდგამს, რომ აღონღიალოს სახლი.

– უფროც შეჰყვარებია ჩემს მახარეს საოჯახო გარჯილობა: ჯარის საქმე მალე დავისწავლე და მერმე სულ ხელები მექავებოდა ჩვენებური მუშაობისათვისაო.

– ბედნიერი დედ-მამა ხართ, მე და ჩემმა ღმერთმა!

სეხნიანი რომ ბედნიერები იყვნენ თავიანთ შვილით, ბერიკაულსაც უნდოდა ბედნიერი სიმამრი გამხდარიყო, იმისი დარდი ჰქონდა, ამ გადმოსეირნების დაფარული აზრიც ის იყო. მის ქალს მართას შორიდან შეჰყვარებოდა მახარე და უცეცხლოდ იწოდა ანთებული მისი სურვილით. იმისმა დედ-მამამ იცოდა ეს და გულით ჰსურდა შეჰსრულებოდა მას თვისი ნატვრა. ისხდნენ მეგობრები, ჩიბუხს შეექცეოდნენ, იტყოდნენ თითქო გულუბრყვილოდ; კარგად კი იცოდნენ, რა სარჩული ედვა მათ ტკბილ მუსაიფს.

წვიმა კი მოჩქრიალებდა მოშურებული. წამოვიდა ნიაღვრები, სულ ჩაალტო და წალეკა მთელი სალეწი, სადაც მოასწრო გაშანშლულ კალოს. დაჰქროლა ქარმა, დაგლიჯა ღრუბლები, გადაჰყარა: ბრწყინვალე მზე კვლავ გამოვიდა. მუშაობის გაგრძელება მაინც აღარ შეიძლებოდა: ალაფებული იყო კალოები.

– მოგვიცდა მთელი დღე.

– მოვიშრიტენით.

– მე კი ვფიქრობდი, დღეისწორს მექნებოდა კალოკრეფა.

3

გადმოევლო ხარიხოებს მახარე და მიაძახა:

– დედი, დედიჯან! ჩემი ხურჯინი გამომიტანე!

შენიშნა მეზობელი:

– გამარჯობა შენი!

– აი გაგიმარჯოს, ჩემო მახარე!

– რად გინდა, ბიჭო, ხურჯინი? – შეეკითხა დედა.

– ტყეში მივდივართ პანტაზედ. აბა ჩქარა!

მოუბრუნდა დას:

– სალომე, შენც წამოდი, ბევრნი ვართ: მინდია, გოგი, ნარაანთ თეონა, სოსია, ანანოც მოდის.

– ბიჭო მახარე!

– რაიაო?

– ჩვენი გოგოც წაიყვანე: თორემ შინიდან კარში არ გამოდის, ათასი საქმეაო.

– ჰოლე, – მიუგო მახარემ და მიმართა დას:

– სალომე! გადირბინე, შენ და მართა ერთად წამოდით; ნუ დაიგვიანებთ.

გადაიგდო ხურჯინი, გაბრუნდა, შეიკრიბნენ. გაემართნენ. მანამ სოფელს გასცდნენ, სხვებიც შეუერთდნენ, პატარები არ წაიყვანეს: შორს მივდივართ, ვერ მოგვყვებითო. ტყის პირას რომ პანტები იდგა, ზოგმა იმათკენა ქნა პირი. მახარემ არ მოუწონა:

– თავი დაანებეთ: ეგ მეხრეებმა და გოგო-ბიჭებმა დაკრიფონ. ჩვენ პანტიანზედ წავიდეთ.

– თოფს მაინც წამოვიღებდი: დათვი არ დაგვხვდეს.

– არა! დაფრთხება ნადირი ამოდენა ხალხის ხმაურობაზედ.

– მაინც რა გვიშავს: ხანჯლები ხომ გვარტყია.

გადუხვიეს, შევიდნენ ტყეში. გაიარეს წვრილიანი. ნამით სავსე ტოტები შხეპავდნენ მიმავლებს, აბკურებდნენ ცვარს, დასველდნენ, დაჟივდნენ. ვინ დაგიდევდა?! მაღალი ხმით საუბარი; სიცილ-თქართქარი; ბურთაობა მოსწრებული თქმით. შევიდნენ აყრილ ტყეში, მივიდნენ.

ფერდობები იყო მზისკენ ჩაფენილი. უამრავი პანტის ხეები. მაჟალოც იყო, ტყემალიც სჩანდა. განზრახ დარგულ ხეხილსა ჰგვანდა. ახლო გარშემო წიფლიანი. ყვითლად ეკუნწლა. ძირსაც იყო გაშლილი. შეათვალიერეს დასარხევები, ამოირჩიეს. მარჯვე ბიჭები თავს მოექცნენ ხეებს. არ ეადვილათ: ხეხილს წიფლისთვის მიებაძნა, ლიტაოდ წასულიყო მაღლა ცისაკენ; მზისაკენ თუ მიიბრძოდნენ ლერწამტანები. ხალხა არა სჭირდებოდათ: მოწეული ხილი თითონვე ისწრაფოდა დედამიწისკენ. ყოველ შერხევაზედ უხვად იშლებოდა ძირს. ხმაურობა შეწყნარდა ერთს ხანს: ყველა ცდილობდა, ადრე გაევსო თვის საბარგულე. ანანო და ბერიკაანთ მართა იმ ხის ქვეშ მოექცნენ, მახარე რომ არხევდა, ვაჟი გართული იყო პანტის ბერტყაში; ცალი თვალი მაინც ძირს ეჭირა, ქალებისაკენ. ანანოს თავისი გუდა მიეტოვებინა, მახარეს ხურჯინს ავსებდა. ეამა ბიჭს ესეთი მზრუნველობა, ჩასძახა:

– ქალო ანანო, ხურჯინს მეც ავავსებ, როცა ჩამოვალ; აკრიფე შენთვის!

მართამ მაშინღა მიაქცია ყურადღება ანანოს და არ გაეხარდა: მეტოქეს მეტი მზრუნველობა გამოეჩინა, ეჯობებინა. მაინც გული არ გაიტეხა, წარსთქვა ფიქრებში:

– ტყუილად დასტრიალებ თავს ვიღაც ობოლ-ოხერი: მე ვერ წამივა ხელიდან: სად ჩვენი გაკეთებული ოჯახი და სად შენი ამოწყვეტილობა!

ანანო კი ხურჯინს ავსებდა: მოვასწრებ გუდის ავსებასაც; ხრილივით არის პანტა გაშლილი, ფიქრობდა იგი გულგაღებული. ქალის მზრუნველობამ გული დაუდვა ვაჟკაცს, მადლობის თვალით გაახედა გოგონასაკენ. თანაც უფრო მოეწონა დახრილი ქალი, ნაწნავები რომ ჩამოშლოდა და მარცხენაში მოეკრიფნა, მიწაზე არ მომეთრიოსო. ვერ შესძლო ბიჭმა არ მოეალერსნა. მსწრაფლ გავიდა იმ ტოტზედ, რომლის ქვეშ იყო ანანო, და მძლავრად შეარხია იგი. სეტყვასავით დაეშინა ხილი წახრილ ქალს. შეხედა ზევით; მიხვდა; გაუღიმა.

4

წამოვიდნენ. ჩამოათავეს აყრილი. დაუახლოვდნენ წვრილიანს. ველი აჩნდა ყვავილფენილი, მთის ფხაზე დასულ მზეს ჩრდილები წაეძაბნა, ველისათვის გადაეფინა. ტატნობიდან ნასროლ სხივებს გაეგმირათ ფოთლების ფარდა და ოქროს ფხვნილად დაჰფენოდნენ აქა-იქ კორდებს.

– შევიფერხოთ!

– რა გვაჩქარებს: მზე ჯერ არ ჩასულა.

– ჩავა და მთვარე ამოგვიშუქებს; არ დაუვახშმია.

– დავსხდეთ, დავისვენოთ.

– რა დროს დასხდომაა?! გოოგონა, გოგონაო!

– ჰარიქათ ტაში! გოგნი, გოგნი, გოგონაო!

ჩამოტრიალდნენ.

– აკი გითხარით, ბიჭებო, გოგონა გოგონაო!

– აბა, ანანო! – შესძახა მახარემ და გაუთამაშა.

– ეს ქალი კარგად თამაშობს, თითის წვერებზე დგებაო.

– გოგონა, გოგონაო!

– ამან რომ ფეხი იტკინოს, მე ხომ არ დამბრალდებაო.

– გოგნი, გოგნი, გოგონაო!

– აკი გითხ...

– დავიღალე!

– დავიქანცენით!

– რას ამბობთ, ქალო! ნიშხა-ნიშხა! ნიშხა-ნიშხა!

– მწკრივად!

ჩამწკრივდნენ ქალები, გააბეს ხელი-ხელთ. მათ პირდაპირ ჩამორიგდნენ ვაჟები ხელი-ხელთ გაბმით. მათ შუა ათიოდ ნაბიჯი.

– დაიწყე, ონოფრე! თავში შენა სდგეხარ.

– ნიშხა-ნიშხა!

– ბალბალუკა!

– ქალი ვინა?

– მე გახლავარ!

– მოვდივარ და...

– მზად გახლავარ!

დააგდო ონოფრემ ქუდი შუაზედ და გადახტა ქალისაკენ. გაფრინდა თეონა, მარჯვედ დაძვრებოდა ქალთ მწკრივის შუა. გზას აძლევდნენ: ხელებსა ხსნიდნენ, ცდილობდნენ მოესწროთ და შეეკრათ გზა ვაჟისთვის. დასდევდა ბიჭი: უნდა დაეჭირა და ისე, ქალს მისი ქუდისთვის ფეხი არ დაეკრა. აჯობა გოგომ: შეეხო მის ქუდს, თითონ გაუსხლტა.

– ნიშხა-ნიშხა! – დასძახა მახარემ.

– ბალბალუკა! – უპასუხა ანანომ.

– ქალი ვი...

მარდად დარბოდნენ, მკვირცხლად უსხლტებოდა ხელიდან ქალი. სად წაუვიდოდა ჯარში გაწვრთნილ კისკას ვაჟკაცსა?! მოასწრო, მოსწვდა, ხელთ მოჰხვდა ბირთვი გატიკნული; ატკინა ძუძუ.

დაეშვნენ, სიმღერით შევიდნენ სოფელში, შეუხვიეს უბნებისაკენ, სახლებისკენა. ანანო და მახარე ჯერ კიდევ ერთად მიდიოდნენ. გამარტოვდნენ. ბიჭმა ხელი წაატანა გოგოს.

– ნუ, გენაცვალე!

– რად არ? მიყვარხარ!

– არა! ერთი ობოლი გოგო ვარ სხვათა კარს...

– მინდა გაკოცო მა ჭრაქივით ანთებულ თვალებში!

– ნუ, თავს შემოგევლე! დაგვინახავენ, თავი მომეჭრება მთელ სოფელში.

– როგორ?! განა ცუდი ფიქრით მოვდივარ შენთან: მიყვარხარ, ცოლად მინდიხარ.

– არა, საყვარელო! ჩემი გათხოვება ჩემ ბიძა-ძალუას ეკითხება: დღეს დედ-მამის ადგილას არიან.

– იყვნენ. უარს მეტყვიან თუ?! ოღონდ შენ...

აღარ დასცალდათ, გზაზე ხალხი გამოჩნდა.

– გამარჯვება თქვენი!

– გაგიმარჯოთ!

– ტყიდან?

– ჰოლე!. აბა იგემეთ. პანტიანში ვიყავით, იქიდან მოგვაქვს.

5

მხიარული დრო ედგა სოფელს, ჭირნახულის შემოკრეფის ჟამი, შრომის ნაყოფის შემოტანისა. მალე დაიწყებოდა ქორწილები, ნათლობები, ხატობები; თუნდაც წირვები. შვებით ამოისუნთქებდა ხალხი: შემოდგომა სავსე დრო არის მიწის შვილისათვის, ყუათიანი. მაგრამ... ეჰ, წლეულ სისხლის აჩრდილი ასდევნებოდა ხალხს და ის აღონებდა ყველას, ნათელ სიხარულს უმუქებდა, აფიქრებდა, კიდეც აშინებდა. ძნელი ამბავი გაავრცელეს სოფელში ყავლგათავებულებმა, რომლებიც ბოლო დროს დაბრუნდნენ: გამოსტუმრებისას ეთქვათ, შეიძლება მალე მოგითხოვოთ მომქმედ ჯარშიო. სოფელი ფიქრს მისცემოდა ამის გამო; ათასი ხმა დადიოდა შემკრთალ ხალხში.

– ვინ გაარისხა რუსთ ხელმწიფე და ხალხის ცოდვა დაიდვა თავსა?

– ამბობენ, გერმანთ კეისარი, ავსტრთა ხელმწიფე, ბულგართა მეფე, თითონ ხონთქარი შეთქმულანო ფრანგთ წასახდენად და რუსთ ხელმწიფე, ინგლისთ კეისარი, იტალთა მეფე წაჰშველებიანო ფრანგისტანს.

– მთელი ქვეყნიერება აღმდგარა ერთი მეორეზედ!

– გავიგონე, უკიანს იქით ამერიკის ქვეყანააო და ისიც ფრანგებს დაეხმარებაო.

ეს წითელი შიში მუქად ჰღებავდა ცხოვრების სახეს, ვერ კი აჩერებდა მის დენას: მიმდინარეობდა ხალხთა ყოფა თავის სადინელზედ და თხოულობდა ყველასაგან წესთ ასრულებას. მახარეც ვერ ასცდებოდა ამ საზოგადო სვლას და მხიარულად მიდიოდა იმის ასასრულებლად.

– მოვრჩებით კალოს, დავსწურავთ ღვინოს და დავნიშნავ ანანო გოგოს.

– აღარ იშლი, ბიჭო?

– ქალი უკეთესი არ იქნება და რაღად მინდა სხვა?!

– ეწყინებათ ოჯახიშვილებს. ბერიკაული...

– რა ვქნა, როცა ანანო ამოვირჩიე?! ჩემი ბედი ისა ყოფილა.

– მაშ საგიორგობოდ მოვაწყოთ ქორწილი: მეც მომწონს ქალი, – სთქვა დედამ.

– რახან შენ კვერი დაუკარ, მე რაღა მეთქმის?! მოვიყვანოთ ანანო.

– დედი, ერთი კარგი ფირუზის ბეჭედი მიყიდე: ბელგად მივუტან; ნიშნობა და ქორწილი საგიორგობოდ გავაჩაღოთ.

– გიშოვნი: მოსესა აქვს, რა გეჩქარება? ერთად გავმართოთ ნიშნობა და ქორწილი.

– არა, ეხლავე მივუტან ბელგას: განა არ ეშვება გოგოს, ილაჯს უწყვეტავს; ხელდადებული რომ მეყოლება, ვეღარ გაბედავს. და თუ კიდევ არ დაიშალა... – წარსთქვა მახარემ მუქარით და სახრე შეიმაღლა.

– იცის ქალმა შენი დანაპირი? – შეეკითხა მამა.

– ანანომა? იმას ვინა ჰკითხავს?!

– ეჰ, ალბათ იცის: ეხლანდელი ახალგაზრდები თითონა სწალდავენ თავიანთ საქმეს; დედ-მამას მარტო წესის დასაყენებლადა ჰკითხავენ.

– ჩვენ დროსაც ეგრე იყო, ჩემო კარგო! მე რომ ნიშანი მოგიტანე, აკი იცოდი: ადრევე გვქონდა პირობა დადებული; გახსოვს, მამითადში ხელეურებს რომ გვაწვდიდი და გამექეცი?

6

მოსემ მარტო ბეჭედი არ მოუტანა, საკაბეც მოაყოლა, ვარდის ფურცლად დაფოთლილი ჩითი.

– რა მშვენიერია! რამდენს დარჩა თვალი ზედ, მაგრამ იმ ქალის ბედზედ წამოვიღე, ვსთქვი: მახარეს ვაჩვენებ, მოეწონება.

ღრეჭად გარდაქმნილი მახარე დაჰყურებდა საკაბეს და ცხადად ჰხედავდა, როგორ აჰხატავდა ნაქვთიან ტანს ლამაზი კაბა.

– რას იტყვი, ბიჭო?

– ავიღოთ!

გადუზომა მოსემ.

– ადლს მეტს ვზომავ: ტანადი ქალია, ვაითუ არ ეყოს; საკერებლადაც დარჩება, კარგია.

ბოხჩის ჩალაგებისას თავისჩითები გაშალა. მეორედ ჰკეცავდა, ნელ-ნელა აწყობდა.

– აბა ეს მოსახვევი ნახეთ. ბაღდადსა ჰგავს ნაირით; ადგილიც გაუსინჯეთ: აბრეშუმის სიმტკიცე აქვს.

ვაჭარმა სათუთად დაკეცა, ჩადო ბოღჩაში. ბიჭს თვალი დარჩა ქსოვილზედ.

– რა ღირს, მოსე, ეგ თავსაფარი?

– რად გინდა, რომ აფასებინებ?

– რაღა რად უნდა: მახარესა ჰგონია, უკეთესი იქნებოდა, ესეც მიგვეტანა ქალისათვის, – ჩაეშველა მამა.

– ბარემ გამზითვეთ გოგო და მორჩეს!

– გახსოვს, დაირა რომ მოგიტანე დანიშნულობაში?

– ეხლა ეგ გააგონე! – სთქვა დედამ

და აიღო თავზემოსახვევი, გაშალა, გასინჯა მუშტრის თვალით. იყიდეს. მადლობელი დარჩა მახარე კარგი მოსესი. ბელგის მიტანა ნიშნობას უდრიდა: მინატანით დადასტურებული სიტყვა არ გატყდებოდა; სოფელი არ იყაბულებდა ამას. პატრონები აღარ უშლიდნენ ახალგაზრდას ოჯახში სიარულს, გოგოსთან გაცალკევებას, თუმც მზირად იყვნენ, აღტაცებულ ახალ-ნორჩებს არ შეელახათ ტრფობის სიწმინდე. თითონ ქალ-ვაჟიც ფრთხილობდა ახლო მომავლის ტკბილ მოლოდინში.

მაგრამ ეს საამო სალოდინო რომ მოდიოდა და არც ნელ-ნელა, სხვა მომავალიც საბოროტო მოაბნელებდა ჩქარის ნაბიჯით: ომი დაიწყო; სწრაფად გამწვავდა: დასჭირდა ხალხი რუსთ ხელმწიფესა, მოითხოვეს განთავისუფლებულნი; სხვებიც ზედ მიაყოლეს. თვრამეტ-ცხრამეტ წლის ბიჭებსაც მალე მოჰკრეფსო, იმუქრებოდნენ; ქუდზედ კაცს დაუძახებსო. უნდა წასულიყო მახარე და ძალიან სწრაფად: აღარ აცდიდნენ. გადაიარა მოყვრებისას.

– იმედია, მალე დავბრუნდები: რუსმა დიდი ხალხი მიაყარა და დღეს მოუსწრაფებს მტერსაო.

– გისმინოს ღმერთმა, მახარე ჩემო! მეც გავიგონე ეგეთი ხმები. ის რაღა ცოდვის კითხვაა, რომ ეგრე გაჩქარებენ; ერთი კვირა მაინც დაგცლოდათ, რომ მიგეხედ-მოგეხედნათ და საქმე მოგეგვარებინათ.

– აღარ გვაცლიან; ქაღალდს ისეც დაუგვიანია და ხვალვე უნდა გაუდგეთო გზას.

– სახუმრო საქმე არ არის ეხლა...

– აბა მშვიდობით! ისე გაბარებთ ამ ჩემს ანანოს, როგორც ჩემს სულსა.

– შენ შენს თავს გაუფრთხილდი, რომ მალე მშვიდობით დაბრუნდე, თორემ მაგას რა უშავს სახლში.

ანანომ გადმოაცილა საქმრო. დამშვიდობებისას ატირდა გოგო.

– ნუ, გეთაყვანე! – მიეხმატკბილა მახარე.

ქალს უფრო ამოუჯდა გული. რამდენჯერმე დაუბრუნდნენ ერთმანეთს: გაყრა ეძნელებოდათ. მეორე დღეს გაირეკეს ბიჭები. გულჩათხრობილი დარჩა სოფელი. გავიდა დრო, დაზამთრდა, თანდათან შემძიმდა ცხოვრება, ომის ნასახმა იჩინა თავი.

– გასჭირებია, კაცო, რუსს: ძალა მოუტანიათ.

– ესე უთქვამს რუსთ ხელმწიფეს: მთელ ჩემს ხალხს შევალევ, მაგათ გულისა კი არ გავხდებიო.

– ალბათ იმისთვის თხოულობს კაცებს კიდევ და კიდევ.

– სულ გაალაგეს ვაჟკაცები.

– მეც მაგას ვდარდობ: გაზაფხული კარს მოგვდგომია და ლამის მუშა ხელი აღარ დასტოვონ.

დათბა. გადნა თოვლი. დაეტყო სოფელს მუშა მარჯვენის ნაკლებობა. ომის რისხვა კი არა სცხრებოდა. ყველას გზისკენ ეჭირა თვალი, აცა რა ამბავი მოგვივაო; ყველა კერას გაესტუმრებინა სახლის იმედი. ძრწოლით ელოდდნენ ამბებს ბრძოლიდან. შემოვიდა მახარეს მამა, ტახტზედ ჩამოჯდა. გამქრალი ჩიბუხი ეჭირა პირში.

– დედაკაცო, ერთი გადახედე, რა დაჰმართიათ კიკოლაანთ: ტირილი მოისმის, მათი ქალები თმას იგლეჯენ.

– უი შენ, ჩემო თავო! ცუდი ამბავი მოუვიდოდათ დემეტრესაგან, – წამოთქვა დედაკაცმა

და ჩამოიშვა კაბის კალთები. გაეშურა მეზობლისაკენ. გახშირდა ესეთი ამბები; ხან ერთი ოჯახი ატირდებოდა, ხან მეორე; ყველა გულის ფანცქალით ელოდდა, ვნახოთ, დღე რას მოგვიტანს, ან რას ღამეო.

7

ცხოვრება სწრაფად უარესდებოდა: ვაჟკაცების წაყვანა საზიანოდ დაეტყო სახლკარს, მძიმე უღელი დააწვათ ხანშიშესულებს, დედაკაცებს, ბალღებს. სიძვირემაც იჩინა თავი და დღითი-დღე იზრდებოდა.

– ვაჭრები აღარაფერს იძლევიან ნასიად; სულ ნაღდზედ უნდათ მამასისხლად.

– მოსე ქაღალდის ფულს აღარ იღებს, ოქრო-ვერცხლსა თხოულობს.

– არც მარცვლეულობას და სხვა სანოვაგეს სწუნობს; გაზიდა სამარხო თუ სახსნილო.

გააჩანაგეს ვაჭრებმა სოფლის მოსავალი, სინსილა გაუქრეს ლითონის ფულსაც: ამ ფულით ვაჭრობდნენ, ქაღალდის ფულზედ ყიდულობდნენ ერთი-ორად და სადღაც გაჰქონდათ. ხალხი ამას მარტო მაშინ მიხვდა, როცა სოფელში ბუნჯგალ-ბუნჯგალი მოვიდა ქაღალდის ხურდა. ერიდებოდა ხალხი ამ საკვირველ ფულს, მაგრამ რას გააწყობდა; ძალა აღმართს ახვნევინებდა.

გავიდა გაზაფხული; მიიწურა მეორე შემოდგომა: მოტრიალდა წელიწადი. მახარეს ამბავი ვერაფერი გაიგეს; არ იცოდნენ, კიდევ ცოცხალი იყო, ან თუ მიწამ დაუყო პირი. დაძმარებული დადიოდა მისი დედ-მამა. ანანო ხომ... რაღა საკითხავი იყო საწყალი გოგო?! აქამდინ თუ ობლის ლუკმასა სჭამდა ცრემლით ნაბკურებს, ეხლა, ლამის, ესეც დაჰკვეთოდა: მისი ბიძა აღარ მალავდა, რომ მისთვის ძნელი შეიქმნა მეტი ადამიანის შენახვა. ქალი არ ზოგავდა თავს, მუშაობდა გალომებული. მაგრამ მის შრომას ფასი აღარ ჰქონდა, ვერ ინაზღაურებდა შენახვის ხარჯსა. ჩაეთხრო გული, ჩაუშავდა სიცოცხლე. საქმე სამგლოვიაროდ გაჰხდომოდა, იმას კი წითლიანი კაბა ეცვა და ჭრელი თავსაფარი ეხვია: ნიშანში მოტანილსა ხმარობდა; უქონლობა მურასას აცვეთინებდა. აგერ ისიც ჩამოდნებოდა და დარჩებოდა შიშველ-ტიტველი.

– შე თვალდამდგარო, ეგ კაბა რომ ჩაგიცვია და სცვეთავ, ვისი იმედიღა გაქვს, გაღატაკებული ბიძაშენისა, თუ უკვალოდ დაკარგული შენი საქმროსი? – ეტყოდა ძალუა.

– გოგო, გამიგონე, გაჰყევ გაგასა! აგერ იმ დღესაც მეუბნებოდა.

– რა ვიცი, მგლის თვალზედ კი ნახა კაცი და ვერ გამიგია, რადაო. ბოროტიაო. რა ვუყოთ, რომ ავია, კეთილად მოექეცი და დაშოშმინდება.

– გაჰყევი, გოგო, დაუჯერე ძალუა შენსა! თუ არა და მე აღარ შემიძლიან შენი შენახვა.

ქალი პასუხს არ იძლეოდა, მიგდებულიყო ტახტის ბოლოზედ, ცრემლად იღვრებოდა.

ანანოს უბედო ბედი მახარეს დედ-მამასაც აღონებდა.

– მე რომ იმ ქალს ვუყურებ, ცოდვით ვიწვი; სულ ტირის, დღეს თუ ხვალ სახლიდან დამითხოვენ და ისღა დამრჩენია, წყალში გადავვარდეო.

– მითხრეს, გაგა შეჰღირებია და ძალას ატანენო.

– არ მისდევს! არც გაჰყვება: ჭირივით ეჯავრება, კიდეც ეშინიან.

– ბედი არ ჰქონია საცოდავს.

– უბედური ყოფილა! ჩემი მახარე იყო მაგისიც გამხარებელი და ის ხომ აღარა გვყავს...

– ნუ ხარ ავყია! გვყავს, ჯარში გვყავს ვაჟკაცი და მშვიდობით დაგვიბრუნდება. იმედი იქონიე, ღმერთს შეევედრე!

– აკი ვეხვეწები იმ დალოცვილს: ჩემ სამშობლოს ხატს ზვარა შევუთქვი, პარაკლისი ვახდევინე მღვდელს, მარჩიელს ვაკითხვინე. მაგრამ... ეს სიზმრები რაღა ცოდვის კითხვაა?! დამადნო უფერმა ზმანებამ.

– ნუ იტყვი ცუდ სიზმარს დასავიწყარს, წყალწასაღებსა, მტერს ნუ გააგონებ! რაღა ეგ გვინდა?!

ვეღარ ჰშველოდნენ ომში მყოფებს სამშვიდობო პარაკლისები, სამღვთოდ შეთქმული ვერძები, ვერც კურატები: ილეოდა წასულთ რიცხვი მოწვიმარე ცხელ ტყვიის ქვეშა, ყუმბარების მეხტეხილში, გაცოფებულ ვაჟკაცთ ხმლების ქვეშ.

– დედი, დედიჯან! უბედურება დასტეხიათ თომაანთ თავსა.

– რა, დემეტრე ხომ არ მოუკლავთ?

– არა, ცოცხალი მოუვიდათ, მაგრამ...

– მაგრამ რა?

– ცალი ფეხი მოუჭრიათ. ხის ფეხზედ დაკინკილებს. დასტირიან, თითქო მკვდარი უძევთო წინ.

– საცოდავი! მკვდარზე უარესი გამხდარა. რიღას მაქნისია ხეიბარი გლეხურ ყოფაში?

– გლახაკადღა უნდა წავიდეს. სიკვდილი ერჩივნა.

– ნუ იტყვი მაგას! ჩვენი შვილიც იმ ცეცხლშია. ნეტა ცოცხალი ვნახო, თუნდა...

ვეღარ დაათავა სიტყვა: დასაპყარებული შვილი ცოცხალიც მკვდრად დაესახა გონების თვალთ წინ.

8

ცეცხლში მოჰყვა საზარელში ბიჭი მახარე. ბრძოლის ველი ალავარდნილი. სანგრებში ჯდომა. მიწის გული ვერ იმაგრებდა მომაკვდინებ ცეცხლს მოზღვავებულს. გამჭეხი მეხი ციდან ცვიოდა, მედგარი მძლავრი მოგრგვინავდა სიღრმიდან მიწის. ზუილ-ზრიალით მიმოფრენა ფრთიან ტყვიისა. ღრიალი, კვნესა მძაფრის ვაების. ნაფლეთები კაცთა ხორცისა. მკვდართა ზვინები.

ეტყოდა ყველას მკაცრი წესი სასტიკ ბრძოლისა:

– მსწრაფლ მოჰკალ, თვარა თვით მოგკლავს იგი!

– ვერ ვხედავ მტერსა!

– უფერხებლად მიაყარე ტყვია სეტყვადა! ნუღარას ფიქრობ, თითონ იპოვის ცხელი გულა თავისსა მსხვერპლსა.

და წინ იწევდა ბიჭი მახარე, ესროდა ხალხსა; სიკვდილს შველოდა გაშმაგებულს, პირსისხლიანსა. ჯერ ეშინოდა პორველ ხანებში, ქვას თუ მიწას თავს აფარებდა. მერმე ნახა, არავისთვის არ საფრობდა მტკიცე სიმაგრეც და მიენდო უნებლიედ ტალღას მიმავალს. თუ მოიშრიტა მოლოდინიც წითელ სიკვდილის, ან თუ კიდეც მოსულიყო თითონ სიკვდილი. აღარ ფიქრობდა, აღარას გრძნობდა, არც თუ რა ჰსურდა; მხოლოდ ესროდა, მარტო ჰხოცდა უბოროტეს მანქანად ქმნილი. დადგებოდა შიგადაშიგ ყუჩილის ჟამი და ისხდნენ თხრილში, გძელ სამარეში ისევ

ცოცხლები. მწვან-მწვანე წუმპე, მღრღნელი მღილი; ცოცხალთა ჰფქვავდა ბუგრი ბინძური.

– მოდი, სიკვდილო!

ბორგვნილი ბიჭი თუ ჰნახავდა ძილში თავის სოფელს, ბაღჩებს, ბაღებს, ტყეს თუ მინდორს, წყაროს, მდინარეს. ანანოიც გაურბენდა ლანდივით. ის უკვირდა კაცს: ტყვიის სეტყვაში ჯერ უვნებლად მიმოიძროდა. წელიწადზედ მეტი იყო, რაც რომ იბრძოდა, მაგრამ ვერც ტყვიამ და ვერც შუბმა ვერსად გაკენწლეს, თუმც ბევრჯელ გაჰკრეს მის ტალავარს და დააცხავეს.

– ალბათ თილისმად ამედევნა იმ გოგოს ლოცვა, რომ ცხელი ტყვია, ყუმბარის ფრთა არ მეკარება, – იტყოდა ბიჭი

და ცდილობდა ცხადად წარმოედგინა ანანოს სახე, მაგრამ მისი გაწამებული გონება უჩვენებდა მომაკვდავთ სურათს უბედურად დაღრეჯილებსა, ცოფიან თვალებს, სისხლის ბელტებს თუ გუბეებსა. მიისწრაფოდა, მიარღვევდა ცეცხლის კედელსა და... რაღაც რაკუნი ოფლიან მკერდზედ; თუ დაჰკრეს მჯიღი, გადიხარა, წაბარბაცდა, ჩაუქრა ცნობა.

თეთრ დარბაზში გაეღვიძა, თეთრ ლოგინზედა, თეთრი ქალი დაჰყურებდა თეთრად მოსილი. ოცნება იყო ხორცშესხმული, ცხადი ზმანება, გაკვირვებით შეჰყურებდა ერთს ხანს მახარე. გაბედა. ჰკითხა:

– ნეტა სად ვარ?

– ლაზარეთში ხარ! სიკვდილს გადურჩი.

უნდოდა დაჭრილს წამოჯდომა, ღონე არ აჰყვა; მოისურვა ეკითხა სხვაც რამ, არ მისცეს ნება.

ნელ-ნელა რჩებოდა. პირველად რომ ნება მისცეს კარზე გამოსვლისა, გაზაფხული გადაშლილიყო, შემდეგ სწრაფად მოჯობინდა. ზაფხული დადგა, რომ განიკურნა. გამოწერეს. ნება მისცეს თავის სახლში დაბრუნებისა. რკინის გზა; ეტლი; ფეხით სვლა ერთს ხანს. აღტაცებით გადმოხედა მშობელ ქვეყანას. მოდიოდნენ მასთან სხვებიც, გატანჯულები.

– მალე გაიყრება ჩვენი გზები.

– მაინც ძმებად დავრჩებით.

– თუ შეგვხვდა ნახვა ერთმანეთისა.

– გვიამება, გაგვეხარდება.

– უთუოდ ვნახოთ!

მოდის მახარე. იღიმება: ქვას უცინის, ჯაგს, ცხოველს, მფრინველს.

– გამარჯვება, ძმობილო! ქალაქისაკენ?

– გაგიმარჯოს; სასყიდი რამ მაქვს.

– რა კარგი ბიჭი ჩანს! ყველანი კარგები არიან, ყველაფერი მშვენიერია!.. ნეტა ერთი შინაობა მშვიდობით დამხვდეს!

ფიქრმა გადიტაცა სოფელში. შენა გგონია, დედ-მამის სახლში? ანანოსთანა!

– ნეტავ რასა იქმს ანანო ჩემი? თუ დაიჩაგრა. იქნებ გათხოვდა? არა! ანანოსაგან ჩემი ღალატი?! იქნება ძალით გაათხოვეს? ახ, ის გაგა...

დახლაკნა ჯავრმა, მთლად დაწრახნა მძლავრი ვაჟკაცი.

– იქნებ ცხოვრება გაუჭირდათ და შეაღონეს უმწეო ქალი? მაშინ ანანო უნებლიედ დასთანხმ...

თანდათან გაუჭირდა სოფელს. მტკიცედ მოესალტათ უქონლობის მუხრუჭი ისეც ხელმოკლეებს და დაუნდობლად სწურავდა იმათ. ანანოსაც უფრო დაეტყო ობოლ-ოხრობა. გაგა რომ არ ეშვებოდა გოგოს, ხელმოკლეობით შეშინებული პატრონებიც ძალას ატანდნენ დათანხმებულიყო.

– ავი თუ კარგი, მაინც ქმარი იქნება შენი და შეგინახავს.

– მეზიზღება, კიდეც მაშინებს.

– მგელ-კაცი ხომ არ არის, რომ შეგჭამოს.

– არ მინდა ცრემლით დამბალი მისი ლუკმა! თავს მოვიკლავ...

– ამ ჩვენ სახლიდან კი წადი და რაც გინდა, ქენი. ჩვენ მოვიხადეთ ჩვენი ვალი სოფლის წინ: გაგზარდეთ უპატრონო, საქმროც გიშოვნეთ. ერთი თუ ბედმა წაგართვა, ესეც მეორე. შენგნივ არავინ არ არის დასაწუნი.

– რა დაგემართა, დედაკაცო, რამ გაგაბოროტა?! დააცადე, გონებას მოვა და დათანხმდება.

– ჯიუტია, ცუდს სიტყვას ათქმევინებს ადამიანს, – სთქვა დედაკაცმა

და გაეცალა. ბიძაც გაშორდა. მეტი გზა აღარ იყო, უნდა ეწამლა რამე ქალს თავის თავისთვის. არა, ვერ გაივლიდა პატრონების სურვილზედ, ფიქრიც არ შეიძლებოდა ამაზედ. ეჰ, იქნება დაფიქრებულიყო კიდეც, დაჰმორჩილებოდა გაჭირვებას, თუ ნამდვილად სცოდნოდა, რომ დაიღუპა მისი მახარე; ეს არა სჩანდა, ვერ იტყოდა კაცი ამას დარწმუნებითა; წიგნი არ მოუვიდათ, მაგრამ სხვებიც ბევრნი იყვნენ იქაურები თუ სხვა სოფლელები, რომელთ ამბავი არ მოდიოდა. არ შეიძლებოდა მათი მკვდრად დაგულება: შორს იყვნენ გადაკარგულები და ხმას ვერ აწვდიდნენ.

ამ დაღონებულ ყოფაში იყო ანანო, როდესაც დაბრუნდა გზირიანთ ბიჭი: დაეჭრათ, თვალი გამოეთხარათ და რახან მეომრად აღარ ვარგოდა, შინ დაეთხოვნათ. ის და მახარე ერთად წაიყვანეს, მერმეც ერთად ყოფილიყვნენ და სცოდნოდა მახარეს ამბავი. უამბო საომარ ადგილას მისვლა, ბრძოლის გატარება.

– ბოლო ხანს ბრძოლა მოგვიხდა ჭაობებში. კაცი წელამდინ იფლეობდა; ურმის გატარება არ შეიძლებოდა; ზარბაზნებს ხალხი ეხვეოდა, რომ გაეთრიათ. ბევრი დაენთქა უძირო ჭყანტში. სულ ცეცხლს გვაყრიდნენ, ჯოჯოხეთი ატრიალეს. იქ დავიჭერი და გავუბედურდი.

– ჩვენი მახარე?

– ჯერ დაჭრილი არ ვიყავი, რომ მახარე ჩამოგვრჩა. ჩაიფლა სადმე თუ დაიჭრა, ველარ გავიგე: ხალხის ტალღამ გამიტაცა.

– ბევრი დაიღუპა იმ საცოდაობის დროს?

– უწყალოდ გაიჟუჟა ხალხი.

– მაშ რაღა იმედი უნდა მქონდეს ბიჭისა?! – წარსთქვა მახარეს დედამ

და ატირდა. მოსულმა ანუგეშა:

– კაცი ვერას გაიგებს იმისთანა სისხლიან არეულობაში. მე მალევ დამჭრეს, გონი დავკარგე და არ ვიცი, მერე რა მოხდა, იქნებ არც დასჭრეს. ლაზარეთშიღა გამოვფხიზლდი; ფეხი მომირჩინეს, კუნთში მომხვედროდა ხმლის წვერი, თვალი კი... ეჰ, რაღა საჭირო იყო ჩემი გადარჩენა, თუ ასე დავსახიჩრდებოდი?!

– არა, ძმაო! მადლობა ღმერთს, მოგვიხვედი; ხელ-ფეხი არ გაკლია და გლეხურ ცხოვრებას გაუძღვები ცალი თვალითაც, – ანუგეშებდნენ.

– ნეტა ჩემი მახარეც ცოცხალი ჩამომივიდოდეს და თუნდ დაჭრილი იყოს, დასახიჩრებული, – ინატრა მისმა დედამ.

ნატვრა ვერაფერი მალამო იყო მის ყოფაში: ნაამბობიდან ცხადადა სჩანდა, რომ დაღუპულიყო ვაჟკაცი. როგორ გადურჩებოდა იმ გაჟუჟვის დროს ან გამარჯვებულ მტრის იარაღს, ან დამღუპველი ნიადაგის სივერაგეს?!

– ვაჰ, თუ ჩემი მახარე ტყვიით დაჭრილი იქვე ჩამარხა უძირო ჭყანტმა! – შესძახა დედაკაცმა

და თავს შემოიკრა. მახარეს მამაც რომ ჩაფიქრდა, იმ ჰაზრს დაადგა, უსათუოდ დაიღუპა ბიჭიო.

10

გავიდა თვეები; გაიწურა ზამთარი; ახლად აყვავებული გაზაფხული მოჰფენოდა ქვეყანას. ანანოს გული კი ისევ შეხუთულ-შეყინული იყო უილაჯობის მძვინვარე სიცივით, რომელს ვერ ათბობს, ვეღარც ალხობს თუნდ მზე ზაფხულის.

– გაყიდე, გოგო, ბელგის ბეჭედი და საცვალი ამოიცვი მა შიშველ ტანზედ.

– სიცოცხლედ მიღირს იმის ნიშანი.

– შეისმინე, შე გულმკვდრის შვილო! ჩვენ ვეღარ შევძლებთ შენ შენახვასა. უწინდელი დრო რომ იყოს, მოახლედ მაინც მიგაბარებდი ვისმე შეძლებულს; ეხლა მათაც აღარა აქვსთ და ვინ აიყვანს სხვას, შესანახსა?!

– თუ უწინდელი უხვი დრო იყოს, ჩვენც ხომ აღარ დავზოგავდით ლუკმას; მაგრამ ეხლა სხვა დრო დაგვიდგა. გირჩევნია, თავს დაუფიქრდე, ბედი კარს მოგდგომია, ხელს ნუღარა ჰკრავ.

მართალს ეტყოდნენ, გონების თვალით რომ უყურებდა გარემოებებს და სწონავდა მათ დარიგებას, ჰხედავდა ამას; მაგრამ მის გულს იგი რჩევა სულ არ მოსწონდა: გაგას იგი ვერ გაჰყვებოდა ცოცხალი თავით, მეტადრე ეხლა, როცა კაცი გაბოროტებული იყო მისი უარით და სისხლს აიღებდა დამცირებისთვის.

– მაშ რა უნდა ჰქმნა, შე საცოდაო? დღეს თუ ხვალ შენი პატრონები ხელს აიღებენ შენს შენახვაზედ და ნუთუ ვერა გრძნობ საშინელებას, შენ რომ მოგელის?!

– ვხედავ კარგადა! წამალიც ვიცი: თუ მახარე მიწამ ჩანთქა უცხო მხარეში, არც მე უარმყოფს ეს ჩვენი მიწა!

– რას ჰბოდავ, გოგო?! ჯვარწერილიც ბევრს მოჰკვდომია, თავი არავის შეუკლავს მისთვის, დანიშნულიც არა ხარ, მარტო ბელგა მოგიტანა იმ ცხონებულმა.

– როგორ ამბობ მაგ შავ სიტყვასა?! იქნებ ჯერ ისევ ცოცხალია საწყალი ბიჭი; ცოდვა იქნება ცხონების შეთვლა.

იცოდა ანანოს გაჭირვებული ყოფა მახარეს დედ-მამამაც და საგლოვლად საგულებელ შვილთან მისგან ხელდადებული ქალიც სადარდელად გაჰხდომოდათ; სიყვარული გადაეტანათ მის დანიშნულზე. ბევრჯელა ჰქონდათ საუბარი იმის შესახებ, ვერ კი შეთანხმდნენ, ცხადი ჰაზრი ვერ გაიტანეს. მახარეს მამა იმ ფიქრზედ იდგა, გოგო სახლში წამოეყვანათ.

– არა გვიშავს რა, დედაკაცო! გამრჯელია და თავის თავს თითონ დაირჩენს: სასიკეთოდ დააჩნდება ჩვენს სახლს მისი ხელი. მითომ ჩვენი მახარე ყოფილა თავის კერაზედ.

– ვერა, ვერ შევსძლებ: მისი დაღონებული თავი ძალიან შეამძიმებს ჩვენს კერას, შავ ზეწრად გადაეფარება სახლს.

– და ჩვენთვის მაინც მეტი სიმძიმისა არ იქნება ის სიბნელე: მახარეს დამკარგველებს სხვა ჭირი ვეღარ გაგვიძლიერებს გლოვა-ვაებას.

– ჩემი მახარეს დანიშნული მევე გავმზითვო და გავათხოვო?!

ვერ დაესკვნათ ქალის შეფარება, მანამ მის ბიძას მუქარა არ გაემართლებინა და ხელი არ ეკრა უმწეოსათვის. თვალს კი ადევნებდნენ, რომ უკიდურეს შემთხვევაში დაჰხმარებოდნენ. მაინც ეხლაც უნუგეშოდ არა სტოვებდნენ; აგრძნობინებდნენ, რომ შეეძლო გაჭირვებულს მათზე დაყრდნობა. გოგო ჰხედავდა იმათ სიყვარულს და გულის დარდებს გაანდობდა სადედამთილოს. მახარეანთ ისიც მოსწონდათ, რომ ანანო არ მისდევდა გაგასა, არ სცვლიდა მასზედ მათ მახარეს, თუმცა უკვე მკვდრად დაგულებულს.

– სხვა უმაგისო გადივიწყებდა შინმოუსვლელსა, გაჰყვებოდა ახალ საქმროსა. მარტო ის რად ღირს, რომ ოჯახიშვილი კაცი, თანაც ისეთი გულბოროტი, დამონებია, ევედრება, გაჰყვეს ცოლადა.

– ჩვენი მახარეს ტრფობა ჩასჭრია გულში და ვერ გასცვლის სხვაზედ: იცის სიყვარულმა!

– გამოცდილი გაქვს? ვეღარ გამცვლიდი მაშინ შენც სხვაზედ.

– მაშინ ჰნახავდი, თუ ცოტად მაინც მაწყენინებდი! ეჰ, ჩემი მახარე ვერ მოესწრო, შემოჰვლებოდა მის ვაჟკაცობას საყვარელი გოგო და...

11

და მათი მახარე კინაღამ დაიმორჩილა სიკვდილმა, თავით რომ ეჯდა და ცდილობდა ხელში მოეგდო. სამკალი ჰქონდა ბევრეული, ასობით ნთქავდა სიცოცხლეს ახალს, მაინც ისევ მშიერი იყო და გაფიტული; კიდევ ძლიერ ენანებოდა, თუ იმისთვის განწირული გაუსხლტებოდა. ეჯდა ბალიშზედ პირდაღრენილი და ბასრ ჭვანგებს იწვდიდა მისკენ. ბევრჯელ ნახა თავისი თვალით იგი ბორგვნილმა, ბევრჯელ შეჰზარა მის უპირო პირის ხილვამა. კბილებს აღრჭენდა ავადმყოფის ჯიუტობაზედ და ექიმთა მარჯვე ხერხებზედ, რომლებიც ყოველ ღონესა ხმარობდნენ, არ დაენებებინათ განწირული.

– სასწაული იქნება, თუ გადიტანა ეს ჭრილობა: იშვიათი შემთხვევა არის! – იტყოდა დოსტაქარი.

– ისე ლარივით გაუვლია ტყვიას შენობაში, არსად არ შერყეულა, არ დაუგლეჯია შიგნეულობა. თანაბარი ჭრილობაა; ვგონებ მოხერხდეს მისი დაძლევა, – იტყოდა ექიმი.

– დევის აგებულობისა ყოფილა ეს კაცი! თუ არ მაგის სიძლიერე, მაინც ვერას გავხდებოდით ჩვენის ხელოვნებითა.

– ყოჩაღ ბიჭო! ეხლა კი იმედია, დაგიხსნათ სიკვდილისაგან, ოღონდ ისე მოიქეც, როგორც გარიგებთ, – ეტყოდა ექიმი

და ავედრებდა მომვლელ ქალსა, განსაკუთრებითი ყურადღება მიექცია დაჭრილისათვის. ამაოდ არ ჩაუარათ შრომამ: გამობრუნდა, მოღონიერდა, ადგა. ექიმებს უხაროდათ ეს გამარჯვება და იმათი ყურადღებით იყო, რომ მახარე ჯვარზე წარადგინეს და სამშობლოში გამოისტუმრეს. ზრზნიდა ხანდისხან ნატყვიარი ძუძუდან ზურგამდის, არ კი სტკიოდა, გამორჩომას არ უბრკოლებდა. ვაჟკაცის ყოფა დღითიდღე უმჯობესდებოდა და რომ ჩამოვიდა, მთლად საღადა გრძნობდა თავს, ოღონდ ჯერ ვერ იყო თავისებურად შეწითლებულ-შეჟინჟღილებული.

მეორე დღეს ქალაქში დარჩა. შესჯავრებოდა ჯარისკაცის ტანთსაცმელი თუ ფეხსამოსი: საშინელ დღეებს აგონებდა, რომლებიც გამოიარა. მოინატრა გლეხურსავე ტანსაცმელში ენახა თავი. დაასკვნა ყიდვა. დათვალა ფული. ეყოფოდა! ახალი ქალამნები, ჭრელი წინდები, ტყავის საცვეთები თითბრის რგოლებით, დაფოთლილი

ახალუხი, თეთრი შალის ჩოხა, შალვარი, ნაბდის ქუდი ქოჩორა თავზე. რომ შემოირტყა ბჭყვრიალა ღილებიანი ქამარი წერწეტ წელზედა, ჩაიხატა ეს ბრგე ვაჟკაცი.

– ხანჯალი... დარჩეს! შინაცა მაქვს კარგი სატევარი.

მოყოლილი ტანისამოსი შეკრა ხოხმიკად, მოიკიდა, როგორც სჩვევოდა. დაადგა გზასა. ბილიკებით მიდიოდა, გზას მოკლედ სჭრიდა. ეჩქარებოდა, მაინც ფეხდაწყობით შესდევდა აღმართს, არგნის ბჯენითა, არ დასცილდა ექიმის სიტყვა:

– პირველ ხანში ძალას ნუ დაატან; იარამ პირი არა ქნას შიგნეულობაში.

ავიდა მთაზედ, გადახედა დაცემულ მინდვრებს. დაინახა თვის სოფელი, ინიშნა სახლი. დაჯდა. დაჰყურებდა ხარბად არესა. უღიმოდა, უალერსებდა, მოსდომნოდა გადაჰხვევოდა. როგორ იფიქრებდა, კიდევ ეღირსებოდა ამ შეუდარებელ სიმშვენივრის ნახვას?!

– დახე! ჯაგიც კი ლამაზია, ფარებ მოსხმული ძეძვი, გრაკლის ბუჩქები.

მივიდა, ხელი შეახო, მოუალერსა. დაეშვა თავქვე. ამ გზით ათასჯერ იყო ნავალი, ყველაფერი აქ დიდი ხნის ნაცნობი იყო მისთვის, მაგრამ ეხლა ყოველივე უფრო გაახლებულიყო, ღია ფერი დასდებოდა მოღიმარე და მშვენიერი, ამ დიდ ლოდებსაც, გზის პირას რომ შემაღლებულან.

– ეს იმისათვის, ჩვენო მახარე, რომ გვიხარიან შენი მშვიდობით დაბრუნება; უგულოები ხომ არ გგონივართ?!

– არა, ჩემო ძვირფასებო! – ეტყოდა მათ მახარე

და ცდილობდა ხელი შეეხო ბევრისათვის, მოეალერსნა ყველასათვის. მოდიოდა; იღიმებოდა.

12

საღამოზედ მოვიდა სოფელში, წყალის მოტანის დროს. წყარო ხევის პირას გადმოდიოდა. უხვი იყო, მილს ავსებდა. საქონლისათვის თუ სხვა სახმარად ხევის წყალსა ხმარობდნენ. ბუჭულასაც აბრუნებდა ხევი და სოფელს სხვაგან არ უნდებოდა საფქვავის წაღება. რაც უფრო უახლოვდებოდა სოფელს, მეტი სიამე ეფინებოდა სახეზედ; გულითა ჰსურდა გაცინება, გახარხარება. თავს იმაგრებდა: რას იტყოდნენ, რომ დაენახათ?! ბილიკი რომ დაინახა, რომელიც დიდი გზიდინ დაქნილიყო წყაროსაკენ, კარგმა ჰაზრმა გაურბინა:

– მთელი დედაკაცობა წყაროზედ იქნება: ვნახავ!

გადუხვია გზას. ჩაიარა. მართლა სავსე იყო წყარო დედაკაცებით: რიგი ავსებდა, რიგი ბაასობდა.

– მივალ, წყალსა ვსთხოვ.

გაიმართა წელში, მოიმამაცურა კისერი და მოზომილ ნაბიჯით დაუახლოვდა. უნდოდა დინჯად დაეჭირა თავი, მაგრამ სახე აღარ ემორჩილებოდა: უნებლიედ ეცინებოდა. ვაჟკაცის მოახლოვებაზედ ერთხანს ჩაჩუმდა ხმაურობა, ყველამ თვალი მისკენ მიაბყრო. ბალღებმაც პირი მომსვლელისაკენ ჰქმნეს.

– ბიჭო! მახარეა, ისემეანთ ბიჭი!

– მახარეა, ჩვენი მახარე!

ამ ხმაურობაზედ ანანო მიტრიალდა მგზავრისაკენ, ერთს წამს გაშეშდა, შეუგნებლად დააგდო კოკა და გაექანა.

– თავს შემოგევლე, ჩემო სიცოცხლე! – შესძახა ქალმა და ხელები გადააჭდო მთრთოლარემ ვაჟკაცს. მოხვია მკლავი მოღვედილ ქალს აღელვებულმა, ჩაიკრა მკერდში.

– ჩემო ყველავ, ჩემო ანანო!

– თქვენი გულისა!! – ხმა შეაწია დაწყვილებულთ თაქლაანთ თაფლომ.

გაიქცნენ ბიჭები მახარობლებად.

1923 წ.

არქეოლოგიური ნაშთი

1

– გაგიმარჯოს, პეტრე! რა კარგი ჰქენ, რომ შემოხვედი!.. შენზედ ვფიქრობდი, კინაღამ შენთან გამოვიქეცი.

– საქმე თუ რამ გაგჩენია საჩქარო?

– და რა საიშვიათო! აბა დახედე ამ ბრინჯაოს.

პეტრემ აიღო ნივთი, გადააბრუნ-გადმოაბრუნა, გულდასმით გასინჯა; რამდენსამე წუთს დაფიქრდა.

– იშვიათი სჩანს. სად გიშოვნია?

– შემთხვევით წავადექ საკვირველ ნაშთს და შევიძინე.

– იყიდე? ვინ იცის, რამდენი მიეცი!..

– ბეყა-ფულად ჩამივარდა ხელში.

– მაინც?

– მიყვარს ბაზარში სიარული, თვალიერება. ჩემი გასართობი ეს არის. ახალ ბაზარში არა, ევროპიდან გადმორგულ მაღაზიებში. იქ არავითარი საქმე არა მაქვს. ძველ ქუჩებში, ძველ დუქნებში. შეხვდები იქ ხარახურაში ნივთს უწინდელს, თუ ნივთის ნატეხს. თვითეული ძველი ნაშთი გიამბობს თავის თავგადასავალს.

– გიამბობს?!

– გეტყვის წარსულს: რამდენი თაობა გამოუვლია, რამდენჯერ დაჰხმარებია ადამიანს ძნელ სიცოცხლეში; ბოლოს მოძულებულ-მივიწყებული გამოსულა ბაზარში ნამზნევ ავეჯთან ერთად, რომ გაყიდულიყო ფარად თუ მარჩილად.

– და ეს თვალსაჩინო ნივთი უბრალო დუქანში...

– დაჟანგებულ რკინეულობით სავსე მაგიდაზედ ფარდულ ქვეშ. დავდიოდი, ვათვალიერებდი, ვსინჯავდი. ვნახოთ... რკინეულებაში დავინახე ბრინჯაო. ავღელდი, ძლივს შევიმაგრე თავი: მეშინოდა, მიმიხვდებოდა პატრონი. დავაფასებინე რაღაც ლამპარი. მოვრიგდი.

– ის რაღა სათამაშოა? აბა მომაწოდე!

გადმომაწოდა. ბრინჯაო ძველის ძველი! ფაშკუნჯი ჩამოსხმული... წარწერა...

– რა ღირს?

– ათი მილიონი.

– უჰ, მაგდენი ფული გამოუსადეგარ ნივთში?!

– შე დალოცვილო! რა არის ეხლა მილიონი? სახელიღა დარჩა, როგორც ვინმე ივანჩილას იოანეს უძახდნენ.

– კარგი სიტყვაა! მაინც?

– ნაკლებ არ შეიძლება!

– ხუთი იყოს.

– არ, იქნება.

– ჰა, ესეც ექვსი! უთხარი და გამოვბრუნდი. დამითმო შვიდად. გამოვარბეინე.

– მარდათ კი გამოიქცეოდი! ძლივსღა დავფანფალებთ.

– მაინც სწრაფად წამოველ. თუ შემესხა ფაშკუნჯის ფრთები.

დიდი არ იყო: სიგრძით მტკაველი, სიმაღლით ციდა. ტანი ლომისა. ყურნი ცქვეტილნი. ორბის ნისკარტი. თავზედ ქოჩორი, ჰოპოპის ჯიღა. ზეაშლილი ფრთები ტანზედა. ლომის ტოტები ბასრი ჭვანგებით. ბითუმი არ არის: მრთელი ტანი ფუღურო არის. ქოჩორო ასახდელი. მთლიანად არის ნივთი შენახული. ტანი აქვს ზოგან დაღრღნილი: მიწამ თუ ჭამა.

– მართლა და კარგი სათამაშოა! თუ შემხვედროდა, ვუყიდდი ჩემს შვილიშვილს.

– და ამ ნივთს ბალღებს ჩაუგდებდი ხელში?!

– მაშ მე რად მინდოდა?!

– გადმოაბრუნე. მუცელზედ დახედე!

– რაღაცა ხაზები მწკრივად, ზოგი...

– ვერ იცან?! ქალდური წარწერა!

– გაარჩიე?

– ვერა! კარგად ვერ ვიცი წაკითხვა და გადმოთარგმნა. ასოებს კი ვსცნობ; ლურსმულია.

– მეცა ვხედავ, რომ ლურსმულია. საქმე ის არის, წაიკითხო და ქართულადა სთქვა.

– შევისწავლი, შევძლებ წაკითხვას.

პეტრემ გაკვირვებით შეხედა ბერიკაცს. გაიფიქრა, ნეტა როდისღა უნდა მოასწროსო. აღარ უთხრა; დაეხათრა.

– უნდა შევისწავლო! კიდევ ბევრი მაქვს დასასწავლი, გამოსარკვევი. ჯერ მასალას რამოდენა დაკვირვება ეჭირება, ანუსხვა, გამორკვევა, რომ გაცოცხლდეს ყოველი ნივთი და თავის პირით უამბოს ყველას ის ცხოვრება, რომლის მოწამეც ყოფილა იგი, რომლის ნასახი აღბეჭდია მის სახეს თუ ტანს.

– რა უნდა უამბონ ამ აღარრად ღირებულმა ვითომ ნივთებმა?!

მართლა და რა უნდა ეთქვა ადამიანისათვის კბილებჩალეწილ, ჩაჟანგებულ, ჩახავსებულ რაღაცა ჩხნდესა: ფილთაქვები, ქვის ნაჯახები; ირმის თუ კაცის სახეები ძვლისა, ქვებისა, თითქო უსაქმო ბალღისაგან ნაჩორკნ-ნახაზი; ფერად-ფერადი ქვების მძივები; რაღაც ლითონის სამაჯურები, საყურეები თუ გულქანდები; ერთიორი ნივთი ვერცხლისა. შირმაიები ამოხაზულ რაღაც ხატებით. ვინ მოსთვლის?! ბალღობიდან ეგროვებინა; თაროები, განჯინები გამოეტენნა.

– რომ ვაგროვე აქამდისინ და ეხლაც ვეძებ, შესწავლაც უნდა, წესში მოყვანა, ანუსხვ-აღწერა. კარგა დიდი ტომი გამოვა. თუ დასურათდა ყოველივე და აიხატა, განძი იქნება მწიგნობრობისათვის.

– ბევრი დაგიჯდება მაგისთანა შრომის გამოცემა.

– ვიცი! სახლს დავაგირავებ, ზედ შევახმარებ. დეე, ჩემი ქონება შეიწიროს, ოღონდ დაიბეჭდოს. მე ვიცი, ჩემს ბალღებს დავუტოვებ მამულს!

– კაცო, ჩემო კარგო პავლე! მთელი სიცოცხლე შესწირე ამ ხარახურას მოპოებას; ახლა გინდა, სარჩოც გაიწყვიტო მაგის გულისათვის?!

– მრთელი სიცოცხლე?!

– ჰო! მე აგერ შვილისშვილებით სავსე ვარ, შენ კი ისევ ერთი ღერი კაცი ხარ უკვე განხმელი. გახსოვს ჩვენი ახალგაზრდობა?

ჰაი, ჰაი, ახსოვდა თავისი ახალგაზრდობა. რა ძლიერი ვაჟკაცი იყო! ორი არ სჯობდა ამხანაგებში. ქუდი სრულებით არ უნდოდა ჯალჯივით თმის პატრონს. გძლად დაყენებული ფაფარი მხრებამდინ სცემდა. გამბედავობის ნიშანიც იყო ეს, საბრძოლველად მთავრობის გამოწვევისა: არ მოსწონდათ უფლების მექონთ გრძელთმიანი მზეჭაბუკები და თმა-შეკრეჭილი ქალიშვილები, მხარდამხარ რომ მისდევდნენ ვაჟებს ბნელთან ბრძოლაში. პავლე...

სულითაც უტეხი იყო ხორცით ძლიერი, თავის მიზანს ჯიუტად სდევდა. იტანდა შრომას, გაჭირვება არრად მიაჩნდა. რამდენჯერ ჩასვეს. ციხის საკანი თავის ოდად ეჩვენებოდა. დიდ იმედებს იძლეოდა, მომავლის თაიგულად ისახებოდა. გულჩვილები ევლებოდნენ მებრძოლ ჭაბუკსა.

– გახსოვს, პავლე, მენანდრიანთ მელანია? რა კარგი იყო!

– მაშ ვეღა მახსოვს?! ჭაბუკობა მოკრძალებით თავს ევლებოდა. ბევრს მათგანს სჯობდა განათლებით, გამბედაობით.

– მახსოვს, მღეროდა.

– კარგი ხმა ჰქონდა.

– იშვიათად წაიმღერებდა.

– უხიაკი როდი ვისმე ეკარებოდა.

– ერთის გარდა, ჩემო პავლე, თუ გაიხსენებ.

– ჰო, მე დამიახლოვდა. ჯერ მეგობრობა, მერმე გრძნობა აღტყინებული. მომწონდა იგი. იცი, პეტრე, კიდეც მიყვარდა.

– ყველას გვეგონა, ჯვარს დაიწერდი.

– მეცა ვფიქრობდი, თუმც მაშინებდა ცოლ-შვილზედ ზრუნვა.

– მგლის შიშით ცხვარი... რაღამ დაგიშალა?! ქალი უწუნო. შენც...

– მომწონდა. რომ ვუახლოვდებოდი, მეტ სიმდიდრეს განვიცდიდი მის ბუნებისას. მაინც არ მოხდა: გათავთავდდნენ ჩვენი გზები, განშორდნენ ერთურთს.

– ნეტა სად არის?

– არ ვიცი! აგერ ოცდაათი წელიწადი იქმნება, აღარ შევხვედრივარ. აღარც მახსოვდა. სადა მცალიან! ხედავ, რამოდენა საქმე მელის: უსათუოდ უნდა გავიმრავლო არქეოლოგიური ნაშთები, ავსწერო, დავალაგო ისე, რომ თვითეული ჯგუფი ახასიათებდეს თავის ხანას. ეს ნაშთები აღადგენენ ძველისძველ წარსულს ჩვენის ერისა, გვიამბობენ მის ისტორიას.

– ღმერთმა რა უყოს იმას, ვინც შენ ეგ ხარახურა შეგაყვარა და ცხოვრება დაგაგმობინა.

– ღმერთმა აცხოვნოს ჩემი ოსტატი ევდემოზი! იმისთვის ამისთანა ნაშთები ცოცხლები იყვნენ, ტკბილმოუბარნი. შემასწავლა მეც მათი ენა. განა ყველას შეუძლიან, გააღვიძოს საგნისადმი სიყვარული თავის მოწაფეში.

– მაშ არ გერჩივნა, არ დაგეკარგა შენი მელანო? ეხლა სავსე იქმნებოდი შვილთა სიმრავლით.

– აი, მეგობარო, საყვარელი შვილები, შვილიშვილები!

– უჰასაკო ქვისა, რვალისა; დაბზარულნი, ჟანგიანები; ნატეხ-ნუტეხი.

– რა გელაპარაკო?! ამ საკითხში ვერასოდეს ვერ შევთანხმდებით. რაცა კაცსა ბედმან მისცეს...

– ოღონდაც!.. და იგი კაცი თვითონ ჰქმნის თვის ბედს.

– რა მაგ სიტყვის პასუხია, პეტრე, და ერთი-ორი დღე რომ მოიცალო, ეტლით გაგასეირნებდი ნადოკრალისკენ: დიდებული არქეოლოგიური საგანძური აღმოჩენილა იქ და მთავრობამ მე დამავალა, დავათვალიერო.

– სულ მოცლილი არა ვარ?! წამოვალ!

4

წავედით. ვიმგზავრეთ. ჩემს წაყოლას ხარჯი არ მოსდევდა ჩემის მხრივ: ეტლი სახელმწიფო, სახარჯო მთავრობისაგან. მაინც საშიში არ იყო პავლესაგან ხარჯის გაწევა: მარტოხელა კაცი უცოლშვილო. რად უნდა ან სახლ-კარი, ან ქონება, თუ თავის სიამოვნებისათვის არ დახარჯავდა?! კარგად ვიარეთ. ერთი იყო ძნელი: სულ ძველებზედ ლაპარაკობდა, დახავსებულ-დაჟანგებულზედ, გაბზარულ-გატეხილზედ. მოძველებული ჩემი თავიც მომძულებოდა, თითონ პავლეც კი. არცერთი ხავსმოკიდებული ლოდი, დაფუღუროებული ხე არ გაუშვა უყურადღებოდ. დუქანში რომ შევიფერხეთ დასასვენებლად, იქაც მონახა ბორჯღლიანი ნივთი რკინისა და შეიძინა.

– რად გინდა, კაცო?

– მაშხალაა ეს და რა მშვენიერი! მრთელი ოთხი ტოტი აქვს ჭრაქის დასადგმელი, შუაშიც მეხუთე. ხუთი ჭრაქი ერთ ღეროზედა!

– რაღა დროს ჭრაქია?! ნავთსაც აღარ ვკადრულობთ, ელექტრონი გვინათებს.

– მკვიდრად არის ნაკეთები. ძველისძველი ოჯახიდან იქნება გამოტანილი.

– მესმის, მოგწონდეს ძველი ღვინო ბევრ ხან დაზმული. ჟანგიანი რამ ნივთების ეგეთი ტრფობა...

– ეძებდე და ჰპოებდეო! რა მომაგონებდა, უბრალო მიკიტნის დუქანში ამისთანა ნივთს მოვხელავდი.

– ალბათ შენც შენებური ბედი აგყვა.

– კარგი ნიშანია, იმ აღმოჩენილ ძველ აკლდამაში თუ შენობაში ბევრს რასმე ვნახავ საგულისხმოს. დარწმუნებული ვარ ამაში.

ვიარეთ. შევედით ტყეში. ჩრდილი, სიმწვანე, სუნნელება, ხმიანობა ათასნაირი. ქალაქში მცხოვრები და, ისიც ანჩხატის უბანში, დანატრებული ვიყავ ბუნების კალთაზედ ყოფნას. მელხინა გულს, გითხრა მართალი. მოცეკვავე ნაკადული, ბუერები გარს მოდებული. სიყმაწვილე გამახსენდა მივიწყებული. ძლიერ მომინდა დიდი ფოთლით წყალის დალევა, სველ-სველი ფოთლის თავზედ დარქმა ქუდის მაგიერ, ეჰ მთლად მელოტ თავზედ, განა უწინდელ ხუჭუჭ თმიანზედ. მეგობარი როდი ჩამოხდა: ცელქი ნაკადი არ რას ეტყოდა, არც აყრილი ტყე დაფიქრებული. რა კარგები ხართ, აზიდულნო ცამდინ, წიფელნო! წვრილიანი. გავედით მინდვრად. თავთავ დახრილნი ხშირი ყანები. მწვანე სიმინდი, ბოსტან-ბაღები. რიყესავით ნესვ-საზამთრო, აყირო გოგრა. შვილთ საზრდოებად მოყვარული დედის კალთა ფართოდ გაშლილი.

– დედავ ძვირფასო, შემიერთე, შენთან მამყოფე!

– ერთი შეხედე, ჩემო პავლე, ბედნიერებას!

– ჰო, კარგი მოსავალი სჩანს: პური გაიაფდება ყანთარზედ. ეჰ, მე მაინც მყოფნის თუნდ სიძვირეში. რა ბევრი მინდა: ერთი კაცი ვარ.

5

მივედით. ხევი იყო ღრმა. წყალი ცოტა დიოდა შიგა. ვეება რიყე. დიდად მოვარდნა თუ იცოდა ნიაღვრების ჟამს. ხევის მარცხნივ ტყე. ქვითკირების ნანგრევები შიგადაშიგა. ამ ნაოხრების დასწვრივ იყო სასინჯი ადგილი.

მოვარდნილიყო ხევი, ძირი გამოეთხარა ფლატესათვის. ხევის პირი მოხლეჩილიყო, პირი ეჩინა ძველ რამ კედელს თაღით გარდართხმულს. კედლის ნანგრევებთან ერთად გადმოშლილიყო მრავალი ძველი ნივთი. ყარაული ედგა. რამდენიმე მუშა გვიცდიდა.

– საღირალი არაფერია, ბატონო: რკინეული ჩამოდის ჩაჟანგებული, ფერადი ქვის მძივები, რაღაც ტიკინები ქვისა თუ თითბრისა. ვერცხლი ან ოქრო სრულებით არ მოჩანს.

– მეხრეებს ენახათ პირველად. ამბობენ, ვერცხლის ფული იყოვო ჩაპნეული.

მოუტანეს აკრეფილი ნივთები, უჩვენეს. პავლემ დიდი ყურადღება მიაქცია. ქვისა თუ ლითონის ტიკინებს.

– ნახე! პაწაწა კერპებია ეს ჯიბით სატარებელი ან ყელზედ დასაკიდი. ხედავ ზონარის გასაყრელ ყუნწს? ძველისძველი სასაფლავო თუ არის. ალბათ რომ მარხავდნენ, ღმერთებს ატანდნენ თან, ჯიბით სატარებელ თუ ყელზედ საკიდ ღმერთებს.

– ღმერთი ჯიბეში?!

– ჰო! როგორც ხატი ან ჯვარი ყელზედ, უბეში. ეხლაც ხომ ვიტყვით: ღმერთი არა გაქვს? ალბად ჯიბეში.

– მაშ ამეებს თაყვანსა სცემდნენ?!

– დიდებულია! შევძლებთ, თანისთან შევახვავოთ კერპთა სიმრავლე და აღვადგინოთ ზედმიწევნით სჯული ქართველთა.

– ბიჭებო!

– რას გვიბრძანებ, ბატონო?

– მოუარეთ ზევიდან და მოთხარეთ, გადმოამზღვრიეთ ბექობი. ფრთხილად კი: არვინ გადმოჰყვეს.

მოთხარეს, ჩამოანგრიეს. იპოვა ზოგიერთი რამ ქვისა თუ რვალისა.

– იცი, პეტრე, დიდებული განძია აქ დაცული. ბევრ ბნელ ადგილს გაანათებს ჩვენის ძველისძველ ცხოვრებისა. ვრცელი მოხსენება დამჭირდება მივართო მთავრობას ამის შესახებ.

– ხელობა შენია და რა დაგიშლის!..

ამ თხრაში და მიწის ქექაში მზე გადასცდა საშუადღეოს. დაეშვა თავქვე. ვისაუზმეთ. მომეწყინა სასაფლაოს ჩიჩქნა და პავლეს აღტაცება ნაპოვნ ნივთებით. მთქნარებას დავიწყებდი, თუ მოსულ მეტყევეს არ მიექცია ჩვენი ყურადღება.

– აქ არაფერია, ბატონო: ქვა და რკინა გამოდის უბრალო. თქვენ უნდა ჰნახოთ სანახავი გამოქვაბულში, რომ გაშტერდეთ.

– რა სანახავი, კაცო?

– აბა სად?

– წამობრძანდით!

წაგვიყვანა. გავყევით ხევს, ავედით მაღლა. ფრიალოში გამოქვაბული. მზე მისდგომოდა, ღრმად შეენათებინა გვირაბი. რაღაც ნივთებზედ კრთებოდა სხივი, ლაპლაპებდა. აღელდა პავლე. მოუმარჯვა ჭოგრითი. ვერაფერი გაარჩია ხეირიანად. გადირია კაცი.

– აი საუნჯე! მრთელი ზინეთი მეცნიერებისათვის!

– ოქრო არის?

– შესაძლოა, ოქროსიც იყოს ან ვერცხლისა.

– რა უნდა იყოს ოქროსი?

– რა ვიცი?! საკვირველი ჰაზრი მომდის: იქნებ წავაწყდით უწინდელ საყუდარს კერპებისა. ქრისტიანობის შემოტანის შემდეგ წყალწმიდათ განქრენ ჩვენი კერპები. იქნებ დევნის დროს აქაც დამალეს, ამ მღვიმეშია. ბედნიერ ფეხზედ წამოვედით. დიდებული შედეგი ექმნება ამ ძიებას.

– შესაძლოა! მაგრამ სადილი... რათა ხანია, დრო გადავიდა.

– შენ მაინც მუცელს ჩასტირი...

წამოვედით. დაღლილი მოვსდევდი, დაღონებული. მუშებს მოსწყენოდათ თხრა, დაეყარნათ იარაღი. უცხო კაცი დაგვხვდა, მოპატიჟე ყოფილიყო: იქვე მახლობლად დედათა მონასტერი იყო ქეთევან წმიდანის სახელობაზედ და სადილად ეპატიჟებოდნენ არქეოლოგს. გავყევით. ჩავივაკეთ. ჩავსხედით.

6

გზა ხევს ჩასდევდა, შიგადაშიგ ნაკადსა სჭრიდა. უეცარი მოსახვევი და... გადიშალა ფართო ტაფობი, პატარა ვაკე მთლად დამუშავებული: ბოსტანი, ბაღი, ვენახი, სიმინდი. ნაკადი ურბენდა მამულს ყოველ მხრივ. ალაღებული მცენარე ნაყოფით დატვირთული. ტაფობის მარჯვნივ მცირე კვერნაკი; ზედ მონასტერი გალავანით გარს მოვლებული.

გამოეგებნენ განთქმულ მეცნიერს.

– წინამძღვარი დედა თემისტო!

ხანგარდასრული დედაკაცი მზვერავ თვალებიანი. შეგვიწვიეს. საუბარი ახლად აღმოჩენილ ნანგრევებს ევლებოდა, იქ ნაპოვნ ნივთებს.

– და საზოგადოდ საქართველო მთლიანი არქეოლოგიური მუზეუმი გახლავთ. არ მეგულება სხვა მხარე, სადაც ამოდენა სიძველე მოიპოვებოდეს მიწისპირად თუ ნიადაგში.

– დიდი ხანი რომ უცხოვრნია ჩვენს ხალხს, თავისი ყოფის კვალიც უხვად დაუტოვებია.

არ მომწონდა პატივცემულთ საუბარი მეტად ცალმხრივი: მათთვის რომ დაგეჯერებინათ, ამ ქვეყანაში ყოველი კარგი მხოლოდ ძველისძველი მოინახებოდა, უკვე გარდასული. რათაო?! ბევრი იყო იმედიანი ახალნერგი, ნორჩი, ხასხასი; ღირსი მეტის ყურადღებისა. არ ჩავები საუბარში თუ კამათშია: ვნატრობდი მალე გაეთავებინათ მსჯელობა, მუცელი თავში მცემდა.

– მზათ გახლავსთ, ბატონო, ტრაპეზი! – მოახსენა მოლოზანმა წინამძღვარს.

– როგორ ინებებთ, ბატონო პავლე: ცალკე მიირთმევთ სადილს, თუ საერთო სუფრაზედ? დედათ მეტადა ჰსურთ თქვენი ნახვა, სმენა თქვენის ჭკვიანის სიტყვის.

– როგორც ინებებთ, ჩემო ბატონო! – წარმოსთქვა პავლემ

და შეეტყო, ძლიერ უამა თქმა: წვერზედ ხელი ჩამოისვა, ულვაშები შეილამაზა; სარკისაკენაც მიიხედა უნებლიეთ. ადგებოდა, ჩაიხედავდა, თუ არ შეჰხათრებოდა.

კარგი სადილი: მაძღრისი, ნოყიერი. ათამდისინ მოლოზანი სადილად ჩვენთან. ერთი-ორი ჯერ შუახნისაც არ იყო. გამთქვინებულიყვნენ. ვიხმიეთ მცირედ ღვინოც: კარგიაო სტომაქისათვის. ეშხზედ მოვედით. თითქმის შევჟინჟღილდით. ჩემ წინ რომ მკერდაფუებული ქალი იჯდა, კინაღამ თვალი მომტაცა. ცოდვა იყო მისი მონასტერში ჩამწყვდევა: საშენად იყო გაჩენილი ბუნებისაგან. ესეთი თუ ამსახის ფიქრები მომდიოდა წმინდა ადგილას. შევუტიე ჩემს თავს, ჩავაყენე სათანადო სადინელში. სხვებიც შეარხია ღვინის ცვარმა, სუნნელოვან სათქმელებისკენ

მიჰმართა ჰაზრი. მოიგონეს წარსულნი ჟამნი, იგი წუთები, როს მათთვისაც ტკბილად ჟღერდა წუთის სოფლის ამაოება.

პავლეს პირდაპირ იჯდა მოხუცი მონაზონი, დედა მავრაი. თავიდანვე მის სახეს, მის ქცევას განსაკუთრებული იერი ასდევდა: დაშტერებით დაჰყურებდა მოხუც არხეოლოგს, მიმჭკნარ სახეზედ რაიმ ღელვა ეხატებოდა. პავლემ ვერ შენიშნა ეს: ყველა რომ მას მოსჩერებოდა, მის ყურადღება იშლებოდა შტოებად და წვრიმანდებოდა, იფანტებოდა. რამდენჯერმე სცადა დედაბერმა თავისზედ მიექცია მეცნიერის ყურადღება. ამაოდ: ზრდილი კაცი იმასაც იმდენსავე ყურადღებას აქცევდა, როგორც სხვებს. ერთხელ-ორჯერ შავ თავსაფარის გახსნაც მოახერხა, გადაფრიალება, რომ მთელი სახე ეჩინა, მაგრამ პავლეს თვალმა ზერელად გადირბინა ნაჩენ სახეზედ, ოდნავ შეჩერდა გამხმარ ყვრიმალზედ და გასცდა ცივად. როცა წარსულ დროთა მოგონებამ დასჭარბა საუბარში და ყველამ სთქვა თვისი სანუკვი მოგონება, დედა მავრამაც გაბედა სიტყვა:

– მეც ოდესმე მიღიმოდა წუთის ცხოვრება, კიდეც ვყვებოდი მცირეხნობით მე მისსა ტალღებს; მაგრამ ვერ ვნახე მე სიკეთე მუხთალ სოფელში და დალახვრული შევეფარე წმინდა სავანეს: მენანდრიათ მელანია გარდაიცვალა, აწ ცხოვრობს მხოლოდ საბრალო მავრა.

სახელის ხსენებაზედ პავლეს განკრთომა აესახა თვალებში და დააშტერდა დედაბერს. მავრამ თვალი გაუსწორა მას. მეხსიერებამ მოხუც სწავლულს გვერდს დაუყენა მელანია ახლად ფურჩქვნილი, მელანია სიცოცხლით სავსე, აწ უკვე მავრა ნაშთად ნაქცევი.

– მენანდრიათ მელანია შენ?!

– დიაღ, ბატონო!

– ვეღარ გიცანით: მთლად გამოცვლილხართ.

– ვინ ვერ შესცვალოს დროთა სრბოლამ დაუნდობელმა?! ვერც მე გიცნობდით, თუ შემთხვევით შეგხვედრიყავით.

მთლად გამოიცვალა პავლე: ჩაუქრა თვალები, უფრო შეიჭმუხნა ანაოჭებული შუბლი. ჩაიფუფქა ადგილობრივ. დაავიწყდა ლუკმის გადანთქმა: პირში თუ გაუმწარდა ტკბილი სანოვაგე.

– მელანო, ჩემი ზამბახი მელანია! ჩამქრალან თვალნი ცეცხლის მფრქვეველნი; ყვავილის ბაგე ჩახავსებულ ფოსოდ ქცეული; დაუქსელავს ტურფა სახე უამრავ ნაოჭს, – ფიქრობდა კაცი დაჟინებით

და ვეღარ უგდებდა საუბარს ყურს, ვერ იძლევოდა შესაფერ პასუხს. გააპარებდა თვალს მელანოსკენ.

– როგორ მიყვარდა მისი მაჯა ნაქანდაკები! შირმაიის ხელები მისი. მომინდებოდა მათი კოცნა, მათი ალერსი. სადღა არიან?! მხოლოდ ნასახნი ჟანგისაგან შეჭმულ-შეღრღნილნი. ხმაც კარგი ჰქონდა.

– თქვენ, მელანო...

– უკვე მავრაი, ბატონო პავლე!

– უკაცრავად!.. ნაზი ხმა გქონდათ, ტკბილი იყო თქვენი სიმღერა.

– დედა მავრა ლოტბარი გახლავთ მგალობელთ დასის. საღამოს ლოცვაზედ შესაძლებელი შეიქმნებოდა გალობის მოსმენა.

– არა, მალე უნდა გიახლოთ.

– სძლის პირი რაიმ წარსთქვი, გენაცვალე! – შესთხოვა წინამძღვარმა.

დედაბერი შეყოყმანდა, მაგრამ არ შეიძლებოდა, არ აესრულებინა უფროსის ბრძანება. გაიმართა წელში. მოიღერა ყელი. დაიწყო. დაჰჟღლოდა ხმა. ნელის

ღიღინით აეტოლნენ მეინახენი. ხმის აწევისას თავს მაღლა სწევდა. ეჭიმებოდა გამომხმარი ყელის ძარღვები.

– საცოდავი ჩემი მელანო! გაუტაცნია მკაცრ ბუნებას მისი საუნჯე, მთლად გაუძარცავს...

წამოვედით. მლოცავ დედებმა პატივი სცეს განთქმულ მეცნიერს: რომ ჩავსხედით, ხილით სავსე კალათა მოგვაწოდეს. სცადეს წინ სკამზე გაემაგრებინათ, მაგრამ იქ მაშხალა იყო ჩაკრული.

– ახსენ მაშხალა, ფერხთ ქვეშ დაიდე! – უბრძანა პავლემ მეეტლეს.

– არ შეიძლება ბატონო: ჩექმებს დამიჩქლეთს, რაღაც რკინაა.

პავლემ ბოროტი თვალით შეხედა არქეოლოგიურ ნაშთს და მჭახეთ ბრძანა:

– გადააგდეთ! დადგით კალათა!

– ეჰ, ისევ მოიბრუნებს მეგობარი გულს ძველმანებისკენ: სხვა გზა აღარ აქვს, – გავიფიქრე.

1923 წ.

კვირაძლის სიზმარი

ახოს ნაკალმახევიო,
ცოლ-შვილ ნაღალატევიო...

– ქალაქს უნდა წახვიდე!.

– რა გაჭირებაა? მინდოდა დამესვენა შეღავათიან დღეებში.

– მოესწრობი! ხუთშაბათს ამოჰბრუნდები; კიდევ კვირანახევარი გექნება და... იძინე.

– ხუთშაბათს?!

– დაიკვეთე ადგილი ეტლში. დილაზედ წახვალ.

– ესე ანაზდად?!

– ხვალ საღამოზედ ქალაქში იქნები. სადგურშივე აიღე წამოსვლის ბარათი. სამშაბათი და ოთხშაბათი გექნება ხელთ; ქვეყნის საქმეს გააკეთებს ადამიანი ორ დღეში.

– ზუზვივ მაძლევ დროს; შინ მოფიქრებული საქმე გარ...

– გარეთაც გამოდგება, თუ საფერი ამსრულებელი შეჰხვდა. ბალღებსა ჰნახავ, სავაჭროს იყიდი და დაბრუნდები.

– რომ ვიფრინო, მაინც ვერ მოვასწრობ ორ დღ...

– იფრინო! შენ რომ შნო გაქვს...

– მით უფრო.

– კარგი, პარასკევს დაბრუნდი. აი სია აუცილებელი სავაჭროსი; წვრიმანს ისე დაიხსომებ, შენ თითონაც მოიგონებ, რაც საჭიროა.

– რამ სიგძეა! სამი დღე! საკუთრად ჩემთვის არც ერთი წუთი. აბანოში ქისის გასმა, სალხინოში ერთი ვახშამი – მხოლოდ ოცნება, ნატვრა უწთომი, – ფიქრობდა დაღონებული.

– ბალღები რომ ჰნახო, გამოჰკითხე, ხომ არა უჭირთ რა; გასინჯე, როგორ სწავლობენ.

დაეზარა. გაურბინა უარის ჰაზრმა; იქვე ჩაუქრა: ნუ გასწევ, რკინის ტაბიკებით უღელში ჩაკრულო! შეატყო ქმარს შემძიმება, გაუღიმა, ლოყა მიუბყრო. შეიბერტყა ყარამან; ნებისყოფა წამოუდუღდა; აღუთქვა ყოველივე.

* * *

– როცა ოჯახს შეეხება საქმე, მის გამოჩენას, მკაცრია ჩემი სალბიხურუმი და ულმობელი; კერის მცველად არის ბუნებისაგან დაბადებული და ვერვის შეუნდობს სახლის ღალატს, თუნდაც ნასახს გარეწრობისა. არც გამოეპარება მას ესეთი მიმოხვრა, მოძრაობა თუნდ მხოლოდ ჰაზრის: უტყუარი ალღო ეტყვის და წამს აიქოჩრება, სამართებლის ფხას აისხამს ისეც ლესილი. უტეხი ჰაზრი მის მოქმედების: ყოველი კაი ოჯახისათვის და ყოველთვისინ! რა გული გაუძლებდა, აღვსების დღესასწაულისთვის არ აევსო თავისი სახლი სანოვაგით, სანუკვარით, კმაყოფილებით; არ მოერთო სახლის წევრნი ყვავილებივით; არ დაჰხვედროდა თავმომწონედ თავის ნათესავთ თუ მახლობელთა; ამგვარ სურვილთა საკმაყოფილოდ მწირი იყო მათ საცხოვრებელი დაბა; უფრო შორად სჭირდებოდა დოვლათიანს ხელის გაწვდა, დიდ ქალაქისკენ. ყარამანიანთ ხომ ბალღებიცა ჰყვანდათ ქალაქში; მათი წაყვანა ზაფხულამდინ არ ივარგებდა და მიხედვა უნდოდა;

გულშემატკივარი თვალი თუ ხელი. ისე აუცილებელი იყო წასვლა, როგორც ბედის განკარგულება.

დაიძრა ვაჟკაცი. აღარც თუ ისე წელი სწყდებოდა: ალერსი მიხვდა ცოლის დამჯეროს, მისი ძალა გაჰყვა მანძილზედ და როცა გზაზედ მიმქრალდა ძალა, გადახადა კალათას თავი, ქინთს მოხსნა პირი.

– შენ არ იცი, ქინთი რა არის?!. მაშ რაღა იცი, საქმე ქინთია!

გადმოლაგდა ნაირ-ნაირი. შეექცეოდა. კუჭს აამებდა, დროს ატარებდა, სისხლს აჩქროლებდა, ტვინს ახურებდა. მაშ რა უნდა ექმნა? კუნძი ხომ არ იყო, ეტლში უსაქმოდ დებულიყო.

– მიირთვი, ყმაწვილო!

– გმადლობთ, მშვენიერია! აბა ჩემი ღვინოცა ნახეთ.

– დანა გახლავსთ?

– გვიბოძეთ, ავთალო!

ტიკჭორა იფუკებოდა, გზა ილეოდა... ეტლის რახრახი; ხალხთ ტალღად დენა; ხმათა სიმრავლე; ზახილ-გუგუნი.

– მივსულვართ, კაცო!

– სწრაფად გვივლია.

* * *

– ხურჯინი, ბოხჩა, კალათები, გვაბანაკი. ვგონებ, აღარა დარჩა რა. არგანი, არგანი! ჰო, ეს ეტლი! უთრუთის სასტუმროში!

მიჩახჩახდა. ავიდა.

– გამარჯვება, უთრუთ ჩემო, ოთახი ხომ გაქვს თავისუფალი?

– ბატონს ყარამანს გაუმარჯოს! გახლავსთ: თქვენთვის ყოველთვის მზად არის ბინა.

– გმადლობ! ბიჭი...

– ამ წუთს!

დაბინავდა, დაალაგა, გაიძრო სამგზავრო ტანისამოსი, დაიმკლავა. მოსწია პირსაბანის ონკანი. მუჭა რომ მიუშვირა წყალს, თითზედ წითელი ძაფი შენიშნა. ნეკზედ იკბინა:

– აკი დამვიწყებია! სალბიხურუმმა შემაბა, არ დაგცილდეს, ჩასვლისთანავე დაიკვეთე წამოსასვლელად ადგილიო. დილაზედ გავივლი და ავიღებ ბარათს.

დარბოდა ყარამან მეორე დღეს სიით ხელში; იქ იმას ყიდულობდა, აქ – ამას. რამდენჯერმე აივსო იღლია და ბინაზედ დაბრუნება დასჭირდა ნავაჭრის მისატანად. მთელი ბაზარი შეალაწლაწა. იმდენიც ვერ მოიცალა, გუნებიერად ეჭამა სადილი. რა ადვილია საკეთის ნუსხვა და რა ძნელია მის შესრულება! ისე შემოაღამდა, დავალებულის მცირე ნაწილიც ძლივს გააკეთა. ღამე ხომ ვეღარ ივაჭრებდა და გასწია გასართობად, დროს სატარებლად. შუაღამე გადასული იყო, როცა დაბრუნდა.

– საკვირველად მალე გადის დრო დიდ ქალაქში! რა უშავს: კიდევ ორი დღე მაქვს ხელთ.

ათი საათი გამხდარიყო, რომ გაეღვიძა. შაფიშუფი, სწრაფვა თუ სრბოლა. არ უსადილნია, ფეხზედ შენაყრდა. ნავაჭრს გადახედა საღამოზედ. ჯერ სად იყო?! უფრო წვრიმანი შეეძინა, თვალსაჩინო და საჭირო ასცდენოდა.

– სულ იმას მავედრებდა, ჯერ აუცილებელი აასრულეო. ეჰ, შინ დაბარებული საქ... ახლა ეს ფული... რამ შემოფანტა?! იქნებ ნაკლები წამოვიღე. კარგია, ბალღები ვნახე. ხვალაც უნდა ვნახო: წერილებს გამატანენ.

ჩაღამდა ხუთშაბათი. ვერ შეასრულა დანაბარები. რაც მოხდა, მოხდა. დრო იყო ჩაბარგებისა. გაუსწორდა. ეტლი დაიკვეთა სადგურზედ წასასვლელად. მივიდა. მზად იყო სამგზავრო ეტლი.

– ჩააწყე! აჰა ადგილის ფული.

– არ გახლავთ, ბატონო, თავისუფალი ადგილი.

– როგორ?! უსათუოდ უნდა წავიდე!

– შეუძლებელია!

– არც კოფოზედ?

– ორ-ორნი სხედან. ბარგი დატოვეთ. ინებეთ ბარათი ხვალისათვის: ერთიღა დარჩა.

ადრე მივიდა ყარამან, დაიჭირა ეტლში ადგილი. დაღვრემილი იჯდა თავის კუთხეში, არავითარ ყურადღებას არვის აქცევდა: საკუთარი საფიქრებელიც ბევრი გასჩენოდა: მოქუშული ცა იცრემლებოდა. მეეტლეები იზლაზნებოდნენ; ბუზღუნებდნენ: ბედნიერ დღეს ოჯახში ვერ ვატარებთო. ის იყო, უნდა დაძრულიყო ეტლი, რომ მოგრიალდა მგზავრი. ყუთები, ბოხჩები, შეკრულები. ძლივს მოათავსეს ახალი ხაბაგი და მისი პატრონი. ყარამანს გვერდს მოუჯდა თავშალიანი.

– ყმაწვილო ყარამან? – სთქვა ქალმა და გადიხადა თავსაფარი. მრგვალი სახე გამთქვინებული. თოთოშა ტანი ნაპატივები.

– ქალბატონო ხვარამან?! მანდილხურული ვეღარ გიცანი, – მიუგო ვაჟკაცმა და მიიწია, მიიჭეჭყა ეტლის კუთხეში.

– ვეღარ მიცანი?! მაშინვე გიცან, თვალი რომ დაგკარ.

– რათახანია, აღარ შევხვედრივართ ერთმანეთს.

დიდი ხანი იყო: თხუთმეტ წელს გაევლო. იყო ისეთი დრო, როდესაც ეგონათ, არ დავშორდებითო ერთმანეთს: ქალს რომ მოსწონდა ვაჟი, იგიც გულგრილად არ იყო მასზედ. კამარას უკეთებდა, შორიახლო სალამს უძღვნიდა ალერსიანსა. კიდეც აგრძნობინა, უკვე აგირჩიეო თანამეცხედრედ. მოელოდდა ქალი გადამწყვეტ წუთს, როცა აცნობეს: ყარამანმა ჯვარი დაიწერა სალბიხურუმზედაო. იწყინა ქალმა, გამწარ-გაცხარდა, შეუთვალა სიტყვა წვერმახვი; მაგრამ... მალე მიუგო ნიშნი: უკეთესზედ გათხოვდა, გული იოხა.

– არც ისეთი რაინდი ხარ, თავი შეგწირო, სიცოცხლე შემოვავლო შენს აჩრდილსაო.

ყარამანი... უკვირდა მასაც თვის საქციელი, თუ დაფიქრდებოდა, ხვარამანი მოსწონდა, სხვა წამოიყვანა. უეცრად მოუხდა. რაღა დროს ამაზედ ფიქრი იყო?! მაინც ადარებდა ერთმანეთს ამ ორს.

– სალბიხურუმ... ერთობ ძვალსხვილი დადგა, რომ გამოშრა თუ გამოხმა, უფრო ჩამუქდა, თითქმის ჩაშავდა. რამ სიმაღლეა! წელში იხრება. ეს... მაშინვე კუპატივით ჩაკვრივებული, ეხლა მეტად გასუქებულა, თეთრი ცომივით გაფუებულა.

– უჰ, ყმაწვილო, მეტად დავიღალე! დროზედ მაინც მივიდეთ. ცხენები ალბათ დღესაც მელიან. გუშინ ავცდი ეტლს.

– მეც ეგრე დამემართა: ადგილი ვეღარ ვიშოვნე გუშინ.

შეწყვეტილი საუბარი; ჯაყჯაყი; რყევა; მუხლებზედ შლილი სანოვაგე სანაყრებელი.

– მიირთვი, ყმაწვილო!

– გმადლობთ!

– გზა დავილოცოთ.

– ვისურვოთ მისვლა დაუბრკოლებლივ.

– ამინი იყოს!

– მეეტლეებსაც მიაწოდეთ, ეგებ გუნებაზედ მოვიდნენ.

– მიჩოჩავენ. აგერ ორი საათია და ჯერ აღმართსაც არ შევდგომივართ.

– მივალთ! სად წავა?!

ისევ სიჩუმე, ჯანჯღარი, რწევა; ძილი უძილო.

– რა ამბავია, რად შედგა ეტლი?

გადახდნენ. ბოგირი ჩატეხილიყო. ცხენს ფეხი ჩაჰქლეშოდა. ამოათრიეს. სისხლი სდიოდა. შეუხვიეს. გამოშვება. დატოვება არ შეიძლებოდა: მგელი შესჭამდა ბიამან ტყეში! იდინეს აკოჭლებულის კვალზედ. თანდათან გაძნელდა სვლა. აიმღვრნენ მეეტლეები. დაღამდა. ჩამობნელდა. ჩამოწვა ჩამძიმებული ღრუბელი. ძილმა შეიბყრო სასომიხდილნი. ქალმა ამოიღო ბალიში, შალი.

– აღარ შემიძლია! თავს მივდევ მცირედ.

ჩაჭედა სასთუმალი ყარამანისა და ეტლის კედელშუა, მიწვა უხერხულად. ეტლი ოდნავღა მიინჯღრეოდა. წინა ეტლის ხმა აღარ ისმოდა. ყარამანი ძილ-ღვიძილში იყო, მთლად დაიძინებდა, თუ დარდი არა ჰქონოდა: დიასახლისის შიში იტანდა. რას ეტყოდა გააფთრებულსა?! არრა ეთქმოდა; მისი სიჩუმე კი უფრო გააცეცხლებდა ისეც მძვინვარეს. ჩაჭედილი ბალიში თანდათან ძირს იწევდა. ოდნავ მიბრუნდა მძინარისაკენ, მიეკრა ეტლის კუთხეს. ბალიშმა ალმაცრივ დაიწია და მუხლზედ დაენდო ყარამანს. ქალმა იგრძნო მცირე თავისუფლება და გასწორდა. ბალიში მეორე მუხლისკენ იწვევდა მძინარეს, ალღო უკარნახებდა უფრო მოთავსებულად გაშლილიყო. ბალიში ეხლა ვაჟკაცის მუხლებზედ იდვა და ქალი ოდნავ პირშებრუნებული მის კალთაზედ განისვენებდა. სივიწროვის გამო კაცის მარცხენა ქალის მკერდს დაჰნდობოდა. გამთქვინებული სხეულის რხევა უშუალოდ უერთდება ვაჟკაცის ტანსა, მზრზნელ ნაკადად დარბის, დაჰქრის იმის ძარღვებში. მათრობელ ძალთ მდინარება ნატვრის არეში აცურვებდა მიბურდოებულს და...

აღარ ჩქარობდა, ენანებოდა ჟამთ მოძრაობა; უფრო ერჩივნა შეტბორება მსრბოლავ წუთების, თუნდ შეყენება.

თბილ-ტკბილ სუნნელებას ფშოდა გაღვიებული სხეული. გულისპირის ღილები თავისთავად ჩახსნილიყვნენ. ვაჟკაცის თათი ნებინებად იკუმშებოდა ბორცვთა საწურვად. ტკბილ თვლემისაგან მძიმებული მისი სახე ძირს იხრებოდა, ქალის სახეს უახლოვდებოდა.

გაისმა ბნელ სიჩუმეში შორეული ზარის ზრიალი...

– ქრისტე აღსდგა! – შემოესმა ძირიდან ნელა.

– ჭეშმარიტად! – დაეფინა ზევიდგან ბგერა და შეეწება ბაგე ბაგეს.

– ჩემო კერის ანგელოზო! კვირაძლის სიზმრად გარდამიქმენ მე განცდა ძნელი!

ალბად უსმინა სულმა კეთილმა!

1924 წ.

სულთა კავშირი

სად არის, სიკვდილო, საწერტელი შენი?

1

– ძალიან დაიგვიანა: შაბათს უნდა მოსულიყო, დღესაც არსადა სჩანს. საწყინარს მეუბნება. ბოროტი ხომ არ შეემთხვა სახლიდან გასულს? ღმერთო, დაგვიხსენ! – გაიფიქრა გულნაზმა

და გადაჰხედა თავის ბალღებსა. უფროსი ქალ-ვაჟი ლეღვის ჩრდილს შეჰფარებოდნენ. ერთს გადაშლილი წიგნი ედვა, ჩაჰკვირვებოდა; მეორეს ყალამი ეჭირა და ხანა ჰხატავდა, ხან ტოტს შეჰმზერდა; თან თმას იშორებდა თვალებიდან, გიჟმაჟ კულულებს, ბუნჯგალ-ბუნჯგალ რომ ხუჭუჭობდნენ, არ ჰმორჩილებდნენ არც გადასმულ ხელს, არც ძვლის სავარცხელს, ოდრიკლად რომ მოსდებოდა გრუზა ქოჩორსა.

– მე მამზგავსებენ ჩემს სუმბულასა, ვისაც წინად ვუნახივარ, ან ვინცა ხედავს მაშინდელ სურათს. თმა კი უგავს ჩემს დალალებსა, ხელოვნური ხუჭუჭება რომ არ სჭირდებათ. როგორ უყვარს ოთარს ჩემი თმა! ჰსუნავს, ჰკოცნის, ეალერსება. თავს ვიხურავდი, თმა კავებად უნდა შემეჭრა; ენანებოდა, თითქო ნაწნავთ სული ედგათ, ატირდებოდნენ, – სთქვა ქალმა

და გადაჰხედა თავის სხვა ბალღებს. პატარა ქალი ძიძას ჰყვანდა გალავანთან, დიდ თუთის ქვეშა; ვაჟი გადამჯდარიყო ჯოხის ცხენზედ აღჭურვილი შვილდ-ისრით, ხმლითა და გაჰყურებდა გზას მზირის თვალით: მგებრად გაქანდებოდა მამისაკენ, რა წამს დაინახავდა მომავალს, შორიდანვე შესტყორცნიდა მფრინავ ისარსა. თავის მამის წასვლისთანავე სახლს მცველად დასდგომოდა ის და მას დარდი არ უნდა ჰქონიყო ოჯახისა, რაკი ამისთანა სანდო გუშაგი დაეტოვებინა შინ.

– ჩემი ყაფო! ძალიან ეტრფის იარაღს, დანა საუკეთესო სათამაშოდ მიაჩნია; ალბათ სამხედრო ვაჟკაცი გაგვეზრდება. უფროსი კი... მამის კვალზედ თუ წავა იგი: წყნარი ბიჭია, საქმის ერთგული, მეტადრე წიგნის.

ისევ დააკვირდა ხელსაქმეს. თან ფიქრს ასდევდა, ზრუნვით სავსე ლამაზ ოცნებებს. მის ცნობიერების არეში ნოყიერი სურათები ენაცვლებოდნენ ერთი-მეორეს; შუშა თითები რომ მარჯვედ აცურებდნენ ნემსს საკერავში, ფიქრთა დასები გაართობდნენ მის გონების თვალს, მომავალ ყოფის ამსახველი სურათები იმედიანი. გადადო ფარჩა, წამოდგა, გასძახა გამდელს:

– ნენე, გენაცვა, ყური უგდე, ფოთოლი რამ არ ჩაიდვას ბალღმა პირშია!

და დაუპირდაპირდა სამზარეულოს.

– შაქრო, ღვეზელი არ აილანძოს: ცეცხლი ცხელი სჩანს.

– კვარივით შეშაა ეს დალოცვილი, აპრიალებულა, – წარმოსთქვა მსახურმა.

მიჰხედა ნამცხვარს: გაუნელა, შეატრიალა.

– დღეს უთუოდ მოვა ბატონი. მეტი საქმე თუ დაჰხვდა იქ; დააგვიანეს.

– ეგრე მგონია. კარგი სადილი დავახვედროთ: ბევრი ხანია, შინ არ არის; გაწვალდებოდა.

– მის საყვარელ სადილს ვამზადებ, ქალბატონო!

დიასახლისი აპირებდა მაღლავე ასვლას, რომ გაეხედნა ქმრის გზისათვისა; აღარ დასჭირდა: თუ შენიშნა მხედარმა მამა; დასჭყივლა მერანს და გაექანა.

გადმოხდა ოთარ, მიეალერსა: მეტად შეაქო ვაჟკაცობა თავის ვაჟისა, ბეჯითობა უფროსებისა, აჩქარებით რომ უჩვენეს ნამუშევარი. აიყვანა ხელში პატარა, მაგრამ იმან იუცხოვა, მორთო ტირილი; ვერ თუ იცნო თავის მამა სხვა ტალავარში. ჩოხა-ახალუხი, ქულაჯა, ტყავის ქუდი ბეწვდაშვებული, შალის შარვალი მაღალ წაღებში, შევერცხლილი ქამარ-ხანჯალი; მხარ-იღლივ ღვედზედ წნული მათრახი მავთულჩართული. მეცხვარე იყო გაკეთებულ ოჯახის მქონი! გარეგნობას დაეფარნა ევროპულად გაწვრთნილი კაცი სამსახურში გამოწრთობილი. ბინებზედ ყოფნას და მწყემსებთან ერთად ცხოვრებას შეეცვალნა ელფერი მისთვის: შელოხილი ტანთსაცმელი, ჭენჭიანი სახე ქონნაცხი; მიხვრა-მოხვრა უკვე უბირი.

სანამ ის ბალღებს უალერსებდა, დიასახლისმა გადიარა ეზო და შეეგება. მოჰხვია ქმარმა მკლავი, მიიზიდა და გადაჰკოცნა. სპეტაკ ფერებში შემოსილი ფაქიზი ქალი ერთის შეხედვით თითქო ვერ შეეფერებოდა მოსულს, მაგრამ მისი ბედნიერი სახე და ქმრის თვალებში ახატული აღტაცება ამტკიცებდნენ მათ კარგ ერთობას; მათ განშორება, თუნდ ჰაზრთ არეში განცალკევება, ცოდვა იქნებოდა თვით შემოქმედ ბუნებისათვის.

– როგორ ხარ, ქალო? ბალღები კი მშვიდობით დამხვდნენ.

– კარგად! რა გაგვიჭირდებოდა აქ?! მაგრამ შენ რამ დაგაგვიანა? ერთი კვირით წასული მთელი ორი კვირა დარჩი იქ.

– ველარ დავახწიე ცხვარს, ძროხას თავი. სხვა საქმეც გაჩნდა. ბოქაული შესდავებოდა მწყემსებს, შარი მოედო. იმასთანაც მომინდა ჩასვლა.

– საჩივარი ხომ არ გააბი?

– არა! ვნახე, ავუხსენი; დაკმაყოფილდა. აგერ წამოგიღე ზოგი რამ იქაური ღალიდან, – უთხრა კაცმა

და მიიხედა დატვირთული ცხენისაკენ, რომელიც, ის იყო, შემოვიდა ჭიშკარში.

– კრაველი მომიტანე, რომ გაბარებდი?

– საუკეთესო! სწორედ თივთიკია. შენს სურვილს მე გარდაუსვლელ კანონად ვხდი, – მიუგო ქმარმა.

გადუგდო აღვირი მსახურს, მოსდევდა ცოლი პირ-ღიმფენილი. სრულებით არ აკვირვებდა თავის ქმრის ახალი სახე, არ ეხამუხებოდა აღარც ის სუნი, ვაჟკაცს რომ შესთვისებოდა ბინებზედ, გაპოხილი ტალავრის სუნი უჩვევისთვის მეტად სამძიმო. რას მოიფიქრებდა ის ამ ოციოდე წლის წინად, რომ ამ სახით ედგებოდა გვერდზედ მას ქმარი, საყვარელი მისი ვაჟკაცი?! მაშინ მის წარმოდგენაში სულ სხვა აჰხატოდა მას სათავისოდ: მხრებ ჯინჯილიანი, კეწკეწ სამოსში გამოკვართული. დეზებს რომ აწკრიალებდა ფეხის ყოველ შენძრევაზედა; ვერცხლი რომ ჰყვანდა დამონებული თვის ცხოვრების საარაკოდ მოსაწყობად; მხოლოდ ერთი თქმა, თუნდაც მარტო მოფიქრება და მოვიდოდა ყოველივე მზამზარეულად. ეხლაც ყველაფერი უხვად ჰქონდა ღვთის მოწყალება, მაგრამ ცოლ-ქმარი თითონ მისდევდნენ ფეხდაფეხ ყველა საკეთებს, წარმართავდნენ, ხელმძღვანელობდნენ. პირველ ხანში ქალს თითქო ენაჯიშებოდა ესეთი ყოფნა; კიდეც შეფიქრიანდა, როდესაც სამსახურს თავი დაანება იმისმა ქმარმა, უჯამაგიროდ როგორ შეიძლებაო ცხოვრება; მაგრამ დარწმუნდა, რომ შესაძლო ყოფილიყო მამულიანისთვის სამსახურ გარეშეც არსებობა. ესეთ ცხოვრებას თავისი სილამაზეცა ჰქონოდა: გრძნობა თავისუფლებისა, თავისთავის ბატონობისა.

ეხლა ქალი ბედნიერი იყო, გამრჯელი დიასახლისი სამაგალითო, კარგი დედა თავდადებული, მთელი ოჯახი რომ ხელთ ეჭირა, კიდევ ასწრობდა ბალღების წვრთნასა, იმათ განსწავლას.

მალე შეეჩვია გულნაზი ამ ყოფას; დედისაგან თუ დაჰყვა სურვილი კერის ეშხიანად შენახვისა, დაუღალავ საქმიანობის. ოთარიც, მისი კაცი გალაღებული, თანისთან ჩამოჰშორდა საოჯახო წვრილი საქმის წინამძღოლობას; იმას აქ აღარავითარი საკეთი არა ჰქონდა. კერის მართვაში ქალი უფრო მომსაზრებელი გამოდგა, ოთარს მხოლოდ სმენაღა სჭირდებოდა და უთქმელად ასრულება მეუღლის ნების.

– ჩემმა ალღომ არაფერში არ მომატყუა. გულთმისანია სიყვარული, ეხლა დავრწმუნდი: პირველ ნახვაზედ უკვე ვიგრძენ, რომ მხოლოდ ეს შესძლებდა ჩემის ცხოვრების მადლიანად ხელთაბყრობასა, – იტყოდა კაცი კმაყოფილი.

თავისი ძალა, მთელი თვისი მეცადინეობა მიექცია იმ საკეთთადმი, რომელნი მოითხოვდნენ ვაჟკაცის ხელს თუ თვალს. ეხლა აქ მისი შრომა გაორკეცებული იყო: ცოლის კარგმა შეშველებამ ბევრი დრო გაუნთავისუფლა და ოთარს ხომ არ უყვარდა ძვირფასი დროის უქმად დაფლანგვა. შინ რომ შევიდნენ და მიეფარნენ გარეშეთა მმზერელ თვალებსა, ცოლი მოეჭდო, აკოცა ვაჟკაცს და ჩასჩურჩულა:

– ერთს წამსაც კი ნუ მაცოცხლოს ღმერთმა უშენოდ!

3

დალაქხანა, მაზმარათი, ტანთ გამოცვლა და მთლად შეიცვალა, ჩვეულებრი სახე მიიღო გადამთიური. ახედ-დახედა მუშტრის თვალით მღიმარე ქალმა.

– ის ტანთსაცმელი უფრო გიხდება: თავისებურ სახეს გაძლევს დარბაისლურსა; ადრე არ მესმოდა ქართული ჩაცმა-დახურვის სილამაზე.

– აკი იმისთვის დაიხურე თავი, რომ უფრო გიხდება.

– ჭკნობას რომ დაიწყობს სახე, ლეჩაქ-თავსაკრავი უფრო შეშვენის: წყნარი არის და დაბრძნობილი; ჰფარავს კიდეც ხანისაგან გაღვარსლულ სახეს ოდესმე მდიდარს.

– ჩემთვის ეხლაც ისევ ძვირფასს, როგორც პირველ ჟამს, – უთხრა ვაჟკაცმა

და მიიზიდა.

– ისეც ჰაზრადა მქონდა ქართულად ჩაცმა, როცა სამსახურს თავი დავანებე: უფრო ვაჟკაცურია. რაკი შენც მოგწონს, ეხლა... სკლატის კაბა ყურთმაჯიანი, ფარჩის ახალუხი ყინჩი რამ ფერის, ფართო შალვარი მაღალ წაღებში, ბუხრის ქუდი კოხტად ტეხილი, შევერცხლილი ქამარ-ხანჯალი.

– მოგიხდება თამამ ტანის კაცს.

დაასკვნეს, ქართულად გამოწყობილიყო ოთარიც. აასრულეს სურვილი. დოვლათით სიუხვეც იყო იმის მიზეზი, რომ ქალმა თანისთან აძლიერა კაცისადმი თვის მისწრაფება. ნოყიერად მცხოვრები ოჯახისათვის თავდადებული კაცი კარგად შესაფასებელი იყო ჭკვიანისაგან, გულნაზი კი გონიერი გამოდგა, დამკვირვებელი. დიასახლისი რომ მურაზითა ზრუნავდა თავის კერაზედ, სახლის ვაჟკაცი ოჯახისათვის ბურჯი იყო მკვიდრად ნაგები. ეს შეგნება დიდს ფასს სდებდა ქალის თვალში ოჯახის მამას. ისიც ჰხიბლავდა მას, რომ ვაჟკაცის მისადმი სიყვარული და პატივისცემა არა სცხრებოდა, უფრო მეტად ძლიერდებოდა, ახალახალ ფესვებს იდგამდა, ნათელ გრძნობებს რომ ჰკვებავდნენ. ეხლა ოთარისთვის გულნაზი არამც თუ ტურფა იყო, სანდომიანი, მოყვარული დედაც იყო მის შვილებისა, ჰაზრიანი მოსარისტე მისის კერისა, შორსგამჭვრეტელი.

– საუნჯე არის ჩემთვის ეს ქალი. რა ვიქნებოდი მე უმაგისოდ? სულ არაფერი! – იტყოდა ოთარ.

აკი მაშინვე იგრძნო ეს. სულ პირველ ხანში თვის არშიყობის. იმისთვის იყო, რომ დიდმა შიშმა აიტანა, სანამ ბედი გაეხსნებოდა და მიახწევდა სანდომს სანატრელს. ხანთა სვლა თანისთან უფართოებდა მიმზიდველობას და უგზნებდა იმ შეგრძნობას მაშინვე ძლიერს.

– ერთს წამსაც კი ნუ მაცოცხლოს უშენოდ მეო! და შენს გარეშე მე ცოცხალიც მკვდარს ვემზგავსები. არა, ისეთი ულმობელი არ იქნება ბედისწერაც კი, რომ ჟამთ ბოლომდის გარდაგვიჭრას ერთ-ერთს სიცოცხლე, თანატოლად ჩვენდა მოზომილ დროთა ბოლომდინ.

ჰმორჩილებდნენ გულდინჯები თავის ბედს მღიმარს, ასრულებდნენ მისგან ნაწესს მოვალეობას: სახლის ძალთა განვითარებას, სხვათ პატივცემას, იმათათვისაც ბნელ სავალის გაციაგებას. სოფლის პატივცემაც ეხლა უფრო მეტად დაემსახურებინა ოთარს, რაკი სამსახურისთვის თავი დაენებებინა: ხელმწიფის მოთხოვნილებები ეწინააღმდეგებოდნენ ერის სურვილებს და მისგან დაქირავებული კაცი თუნდაც კეთილი, მაინც საეჭვო გზაზედ იდგა ხალხის თვალში. ეხლა კი, როცა ოთარი თავის შრომით ამრავლებდა თავის დოვლათსა, მეტი ნდობა დაიმსახურა. სოფლისათვის გაჭირების ტალკვესიც იყო ოთარის სახლი, იმისთვისაც უფრთხილდებოდა იმას სოფელი. უბრალოზედ არ აწუხებდნენ, საკუთარი მოხერხებით უძღვებოდნენ ჭირს თუ სიავეს, რომ მით უფრო იმედსავსედ მიემართნათ სიძნელეში მეკომურისთვის.

– შენ აქ არ იყავ, მაინც უარი ვერ ვუთხარი ნახირაანთ დარეჯანასა; ერთი კოდი პური ვასესხე, უნაფქვოდ ვსხედვართო, სარგებლით მოგართმევთო, როცა კი შევსძლებ.

– და შენ...

– ესე ვუთხარი: სარგებელი საჭირო არ არის, მხოლოდ მოიტანე, როცა გქონდეს, რომ ახლა სხვას მოემართოს ხელი.

– არ ვიცი, კარგო, შენ ლაპარაკობ ჩემს სათქმელს, თუ მე ვფიქრობ შენ სურვილებსა, – დაათავა შეყვარებულმა.

4

– მეტი შნო მისცეს ღმერთმა გულნაზს და მის ქმარს: ღია სახლი სტუმრიანი, თან წესი და სისუფთავე სამაგალითო.

– მემამულეა ხელხვავიანი; ცოლიც შეგნებული შეხვდა, მარჯვე, გამრჯელი.

– ფართოდ სცხოვრობენ, დიდი ხარჯი აქვსთ; ახლა ქალ-ვაჟთ ზრდა ქალაქშია და...

– გაუძლებს კაცი! ნიადაგზედ უდგა მას ფეხი; დედამიწა ძლიერია, უხვღალიანი. ოღონდ შეიგნო მისი ხელი და შეუფერო.

– ალბათ ეგრეა: ბევრნი არიან ერთიორად მეტ მიწის მქონი, მაგრამ მათ ხელში მოვლილიც კი მსწრაფლ პარტახდება.

– უმადლიდეს თავის გულნაზს თვის კეთილყოფას.

– მიდევნებია ქალისთვის თვალი: ბალღთა საწვრთნელად ხმის მაღლება არა სჭირდება, მხოლოდ შეხედვით იმორჩილებს და აძლევს წეს-რიგს.

– დიდრონებსაცა, მათთან სტუმრად შეფარებულებს. ხალხით სავსეა მათი სახლი: ახლოური, შორეულიც შეჰხიზნებია, მაინც წესი არ ირღვევა იმის კერაზედ.

– არ კი არის მოცინარი, გულმხიარული; ეს მე არ მომწონს.

– მის ჩაფიქრების და ზრუნვით მოცვის მიზეზი არის, რომ ხელთ უჭირავს სახლის სადავე და სჭირდება მეტი ფიქრი, ძალთ გამრავლება.

დაბის ცხოვრებაში ღირსშესამჩნევი იყო ოთარის სახლი და იმისათვის მიექციათ ყურადღება მის მეზობლებსა.

ზაფხული იყო. შვილები ყველანი გარს ეხვივნენ. ტანმშრალი ქალი უფროს დას ჰგვანდა იმათ შუაში. ახალგაზრდულ აღტაცებას დაჰნაცვლებოდა მზრუნველობა ჩაფიქრებული. მისი თვალები ჰპატრონობდნენ მთელ მის სახესა და იგი სახე იმათ შუქის სანახებად გარდაქმნილიყო. მგზნებარ სხივით ნაშუქებნი თვალთა მორევნი სხვებსაც უნათებდნენ სავალ-სადენს, ავლევდნენ მასზედ. ჰღლიდა გამრჯელს წვრილი საქმე ყოველდღიური, მაინც ეშხით ხალისობდა, არ დუნდებოდა. ის ახარებდა, მის ქმედობას თან მოჰქონდა ვარგი შედეგი.

საღამო ხანი იყო. ეზოში გამოფენილიყვნენ შინაურნი თუ სტუმრები და სტკბებოდნენ კარგი ტაროსით. გადახრილ მზეს აეკრიფა მწვავი სხივები. ჰაერთ სიკეთეს ყოველი არსი გაჰნაზებოდა. ფართო ეზოს ამშვენებდა ტურფა სავარდე. ყვავილებს ზე აღემართათ ჭრელი თვალები და შეჰფრფინვიდნენ ლაჟვარდ სივრცეს, ჩამავალ მზესა. ქალებს მათთვის აერთმიათ სიკეკლუცე თუ მორთულობა, თვით იგინიც მიეწვივნათ დასამშვენებლად: მკერდზედ, თმაში გაებნიათ სიტურფის სახე. სეირნობდნენ, მუსაიფობდნენ.

აყიროს ფოთლით მწვანედ მოსილ გალავანთან ბალღები ცალკე. ზოლზოლი ქევხა ცელქობდა მათთან: ხტოდა, უღრენდა, ეტოტნებოდა, სხვა არ იცოდა. სიამით სავსე დიასახლისს თვალნი მიებყრო ყვავილებად ფერადებულ ბავშვებისათვის; შეჰხაროდა ტრფობის ნაყოფს აღორძინებულს. იმის სულში დედურ გრძნობას შეჰრეოდა თავმოყვარება: მის ღალიანი ბუნების ძალა გაფენილა აწ მის ეზოში.

5

სტკბებოდა ოთარ სიკეთით, რომელი დიასახლისის სახით დავანებულიყო მის კერაზედ, ეზო-ყურეში, იმის სულში, მთელ არსებაში. აივანზედ იყო ოთარ თვის მეგობრებთან. თუთუნს თუ ღვინოს შეექცეოდნენ, დაწყნარებით მუსაიფობდნენ დინჯად საზომ საქმეებზედ, მოქმედებებზედ. კმაყოფილება გადაჰფენოდათ ყველას სახეზედ. იტყოდა ოთარ, მხარს უჭერდა მარჯვედ ხაზულ ჰაზრთა გარდაშლას, თანაც თვალს არ აშორებდა თვის ეზოში გადაფენილ სანახაობას. იგი მისთვის ძვირფასი იყო: თუ შეადგენდა მის არსების გარდაფურჩქვნასა, მის განგრძობას სხვა სივრცეებში. ორმაგ სიამეს აევსო კაცი: ნივთიერს კეთილს ბედისაგან მის კარს დაბერტყილს, სულის სიმშვიდეს სამოთხიდან მისთვის მონაბერს.

– მიხარიან, ოთარ ჩემო, რომ საქებრად წარემართა შენს ხელში საქმე.

– როგორ?

– სამსახურს რომ თავი ანებე და დაემყარე მარტო მამულზედ, ჩვენ გაგვიკვირდა. ესე ვიტყოდით: გამოუცდელი! არც თუ ისე ბევრი აქვს მიწა; უტკივარ თავს რად იტკივებს, რა ძალა ადგა. დაგვენანა უარყოფა მაღალი თანამდებობის, შეგვეხარბა იგი სხვისთვისა, – სთქვა იორამემ

და ღვინით სავსე სასმისს მიჰხედა. მეტად დიდი მამულის მქონი, თანაც მეურნე განათლებული. მაინც ვერ შესძლო თვისი სარჩოს გამოყენება: მყინვარეთში გაეჟღინთათ მძლავრ სასმელებსა და აქ ღვინოს ეწაფებოდა, ბაგეს ვეღარ აშორებდა სავსე კათხასა. სასმლის ოშხივარს ჩაეთუთქა მის ნებისყოფა და მისი შუბლი ფუყ

ოცნებათ ხეხილსა ჰრგავდა თვის სამკვიდროში. ქარის წისქვილს აშენებდა სიტყვათა დამფქველს, მიწასა ჰხნავდა ჩალის გუთნით დევებ შებმულით.

– საქმის კაცია ჩვენი ოთარ მარად მოქმედი, შენ კი შეიქმენ სიტყვის გუდა მხოლოდ მომთქმელი; სხვადასხვა გაქვთ სადინარი და წარგემართოთ! მე კი... საკუთარი სავალი მაქვს ამ ცხოვრებაში: ველარ მესმის უბანქოვოდ ყოფა, განცხრომა.

– ნეტავ რა გეშველებოდა, ნოდარ ჩემო, ბანქო რომ არ გამოეგონათ?

– მომინდებოდა გარიყული თევზივით ბრუნვა. აბა შევებათ, ვისაც ეშხი გაქვსთ და თავი ცდისა!

და ჩაებნენ. და შეიჭიდნენ. ოთარ ყოველმხრივ ხელს უწყობდა თვის მეგობრებსა, რომ მოწყენა არ დაჰმჩნეოდათ; ხოლო გონება წინანდელსავე საფიქრს ასდევდა:

– იტყვიან, შემთხვევას მნიშვნელობა არა აქვსო ჩვენს ცხოვრებაში. ამაო თქმაა: თუ ულოდნელად არ შევხვედროდი მაშინ მე გულნაზს, საესავოდ ვერ ივლიდა ჩემი სიცოცხლე. გონების თვალთ წინ ესა მყვანდა ახატული, ცალს რომ ვეძებდი; ვერვის ემონა ჰაზრი ჩემი და ვერცა გული. მყისვე დავტყვევდი ამის ეშხით, იქვე დავები: ალღო მეტყოდა უცთომელი, წარსულ დროდგან გარდმოცემული, გონის თვალთათვის მაშინ ისევ შეუგნებელი.

დიასახლისიც აწ მიმხვდარიყო, რომ შემთხვევამ ბედს შეახვედრა. პირველად მისი ალღო უფერ აღზრდით ჩამოჩრდილული სურვილის ხმას ვერ იმაღლებდა, ხოლო გონება მიაქცევდა მის ჰაზრს და ნებას თვალმახარა არსებებისკენ, გარედან რომ ბრწყინვალებდნენ განგოზილები, ხოლო შიგნით ფუყნი იყვნენ, აღსავსენი ქუფრ სურვილებით.

– თვალებში მქონდა მაშინ გონება, ვოცნებობდი მბჭყვინავ-მბზინავზედ; განგება კი მომიბყრობდა სულ სხვა სიკეთეს, – გაიფიქრა ქალმა.

გახედა აივანზედ მდგომ თვის მეუღლეს. თვალი თვალს შეჰხვდა, უალერსეს მოყვარულთ ერთურთს, დასტკბნენ შორიდან საამურად ჩახვეულები.

ნოყიერად იყო მათი ცხოვრება მოწყობილი და დალოცვილად. კეთილთ სამრავლად ედვათ წილი ნათელის და ბნელის ბრძოლაში. შეიჭრებოდა ბნელთ სიმძლავრე იმათ ოჯახშიც მოყვასთ შურის და მტრობის სახით, ავადობის თუ ხიფათთ ძალით, წარმართულ საქმის უკუღმავე შეტრიალებით; მაგრამ გულდინჯნი და დოვლათით გამაგრებულნი არ იბნეოდნენ ამისთანა განცდების ჟამსა, მწყობრად ებრძოდნენ ავის მზიდ ძალას, განაქარვებდნენ; ნათელთა დენას უკვალავდნენ გზას გადახერგილს.

– მაკვირვებენ ოთარაანი: უღალავად მუშაობენ ცოლიც და ქმარიც, თითქო არ ჰქონდეთ კარგი სარჩო დასაყრდნობელი; მეტად ცდილობენ თვის ქონების გამრავლებასა.

– სიხარბეში ვერ ჩამოვართმევთ; სხვისათვისაც არ იშურებენ, გაჭირვებულ მოძმისათვისა; შესაძლო არის მათგან გამართვა: უხარიანთ უხვი სუფრა ფართოდ გაშლილი.

– ბალღებიც მათ ისე დაწვრთნეს, რომ უცილებელ ვალადა უჩნთ შრომა, კეთება.

– მისთვის არიან გამარჯვებულნი.

– მანდილოსნის უნარია ეს ყველაფერი: ოთარ ადრე ვერ იჩენდა ვერც ამ მხნეობას, ვერც თვის სულის ესეთ სიკეთეს.

– ცოლის არჩევა გადამწყვეტი ნაბიჯია ცხოვრების გზაზედ.

– ჰაი, ჰაი საჭიროა ქონებაც, ცალიც: ხელცარიელი რით იზამ კეთილს?!

– ჭეშმარიტს იტყვი: ცარიელი საღვინიდან ვერ წამოვა წყაროდ ნექტარი.

– ჩვენი დოქი ისევ სავსეა.

– აბა დამისხი!

6

ოთარის ქალისადმი მისწრაფება დაიწყო სქესობრივი ალღოს აღტკინებით, რომელი დამყარებულ იყო გულნაზის მწყობრ აღნაგობაზედ; შემდეგ იგი გაძლიერდა ქალის სულის უხვეჭ სიმდიდრით. გულნაზი კი პირველად დაიყოლია ვაჟის სულის კეთილქმნილებამ, რომელმა შესძლო დაეტივნა მედგარი ძალა სიყვარულისა; შემდეგ თანისთან შეაფასა სიკეთეც ხორციელი თვის შვილთა მამის.

ეს ორმაგი შეთვისება, ერთმანეთის ბუნებაში კარგ ნიჭთა პოვნა და ახალ განძთა განვითარება, შემდეგშიაც არ მოშრეტილა, თითქო იმას სამზღვარიც კი აღარა ჰქონდა. ლხინიც, ჭირიც მათ სიყვარულს განამტკიცებდნენ.

ორი ცხოვრების ნაკადულნი განუყოფელ ერთ სიცოცხლედ შეერთებულნი. აღარ იყო მათი გრძნობა მჩქეფარ-მდუღარე. მდორედღა მიდიოდა გაკვალილ გზაზედ, მაგრამ ღრმა იყო და ღონიერი: მათნი განცდანი პიროვნულნი გადაჰბმოდნენ ერთმანეთს მჭიდროდ და აეთვისებინათ ნაჭედობა ორმაგ ქსოვილის.

– ჩემი მისადმი სიყვარული წამოესწრო თანისთან ზრდით მის მიჯნურობას. აეტოლა, დაუსწორდა და გარდაეჭდო. თუ შეგვადუღა ალავარდნილ ორმაგ ტრფობამა?! ჩემს გულში რომ სევდა იყო შეტბორებული, უკვე დამშრალა საზარელი ის საგუბარი! ანდუყაფარი... თითქო შევსტრფოდი ნათელ გრძნობით შორით გზნებული. მაშ რად გაცივდა ის სურვილი აცეცხლებული? მოწიფულს გულს დაესახნა ის თვის მიჯნურად, რადგან პირველად ის შემემთხვა ცხოვრების ბჭეში. შემდეგ ნელ-ნელა გაცრიატდა იმისი სახე და მთლადაც ჩამშრალა სევდის იგი საგუბარი მაშინ აღვსილი.

ვერ აღელვებდნენ გარდასრულნი მკვეთრნი განცდანი; გზა მიეცათ სხვა გრძნობისთვის, ჩამომდგარიყვნენ.

– აკი მწვრთნიდნენ, მეტყოდნენ მაშინ: იმ ვაჟკაცს შენ საბოლოვოდ შეჰყვარებიხარ, უცვლელია მისი ტრფობა თუ მისწრაფება; შესძლებს აღზარდოს შენს გულშიაც სიყვარულის ყვავილი ტურფა, ნამდვილ გრძნობიდან თავისუფალ შენ ნორჩ გულშია. ეხლა კი ვხედავ იმ თქმის სიმართლეს! – წარსთქვა ქალმა

და ისიც ცოდვად ჩათვალა ქმარ-შვილთ წინაშე, რომ გაიხსენა გარდასრული მღელვარება და მისცა ნება თავის ფიქრებს, თუნდა წამს მასვე შემოჰხვევიყვნენ. მით უფრო ტკბილ იყო შეგებება, როცა ვაჟკაცი ახალგაზრდულ აღტაცებით შეჰხვდა მეუღლეს.

– შენს შუბლზედ, ქალო, ფიქრის ნაკვალს აუბეჭდავს თვისი აჩრდილი. საზრუნველი თუ გაჩნდა რამე, ნაკლი რაიმ გასასწორები?

– არავითარი! ყოველივე წესზედ არის და უმზნეველად, – მიუგო ქალმა.

– მომეჩვენა რაღაც ჩრდილი და მისთვის გკითხე.

– გულთმისანი თუ შეიქმენ ჩემ შესახებ! არ მოგეჩვენა: ნამდვილ სახე დაინახე უჟამო ფიქრის, რომელმა შორს გარდმიტაცა წარსულისაკენ და...

– და განა იქ საზრუნველი რამ დაინახე?

– აღარაფერი! მხოლოდ იმან ჩამაფიქრა: როგორ, როდის ამეზარდა შენდამი სიყვარული ურღვეველი და ათვისება. მე ვეღარ ვიცი თავი ჩემი შენს გარეშე; იმ თავითვე გაჩენილხარ ჩემ სატოლებლად.

– და შენ კი ჩემთვის ხორციელად მოვლინებული!

– სულიერადაც! შენთან შეყრამდინ ასახულნი ჩემნი გრძნობანი, სულ სხვისაკენ მიმართული მისწრაფებანი ამოშრეტილან, დავიწყებულ გახსენების ფერიც აღარ სდევთ, დიდმა მეცანმა თუ შემახო ხელი თილისმა.

– ჯადოსნურ ძალით შემოსილი ჩემი ტრფიალი! ბედნიერი ვარ: შეერთებულა მიჯნურობის ორი დენა დაუძლეველი! სიკვდილმაც კი ვერ დაშალოს ამ ძალთ ერთობა! – წარმოსთქვა კაცმა

და დაენანა, რომ აღტაცების უძვირფასეს წუთში მოიგონა სიკვდილის სახე, ბნელი სპობისა. მიიზიდა ძლიერ ნდომითა. ახლოვება არ შრეტდა სურვილს, უფროც ანთებდა, ვით კოცონს გზნებულს კვარი ნამატი.

7

ოჯახის ბებოც ისე ფიქრობდა, რომ შეტკბობილთ კარგ ერთობას ვერ დაჰშლიდა ვერა რა ძალა. გაეგონა მოხუცს ისიც, რომ სიკვდილიც ვერ არღვევსო ტრფობის ნაქვთებსა; არა სჯეროდა: იცნობდა ახლო გამხმარ სიკვდილს თვალებ დამდგარსა; მახლობელნი აეგლიჯნა მისთვის გულიდგან, თვით მის სულშიაც ჩაეხედნა ყინულ ხედვითა და ჩაჭდეოდა არსებაში მისი ჭვანგები. ვერ სჯეროდა თქმა იგი ბრძნული თუ სასომიხდილთ სანუგეშოდ გამოტანილი და ცდილობდა გონებაშიც არ გაევლო ეს მძიმე სიტყვა.

– მახვილყურიანს იტყვიან სიკვდილს, ვაჰ თუ მიესმას, რომ არ ცნობენ მის ძალს უძლეველს და გადმოავლოს ჩვენს არისკენ თვალი ულმობი. ღმერთო, გვიხსენი, დააფინე კალთა შენი ამ ლამაზ კერას!

ჰფარვიდა ოთარის სახლს ხატი კეთილი, არ უშვებდა მის ეზოსკენ მომსპობ სიბნელეს. ნათელთ სამრავლოდ უთქმიდა გული და არ დასთმობდა გულნაზს მზექალას, არც მისსა მოსავს ოთარს ხელკეთილს. ამისთვისაც უმთავნებდა იმ კარგებს კერას, ყოველს ახალს ხანს ახალს კეთილს გარდაუშლიდა, სხვათათვისცა სასიკეთო ნათელ სიუხვეს.

– ქალო, კაკატო, რომ გაგთოშია მკაცრ ზამთარში სკოლა სიცივით, რომ ეწამები და სტანჯავ ბალღებს, რატომ არ სცდილობ, შეაგნებინო უდივრობა გულქვავ სოფელსა? ეგებ გიშველონ; ბალღებს მაინც ნუ ჩაჰხოცენ, საკუთარ შვილებს.

– ბევრჯელ ვეცადე! ვუთხარ, ვეხვეწე; ძალთა მექონთ კიდეც ვაცნობე, მაგრამ ამაოდ: ქვემო უბანი სულ არა გვშველის, ზევით არისო მოქცეული სკოლის შენობა; ზემო უბანიც ჯიბრში უდგა და სჭყლეტენ კოზაკს.

– რად არ მიჰმართავ ოთარაანთ, რომ დაგეხმარონ?

– ვეღარ შევბედე: რომ ყოველთვის გასაჭირში იმათ შევსტირი, ვეღარ შევსძელ მეტისმეტი მათ შეწუხება. სოფლის ვალია, უნდა იზრუნოს: ერთი კაცი ვერ აუვა მთელ ხალხის ხარჯსა.

– მაინც...

– ყველაფერში ხელს მიმართავენ; სასმელ-საჭმელს თუ მოსაკითხს როდი მაკლებენ, უშველოთ ღმერთმა!

– წავალ, ქალო, ჩემით შევთხოვ; ამისრულებენ: თვის ეზოდან მოგაწვდიან მარხილით შეშას.

– ეგრე იზამენ! ხალხმა მაინც უნდა იცნოს თავისი ვალი: მთელი დაბის ბალღი დადის ამ შენობაში, რა ძნელია იმათთათვის ამის შენახვა? ამოდენა ხალხი სხვაგან...

– თუ არიან სხვაგან უფრო შეგნებულები. ისიც უნდა ვსთქვათ, ხალხს ჰრევენ სხვები: მეორე მღვდელი არ უსვენებს, რატომ მე არა ვარო სამღთო სჯულის მასწავლებელი.

– ეგ მე არ ვიცი! სკოლას მოვლა ეჭირება: ერთადერთი ჰნათობს ლამპარი, ესეც ლამის ჩაანელონ.

შესთხოვეს ოთარს. აახლა შეშა. მოითბეს ხელი. კაცი მაინც დააფიქრა გარემოებამ: შემთხვევითი მიშველებით ვერ სწორდებოდა ეს მძიმე საქმე.

– იცი, ქალო, როგორმე უნდა მოვარიგოთ მოქიშპეები.

– მაინც რას ფიქრობ?

– ქვემო უბანს რაიმ სკოლის სამაგივრო უნდა ვუზრუნოთ, რომ დავაწყნაროთ ხალხი.

– რა განიძრახე?

– ავადმყოფთა თავშესაფარი; ვინმე მცოდნე ექიმობისა...

– მოგყვება ხალხი?

– მივყვეთ ხალხს და მოვიყოლიოთ!

– მაშ ვანუგეშებ კაკიტოს, წავალ: ლამის გაიქცეს.

– აღუთქვი, უთხარ, დაიყოლიე; ცოდვაა ქალი.

– დაჩაგრულია. ოდესმე შემძლე ოჯახიდან, განათლებული და... ძნელი არის იმისი ყოფნა.

– ცხოვრება ვერ გაჰღიმებია.

– უკეთესი ხვედრის ღირსია; ლამაზიც არის, მაგრამ ბედი დასძვირებია.

– გზა აჰბნევია ცხოვრების ზღვაში.

8

გულნაზობა დღე იყო ოთარისთვის თუნდ ავდარში კარგი დარი, ყველაზედ თბილი. მიწურულიყო ზამთარი მკაცრი; დაჰკარგოდა წელგატეხილს ბრძოლის უნარი. გადაჰხდოდა მიწას პირი მინდორ-ღელეში, კანპოხიერ დედამიწას კეთილის მომცემს. ნაბუქრები ისევ იწვნენ ხევ-სიღრმეებში. გამთბარ ნიადაგს შეელხო ძირი იმათათვისაც: ნაკადებად იღვრებოდა მათი ნადნობი.

ენძელა მრავლად. თბილ ფერდობებზედ ია წითელი. ღანძილს ჰზიდავდნენ მახლობელ მთიდან; ალაღლაღებდნენ მდინარეში, ამზადებდნენ გასასყიდათა: ამ მხალს ბევრს ჰნსთქამდა მახლობელი დაბა-ქალაქი.

ოთარაანთ ეზო-ყურე სავსე იყო მოსული ხალხით: სოფლის რჩეულნი, ქალაქიდან მომლოცველნი ეტლით თუ ცხენით.

– ყრილობა თუ არის რამე ოთარის კარსა?

– არა! წვეულობა აქვს! დიდი ხარჯი იცის იმან ყოველწლივ ამ დღეს.

– მეჯლიში დიდი გულნაზობა დღეს. იგონებდა გულმხურვალედ იმ ბედნიერ ჟამს, რომ გაეხსნა ცა ცხოვრებაში და ნათელი მოეფინა მის არსებობას; სიყვარულის მოპოებას ზეიმობდა ბედის რჩეული.

სახლ-კარი სავსე იყო სტუმრეულობით. მორბედ ხელს წესს აძლევდა თითონ გულნაზი. მხარს უჭერდნენ საზრუნველში დობილები: ყარამფილი, თვალმაისა, კარგი კაკატო. ჰაზრიან შრომას შეჩვეული მასწავლებელი მოზომილად მოძრაობდა და ხვავიანად. ლბილად მისდევდა მის ხელს საქმეც, როგორც ბალღები. ქალს უხაროდა, რომ შეეძლო მცირედ მაინც გარდეხადნა სიკეთე, მის გაჭირვებას რომ ეყარა ამ ოჯახიდან. სოფლის რჩეულნი ერთად ისხდნენ ორივ უბნისა. როცა ღვინომ

გაუხსნა გული და აჟიჟინდა სტუმრეულობა, ოთარმა მაშინ ჩამოაგდო საუბარი თვის საზრუნველზედ.

– ბატონო ოთარ! შენ ყოველთვის კარგი გინდა საწყალ ხალხისთვის და ძლიერ არის მოსაწონი ეგ შენი სიტყვა.

– კარგი იქნება, თუ დიდ ხარჯებს არ მოითხოვს ტვირთ-მძიმეთაგან.

– არც თუ იმდენს, რასაც ჰხარჯავენ მკითხავებზედ, ყალბ ექიმებზედ, თუნდაც წამლის მამასისხლად მოპოებაზედ.

– ისეთი ვინმე ჩავაყენოთ, რომ ესმოდეს ავადობა და მის წამლობა.

– უსათუოდა. შენობების შეძენაში და სხვა ხარჯებში შემოგიდგებით, როგორც სკოლის მოწყობაში მოგეხმარენით.

– სკოლა თითქმის შენ ააშენე.

– სად გინდა ახლა მოათავსო საავადმყოფო?

– უსათუოდ ქვემო უბანში: ძმურად უნდა განაწილდეს სასიკეთო დაწყობილება, – მიუგო ოთარმა.

გაეხარდა ქვემო უბანსა. კვერი დაჰკრეს დიდის ხალისით. არც ზემოურნი აღუდგნენ წინა; გრძნობდნენ, ეს საქმე შეასწორებდა იმათ უფერ ურთიერთობას. გადიტანა მასპინძელმა საუბარი სულ სხვა საგანზედ და სუფრაზედ აელვარდა სიმხიარულე. სადილობა ვახშმად გარდიქმნა. ქეიფ-ზეიმი შუაღამემდინ. მასპინძლები მოქანცულიყვნენ. კმაყოფილება შერჩენოდათ მეტყველ სახეზედ.

– ესე ლამაზად არც კი როდის ჩაუვლია ჩემს დღესასწაულს.

– გულახდილად ქეიფობდნენ, მხიარულობდნენ. საუცხოვო შეხვდათ სასმელი. ღვინო ბევრი არ მოვიდა წელს, ტკბილი კი დადგა, მეტად მაგარი. შენ ხომ არ დაიღალე?

– არა! მარჯვედ მიწყობდნენ ხელს მეგობრები; კაკატო ხომ არ ზოგავდა თავის ჯან-ღონეს.

– მოვიწვიოთ დამხმარენი ხვალ სადილათა: დღეს ვერ იგემეს სიამოვნება.

– მე თითონა ვსთხოვ.

9

ტკბილდებოდა თანისთანად მათი ერთობა. იცვლებოდნენ ხანთ შესაფერად, მაინც მარად საკუთარის მშვენებით მკულნი. თანაზრდა სულთა შეჰყვებოდა მათ ბოლომდისინ და მერმედ...

– ნეტა გამჩენის კარგი თვალი იქამდინ გაგვყვეს, რომ ჟამთ ბოლომდინ არ დავშორდეთ ჩვენ ერთმანეთსა!

– მოვშორდეთ ერთურთს?!

– არა! შემოქმედი თანასწორად მოგვიძღვნიდა ჩვენ სიცოცხლესა; იგი ნათელთ მამრავლია და ბოროტებას არ მისცემს ნებას, მოსპოს უჟამოდ ჩვენთაგანის ერთ-ერთის ყოფა.

– ერთის ჩვენგანის?!

– არ ეგების ჩვენი ყოფა უერთმანეთოდ: ჩვენგან განზრახულს თუ დაწყებულ სამოქმედარს ეჭირვება ორივეს ძალა და დაიშლება, თუ ერთ-ერთი ჩამოეც...

– ჩამოეცალა?!

– უჰ, რა ცუდს ვამბობთ! ავმა წუთმა ტანჯვის სახე მოაფინა ცნობიერებას.

ის საზოგადო გრძნობა იყო ეს, რომელი ასდევს შეზავებულ ყოფას სანატრელს, ოდეს სულნი შეფერებით შედუღდებიან. მეუღლენი მით უფრთხოდნენ ამ ძნელ

მომავალს, რომ ერთობ მჭიდროდ შეკავშირდა მათ არსებობა. ერთ არსად თუ შექმნილიყო ბუნება ორი. სხვა საგნებზედ გადავიდა თქმა, საუბარი. ქალს მაინც არ ჰშორდებოდნენ მძიმე ფიქრები.

– შეიძლება ვიარსებო მარტო ოდენ მე?! ჩამოწვება კეთილყოფის დარბაზი ჩვენი, თუ მოსცილდა დედაბოძი, სვეტი ჭდეული. დედაო ღვთისავ, დაგვიფარე განსაცდელისგან!

ოთარიცა ჰხედავდა, რომ უიმისოდ შეერყეოდა მის ოჯახს გარკვეული სავალი კარგი; მაინც ისე უიმედოდ არ შეჰმზერდა კერის მომავალს: იცოდა თავის დოვლათის ძალა, დარწმუნებული იყო, უმისმარჯვენოდაც მოახერხებდნენ ცხოვრებას, იქამდინ მაინც, სანამ შესძლებდნენ მის პატარები თვითვე ეზიდნათ ცხოვრების ტვირთი. ცნობიერებით განათებულ თვის პიროვნობის ბედი კი მეტისმეტად აღონებდა და ამძიმებდა:

– არსის ცხოვრება ბნელით არის შემოგრაგნილი. ამ უკუნეთში მიისწრაფის ყოვლი ქმნილება თვის საკუთარ უკვალო კვალით. ჰხედავს იგი სხვას, მაინც ვერ ჰხედავს: ვერ შეუგვნია მის ბუნება, ვერ შესტკბობია. იშვიათად გაშუქდება მისთვის მეორე და აქა სუფევს ბედნიერება: უქრობელი იგი ნათელი სიყვარულად შემოერტყმის ორივეს ერთად და შეაერთებს განუყრელად აქაც, მაშინაც, როს დაიხსნება სულის და ხორცის შემკვრელი სირა. მაგრამ მანამდის როგორ შევსძლებ უმისოდ ყოფნას?! ჩამიტანს, ჩამნთქამს სევდის უფსკრული ბნელი, უსამზღვრო.

ეს აღონებდა, თავის სიკვდილს მისთვის უკრთოდა. ბოლომდის ერთად, ჟამთა დენის დასასრულამდინ!

რა ძნელი იყო ბნელ სივრცეში განმარტოება! ეს განიცადა ლანდის მსგავსად, როს ტოლს ეძებდა: მრავალი იყო მის გარშემო, ვერვის ჰხედავდა!

– ძვირფასნი იყვნენ. წალკოტს ვიყავ ყვავილოვანსა. ის კი არ სჩანდა, ვის ეძებდა გული ტანჯული. და როცა ვნახე აღმომხდარი ჩემად ვარსკვლავად, შევძრწუნდი ფრიად:

– ვაჰ თუ ვერ მიცნოს, არ მითვისოს და დავკარგო თვალთა სინათლე! მიბრალა ხვედრმა, ვეზიარე სიყვარულს უშრეტს. განმიტაცებს სიკვდილი ბნელი, მოვსწყდები ვარსკვლავს. და ვინღა მყვანდეს მანათობლად უსამზღვრო ბნელში?!

– მაშ რას იზამ, განწირულო, თუ გეწეროთ ჟამი უჟამო, თუ ან ის...

– ის?! რადღა მენდომება არსებობა იგი, უშუქო?!

– თვითმოსპობის ძალა არ აქვს სულს!

– მაშ, გამჩენელო?

სდუმდა ძნელი ბედისწერა, ხმას არ იღებდა.

10

მაინც იშვიათი იყო ძნელი წუთი მათ ცხოვრებაში: მათ არსებობა ლაღად მიმდინარეობდა. სხვა რაღა დარჩენოდათ, რომ უხვად არ ესარგებლნათ წაღმართ ოჯახით შინაც, გარედაც?! კერძო კაცის გარჯილობას მეტი აღარ მოეთხოვება, ამისთანა ოჯახიშვილზედ კარგის მეტი აღარა ითქმის.

და არსებობდნენ გულდინჯები შვებით თუ ლხენით. მათ ცხოვრებაში მიუთხრობდა დღე დღეს სიხარულს და უგალობდა ღამე ღამეს სიტკბოებასა; წარსული წამი გასძახოდა მომავალ წუთს საიმედო სიმღერას მომტკბარს.

– ბედნიერები! არამც თუ შესაძლოთ შეუქმნიათ, ზიდონ მსუბუქად ცხოვრების ტვირთი, ის უნარიც შეურჩენიათ, სხვასაც უმსუბუქონ მცირეოდნად ყოფის სიმძიმე.

– საქებარია, მისაბაძავი! რამდენია მიწის ზურგზედ იმისთანები, ვერ შეუძლიან თვის საკუთარ ცხოვრებაზედ იზრუნოს და დასწოლია სხვის მარჯვენას ზედმეტ ბარგადა. პირბნელი არსი! მოჰსპობია კეთილთ ქმნის ძალა.

ესე მსჯელობდნენ მათ ნაცნობები და იმედსრულნი გაჰყურებდნენ ოთარაანთ სახლს, არ ირღვევოდა კარგი იმედი, არ ცრუვდებოდა. ცოლ-ქმარი თითქო ერთარსნი იყვნენ ერთმანეთისთვის, ოჯახისთვის, შვილთა ზრდისათვის; მაგრამ ამ წმიდა საქმეს მაინც ვერ შეეზღუდნა მათ ნებისყოფა მხოლოდ მათი პიროვნობითა; გასცდენოდა მათი კარგი მისწრაფება ამ მჭიდრო ფარგალს, რომ მცირედ მაინც გაეშუქნა სხვისიც ცხოვრება.

არც შეჰშვენოდათ სხვაგვარ ყოფა განათლებულებს, რომელთ ჯერეც ვერ მოეკლათ სწავლის წყურვილი. მათი სახლი სამკითხველოს მოგაგონებდა, სად ჰპოვებდნენ ნაცნობები წიგნს, ჟურნალს, გაზეთს. განათლების იარაღს მოკლებულ დაბისათვის სიკეთე იყო და უმრავლებდა მათ პატივცემას. მახლობელნი ხომ კეთილნი იყვნენ იმათთვის, შურიანი შორეულნიც არას ერჩოდნენ: ეს სახლობა არვის ეღობებოდა წინ, არც თუ სავალს უხუთავდა, გზას არ უჭრიდა; საკუთარი ღარი ჰქონდა ცხოვრების ზღვაზედ, სამოქმედო სანახები თავისებური.

გულითადი მეგობრები ხომ უიმათოდ ნაბიჯს არ გადასდგამდნენ: ჩრდილს შეიტანდა ეს ქცევა იმათ ყოფაში. აგერ ეხლაც კარდუხობა რომ მოდიოდა და აპირობდნენ საქეიფოდ გასეირნებას, ოთარაანთ შეატყობინეს, თქვენც წამოდითო. მათი გულითადი მეგობარი ქალი დედიკა წამოსულიყო სურვილის გადმოსაცემად: ენასხარტს და ომახიანს ვერ ეტყოდა გულნაზი უარს და თუ ეტყოდა, მაინც თავს ვერ დაახწევდა მის დაჟინებას; ალერსით თუ მაღალ სიტყვით დაარწმუნებდა.

– ზიხარ ამდღე შინ, ამოგისხავს ფრთებ ქვეშ შენები და ეზოს ღობე ქვეყნის სამზღვრად მოგჩვენებია; გაიშალე, გაიარე, გაინავარდე! გაატარე ეგ საწყლებიც, გააფანცქალე! – შესძახა ფაშფაშამ ჭისკარიდანვე

და წამოვიდა ქალისაკენ მკვიდრი ნაბიჯით, რომ ეკოცნა, გარდაჰხვეოდა. გულნაზმა გადადო გაზეთი და მოეგება სტუმარს, მიალერსა.

– რაღაც განგიზრახავს და გინდა თუ არა გსურს ამასრულებინო.

– მარტო მე კი არა, ყველამ დაასკვნა: ჩვენი ობაა, ვემზადებით ხატის კარს წასვლას. უნდა დაიძრა! ურმებით წავალთ ნებივრად და სიამოვნებით.

– ურმებით?!

– სადაც გვინდა, იქ დავაყენებთ, გადმოვალთ, ვილხენთ, ყვავილებს მოვკრეფთ.

– მეშორება ბალღებისთვის კარდუხზედ ასვლა, მეშინიან რომ...

– მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია?! წმიდა გიორგი კარდუხისა შემძლე ხატია, დიდი მლოცავი ეახლება კარს.

– მოვიფიქრებ, ოთარს ვკითხავ.

– მოფიქრებულია! ოთარს კი არ უნდა ჰკითხო, უნდა უბრძანო: შემოგყურებს თვალ-წარბში ისე, თითქო ქებინი ეჰა ეხლა გაუჭრიათო.

11

შენ იცი, რა ადგილას არის კარდუხის ხატი და რა პატივი აქვს დამსახურებული ხალხისაგან. განათლებულთ აღარ სწამდათ, ყოველთვინ კი დადიოდნენ ამ ხატობაში: მთის თხემიდან გადმოხედვა ველის, ტყეების; სარკესავით მოელვარე მდინარის ზოლო, ზედ ტატნობზედ ატყორცნილი მძლავრი კლდეები და...

უხვი სუფრა მეგობრული დაბრძნობილ ხის ქვეშ! სასმელი ტკბილი, ჰაერისგან თუ ზედაშით დამთვრალი გული; მშვენიერთა არშიყობა ამ უღრან ტყეში!

– ალქთა თუ სხვა უხორცოთა რჩეულ ბინაზედ?

– სპეტაკ ნივთთაგან შეთხზილთა და მით უჩინართა.

– სულთა ხორცსხმულთა, ნივთიერი ბუნების მექონთ?!

– ნივთიერ სულთა! ისინი ჩვენ შეფარდებით არიან უხორცონი, ჩვენ აწინდელ ნაგებობის შედარებითა, ხრწნად ნივთისაგან რომ არს შემდგარი; თორემ მათცა აქვსთ ხორცი ნათელი, ეთეროვან ნივთებთაგან შეზავებული.

– მართალს თუ იტყვი?!

– მისთვის არის, რომ ისინი ესე მეტად არ ჰმონებენ ჟამსა თუ სივრცეს, ვერ არიან მათგან ძლიერ შეზღუდვილები და გადადიან ფიქრივით მსწრაფლ ერთ არიდან მეორე მხარეს.

– მათთვის სიკვდილი, ან წარმოშობა...

– მაინც არსებობს! არ არიან კაცთა მსგავსად მსწრაფლ წარმავალნი, მათ საუკუნე ჩვენ საზრისით უსამზღვრო არის.

– უკვდავნი თუ არ არიან არც იგი სულნი!

– გაჩენა და დასასრული იმათაც უხამთ.

– მარტო ღმერთნი თუ არიან ადგილთა და დროთა გარეშე, უსაბამო-უსრულებელნი.

– ბოლოს ისინიც ჰმორჩილებენ ჟამსა თუ სივრცეს; მაგრამ ჩვენთან შედარებით, სულთ შეფარდებითაც, მათი გრკალი მეტად შორს უვლის; გონებაც კი ვეღარ სწვდება იმისსა სამზღვარს.

– უდასაბამ-დასასრულო არრა ყოფილა.

– ყველაფერი ცვალებადია! აღმოჩნდება არსებობის კაბადონზედ, ისევ ჩაქრება, მიიცვლება ახალ სახედ; კვლავ აღმოჩნდება და... ბრუნავს ესე. ბორბალივით იბრუნებს მუდამ! უცვალებელი ერთადერთი ბედისწერაა და მისი ძალა – შემოქმედი სიყვარული მოუსპობელი.

– მაშ სიძულვილი?

– წარმავალია! უარყოფაა სიყვარულის, სიკვდილის მქმედი, თავისსავე მძლეობაში უკვე ძლეული.

– ბედისწერა და მის ჩენა მძლე სიყვარული...

– დანარჩენი ყოველივე ერთისა და იმავე ნივთიერებისაგან არის დგენილი, მხოლოდ იგი ნივთიერება არსებობის დაბალ ფარდებში უფრო მძიმეა, უხეში, ბნელი, მშვინიერი და უფრო ხრწნადი; ზევით და ზევით ჰაეროვანი, ნათელი და მშვენიერი, თავისუფალი, დროის და სივრცის სირეებიდან უფრო დახსნილი, უკვე ღმერთ-ქმნილი.

– მე კი მეგონა...

გადაწყვიტეს ღამისთევა ხატისსავე კარს. ხალხი ბლომად იკრიბებოდა და საშიში არაფერი არ იქნებოდა. მეგობრები, ჭირისა თუ ლხინის ერთად მზიარებელნი, ხუთი დაჩარდახული ურმით შეუდგნენ გზას; ცხენები სხვა იყო. სიხარულით მიდიოდნენ, ჟივილ-ხივილით. ოთარაანთ ზაქები ისე მიაქანებდნენ ურემს, როგორც ცალიერს. ყველა ურემზედ სამღთო ცხვარი, სანოვაგე თუ სანუკვარი. თანთქარებდნენ ტიკები თუ ქინთ-ტიკჭორები. ბალღები მათ ეტანებოდნენ; ლბილად საჯდომ მუთაქებად მოსჩვენებოდათ.

დალოცვილი დარი იდგა; მშრალი, უღრუბლო. მოშუადღევდა. ჩამოცხა კარგა. რა უშავდა?! მალე შეეფარებოდნენ ტყეს, სადაც სიცხე სულაც ვერ უფლობს.

მეტისმეტად უხაროდათ ბალღებს მგზავრობა. არც დიდები იყვნენ მოწყენით: მადლიანმა საუზმემ თუ საგზაოებმა ეშხსა სწიეს მლოცველები, ააბრწყინვალეს. არ ჩამორჩნენ ქალნი ვაჟკაცებს; ალერსობდნენ, იცინოდნენ, იღიმებოდნენ: ზედაშეში ჩაესველათ ბაგე ვარდისა. გზა მინდორ-მინდორ. აქეთ-იქით მოსჯროდნენ მას ათეულები. წვრილფეხობა ურმებიდან გადმოეფინა. ქალთაგანნიც ბევრნი გადაჰყვნენ. გადერივნენ ნათიბს თუ უმკალს: ჰკრეფდნენ ხარბად მინდვრის ყვავილს, გვირგვინებად ამზადებდნენ თმათ დასამშვენად. ბუნებისაგან გაშლილ სუფრას დაეთრო მწერი. ჭრიჭინი იდგა, იმღეროდა არსი ყოველი. კორდ-კორდი მიწა ჭინჭველების ბუდის თავებზედ. ყველასახე პეპელები ყვავილთ ფურცლებზედ.

– მწყერი, დედილო!

– დამიჭირე, მამილოჯან: აგერ იქ ჩაჯდა!

დაიღალნენ შეღმართ-შეღმართ სიარულითა. ჩასხდნენ ურმებში. შევიდნენ ტყეში. გზა ხევს ასდევდა. ჩაუხვიეს, გახდნენ მდინარეს. კვლავ სოფელი. ისევ მინდორი. ხევის პირას გაშლილიყო დაბა კარდუხი. სავსე იყო ხალხით, ხმაურით. ბევრ მლოცავს აქ შეეფერხნა ნაცნობებში, ნათესავებში. შეაყენეს ხარ-კამეჩი, შეაქაქანეს. ვაჟკაცებმა დუქნისაკენ გადაუხვიეს; მოითხოვეს შარბათები, ღვინო, არაყი. თანა ჰქონდათ ყოველივე, მაგრამ წესი მოითხოვდა, დუქნისათვის მიეხედნათ, სარფა მიეცათ. ისიც ვარგოდა: რასმე ახალს გაიგონებდნენ, კარგ სიტყვას თუ თქმას. დასძრეს ურმები. შეუდგნენ აღმართს.

12

აყრილ ტყეზედ ადიოდა გზა. ჯაყჯაყებდნენ ურმები. მეტად დაანჯღრიეს შიგმჯდომი ყველა. ვიწრო გზა მთლად დაეფარნათ გახლართულ ფესვებს, ამომჯდარიყვნენ, უშლიდნენ თვლებს თანაბრად ტრიალს. ბევრი გადმოხდა. შეეფინნენ აღმართებს ფეხით.

– როგორ შევსძლებთ მწვერვალზედ ასვლას?! მუხლები სულ დააწყდებათ საწყალ ყმაწვილებს, – წარსთქვა გულნაზმა.

– თქვენ კი არა, ვაჟკაცებიც ვერ შესძლებენ იქ ახწევასა, – მიუგო ქმარმა.

– მაშ რა უნდა ვქნათ?

– ახლოა ხატი: აგერ მალე გათავდება ტყე, დავინახავთ.

უზარმაზარ ხეთა რაზმი შეწყდა უცებ ღრმა ხევის პირას. კალოდ გამოჩნდა გორის თხემი მლოცავით სავსე. ურმები თუ ცხენები ქვევით დაეყენებინათ. გაემართნენ, მიახწიეს ხატის ადგილას. ლოცულობდნენ მისულები, სანთელს ანთებდნენ. დიდ-დიდი ხე ხავსმოდებული; ხმელ ტოტების ნამტვრევები ქვეშ მოფენილი. დაყანდებულიყვნენ დაფიქრებულნი. სდარაჯობდნენ ხატის სავანეს. ხეებს შუა ტრაპეზად ამართული უზარმაზარი გელაზები შეტყუპებული, ქვევით ნაჩორკნი, ზევით უფრო შესწორებულნი. ნაღვერდლები დაეყარნათ სამსხვერპლოზედა, დაეკმიათ ბაზმა, საკმელი. ყვავილებით მოეფინათ სიწმინდის ნიში. მღვდელს წმიდა გიორგი მიეყუდებინა ტრაპეზზედ, ქვეშ დაფარნა გაეშალნა, შანდალი დაედგა წინ, მაგრამ წმიდანს ძალა თვისი გასცუდებოდა: მას არ უკმევდნენ, აღარ უნთებდნენ. ხეების ქვეშ ირმის ჩხები, ზოგან ტოტებზედაც. მუხის ღეროზედ მძიმე ჯაჭვი ჩაჟანგებული.

– ამ ქვის ტრაპეზზედ წინად ბევრ მსხვერპლს სწირავდნენ სათუთად მოვლილს.

– თუთაის ზვარებს, მისდა შეწირულებს: ბრწყინვალე მანგს ქართველები მეტად ესვიდნენ; საქართველოს მფარველ ღმერთად ჰხადდნენ მაშინა.

– მაღლა დაუდგამთ მისი სამსხვერპლო.

– ახლოს არიან მწვერვალები ამ მნათობზედა. სამას სამოცდა სამი სამსხვერპლო.

– მაგდენი გვყავს წმინდა გიორგი.

– ეს ახალ სჯულში, როს გიორგი დაენაცვლა მფარველ მთვარესა. ადამიანნიც მიჰყვანდათ ზვარად; თეთრად მოსილი მონა-მხევლები მას გვიჩვენებენ.

– კაცი მსხვერპლადა?!

– მთვარეულებს, მანგის მგოსნებს შესწირვიდნენო.

– ღმერთო, დაგვიხსენ!

დიდი ხანი იყო ღმერთს დაეხსნა ქართველები მსხვერპლად შეწირვისგან და მადლიერი ერი მით უფრო მხიარულად ეგებებოდა ამ დღესასწაულს: გაისმოდა სიმღერები, საკრავის ხმები; როკავდა ხალხი, ნადიმობდა ნათელ ღმერთის წინ.

თითონ მანგიც გულსავსებით დაჰხვედროდა მის კარს მოსულებს: მოეხსნა რიდე, მხართ გარდაეგდო; დაეჩინა მთელი პირი დავაჟკაცებულს. უხდებოდა ბადრ სახეზედ ხმლის ნასერები, ბნელთან ბრძოლაში ლახტთა კვალი ჩალიბრებული. სხივთ ნაკადები დაენთქრია არემარისთვის, იმის მოსავთ ვერ უფლებოდა ბნელი უკუნი.

დაღვრემილი გიორგი კი მრისხანებით იმზირებოდა; შუბს იმარჯვებდა: თუ ეგონა, სამუდამოდ დაენაცვლა მანგს ქართველთათვის და სწყინდა ეხლა მლოცავთ განდგომა.

მოისმოდა ხალხთ ხმაურში წყალთა ჩანჩქარი.

– აქვე ახლო დიდებული წყარო გადმოდის; ქალდურაის სათავეა, რომ გამოვხედით.

– წავიდეთ, ვნახოთ!

– აბა იარეთ!

გასცდნენ ხეებსა, დაეშვნენ დაბლა და აჩნდა თვალთ წინ: უფსკრულ ხევში ღრმად ჩაჭრილი სალი კლდის კალთა. ნაპრალიდან გადმოჰქუხდა ვეება წყარო. ლაპლაპებდა მის ჭავლებში სხივთა ნალეწი, ელვარებდა ბუნჯგალ-ბუნჯგალ შხეფთა წინწკლებში. მთა, ტყე, ხევი ხმას აძლევდნენ მხლტომელ ტალღებსა.

– რა ლამაზია!

– შესაზარი შეიქმნება სიბნელეშია; დევთა ძახილს შეედრება დიადი ხმები, მათ ზეიმს, ქორწილს.

– აგერა მესმის ნადირთ ყეფა, კვნესა, ყმუილი.

– ნუ გეფიქრებათ! ხალხით სავსეა აქაურობა, მავნე ვერ გვიწევს. სხვა დროს კი... ამ ბნელით მოცულ უღრან ტყეში ყურთა სმენის დამხშობელ ხმებზედ ეცვლება ფერი თუნდ ვაჟკაცს გულადს, ფიქრი აიტანს.

13

მეორე დღეს ადრე წამოიშალა მლოცავი. ზოგს ჭამა-სმაში გაელივნა სულმთელი ღამე; ფეხზევ შეჰხვდნენ მზის ამოსვლასა.

– მათ მიწა ეძვრისთ, დაბანცალებენ.

– იცის ზედაშემ.

სიმხიარულე კვლავ შუადღემდის. გადაჰხედა მზემ თავქვე სავალს და დაიძრა მლოცავიც გზისკენ. ჩაალაგეს ოთარაანთ, მათ მეგობრებმა. ჩასხდნენ ბალღები. დიდრონები ერთს ხანს ფეხით მისეირნობდნენ. ისინიც დასხდნენ. ნაამებნი მიდიოდნენ პირზედ ღიმილით; უელავდათ გრძნობით თვალები. ფარდაგაწეულ ურემში ბალღებთან ერთად გადაფურჩქვნილ ვარდად იჯდა დედა გულნაზი. დაეშვნენ თავქვე. გზა ხევს ემზგავსა: ნიაღვრები თუ დიოდნენ ზედ ავდრობაში. ვაჟკაცები ცხენოსნებად ურმების უკან. მოულოდნელად შემოესმათ ჩოჩქოლის ხმები.

– წამოვიდა! წამოვიდა!

– ჰარიქათ, გზიდან!

– კამეჩია გაგიჟებული!

შემაღლდნენ ხმები, აირივნენ, გადაიხლართნენ. განწირულთ კივილ-წივილი. აფურტკვნილი ვაების ხმა ბუნჯგალ-ბუნჯგალი. შავ ზვირთივით მოგორავდა გაცოფებული. მიყარ-მოყარა, წამოქელა გზად მომავალნი: არა ჰქონდა გზას მოსარიდი. შეფრთხა გულნაზი, ჭალებს ეცა შეუგნებელად. დაეჯახა კამეჩი ურემს, აუქარვა, ურმის უბე შეაგვერდელა. ვერ გადაბრუნდა, მაგრამ როცა მძლავრად დაეშო და დაჯაყუნდა, ქალმა მაგრად დაჰკრა გვერდი ურმის ზეწარსა. დაჰკარგა ცნობა. მიეხვივნენ, მოაბრუნეს; შეუხვიეს დაჟეჟილი, შეუკრეს. ბევრს სხვას დასჭირდა მიშველება თუ მობრუნება: ნავნები ექმნა, სანამ ფეხი მოელეწნა, ჩაჩეხილიყო. ქალი თითქო მოსულიერდა.

– არა უშავს რა: კარგი ნიშანია, სისხლი რომ არ დაეძრა პირიდან.

– მაშინ ხომ შიგნეულობა ექმნებოდა დაზიანებული.

– სულ უბრალო დაბეგვით თუ გადარჩენილა.

– იქნებ გული ელდაზედაც შეუღონდა; ნუ გეფიქრება!

სადღა ჰქონდა ფიქრის ძალა ეხლა ოთარსა?! ბალიშებზედ მიეწვინა, გვერდს მოსჯდომოდა, ჩასცქეროდა, ჩასციცავებდა; სდარაჯობდა ქალის სუნთქვას; სისხლის ნაკვალს დაეძებდა მის ლურჯ ტუჩებზედ: ყური მოჰკრა სისხლს და მოეჭდო ამ წითელ სიტყვას. ის თუ ეგონა, სისხლის კვალი უჩვენებდა ყოველს შედეგს უბედურობის. ნახა ექიმმა. ქალს გარედან მეტად საშიში არაფერი არ ეტყობოდა. თითქო ძვალი არ არისო გადალეწილი. ლურჯი ზოლი გადასდევდა გულის ფიცარსაც.

– ვგონებ, ვუშველით. მძლავრად თუ არ შეჰრყევია შინაგნობა, არ დაჰშაშვრია. ვნახოთ კიდევა! – წარსთქვა ექიმმა.

მაგრამ ხმაზედ ეტყობოდა, დინჯად ვერ იყო: ეშინოდა რაღაც ზიანის. და დაიწყო გამართლება ექიმის ეჭვმა: ავადობამ დაჰრია ხელი, ჩაალოგინა; ყვითლდებოდა, უქრებოდა ცეცხლი თვალებში. სიცხე აღარ ჰნელდებოდა; მცირედ იყო შეხურებული, მაინც ყოველთვინ. ეხვეოდნენ მკურნალები, ამბობდნენ, ბჭობდნენ, თავს იქნევდნენ დასტურის ნიშნად; ერთმანეთს თუ ეთანხმებოდნენ. რას ფიქრობდნენ ექიმები, ეს მათ იცოდნენ; პატრონი კი, ჭირისუფალი, ამჩნევდა ცხადად, რომ ძვირფასი ეკარგებოდა. ხველა ააჩნდა, მსწრაფლ უმატა. სისხლი ნახველში! დაძაბუნდა; დაეშვა თავქვე. თვით ჰხედავდა ავადმყოფი აღსასრულის დღეს. ენანებოდა თავი, ქმარ-შვილი, განუყრელი ნაწილები თვის არსებისა.

– ვაჰმე, ქმარ-შვილო, ოჯახო ჩემო!.. – იტყოდა იგი

და სევდის ნამით ევსებოდა თვალთა უპენი.

– ჩემო ოთარ! გახსოვს, როგორ ვოცნებობდით მომავალზედა, ჩვენს ბალღებზედ, ჩვენს სიბერეზედ?

– რა დამავიწყებს?! ავასრულებთ ჩვენს ოცნებას, ვეწევით ნატვრას!

– შენ შეგხვდა წილად, შე საწყალო, აასრულო ის სურვილები, – სთქვა ქალმა

და კალთაში ჩაუდვა თავი. დაეწაფა ქალის სახეს სასომიხდილი. ცრემლებადღა იღვრებოდნენ ბეჩავთ თვალები, ჩუმ ქვითინში ჩამდნარიყო იმათი გული, მათ გრძნობათა შესაკრები განუყოფელი.

14

მაგრობდა ოთარ. ან რად უნდა დაეკარგნა ვაჟკაცს იმედი?! როგორ შესძლებდა განწირულად ჩაეთვალა ახალივე ჯერეთ სიცოცხლე?! ან როგორღა დარჩებოდა უიმისოდ თითონ ოთარი, მათი ნაშთი, ან მათი კერა?!

– არ შეიძლება! უსამზღვროა ძლიერება ნათელ მეუფის: მთლად არ განწირავს თავის ქმნილებას.

გაშალა ყოველივე შესაძლებლობა. არ დარჩა ხავსი, რომელსაც არ მოსჭდობოდა წყალწაღებული. შეეკითხა შინა ექიმთ, მკითხავ-მარჩიელთ; ძლიერ ხატებს შეუთქვა მსხვერპლი, კარდუხის ხატსაც. თვით ბელიარს მიართმევდა თავის საწყალ სულს, ოღონდაც მიეცა რამ საშველი კარგ სიცოცხლისთვის; ეშმაკსაც თუ დაჰხშობოდა სასმენელი ამ გასაჭირში: აღარსად სჩანდა!

მიიწია ქალი სიკვდიდ. ცნობა მთლად ჰქონდა, განმახული ხსოვნისა თუ შეგნების ძალა. იცოდა თავის მდგომარეობა; ჩასწდომოდა უძირო ტბას უშრეტ სევდისას, რომელშიაც ჩაეთხივნენ მისნი სისხლ-ხორცნი. ეს აწუხებდა შეღონებულს, უმძიმებდა ტანჯვის სიმძაფრეს.

ოთარი კი მაინც იმედს არა ჰკარგავდა: ვერ ჰრიგდებოდა გულნაზის სიკვდილს, ვერ მიმხვდარიყო შემოქმედის ესდენ სიმკაცრეს. კარგად იცოდა უგრძნობელი ბუნების ძალა, მაინც ეგონა, ვერ მიახწევსო მის სიმძაფრე ამ უგვანო უკიდურობას. ვერ იქრობდა განაწამი ჩანავლილ იმედს: სასწაულს თუ მოელოდდა სასომიხდილი!

ავადობამ უკვე სძლია თვით ნიშატიც არსებობისა, უფსკრულისკენ მიჰზიდავდა გადადებულსა. გააცალეს პატარები. შემოეხვივნენ.

– ოთარ, ბალღები!

– ეზოშია ჰყავთ!

– გადამახედე!

სარეცელი ფანჯარასთან მიაახლოვეს. მოჰხვია მკლავი, ნელ-ნელა წამოსვა. გადაჰხედა ავადმყოფმა ეზოს, წალკოტს, ალვის ხეებს, ბრწყინვალე მზეს, უდარდელად რომ ანათებდა. პატარები გოდოლს აგებდნენ: უფროსი რომ ხუროთმოძღვრობდა, უმცროსები უზიდავდნენ საშენ მასალას. ცრემლთა წვიმა ნაკადულად მიმქრალ სახეზედ!

– ჩემო ოთარ, გებრალებოდნენ!

ვერ სთქვა მკაფიოდ.

– რატომ ესე მებმება ენა?! – წარსთქვა ბეჩავად

და დაკრთა ძლიერ: ბალღისებურ მოიქცია სიტყვის ბგერები. მიაწვინეს, გადაიტანეს. კიდევ ხანი და დაკარგა თვალთა იერი. მიიხედა ბუნდი ხედვით მეუღლისაკენ და... გააჟრჟოლა. დაუხუჭა ოთარმა თვალნი. თითთა წვერებზედ შერჩა სითბო, ნაშთი იგი ძვირფას სიცოცხლის.

ვეღარ მოჰშორდა ბედშავ ვაჟკაცს იმ სითბოს გრძნობა. აღარ განელდა იგი სითბო აღარც შემდეგში. და სცხოვრობდა ძნელი ნაშთი მის მარჯვენაზედ.

– ბოლომდისინ უნელებლად დაშთება იგი!

– თვით სიკვდილამდინ?

– კვლავ შეხვედრამდინ!

ციურ განგებამ ნუგეშად ეს დაუტოვა სხივთაგან ქმნილ არსების ნაცვლად.

15

გარინდდა კაცი, გაუქვავდა გული, გონება; დაუფუყდა ნებისყოფა, გამოეფიტა; შავ ქანდაკად გაეყინა სული ცხოველი. იძროდა კაცი შეუგნებლად, როგორც მანქანა. წესს უკლებლივ ადევნებდა ჭირს უნელებელს, ურყეველად, მიზანზომილად: ჩარხი იყო ჩამოსხმული, გარე ძალით მმოძრავებელი. ცრემლი გამშრალი და ქვითინი ჩაყუჩებული. როდი მოისმოდა ოხვრა იმის მკერდიდან. წვრიმანისაც მიმდევარი ხედვა უაზრო. უკვირდა ყველას, ეს რა ხდებაო.

– რვალი თუ არის კაცად ნაქცევი! მედგარი თავს დატეხილი ბეწვსაც ვერ უხრის.

– ჰაზრი არსად ჩაუბნელდა; ხელი არ უთრთის.

– არა! კაცი არის ქვად გარდაქმნილი: ჰაზრი უაზრო, შეუგნები მოქმედება ალღოსებური, მანქანის მაჯა ურყეველი, ერთს ხაზზედ მსვლელი.

– მე მეგონა, მოტყდებოდა, დაიშლებოდა; მოჰღვარსლიდა მკაცრი სევდა, მქმედ მარჯვენას დაუდუნებდა.

– იმას თუ ცდილობს, არრით ამცნოს კერის ანგელოზს, რომ მოესპო შუქის სვეტი მის მკვიდრ ოჯახსა.

– რახან გაუძლო უბედობის პირველ შეტევას, ფიქრი აღარ აქვს: გაიშლება თანდითან წელში, მუხლს გაიმაგრებს.

– არ გაახარებს ავს თვალს მოშურნეს.

– მიწა გრილია! გაგრილდება მაგისი გულიც, მოეხსნება ჭირხლი ჭირისა და...

– მწუხრსა განისვენოს ტირილმან და ცისკარსა სიხარულმან.

– შენ არც კი ხუმრობ: ჯერ ახალი ვაჟკაცია და შეიძლება...

– ბალღები ჰყვანან.

– ეგ მართალია. მაგრამ დოვლათით არის სავსე: არ დასჭირდება ახალ დედას, პირისპირ შეჰხვდეს სხვისა ნაშენსა: ძიძა, მომვლელი, მწრთვნელი აღზრდიან.

ესე მსჯელობდნენ და მათი თქმის საფუძველი მკვიდრი სჩანდა ცხოვრებაში უტეხელ კაცის, გარეთათვის დასანახავ იმის ყოფაში. ის ეგონათ მაყურებლებს, რომ განვლიდა რამდენიმე დრო და დაჰკვლევდა ოთარ გზას ახალს. არ გაუმართლდათ მოლოდინი.

სცადეს საცდელი: ხანმა რომ განვლო და თავისით არ დაადგა კაცი ნაკვალ გზას, რამდენჯერმე მიუგზავნეს შუამავალი, შეაძლიეს უკვე ოჯახგამოვლილები, მთლად ახლებიცა, ნაგვიანებ კოკორში მყოფნი.

– გახევებულა! სულ დაუკარგავს ეშხი ცხოვრების. როდიღა ჰხედავს ლამაზ ყვავილებს, იმის წინ რომ გადაშლილან გადაფურჩქვნილნი.

– რამ ჩაუქრო ისევ მაგარს მურაზი ცხელი? იქნებ ჰყავს ვინმე შავ დარდების განმქარვებელი.

– რა ბრძანებაა! გულნაზის დროს, ეს შენც იცი, სხვა აღარავინ არსებობდა მაგ ვაჟკაცისთვის და იმის შემდეგ...

– ბერად თუ შედგა, დაყუდებულ მეუდაბნოედ.

– მათზედ უფროც მტკიცე ყოფილა: ისინი რომ ჰშორდებიან ლამაზ ქვეყანას, ეს შიგ ტრიალებს, მიმომავალ ყვავილთ საშუალ, და თავს იმაგრებს, თითქო კეკლუცთ ვეღარ ჰხედავსო.

– თუნდაც კაკატოს, მის ბალღების მწვრთნელს, მასწავლებელს.

– კარგი ქალია; თავის დროზედ ლამაზებში ჩაითვლებოდა; მცირედ შემჭკნარა.

– თავს იმაგრებსო. არა! ვერ ჰხედავს და ვეღარცა გრძნობს: თვალთ ისარი შორ ქვეყნისკენ მიუქცევია.

ალმასხანი მართალს იტყოდა: ჰხედავდა ოთარ სანუკვარებს, ვეღარ შეეგნო, რა ტკბილ ვნებას გამოსცემდა მათ პიროვნობა; ისევ ჰყნოსდა პირადპირად ყვავილთა სუნთქვას, სათავისოდ ვერ შეიგნობდა; ახლო იყვნენ, ეხებოდა მათ ხავერდ კანსა, მათ ალერსი სათავისოდ აღარ მიაჩნდა. ვერ შეეძლო ენეტარნა მათ სიტურფითა: ოთარის და იმათ შუა ცოცხლად იდგა გულნაზის სახე. განა აჩრდილი, ნათელთაგან შეკონილი მისი აღალმა.

– მაინც ხომ ისევ მიუწთომი ხორცთა მყოფისთვის.

– ოღონდაც რომ შეუხებელი!

16

ყრუ ტკივილად გარდაიქმნა ოთარისთვის უბედურობა, ურჩენელ წყლულად. მატულობდა იარა ნელა; შიგადაშიგ გამძაფრდებოდა. მკაცრი წამება უთმენელი ჰხლაკნიდა ვაჟკაცს. ზოგიერთს წამს უყუჩებდა სენი მკვნესარეს, რომ გაირთობდა კაცის გრძნობას რაიმ ქმედობა და დრო არ ჰქონდა, ჩაეხედნა გულის სიღრმეში. გარედგან კი მის ჭრილობას პირი შეჰკროდა. უხილავი შექმნილიყო უცხო თვალისთვის.

– შეგუბებულ სიმწარემ თუ პირი არა ჰქმნა, შეიძლება ჩემს არსებას ბოლო მოუღოს. რა ბედენაა ეს პირად ჩემთვის?! იქნებ სჯობდეს მუდამ ტანჯვას ერთხელ სიკვდილი. მაგრამ ვინღა აასრულოს ვალი ნატვირთი?

მართლა და გაუსწორებელი ცოდვა იქმნებოდა, თუ წაჰქცეოდა ოჯახს ეს სვეტიც: ნანგრევებში მოჰყვებოდნენ კერის შვილები, რომელთ მუხლი ჩვილივ ჰქონდათ, გაუმაგრები.

– შეშფოთდება მის აჩრდილიც ამგვარი მარცხით; ჯერ მასაც არ იამება ჩემი იქ მისვლა, – იტყოდა კაცი

და ფიქრდებოდა; იგონებდა თავის წარსულს ჯერ ისევ აწმყოს, ცოლთან მუსაიფს:

– გადავრგათ პატარებში შრომით თუ განცდით ზვავებული საუნჯე სულის. მემკვიდრობით გამოჰყვათ ნასახები ჩვენის არსების, სულიერის თუ ხორციელ შემადგენლობის, ეს კანონია გარდუვალი ნივთთა დენის, ქმნილებათა თანისთანი გამოჩენისა. მაგრამ ჩვენა გვაქვს ცნობიერად შეკრებილი განძი სულისა: განვითარება საზოგადო, განსაზღვრილი ცოდნა მრავალი, ზნეობა თუ ქცევა-ყოფა მიზანზომილი. მე მსურს ეს კარგიც ჩავუნერგოთ ჩვენს მომავალსა, რომ იმათში გარდავიქმნათ ორნი ერთპირად, განუყოფელ ერთარსებადა.

– მაგრამ სწავლისთვის, აღზრდისათვის ხომ სკოლებია და ოსტატები; ავალიათ მომავლების ხელმძღვანელობა.

– მე ეს მათთვის მშურს, მეხარბება! მათი სახეც დაემყნობა ჩვენს განგრძობასა...

ცოლი ვერ ეთანხმებოდა ესე მკაცრად შემოფარგლვას შვილთ პიროვნების, აქ მათნი ჰაზრნი ვერ ერთდებოდნენ.

ღამის დუმილში იგონებდა ოთარ გარდასრულს. ელანდებოდნენ დაღუპულის ფიქრები თუ თვალთა იერი, ჰაზრობის დროს სპეტაკ შუბლზედ მცირე ნაოჭი, მთლად მისი სახე, მისი კარგი აგებულობა. მის სუნთქვასაც ისმენდა ყურით. შეხება ხომ... მის თვალთა სითბო შერჩენოდა კაცის მარჯვენას. ცოცხალივ იყო ოთარისთვის გულნაზი იმ წუთს: თვის სურათის ჩარჩოებით გადმოსულიყო, მის პირისპირ იდგა ხორცსხმული. და ეტყოდა თავის ოთარს დაღონებული, ცრემლთ ნამები უსველებდნენ მეტყველ თვალებსა. ატირებდა ჩრდილის ცრემლი იმ ბრგე ვაჟკაცსა.

გასძახოდა გატანჯული გარდაცვალებულს, გაჰკიოდა გამწარებული. უსათუოდ გააგონებდა: არ მომკვდარიყო, არ დაშლილიყო მის ნათელი შემადგენლობა და... შეისმენდა, მიჰხედავდა დაობლებულებს.

– მოდი, მოგვხედე! – ხმამაღლობდა განაწამები.

აზეული მის ზახილი არ არღვევდა ღამის ყუჩილსა, სულ არ ისმოდა იმ სიჩუმეში.

– მო, მოგვესწრაფე!

ვერ აპობდა ბნელის დუმილს ხმა გამყივარი: ხორციელ ყურს ვერა სწვდება მძაფრი ზახილი, არ შეუძლიან აითვისოს ის საზარი ხმა, ზეცას რომ უწევს და დასწვდება გარდასრულთ არეს, მოახედებს თუნდ ნეტარებს მსოფლიოსაკენ.

– თუ შეუძლიანთ, იგრძნონ წარსულთ დაშთენილთ ტანჯვა, და ან ლხენა, სიმწარე, სიტკბო?

– ჰაი, ჰაი შეუძლიანთ! ყველას კი არა.

– მაშ?

– მხოლოდ იმათ, ვინც ამ ქვეყნად ანვითარებს უკვდავ სიყვარულს: ეს ნაზი გრძნობა ძლიერია თითონ სიკვდილზედ და აერთებს დაშთენილებს გარდაცვლილებთან; ეს ის სირაა, ნათელთაგან გრეხილი სიმი, რომელს არ ჰკვეთს ბედისწერის ბასრი მახვილი; მას დრო ვერ სწვდება და მანძილი მის წინა დნება.

– ნეტავ თუ იტყვი სიმართლეს ლამაზს?!

17

და ხმა საზარი, უხმოდ თქმული ზახილი ძნელი მიესმოდა გარდაცვალებულს. არც ისეთი უფსკრული სძევს წარსულთა და დაშთენილთ შორის, რომ მძაფრი გრძნობა ვერ ეწიოს იმ ქვეყნად მყოფთა. ორივ მხრიდან ისწრაფოდა ტრფიალება შეუსაზღვრელი: დაშთენილმა გაატანა თანამგზავრად თვისი გული იმ ქვეყნად წარსულს; გარდასრულმა ვერ მოსწყვიტა თვის დამწუხულ თვალთა ხედვა აქ დატოვებულთ.

– ღმერთო კეთილო! ლმობიერნო ჰაერთა მცველნო! მიუზღვენით დაკლებულნი დღენი ჩემნი ჩემს პატარებსა, ნუ აუფლებთ მათზედ ბნელ ბოროტს!

– დაივიწყე დანაშთენი შენ ყოველივე: უკვდავ ნათელით ნაშუქები ეს სანახები ვერ ითვისებენ ქვეყნიურ ყოფას.

– ვერა, შუქურნო, ვერ დავივიწყებ!

– ცოტაი კიდევ და დაგცილდება.

– ნუ, გეთაყვანეთ! სიყვარულის კვალზედ მიდის იქ ჩემი ხსოვნა და იგი ხომ ნასახია უმზღვრო ნათელის.

და ორი ძალა ერთურთისკენ მინასწრაფები, ორივ ნათელი, გარდავლიან საუკუნო სამზღვარს ურყეველს და ერთმანეთს შეჰხვდებიან, შეეყრებიან! მაშ რა იყო ის, რომ გრძნობდა ოთარ თვის მახლობლად გულნაზის ყოფნას?! მასთან ერთად

ცხოვრებიდან ბევრ შემთხვევას ისე ცხადად წარმოიდგენდა, თითქო ისევ ერთად იყვნენ და სიამით იგონებდნენ თავგარდასავალს.

– მაინც რამ გაფიქრებინა მაშინ გზას დადგომა იმ საშინელ ქარ-ბუქში, თოვლში?

– მეც მიკვირს ეხლა, რომ ვიგონებ თავხედურ სურვილს ისე ლამაზსა. მწყუროდა ძლიერ შენთან ერთად განმარტოება, შენით სუნთქვა, შენი შეგრძნობა და სიხარულით გამეხარდა, ნება რომ დამრთე. მეგონა, რომ შეკრთებოდი, შმაგად ჩამთვლიდი.

– ალისფერი აღტაცება სიგიჟის ბჭემდინ! მეც გადვირიე. ჩვენები კი როგორ შფოთავდნენ! რა თბილად იყო მოწყობილი კოხტა მარხილი! რად გინდოდა ეჟვანიანი ოთხ-ოთხი ცხენი?! ქურქში როცა შემახვიე და...

– მოგხვიე სურვილით მკლავი...

– როგორ განცვიფრდნენ სავანეში განდეგილები! კარგად გეფიქრნა სანუკვრების თან წამოღება. იამათ ძლიერ. რამდენი გვლოცეს!

ისეთივ ცხადი იყო ოთარისთვის ეს თუ მსგავსი სხვა მოგონება, როგორც იმ დროსა, სურვილი რომ ნივთიერად ვითარდებოდა. იტაცებდა მოგონება და ატყვევებდა. ვეღარ გრძნობდა ღამის გატეხას. ესეთი ცხადი გახსენება უსალმუნებდა მის გულს დალახვრულს. და იმ წუთში მისი სიყვარული უკვე უნივთო მასთანვე იყო კვლავ ცოცხალი და ხორციელი. თუ ეს ნათელი ჩვენებები არა ჰქონოდა მას ცხოვრებაში, დარდი დაჰლეწდა, დაამსხვრევდა, გაამტვერებდა.

ძნელი იყო ეს სიამეც გულჩახშულისთვის: ჰხედავდა ბუნდად აღტაცების ჟამსაც, რომ არღა იყო ტკბილად მასთან მოსაუბრე მისი მეუღლე, არ არსებობდა. ეს შეგრძნობა უნელებდა სიამის სითბოს, ანამებდა გაღებულს გულს გესლის წვეთებსა.

– დამენახვე ერთი კიდევ ამ ნივთიერ სინამდვილეში! მხოლოდ სურათი გაყინული ვერცხლის ჩარჩოში, ან ზმანებაი თუნდაც ცხადი, მეტად მკაფიო. სინამდვილის სანახებში, მო, მომევლინე!

და ეს სურვილი საკვირველი ხანდისხან ისე გაუცხოველდებოდა, ისეთ ძალას შეიმოსავდა, რომ ლამის დაერწმუნებინა ვაჟკაცი: აგერ კარი გაიღებოდა, შემოვიდოდა სახლის დედა ან მხიარულად, ანდა ზრუნვით შემობურვილი.

18

ქვეყნად რჩენილს გარდასრული კვლავ აწვდიდა ჰაზრს თუ რჩევასა, მხარს უჭერდა ძნელ წუთებში ცხოვრების გზაზედ: ოთარი შესთვისებოდა ცხოვრებაში მის მსჯელობასა და ეხლაც ხანხან თვისთან გრძნობდა, მასვე უსმენდა. ამისთვისაც იყო, რომ ვაჟკაცის მისწრაფება, ცხოვრებაში ასახული მისი მიზნები ვერ ირყეოდნენ, არ სცდებოდნენ წინანდელ სადენს: ანდერძად უჩნდა ეს ყოველი, დავალებადა.

მის ოჯახის ყოფა-ცხოვრება იმავე გზით მიდიოდა დღეს, მაგრამ ეს სვლა ვაჟკაცისთვის მძიმეღა იყო: ცოცხლად აღარ ტრიალებდა მის სურვილთა სულის ჩამდგმელი და ბრალი იყო დაბზარული მარტო მავალი. ამ საძნელო წავარნაზედ ბნელდებოდა მისთვის თანდათან, მრავლდებოდნენ წყვდიადისგან წარმომდგარი საშიშროები, პირსისხლიანი ჩვენებანი, წრეს რომ ავლებდნენ თანისთან იწროს მგზავრს ცხოვრებისა.

– მიმძიმდება, საყვარელო, სიცოცხლის ტვირთი! პირს როდი იკრავს ჩემის გულის იარა, ძნელი. ეჰა, უკვე ვიძირები ცხოვრების ზღვაში! მო, მიბყარ ხელი!

– შენ მიშველე რამ ტყვექმნილსა, ჯაჭვნი მაბიან, რკინანი!

– ბრძოლა ბოლომდინ! წინ სვლა უტეხად!

– და როდემდისინ?!

– ყოველს ჟამს, მარად!

– გამღუნა წელში სიმძიმილმა და...

– ნუ, გენაცვალე! შემართება დაუცხრომელი! დაძლეული მაინც იბრძოდე!

– ნუთუ აქა ხარ, ჩემს ახლოს სადმე?! დამწუხულ თვალით მაინც ჰხედავ ნაკადს სისხლისას, რომ გადმოსდის ნაჭრევიდან ჩემს გულს დალახვრულს?

– იბრძოლე მაინც! არ დაგცილდეს ჭირთა ნახვა, საზიაროდ რომ განგვიცდია; გახსოვდეს მარად!

ახსოვდა ოთარს; არ სცილდებოდა მის გონებას ჭირი თუ ლხინი მათ წარსულში ერთად განცდილი. აწც წარმოუდგა: სარეცელი განწირულის პირმშო ბალღისა. ექიმები მოღლილიყვნენ მეტის ბრძოლითა, გადაედოთ შემძიმებული.

– ხომ გახსოვს, რომ მომაკვდავთან დავრჩით მარტონი?

– და დავსტიროდით.

– ვევედრებოდით სიცოცხლის და სიკვდილის გამჩენს.

– მისწვდა ხმა შენი თვით მიუწდომელს და...

ისე ცხადად წარმოუდგა მაშინდელი ყოფა საშიში, მერმე დიდი სიხარული დაუტევარი, რომ მკლავნი გაშალა თვის მეუღლის მოსახვევნელად და... გამოფხიზლდა. გამაგრდა წელში, გააკლდევა გული დაშლილი.

– მაშ ისევ ბრძოლა! სვლა შეურყევი მასთან ერთად არჩეულ გზაზედ! – რიხიანად დაიხმაურა

და მიიზიდა მისი სურათი, დაჟინებით ჩააკვირდა, თითქო ჩააკვდა. გაუცოცხლდა ნახატს თვალები; გაცხოველდა ბოლონდელი მათი სითბო ოთარის ხელზედ; მკერდს შეიხო თვისი მარჯვენა, რომ გაელხო გულის ყინვა მომაკვდინები.

19

საქებურად ირჯებოდა კარგი ვაჟკაცი; წვრილების აღზრდა, გზის გაკვლევა დიდრონებისთვის, საოჯახო საქმე მრავალი, ზრუნვა-შრომა საზოგადო საგონებელზედ, განათლების ნათელ გზისთვის თვალის დევნება. დინჯად, ურყევად უძღვებოდა ყველა ამ საკეთს. არც თუ ძლიერ გაუკაცურდა: კავშირს, ერთობას არა სწყვეტდა ნაცნობებთანა, მტერთან, მოყვასთან. არ ემჩნეოდა გარეგნულად ჩათხრობა გულის.

ის იყო ძნელი, რომ ოთარი ორმაგ სცხოვრობდა, ორ გეზს მისდევდა: ერთი გზა რომ შეჰყოლოდა საყოველდღეო ზრუნვას, ცხოვრებას, სხვა სავალი აჰხაზოდა მხოლოდ პირად არსებობაზედ, მის ფიქრებზედ თუ გრძნობებზედ, მისწრაფებებზედ. და ამ არეში, საპირადო განცდების გრკალში, გარდასრული ასტოლებოდა, გვერდს იგივ ჰყვანდა, განუყრელად მასთან მყოფი ქალის სახება.

– მისი აჩრდილი?

– ჰაეროვან ნივთიერი მისი არსება. ვერ მოესპო ვერც ძნელ სიკვდილს მათი ერთობა. მაგრამ მხოლოდ ოთარისთვის არსებობდნენ სანახები მის ამ ყოფისა, სხვებისათვის შეუნიშნავ-შეუგრძნობელნი.

– შესაგნებლად იქნებ მთლადაც შეუძლებელნი?

– მრავალთათვის მიუწთომნი, გაუგებარნი; მაინც მართალნი!

ზენივთიერი არსებობა გარდაცვლილისა თვით ოთარის თვალთათვისაც ჯერ უჩინარ იყო; მის სმენისათვის იმისი ხმა მიუწთომელ. არც შეხება იყო ისე ვითარებული, რომ შესაძლო ყოფილიყო მის მკვეთრად აღქმა, თორემ მაშინ...

– საიდუმლო მის არსებობა საჩინარად შეიქმნებოდა, არსება ჩემი ნივთიერი შესაძლოდ ჰყოფდა ათვისებას მისის აღალმის და...

– მაშინ აწმყო განგრძობავე იქნებოდა გარდასრულისა, უშუალო შეერთება თვით მომავალთან! – შემოესმა თქმა საკვირველი

და გაჰხედა თავის ძნელ წარსულს, მოაგონდა ბოლო წამები:

– იცი, ოთარ, მოგეჭდობი, მიმიზიდე, რომ სიკვდილმა ვეღარ შესძლოს ჩემი აგლეჯა, გადატანა უჩინეთისკენ. ესე, სიცოცხლე!

– ნუ, ნუ ღონდები! რად ფიქრობ მაგას? მძიმე შეგხვდა ავადობა, მაგრამ ჯერეთ ახალი ხარ და დასძლევ ბოროტს.

– ჰოო, გენაცვა?! ვაჰ თუ...

ვეღარ შესძლო მილეულმა სიტყვის აწყობა, შეშფოთ-შებორგდა შეწუხებული. ისევ დაწყნარდა; მილულა თვალნი; თითქო ჩასთვლიმა. ოთარმა სუნთქვა ჩაინელა, რომ არ შეეკრთო თვალთა რული გატანჯულისთვის.

– რომ წარვსდგები მეუფის წინ, შევევედრები, მომცეს ძალა, მოვიდოდე, გინახულებდე, მოგავლებდეთ ჩემს სატრფოებს დამწუხულ თვალებს.

– გულს დაუწყნარდი, საყვარელო, მეტადა ჰღელავ.

– ხმაში ცრემლები?! გაიკლდევე. საწყალო, გული! ეგებ შესძლო, აასრულო ჩვენი ოცნება.

ჩააშტერდა მიმქრალ ხედვით თავის ვაჟკაცსა. ის თუ უნდოდა, წაუშლელად აღებეჭდა თვისი სიტყვა მის არსებაში.

აგონდებოდა აწ მარტოებულს საბრალო თქმები გარდასრულისა და რწმუნდებოდა: ვერ შესძლებდა ქალის გული სიყვარულის განქარვებასა, თუნდ მკვდარი გული.

– ღმერთი ნათელი არ ანებებს მის მძაფრად ტანჯვას და მისცემს ნებას ჟამითჟამად მოგვიახლოვდეს, – ნუგეშობდა უნუგეშოდ ჰაზრანთებული.

სწამდა თვისი თქმა! მხოლოდ ისღა აღონებდა, რომ გარდასრულს სხვანაირი ხორცი ემოსა, თითქო უნივთო, მშვენიერი, შუქთა მაგვარი; თითონ კი ჯერეთ ისევ ხრწნად ნივთთაგან იყო შეთხზილი, ემოსა ხორცი მშვინიერი, ბნელის ზიარი.

– ვაჰ თუ ჩვენ შორის შეუძლებელ შეიქმნასო რაიმ ერთობა, ერთურთ შეგნება და შეგრძნობა ზეარსებული.

20

ზამთარმა ბოლო მოიქნია. ასტყდა ქარ-ბუქი. ზევით ცა აღარა სჩანდა, ძირს დედამიწა. ხალხი ბუნაგში ჩაეკეტნა ავსა ტაროსსა. აებანძვათ ყველაფერი, დაბარდნულიყვნენ. ვინ გააგდებდა ძაღლსაც კი კარზედ?! უილაჯო გამოჰყოფდა სახლიდან თავსა. დღისითაც ბნელოდა. ჰაერთა ტალღებს აჰქონდა თოვლი, ატრიალებდა ყინვის ნაფშვნეტს, კარ-ფანჯარას ახეთქებდა, აჩხრიალებდა. თეთრ ზვინებს სდგამდა სიღრმეებში, მყუდროებზედა.

– ჰო, ჰო! კარს ვქოლავ, ყავრებამდინ ავალ, ავაგებ! – გაჰკიოდა გამძაფრებული.

გაცოცხლდა ცეცხლი კერებზედ, გაცხოველდა სათაყვანები. თბილი ბოლიც სანატრელი გაჰხდომოდა გათოშილ სულდგმულს. და ღარიბები, უმწეოები...

– ჰა, ჰა, ჰა! კიდევ მიმაგრდებიან! შემოგაბდღვნით ნაფლეთ-ნაკონკს, გაგიშრობთ სისხლსა! ყინულად გაქცევთ! საარაკოდ გაგიხდებათ ჩემი თარეში.

ეხეთქებოდა ქარიშხალი კარს თუ ფანჯარას, ქოხმახობას საფუძვლიანად აზანზარებდა.

ვერ სწვდებოდა ჰაერთ ფურტკვნა ოთარის კერას. მკვიდრ სასახლეში, თბილ ოდებში გაზაფხულის ჰაერი იდგა. მაშრაფებში ყვავილები გარდაშლილიყვნე. ოჯახს ეძინა: დამწყვდეულ ბალღებს მოსწყენოდათ, ჩაწოლილიყვნენ. გადაჰხედა მეუღლის ლოგინს: თავისსავე ადგილს იდგა ისევ უცვლელად. თუ მოელოდდა შორს წასულ პატრონს?! შემობრუნდა თავის ოთახში. აიღო წიგნი. როდი ესმოდა: არც სიტყვები, არც ფრასები არრას ეტყოდნენ. სცადა დაწერვა, მიიახლა დაწყებული რაღაც რვეული, გადაშლილი რომ ელოდდა თავის განგრძობას. გაჯიუტდა ხელში კალამი: როდი სწერდა, ბორძიკობდა გლუვ ქაღალდზედა, არა სცურავდა, ედებოდა არყოფილ კვირწლებს. გადადო იქით. გადაეყრდნო სავარძლის ზურგსა.

აფრიალდა საიდუმლო ფარდა უჩინი და გამოჩნდნენ სახეები, მოქმედებები: მოცურავდნენ, მოცეკვავდნენ, მოიმღეროდნენ; ფრთიან სიტყვას შესტყორცნიდნენ მათ მმზერალ ოთარს; გაივლიდა ყვავილოვან ველის ნაწვრეთი, მიმოჰფენდა გაზაფხულის სუნნელებასა. და შორით-შორს ხუჭუჭი ტყე, ლაჟვარდ ცამდინ ატყორცნილი მძლავრი ხეები. პირადპირად სულდგმულთ გუნდები. ჰაერთ ზვირთებზედ მოცურავდნენ თეთრფრთა ნავები და შიგ მსხდომნი მშვენიერნი იღიმებოდნენ. გადიხსნა სურათის ჩარჩო და გადმოვიდა თითონ გულნაზი. მიცურავს მისკენ ყვავილებით გარშემორტყმული. დიდრონნი თვალნი მდორე ცეცხლით გაშუქებულნი. თმა – მარაო მშვენიერი, ტევრად გაშლილი. ცივ ღიმილად გაპობილი პირის ნაყოფი. მისი ხმა არის:

– მოველ, მოვფრინდი: ვერ გავსძელი თქვენ უნახავად!

– მოხვედ, კეთილო?! ჩაგვაშავა შენ განშორებამ. მო, მომეახლე! – შეევედრა ცოცხალ აჩრდილსა

და ხელნი მისკენ გაიწოდნა შესაგებებლად. განქრა ჩვენება: ფარდა თუ რამ ჩამოუშვა გონების თვალთ წინ. დარჩა ოთარი ისვე მარტო გულდალებილი. დასხეპილი ტოტებივით ჩამოყარა მუხლზედ მკლავები. ჩააშტერდა ქალის სურათსა. უძრავად იყო იგი სახე, შეჰმზეროდა დაღონებულ თვალებით ოთარს. ის სურათი მაინც მარად მას უყურებდა: ოთარისთვის თუ ცოცხლობდნენ ხატზედ თვალები.

– თუ ჩამეძინა. არა, თვალი არ ჩამიხუჭავს; ყველაფერი ნამდვილად ვნახე, – იტყოდა ოთარ

და ვერა სწამდა, რომ ნანახი ზმანება იყო.

– ნამდვილ მეჩვენა! ჰაეროვან ხორცშესხმული სანახაობა. სწორედ მოვიდა! თვალო დაგვკრა ჩემმა ტრფობამ სამარადისომ, ჩემმა სევდამ უნელებელ-უქარვებელმა, – წარსთქვა ვაჟკაცმა

და გაიხსენა მიჯნურის აღთქმა:

– შეევედრები დიდ შემოქმედს, ხვეწნით მოვულბობ უგულო გულს თვით ბედისწერას და მოვალ თქვენთან, საყვარელნო, მოგევლინებით!

21

მოჩვენება არ გამეორდა; გაცრიატდა ოთარისთვის იგი სურათი; თითქმის კიდეც მიეფარა მის გონების თვალთ. არის ხანდისხან ზმანება ცხადი, ისე მკაფიო, რომ ჩადგება სინამდვილეში; ეტოლება ნივთიერ საგნებს, როგორ ხორცსხმული.

ბოლოს მაინც მქრალად მოჩანს და განიბნევა. ესეთი სჩანდა ის ჩვენებაც ოთარისათვის.

ცხოვრება კი თავისსავე წარსადენლით იგრაგნებოდა, ჭირისუფალიც უნებლიედ აჰყოლოდა იმის დენასა.

უზარმაზარი არსებობის იგი ბორბალი. უშლელ საბრუნზედ მიტრიალებს და მარად მიდის. მიაქანებს შემოქმედთ, შექმნილთ, სამყაროებს, არსსა ყოველსა. გაჰყინვია ბნელი გული უმზღვრო სივრცეში. არ არსებობს იმისთვის ავი თუ კარგი, სიხარული ან სიმძიმილი, ჰაზრი მქმედი, არც დანმთქმელი. ფიქრთ უქონლობა. შენივთებულ მარადობისგან თუ შესდგება იგი, შემოქმედთა, ქმნილებათა ზემფლობელისა?

რა არის მისთვის პიროვნების განცდა ძლიერი, თუნდ ხალხის, ხალხთა, კაცობრიობის? არცრა, სულაც არაფერი! ჰა. ჰა, ჰა! ყურადღება ოთარის კვნესას, წამწამთ ახვრა მის სიხარულზედ?! რა საფიქრია!

– რას ლოცულობ, წარმავალო, ვის ევედრები? თუნდა გისმინოს შემოქმედმა შენმა ნათელმა და შეგიწყალოს, იგი ვერ შესძლებს შეგისრულოს გულის წადილი; არ ძალუძს იმასაც აიხდინოს თავისი ნება: ყურნი არ ასხავს მის სასმენად დიდ ბედისწერას.

– მაშ მივმართავ ბნელის შემოქმედს, შეევევედრები; მოვსთხოვ, მე მომსპ...

– ნურც მას მოიწვევ, უბედურო, ბნელთა შემოქმედს; ვერ შეგისრულოს განზრახვა ქუფრი: თვალნი არა აქვს მის დაღრეჯის დასანახად დიდ ბედისწერას.

– როგორ შევმართო მაშ სასტიკ ტანჯვას და...

– იარე, იმოძრავე შენდა მოჩენილ საბრუნავზედ ისევე ურყევად და უყენებლად, ვით მოძრაობს ბედისწერის იგი ბორბალი. გსურს გაიგო შენ მიზანი უყენებელ მოქმედებისა? დაფარულია შემოქმედთათვისაც! ერთია ცხადი: უცხრომელი მოქმედობა შენს წავარნაზედ, ვით უყენი ბრუნვა დიდის ბედისწერისა!

რა შეეძლო დაღონებულს ოთარს იმის გარდა, რომ მანამ სული ედგა და ცნობიერება არ ჩაჰქრობოდა, ემოქმედნა მისად მიჩენილ სარბიელზედა?!

პირნათლად ასრულებდა მოვალეობას. არვის არ ამჩნევინებდა, რა საშინლად დაჰბასროდა გული საწყალი. თითქო თითონაც ვერ ამჩნევდა ყოველდღიურ საზრუნველში მჭიდროდ ჩაბმული, სიკეთეთა წარმართვაში, ავთან ბრძოლაში. მხოლოდ ღამღამე, როდესაც შესდგებოდა საკეთებელთ დას-დასად დენა, დაფიქრდებოდა თავის ყოფაზედ, წარსულ ბედზედ ანუ აწმყო უბედობაზედ; წარმოიდგენდა უსწორებელ თავის დანაკარგს, იტანჯებოდა. აღარც ებრძოდა შავ სევდის ტალღებს. ჩაიხვევდნენ ჯავრის ზვირთები და შეასმევდნენ ნაღველს პეშვებით; გაუჟღენთავდნენ წამწამს, წვერ-ულვაშს; თვით კალთასაც აუვსებდნენ მდუღარე შხეფით და დაჰლეწავდა მწუხარება იგი უსამზღვრო, მჩვრად გადაჰქმნიდა, სველ რამ ძონძად მთლად უვარგისად.

– რას სტირ, ბედშავო?! ვინ მიიღოს ცრემლი ვაჟკაცის?! სვას არვის ესმის ქვითინი უხმო, უცხო ვერა გრძნობს მდუღარ ცრემლის სიმწვავეს ძნელსა. მე კი ვღონდები; გაყრის სიმძაფრე, თქვენი ხსოვნა არა მცილდება. და ეგ ცრემლები უფრო მეტად შემამძიმებენ, – გულნაზის ხმა მოესმა ოთარს.

მოიწურა თვალთა ნამი. სურათს შეხედა. დაიძრა ხატი. მოდის ქალი, ნისლის სახით მოეფინება. წარუდგა გამკრთალს. გაიღვიძა თმამ მის თავზედა, გასწორდა წელში თვითეული, ეკლად დაესვა.

– თითონ მე ვარ, ჩემო ოთარ, ნუ გეფიქრება!

გონს მოვიდა. მოსაჭდობად მკლავნი გაშალა.

– ნუ! გეთაყვანე! არ მომეახლო: უფსკრული გვყოფს ჯერ ისევ ძნელი!

მცირედღა და განქრა ჩვენება.

22

ოთარის ყოფა გამრჯელ კაცის ცხოვრება იყო ნაყოფიერი. ნივთიერად კმაყოფილი, ნათელ განცდებიდანაც არ იყო ცალიერი და კმაროდა ეს ადამიანურ არსებობისთვის. მეტისმეტად ვერ დაჰგმობდა წუთისსოფელს სიმკაცრისთვის თუნდ ამ ბოლოს ჟამს, თავის ცალის დაკარგვის შემდეგ. ყისმათს განუმრთელებელი ჭრილობა დაემჩნია მისთვის, სულის ნახევარი წარეტაცნა იმისაგან. მაგრამ აქ ყოვლად ძლიერ განგებას ეჩინა თავი და მას კი ხმალი არ დაეკვროდა: სამყაროის დიდ შემოქმედნიც ჰმორჩილებდნენ იმის ნებასა.

მაინც აქაც შესძლო ოთარმა თუ მის ხელში ჩანერგილმა მძლე სიყვარულმა სავალის გაჭრა, თუმც მეტად ძნელის: არ გაეწყვიტნა სულს გარდასრულს მასთან კავშირი, ეჩვენებოდა აჩრდილის მზგავსად, ეთეროვან ხორცშესხმულ ლანდად. ჯერ ვერ იცოდა, ცხად სიზმარში ხდებოდა ეს, თუ სიზმრისებურ სინამდვილეში; მაინც დიდად სანუგეშო იყო ეს მისთვის: შეძლება არ მოჰკლებოდა, კვლავ ენახნა გარდასრული სიცოცხლე თვისი. ამ პირადმა საიდუმლო იმისმა განცდამ, რაკი ერთხელ გაიკვლია სავალი ძნელი, თანთან იმატა და გაჰკვალა სანახები მისის სულისა.

ეს სხვა სადენი. ჯერ ისევ მკრთალი, უწყვეტელად აჰყოლოდა მის ცხოვრების გზას: ვაჟკაცი რომ არსებობდა ნივთთა შორის სინამდვილეში, იქაც ცხოვრობდა, ცნობის სხივით გაშუქებულ უსხეულო არემარეში, სად თვისი სატრფო ცოცხალივე ევლინებოდა. ზენივთიერი არსებობა მისი პირადი რკვეულ სახეს ითვისებდა, ძლიერდებოდა; ჟამიერად კიდეც ჰნისლავდა სანამდვილო ცხოვრების შარას.

– რომ ოთარს მთლადაც გადაეტანა თვისი ყოფნა იმ მეორე არსებობის არემარეში?

– დაიბნეოდა ნივთიერის ცხოვრებისათვის!

– არა! ძლიერია ნივთთა უფლება: მძლავრად შეჰმართავს, შეებრძოლება; წარმოავლენს რაიმ ძალას თვის წიაღიდან, თავისკენვე მიიზიდავს მისგან გახრილსა.

– შესაძლო არის! მაგრამ...

– ბატონო ოთარ! თქვენ სანახავად ავთანდილი მობრძანებულა.

– სასტუმროში შეიწიე. ეხლავ მოვა-თქო.

საუბრობდნენ მეგობრები, ყალიონს სწევდნენ. მრავალგვარი საგანი თუ სახე სიტყვისა. თქვეს კაკატოზეც. კარგს იტყოდა ავთანდილი, უწონებდა მოსაზრებასა, რომ ის ქალი მიიწვია ბავშვთ მასწავლებლად.

– გამოცდილი ოსტატია, დაკვირვებული. მოწყობილი სახლი ჰქონდა მაგის მამასა. ეხლა...

– დავეხარბე: ნასწავლია და თანაც ზრდილი, კარგის ქცევისა.

– არც თუ უშნოა, ახლობაში ლამაზადაც ჩაითვლებოდა...

დააკაკუნეს. შეაღო კარი.

– შემობრძანდით!

– შინ გიახლებით. ძიძა წასულა და ბალღები...

– მობრძანდით, ქალო!

შემოვიდა. მიემშვიდობა. წელში იყო გამართული. თავი ოდნავ დაეხარნა. თხემზედ ბულულად შეგროვილ თმაში ვერცხლის სიმები. მუქ ტანსაცმელში.

გულისპირი მცირედ მორთული. ერთადერთი ბეჭედი ხელზედ. ზურგშემღერილი ვიწრო ფეხი ღილულ წუღაში.

– თუ ძალიან არ გეჩქარებათ, გთხოვთ მოიცადოთ; ჩაი მიირთვით.

მიჰხვდი კაკატო, რომ ოთარი იმასა სთხოვდა, ჩაის მოწყობა თითონ ეთავნა, რადგან ძიძა არ იყო შინა, და დაეთანხმა.

სტუმარმა თვალი გააყოლა ქალს.

– მადიანია, მადლიანი აგებულობის!

– მიკვირს, ბედი დასძვირებია.

– ქალი იჯდეს – ბედს ელოდდესო.

23

ძიძა პირველად უგულოდ შეჰხვდა ოჯახში შესულ ამ უცხო ქალსა: მას დაეზარდნა პატარები და ეხლა სწყინდა, ნაამაგევნი სხვისთვის უნდა გადაელოცნა. იმისიც ეფიქრებოდა, ახალმა სულმა დიასახლისის ადგილზედ არ დაიჭიროსო თვალი. თეთრი ქალი ჩაფიქრებულ თვალებიანი შეიძლებოდა ნდომის საგნად მოჰვლენოდა დამარტოებულს. სხვა ხინჯი ვერ შეამჩნიეს მზვერავ თვალებმა.

დედის ალერსს მოკლებული პატარები მალე შეეჩვივნენ ქალს; მსწრაფლ დაიმორჩილა ისინი მისმა კარგმა თქმამ და გამრჯელობამ. ამოქმედდა მათ საამოდ, პატარებიც აამოქმედა, გასართობად მოუვლინა სწავლა თუ გაწვრთნა. დაუკმაყოფილებელი დარჩენოდა დედობრივი ალღო ნაჭარბი და თბილ გრძნობათა სავსებიდან ჰფენდა სიკეთეს. მოსწონდათ ობლებს, თვითონ ქალიც სიამოვნებდა: მეწველს რძე რომ მოეჭარბება, სხვის ხბოს კვებაში თითონაც გრძნობს დაამებასა.

სხვა თვალითაც უყურებდა ქალი ამ საქმეს: უმჩნეველად მოხნიერებულს ნამდვილ დედობა დიდ წადილით მოსწადებოდა და ოთარი... რად არ შეიძლებოდა თავს შემოევლო ოთარისთვის თავის ქალობა?! ვერ ჩასთვლიდა ქალი ოთარს უბრალო კაცად, ცხოვრებას რომ ატარებენ ყინტორისებურს. მოსიყვარულე გულისაც სჩანდა: სხვანაირი ისე თავს ვერ დაუდებდა კერის საქმეებს, მწყობრ ცხოვრებას სილამაზეს დაუკარგავდა.

– ერთად შრომას, კერის გებას უმძლავრებია მათ სიყვარული თავისთავადაც ალავარდნილი. ვეღარ ივიწყებს! – წარსთქვა ქალმა თითქო შურით

და შენიშნა, რომ მის ქალურ გრძნობას ჩამოსდნობოდა უიმედობის თრთვილი მყინვარი; მოსწყურებოდა შემოდგომის ყვავილივით გაღაღანება თუმც გატეხილის, მაინც მებრძოლ მზის სხივებზედა.

– ბედნიერი ქალი იყო გულკეთილი იგი გულნაზი: გარდასრულსაც ვერ ივიწყებენ! მხოლოდ სიკეთით იგონებენ გარეშენიცა, – წარსთქვა ქალმა

და ადგილსვე დადო სურათი.

– მკაცრად მოებყრო ბეჩავს იღბალი: დააკარგვინა კეთილი ხვავით აღსავსე სახლი და ჯერეთ ისევ ცეცხლუქრობი ქმარი ჭარმაგი... არც მე დამადგა ბედი ღიმილით: არ შემახვედრა ცხოვრებაში ჩემთვის რჩეული.

გარდაავლო თვალი თვის წარსულს. უსმინა ხსოვნამ, ნაცნობ ვაჟკაცთ სახეები ჩამოუტარა. ფერნაცვალნი შექმნილიყვნენ, გახუნებულნი.

– არც მაშინ ჰქონდათ ყინჩი ფერი ჩემი საფერი! სვიმონ... მეტად დიდობდა გამოფიტული; ვგრძნობდი, მოვსწონდი, ვერ კი იყო ეშხით აღსავსე და გავდეგ განზედ. გრიგოლ... ვარგოდა ჩემთვის, მაგრამ ფულის მოტრფიალე მზითევს ეძებდა, მე კი... არჩილ, ახ, არჩილ!..

შეწითლდა ქალი მოგონებაზედ. ბოროტმა ცეცხლმა გაუელვა აწ უღონომა. უგემურად იგონებდა სხვა დანარჩენებს.

– ხანი თურმე მიდიოდა, მე ვერ ვამჩნევდი: აგერ ჩქარა ორმოც... რომ შემხვედროდა მაშინ ოთარი... რატომაო?! ვედრებოდი სიმშვენივრით, განათლებით იმის სატრფოსა. ეხლა, როცა გაუვლია ჩემთვის ფრთიან დროს, ეხლა...

და სწყინდა ქალსა, რომ ოთარი ვაჟკაცურად არ ავლებდა თვალს მის ტანს, მის სახეს მაინც ლამაზს, თუმც ჟამთაგან ოდნავ მიჭმუჭვნილს.

გაჰკვირდა ქალი, როს შეაღო თვის გულის კარი: შეჰყვარებოდა ნაგვიანი სიყვარულით კაცი სხვის კერძი! მთელ ქალურ ალერსს გარს მოახვევდა მას სანუგეშოდ, რომ მოეხსნა მისთვის რიდე ბნელი სევდისა და შეეცვალნა სიმძიმილი დაყუჩებათა.

გადააგდო სავარცხელი. გაშლილი თმა უშნოდ შეკეცა. რისთვის იყო იგი საჭირო?! ვერ უალერსეს იმის სატკბობ აბრეშუმობას! ვერ გადასცეს სასურველ კაცს აღგზნების ძალა: მისთვის უხშირებს ბუნება ქალს თმებს, მრავალ სიმებით გარდაჰფინონ რჩეულ ვაჟკაცს ვნებათა ჭავლნი.

24

ამ ხანებში ოთარს ვაჟი ავად გაუხდა. შემძიმდა სწრაფად. გაუჭირდა ექიმს წამლობა, სხვებსაც მოუწოდა. ბჭობა გამართა. ვერც მათ უშველეს. ცუდ ყოფაში ჩავარდა ბავშვი. შეკრთნენ მკურნალნი და შეიქმნენ იმედმიხდილნი.

ქალი კაკატო ჯერ ფრთხილობდა, თვალს ადევნებდა. როცა გაჭირდა და ყველანი დაიფანტნენ ჰაზრაბნეულნი, ძლიერ მოქმედ ჭირისუფლად მოევლინა სახლს გაჭირვებულს: ჩაუდგა კვალში, თავის ხელით ასრულებდა მკურნალთ ბრძანებას; წესს აძლევდა ყველას, ყველაფერს; ოთარიც აწ ჰმორჩილებდა იმის სურვილებს.

– საბოლოვო წუთებია, გადაწყდება ყმაწვილის ბედი.

– ვერ გადაიტანს უკანასკნელ გაბრძოლებას ავადობისა?

– ეგრე მგონია. მაგის მამას უკვე ვუთხარ, შევამზადე უბედობის დასახვედრადა.

– მაშ?

– მაინც ბრძოლა! ჩვენი ვალია, არ დავყაროთ იარაღი, სანამ კი სუნთქავს, – ბრძანა ექიმმა

და დაარიგა, როგორ უნდა ედარაჯნა განწირულისთვის. ქალი თითონ შეებრძოლა სულთამხუთავსა: მოიკეცა სარეცელზედ, ავადმყოფი გადიწვინა კალთა-მუხლებზედ და თვალს აღარ აშორებდა გაქვავებული. უხმოდ ბრძანებდა. უკრძალავდა წესის დარღვევას.

ოთარ იქ იყო. გაჰყურებდა თავის პატარას. ალბათ სული ამოერთვა სევდას იმისთვის: აღარა გრძნობდა, ვეღარ ფიქრობდა; შეუძლებელი შექმნილიყო ბალღის მორჩენა, სხვა კი საწადი აღარ იყო ეხლა იმისთვის.

ნახა ქალმა, რომ ოთარი მარტო ოდენ იტანჯებოდა და გადაჭრით დაითხოვა ოთახიდანა. წავიდა კაცი; ჩაესვენა სავარძელში; გაჰყურებდა სივრცეს უაზროდ. სურათიც კი, გულნაზის სახე, ბუნდად სჩანდა მის შეგნებაში. ერთი ფიქრი მოუსვენრად დასტრიალებდა:

– რადღა გინდა თავი ცოცხალი?!

რად უნდოდა აწ სიცოცხლე განაწამები?! გულნაზის შემდეგ იარადღა გარდაჰქმნოდა სული ლახვრილი და ეხლა მარცხი ხომ სავსებით აავსებდა ბნელის საწყაულს. დაინთქმებოდა მის სულის ძალა, დაინთქრეოდა თვით სურვილი ქვეყნად ყოფისა. დასძინებოდათ მოქანცულებს, იმედმიხდილებს. არ ეძინათ იქ – ქალს, აქ – ოთარს.

– რად მსჯი, უფალო, ესე მწარედ, ესე სასტიკად? აღზრდას ვცდილობდი სიყვარულისას, მსურდა გამევლო ნათელ ხაზად ცხოვრება ჩემი და... გული მომიკალ, გრძნობის ვარდი ზედ დამასრისე. და აწ, ეჰა, ვერღ შევსძლებ ამდენს! – დაიკვნესა კაცმა ტანჯულმა

და მიაჩერდა გულნაზის სურათს.

– რად მიღალატე? ხომ იცოდი, სიხარული აგვეხდებოდა: შენით ვხარობდით.

ბალღი კი, მომაკვდავი იგი პატარა, გათანგული იწვა კალთაში. თითქო სუნთქვაც აღარ ისმოდა: თუ გადაეჭრა ბნელის ხელით სიცოცხლის სირა? დაიხარა და ჩააკვირდა. ნეტა თუ სუნთქავს? და მისმა თვალმა ბალღის შუბლზედ შენიშნა ცვარი; იმატა ოფლმა; ხვირთქლში გაცურდა განწირული, ოფლის ნაკადში.

– ჭირის ოფლი კი არ იყოს უკანასკნელი, – შეფიქრდა ქალი

და უნდოდა დაეძახნა ოთარისათვის. შეუძლები შექმნილიყო ეს: ძირს მჯდომ ძიძას ჩასძინებოდა. დაძახება არ იქნებოდა: შეკრთებოდა გადადებული. და იჯდა ქალი გაუნძრევლად გაკავებული.

ოთარი კი, უიმედო იგი ვაჟკაცი, შეუგნებლად მღვიძარებდა გარინდებული; არ აშორებდა თვალთა ისარს გულნაზის სახეს. დაიძრა ხატი; გადმოვიდა; მიჰმართა კარებს. ოთარს უნდოდა ამდგარიყო, აჰყოლოდა ტკბილ მოჩვენებას, მაგრამ აჩრდილმა უხმოდ ამცნო, არ დაძრულიყო. და იჯდა ოთარ უნძრეველად, ხელ-ფეხ შეკრული.

25

განწირულმა გააღო თვალი.

– დედა მოსულა! – მიმტკნარებით ამოიძახა.

გადუქანდა გული კაკატოს:

– დედის ლანდი მოეჩვენა უკანასკნელად! – გაიფიქრა და ჩააკვირდა. ავადმყოფი მშვიდად სუნთქავდა.

– დედი, დედილო! – დაუძახა ბალღმა აჩრდილსა.

გამოფხიზლდა ძიძა, წამოდგა. რომ დაჰხედა ოფლიან ბალღს, ღმერთი ახსენა, ფეხაკრეფით გაექანა ოთარისაკენ.

– ეფონა ღვთით ჩვენს პატარას, მომილოცნია! ანგელოზის კალთაში მწოლს ოფლი მოსვლია.

ბალღისაკენ ისწრაფოდა კაცი ღელვილი. შევიდა, ნახა. წყნარად სუნთქავდა. შეხედა ქალს მადლობის თვალით, მოულოდნად დაიხარა ხელს საკოცნელად. გადრიკა ხელი, მაჯას მოჰხვდა ვაჟკაცის ბაგე. გრილი კოცნა სამადლობელი; კაცი ხატს თუ ეამბორა სასწაულთმოქმედს. ავადმყოფი გადააწვინეს. ადვილი იყო: ბუმბულს იწონდა.

– დედა რა იქნა? – იკითხა ბალღმა.

ოთარს ეგონა, უცხო ქალი დასახაო პატარამ დედად.

– აი დედა აქვე არის, გვერდს მოგიჯდება.

– აგერ, იქ იჯდა!

მიიხედეს გარდასრულის ლოგინისაკენ. კვალი ცხადად ემჩნეოდა სპეტაკ არდაგსა: ვინმე მჯდარიყო. ძიძა როდი ეხებოდა სიწმინდის საწოლს; ქალი ამას ვერც შეიძლებდა: უძრავად იჯდა. მიჰხვდა ოთარი, ვინც ყოფილიყო: გულნაზის ლანდი ბალღისაკენ გამოემართა და პატარამ დაინახა სული ხორცსხმული.

– ნუთუ ესე ძლიერია სულთა ერთობა და სიყვარული უმძლესია თითონ სიკვდილზედ?! სწორედ ესეა! მევლინება სანატრელი არსება მისი, ცხად სახეს იღებს მჭვირვალხორციელს; უსიტყვოდ მეტყვის, შთამაგონებს, მამცნობს თვის ფიქრებს. გულნაზი იყო! შესძლო მოსვლა, მოგვევლინა განსაცდელის ჟამს, – იტყოდა ოთარ სევდანარევ სიხარულით აღელვებული.

1924 წ.

ალქი

1

ცეცხლის წინ ისხდნენ ყმაწვილები და მათი ბებო. ფარდაგი ეფინათ. მუთაქა ეგდო. ლამპარი ბუხრის თავს იდგა ვიწრო თაროზედ. კედელი შეეზნიქათ ფანჯრის სახით, აგურები მწკრივად გამოეწივნათ და ეს არშია ბუხრის სამკაულიც იყო, ზოგი რამ ნივთის დასაწყობიც სახელდახელო. სხვები დიდ ტახტზე ისხდნენ, ვახშამს ელოდდნენ. ერთი ქსოვდა, სხვას მკლავები ნამზნევ ფრთებივით ჩამოეყარნა, ცეცხლს გასცქეროდა. როსტომი განცალკევებულიყო პატარა ტახტზე და თოფს ჰფერავდა. იტყოდა ბებო:

– გადაიარეს უმაღლესი კლდე და გადაჰხედეს ტრამალ ადგილსა: ტაშირო იყო; არსად სჩანდა არც ხე, არც ჯაგი. ფერმიხდილ ბალახს დაეფარნა მთლად არემარე. მინდორი შუა ადგილას დახრილი იყო და ზედ ციმციმებდა კალოდ გაშლილი წყალი: ჩამავალი მზის სხივები დასთამაშებდნენ. ტბას ნაპირებზედ მოსდებოდა ქვიშა-მარილი და მის გარშამო ირხეოდა ლერწამი შამბად. გაემართნენ იქითკენ. ნაკადს წაადგნენ ტბორში შემდინარს. წყურვილით იხოცებოდნენ და დიდად გაეხარდათ. ჩამოხდნენ, დაეწაფნენ; გული იჯერეს. ნახეს, თავს დასდგომოდათ დედაბერი. მიემშვიდობა და უთხრა: ამას იქით ნუღარ წახვალთ, ტბას ნუ მიეახლებითო. რატომაო? ალქის სასახლეა იქ და განრისხდებაო...

– ბებო, გეთაყვა, რა არის ალქი?

– ავი სულია ალქაჯზედაც, ალზედაც დიდი. იშვიათია. მშვენიერი ქალის სახით მოევლინება ადამიანს, მოხიბლავს, მიიზიდავს და...

– მერმე?

– თმებით დაახრჩობს; დიდი თმა აქვს, მიწამდინ დასთრევს. შემოახვევს ტევრებს ყელზედ და...

– უი მე!

– რამ შეგაშინათ! ლოცვას გასწავლით, იმას იტყვით და განქარდება.

– რა ლოცვას?

– დამიგდეთ ყური:

> დავსწვები, დამეძინება, პირჯვარი დამეწერება,
> ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი სულ თავით დამესვენება;
> ჯვარი მწყალობს, ჯვარცმული,
> ვერას მავნებს მაცდური, მწყა...

– მოდით, კარგი: ვახშამი მზად არის.

– როსტომ, მორჩი შენც!

– ძია, ადრე წახვალ სანადიროდ? მეც წამიყვანე!

– მე რომ წავალ, შენ ჯერ შუა ძილში იქნები.

– ეხლავე მოვამზადებ ყველაფერს; რომ ასდგები, მეც წამოვხტები.

– არა! შორს მივდივარ, უღრან ტყეში. შენ ჯერ ბალღი ხარ, ვერ შესძლებ ჩემთან სიარულს. რომ გაიზრდები, თოფს გიყიდი: ერთად ვიაროთ სანადიროდ, – უთხრა ბიძამ

და ადგა, კაჩოზე შეჰკიდა თოფი. ძლიერი იარაღი იყო საუკეთესო ყალიბისა. ფხა გაუსინჯა ხანჯალს, ხანჯლის შვილს. ჩააწყო გუდაში ხმიადი, მარილი, თოკი და მოჰკრა პირი. გადააწყო სანადირო ტანისამოსი.

– სესე, ქევხას ყელსაბამი გამომიტანე კბილებიანი.

მოურბენინა რკინის სალტა. მწვეტები ძღარბის ეკალივით ჰქონდა ასხმული. რგოლისათვის ტყავი მოედოთ ქვევიდან, კისერი არ ჩააჭდიოსო. გაუსინჯა აბზინდები და გუდასთან მიაგდო ნივთი. როცა ნახა, ყველაფერი მზად იყო, ხელები დაიბანა და სუფრას მიუჯდა.

– ისევ სანადიროდ! გადაეგე პატიოსანი ვაჟკაცი ტყესა თუ ხევ-ღრეს. სახლში ვეღარა გხედავთ. ლამის კერა შეარყიოს შენ გარეწრობამ.

– ოჯახს რა უშავს? თუ აქამდის არა ევნო რა, ეხლა...

– აღარ შეგშვენის ნადირთა დევნა.

– კარგი, დედი, ნუ გასჯავრდები. ვეცდები ნელ-ნელა დავივიწყო ეს ჩემი საყვარელი გასართობი. ხვალ კი უთუოდ უნდა წავიდე: ირმების ნავალი მაქვს დაკვლეული, მთელი რემისა; ხელხვავიანი დაგიბრუნდებით.

– შორს არის? იმ დღესაც შუაღამისას ძლივს მოახწიე, – შეჰმართა ცოლმა.

– და მთელი შველი მოგიტანეთ. იმედი მაქვს დროზე დავბრუნდე.

– ქევხაც თან მიგყავს?

– შეიძლება ირმის ნახირს დათვი მოსდევდეს ან მგლების ხროვა და დამჭირდება მებრძოლი ძაღლი.

– თუ ხიფათი რამ შეგემთხვა, დავიღუპებით.

– ნუ გეფიქრებათ: თუ დამიღამდა, დავანთებ ცეცხლს და მივსწვები თოფით ხელშია. ნადირი უფრთხის ცეცხლის სინათლეს. ძაღლიც ხომ მომყავს და...

2

ახლად იყო აისი აზეული, როდესაც როსტომმა გააჭრიალა კარები და გასცდა სახლს. პირდაპირ მიდიოდა: მიზანში ჰქონდა ამოღებული ადგილიც, ნადირიც. ფეხს აჩქარებდა: მანძილი ჰქონდა გასავლელი და უნდოდა დროზე მისულიყო, ჩაჰსაფრებოდა. შეჰხვდა სათოფედ ფრინველი თუ მცირე ნადირი, არ ესროლა:

– გამირთობს. დამაგვიანებს: ეგებ ისეთ დროს მივიდე, წყალზე ჯერ არ ჩასულიყოს რემა, – გაიფიქრა.

განაგრძო გზა, შევიდა ტყეში. წვრილიანს აყრილი დაენაცვლა, საირმე. მიაღწია. აირჩია ადგილი. ჩაესაფრა, ცდამ ამაოდ ჩაუარა: მზე საშუადღეოზე ავიდა, ნადირი კი არსადა სჩანდა. გაუკვირდა, ნუთუ რემა უფრო ადრე ჩამოვიდაო. ადგა, აჰყვა კვალს ზევითზევით. ძლივს ეტყობოდა ნავალი. მაინც მისდევდა ნაფეხურებს. გამოხრულ ირემს წააწყდა. ადგილი სჩანდა ნაბრძოლ-ნაქელი.

– დათვი დასცემიათ. ხარ-ირემი დაუმორჩილებია. რა მშვენიერი ჩხებია! თავი გადუდვია ნახირის დასაცავად, შეჰბრძოლებია. ბეჩავ, ვაჟკაცო!..

ერთხანს ჩაფიქრდა. ხევს დაუბრუნდა. დაჰყვა მის ნაპირს: სადმე სხვა გზას დაჰქნიდნენო წყალზე ჩასავალს. კვალს მიაგნო და ჩაესაფრა. მზე დაიხარა ირმის ლოდინში. ხმაურმა ოდნავ შეარხია წყნარი ჰაერი. დაადო ყური დედამიწას, სუნთქვა ჩაიქრო.

– ეჰე, მოდიან, ახლოვდებიან! – წარმოსთქვა კაცმა და მოიმარჯვა იარაღი. აწ მათი ჩქამი ცხადად ისმოდა. აირია რემის ფეხის ხმა; მალე მთლადაც მისწვდა.

– გაგეშილი კვლავ დაეტანა! – სთქვა მონადირემ და გაეშურა, საიდამაც ხმები ისმოდა. ფრთხილად ვიდოდა; სისხლით დამთვრალს ძლიერს ნადირს არ წავაწყდეო. მზე ჩაესვენა; ტყეს ბინდბანდი ჩამოერია. დათვს წაექცია მსხვერპლი, ჰბუბნავდა.

– ჰა, შე წყეულო!

გაუმიზნა. ერთ დროს გაისმა თოფის გრიალი, დათვის ღრიალი. ნადირისკენ გაფრინდა ძაღლი. მონადირემ მსწრაფლ ჩადვა გულა, რომ დაჰხვედროდა მასზედ მოსულ მხეცს. განვლეს წამებმა, მაგრამ დათვი არ დაეტანა. ვერ მიუდგა დაჭრილს ქევხა, მხოლოდ ჰყეფავდა. მონადირე ხეს ეფარა, თოფს უღირებდა: ისე ეგონა, დათვი აგერ დამეცემაო. ძაღლის ყეფა ნელ-ნელა დაშორდა. არ გამართლდა მისი შიში. დაჭრილისკენ თითონ წავიდა. დათვი დიოდა, სისხლის კვალი მისდევდა ნავალს. ქვიანი იყო. მხეცი ლოდებს ეფარებოდა, სიბნელისაგან არც კარგად სჩანდა. გაქრა ნადირი. ძაღლის ყეფა შეჩერდა. მივიდა როსტომ. ნაპრალნი სჩანდნენ, რაღაც ხვრელები. ხეებსა და ხეებ შუა შერგვალებული ნაგლეჯები დაფლეთილ კლდისა, გელაზები დიდრონ-დიდრონი.

დაჭრილ მხეცის დადევნებას თავი ანება: ჩამობნელდა, საშიშიც იყო. მცირედ კიდევ გაიარა და მოესმა წყალის ჩხრიალი, წყარო სჩქროდა ლოდის ძირიდან. საგუბარი გაეთხარა, ტბა-მორევად დატრიალებდა. დაუარა, დაკვირვებით გასინჯა არე: საეჭვო თუ გასაფრთხილი არრა მოსჩანდა. აღარ იყო დაბრუნების დრო; არც უნდოდა ეხლა შინ ჩასვლა: დაჭრილ მხეცის ხელთ მოგდება გადაეწყვიტნა.

– ხვალ მივაგნებ მის ბუნაგს და დავათავებ: სადმე ახლო ექნება ბინა, – დაასკვნა კაცმა.

მოზიდა ხმელი, დაანთო ცეცხლი. ნაბადზე იჯდა. ვახშამს სჭამდა. ქევხაც იქ ეწვა. მოუსვენრად იყო ძაღლი, წამსა და წამს იქოჩრებოდა.

– არც ამას უნდა შეურიგდეს ჩემს დამარცხებას, – გაიფიქრა და ანუგეშა:

– ნუ გედარდება! ვერსად წაგვივა: დაჭრილია, დავიმორჩილებთ.

3

ნაკვერჩხლებად ჩაიშალა ცეცხლი გზნებული, ღადღადებდა.

– ვაშიშხინო, ააგე მწვადი! – ეუბნებოდა.

ვაჟკაცს მხოლოდ შერჩენოდა ხმელი ხმიადი. არ ესროლა არც კაკაბთ გუნდს, აღარც კურდღელსა, დილას რომ შეჰხვდნენ. გაეღიმა; მოაგონდა საარაკო უშნო ჭაბუკი. უთხრა მისანმა:

– იმდენს სარჩოს მოგანიჭებს ღმერთი კეთილი, შინამდინაც ვერ მიიტანო!

და საკვირვლად აუსრულდა გრძნეული სიტყვა.

– არ გახსოვს ეს თქმა? ეეჰ!

დაანება თავი ოცნებას: ხორცეულს ვერ გააჩენდა ვეღარც ნატვრითა. უცხიმო პურს ცეცხლზედ ჰხუხდა, ისე ჰქუსნავდა. მაინც მშრალი არ იყო ლუკმა: იქვე წყარო გადმოდიოდა.

– დაალბე პური! სვი უშურველად!

მეტად ბნელოდა. ვერ ატანდა ვარსკვლავთა სხივი გაფოთლილ ხეებს. მთვარე გვიან ამოვიდოდა: დაევახშმა დაღლილს, მილეულს. მივიდა წყალთან, დაეწაფა, გული იჯერა. ბინისაკენ რომ შემოტრიალდა, მოულოდნელად შემოესმა მძლავრი კასკასი; ხმაურობამ ტყეს გადურბინა, ხევს ჩაეფინა. შეკრთა ვაჟკაცი; თოფი მხრიდან გადმოიღო. ხეს ეეფარა. ქევხამ შეჰყეფა, მორთო ღმუილი. დაუარა კაცმა არეს, ათვალიერა. სინჯავდა ლოდის მიდამოებს, საიდანაც წყარო დიოდა: თითქო იქიდან

ამოვარდა ხმათა გრიგალი, ანთებული მუგუზალიც მიანთ-მოანთო. არა სჩანდა რა, მხოლოდ ტბორში გაისახა ლოდის აჩრდილი. დაწყნარდა კაცი, დაბრუნდა უკან. მიწვა ცეცხლთანა. მალე რულმა დაუხშო თვალი: დაღლილი იყო, ეძინებოდა.

კაცს უეცრად გამოეღვიძა, გააღო თვალი; თითქო რაღაც საშიშროება იგრძნოვო ძილში. გაეღვიძნა მილეულ მთვარეს, ფერმკრთალ სინათლედ დაჰნათოდა მიბნედილ არეს. აღმოსავლეთით ცის კიდურზედ ისევ ბნელოდა. ქევხას ეძინა. ნავლი ჰფარავდა ჩანელებულ ცეცხლის ნაკვერჩხლებს, შეაჟრჟოლა: ტყის სიგრილეს საგრძნობელი ძალა ეპოვნა. წამოდგა კაცი, გადაიარა. ჩინჩხვარსა ჰკრეფდა. წახრილი რომ წამოიმართა, წყვილი სინათლე შეეფეთა წყაროს თავიდან.

– მგლის თვალები თუ ცეცხლობენ, – გაივლო გულში.

მაგრამ სინათლე არ იძროდა, არ დადიოდა. უძრავ სხივებად მიჰპყრობოდნენ, უვლიდნენ ჯანში.

– ვარსკვლავები ამოსულან ცის კიდურზედა და მე კი შევკრთი: მგლის თვალებად მომეჩვენენ მოციმციმენი.

მიბრუნდა ბინისკენ, დააყარა ცეცხლს ჩინჩხვარი, ააპრიალა. მიუჯდა, შეთბა. ძაღლიც ცეცხლისკენ მიიწევდა, სიგრილე ეგრძნო. ღამის წყვდიადს ჰფანტავდა ალი, მაგრამ იგი არ უთმობდა, მედგრად ებრძოდა; მოზვირთებული მოდიოდა მის ჩასანთქმელად; ხან აქ აპობდა ბნელის სვეტი სინათლის ტალღას, ხან კი სხვა მხრით მიესეოდა. მიდ-მოდიოდნენ აჩრდილები, ვეშაპებად ეტანებოდნენ.

კაცი მაინც ვერ წყნარდებოდა. ისვე ღელავდა: წყვილი ვარსკვლავი იქვე ენთო, არა ჰქრებოდა; მათი სხივები იღვრებოდნენ როსტომის სულში, თრიაქივით ათრობდნენ იმას. ქევხაც იქით იყურებოდა: ხან შეჰყეფდა, ხან შეჰღმუოდა.

– არ ყოფილან ვარსკვლავები. ნეტავ რა არის? – გაიფიქრა.

აიღო თოფი და მიჰმართა იმ სინათლეებს. განვლო ტევრის ნაპირები, მიადგა წყაროს და... გაშეშდა. სვეტად გარდიქმნა: ქალის თვალები ანათებდნენ ისე მკვეთრადა. ლოდზედ იჯდა დედიშობილა. ირჩეოდა ჩრდილებიდან მისი აღალმა, მიხდილ სხივით ნანათები მისი სხეული. ბინდულ წამწამს თუ არ არხევდა: სხივნი ურხევად გამოსჩქროდნენ, არა კრთებოდნენ. აფუებულ მკერდზედ ბორცვები. იღიმებოდა. კბილთ ციმციმი აშუქებდა მეწამულ ტუჩებს. თმათა ტევრნი საფარველად გაძრცვილსა ტანსა. ჩაჰფენოდნენ ხუჭუჭები ქალს კალთაშია, ჩამოშლილიყვნენ. თმათა წვერნი წყალს დასწდომოდნენ, მოლივლივეს უერთდებოდნენ, მის ჭავლებში იშლებოდნენ, შიგ ირხეოდნენ. მარმარილოს სურაია მწყაზარი წვივი. ნაქვთიან ფეხს ოდნავ ანძრევდა.

4

გაიღვიძა ვაჟკაცის თმამ, შეინძრ-შეირხა; ძღარბის ეკლად აემართა, დაესვა კანზედ. დააპირა გაბრუნება, მაგრამ ვერ შესძლო. ადგილზე თუ მიეჭედნა იდუმალ ძალას. მკაცრად ჰბორკავდნენ ძლიერ ვაჟკაცს ქალის თვალები, ნათელთ სიმებს ავლებდნენ ტანზედ, ჩაეჭდობოდნენ. სიძლიერით მიიზიდა ქალმა ვაჟკაცი, თანისთანად დაიახლოვა. სულწასულად ისწრაფოდა მშვენიერისკენ. მივიდა, მისწვდა, მოესურვა წვივთ შემოჭდომა და რა შეეხო, ქალმა ერთი გადიკასკასა, უჩინარ იქმნა.

შეარხია მონადირე ხარხარის ხმამა, შეატორტმანა. გაბყრობილნი დარჩნენ მკლავები. ძაღლი აყეფდა უცნაურ ხმაზედ. ხელი მოისვა კაცმა თვალებზედ, მიმოიხედა. ალიონი აჩენილიყო. ცის კიდური მტრედის ფერად შეღებილიყო.

ტბორის პირას შენიშნა თავი, ერთი ნაბიჯიც და მორევში გადაერეოდა: უკან-უკან დაეწივნა. ხიფათს კნინღა გადამთხვევოდა. გადიწერა ჯვარის სახე, ღმერთი ახსენა და გამობრუნდა.

ჩააქრო ცეცხლი, ტყეს ხანძარი არ მოედოსო. დაიკვართა და შეუდგა ნადირის ძებნას. სისხლის კვალი დაეკარგა, ვეღარ მიაგნო. ნაპრალები თუ ხვრელები ბევრი იყო ლოდიან ადგილს და დიდი სიფრთხილე ჰმართებდა, უეცრად თავს არ წასდგომოდა ჩასაფრებულ მხეცს. შუადღემაც მოატანა იმის ძებნაში. იქნებ ეპოვა დათვის ბუნაგი. უსათუოდ იპოვნიდა, თუ უფრო განზედ შემოევლო წრე. იწევდა ძაღლიც, მაგრამ ვერ გაჰყვა მონადირე; წყაროს თუ მორევს დასტრიალებდა; ქალის ძალა შორს არ უშვებდა; მოჩვენება ვერ სცილდებოდა მის გონების თვალს.

– ვინ იყო ის ღამის შვილი მზეთუნახავი? ხორცსხმული არის: მკაფიოდ იყო ასახული მისი სხეული, ხელიც შევახე. იღიმებოდა; კასკასით კი გადიმალა, გაუჩინარდა. აქვე იქნება! ნაპრალებში ან გვირაბში თუ იმალება. შეიძლება შეშლილია და აქ სცხოვრობს უღრან ტყეში, როგორც ნადირი. ესეა ნამდვილ! ადრე თუ გვიან გაჰფათრავს მხეცი! გადიმალა, ვეღარ ვიპოვე. სად წამივა?! ვნახავ, მოვხელავ.

უნდოდა ეხლავ შესდგომოდა მხოლოდ მის ძებნას, მაგრამ მაინც თავი ანება; ნადირისვე კვალს დაეძებდა. არა ჰსურდა, ხელცარიელი ჩასულიყო სოფელში: დასძრახავდნენ; შინაც ეტყოდნენ: ორი დღე მოსცდი, არაფერი კი არ შეგრჩაო.

სახლში რომ გადაფრინდა მისი ფიქრი, თავის ცოლი წარმოუდგა, ჯერეთ ისევ ახალი სული. ძლიერ აღარ გაეხარდა მისი აჩრდილი, მის სურვილი თითქო კიდეც ამოჰრეცხოდა. მისწრაფებას უთმენელს გრძნობდა, მაგრამ მის საგნად სამძივარი კი აღარ იყო, უღრან ტყეში მობინავე დაჰნაცვლებიყო. ამ მშვენებას განედევნა მისი გულიდან მისი ცოლის სახე. ვაჟკაცს ნებისყოფა იქვე აბავდა, უდაბურ ადგილს.

– აი ქალი მშვენიერი და ქვეყნის თვალი! ლამაზიაო, იტყვიან ერთზედ, ხან კიდევ სხვას შეაქებენ, ტურფად ჰხდიან. არ უნახავთ ბეჩავთ მშვენება და იტყვიან ვიღაც სხვაზედ, კეკლუციაო. აი ქალი სხივის დარი, თითონაც სხივი! ერთი ამის ჩაკონება მთელ სიცოცხლედ ღირს. როგორ მომსურდა! ვერ შემიძლიან უმისობა. როგორღა გავძლებ?!

გონების თვალთ წინ ესახოდა მის სიტურფე ენით უთქმელი. სისხლი უდუღდა. ქალის სახე აღუტყენდა ვნებათა ღელვას.

– ვაჟკაცი ვარ, მევალება მის ამბის ძებნა. მოვხელავ სადმე! მივეხმარები იმ საწყლის შვილს, რასმე ვუშველი.

ჯერ ის ეგონა, მივიდოდა, უამბობდა შინაურებს, რაც რამ შეემთხვა. გადიფიქრა: ვაითუ არ გამომიშვან, მოჩვენება გინახავს და ნუღარ წახვალო. კიდევ ეძება დათვი დაჭრილი რამდენსამე ხანს და დაეშვა სოფლისკენ, რომ ღამე შინ გაეტარებინა, დაემშვიდებინა შინაურები.

5

ხელცარიელი დაბრუნდა კარგი მონადირე. არ ახსოვდათ მისი მარცხი სხვა ამისთანა.

– ორი დღე ტყუილად გივლია ტყე-ღრეში.

– ძნელი შემთხვევა იყო. მე მაინც ჩემსას გავიტან.

– ჭამე ვახშამი და დაისვენე: ძლიერ დაღლილი ხარ, – შენიშნა ცოლმა

და მზრუნველობით დაუწყო მზერა. ცოლს თვალები აარიდა, ვით დამნაშავემ.

– ხვალ ნუღარ წახვალ! არაფერი სახეირო არ გამოდის ნადირობიდან; სახიფათო ბევრი რამ სდევს საფიქრობელი. აწ კაცი ხარ ცოლშვილიანი და თავის გარდა, ჰხედავ, სხვებიც შენ გაბარია, – დასძინა დედამ.

– მართალს ამბობ. ბევრი ავი სდევს მონადირეს და განსაცდელი, – მიუგო როსტომმა

და უამბო, როგორ დაეფრთხო დათვს ირმის ჯოგი, დაეჭირა საუკეთესო, როგორ დასჭრა მტაცებელი და დაეკარგა იგი თვალთაგან.

– დღეს დიდს ხანს ვძებნე; ვერა ვნახე მისი ბუნაგი. ვიპოვი ხვალ, უსათუოდ აქ ჩამოგითრევთ.

– გაანებე, კაცო, თავი. რახან დაჭრილმა თავს უშველა, შერჩეს სიცოცხლე.

– არა, მავნე არსებაა და...

მავნეს ხსენებაზედ მას ფიქრთ არეში წარმოუდგა ის მოჩვენება. კინაღამ წარსთქვა საიდუმლო, ენის წვერს ედგა. მეორე დღეს ადრე გაჩნდა ნაცნობ ადგილზედ. მიიკვლია, მიაგნო მხეცსა: ზევით წასულიყო, კლდის ნაპრალში შეწოლილიყო. კაცის დანახვაზე ბრდღვინვა დაიწყო, გამოვიდა, თავს დაცემა განიზრახა, მაგრამ ვერ შესძლო: წინა ტოტი მოემსხვრია გუშინდელს ნასროლს. დაიმორჩილა ახალმა ტყვიამ. კარგ გუნებაზედ დააყენა ამ გამარჯვებამ. ჩაათრია ბინაზედ დათვი და დააპირა დაბრუნება, რომ ურემი წამოეღო, მაგრამ გადასდო: ვეღარ შესძლო დატოვება იმ ადგილისა.

– აქ იმალება მზია ქალი; მის ამბავიც უნდა გავიგო! – წარმოსთქვა ჯიქად

და შეუდგა იქავრობის თვალიერებას. არ აღმოჩნდა მისი კვალი არც წყაროსთან, არც სად მახლობლად.

– მოჩვენება თუ იყო იგი. მაგრამ ცხადად დავინახე აცეცხლილი მისი თვალები, მისი ტანი შუქ გამომცემი; შევეხე კიდეც იმის თმის ბარდებს, – გაიფიქრა

და კვლავ ეძება. ვეღარ მოხელა. დააპირა შინ დაბრუნება, მაგრამ ბიჯი ვეღარ გადადგა: არ გაჰყვა ფეხი, მიწას გართხმოდა. მიბრუნდა ისევ ბინისაკენ, მიზიდა შეშა, დააგზნო ცეცხლი. ჯერ წყნარად იყო, არაფერი არ აფიქრებდა; რომ შეღამდა, ღელვა იწყო, თითქო კრთებოდა. მთლად ჩამობნელდა. წყვილი ვარსკვლავი გუშინდელსავე ადგილას აღჩნდა. როსტომ წამოდგა, უნებლიეთ გაემართა მანათობლისკენ.

ისევ ის ქალი! ცხადად სჩანდა მისი სახე თვალთაგანვე განათებული. მთელი ტანიც შუქს აფრქვევდა ოდნავ მოყვითლოს. მეტისმეტი სიძლიერით მიიზიდავდა. როსტომი რომ დაუახლოვდა, ქალი გადმოხტა, განაბყრო მკლავნი და ჩაეხვია. მძაფრად ჰკოცნიდა, აკვდებოდა, ეკონებოდა. რა ტკბილი იყო მის ალერსი გაშმაგებული! განიშორებდა, გასწევდა განზე და თითონაც განს გადგებოდა; ჩაჟინებით აკვირდებოდა; კვლავ მსწრაფლადვე ჩაიკრავდა, თმაში ჩახვევდა. თითონ თმებიც ცოცხლდებოდნენ, ეწმახნებოდნენ.

– ვინა ხარ, ქალო, აქ რა გინდა, ამ უტეხ ტყეში?

იღიმებოდა; მწვეტად დათლილ ალმასის კბილთ აციაგებდა.

– მითხარ, რა გქვიან, სით მოსულხარ ჩემად დამწველად?

ცეცხლის თვალებით კაცის სულში იმზირებოდა.

– ჩაგაკვდები, მშვენიერო, ბროლის მკერდშია!

და მიჰქროდნენ ნეტარების წუთნი, ჟამები. უძლურდებოდა სამოთხებურ განცდაში კაცი. მთლად მოეშვა, მობურდოვდა, დაბნდა კოცნაში. ფრთა გარდეფარა სუნნელ ზეწრად ვაჟკაცის ცნობას.

ელოდნენ როსტომს. არ დაბრუნდა. შეშფოთდა სახლი, ნადირმა თუ გაფათრაო განძვინებულმა.

– ნუ გეფიქრებათ: ძლიერია და გამოცდილი; ვერ აჯობებს იმას ნადირი.

– მაგრამ ის კაცი ვერა ვნახე თავის გონზედა: ფიქრი აშლოდა, თვალთ აშეთებდა, სიტყვა ზოგჯერ აღარ ესმოდა.

– ეგ მეც შევნიშნე. ის მეგონა, მარცხზედ ჯავრობდა.

– ადრე არის ჯერ მარცხის დათქმა: გამარჯვება როსტომისაა, დაგვიბრუნდება შინ მშვიდობით ხელხვავიანი.

– თუ შუადღემდინ არ მოვიდა, სჯობს მივეშველნეთ: ეხლა ხომ ვიცით, სად ინადირა.

დღე განახევრდა, ვაჟკაცი კი არსადა სჩანდა. გაემართნენ საძებნელად. იცნეს ადგილი მიმობნეულ ლოდებით სავსე.

– უბურთავნიათ ოდესმე დევებს რგვალ გელაზებით.

– იგი წყაროც აქ უნდა იყოს.

– ხმაური მესმის!

განმეორდა რაღაც ყმუილი.

– მგელი თუ ღმუის.

– ძაღლის ხმაა, ქევხა იქნება.

– ავი თუ რამ წაეკიდა ჩვენს მონადირეს.

გაემართნენ აჩქარებით და... ქევხა მათკენ გამოექანა. როსტომს უძახდნენ. არსით აჩქამდა. წაადგნენ დათვსა.

– გაჰმარჯვებია?

– რამოდენაა!

– თითონ არსად სჩანს. ხომ არ დაბეგვა?

წადგნენ კიდევ წინ. ტბორის პირას შენიშნეს კაცი. გულაღმა იწვა. მუხლებამდინ სწვდებოდა წყალი. მკერდი ღია. ახალუხი გადაფხრეწილი. ახლოვ ეგდო იმისი თოფი. ნაცრის ფერი დასდებოდა ოდნავ მოლურჯო. წვეთი სისხლი არ შერჩენოდა.

– თუ დატორა შეჩვენებულმა.

– დაგაზული არ ეტყობოდა, არც ნაკბილარი.

– მკვდარია, მკვდარი!

– ვაჰ, ჩემო თავო!

ამოათრიეს, გაყინულიყო, ყური დაადეს; თითქო ფეთქავდა. ცეცხლს დააყარეს, ააპრიალეს. ნაბადზე დადეს გათანგული. გახადეს სველი, შეამშრალეს; შალითა ჰზელდნენ.

– მკერდი შეენძრა. არ არის მკვდარი!

– იქნებ გვეშველოს და მოვაბრუნოთ.

– ყელზე რაღაც მოსდებია, აბა დახედე!

ხელში გასინჯეს, გახედეს მზეზედ. თითქო თმას ჰგვანდა, ნაცრისფერ ბეწვებს.

– ნეტავ რა არის?

– ხავსის ძარღვებს ჰგავს.

– ცოცხლდებიან. თავისთავად ხუჭუჭდებიან.

– თმა არის ნამდვილ; არც თუ თმასა ჰგავს.

– ალქი თუ შეხვდა და უნდოდა თმებით დაეხრჩო.

– ჯვარი არ ჰქონდა?

– აგერ ჯვარი სადა ჰგდია: ჩამოსწყვეტია.

1924 წ.

ძვირფასი თვალი

ვაჰ, რა დავკარგე ძვირფასი ლალი,
ცხარე ცრემლი მდის, არ შრება თვალი!

1

მეტად გაღარიბდნენ თვალადაანი საერთო უბედურობის დროს, როდესაც დაირღვა მოწყობილი ცხოვრება და ნაღვაწი გაიტანა გრიგლად ქმნილმა ხელმოკლეობამ. ჯერ გულს არ იტეხდნენ, ახლო ხანში მოელოდნენ მაძღარ მომავალს. მერმე ფრთები ჩამოყარეს, როდესაც ნახეს, ნიადაგი ეცლებოდათ, კერა თანდისთან უცივდებოდათ. იმედთ ნასახი აღელვებულ წყალს გაატანეს.

ნელ-ნელა ხარჯეს შავი დღისთვის გადადებული, ცვითეს მურასა; დაძრეს, გაიღეს ოჯახიდან შეძენილი თუ შეტანილი. ვეღარ ჰშველოდათ: ზღვა კოვზით ილეოდა, იხაპებოდა; მთლადაც შრებოდა. შემდინარეს წყალი თურმე გამოჰლეოდა, ამომშრალიყო, ქვა და ქვიშა გადაჰშლოდა გამხმარ გულმკერდზედ.

– ვეღარ მაგრობენ თვალადაანიც, შეურყევია განსაცდელს ფიცხელს.

– დარეჯანი კიდევ მხნეობს, აბრუს არ იტეხს.

– მაინც გული დაჩაგრული აქვს, შიმშილის ლანდი უთამაშებს შემკრთალ თვალებში.

– არა უშავს რა ძველისძველ ოჯახს: შერჩათ ნამუსვრი კეთილ ყოფისა; მიიტანენ თვის სიცოცხლეს მაძღარ დრომდინა.

– იქნება, მალეც გაუთენდეთ: კარგი შვილი ჰყავს, ოღონდ დაბრუნდეს გადაკარგული.

– მაინც რა უშავთ?! უკანასკნელ გასაჭირში განძს გაიღებენ, წინათაგან ნაანდერძევ იმ ფასმძიმე ქვას. სხვამ იფიქროს და იდარდოს, თორემ ისინი...

– საიდან იცი, რომ აქვსთ სახლში სამეფო ნივთი? მითქმა ბევრია, მის მნახველი არავინა სჩანს.

– მაინც ვიცი, აქვსთ. წინად თურმე თუმც ჰმალავდნენ, მთლად არ კრძალავდნენ. იყვნენ მნახველნიც. ეხლა მართლა ხმას არ იღებენ. საშიში არის: წაართმევენ, დაეცემიან.

– საკვირველ ამბავს მოგვითხრობენ განძის შესახებ. ზღაპრულიაო მისი პოვნა, მის თვისებები. ხელთ ჩაჰვარდნიათ ძველისძველ დროში.

– ანდერძი აქვსთო, არ შეელივნენ.

– ნეტავ მიჩვენა ის რაღაც ნივთი და გამაგონა მისი ამბავი!

2

ძველისძველი იყო თვალადაანთ გვარი, უწინდელ ისტორიაში ჩაბმული. საგვარეულო გუჯრები ბევრს კარგს მოუთხრობდნენ, ხან უჯეროსაც წარმოიტყოდნენ. მათ ციხე-დარბაზს წერილობით საბუთ გარეშეც ბევრი ამბავი

დასტრიალებდა. ეჰ, ამითი ძალიანაც არ ირჩეოდა მათი სახლი სხვა ოჯახებიდან: ყველა კერას ახვევია თავისებური თხრობები. ერთი თქმა კი მეტად განსხვავდებოდა; ნივთიერი ნიშანიც ახლდა მას, ისე რომ შეთხზილი არ იყო, სინამდვილის იერი ჰქონდა.

ეს ნამდვილად მომხდარი არაკი შეეხებოდა იმ ნივთს, მათ ოჯახში რომ ინახებოდა უწინდელ დროდან. აღსწერდნენ კოლოფს, რომელშიაც დაკრძალული ჰქონდათ: ვერცხლის ტაგრუცი, ყუთის თავზე ამობუშტული ხარის ტანიანი კაცი წვეროსანი; ყუთს ფეხები ლომისა ჰქონდა. ისიც ეამბნათ, როგორ იყო განძი მოპოებული:

ერთხელ საშინელ წარღვნას წაელექა ეს სოფელი. ორივე ხევი მოვარდნილიყო, ბროლაური და ჭივჭავა. ისე ავსებულიყვნენ ნიაღვრით, რომ შეერთებულიყვნენ, დაეფარნათ სოფელი. არემარე თან მოჰქონდაო. მთელ-მთელ ხეებს ჩინჩხვარივით ატრიალებდაო. სახლები დაენგრია, ბაღ-მინდორი გადაერეცხა; ყველაფერი გაენადგურებინა, დაეღუპნა. თვალადაანთ სასახლე მაინც გაჰმაგრებიყო: მაღლობზედა სდგას და მკვიდრი გალავანი არტყია.

ღვარს მოეგლიჯნა მთელი გორაკი, გადმოენგრია; ამოეჩინა უწინდელი შენობები თუ აკლდამები. წყალი რომ ჩამომჯდარიყო, მათ წინაპარს ნანგრევებში ეპოვნა ის ძვირფასი თვალიც. განძი დაეკრძალა ლუსკუმაში და ანდერძი დაედვა, არას დროს არ გამოეწირნათ ის საგვარეულოსათვის.

– მაინც არ გაეხსნათ ყუთი, არ ეჩვენებინათ?

– არა! იშვიათ შემთხვევაში შეიძლებაო ახდა: უცხოს თვალს ვერ იტანსო.

სხვებიც ამგვარ რასმე იტყოდნენ. ნამდვილი არავინ იცოდა. იმასაც ამბობდნენ, არაფერი არ არის იმ კოლოფში, მოსაჩვენებლად უბნობენო. ამისთანა ეჭვებს საბოლოოდ მაინც უარჰყოფდნენ:

– რა სარგებელი აქვსთ, ხმები ავრცელონ?! უსათუოდ სინამდვილე იქნება ეგ თქმა!

– გაიგებთ მართალს! არა არს დაფარული, რომელ არა გამოცხადდეს.

3

ორი ძმა ტრიალებდა თვალადაანთ ოჯახში, ერთმანეთის მომდევნონი. იმედიანი მომავალი ჰქონდა იმათ სახლს. ატეხილმა ომმა ორივ ვაჟკაცი გაიტაცა: ერთს ხელმწიფის მოთხოვნილებამ უწია, მეორე თითონ ჩაება ხიფათში: ბალღობიდანვე დანა-ხანჯალზე იყურებოდა და ახლა მსოფლიო ომიანობისას გული აღარ დაუდგა შინ; გადაიკარგა.

ქალებს შემოსავლიანი საქმისა არა ესმოდათ რა, სხვაც აღარავინ რასმე უჯერებდა და სახლი იძულებული შეიქნა დაგროვილ მარაგს დაჰნდობოდა. დვრიტა დაადნო მარადმა ხარჯვამ და როცა ცხოვრება აირია, კერას შემოეფცქვნა ყოველივე, რაც რამ ებადა. ნიადაგიც ფერხთ ქვეშიდან გამოაცალეს. ცივ ქვაზედ დარჩნენ ოჯახის შვილნი.

ითმინეს. ელოდნენ სახლის ვაჟკაცებს. მათგან ამბავი არ მოდიოდა. უბედურობას უბედობა თან მოჰყვებოდა. მოვიდა ხმა, უმცროსი ვაჟი დაღუპულაო. უფროსისაგან ცნობა რამ სულ არა სჩანდა. ომს მოჰყვა ზედ აღრეულობა, რყევას დანგრევა. და დაგლახაკდნენ დიდებულნიც, კიდეც დაიმშნენ. ისღა იყო, საკუთარი ჭერი ეფარათ. ხსნა არსით სჩანდა. აფხვრის წუთი კარს მოსდგომოდათ. იმედად მხოლოდ ის შერჩენოდათ, თვალი ძვირფასი. წითელი ოქრო შავი დღისათვის. ეჰ,

დასდგომოდათ დღე იგი ბნელი. აწ უნდა გატყდეს წინაპართ სიტყვა; შეეხოს ხელი იმ განძეულსა.

– დედი, სათოვლედ მოიღრუბლა, საცაა, ჩამოჰბარდნის, ჩვენ კი შეშა არ მოგვეძევა.

– აღარც ფქვილი გვაქვს, არც რამ მარცვალი. რა მოვაგვარო, როგორ გადურჩეთ?! ვაჰ, ჩემო ბიჭო! უნდა აქ მყვანდეს, რომ გააქროს ეს გაჭირება!

– მდიდრად ვცხოვრობდით, ვერვინა გვჯობდა.

– ჩვენი ოჯახი პორველობდა მთლად ამ მხარეში. მამული გვქონდა დიდებული. მამა თქვენი მარჯვე იყო, ხელხვავიანი და ოჯახი დაგვეტვირთა მრავალ სიკეთით.

– რაც გვქონდა სახლში, მთლად გაგვტაცეს, გაგვაჩანაგეს. გაჭირებამ გააავა დიდი, პატარა. დაგვიბრიყვეს უვაჟკაცონი, ორჯერ გაგვცარცვეს. რა გვეშველება?!

– თუ ვალიკო არ წასულიყო, სახლს მფარველად ეყოლებოდა.

– მეც ვეხვეწე, არ დაიშალა. ვაჰ, რომ ვეღარ დაგვიბრუნდება.

– აღსართანიღა გვყავს იმედად. თუ მშვიდობით ჩამოგვივიდა, მალე შესძლებს ჩვენს გადარჩენას: ჰაზრიანია და გამჭრიახი.

4

ბუნებაც ჯიბრს უწევდა გასაწყლებულებს: ჩამოწვა ადრეული ზამთარი. ჯერ ხეს ფოთოლი არ გასცვივნოდა, რომ ჩამოჰბარდნა; აღარც გადიღო. გაეფლანგა ბუნებას სითბო.

და დაუდგათ თვალადაანთ წამების დღენი. ნაჩვევნი იყვნენ მდიდრულად ყოფას: ჩაცმას თუ სითბოს, ნოყივრად კვებას. მოესპოთ ეხლა სახსარი ყოფის, გამოეჟურათ ყოველი სიჩხინტე.

– კაცო, ხოდაბუნები ჩვენია, მამა-პაპეული და რას გვედავები?! დაგვიგულე უვაჟკაცოდ და დაგვიბრიყვე?

– ჩუმად! კი არ გედავები, ჩამოსართმევად მოვედი: მორჩილება კანონს

და შეჰყურებდა მიმავალ დოვლათს განცვიფრებული.

– ძმაო, კაცო, რითღა ვიცხოვროთ?

– გეყოფათ ისიც, რაც იპარპაშეთ, აწ მშრომელს მიწა! მიწა, ჰაერი, ტყე და წყალი საზოგადოა.

რაღა ეთქმოდათ?! კანონით მოჭრილი თავი არ ეტკინებაო. ახლა აღრეულობის ჟამს წესს გარეშე მყოფნიც გამრავლდნენ და...

– დედიჯან, შეხედე ჩვენს ბუხარს. ბოროტად გვიმზერს პირდაღრენილი. თითონ გვიბერავს, ყინვას ამრავლებს.

– კეთილი იყო უწინ ჩვენთვის და გვაამებდა.

– ეს მაშინ, როცა შიგ ცეცხლი ენთო.

– ზაფხულშივე ჩამოგვიტანდნენ ზეხმელს. მძაფრ ზამთარსაც არრად ვიმჩნევდით.

– შეშა მზის სხივები თუ არის შენივთებული; მნათობის სითბო და სინათლე ცეცხლად ღადღადებს.

– არ ვაფასებდით. ახ, ეხლა მოგვცა!

ყინვა, სიტიტვლე, შიმშილის თმენა. უმცროსები შეჰმზერდნენ დიდებს, გვიშველიანო. გამოჰლეოდათ მათ დიდრონებს ძალა ქმედობის.

– სჯობხარ, სიკვდილო, ამგვარ სიცოცხლეს!

– უღვთოდ სული არვის ამოსდის, მანამდისინ კი...

ათვალიერებდნენ, კიდევ ხომ არაფერი დარჩენიაო კარზედ გასატანი, საზრდოდ საქცევი.

– დედი, ამოვიღოთ ნატვრის თვალი და გავიტანოთ.

– გავყიდოთ, შვილო! როგორა ვქნათ, რომ არ გაგვიგონ, თუ შეგვამჩნიეს, გამოგვტაცებენ. იციან, რომ გვაქვს, თანაც ეჭვობენ. თვალი უჭირავთ.

– რომ ვეღარ შევსძლოთ იმის დაფარვა?!

გონების თვალთ მიმოავლებდნენ; ჰსურდათ, ეპოვნათ ვინმე ისეთი, რომ შესძლებოდათ მიჰნდობოდნენ ამ გასაჭირში.

5

– არ ვიცი, ღმერთმანი, ვის უჩვენო. თვალს მოსჭრის მნახველს, გამოგვწირავენ. ან ფასს უფასოს გადმოგვიგდებენ. სხვა გზა მაინც არ მოიძევა: გაჭირვებამ სახრინავზედ დაგვაყენა.

– აღარ შემიძლან მოთმენა, ვიწვი ყინვითა.

– ამოვიღოთ. თუ გავწყდებით, რისთვისღა გვინდა?!

– მაშ გამოვიტან, მინამ ღამეა. შეიძლება, დღე მოგვასწრონ და გაგვიქვეყნონ.

– გვიანი არის, აღარავინ მოვა.

გავიდა დედაკაცი მეორე ოთახში; ეწვალა. ამოიღო სამალავიდან. გააღეს ყუთი. შემოსცინა ქვამ მშვენიერმა. კარგა დიდი იყო, ადამიანის თვალივით მოყვანილი: თითქო მოსჩანდა გუგა, კაკალი, თითონ ბაია. შუაში, ამაღლებულ ადგილას, მუქი ცისფერი დასცემდა ოდნავ წამწვანო, დაშვებულებში მკრთალდებოდა, მქრალ სინათლედ იფანტებოდა. მთელი თვალი ანათებდა მოძრავ ნათელით. თუ ლაპლაპებდა ცეცხლის ალი შიგ მომწყვდეული.

ენთო სანთელი. შანდლის პირად დაწეული იღვენთებოდა. კიდეც მიიხრწნა. მოიფინა ხშირი ბინდი შენივთებული. კუთხეები ბნელმა მოიცვა. დაუდგრომელ აჩრდილთ სიმრავლე. ძვირფასი თვალი თანისთანად ფხიზლდებოდა, განათდებოდა. ბუნჯგალ-ბუნჯგალ სხივთ ჰფანტავდა, მიმოისროდა. ხუჩხუჩებდა ნაპერწკალში, მხიარულობდა.

– რა კარგი არის!

– დახე იღვიძებს, მიმოიძვრის, გვათვალიერებს!

– რას ამბობ, ქალო?! როგორ შემაკრთე!

იწვის სანთელი. მდნარი ქონი შემოადგა ჩაწეულ პატრუქს. ლამის მთელ დარბაზს მოეფინოს მღელვარე ბნელი. თვალი უფრო აელვარდა ცოცხალ სინათლით. დაიწია მნათობ განძმა ბნელ კუთხისაკენ. მის გარშემო წრე მოერტყა სახედ ქალისა. მოიხაზა ხატებაც ტანისა. აქოჩრილი თმათა ტევრნი გადმოჰფენოდნენ. მშვილდებად წარბნი. შამბ წამწამნი ღაწვთ დაფენილნი. გაპობილ ბაგეთ უალერსებს კბილთა ციაგი.

– ჰხედავ იმ სახეს?

– ვხედავ! მეშინის!

– რა ლამაზია!

– აგერ ბრუნდება!

– არა! მიფრინავს.

ირხეოდა ორიოდ წუთს იგი აჩრდილი და ნელ-ნელა გაიფანტა, გაუჩინარდა.

ამ ამბავმა ისე იმოქმედა დიასახლისზედ, რომ კიდევ რამდენიმე ხანი დაამყოფა განძი თავის სახლში. როდემდისინ? გაჭირება მოუთმენელი, სახსარი კი ერთადერთი: ის ძვირფასი ქვა. გზა აღარ იყო, უნდა გადედგა ნაბიჯი ძნელი. განძის გატანა ბაზარში ვერ გაებედნა. სხვა გზას იკვლევდა. კიდეც მიაგნო!

ნაცნობთა შორის ბექა უფრო სანდოდ ეჩვენა, ამ საქმისათვის გამოსადეგად. ძველი კაცი განათლებული. დრო მოეჭამნა, განდეგილად გასულიყო განმარტოებით. მეგობრობდა მეცნიერებას; მით ირთობდა თავს. ჰსმენოდა მას განძის ამბავი და უხაროდა, რომ ჰნახავდა ქვას თავის თვალით. მოუტანეს. დააკვირდა. სინჯავდა და ვერ ძღებოდა თვალიერებით.

– ძლიერ კარგი ჰქმენ, ვაჭარს ვისმე არ აჩვენე და მოიტანე. იშვიათია! ბევრი არ არის ამისთანა თვალი ძვირფასი.

– რა ქვა არის ეს?

– ძნელი არის გადაწყვეტით თქმა. თითქო უფრო ბივრილიონს ჰგავს. მაგრამ ესე თავისებური?! მეტად ძვირად საშოვნელია.

– მაშ ბევრს მომცემენ!

– ვინ იცის ეგა?!

– თქვენი ნივთი სხვა მხრივ არის შესანიშნავი: ამის შენობა მეტად ჰგავს ცოცხალი თვალის აგებულობას. აბა ჩაჰხედე! – უთხრა კაცმა.

და ჩაუყენა მდიდებელი რაღაცა შუშა.

– თითქო თვალია, კაცის თვალი გაქვავებული!

– იქნება მართლა ადამიანის თვალიც იყოს ეს.

– როგორ შეიძლება, გეთაყვა?!

– შესაძლო არის! დასტანებია მთელ ბუნებას მქმედი ძალა სამარადისო. შემოქმედება უთავებელი. წუთით, საათით, დღით თუ წლობით მეორდება მისი ქმნილება. ერთი წყობა რომ იშლება, ჭკნება თუ ხმება, დას-დასი სხვა იბადება ახალ-ახალი. შემოქმედების მბრუნავ ბორბალზედ ერთი რიგი ისახება, აკოკრდება და იფურჩქნება; სხვა მეორე ხანდაზმული ოხრწნებ-იშლება. და ეს მარადის დაუცხრომელად.

– მართალსა ბრძანებ!

– ამ ულეველ წარმოშობას და მოსპობას, სიკვდილ-სიცოცხლეს საკუთარი ჰაზრი სტანავს უცვალებელი.

– რა ჰაზრი არი?

– დიდს შემოქმედს თვის არსებაში ყოველ ქმნილების სამარადო სახეები ახატული აქვს. სრულნი არიან ის აღალმანი, უხინჯონი, უნაკლულონი, უცვალებელ სიმშვენივრით სავსებით მკულნი. ბუნებაში ხორცს ისხავენ ის სახეები, მთელი სამყარო იმ ხატებებს ანხორციელებს. მაგრამ მძიმეა, ბნელი არის ნივთიერება და როდი იტევს იმ უებრო პირველ-სახეებს, უნაკლოდ ვერ ჩამოჰნაქვთავს. და შემოქმედი უარსა ჰყოფს იმ უსრულო თვის ქმნილებებსა, განეშორება. მომსპობი ძალა ეუფლება უარყოფილთა. სცელავს სიკვდილი არსებათა წყობას წყობაზედ და მით გზას უხსნის ახალ-ახალ მათზედ უკეთესთ.

– განა თანდისთან არსებობა უკეთე...

– იარსებებს ეს მოსპობა დაუცხრომელი, სანამ ისე ჰაეროვნად შეიქმნება ნივთიერება, რომ ძალს შეიმოსს უცვალებლად წარმოშობოს პირველსახენი. მხოლოდ

მაშინ მოისპობა დაშლა. სიკვდილი და გამეფდება სანეტარო არსებობა უცვლელ-უხრწნელი.

– ჰოო?!

– სწორედ!

– იქნება მართალიც იყოს ეგ შენი სიტყვა, მაგრამ ვერ მივმხვდარვარ, რა კავშირი აქვს შენს მსჯელობას ამ ჩვენ ნივთთანა.

– ეხლავე!

7

– მაინც ათასში ერთხელ შემოქმედება ისეთი უნაკლო გამოდის და მშვენიერი, რომ თითქმის მთელის სისრულით განახორციელებს თავის ზესახეს. იგი ქმნილება დასაშლელად თვით შემოქმედს დაენანება და განაშორებს მისგან ხრწნილებას, გააქვავებს და ინახავს ულეველ წყობით, მანამ...

– შენა გგონია...

– დარწმუნებული ვარ, ეს ძვირფასი თვალი ოდესმე ცოცხალი იყო. გაქვავებულშიც შენახულია ცნობის ნასახი, სიცოცხლის ნეშტი.

– მაგას რას ბრძანებ? ადამიანის თვალი არის ძვირფას ქვად ქმნილი?!

– ნამდვილ! ჰე, დააკვირდი! – უთხრა მოხუცმა

და ისე დააყენა თვალი, რომ ლამპის შუქი ალმაცერად ათამაშდა მასში, გამომეტყველდა და აღიგზნო ქვაში სიცოცხლე.

– იცი, ბატონო, ამ ძვირფასმა ქვამ იცის ავადმყოფობა, კარგად გახდომა; სიხარული და სიმძიმილი. ხან ცრიატდება, ელვასა ჰკარგავს, ცეცხლი უქრება; ხან აღელდება, ლაპლაპდება, მასში ალი მხიარულად ათამაშდება.

– შეიძლება ამ ნივთის მიხედვით ადამიანმა ფიქრთა არეში აღადგინოს იგი სახე, რომელს ოდესმე ამშვენებდენ ეს ტურფა თვალნი. ძნელი კი იქნება: მას აქათ, რაც მას უარსებნია ქვეყანაზედ, ვინ იცის, რამდენი საუკუნე არის გასული.

– საკვირველია! მაგრამ იქნება მართალიც იყოს შენი თქმა საარაკო, – სთქვა დედაკაცმა

და უამბო ის ჩვენება, რომელიც განიცადა მან, როდესაც თვალის გარშამო მოიხაზა მთელი აღალმა მშვენიერი არსებისა, როგორც რამ ნივთიერი აჩრდილი.

– გადასრული არსების სახე განგცხადებია! ქმნილებათა შესახებ ჩემს მოსაზრებას ადასტურებენ ეს თვალი და ის ჩვენება.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, თვალი თანდათან გაბრწყინდა, სიცოცხლე ათამაშდა მასში. თითქო იძროდა ქვის შუაგული, იხედებოდა. სხივთა კრთომაში სიხარული იხატებოდა. შეკრთნენ ორნივე. ბექამ მაინც არ შეიმჩნია.

– გახარებს რასმე განძი ძვირფასი!

– მართლა, გენაცვა?!

– არ შეიძლება ვაჭრის ხელში ამის ჩაგდება!

8

ნება არ მისცა, ბაზარში გაეტანა თვალი: სამუზეუმო განძად დასახა. აღუთქვა შუამდგომლობა. მანამ საქმეს მოაწყობდა, ხელი მოუნაცვლა გაჭირვებულს.

– ინებე! განძის ფასს რომ აიღებ, მაშინ დამიბრუნებ. შეგატყობინებ, როცა დრო იქნება. გასინჯავენ, მოგირიგდებიან.

– შენი იმედი ნუ მოგვიშალოს!

საკმაო ფული ათხოვა; ეყოფოდათ, მანამ გაჰყიდნენ. გულს ეფონა მანდილოსანს. იმან უფრო გაამხნევა, ბექამ რომ უთხრა, ძვირფასი თვალის აბრწყინება სასიხარულო რასმე გეტყვისო.

– ფულს რომ გაიღებენ, შეგატყობინებ და მოიტან ნივთს.

კიდევ ცოტა ხანი, და ეს განძიც ისევე გაიყიდებოდა, როგორც მთელი სხვა ქონება გასცდა თვალადაანთ სახლს. მხოლოდ იმან შეუშალა გაყიდვას ხელი, წერილი რომ მოუვიდა აღსართანისგან:

– მალე ჩამოვალ, ჩემს ახალ სულსაც თან ჩამოვიყვან, ძალიან მოგეწონებათ, – სწერდა დაკარგული.

წიგნი ცარიელი არ იყო: ფული მოეშველებინა სახლისათვის.

– აი რა სასიხარულოს მეუბნებოდა თვალი ძვირფასი, – წარსთქვა დედაკაცმა

და ნახა განძი, მოუალერსა.

– ეს ნივთი თილისმაა ჩვენ ოჯახისთვის: ბოლოს მაინც სიკეთის მოტანა იცის. რაც უნდა გაჭირვებაში ჩავარდეს კერა, მისი კარზედ გატანა ჰაზრადაც არ უნდა მოუვიდეს ჩვენს გვარს!

– ოღონდაც! როგორ შეიძლება თუნდ უკიდურეს ყოფაში, სახლის კეთილისმყოფელი გაიყვანო და გაჰყიდო? ცოცხალია ეგ, მგრძნობიარე.

დაენანათ, რომ ვერ შესძლეს განძის შეძენა. რაღა გაეწყობოდა?! დედაკაცი წელში იყო გამართული და ნივთის კარზედ გატანა კი არა, იმასა ცდილობდა, სახლში შეეტანა და შეევსო დაცლილი თარო, კიდობანი თუ კარადები.

გაჩნდა სახლში ფქვილი, ცხიმი, მარცვლეულობა, აგიზგიზდა ბუხარში ცეცხლი. ჩაიცვ-დაიხურეს, ტიტველა დამალეს. გზისკენ ეჭირათ თვალი მოლოდინად გარდაქმნილებსა.

– რაზედ გავყიდდი! როგორღა შევხედავდი თვალებში ჩემს ვაჟს!..

9

შვილის ამბავი რომ უხაროდა დაკარგულად ნაგულებისა, მის სიხარულს ის უფრო აძლიერებდა, რომ გამთავნებული უბრუნდებოდა იგი: რძალს მოჰგვრიდა და მერე რა რძალს! მშვენიერია, ესეთს ქალს მანდ მეორეს ვერ იპოვიო. ფულიც ბლომად ეშოვნა. ეტყობოდა გამონაგზავნს, წერილის კილოს.

– ვმადლობ ჩემ წილ ღმერთს! ერთი შვილი წამართვა უბედურობამ, უკანასკნელ გასაჭირში გამოგვატარა, მიწად დაგვხარა. ბოლოს მაინც პირი იბრუნა ჩვენსკენ, ნათელი.

– ისიც ძალიან სასიხარულოა, რომ ცხრა მთას იქით გადაკარგულს უცხო თესლი არ შეხვედრია. ქართველ ოჯახიდანვე გამოუყვანია ქალი, იმ მხარეს მოყოლილ სახლობიდან.

– იმას რაღას იწერება, ისეთი მშვენიერი თვალები აქვს, როგორც ის საგვარეულო ქვაო ძვირფასი?

– რა ვიცი! ალბათ შეყვარებულია და ჰგონია, რაც ქვეყანაზედ სიმშვენივრეა, ყველა იმ ქალს შეუკრებია

და ელოდნენ მოუთმენლად, გზას გასცქეროდნენ: საათი დღედ ეჩვენებოდათ, დღე მთლიან კვირად. ჰპოვა მათმა მოლოდინმაც თავის დასასრული: მაშინ მოგრიალდა ეტლი, როცა ლოდინით ილაჯწასულნი შინ შეყუჟულიყვნენ, კარში აღარავინ ჭაჭანებდა. მანამ შვილს გადაეხვევოდა, რძალს მიაბყრო მზვერავი თვალი.

რომ აიმართა მის წინაშე სხივთ ნაკვეთი საროს მაგვარი, გულს ყვავილი გარდეფინა ბედნიერ დედას.

– შვილო, აღსართან!

სიხარულის ტირილი! ცრემლით მორწყული სახე მღიმარე. მული წელს მოსჭდომოდა რძალს, თვალებში შეჰყურებდა მის სიტურფით მიტაცებული. რაც უფრო აკვირდებოდა დედა, მით უფრო მეტი განცვიფრება ეხატებოდა:

– სწორედ ის არის, რომ მომევლინა! ესე მზგავსება ჩვენებისა და ხორციელის?! თვალები ხომ ჩვენს განძს მიუგავს!

თანდათან რწმუნდებოდა ამ მზგავსებაში. როცა ქალი თმაგაშლილი ნახა, ვეღარ მოითმინა, წამოიძახა:

– მინახავხარ, მე შენ გიცნობდი!

რძალი შეკრთა ამნაირ თქმაზედ, გაიფიქრა:

– სად შევხვდებოდი, როგორ მნახავდა?! ბალღობის აქათ აღარ ვყოფილვარ საქართველოში და...

10

უამბო მანდილოსანმა, რა გასაჭირი დაატყდა თავს, როცა დაასკვნეს, გაეყიდნათ იგი საუნჯე და როგორ ეჩვენა ცხად აჩრდილად მზეთუნახავი.

– ამოიღე იგი თვალი, ნესტანმაც ნახოს.

შევიდა დედა ოთახში. დაუწყო გადმოლაგება.

– განა სკივრში არა გაქვს შენახული?

– არა! საშიში იყო და დავმალე.

– ამაოდ! მტაცებელნი გათქმევინებდნენ.

– ვერა! სულდგმულად ვხადი და არ გავცემდი.

დაუწყეს სინჯვა.

– ამისთანა თვალნი ესხდნენ იმ მოჩვენებას.

ქალი გაკვირდა:

– ამისთანა თვალი არ შემხვედრია, თუმცა ბევრი სხვადასხვა გამისინჯია. თითქო მართლა ცოცხალიაო.

– მაშ შენს თვალებს არ მოგაგონებს?

ქალი განცვიფრდა: მის თვალების ნახჩი იყო და ნაირობა!

– კარგად აღარ მახსოვდა განძი. დიდი მსგავსებაა ამ თვალთა შორის, – წარმოსთქვა დაფიქრებულმა აღსართან.

ძვირფას თვალს სიცოცხლე დაეტყო: სხივოსნობდა, ქალისაკენ აფრქვევდა ნათელს. ციალ-პრიალი. ნაპერწკალთ ბუნჯგლებს მიმოაბნევდა. გააცრიატა მის ბრჭყვიალმა ლამპრის სინათლე. ნაზი შრიალი ფოთოლთა რხევის. დაეკმია მთელ დარბაზში ყვავილთ სუნნელი. გაბრწყინდა თვალი ელვასავით და უცებ ჩაქრა.

ძვირფასი თვალი ჩამწვარიყო, ჩანავლებული.

1924 წ.

გიორგი სააკაძე

ქუფრი ლანდები

1

აისი ჯერ არ აზეულიყო, როცა დაიძრნენ ცხენოსნები. დაკვართულნი იყვნენ; მსუბუქად შეიარაღებულნი. ერთს მათგანს მცირედ ჭაღარა შეჰრეოდა, სხვები ახალგაზრდანი, წვერ-ულვაშ ახლად აშლილნი. განკარგულებას ჭაღარა აძლევდა. ბრგე ვაჟკაცის ბოხი ხმა მდორე გრგვინვად ეფინებოდა ეზო-ყურესა. სამიც სხვა იყო, მსახურებს ჰგვანდნენ, მებარგულეებს; ცხენებიც ამათ მძიმეები ჰყვანდათ, ტვირთის საზიდად გამოსადეგნი. ქორ-მიმინო არ მიჰყვანდათ; რამდენიმე გაწვრთნილი ძაღლი მოსდევდათ თანა.

– ღმერთო და ჩვენო სალოცავებო! გზა წარგვიმართეთ, იღბლიანად გვანადირეთ, ხელსავსენი შემოგვაბრუნეთ! – წარსთქვა ჭაღარამ

და გადიწერა პირჯვარი. სხვებმაც ახსენეს ღმერთი, ჯვარი გადაისახეს. დაიძრა ჯგუფი; პირი სამხრეთისკენა ჰქმნეს, ტყით დაბურულ მთისაკენ. უსიტყვოდ მიდიოდნენ, უჩუმრად. ჭაღარა ოდნავ წინ უძღოდა. ახალ აისის სიჩუმეს მხოლოდ ცხენთა ფეხის ხმა არღვევდა და წყარო-ნაკადთა ჩხრიალ-რაკრაკი. რიჟრაჟდებოდა. გამარჯვებულ სინათლეს წინწარექცია ღონემიხდილი ბნელი უკუნი, სწრაფის ნაბიჯით მისდევდა პირქუფრს. ალიონმა გააღვიძა მძინარე არე. მოისმა სულდგმულთ ხმიანობა; ბგერათა სრბოლამ შესძრა ჰაერი, დაკვალ-დაქსელა. მინელდა დაღლილ მდინარეთა მაღალი ხმები. თენდებოდა. ტყემ შეიმწვანა მუქი სამოსი. გათენდა დილა. ეალერსა თხემი მთისა მზის სხივს პრიალას, გაუღიმა ქოჩორამ მნათობს. სხივთა ალერსი, მთის სიყვარული შეჰშურდათ დაბლა ჩაწოლილ ღრუბლებს, შეირყ-შეიძრნენ პირმოქუშულნი; ზლაზვნით, გრაგვნით გაემართნენ მწვერვალისაკენ: გადავბურავთ იმ მოცინარეს, მთლად დავუხშობთ სხივებს მზისაო. საგრძნობლად გრილა ზევითდაზევით; ჟრუანტელმა დაუარა მგზავრებს სხეულში.

– კარგი ვქმენით, ბატონო გიორგი, რომ საგზაოდ თითო ყანწი გადავკარით წინწანაქარი: შეგვათროლებდა ეს დილის სიო.

– საღი სიგრილეა დალოცვილი, ამხნევებს კაცსა.

– მერჩივნა, მეორეც ჩამომერთმივნა: არაფერი არ ედრება სულადის არაყს.

– რას უარობდი, თუ კი გინდოდა?!

– დაირცხვინა ქალბატონთან ჩვენმა გოდერძმა.

– შეკრთა კიდეცა: ვერ შეჰბედა, თითქო შეშინდა.

– ვაჟკაცის შიში თუნდ ქალების წინ?! დარცხვენა კი, ეშხიანი კდემის შემოსვა, ამშვენებს ჭაბუკს.

2

იყუჩეს მგზავრთა; ბუნება კი უფრო აჩქამდა: გაღვიძებულ-გაფხიზლებული ყოველი არსი, განახლებულ ძალებით სავსე, ჟიჟინებდა, ხმიანობდა; ბგერით, ცეკვით ამჟღავნებდა სიცოცხლის სურვილს; მაღლა იტყოდა ტყე, ჰაერი, მინდორი, მიწა; ყოვლი სულდგმული მზეს უმღერდა მის ქმნილება სინათლის მომცემს, სითბოს მომტანს, ტურფა სიცოცხლის მომნიჭებელსა; შესტრფოდა იმას; გულგახსნილი

როკავდა მის წინ; გუნდრუკს უკმევდა. ძალთა სიუხვეს გრძნობდნენ მგზავრებიც, ესწრაფებოდნენ, შესდგომოდნენ განზრახულ საბრძოლს.

– ძლიერ მიყვარს ნადირობა; ადამიანი ავარჯიშებს მუხლს, თვალს, სმენასა; იჩენს სიმარდეს, გამრჯელობას; სწრთვნის მკლავთა ღონეს.

– და ეჩვევა დიდ სიფრთხილესა, ზომით ქმედობას. ომის სახეა ნადირობა, ბრძოლის მასწავლი.

– ახოებისკენ! მებარგულნი და ცხენები გატეხილთან უნდა დავტოვოთ: წყილი არის იქ, საძოვარიც; ადგილიც გაშლილია; სიფრთხილეს თავი არ ასტკივა: შესაძლოა მტერი იყოს ჩასაფრებული.

მივიდნენ, ჩამოხდნენ. მოხსნეს ცხენებს მოკაზმულბა, გაუყარეს დუშაყები, მინდორს გაუშვეს.

– საჭირო ჟამს საყვირით მოგვცემთ ხმას. თვალხმიერად იყავით, ფრთხილად. ჩვენც საყვირით შეგატყობინებთ. ჩვენს ზახილზედ ერთ-ერთი გამოიკვლევს გზას; სხვები არ მოჰშორდნენ აქავრობას!

– საღამოს აქვე შევიყრებით?

– უსათუოდ! ჰე, ყმაწვილებო! აწ გამოჩნდება თვითეულის ძალა, უნარი: ტყე შეკრული არ არის; ყველა ჩვენგანი დამკვლევიც არის და მსროლელიცა.

გაიფანტნენ. ფრთხილად მისდევდნენ მათ დაგეშილნი, წრეს მოავლებდნენ პატრონთ გარშემო: ვერ ასცდებოდა ვერრა ცხოველი მათ მახვილ თვალყურს, ძლიერ ყნოსასა. ეს ნადირობა არ იყო ფართოდ მოწყობილი, აღლუმის გვარი ვარჯიშობა, როდეს კაცთ რიცხვი მრავალია, თავდარიგი განსგაწეული; შემთხვევითი იყო, საჭიროებით გამოწვეული: დიდი სტუმრობა უნდა მოეწყო მასპინძელს მაშინ და ყოვლის კეთილით აღსავსე სუფრას დაემჩნეოდა, რომ ნანადირევი არ ყოფილიყო გაშლილი მასზედ. მომსხო ნადირზედ გამოვიდნენ: მფრინველთა თუ კურდღელთა ბყრობა ადვილი იყო ყოველსავე ჟამს.

ხელმწიფის ამ სტუმრობასთან აზნაურის სახლში ბევრი საფიქრი იყო დაკავშირებული მეტად სამძიმო. ამას სწონავდა გიორგი, ამას ჰზომავდა აზრთა არეში ეშხიანი მასპინძლობის მეტად მოსურნე. ნადირობით და ფიქრებით გატაცებული ასცდი თვის კაცებს; მხოლოდ მაშინ მოეგო თავსა, როცა მზე გასცდა საშუადღეოს და თავთავქვე დაეკიდა. გაჰმარჯვებოდა: ჩხაშემაღლებული ირემი ეგდო მის წინ. მოიმარჯვა საყვირი, რომ გაეგო, სად ვიდოდნენ ამხანაგები; გადაიფიქრა. ჩაჰყვა რაღაც ხევს, რომ წყლის სვლაზედ მოეზომა, სად იყო იგი, როგორ ჰშორავდა დანიშნულ ბინას. ჩაითავქვევა. ხევი გაგანიერდა. ნაკადულის სვლა შემძიმდა: სავალი გაჰშლოდა მას და თავისუფლად ამოესუნთქა; ხლტომით დაღლილი ნელის დენით მიმდინარობდა.

– კავთურას ტოტი! დიდი მანძილი გამივლია. მეტად თუ ავცდი ჩემს ამხანაგებს.

შედგა; დაფიქრდა. ქვეითიდან მოეფინა ღრმა ბგერათ ჯგუფი. დაუგდო ყური. ხმა განმეორდა.

– ღორის ხმა არის. სწორედ ტახები! წყალზედ მოსულან; საყრელი გუბე ექნებათ სადმე, – სთქვა

და მოათვალიერა მახლობელი ხეები, რომ გასაჭირში აესწრო ზედ განძვინებულ მხეცისათვისა. მიწყდა ხმა. ისევ განმეორდა. მონადირემ ზევ-ზევით დაუარა ხევს, ქვევით მოექცა ხმიანობასა. ნიავი იძროდა მთიდან და ზევით მყოფის სუნს მიჰფენდა მათ. ჩაეპარა, გადახედა. ხევი ერთს ალაგას უბედ მოქანებულიყო, წყალი მოტბორებულიყო კალო სივრცეზედ. ღვიმრა, ბუერა, ჯორისკუდა მოსდებოდა

გაჟღენთილ მიწას. შეგუბებულ ნაკადულში ღორი ეყარა. ხვადს ეგრძნო მტერი, ნახევრად ამოჩენილიყო გუბიდინ; თვალნი მიებყრო ხშირიანისკენ.

– სუნი თუ იკრა წეღან ზევიდან, – გაიფიქრა ვაჟკაცმა

და გაცურდა ფრთხილად. დაუახლოვდა. ეშვი დაკვირვებით იმზირებოდა, კბილებს ჰლესავდა. ცალმუხლზედ კაცი, მოზიდა შვილდსა. ფრთა აისხა წვერმახვ ბოძალმა, დაესვა მკერდში. წამოვიდა ტახი მედგარი. წამოიშალნენ ყველა ღორები. შეიმაღლა სატევარი მონადირემა. მივიდა ტახი, დაღუნა თავი, ელვის სისწრაფით შეეფარა წიფელს ვაჟკაცი და ღორმა რომ გაქნეულ ეშვით გაქლიშა ქერქი, ბეჭს და ბეჭს შუა მას დაესვა ტარამდინ ბასრი. გაწმინდა ხანჯალი ჯაგარზედ. ერთს ხანს დაჰმზერდა ვეება ტახს უსულოდ გდებულს.

– ჰე, ბეჩავ, ეშვო! ძლიერი სჩანხარ. იმედიანად იქნებოდა შენი კოლტი შენს ინაბარს. ვერც იძლეოდი მტრისაგან, თუ იარაღით, სხვა რამ ხერხით არ შეგბმოდა ის. რამოდენაა!

ასწია დავლა წინა ფეხითა. ვეფხვის ტოტივით ძარღვიანი ხელი დაეტენა სისხლის რუებით, დიდრონი თვალი ამომჯდარი წამოეკარკლა.

– რამოდენა ეშვი ჰქონია! ხმალია მისთვის თვითეული, ბევრ ხმალზედ მკვეთრი. როდი იცის სიძნელეში თავის დაზოგვა; შეაკვდება შემმართებელი. კაცნი კი... ყალბად ხმარობენ ხანდისხან ხმალსა, საპირადო გზის გასაკვლევად, მოყვარისვე წასახდენათ, თვისის ქვეყნის საოხრებლად.

ჩამოჯდა ხეზედ ჩაფიქრებული.

– მართალა! მაკრინე მეხვეწებოდა, ეგებ უკეთესი ეშვი მიშოვნო: ეს სუფთად ვეღარა ჰმტკეცს ბუზმენტს თუ ბაბთა-არშიასო. აუსრულდა ნატვრა. რა მშვენიერი ეშვია! შევავერცხლინებ... უფრო გაეხარდებოდა, თუ გოდერძს ეშოვნა მისთვის ეს ნივთი: შეუცნობლად მოსწონს ჭაბუკი. გოდერძი ხომ გადარეულია, რა მოკრძალებით შეჰყურებს ქალწულს! დილას ბალღივით დაიბნა მის წინ. ჩემიც მეტად ეხათრება. იცის ესე ახალმა გრძნობამ: იქაც ეშინის, არაფერი საშიშრობა სად არ არსებობს..... იქნებ საშიშიც არის და ვაჟი ალღოთი გრძნობს ამას: ყურმახვილია შეყვარებულის გული, შორსგამჭვრეტელი.

ადგა. ჩაათრია ირემი; ერთად დაყარა. აახმაურა ბუკი; მძლედ გასძახოდა, ყრუთ მოესმა საიდანღაც მის საპასუხო. ბინდბანდისას შეიკრბენ ბინაზედ. შეაქუჩეს ნანადირევი. კმაყოფილნი იყვნენ: მონადირეთა მფარველ ხატს კეთილი თვალით შეეხედნა მათთვის. მაინც ყოველმხრივ უმარჯვდებოდა დიდებულ სტუმართ მისაღებად. რა ღვინოები! ნაპერწკლებად იშლებოდნენ ძლიერებით აფეთქებულნი.

3

სტუმრებს ელოდა მასპინძელი დოვლათსვიანი, გული მაინც არა ჰქონდა მთლად გაღებული; ეკუმშებოდა უნებლიეთ გრძნობათ სავანე; თითქო კრთოდა უშიშარი ლომგული. უფრო ძნელი თუ მოსჩანდა მისთვის სტუმრობა, ვიდრემდის ომი, ხმალთა ტრიალი. სისხლმთხევი ბრძოლა მღერად უჩნდა მკლავმაგარ ვაჟკაცს თვალშეუცთომელს; ალღო ეტყოდა მტრის მოძრაობას. აქ კი..... შესაძლო იყო აქ ბრძოლა აგებულიყო ძალთა მექონის ვნებათღელვაზედ წმიდა კერის შესამღვრევადა. მკვიდრ ოჯახის შესარყევადა. ისიც შესაძლო იყო ამგვარ ბრძოლას უდიდესი გამარჯვება და დიდება მოეტანა გიორგისათვის. ამირთამირი მაინც ნატრობდა, ასცდენოდა მას ეს ხიფათი. ეჰ, შეუძლებელი იყო ეს და მომსვლელს დამხვედრი უნდოდა.

– ვერ გადმოლახონ ჩვენი კერა ბინძური ფეხით, მანამ ხელთ მიბყრავს მე ჩემი ხმალი! იქნებ იქამდის მოიხიბლოს მაკრინეს ეშხით, რომ მოისურვოს თვით დედოფლად მის წაყვანება. არ უნდა მოხდეს! ჩვენს განდიდებას არ დასთმობენ დიდდიდებულნი..... ძნელი თქმა ასდევს ჩვენს სიცოცხლესა: ეშინოდეთო განდიდებისა, უთქვამს ჩვენზედ ვინმე განდეგილს.

დაფიქრდა ვაჟკაცი. თვალთ წინ აეხატნენ: მზეთუნახავი თვისი დაი, ჭაბუკი მეფე ატეხილი ნების მექონი და მის დიდებულნი, რომ აქეზებდნენ ახალგაზრდას ავსა გზაზედა. მანდილოსნებიც მის ოჯახში წაეღო ამ დარდს:

– დიდი სიფრიხილე გვმართებს! ყოველი სიტყვა, მოძრაობა თუ მოქმედება აზომილ-აწონილი უნდა იყოს ჩვენგან. შურით გვიმზერენ. ვერ შეუნდიათ ჩვენ გიორგისთვის, რომ მეფეს დაახლოვებული ჰყავს ის და დიდად აფასებს მის ჭკუას თუ უნარს. იმთავითვე აჰყვა მას შური: ჯერ სულ ცამეტი წლისა იყო, რომ დიდმა სვიმონმა შინაყმად მოიკიდა იგი და ბრძოლებში ავარჯიშებდა, ესე ებრძანებინა ჩემის ცხონებულისათვის:

– შენს შვილს ძლიერებასთან ერთად საკვირველი სამხედრო ალღო აქვს დატანებული: თუმცა ჯერ პატარა არის, მაინც უფრო ნათლად ჰხედავს ბრძოლის მიმოსვლას, სინამ სხვა გამოცდილნიო, – ესაუბრებოდა დედამთილი რძალს.

– ჭეშმარიტი უბრძანებია სვიმონ მეფესა! გამიგონია მამაჩემისაგან: ბევრჯერ დაიხსნაო გიორგიმ ქვეყანა განსაცდელიდგან; დიდი სახელი მოიხვეჭა განსვენებულ გიორგი მეფის და ღვთივ კურთხეულის ლუარსაბის წინაშეო.

– იცის ნუგზარმა! იმასაც ჰხედავს, რომ სახელთან ერთად მტრებიც იმრავლა, მოშურნეები. იმდღეს ამბობდა ჩემი გიორგი: ჩემი მტრები ეხლა ჩუმად არიან; აბა ფეხი ამიცდეს, თუ არ წამომესივნენო.

– უწინამც დღე დაელიოთ ჩვენს ავის მსურველთ!

ქალები სარისტას აძლევდნენ ყველგან და ყველას, ბევრი იყო გასაკეთებელი. საფენი, ლოგინი, ჭურჭელი, ვეჯი ერთიანად გამოეყარნათ, თითქო აღდგომის დღესასწაულები მოსდგომიათო კარს. რიგი ჰბერტყავდა, სწმედდა, ჰხეხავდა; სხვები სახლებს, ეზოს ალაგებდნენ, ასუფთავებდნენ. დიდ დერეფანში ხალიჩაზედ მოეკეცნა თავშეჩარდახებულ დედაკაცს და ნუშის გულად ალიანდაგებდა ფარჩის საბანსა.

– აბა მარჯვედ; აგერ მზე საშუადღეოზედ წამოვიდა, ჯერ კი არაფერი მოგვიყვანია არსებაში.

– ბიჭო ნინიავ, ეს ურემი ტყუილადა გდია აქათ ეზოში; საბძლისაკენ გააგორეთ; სხვა ხარახურაც მოაშორეთ აქედან.

– ღმერთო დამწერე შენი წყალობის ჯვარი! აბა რა ეზოა, თუ ურემი არა გდია, ან გუთანი თუ სათრები და სხვა საჭირო?!

– გამოიღე ბამბის ძველა ყურებიდან: თითონ ხელმწიფე მობრძანდება, მეფე ლუარსაბ! ისე უნდა იყოს აქავრობა დაკრიალებული, ერბო აიკრიფებოდეს.

– შენ, ჩემო ხოში, საბანს დღეს მორჩები; ახლა ლეიბის ახალი პირი, ბალიშები. მთელი ხელი ლოგინი კეწკეწი უნდა იყოს, უხმარებელი. მერმეც აღარ შეიძლება სხვა ვინმე ჩაწვეს მაგ ლოგინში, რაკი მეფე იწვება ერთხელ.

– მაშ თანვე გაატანეთ მეფეს მზითვად, – წარსთქვა მკერვალმა

და დასძინა გულში:

– ვაი ჩვენი ბრალი! ჩვენ რა ჟმის ძონძებს ვაკერ-ვაკონკებთ, იმას კი არ შეიძლება გაუშალონ ერთხელ ნაგები.

– მზითვადაო, – გაიმეორა ქალბატონმა და განაგრძო თავისი ფიქრი:

– ჰოდა ჩემს თეკლეს... იჰ, ბალღობის სახელი წამცდა, ჯერ რომ ცოცხლობდა ბებო მაკრინე... ჰოდა ჩემს მაკრინეს გავატან მზითვად, რომ გავათხოვებ. მაკრინე..... სახიფათო საქმე..... ვარსკვლავივით მნათობი ქალი. ახალგაზრდა მეფე ლუარსაბ..... სულ ოცდაორი-სამი წლისაა..... კარისკაცნი ყოველგვარ უზნეობაში ხელს უმართავენ, რომ გაართონ, შორს ამყოფონ სახელმწიფო გამგეობაზედ. გიორგი ტყუილად არა თანხმდება, ნუგზარისას გავგზავნოთ ქალი: თითონ ნუგზარი თავისი სახლობით დღეს თუ ხვალ მოვაო; მტერნი დამასმენენ, არ გენდოვო, ღვთის გარეგანი ვინმე თუ ჰგონიხარო. ქალიც ოცნებობს, მეფეს ვნახავო, გაჩქარებით ჰქარგავს მის დროშას. ეჰ, მოხდეს იგი, რაც ღმერთს უნდოდეს! – დაათავა დედამ

და სახეზედ გადაივლო ხელი; ბურუსი თუ გარდიწმინდა შუბლის არედან.

4

მოუთმენლად მოელოდდა დიდს სტუმრობას ქალი მაკრინე. მის გონებაში ზეკაცის სახით იხატებოდა ბატონი მეფე, მზეჭაბუკი; ედრებოდა ბეგთარში მჯდომ მებრძოლ ანგელოზს, ხმალით ხელში რომ სდარაჯობს ნათელისგან მონიჭებულს ყოველს კეთილსა, ბნელმა-ბოროტმა არ წარმტაცოს, არ დათრგუნოსო. მკაცრი იერი როდი ჰქონდა ლურჯ თვალებიან ზეშთა ძალასა, სახე კეთილი ამშვენებდა ხელმლიერ მებრძოლს.

– ლუარსაბიც ქართველ ხალხის დამცველია ათას მტრისაგან. ალბათ ძლიერ კეთილია, ლმობიერი, ერის შემბრალი, არა ჰზოგავს სისხლმღვრელ ომში თავის სინორჩეს, დიდგამოცდილ ვაჟკაცებთან ერთად იბრძვისო, მითხრა გიორგიმ... თუ შეედრება ომის წესში იგი გოდერძსა? ძალიან უყვარს ჩემს ძმას გოდერძი; რამდენჯერ უთქვამს. ხმალით გაიკვლევს გზას ბრწყინვალესო.

– დედი, დედიჯან!

– რა არის, ქალო! არა მცალ...

– გენაცვალე!

– ეხლავე, კარგო!

– იცი, დედი, ავალიანთ ხათუთამ მითხრა, მეფე რომ გეწვევათ, მეც თქვენთან მოვალო; ახლო ვნახავ იმ ბედნიერს; არ გამოვალ, ჩუმად გავსინჯავო.

– ვკითხოთ გიორგის. გამოუსვლელობა არ შეიძლება: რაკი ჩვენთან იქნება, სტუმარსაც ჩვენთან უნდა შეჰხვდეს; უბრალო კაცის შვილი ხომ არ არის, გამოჩინების დროს მივჩქმალოთ.

– მოვიდეს! ერთად ვიქნებით და ძალიან არ შემრცხვება უცხოებში.

– ვნახოთ.

– ნაკერ-ნაქარგსაც ვაჩვენებ; ვგონებ, მოიწონოს; კიდეც წამეშველება.

– კარგი!.. მშვენიერი მისართმევი მოიგონე, დაგიმადლებს. ხელზედ მთხვევა დაგვჭირდება, ქალო!

– ისეთი ახალგაზრდა და ხელზედ კოც...

– ზეცით ცხებულია; გენაცვალე, სხვანაირად არ შეიძლება.

– ბედნიერი! – წარმოსთქვა ქალმა

და დაფიქრდა. იმაზედ ფიქრობდა, როგორ ლამაზად მოეწყობოდა სიცოცხლე იმ დიდებული მზეთუნახავისა, რომელს სურვილით მიაბყრობდა თვალთ იგი მზეჭაბუკი და დაჰსახავდა საფერ დედოფლად.

– ქალი კი არა, მზის შვილი უნდა იყოს იმის მეუღლე, ზეციური სული ხორცსხმული..... ამბობენ, დადიანსა ჰყავსო ამისთანა ქალი; თურმე ისეთი ლამაზია,

მზეს ეუბნება: შენ ჩადი და მე ამოვალო! იმაზედა აქვსთო ლაპარაკი. ნეტავ მაჩვენა! ვნახავ, როცა ჯვარს დაიწერს: გიორგი წამიყვანს სასახლეში, – იტყოდა ქალი

და მუშაობდა ხელმარდად: საზღვნო ალამის დათავებას ძლიერ ჩქარობდა.

– რომ გავათავებ, ჩემს სახელსაც ამოვკერავ სადმე ბაბთის პირასა, წმიდა ასოებით ამოვხატავ, მქრქალ ფერადებით. ჩემი ნაკერი ბაირაღი დაამშვენებს მეფის კარავსა და….. ჩემი სახელიც უჩინარად იქ იფრიალებს! იქნებ ისე მოეწონოს, ომშიც იახლოს, – სთქვა ქალმა

და კვლავ აღიღინდა:

> მთვარე ცისკრისა ვარსკვლავსა რა თანა შეესწოროსა,
> ორნივე სწორად ჰნათობენ; მოშორდეს, მოეშოროსა;
> არა თუ იგი მოშორდეს, მართ ცამან მოაშოროსა...

მიჰმართა ალამს:

– გესმის, ჩემო მშვენიერო, რას გევედრები? გამარჯვება მოუტანე ჩვენს ჭაბუკ მეფეს, დიდება დიდი!

ბაგე შეახო ალამის კუთხეს.

– იქნებ მეფემაც ვერ შენიშნოს ჩემი სახელი, ვერც მის მხლებლებმა: სრულებით არ სჩანს იგი ნაქარგი!

გასძახა დედას;

– დედი, დედილო!

– რა არის, შვილო?

– ჰე, გავათავე! მხოლოდ დაეშვაღა აკლია, სუფთად გატკეცა. კარგად გასინჯე ორივე მხარე: ზედმეტი ხომ არა არის რა, ამოვარღვიო! ან ნაკლები, რომ ჩავუმატო?

– მშვენიერია! ეშხით არის ყოველივე დამთავრებული. არაფრის მოშლა არ არის საჭირო, არც ჩამატება. თვალთ წინ ექმნება ხელოვნება, არ დაივიწყებს იგი შენს სახელს, ჩვენთან სტუმრობას.

– მართლა, დედილო?! – წარმოსთქვა ქალმა

და მოეხვია საყვარელ დედას.

– არ ვიცი, მე რაღა მივართო ისეთი, საფერი იყოს იმისიცა, ჩვენ ოჯახისაც, – დაიჩივლა მანდილოსანმა

და დაფიქრებული განშორდა ქალსა, შეუდგა საქმეს. ფიქრი მერმეც არ მოჰშორდა მის მზრუნველ სახეს. ქალის აღტაცებამ ჩააფიქრა დედა: ლუარსაბის სტუმრობა უბრყვილოსათვის მხოლოდ მეფის მობრძანება იყო საიშვიათო; ქალის დედისათვის კი ის იყო მათთან მისვლა უძლეველობის მექონ ჭაბუკისა, რომელს სწორედ თვალს მოსჭრიდა ახლად ფურჩქვნილი სიმშვენივრე ვარდისებური.

– მოიხიბლება! სახიფათო შეიქმნება ჩემ ქალისათვის, ჩემის ძვირფასის ოჯახისათვის. კერის რყევას როდი დასთმობს ჩემი გიორგი და...

ფიქრის დრო აღარა ჰქონდა. ვერც რამ სხვა გზას მოჰხელავდა თუნდ ბევრის ზომით... განგებისათვის უნდა მიენდო მომავალზედ ზრუნვა თუ ურვა. მყობადი კი მოდიოდა შეუდრკომელად, ბედისწერად იგრაგვნოდა უყენებელი; მოჰქონდა კალთით წითლად ჩენილ ვარდთა კონები.

– სისხლთა ღვარები, მეწამულად შენივთებულ სისხლის ბელტები!

– ვერა ნახა დედამ ბაირაღზედ სახელი ჩემი! ვერც სხვა შეჰნიშნავს. არ აჰშორდება ეს სახელი დროშას შვინდის ფერს! დედავ ღვთისაო, დიდება უზღვნას

ჩემმა ალამმა ჩვენ ჭაბუკ მეფეს, ბედნიერ ეტლზედ ავლიოს იგი ქვეყნის ნუგეშად – შესთხოვა ქალმა

და ზურგთ გადიყარა თმათა სიმრავლე, ტევრებად რომ მოჰფენოდა სპეტაკ გულ-მკერდზედ, მოშლილ რიდიდან გადმოშლილი თმათა სიუხვე.

5

იფიტებოდა შემოდგომა შეყვითლებული, ნოყიერი ტვირთისაგან გაცლილ-გაძრცვილი. აეკრიფნათ ჭირნახული, ყოველი ნაყოფი; უკუეგდოთ სხვა უხმარი, მსხვერპლად მიეცათ ზედმოწევნილ სიბნელისათვის, ცივ ნესტისათვის, ახლოებულ თეთრ ყინვისათვის. მიმქრალიყო სიცოცხლე თბილი ტყესა თუ ველში. ხასხას მწვანედ აყლორტილი სხარტი მცენარე, ფერად ყვავილად თუ ნაყოფად აფეთქებული, სუნნადსუნელ აორთქლებად რომ დნებოდა მჭვირვალ ჰაერში, აწ უბრალო ჯოყრად იყო აყუდებული, გამშრალ-გამხმარი, სუნთქვის ნიშატს მოკლებული, ეშხდაკარგული. ცეცხლს დასადებად თუ ვარგოდა მტვრად საქცეველი! ატალახებულ ნიადაგში სათქვეფ-საზელი...

– რაღას ჰხირიხართ, უსულონო, ღვთის ქმნილებათა აღარ მზგავსნო? მოჰშორდით არეს, მოარიდეთ დუხჭირობა მჭვრეტელთ თვალებსა, მიიქეცით დასაბამად, დამიწდით ჩქარა!

– მკაცრ სიტყვას უბნობ ამაგდარებზედ!

– ერთადერთი მაგათი გზა, მაგ საბრალოთა...

გაფითრებული ბოსტან-ბაღი, ტყე თუ მინდორი შეპარულ სევდად მოსდებოდნენ მიწის შავს პირსა. სულდგმულს აღარ ახარებდა მშობელის კალთა, არც საცხოვრებელს მიუბყრობდა თვის სიუხვიდან.

– ჩადით მიწაში, რულს მიეცით ბეჩავი თავი, ძილს სიკვდილის მზგავსს: მოდის წყვდიადი, ისწრაფის ყინვა! მზე ვეღარ გშველით, დაძლეული მნათობი თქვენი. ჩადით მიწაში! თუ გაუძლოთ შავს ბედს მოწევნულს, კვლავ ჰნახოთ მზის გამარჯვება და გაიხაროთ; თუ არა და... ბუნაგი თქვენი სამარედვე შეგექნებათ, მიწის შვილებო. ჩადით მიწაში. ის იმედი მაინც ჩაგყვებათ, რომ იქნება გაგაღვიძოთ! ღვთის თვალის შუქმა.

ისმენდა შეძრწუნებული ბუნება ბნელის ზახილს თანისთან ახლოს და... ნათელი მაინც იბრძოდა უკანასკნელ შეძლებამდისინ: არ ეთმობოდა მზეს თავისი განაჩენი სიცოცხლე დაენებებინა გულგაყინულ სიბნელისათვის, ცხოველმყოფელ ქმედობის ნასახს მოკლებულისთვის.

მოწმენდილ ცაზე მზე მზნეული ძლივს იკვლევდა გზას, უშურველად აფრქვევდა მიწას ნაშთენ სხივთა მჭელეულებსა. უყვარდა კეთილს დედამიწა, ქვეყნიერება; უკანასკნელს ძალას შეალევდა, თვის არსებას შემოავლებდა, ოღონდ არ ეუფლებინა მასზედ გულგათოშილი სიკვდილი ქუფრი.

– ბედი გვწყალობს, შვილო გიორგი: დაწყნარდა ჰაერი, დიდხანს შეგვრჩება კარგი ტაროსი.

– მაინც მოაწყეთ დარბაზიც, ოდაც, გალიაკებიც; მორთეთ, მოფინეთ: თუ დარი შეიცვლება, სეფაც, კარვებიც მხოლოდ ხალხისთვის დარჩება, მეფესა და მის მახლობელთ სახლში მოულხენთ.

– ნუ გეფიქრება, გენაცვალე! ყოველივე საუკეთესოდ იქნება მოწყობილი და იმედია, მხიარულად ჩავატარებთ დიდ წვეულებას.

– ვხედავ! და ვერვინ იტყვის, სააკაძემ უფრო მდარედ მიიღოვო მეფე-სტუმარი, სინამ სხვა ვინმე დიდებულმა. მისად მისართმევ საზღვნოსთვის ვერვინ გაგვკილავს: ხირიმული ტაიჭი მყავს გამზადებული მეფის საკადრის შეკაზმულობით. მოეწონება!

– დავლად რომ დაგრჩა?

– დიდს განსაცდელს გადავრჩი მე მაგის შოვნაში.

– რა განსაცდელსა?!

– სელმათ-გირეის სარდალი იჯდა, მედგრად იბრძოდა. თანამბრძოლნიც ფრთხილად იყვნენ, არ ჰშორდებოდნენ. დავკარი თვალი დიდებულ რაშსა. გავაპე მისკენ რაზმი მებრძოლი, ჩამომრჩნენ ჩემნი. თუ ელვასავით არ მემოქმედნა, გარს დამივლიდნენ. მოვკალ მხედარი, შევიპყარ ჰუნე. მაშინღა ვნახე გვერდით გოდერძი.

– კარგი ჭაბუკი!

– დია მებრძოლი, ჯერ ისევ ნორჩი!..

– მაკრინეც ჩვენი ზღვენს უმზადებს სწორედ შესაფერს.

– ვნახე. კარგია!

– არ ვიცი, თუ რა შევკადრო, შვილო, ჩემის მხრივ.

– მოვიფიქრებთ, მოვახერხებთ: ადვილი არის. ეხლა კი...

– თუ მოისვენებ, გენაცვალე? ვახშამი ვსჭამოთ.

– ომი რომ მღლიდეს, ვით მზადება ამ სტუმრობისათვის, ვერ ვიქმ...

– გოგო, ეშხისავ!

– რას გვიბრძანებთ, ქალბატონო?

– ვახშამი ჩქარა, ბატონს ლოგინი!

– შენც გეყოფა, ჩემო რძალო, დაქანცულობა.

– დავიღალე, ბატონო დედა! საქმე თუ სარისტა ისე არა მღლის, როგორც ეს ფიქრი განუწყვეტელი: მეშინიან, ვით გადივლის იგი სტუმრობა.

6

– ბატონო მეფევ! დიდებულ ზეიმს აპირებს მოურავი შენს დასახვედრად. ისეთი სამზადისი თურმე აქვს, რომ არც ერთს სხვა ნადიმს, შენ სალხინოდ გამართულ სუფრას, არ ჩამორჩება: იქნებ დასჭარბოს. მომეწონა შენი ყმისგან გულმხურვალება.

– შენსას რომ ნადიმი მქონდა, შადიმან ჩემო, თუნდ ყველა სხვებთან, იმის შესადარს ვერვინ მოაწყობს: უკეთესი აღარ ეგების! მაინც ჩემთვის საამოა გიორგისგან ეგეთი მოწადინება.

– კეთილად იტყვის ბაგე ცხებულის!

– ომი რომ იცის საუკეთესო, ქეიფთ უნარიც ეშხიანი უნდა შესწევდეს.

– ნამდვილსა ჰბრძანებ, ბატონო მეფევ!

– პირველი კაცნი მყევხართ ჩემს კარსა, ყოველი სიკეთით მკობილ-სავსენი. მეფის სიმაღლე მის მახლობელთ ძლიერებით თუ სიქველით გაიზომება.

– ჭეშმარიტს იტყვი კარგ გულისგან ნაკარნახებსა.

– სააკაძე ვალდებულია ომის გარეშეც გასიამოვნოს ყველაფრით, რაზედაც კი ხელი მიუწვდება, რაც შეუძლიან.

– ოღონდაც რომ მოვალე არის: კურთხეული მამიშენისგან მეტად მიჩნეული, შენგანაც ამირთამირობაში დამტკიცებული.

– ბრძოლის უნარი, ლაშქრის განგება ნეტარხსენებული პაპიშენისაგან აქვს შეთვისებული, დიდ სვიმონისგან.

– ეგ არ უნდა დაივიწყოს მოურავმა, ყოველივე მხოლოდ თავისთავს არ უნდა მიაწეროს; არ უნდა დიდობდეს შეუფერებლად.

– ჭეშმართად! თორემ რასა ჰგავს? აღშფოთებს ყველას თავის ქედმაღლობით...

– გამარჯვებული მკლავის მექონი რომ არის და მეფეთაც თავისი სიუხვის კალთა მასზედ დაუბერტყიათ, იმას გაულაღებია, წაუყრია მისთვის სადავე.

– მოდგმა თუ უნდა დიდობაში სიმდაბლის ჩენას.

– სწორედ! რაც უნდა იყოს, უბრალო აზნაურია; ეშინიან, ზევიდან არავინ დამმზიროსო და თითონ ცდილობს, ყოველ ნაბიჯზედ აგრძნობინოს სხვას თვისი ძალა.

– ზურგწამხდარი ცხენი ცაში კაჭკაჭს დაინახავს.

– არა, ყველასთან ზვიადი არ არის: ეტმასნება, უალერსებს გლეხთ, აზნაურებს.

– ალღოთი თუ გრძნობს იმათ ტოლობას.

– თუ სხვა ჰაზრი უტრიალებს ზვიად თავშია: ჰსურს მოისყოდოს იმათი გული.

– გველი გარედან არის ჭრელი, კაცი შიგნიდან.

– აზნაური... გრძნობს გლეხთ ტოლობას... – წარსთქვა მეფემ

და მიჰმართა მოსაუბრეთა:

– იცით, ვაზირო და დიდებულნო, დიდად დამსახურებულია ამირთამირი და ვგონებ დადგა ჟამი, დავუსწორო ის დიდკაცობას: ვუბოძო რაყამი თავადიშვილობის.

მეფის მოულოდნელმა დასკვნამ ააღელვა შურით მსჭვალულნი და დააფიქრა. რამდენსამე ხანს სდუმდნენ ყველანი. მერე გაბედვით შეხედა ბარათაშვილმა და მოახსენა:

– ბრძნულ სიტყვას იტყვის ბაგე მეფისა! ჰაი, ჰაი, დამსახურებულია გიორგი. ნეტარხსენებულ მამა შენსაც ჰქონდა ეგ ჰაზრად; აღარ დასცალდა. შენა გვხვდა წილად ბრძანო წყალობა. ფართოა გული მეფეთა და უხვი!

– მიყვარხარ, შადიმან, და პატივსა გცემ! მეგონა, არ გაიზიარებდი ჩემს სურვილს და მისთვის არ მითქვამს აქამდისინ, თორემ ეს თათარხანთან ბრძოლის შემდეგ დავასკვენი.

– უმდაბლესად გმადლობ, მეფევ, ბრძანებისათვის! შენს გამჭვრეტ თვალს დაუნახავს, რომ ვებრძვი გიორგის და იგიც მებრძვის; გარნა მტრობით როდი არის შეჭიდება გამოწვეული, ვიბრძვით შენის ტახტის საბრწყინვებლად, განსადიდებლად. მკაცრად ვადევნებთ თვალს ერთმანეთსა, არ მოგვივიდეს არც ერთს შეცდომა; აქ ვერაფერს ვერ დავუთმობთ ერთიმეორეს.

– მტრებად გიგულებდით ერთმანეთისა შენ და გიორგის.

– რა ბრძანებაა?!. შენი სურვილი, მეფევ, ჩემთვის არც ახალია.

– გითხარ როდისმე ამის შესახებ?!

– არა! შენი ფიქრი ბრძანებაში ამოვიკითხე, იმ გუჯარში, სადაც ვსწერდით: მეფეთმეფემ ლუარსაბ გიბოძე შენ, თავდადებით ნამსახურს ჩვენს ყმას ამირთამირს, სოფელი კრწანისი და ყმანი... ცხირეთის მამული და ყმანი... ეს საფეხურია თავადობისკენ. სხვა წყალობაც ნათელჰყოფდა დაფარულს შენს ჰაზრს.

– უხდების მეფეს წყალობის პნევა, ვით მზესა მნათობს სხივთ მიმოფრქვევა!

– ეხლა კი მთლად მწამს, რომ გიორგი არ დაზოგავს არავითარ მსხვერპლს, არაფერს ძვირფასს მწყალობელი მეფის სალხინოდ, – წართქვა მეღვინეთუხუცესმა ღაზნელ ღაზნელიძემ.

– ჭაბუკო მეფევ სვებედნიერო! ხილვა მოგელის მზეთუნახავის: შენს საბრძანებელში, მთელ საქართველოში, არ აღმომხდარა იმისთანა ცისკარი დილის, როგორიც ჰნათობს გიორგის კერას.

– ქალი მნათობი გიორგის სახლში?!

– უდარებელი! მიკვირს ღმერთმანი, თუ შიოშას სით მოევლინენ შვილნი რჩეულნი...

– მზეთუნახავი?! არ გამიგია; არც მახსოვს, ეთქვათ...

– მტკიცედ დაცული ოჯახია უკარებელი; ეხლაც სადმე გადაჰგზავნის ღვთის შვილს, მზის ნატეხს.

– მოსარიდებლად?!

ჩაფიქრდნენ მეფის დიდებულნი, იკლო ბაასმა. ბევრი მათგანი საკუთარ ჰაზრს ასდევნებოდა.

– ვერა მგონია, ლუარსაბ ჩემო, აისრულო სურვილი შენი. ვერ მოესწრება შიოშას ძე დიდ თავადობას!.. საშინელება... მიიგრაგნება მგესლავ გველად ჭაბუკის ვნება. ძრწის მის ხლართებში განწირული ცისკრის თენება... მხედარი მცველი... სასტიკი ომი... ფრთხილად!.. არ მოჰყვე ხლართში; არ მოგხვდეს ხმალი!..

– ღრმად ჩაფიქრებულხარ, ბატონო შადიმან: გეკითხები და ვერ კი გესმის, – გამოარკვია ფიქრისაგან ჯავახიშვილმა.

– ჩავფიქრებულვარ?! ჰო, ბევრსა ვხედავ. ჩემო შალვა, დასაფიქრებელს.

7

– ბატონო დედა! შენც ძალიან გეპატიჟება გიორგი მოურავი, წამობრძანდები?

– მეახლა მეცა. მიწვევდა წრფელად. ზრდილობიანი ვაჟკაცია, თავაზიანი. მე ვერ ვეწვევი!

– და რატომ, დედი?

– თქვენი მორიგი ზეიმები ნაჭარბნი სჩანან. არ შემშვენის მე, დედოფალს, თქვენთან იქ ყოფნა. ის ქალებიც მებრალვიან, უცილებლად რომ იქნებიან იმ ნადიმზედა.

– ძრიელ მიწყრებით, ბატონო დედავ! გაჯავრებულხართ.

– ნამდვილ! რახან სიტყვამ მოიტანა, გეტყვი გულახდით.

– ბრძანე, დედოფალო!

– მეფევ ცხებულო! გვმართებს ვისმინოთ შენი ბრძანება, მაგრამ არის უდიდესი მეუფე ცათა, ვის ჰმორჩილებენ გვირგვინოსანნი თვის სამფლობელოთ განსამტკიცებლად. შენ კი მის მცნებას...

– ჩავუსმენივარ ენას ბოროტსა...

– კეთილის მნდომსა! ჩემს ყურამდინ მოახწია საგმობელმა ამბავმა ავმა, როდესაც შენ...

– არაფერი! ძლიერი ღვინო ვიხმიეთ მეტი და... რა უშავს?! დიდი მეფე, დავით წმიდა, იგიც როკავდა სიმთვრალის დროს აღთქმის კიდობ...

– აკი დასცინა მას მელქოლამ, საულის ქალმა, მაგრამ... მიგიბაძნია იმ წმიდისათვის სხვა ცოდვებშიც: ტურფა ბერსაბედ გჩვენებია ოჯახის რძალი და... შეირთე ცოლი! დროა დაწყნარდე...

გაჩუმდა დედოფალი. არ მოსწონდა თავის შვილის უფერი ქცევა. აღარც სიყმაწვილით შეიძლებოდა შენდობა. ლუარსაბი ჯერ ჩუმად იჯდა თავდახრილი, პირმოქუშული. მერმე გასწორდა წელში; მრისხანებამ აჰკრა ალმური; წამოდგა ფეხზედ; შესძახა ანჩხლად:

– მე უფრო მოკლებული ვარ თავისუფლებას ჩემს საბრძანებელში, სინამ ვინმე თავადი თავის საყმოში... დავავიწყებ სამუდამოდ ჩემს დაზვერასა, ენის ტარებას; დავთხრი თვალებსა, ამოვწვდი ენას.

სდუმდა დედა დედოფალი დაღონებული. ეჰ, არ მოსწონდა შვილი ლუარსაბ: ის თავის მამას გიორგისაც ვერ ედრებოდა, არა თუ პაპას, განთქმულ სვიმონსა. სამეფო ტახტს კი მეტად სჭიროდა შემმართი მეფე დაფიქრებული: ქართველების მეფეთა მეფეს მხოლოდღა ქართლი ხელთ შერჩენოდა; აეჩეხნათ საქართველო გაუყოფელი და გაეტაცნათ მისი წმიდა ნაწილები განდიდებულებს; უღირსთ დაედგათ თავს გვირგვინი, შეემოსათ ძოწეული, მეფის სამოსი. სხვა ნამტვრევები ტურფა ქვეყნის ხელთ შერჩენოდათ ქართველთავე, შუღლით გალაღებულ უძინებელ მტერთ. თვით ქართლშიაც ერყეოდა საფუძვლები სამეფო საყდარს გალაღებულ ქვეშევრდომთაგან: ჰბაძავდნენ გამდგართ, მათ გზას მისდევდნენ და... ამ დროს მეფე ზეიმობდა, არრას ზრუნავდა. არ შეჰშვენოდა სვიმონ დიდის ტახტის მემკვიდრეს!

აღგზნებულ იყო შმაგ სვიმონში მცხინვარე სული საქართველოსი, ცას შთაებერნა ქვეყნის ტრფობა, მის სიყვარული. ეშხით იბრძოდა მეფე ლომგული; სჯულის ცვალებით შესწირა სული დიდებულ საქმეს, შესძღვნა იმასვე სიცოცხლეც თვისი. იმას ჰგონებდა: გაუადვილებს მისთა შემდგომთ გზა მის ნაკვალი. მაგრამ... სვიმონის შემდეგ აღარ დარობდა ჩვენთვის, ბედი აღარ გვწყალობდა: მეფე გიორგი არ იყო გმირი; ლუარსაბ მეფე... ვერც იგი შესწვდა დანიშნულებას.

იტყოდა სვიმონ შორით მხედველი:

– სახმილივით ავარდება საქართველოში ბრძოლა უზომო; დიდ ხალხთა შორის. თეთრი რუსეთი, მუქი სპარსეთი ჩვენ ქვეყანაში განიცდიან ამაღლებას თუ დამარცხებას. ჩრდილოეთი მოტბორდება სამხრეთისაკენ. სამხრეთსა ჰსურს, დაჰხვდეს მას ხმალი საქართველოში, იმის სამზღვრებზედ. ამ ბუმბერაზთ შემართებაში, დევთა ბრძოლაში. როსტომია ქართველთა ერი: ვისკენც მისი ხმა, იგი მძლეველი! შორს გაჭვრეტა ეჭირვება ჩვენს ბედის მტვირთველს, ნებისყოფა უტეხ-უზნექი, რომ ამ წყობაში არ დაჰკარგოს საქართველომ თავისუფლება. გახსოვდეთ ყველას!

და ჰლოცავდა დიდი სვიმონ თვისსა მემკვიდრეს:

– ღმერთო მფარველო! მოუვლინე ჩემს გიორგის სული მებრძოლი, აღუპყარ ხელი, მიანიჭე მძლეთა მძლეობა!

– ბატონო მეფევ! მაშინებს მეტად შენი წინათქმა, თითქო ეჭვები. ჯერ ვუმაგრდებით ჩვენზე მოსულ მრავალ ძალებსა, რადგან შენ გვყევხარ, ორბი მებრძოლი.

– მისმინე სიტყვა! ირანს ჯერ არ ასჩენია ბუმბერაზი, მისი საფერი. ხუდაბანდი დიდ ირანის ლომი მზიური?! რა სათქმელია! მოევლინება მებრძოლი დიდი და ჩემ შემდგომნი თუ მის სწრაფვას ვერ შეიგნობენ, თუ არ ჩაჰკეტენ კავკასიის გადმოსავალთა, გადმოჰლახავს ჩვენგან დარწყულს ყოველსა საბრკომს, თითონ ჩაჰკეტავს დარიალსაც, კასპის კარებსაც.

– სჯობს ჩვენვე ჩავხშათ რკინის კარები.

– მეც ეგრე ვგონებ, მაგრამ...

– ნუ დრტვინავ, მეფევ! ჩვენი ერიც წარმოშობავს მებრძოლ ზეკაცსა. მოდის რაინდი. მოევლინა ხალხის უბიდან. იზრდება უკვე. მოდის მძლავრად მთვარეული, ერის იმედი! გზა განუმზადეთ ცით მოვლინებულს. მტერი ძლეული. საქართველო განუტეხი, განუყოფელი!

– ეს ჩვენება ასულდგმულებდა დიდ სვიმონს. ეს ჰაზრი ახელმძღვანელებდა მის თანამებრძოლთ, ამ უცილებელ მომავალს უკვლევდნენ იგინი სავალს ფხაასხმულ ხმლებით. ვერ აუსრულდა საწადელი თვით მეფე-სარდალს, ვერ გაუმარჯვდა. იწრო წავარნა მაინც დარჩა მისი ნაკვალი: არ დაიხშო დიდებული ფიქრი მეფისა, დაემყნო იგი სულ ახალ ძალას.

8

დიდის ირანის ლომი ახალი ცხადად ჰხედავდა ჯადო-სარკეში თეთრ ხელმწიფის ყოველ ხლართებსა, ერთა სანთქმელად მორკალებულს მის მოძრაობას და განცვიფრებით გაჰმზეროდა საქართველოსა.

– მოხიბლულან მტაცებლისგან ქართველთ მეფენი: ეახლებიან თვისავ ნებით პირაშკმულ მავნეს!

ქართველთ ჯილაგს ნაზიარი შაჰ-აბაზი გამოჰკიოდა:

– ერიდენით მყინვართ კეისარს! დაითრგუნებით! დაგვღუპავთ ჩვენცა!

ვაჰ, ვის ეტყოდა?! ქართველთ მეფეთ არ ჰქონდათ თავი, ფიქრთა სალარო; არ ესხნენ თვალნი სამზერელად საშიშროებისა, ყურნი სმენად მაფრთხილებელ ხმის შორეულის.

– ნუ ენდობით ნურას აღთქმას თეთრის კეისრის! შენ მოსასპობლად მოჰგრაგნის ძალას უთვლელ-უზომოს! გოგი-მაგოგი მოზღვავდება შენ ჩასანთქმელად, ჩვენ მაკნინებლად.

ვერ შეისმინა ქართველთ მეფემ იგი ზახილი: გაბმულიყო ქრისტიანულ ბინდბანდ ბურუსში, საზიაროდ საიდღანაც მოტანილ სჯულში. ისტორიული ვერ შეიგნო სიმართლე დიდი.

– და თითონ ხალხი?

– და ხალხს ეძინა დევის ძილით გადაღმ-გადმოღმა.

– ბატონს ლუარსაბს საქართველოს შესაკრებად უდარის დარი; მისი სიძე შაჰ-აბაზი განრისხებულია კახთა მფლობელობაზედ, რად შესტრფისო ის რუსთ ხელმწიფეს და თუ გულწრფელად მიდრკა სპარსთაკენ, მთელი კახეთიც მოექცევა იმის დროშის ქვეშ.

– ჭკვას ახლო არის, ამირთამირო. თვით ლუარსაბი არ ისწრაფის რუსთ ხელმწიფისკენ, თვალს ადევნებს თეიმურაზს და მის მუდარას, უცდის იმას, რას მოიმკისო. იცის ეს შაჰმა. მაგრამ... თუ დაარწმუნა ლუარსაბმა მეგობრობაში, გააძლიერებს.

– თვით გავიგონე მაგგვარი თქმა ყეენისაგან, როდესაც ვახლდი ფერი-ლეილას; მხოლოდ იგი ვერ ენდობა, მსხვერპლსა თხოულობს.

– რა ჰსურს ყეენს სამაგიერო?

– დიდმა სვიმონმა სულიც შესწირა ხალხის სიკეთეს.

– შეაკლა თავი, თვისი სიცოცხლე....

– შესწირა სული: აღიარა მაჰმადის სჯული... ამით ყეენი დარწმუნდება, რომ ლუარსაბმა უარი ჰყო ჩრდილო თვისი ერთრჯული და გააძლიერებს: თბილისს მიართმევს, შეაერთებს მის სკიპტრის ქვეშ საქართველოს ყველა ნაწილს განკერძოებულს, ქედმაღლობას შეანანებს დიდდიდებულთა და...

– და მოისპობა შინაური შუღლი თუ ბრძოლა. შეკრებილი საქართველო სპარსთა ძალით განმტკიცებული არ გადმოუტევს მყინვართ კეისარს მთების აქათა. დაწყნარდება მხარე ბორგვნილი.

– მდიდარია ჩვენი მხარე, ნიჭით მოსილ ხალხის სავანე, და სიწყნარე მსწრაფლ ააყვავებს ერის ცხოვრებას, აბედნიერებს.

– წინა აზიის მადლობასაც დაიმსახურებს მის მცველ ციხედ მოვლენილი ჩვენი ქვეყანა.

– დიდებულ სულის საწადელი შორმხედველისა, სვიმონ მეფისა.

– მის მემკვიდრენი ვერ იტევენ მის ჭკვიანურს ჰაზრს და...

– მთავარსარდალო! რომელია გმირისათვის მისი მემკვიდრე, ვისაც მისგან შეუმოსავს სისხლი და ხორცი, ანუ ვისაც დაჰმყნობია მნათობ სულის ბრწყინვალე ჰაზრი? – შეეკითხა სარდალს გოდერძი.

მოურავმა გაკვირვებით გადაჰხედა მას და განაგრძო:

– მეფე ლუარსაბ... მხიარულობს იგი დღე და ღამ, ნადიმ-ნადირობს, ემონება თავისსა ჟინსა, წუთის სურვილებს; იახლოვებს ზნეშერყეულებს და იმათ უსმენს განგებაშიც თავის ხალხისა.

– თათარხანის დროს მისმა ჟინმა კნინღა დაგვღუპა. იარაღი შევახვედროთ, მე ეგრე მსურსო, აიტეხა ნაქეიფარმა. სხვებიც დათანხმდნენ. კიდევ კარგი, არ დაენდე და შეგვამზადე გაჭირებისთვის.

– იმისთვისაც გიმეორებთ, ჩემო ერთგულნო: თვალხმიერად უნდა ვიყვნეთ ამ სტუმრობაში; მოზომილად ჩავატაროთ დიდი ზეიმი; ვერვინ გაბედოს შეარყიოს სიმხიარულე.

9

სარისტიანი სარდალი ფართო თავდარიგს იჭერდა მეფის დასახვედრად, დიდად ზრუნავდა, ყოველ წვრიმანს ითვალისწინებდა. გასცა ბრძანება:

– ორმოცდა ათი შეიარაღებული კაცი საომრად მომზადებული ხვალიდან ჩემს კარს უკლებლივ! შენ გიბრძანებ ამას, გოდერძი!

– მზად იქნება ყოველივე! – მიუგო ჭაბუკმა

და გაკვირვებით შეხედა ამირსპასალარს. გიორგიმ არ შეიმჩნია, რომ შენიშნა ხელთქვეითის განცვიფრება.

– მეც მახლავან ჩემნი მთიელნი; ისინიც შენს განკარგულებაში მიბრძანებია, ჭაბუკო! – დასძინა ნუგზარმა.

– ვისმენ, ბატონო! – მოახსენა გოდერძმა

და გადაჰხედა გიორგის.

– დიდად გმადლობ! მარჯვე ბიჭები სჩანან კარგად შეიარაღებულნი, – მიუგო გიორგიმ.

– გამოცდილები არიან, ომებში ნაწრთობნი.

– ჩაიბარე ისინიც, გოდერძ!

– ვისმენ, ბატონო!

ხელმწიფე რომ ფეხს შემოსდგამს ჩემს ეზოშია, იმ წუთიდან ჩემი სახლი გარდაიქმნება სამეფო ციხე-დარბაზად. დამყარდეს წესი ისეთივე, როგორიც ჰშვენის მეფის პალატებს! რაზმი როგორ მოძრაობდეს ან რას იქმოდეს, შემდეგ გიბრძანებ. განკარგულებაც, პასუხისგებაც შენი იქმნება: მე ვერ მოვიცლი. ისეთივე წესი სასტიკი, ვით ომის დროსა! – უბრძანა გიორგიმ

და ანიშნა განშორებოდა.

– ვერ გამიგია, ჩემო კარგო, ომისათვის ვიკრიბებით შენს კარს, თუ მეფურ ლხინისათვის! – შეეკითხა ნუგზარი სიძეს.

– დიდ ნადიმისთვის! ჩემი კეთილისმყოფი არ დაზოგავს თვის ნიჭს ყოველგვარს, რომ ააყვავოს ჩემი სუფრა, ააელვაროს; არც სად, არც წუთს არ შეირყეს მიმოფრენა აღფრთოვანების; თანისთანი მისი გაშლა, გაცისკროვნება!

– ჯარის მზადება?!

– ნირუშლელად მაშინ მიდის ნადიმი უხვი, თუ უზრუნველჰყო თუნდ შემთხვევით შერყევისაგან. სტუმართ შორის მოშურეიც გამოერევა ან ჭირვეული. სურვილს ჩაუქრობს ავის ქმნისას დარაზმული მხედრობის ნახვა. შესაძლო არის, ფარულმა მტერმა ავი ჰაზრი ააყოლოს ჭაბუკ მეფესა და.....

– საფიქრო არის! თუმცა მგონია, ვერ გაჰბედვენ შენს კარს რამ ბოროტს: ნაცადი აქვსთ, რა მჭრელია შენი მახვილი.

– თუნდაც საჭირო არ იყოს მეტისმეტი სიფრთხილე, მაინც მანამ მოინებებს ბატონი მეფე ჩემს სახლში ყოფნას, მისი სასახლე შეიქმნება ეს ჩემი ბინა; მეფის სავანეს კი შეჰფერის ძალა ძლიერი და წესი მკაცრი.

– ნუ გეფიქრება! ისეთივე ეშხით გავუძღვებით ამ დიდ ზეიმსა, როგორც გვჩვევია ჩავატაროთ ფიცხელი ბრძოლა შენივთებული, – ბრძანა არაგვის ერისთავმა იმედიანად

და დაფიქრებული დაჰშორდა სიძეს.

ციხე-დარბაზში, კარ-მიდამოში მოძრაობა თანისთანად ძლიერდებოდა, ხმა ხშირდებოდა, მიმოსვლა თუ მიმორხევა განმრავლდებოდა, ფერადობა მოელვარე იფინებოდა. მხიარული ტალავარი ქალთა თუ კაცთა; აბზენილი სამკაული ასხივებული; ცოცხალ ყვავილთ ხმატკბილობა, ღიღინ-ღიმილი: იკრიბებოდნენ ნათესავნი თუ მახლობელნი, რომ მეფის მოსვლას ბევრნი ერთად შეჰგებებოდნენ მასპინძელმა საპატიოდ, მხართ დასაშვენად.

– ახალგაზრდაო ჩვენი მეფე, ყალმით ნახატი.

– მინახავს, გენაცვალე! ჯიღა წარბები, ცეცხლის თვალები.

– ჟინმორეული თურმე არის, იცის ატეხა. შავარდნის თვალი თუ დაჰკრა ვისმე.....

– ლუარსაბზედ თუ იტყვიან ვარდის ბაგენი?

– აბა სხვა ვისზედ?!

– დავიჩრდილენით სხვა ჭაბუკნი კეკლუცთ თვალებში.

– ჩრდილი გვერჩივნოს: დაგვბუგავდნენ მნათობთ თვალები.

– სხვა რაღა გეთქმისთ!

– ღირსიც არის მზეჭაბუკი თქვენ სიყვარულის: ჩვენ ვნახეთ იგი დიდ ბრძოლაში, როგორ...

– მართალია, ყმაწვილებო: თათარხანთან დიდ ბრძოლაში ამირთამირს მისდევდაო იგი მხარდამხარ?

– ძლივს ვიკავებდით! გიორგის და ზაზას შუა იბრძოდა მეფე.

10

თეთრ ცხენზედ იჯდა მეფე ლუარსაბ თეთრ ხავერდში გამოწყობილი. თავსარქმელად თეთრივ ქუდი ალმასის ჯიღით დამშვენებული. თეთრი წაღები ვერცხლის ძაფით ნაკერ-ნაქარგი. ვერცხლისავე ქამარ-ხანჯალი, მასრები თუ ძეწკვ-ყაწიმები უსევადო; მხოლოდ ჩუქურთმა. ტაიჭისთვის ვერცხლის რახტი, შეკაზმულობა, ვერცხლის ნალები. ჯერ დააპირა ოქროს ფერად შემოსილიყო, ოქრო აესხა ყვითელ რაშისთვის; გადაიფიქრა: უხდებოდა მზეჭაბუკს თეთრი.

ზაფხულივით დარი იდგა, მაინც გრილოდა; შემოდგომა სუსხს აძლევდა, აღარ იშლიდა. გვერდზედ მოეგდო მეფე ჭაბუკს თეთრი ნაბადი. ქულაჯის კალთა გადეტანა ოდნივ ნაბადსა და აეჩინა ახალუხის თეთრი კალთა თეთრ ყვავილებით. საყელოზედ, გულისპირზედ ვერცხლის ბუზმენტი. მოშორებით მიუძღოდა მხედართ ჯგუფი დროშაგაშლილი. გვერდს უმშვენებდნენ სალამაზოდ მოკაზმულნი დიდდიდებულნი.

ერთს ხანს ჩუმად მიდიოდა სტუმართა ჯგუფი; გაზრდილ დილის სიმყუდროვეს არ არღვევდა მათ საუბარი: ჩაფიქრებულიყო ბატონი მეფე; მის ამალასაც ხმა გაეკმინდა; არ უნდოდათ დაერღვიათ მეფის დუმილი. სამხიარულოს თუ ფიქრობდა ის ბედნიერი: კოკობ ულვაშქვეშ ღიმი უქროდა. წვერმოპარსულს დასტკრეცოდნენ ნასუქნი ღაწვნი. თვალთა იერი თუ მიებყრო სასიამო რამ ხილვისათვის, მოგონებას აესახნა კარგი სურათი: უფრო გაუპო მომხო ბაგე მეფეს ღიმილმა. გადაჰხედა თვის მახლობელსა:

– ეგრისისკენ განმიტაცა მფრინავმა ჰაზრმა, დადიანის კარს. ოღონდაც რომ ფიქრზედ სწრაფი არაფერია.

– ვარდობის თვე დაგდგომია ღვთისგან რჩეულო! ოცნება შენი მიილტვის იქით, სად ბროლის კოშკში მნათობს შენთვის მზეთუნახავი.

– ჭეშმარიტს იტყვი, ჩემო შადიმან! გამახსენდა ეპისტოლე, დადიანს რომ მოუწერია. მისი ქალი ამეხატა სწორედ ისეთი, გერმანიშვილმა რომ აწერა, ჩვენ მწიგნობარმა. განზრახ გავრიე ქუმსიაი ჩემს ელჩებშია: კარგი თვალი აქვს, წვრიმანსაც კი არ გაუშვებს შეუნიშნავად.

– უმისოდაც გამიგია ქალის ქება სადედოფლოდ მოვლინებულის.

– სადედოფლოდა?! იცადოს მცირედ; გული არ მითხრობს, მკვეთრი სიტყვა გავგზავნო ეხლავ.

– რა გეჩქარება, ბატონო მეფევ?! დაიდუღოს ახალნორჩობამ, დადგება ჟამი შეუღლებისაც, – ჩაურთო სიტყვა მუხრანბატონსა.

– ცოდვაც იქმნება ჯერ აჩქარება: ბევრი ქალთამზე შემოჰმზერის შენსა სახესა, ნატრობს შენს განცდას, – სთქვა იასემ ქვენაფლაველმა.

– ჰაი, ჰაი რომ მრავალნი! ღირსნიც არიან მშვენიერნი, მიაბყრო თვალნი. ეხლა რომ მივალთ, თუნდაც ის ქალი.....

სდუმდა შადიმან, შესწყვიტა სიტყვა. მეტის წართქმა აღარც ვარგოდა: ოცნება ვაჟის თვით გაიკვლევდა გზას წალკოტისკენ, სად გაშლილიყვნენ სატურფალო იგი ყვავილნი და იმათ შორის განსაცვიფრი სილამაზე მასპინძლის დაი.

– შესაძლოა, ბედის წერად გარდაიქმნას შეხვედრის წუთი. თვალთწარმტაცი იგი ქალწული. ვნებისა მონა ეს ახალგაზრდა. ჩამოკვესდება გრძნობათა ცეცხლი და... დაგვჭირდება შორს გახედვა, მეფის მრჩეველო! – ზრუნვამოცული შადიმანი იტყოდა გულში.

წინ გაფრენილს ოცნებას ვაჟის შეენიშნა შუქურმნათი მასპინძლის სახლში, თვის ბრწყინვალებით სხვა ცთომილებს რომ ამქრალებდა. იგი ცისკარი ხან ბრწყინავდა მის გონებაში და სიამით ეხსნებოდა მეოცნებეს თვის ვიწრო შუბლი; ხან კი რამ ნისლით იბურვოდა იგი სინათლე და იკვრებოდა იგი შუბლი საწყენ-საწყრომად.

– თუ ისეთი ლამაზია, როგორც მიქებენ, მის შემხედველს ვარდის ფერად მეჩვენება ყოველი წუთი. ძნელი იქნება იქ სიფრთხილე, თავის დაჭერა.....

– მივახლოვდით, ხელმწიფეო, მის საბატონოს. ბრძანე, ვაცნობოთ!

– სააკაძემ ისეც იცის, სადა ვართ ეხლა: დიდს მანძილზედ თვალით ჰხედავს მტერს თუ მოყვარეს.

– ნივთიერის მხედველობით, ბატონი მეფე?

– მე ეს შევნიშნე და არა ერთხელ, როცა ვიბრძოდი მე იმის გვერდზედ ან და დავკვლევდით მტრის სავალ გზებსა.

– როცა შენ გახლდა ის ბრძოლის ველზედ, როდეს მას ჰქონდა ბედნიერება, გეკვლიათ ერთად მტრების სადენი, – შეჰბედა მზრდელმა დარიგების ხმით.

ჯერ სიტყვა არ დაეთავებინა შადიმანს. რომ მიჰმართა ქაიხოსრო ჯავახიშვილმა:

– ბატონო მეფევ, კვირაძლის სიზმარია შენი ბრძანება ჰე, სწრაფად ახდა!

– შენ შესახვედრად მოგზავნილნი მასპინძლის კაცნი!

ბექობიდან გზის მოსახვევში გამოჩდნენ ხუთნი. რომ ნახეს მეფე, დაქვეითდნენ და თაყვანი სცეს. ერთი მათგანი წარსდგა მეფის წინ და მიუძღვნა მისალმება მონახსენები. მოსულთ გუნდი საომრად გამოწყობილი მარჯვნივ აჰყვა მოშორებით მეფის ამალას. რამდენიმე განვლეს მათ ეჯი, კვლავ დაუხვდათ მგებარი ხუთი. თაყვანი სცეს ხელმწიფესა და მარცხვნივ აჰყვნენ მას მოშორებით. დარჩეულნი ვაჟკაცნი სჩანდნენ. არ დაეწივნათ ჩაფხუტთ ისარნი. მათი დაშვება თვით ბრძოლის დროს იყო საფერი. უხმოდ მისდევდნენ მეფეს მგებარნი: ერთმანეთშიც არრას იტყოდნენ.

– რკინის კაცნი თუ მოგზავნა მანქანებით მოარულები?!

– სანდო დარაჯა! ლომ-კაცები რვალში ჩამსხდარნი.

– მის ციხე-დარბაზთ დამცველები, მისგან გაწრთვნილნი.

– მხედართ გუნდები ლითონის სარტყლად არტყიაო იმის სასახლეს.

– ბრძოლის კაცია სააკაძე თვით მეჯლიშის ჟამს.

დაღად დააჩნდათ დიდებულებს ეს დასაწყისი; ვერ მოიფიქრეს, ესეთი რამ პატივი ეცათ მეფისათვის თავიანთ საბატონოს სანახებშია. შადიმანმა ალღოთი იგრძნო, რა ფრთხილად იყო ამირთამირი.

11

გამოჩნდა დროშა. გადმოადგნენ ჩაღმას მგზავრები. მოწინაობს თეთრი მხედარი. აჰკრა ლაგამი, ანიშნა მერანს. ათამაშდა გვერდზედ ფრენით ჰუნე კისკასი. მოზიდული მძლავრად ლაგამი. კოხტად მოხრილი კისერი ფაფარ ნავარცხნი. მის ამალის ტაიჭებიც მოვიდნენ ეშხზედ: ადგილობრივ ჰხტოდნენ, ჰროკავდნენ. თვალთაგან ცეცხლი. ვეშაპთა ფშვენა. აგრძნობინა რაშს წასწრაფება. გაჰყვნენ მას ფრენით ბედაურები. გაიღო მათ წინ ალაყაფი. აბჯარასხმულ მხედართ გუნდნი დაირაზმნენ ორსავ მხარესა. მათ შუაში სააკაძე, მისი ოჯახობა, მახლობელნი, მისნი სტუმარნი. გადმოფრინდა მხედარი თეთრი. წარსდგა გიორგი, დაეყრდნო მუხლზედ.

– მეფეო, მეფევ! პურ-მარილი ფეხთა მტვერისაგან!

– აღსდეგ, აღსდეგ, მასპინძელო ჩვენო ძვირფასო!

და ააყენა მეფემ გიორგი და გადაჰკოცნა.

– კოცნა მეფისა წინდი არის ბედნიერების! – წარსთქვა ვეღამაც.

წარსდგა დედა ამირთამირის. ხელზედ აკოცა მოხუცებულმა.

– მოხვედ მშვიდობით, მეფეთმეფეო! ბედნიერია იგი სახლ-კარი, სადაც ღვთის შვილი ინებებს შესვლას!

– დამხვდი მშვიდობით, დედავ ოჯახის!

მიესალმნენ მანდილოსანნი. წარსდგა მაკრინე, მეტად ჰღელავდა, ღაღანა სახე. ღაწვთა არეს ვარდები თუ გადაჰფენოდა. დიდრონ თვალებში აღტაცება ელვარებული. მოირკალა საროს ტანი ხელზედ სამთხვევად. მწყობრად ნახლართი ნაწნავები გარდასრიალდნენ. აჩნდა მათ შუა მთვარის შუქით ნანათი კანი. ორბისებურ დაჰკრა თვალი მუქ ქარვის ფერ ხუჭუჭთ შორის გამჭვირვალ არეს. ხედვის ისარი გაიბლანდა ტევრთა ბარდებში, გაემსჭვალა ვარდფრქვეულ არეს. აპრიალდა ნდომის ალი ჭაბუკის სულში.

– ახ, ერთი კოცნა, მხოლოდ მთხვევა, ოდნავ შეხება! – უელვა ფიქრმა.

– შეუძლებელი!

უკუსდგა ქალი. განცვიფრება არ გაჰშორდა ჭაბუკის თვალთა. თუღა ჰხედავდა თაყვანისმცემთ, სხვა მღაღადებელთ? გზა უყვეს სტუმარს. მასპინძელი წინ უძღოდა მისკენ მიქცევით. ხმა აღტაცების. საკრავების მწყობრი ზახილი. დიდებული როცა გასცდა ჭიშკარის ზღურბლსა, ჩამოეშვა კოშკის თავზედ დროშა სარდლისა, აფრიალდა სამეფო დროშა ახლად ნაკერი. სტუმართ თვალნი მიიქცნენ იქით. მოახსენა ამირთამირმა:

– მეფეო, მეფევ! ეხლა შენი სასახლეა ეს ჩემი სახლი და ჩვენ ყველანი შენს კარს მონანი.

ამ მეჯლიშამდინ რამდენიმე დიდებულმა გაუმართა ნადიმი მეფეს. ყველგანა სჩანდა ეშხიანი გულუხვობა, შუქმფენელი სიხარული მასპინძელისა: თვითეულს ჰსურდა, მეფეს კარგ დღედ ჩაჰსახოდა მასთან სტუმრობა. მაინც ყველგან თავს იჩენდა ულოდნელი რხევა წესისა, მიხვრა-ქცევა სიმშვენიერის შემარყეველი. წვეულების შეტორტმანება დასაწყისშივ უფრო ხდებოდა. არც საკვირველი: ყველა წვრიმანს ვერ ზომავდა საფიქრებით გარმოცული სტუმართ დამხდომი; შეუძლებელი იყო ყველაფრის წინად დანახვა და ეს მით უფრო, რომ ნირის შეშლა სტუმართ მხრიდანაც მომდინარეობდა ხან უნებლიედ, ხან კი შურითაც; მოჰყვებოდა სტუმართ შორის გულღვარძლიანი, რომლის გრძნობას უალერსებს სხვისა მარცხი, თუნდაც მცირედი. ჰაზრიანად აისახა გიორგისას სტუმრობის ჩარჩო მკვეთრად, მკვიდრად ამოღებული. ძნელი იყო რამ ხინჯის პოვნა, გინდ ნაკლის განზრახ განვითარება.

ესროდნენ ერთურთს მიმავალნი ფრასებს თეთრს თუ შავს:

– იმისთვის მიყვარს მოურავი, უდარელი სარდალია წესის მიმცემი. ომად რომ მიხვალ მის წინაძღოლით, წყნარად გაქვს გული: ყოველივე წინადვეა მოფიქრებული.

– მეც შემინიშნავს და მგონებია: მეცანია სააკაძე, თვით გულთმისანი.

– იქნება ეშმაკს მიჰყიდა სული, რომ ცხადად ჰხედავს ბრძოლის ველზედ ყოველს მომავალს.

– და ისე აწყობს მეფის მიღებას, თითქო სტუმართ ყოველი ბიჯი წინად იცისო.

– ბატონო შადიმან! ერთი შეხედე მის ზვიადობას: მეფე უკვე მიბრძანდა მის კარს, კოშკზედ კი ისევ დაფრიალებს დროშა სარდლისა, – წასჩურჩულა ქაიხოსრომ,

როდესაც მასპინძელმა პურმარილი მიუბყრო სტუმარს ჭიშკართან.

– მავიწყობით არ იქმნება ამისი ახსნა, მის უსაზღვრო გოროზობა არის მიზეზი, – დასძინა როსაფ ფავლენიშვილმა.

– ჩამოვაგდოთ იგი დროშა! აღიმართოს მეფის ალამი! – ამღელვარდა ფიცხი აღსართან მაღალაშვილი.

– ნუ ისწრაფი! მეფე თითონ შენიშნავს ამას. ძნელი არის ჩამოგლეჯა: შეხედე ამ რაზმს! – დაამშვიდა შადიმანმა

და მაინც გაიფიქრა, შეერჩია დრო, მიექცია მეფის თვალი უფერობისათვის. როდესაც ლუარსაბი გასცდა ალაყაფს და კოშკის თავზედ გაიშალა სამეფო დროშა,

შადიმანმა თავის გულში მოუწონა ამირთამირსა. მით უფრო ეწყინა: მტრები იყვნენ ერთმანეთისა. იგი მეფის მამა-მძუძე ბარათაშვილი ამაყობდა თვის მკლავითაც, გიორგი კი მეტად სჯობდა ვაჟკაცობაში; ესეც ჰქონდა მას მახვილად გულს განაწონი; დაღად აჩნდა ძნელი სიტყვა მოურავისა: შენი ხმალი კარგად ვერ სჭრის, ჩემს ხმალს როგორ შეედრებაო.

12

ოთხ დღეს გაგრძელდა მეფის სტუმრობა. ენთებოდა თანისთანად მხიარულობა, აღტაცება ემატებოდა. მეტადრე ლამაზი სახე მიიღო ნადიმ-ზეიმმა მესამე დღესა. პირველ ხანში სტუმრები უფრო ისვენებდნენ; მონაზებით შეექცეოდნენ. დაფიქრება დასტყობოდა ბატონ ლუარსაბს თუ დაღლილობა. ეკრძალებოდნენ. მასპინძელიც შეაფიქრა მის დაღონებამ.

– უგუნებოდ მოსჩანს მეფე; თუ დაიტანჯა მგზავრობაში, – იტყოდა დედა.

– შესაძლო არის! კიდეც სჯობია, რომ გადასდვა დიდი ზეიმი: შორეულნი ჯერეც ისევ იკრიბებიან. როდი მინდა, მათ ყოვნება შენიშნოს მეფემ: არ მოუწონებს, აქ არ დამხვდნენო.

საღამოხანზედ ეზოში გამობრძანდა ლუარსაბ. მასლაათის დროს გულხმიერად კითხულობდა ოჯახის ამბავს, ისმენდა ნათქვამს. რაღაცა ფიქრს გაეტაცნა მეფე ჭაბუკი; სხვას ეძებდნენ მისნი თვალნი, იმ ვარდს გაფურჩქვნილს. ნათელ სურათს ეხვევოდნენ მისი ჰაზრები, შუქურ აღალმას ჯერეთ ურკვეველს. ფიქრის სიმი შიგადაშიგ შეუწყდებოდა, სულ სხვა საგანზედ დასძრავდა სიტყვას. ეტყობოდა, ჰსურდა რაიმ ებრძანებინა. მაგრამ თავს ნებას არ აძლევდა ემჟღავნებინა იგი სურვილი. ატყობდნენ ამას გამოცდილები, სწორედ კი ვერ მიმხვდარიყვნენ საგანს მისის მღელვარებისა. არა! ზოგს გუმანი მიეტანა ბედნიერის საფიქრებელზედ, ალღო აეღო. გრძნობათ ტალღებზედ ქანაობდნენ მეფის ფიქრები; ზვირთთა აღვსება თუ მათი კლება ეჭდეოდა მოძრავ სახეზედ, მოუსვენრად მსრბოლ თვალებშია. შემთხვევითმ სიტყვამ ააშკარა მისი ფიქრები:

– ბატონო გიორგი! დიდებულად მოიმოქმედე კოშკზედ ამართვა სამეფო დროშის, – მოუწონა შადიმანმა.

– წესი მოითხოვს!

– მშვენიერი ალამია, – დასძინა როსაფ.

– სად მოიპოვე ეგ ლამაზი ნახელოვნარი? – ჰკითხა იასემ.

– შინვე გაკეთდა იგი დროშა, – მიუგო დედამ.

– სახლში?! ვისი ხელითა?

– ჩემმა ქალმა შეამზადა შენდ მოსართმევად, ბატონო მეფევ. როს გავბედეთ და შეგთხოვეთ მობრძანებით დაგელოცნათ ჩვენი ოჯახიც, ჩემმა ქალმა განიზრახა მაგის მორთმევა. შეგთხოვთ, მეფეო, შეიწირო ნაღვაწი მცირე!

– ჩემი მადლობა, დედავ, შენს ქალს, გიორგი, შენს დას! ყველგან, ყოველთვის დააშვენებს ეს ალამი ჩემსა სავანეს! – ბრძანა ხელმწიფემ

და შეჩერდა. კიდევ უნდოდა ეთქვა სიტყვა, მაგრამ აღარ სთქვა. ისე მოჰსურდა იმ ქალის ნახვა, ვით იზმაილს უდაბნოში წყალის წაფება. ჩახშო წყურვილი გარეშეთ კრძალვით, ქალისაც ხათრით. ვერ დაწყნარდა მზეჭაბუკი; უფროც ჰღელავდა: გული წაუღო ქალის სახემა; ვეღარა ჰპოვა წუთს მოსვენება; ვეღარ ძალედვა უკუეგდო გამძაფრებული სურვილი თვისი; ვერც აცხადებდა. აწ მაინც მიჰხვდნენ მახლობელნი მეფის დარდებსა: ბევრი იცოდნენ საიდუმლო ლუარსაბისა და მიაკვლიეს ღელვის

მიზეზი. მიჰხვდა გიორგიც, რა აღონებდა დიდებულ სტუმარს და საგონებელს მიეცა მძიმეს.

– ოჯახის თავი ვალდებული მის წმიდად დაცვის და მეფის სწრაფვა აქოჩრილი, ტალღად ასული! რომ გამდნარ ტყვიად წამოსული მის გულისთქმა გადმოეთხიოს თვის კიდეებს და წაჰლექოს მცხინვარებით კერის სიწმიდე? არ ეგების ეს! თვალხმიერად, მარჯვედ, ფრთხილად, ჩემო გიორგი!

მძიმეს ფიქრობდა მამამძუძეც ლუარსაბისა:

– ვერა ვართ მარჯვეთ! ნაჩვევია ლუარსაბი მიუხვდეთ სურვილს, აუსრულოთ, როგორც ბრძანება. არ შეიძლება აქ ისე ქცევა! განცხადებით თუნდაც ბრძანოს თვისი სურვილი, ვერ აუსრულოთ: დევის ბუნაგში მოვყოლივართ ყველანი ერთად; ვაჰ თუ მის რისხვას გაღვიძება ძვირად დაგვიჯდეს. სჯობს ჯერ ყუჩილი, შორით მზერა, რომ...

ესეთსავე ფიქრს შეეპყრო თანმოაზრე მხლებელნი მეფის. ფრთხილად ზომავდნენ ყოველ სავალსა, მეფის ნდომის სასრულებლად ეძიებდნენ მარჯვე რამ წამსა. იცოდნენ იმათ: ვერ შესძლებდა მბრძანებელი ჟინის ჩაქრობას და ვნების ცეცხლი იფეთქებდა ხანძარის სახით. ეს აშინებდათ.

– ეჰ, მომავალი უცილებლად ხომ მოზვავდება, მანამდისინ კი... ზეიმ-ნადიმი, არშიყობა, სიმღერა, ცეკვა! ღვინომ წითელმა შთააგონოს ყველას თვისი გზა.

13

ჯიქობდა მეფე, არვის ანდობდა თავის გულისთქმას; ვერვის გაუღო გრძნობათა კარი. როდი იცოდა უმრავლესობამ, რა დარდის ლანდი აედევნა საზეიმოდ მოსულ ვაჟკაცსა; გუმანიც ვერ მიეტანათ მის კაეშნის მიზეზისადმი. იმას კი გრძნობდა მთელი კრებულიც, რომ უქეიფოდ არ იყო მეფე, ფიქრი რაიმ ამძიმებდა ჯერ ურკვეველი.

– ვეღარ შევსძლებ დავსტიო გულში მწვავე გრძნობა მოუთმენელი; ვერც სხვას მივანდობ: ვერვინ შეიგნებს სიძლიერეს ვნების ცეცხლისას.

გაჰკვალე შენვე გზა განგებისა: მწე ამაოა; გასწი, გააპე კლდე ალმასისა: ჰხედავ, იქ არის სულისდგმა შენი!

– გავაპო მატომ ზღუდე უტეხი მთლად უმშველელოდ?! და რომ...

– რაინდის რყევა?! ვერ მიჰხვდე მაშინ შენს საწადელსა!

ვერღა შეეძლო მას არმიწთომა: განცდა იყო საბედისწერო. როგორ შესძლებდა მის დაცილებას?! გზა კი არ ჰქონდა მისაახლები.

– დრუნგილის ნაქვთი ასუნთქებული, მთვარეულ შუქით ნაშუქები, გამჭვირვი კანი აგორებულ ნაწნავთ საშუალ. ეხლაც ვგრძნობ სითბოს ცხოველ არის და სუნნელობას სპეტაკ კანისა!

ვეღარ მოეშორებინა გონების თვალთაგან ნაწნავთ მიდამო: მიმზიდველ ძალას გამოსცემდა შეუმართებელს, ეტყოდა იგი ვაჟკაცს ვნებულსა:

– ეჰა, შემეხე! მოგანიჭო ნეტარება მოუსპობელი, ჟამთ დენაზედ უფრო გრძელი, დაუშრეტელი. შემახე ბაგე!

– მიირთვი, მეფევ! საგანგებო ღვინო არის, სულ ძველისძველი და გულს გიპოვის; მხიარულ სითბოთ მოგედება, დაგივლის გვამში.

– შევსვამ უსუნთქებ! მაგრამ... მე ისეც ზარხოშადა ვარ, ნექტრის სიტკბოთი სავსებით სავსე: სასმელი იგი მე მომიბყრო შენმა დახვედრამ.

– მეფეო, მეფევ! მე კი ვშიშობდი: ვერ შევეგებე საკადრისად, კაეშანი მით მოედო ცხებულის სახეს.

– სააკაძე და კრთომა, შიში?!

– სიყვარულის შიში, ბატონო! ეს ის ძრწოლაა, რომ დააბამს თვით ამირანს ღვთის შემმართებელს.

– ჭეშმარიტს იტყვი! ვიცნობ სასტიკ შიშს სიყვარულისა, – ბრძანა მეფემ

და მიჰმართა ინახითმჯდომელთ:

– აღელვებს, აბნევს ეს შიშიც ისე, ვით ბრძოლის ძრწოლა ჯაბნობისგან გამოწვეული,

– ბატონო მეფევ! მეც შემინიშნავს შიში ბრძოლის ჟამს, გამკვირვებია: ზარდაცემულ ვაჟკაცის ქცევა გონახდილია, გარდარეული, – ჩამოართვა სიტყვა შადიმან,

რომელი ალღოთი გრძნობდა, რა სიყვარულის შიშზედ იტყოდა ბატონი მეფე და უნდოდა შეეცვალნა საუბრის გეზი! ჯერ ვერ ეფიქრა დასრულებით საგნის შესახებ, ჰაზრთა არეში ვერ გაეკვლია სავალი სწორი და ეშინოდა, არ გაეტაცნა მეფე დიდ ღელვას, მეტი არ ეთქვა, შეუსაბამო. დასთანხმდნენ ვაზირს გამოცდილები. გაიხსენეს ეს თუ ის ბრძოლა, შემთხვევები ნადირობის ჟამს. ახსენეს ომი თათარ-ხანთანა. მოიგონეს ის საბრალო იარალი.

– მართალს იტყვით იარალზედ. უფრო უნრიანი მეგონა, მისთვის ვუბრძანე გზის შეყელვა მომავალ მტრის წინ. შეშინებულს გზა გაეხსნა მტრის ლაშქრისათვის.

– შემოსეულთ დანახვაზედ ძრწოლას შეებყრო, მოსცლოდა გზიდან; სხვა გეზით ევლო და ომის დროს ზედ მოგვესწრო, მაგრამ...

– გონახდილმა ნაწვიმ ხნულში შეაგდო ცხენი. მიჰყვა მას რაზმი. ჩაცვივდნენ ლაფში. მოსპო იგინი უჭირველად მტერმა ყველანი.

– შველაც ვეღარ შეიძლებოდა: ბრძოლა გარდამწყვეტ ხაზისაკენ გარდახრილიყო; მცირე შერხევაც შეარყევდა იმის მსვლელობას, – წარსთქვა გიორგიმ.

– ვერც ვუშველიდით: იმ ხნარცვებში მეშველიც მსწრაფლ მოისპობოდა, – სთქვა ზაზა ციციშვილმა.

დალიეს მოკლულთ შესანდობარი. ჩამოაგდეს საუბარი ახალ საგნებზედ. მეფეც იტყოდა, მასლაათში მონაწილეობდა, თუმცა კი სჩანდა, მისი გონება მიჰპყრობოდა სხვა რაიმ საფიქრს. თვალთა იერი მაინც უფრო უწყნარდებოდა; მეტყველ სახეზედ აღებეჭდა მკვეთრი რამ ჰაზრი; ჯანის სიდუნე უკვე ჰქრებოდა; გასწორდა ტანში; დააჩნდა რიხი ყელმოღერებულს; გზა თუ გაჰკვალა ოცნებათა სანახებთ შორის.

– მშვენიერი ღვინო არის! ხვალ დიდს ზეიმზედ განვიცადოთ ამისი ეშხი, – ბრძანა ხელმწიფემ

და სიხარულით გაახარა ამირთამირი, ძვირფასის სტუმრის ჩაფიქრებით მართლა შემკრთალი.

14

გადეწმიდა მეფის სახეს ბურუსი მძიმე; გამოფხიზლდა მზეჭაბუკი ბნელის რულიდან.

– თუ მეზმანა სიმშვენივრე ქალად ნაგები? ან თუ ხორცქმნილი სინამდვილე სიზმრად გარდმექმნა? ორივ ერთია: იგი ტურფა მაინც ჩემია! გზა უნდა ექმნეს ამ ჩემს დიდ სურვილს, აღტყინებულ მისწრაფებას შეუკავებელს.

– არის გზა იწრო; მსხვერპლს მოითხოვს აუტანელს შენგან, მეფეო; სხვისთვის ადვილს შესაწირავს სანეტაროსა.

– სხვისთვის?! მე ცოცხალ ვიყო და იგი სხვისად?! მსხვერპლს ჩემთვის ძნელსა? ნახევარი სახელმწიფო...

– ჰა, ჰა, ჰა! ნახევარი სახელმწიფო. ჰა, ჰა, ჰა!

– ხარხარი მესმის სატანაილის. მაინც ჩემია!

– თუ მსხვერპლს შესწვდები, მეფეთ მეფეო!

– სასყიდელს შევსძლებ?! ნახევარი სახელმწიფო მისთვის მიმიზღ...

– ჰა, ჰა, ჰა! ნახევარი სახელმ...

– მაშ?

– მაშ ვერ მისწვდები, თუ ვერ იგრძენ, რა მსხვერპლს მოითხოვს.

– სთქვი!

სდუმდა ხმა იგი იდუმალი ცხადად მეტყველი: როდი უკრთოდა ხელმწიფის რისხვას! აღელდა მეფე, მოენატრა ქალის კვლავ ნახვა, მხოლოდ დანახვა, მარტოოდენ დაკვრა თვალისა. გადუკრა სიტყვა; მიჰმართა ხერხსა; საწადელი ვერ აუსრულდა: ქალ-რძალს როდი შეჰშვენოდა ვაჟკაცთ შორის უბრალოდ ყოფნა, მერმე მეფის წინ. გიორგის დედა, მის მეუღლე ეახლებოდნენ კრებულში მეფეს, ისიც წუთითა, რომ გამოცდილი თვალი მოევლოთ იქავრობისთვის, შეშლილ ნირის შესასწორებლად; მზია ქალები ერეოდნენ ვაჟკაცთა შორის ზეიმის დროს, სხვა იშვიათ შემთხვევის ჟამსა. აწ დაენანა მეფეთ-მეფეს, რომ გადასდო ხვალისათვის დიდი მეჯლიში, როს ერთს სუფრაზედ პირისპირად ჰნახავდა ქალსა და დასტკბებოდა მის ხანგრძლივ ჭვრეტით. კაეშანის საქარვებლად, დროს სამოკლებლად მოისურვა სანახებში გასეირნება. ბრძანა გიორგიმ. მყის მოართვეს წამსვლელთ ცხენები. მეფის მერანი არ იყო მათში. ცხენი ეჭირათ მეჯინიბეთ უნიშნო შავი. ბრდღვინავდა ჰუნე, თვალთ აფეთებდა, მაღლა ფრინავდა; ძლივს იკავებდნენ ფირუზნაფრქვევი შეკაზმულობა. ის ტაიჭი იყო ეს, გიორგიმ რომ მოიპოვა თათარხნობასა. მეფეს თვალი შეჰვარდნოდა მაშინ იმ ცხენზედ, ებრძანებინა ძლიერი სჩანსო. სააკაძემ გაიგო სიტყვა და დაასკვნა მიეზღვნა მისთვის. მოელოდდა საფერ შემთხვევას.

– მახსოვს ეს რაში. გამიკვირდა, რომ გააპე მაშინ მტრის რაზმი და გადმოაგდე მაგის მხედარი. მამაცობა ნაჭარბი სჩანდა, – უთხრა ზაზამ.

– სიმართლეს იტყვი! მაგრამ ძლიერ მომეწონა და დავასკვენ მის გამოყვანა.

– გრძნობის კარნახს აჰყოლიხარ შენ. შეიძლებოდა შეგშლოდა გეზი და შეგერყია ომის მსვლელობა.

– და ღირდა ჯილდო უზომელ ქცევად!

მეფემ ვერ ნახა თავის ცხენი, გადაჰხედა კითხვის თვალით კარგ მასპინძელს.

– ბატონო მეფევ! გთხოვ ინებო და შებრძანდე ამ შენს ცხენზედა: დავსახე ეს მაშინვე შენად, მხოლოდ მსურდა გამომეწვრთნა, რომ მოქნილიყო.

შესხდნენ. გადავლეს ფართო ეზო. დაუახლოვდნენ ალაყაფის კარს. ფრინავდა რაში. გაუელვა ჰაზრმა მზეჭაბუკს: ქალები თუ გამოვიდნენ ჩვენს სამზერლადა, ის მშვენიერიც. აჰკრა ლაგამი, მოზიდა ღვედებს; ლომმა ტაიჭმა ვეღარ წარსდგა ვერც ერთი ბიჯი; აზინა მკერდი, აათამაშა ჰაერში ტოტნი, მოსწია მეფემ მძლავრის მკლავითა, შეატრიალა ყალხზედ შემდგარი და დაჰკრა ელვად ორბის თვალი მომზერალ ყვავილთ. აივანით ნატყორცნი სხივი ისრად დაესვა მხედარს გულზედა, შანთათ ელვისა და მშვენიერ გუნებაზედ დადგა სტუმარი. ბრძანა სიმღერა. ანიშნა გიორგიმ შორიახლო მიმდევარ რაზმსა. რიხიანად აგუგუნდა საომარი სიმღერა მწყობრი.

დაკვირვებად გარდაქმნილი ბარათაშვილი თავიდანვე თვალს ადევნებდა ამბავთა დენას. ჰხედავდა იგი: ყოველივე მოქმედება თუ მოძრაობა ისე იყო მოზომილი, ისე მწყობრად მიმდინარობდა, რომ ლუარსაბი უსათუოდ კმაყოფილი შეიქმნებოდა; ეს უფრო მეტად მიჰზიდავდა გიორგისკენ იმისსა გულსა; წყალობის კალთას დაჰბერტყავდა იგი მასზედა, აამაღლებდა ისეც მეტად განდიდებულსა. დამცირდებოდნენ მის შედარებით თვით თავადები, თუნდ მახლობელნი კარისკაცნი ბატონ მეფისა.

– დღეს ამირთამირს ხელთ უბყრია ძალა ქვეყნისა: გიორგია სახელმწიფოს დამცველი ხმალი. ვინ იტყვის, უღირსს უჭირავსო იგი მახვილი?! მტერიც ვერ იტყვის სასიკვდინოდ ჩაჟინებული! მე მის დუშმანი, იგი ჩემთვის ავის მსურველი; მაინც უნდა ვთქვა: ღირსეულია! და მით უფრო საშიშია, საფრთხილობელი. ისა ჰგონიათ, მე მმტრობს პირადად, ან მე მასა ვმტრობ, სააკაძესა. არა! დიდებულთა მტერი არის უძინებელი: ის ჰაზრი უძღვის, დაამდაბლოს ამაღლებულნი, დააკნინოს, დასცეს დაბლა გვარიშვილები. მფლობელიაო მხოლოდ მეფე, ზეგარდმო ამორჩეული. ის როდი ჰკმარა, თვითც გადიდდეს, დაგვისწორდეს, დაგვიმეგობრდეს; შესაძლოა ეს: დაიმსახურა; არ ჰყოფნის ეს მას! – იტყოდა შადიმან.

მეტად უკვირდა, რათ ვერ შეეგნოთ ეს მისი სწრაფვა სხვა დიდკაცებსა და ზოგნი კიდეც ჰმეგობრობდნენ იმ მონათ მომხრეს, ბუნებით ყმასა.

– დიდ სვიმონისგან მაქვსო ჰაზრი წამოღებული: მეფის ტახტი უცილებლივ უნდა ბრწყინავდეს სწორუპოვარი; როგორც გლეხი ჰმორჩილებს თავადს, მთელი ხალხი: გლეხი, თავადი, აზნაური, სამღვდელოება უნდა ჰმონებდნენ ერთს მბრძანებელსა, ქართველთ ხელმწიფეს; ვისაც არ ჰსურს და ამაყობს, მეფის დარი შევიქმნებიო, უნდა დაკნინდეს; მოისპოს იგი! აი ის ჰაზრი, მუხრანბატონო, რომელს გიორგი აწვეთებს მეფეს.

– ეხლაღა მივხვდი! საბჭოში რომ მოვახსენე ბატონ მეფესა: დადიანი ხელმწიფეა, მისი ქალი შეგშვენის შენა! მოურავმა ხმა აიმაღლა: ყმავე არის მეფეთ მეფისა, როგორც ყველა სხვა თავადი, მხოლოდ უფრო თავწასული, ლაგამახსნილი; ვაჰ რომ მაშინ სვიმონ მეფემ ვერ ჩააგდო თავის კვალშიო.

– მეც მენიშნება თქვენი ნათქვამი: ამხედრებს მეფეს ჩვენ წინააღმდეგ; თითონაც გვებრძვის, არ ჰმალავს მტრობას. და ვის ემხრობა?! გლეხებს ეყრდნობა თითონაც გლეხი!

– აზნაურია, ბატონო იასე!

– ჯიშით უღირსი აზნაურობისც! მე იასე არ ვყოფილვარ ქსნის ერისთავი, თუ არ ვაგემო უნარი ჩემი.

– ჯერეთ დუმილი, გულხმიერად თვალ-ყურის ჭერა!

შეუერთდნენ მხიარულად მიმავალ ჯგუფსა. ხალისობდნენ ბედნიერნი, მოჯირითობდნენ; ფრთიან სიტყვებით ბურთაობდნენ, მოიმღეროდნენ. კაეშნის ჟანგი გადასცლოდა მეფეთ მეფესა და მის ამალას ჰშვენოდა ლხინი. მეფის მილტოლვამ გზა თუ ჰნახა რამ საიმედო, ეშხიანი სურათები თუ აღუჩნდნენ ჰაზრთა არეში.

– დიდებული მზე ბრწყინვალე ჰე ლაჟვარდ ცაზედ!

– დამათბობელი მნათობი, დამათრობელი.

– შენ იცი, ხელო, იქ აღმოხდა ეს მნათობი, მასპინძლის სახლში!

– მზეჭაბუკო, შენ აგყვა მნათი.

– მე აგყევ მნათობს: ბნელა უშენოდ; ყინვა მაზრობს შენგან შორმყოფსა; განმითენე, გამათბე, ტურფავ!

მზე თანდათან მაღლა იწევდა; შეემატა სინათლე, სითბო. ჭალა რამ შეხვდათ. ინთქრეოდნენ მზის ნაკადნი შეყვითლებულ ფოთოლთ საშუალ; მხოლოდ ახმობდნენ გულგაფიტულ ფოთოლს თუ მდელოს. და გვიანი ყვავილები მიმობნეული: შემოდგომის გაღიმება ფერნამკრთალისა.

– ლამაზები ხართ, განწირულებო!

– განწირულები?! რად გვეტყვი მაგას?

– გულუბრყვილონო! ვერ შესძლებს მოგყვეთ ბოლომდისინ თქვენი მნათობი; დაკნინდება მის სინათლე, იმისი სითბო და მიეცემით ჩასანთქმელად ძნელსა სიცივეს ბოროტად მქსინვარს.

– ბრწყინვალეა და ძლიერი მფარველი ჩვენი: შეხედე, იგრძენ!

– ბჭყვრიალაა თვალთ წარმტაცი, გარნა უხანო შემოდგომის მზე ბნელისგან უკვე მზნეული...

– ბედნიერია ის ქალთამზე, ვისთვის მნათობს ეს მზეჭაბუკი. რა ლამაზია ახალგაზრდა მეფეთა მეფე!

– რა ძლიერია! უმჩნეველად მოზიდა ლაგამს, აათრთოლა რაში მფრინავი; წამს დაიმონა.

– ცქაფად მოჰხარა ჰუნე ჩვენსკენ, გადმოგვანათა...

– შემოდგომის მზე... უხანოა მისი ძალა თუ ბრწყინვალება. ვერ შესძლებს მდელო გარდაშლილი გვიან ყვავილად მოგვცეს ნაყოფი ნოყიერი, დამატკბობელი: ყინვა მოაშთობს ნაყოფის ნასახს, დაჰფარავს ბნელი.

– ძლიერ მიყვარს შემოდგომის ნათელი ხანი, თანაც კაეშანს მგვრის: ბუნება ისევ მშვენიერია, მის ლამაზ სახეს მაინც ასდევს ნაღვლის ზოლები. საბედისწეროდ შეწითლებულ ფოთოლთ ჩამოსვლა, იმათი გმინვა...

– რა დროს სევდაა, აღსართან ჩემო?! დარი გვიდარის!

– ინაღვლონ ფოთოლთ შეყვითლებულთ თვის დღემოკლობა. შეგვიცვლის ბევრჯერ შემოდგომას გაზაფხული იმედით სავსე.

– აბა სიმღერა შემოდგომის შესამკობელად!..

წარმავალ მფრინველთ ხმიანობა ავსებდა ჰაერს. საძნელო სავალს სახიფათოს დაერაზმა იგი მფრინველნი, ჯარად დაეწყო.

მწყობრად ვიდოდნენ თვალთ საამოდ გამოსულნი, შინ ბრუნდებოდნენ. მგზავრულის ხმა უკვე დასწვდა ხალხით სავსე ეზოს, სასახლეს. დაეხურა გული მზეჭაბუკს, ჩაუნელდა ოცნების სხივი; გრძნობათ არეში აჩნდა აჩრდილი.

– საავდრო ხომ არ არის ის ღრუბლის ქულა, მთის მწვერვალი რომ დაუფარავს?

– რა ბრძანებაა?! შემოდგომის ნისლი არის ზევით ასული; მზის სხივებზე გადნება ისიც.

– კიდევ შეგვრჩება დარი ნათელი; მერმე მოიხვევს ეგ მთის თხემი საავდრო ღრუბლებს.

16

დიდი მზადება იყო ეზო-ყურეში: სეფასა რთავდნენ: ორხოებით მოფინეს იგი. აბრეშუმის მუთაქები მიწოლ-მოწოლით. ყურთბალიში ნაქარგ-ნაკერი. დაჰყურებდა

მეფის ტახტი მორთულ-კაზმული; მისი ფარჩის ცა ოქროცურვილ მნათობებით დამშვენებული.

– საუცხოვო დარი დადგა. ცის ქვეშ ქეიფს არრა სჯობია.

– ამოდენა მოწვეულებს ვერ დაიტევს მაინც დარბაზი: ბატონ მეფეს უბრძანებია, მთელ სტუმრებთან მსურს დავიდო დღეს ნადიმიო.

– გუშინ რაღაც უგუნებობდა. ძლივსღა გაერთო გასეირნებით.

– ეს სამზადისი გააცრიატოს ავმა დარმა ან ავადობამ?! მოწყობილია მთელი ქორწილი!

– და რა ქორწილი!

ჯერ ისევ ადრე იყო, რომ შეწყდა აჩქარებული მისვლა-მოსვლა, სწრაფი ბრძანება, უსწრაფესი მის ასრულება; ხმაურობა, თქრიალ-ჩხრიალი; მიტან-მოტანა, მორბედთ ტრიალი. მზად იყო უკვე ყველაფერი თავთავის ადგილს. ერთი ნიშნება და ყოველი წუთს გაჩნდებოდა საარაკო ნატვრის სუფრაზედ. ქალ-რძალი თუ ვაჟკაცები მიდ-მოდიოდნენ, ხნიერები მუსაიფით, კრიალოსნით შეექცეოდნენ. თვალი მეფის გალიაკისკენ ეჭირათ: უკვე დრო იყო გამობრძანების.

– აგერ ეახლნენ.

– მობრძანდება ბატონი მეფე!

მიეგება, მიესალმა დიდი, პატარა. პირზედ ღიმი გადაჰშლოდა ბატონს მზეჭაბუკს; თვალნი ცეცხლად აჰღგზნებოდნენ მლოდნეს სიამის. საკრავთა ხმები შემაღლებული. ხოტბა შეჰფინეს მომღერალთა დიდებულ სტუმარს. აღარც შემწყდარა აღტაცება მაღელვებელი. სიმთა ჟღერა ენაცვლოდა ტკბილ დუდუკის ხმას. საკრავთა ზახილს თან ჰყვებოდა მწყობრი სიმღერა. შეზავებულ ბგერათა ჭავლებს თუ ხმათა ტალღებს დაეძლიათ ტანთა სიმძიმე, ადგილობრივ არხევ-არწევდნენ მეინახეთა. ხმათა დენას ასდევდნენ ზმები, შაირ-ლექსები, შეჯიბრება მგოსნურ სიტყვისა, მიმოფრენა ფრთიან თქმებისა. მთელ-მთელი მშველი თხილის შამფურით. ღვინის ციმციმი ვერცხლის თასებში, მის ოშხივარი აღგზნებული მსმელთა თვალებში.

– მე თამადა ვარ ამ დიდ სუფრაზედ! ეშხიანად ხომ ვასრულებ მოვალეობას?

– მშვენივრად!

– უნაკლულოდა!

– ჩემს ნათქვამს სიტყვას არ დაუშვებს თვით მეფეთ მეფე: ასეა წესი. დღეს სარდალი ვარ ლხინის ბრძოლაში. მასპინძელო სარდალთსარდალო!

– ბრძანე, თამადავ!

– ბრძოლაში თუ არ გმორჩილებს თუნდ ერთი კაცი...

– შეარყევს ომსა, თუ არა ჰყო განმგებლის ნება.

– ხომ გესმის, თამაზ! ნუღარა ჰყოვნი: სადღეგრძელო ეშხიანი, ან ზმა, სიმღერა, თუნდაც შუშპარი!

– მაშ მიჯობს ცეკვა.

– აბა დაუკათ!..

– ჰე, გენაცვალეთ კისკას ფრენაში! მადლობა თქვენდა თითონ თამადის! კარგო თამაზო, ჩვენო ლამაზო, მოდი გაკოცო!

– ნადიმის მნათო, ბატონო მეფევ! შენი ჯერია სადღეგრძელოს თქმა. გვიბრძანე სიტყვა!

– ვემორჩილები მეფე-კაცი თამადის ნებას. დაჯეგ, თამადავ! მინდა მივმართო სიტყვა ჩემი ზეიმის ყვავილს, უკლებ მშვენებას, მნათობ მაკრინეს. მაგრამ... თამადავ, მასპინძელო, ჩემი სურვილი...

– ბრძანე, ბატონო, კანონია ხელმწიფის ნება!

– გულითა მსურს, თვით დამისხას ქალწულმა ღვინო!

აღელდა ქალი. მთელმა სუფრამ მიაბყრო თვალი. ხედვის ისარი გადიტანა გიორგიზედა. ანიშნა თვის დას. წამოდგა იგი, ეახლა მეფეს.

– ახალი თასი! ღვინოც ახალი! – ბრძანა ხელმწიფემ.

– ამ წუთს, ბატონო! – სთქვა ქალის დედამ

და განვლო სეფა. მშვენიერი შერჩა სუფრას ხელმწიფის წინა. მარჯვნივ კაცთ მწკრივი, მარცხნივ დასი მანდილოსანთა; შუაზედ არის ფართო განი მოორხოვილი. ქალი მეფის წინ. შეჰმზერის ვარსკვლავს თვალი მრავალი; ჭვრეტა მეფისა, მთელის სეფისა. გარდიშალნენ ვარდის ბუჩქნი ტურფის ღაწვებზედ; შეიკუმშნენ. მიმქრალდნენ ვარდნი; კვლავ გარდიშალნენ. გულისპირ ქვეშ მკერდის ღელვა უკავებელი. ზვირთთა შხეფები თვალთ მოსდგომიან; ნამს გავლილი თვალთა სხივი იფრქვეოდა ცისარტყელადა. გადაავლო დიდკაცობამ თვალი გიორგის. იჯდა გმირი, კოშკსა ჰგვანდა უნაკლოდ ნაგებს. გრძლად დაშვებულ ულვაშ ქვეშ ბაგე ბეჭდილი. არეს გაჰმზერდნენ ფიქრიანი მისი თვალები. შუბლსა ჰსერავდა გრძლად ნაოჭი ჩაღრმავებული.

– ინებეთ, ბატონო!

მერიქიფემ ჩამოართვა დოქით ღვინო და ვერცხლის თასი; მიაწოდა ქალს სასმისი, დაუსხა ღვინო. ჭაშნაგირმა ფეხი წარსდგა სასმლის სასინჯად.

– ნუ, ჭაშნაგირო!.. ქალო, მაკრინე, თვით გასინჯე, იგემე ღვინო!

შეუგნებლად შეახო ბაგე სავსე სასმისსა; მიართვა მეფეს. მბრძანებელმა ინება სიტყვა:

– ცაზედ მრავალი მნათობია დიდი თუ მცირე, ბედის ვარსკვლავი ერთი არის უსწორ-უბადლო. ამულღაზარში ბევრი არის ყვავილი ტურფა, რა შეედრება სიმშვენივრით ფურჩქვნილსა ვარდსა?! შუქურ მნათობთ ეჰა კრებული! ვინ შეედრება მნათობთ მნათობს ტურფა მაკრინეს?! მის სადღეგრძელო!

– სადღეგრძელო მაკრინე ქალის!

– მის სადღეგრძელო!

– სადღეგრძ...

საკრავთა ხმანი აედევნენ საერთო გუგუნს; მომღერალთა გაზახილი არხევდა ჰაერს.

17

უფრო მეტად გაფართოვდა ზეიმ-ნადიმი, გაძლიერდა, შეიხა ფრთები, შეიმოსა აღტყინების სახე უნაკლო, თავისუფლად მიმოფრენდა მეფის მოლხენა. რა სანოვაგე, ღმერთო ჩემო, რა სასმელები! პირადპირადი შესაქცევი რაღაც საზღაპრო. მადა ჭამაში იღვიძებდა თანისთანობით, წყურვილი სმაში, აღტაცებული დატკბობა აღმაფრენაში. მიჰბაძეს მეფეს: მნათობთ აღრჩევა მორიგ მოსულ სადღეგრძელოსთვის, ჭაღარებსაც უკუ ეგდოთ წელთა სიმრავლე და ხალისობდნენ ახალგაზრდულად.

– მე ეს მიყვარს ჩვენი გიორგის: ომში მხოლოდ ბრძოლა ახსოვს და ზეიმში მხიარულება! ლამაზია მასთან ყოფნა ჭირში თუ ლხინში, – იტყოდა ზაზა

და სცდილობდა მიჰყოლოდა სააკაძეს გულხალვათ ლხინში სწორეთ ისევე, როგორც მოსწონდა მის მიყოლა ალისფერ ომში. ცოტად სცდებოდა ციციშვილი: არ ჩაჰხშობოდა ამირთამირს საიდუმლო სული მეცანი, რომელი განზედ გასდგომოდა გაშლილ გართობას და ფიქრის თვალით დაჰყურებდა ამას ყველაფერს, თვით

გიორგისაც. ამ თვალსა მზვერავს არაფერი ასცდებოდა შეუნიშნავი, თუნდ სულიერი მოძრაობა თვალთუხილავი. უფრო გაფხიზლდა სული მეცანი, გარდაიქმნა ყოვლის მხედველად, რა ნაჭარბი ყურადღება მიაბყრო მეფემ მზეთუნახავსა. გიორგიმ თითონ გარდუხადა დის მაგიერ დიდი მადლობა, შემოსძახა სამადლობელიც; აუკრა ძირი ვეება თასსა; გულის სიღრმეში მაინც იყო დაფიქრებული: დარდი დააწვა სხვებისათვის განუჭვრეტელი; მისი დაჩენა არ შეეძლო ამ ჟამად იმას; იმ ფიქრის ლანდიც სახიფათო შეიქმნებოდა. საშიშრობა კი იზრდებოდა, ძლიერდებოდა:

აღარ მოსწყვიტა ხელმწიფემ თვალი მის ტურფა დასა! დაიწო ქალი, ველარ შესძლო აეხარნა წამწამთ ტევრები. ღვინით, ვნებით აფურტკვნილი იგი ვაჟკაცი უმეტესად დაიმჩნევდა აღტყინებასა, თუ მოზეიმეთ ყურადღება არ მიექცივნა ახალ სანახავს: დიდი ეზოს იქით მხრიდან, საიდან ყრუდ მოისმოდა ლხინის ხმაური, წამოვიდა სეფისაკენ ორი ვაჟკაცი. ხის ტაბაკზედ პურ-მარილი, ხორცის ნაჭრები, ხელადით ღვინო.

– გაუმარჯოს ჩვენს დიდ მეფეს! თქვენც გაგიმარჯოთ, ბატონებო!

მიეგება მასპინძელი. ჩამოართვა; წარუდგა მეფეს.

– ჩემი ყმებია, შენნი მონანი! გევედრებიან დაულოცო იმათაც სუფრა.

– შენი სადღეგრძელო დავლიეთ იქ სავსე ჯამებით, დავამღერეთ შექება შენი და წამოვედით: გვინდა, გვახსენო! ჩვენი მეფე გლეხკაცების მწყალობელიაო, ბევრჯელ უთქვამს ბატონს გიორგის.

თავადებმა შეიკრეს შუბლი. ხელმწიფე არ მოელოდდა ამგვარ ამბავსა და შეყოყმანდა. მსწრაფლ გამოერკვა.

– მასპინძელო, გამიდეღ წინა! ხალხს იქ დავლოცავ, იმათ სუფრაზედ.

დიდკაცებმა გადაჰხედეს ერთმანეთს წყენით. დაიძრნენ მეფის გასაყოლად: როდი ჰქონდათ იმათ მეტი გზა. მანდილოსნებმა ისარგებლეს შემთხვევით, დასტოვეს სუფრა. შესდგა სეფასთან მოცეკვავთ გუნდი. რა შუშპარია! სამაია; დახეთ დავლური; ხანჯლებით ცეკვა! დაბრუნებული მეფე დიდად სიამოვნებდა. ფრთები შეისხა ახალგაზრდობამ. გადაფრინდნენ სხვა ჭაბუკებიც. ძნელი წუთები: აიტანა მზეჭაბუკი ბგერათა ტალღამ, ადგილობრივ აათამაშა, შესაძლო იყო მის გადასვლა მოცეკვავებში. იგრძნო გიორგიმ, მოუმატა მკვიდრ სიდინჯესა. სხვების სახეზედაც აიხატა დარბაისლობა. ეშხი მეფისა ჩაანელა მათმა იერმა. გადიარა უხერხულობამ. სმა გაძლიერდა; ვაჟკაცთ შორის შეჯიბრება ჯიხვების ცლაში: მასპინძელმა მთლად გაშალა სამხიარულოდ თავისი გული: აამღერა მრთელი სუფრა სიამის ალით. ეს ზედა პირზედ. სულის სიღრმეში ხანძარი მძაფრი; სხვა აღალმა მის პიროვნების ჩაჰყურებდა ჩაჟინებით ძნელ საფიქრებელს:

– რისც მეშინოდა, ის მომიხდა, დამატყდა თავსა. რით იქმნებოდა, ყურადღება არ მიებყრო მაკრინესათვის?! ბრმა ხომ არ იყო, ვერ ენახა მისი მშვენება. რად არ გავგზავნე ნუგზარისას ან სადამ სხვაგან? არ იქნებოდა! ეჰ მოვიდა მოსავალი. რა დაიჭერდა?! შევხვდე პირდაპირ დიდ საშიშრობას: შემართებით სჯობს შეჰხედო დუშმანს თვალებში.

მეტოქის გულშიც ამ წუთებმა აათკეცეს საფიქრობელი: თუ სვიმონისაგან განსწავლული საკაძე მთავარსარდლობდა საქართველოს საფარ ომებში, შადიმანი წინამძღვრობდა ქართველთ ცხოვრების მიმოდენაში; ხოლო ამ ძლიერთ მისწრაფების დიდი ჰაზრები ერთი მეორეს უარჰყოფდნენ, განაქარვებდნენ.

და ფიქრობდა ორი მტერი ღრმა საფიქრობელს.

ბნელოდა ჯერეთ: დაევახშმა უკვე მთვარესა. გიორგიმ შემოუარა სახლ-კარს; ყველას, ყოვლისფერს მოავლო თვალი.

– რა განკარგულებას ჰმორჩილებს რაზმი, გოდერძო?

– მეფე რომ მოსასვენებლად შებრძანდა, ყარაული დავაყენე მის კარს: სამი კაცი გობრონის მეთაურობით.

– ჭის კარს?

– ალაყაფის კარის მცველად ხუთნი მიდგანან ურუმ ბენაშვილის უფროსობით.

– დიდებულთა სავანე?

– სოფრონ სდგას; მხოლო ხანჯალი...

– ჯაჭვი?

– შიგნით აცვია საკურტაკე.

– დამხმარე...

– მარქაფად აგერ ათი კაცი ცეცხლის გარშამო.

– შესცვლი დარაჯას?

– მამლის ყივლისას.

– მთვრალი...

– რაზმში მთვრალი არვინ არის: მოესწრობიან დალევას!

– ჰაი, ჰაი!

– ღენტორი?

– აქ გახლავარ, ბატონო!

– შენ სადღა...

– ყველგან! არსადა!

გასცდა გიორგი რაზმის მეთაურს.

– ბიჭო, სტეფანე!

– რაიაო?

– არ გაგონდება ომის წინად ჩვენი სარდალი, ყველაფერს რომ თითონ სინჯავდა თავის თვალითა?

– აქაც ომი თუ ჰგონია მაგ დალოცვილსა...

– ვერ დავფარავ, ჩემო შადიმან, რომ გიორგი საქართველოს რკინის კარია. უმისოდ ბევრჯელ წახდებოდა ჩვენი ქვეყანა. თუ იგი არა, თათარ-ხანიც წამოგვქელავდა.

– თუნდ ეგრეც იყოს, ბააკავ ჩემო, მაინც მტრობაა ჩვენს და მის შორის.

– და რა გაქვსთ სამტრო ქვეყნისათვის თავდადებულებს?

– სხვაგვარად ფიქრობს ამირთამირი! ვინ არისო დადიანი, გურიელი, თუნდ კახთ ბატონი, თუ არა მხოლოდ ქედმაღალი თავადთაგანი; უნდა შეიგნონ: ყმები არიან საქართველოს ერთის მეფისაო.

– ჰაზრიანად მიმაჩნია მე მისი სიტყვა, – ჩაერია ბაასში თენგის ზეიდლელი.

– დიდ შედეგიანია ეს იმისი თქმა: თუ ამოქმედდა ეს მისწრაფება, ველარ შედგება, გავა ბოლომდინ: დასცემს დაბლა ძალის მექონს ყველას და ყველგან; დარჩება ბოლოს ხალხი და მეფე. ამას ოცნებობს სარდალთ სარდალი.

– არ შეიძლება! განგებისგან აღნიშნული ვართ დავიცვათ ჩვენ წოდება ჩვენი, გავაძლიეროთ, – ჩაურთო სიტყვა ქვენიფლაველმა.

– ხალხის პირდაპირ ერთი კაცი, თუნდაც ბუმბერაზი მეფეთ მეფე, საშიშრობაა, – დასძინა მამუკა მაჩაბელმა.

– რით არს საშიში?

– ადვილია ერთის მოსპობა. ესეც არ იყოს, ბრბოს თუ ლაშქარს მიეცემა ძალა უძლევი, გახდება მეფე საბურთავი მდაბალ ხალხისა და დაინგრევა სახელმწიფოს ნაქვთი, შენობა.

– ღმერთმა გვაშოროს!

– მაშინ ხომ მეფეც შეიქმნება მონად იმ კაცის, ვინც რომ თავი შეაყვარა ბრბოს თუ ლაშქარსა და... – წარსთქვა შადიმან.

– რას იტყვი მაგას?!

– ბნელის ტალღები. ბოროტება აზვირთებული. განმარტოებით იხილვის მეფე, მის წინ გიორგი ბრბოს საყვარელი. სააკაძის გეშინოდეს, ბაგრატიონო! ნებროთიანნი, სასანიდნი, ბაგრატიონნი; რად არ იქმნება: სააკაძენი?

– შიოშას შვილი სამეფო ტახტზედ და მე ცოცხალი?! – სთქვა კვირიკე მუხრანბატონმა

და სატევარს გაივლო ხელი...

– დედი, დედიჯან! რად განმშორდი, როცა მეფემ მიბრძანა მისვლა? რამოდენა დაიგვიანე! თვალთ დამიბნელდა, მუხლი ათრთოლდა და ჭირის ოფლი...

– რა მექმნა, შვილო?! სხვა სასმისიო, რომ ბრძანა მეფემ, ელვასავით ამეხატა თვალთწინ ის თასი. ის მაღონებდა, რა მიმერთმია ჩემის მხრივ მისთვის და... კარგად მოხერხდა: განზრახ მიზღვნა იმ მცირე ნივთის ვერ იქმნებოდა მისთვის საფერი.

– რადაო, დედი?! აკი გითხრა ოქრომჭედელმა, დიდი ოსტატის ნაკეთებია, მის ხელოვნება უფრო ძვირია, სინამ ოქრო თუ გოჰარიო.

– მართლა, გენაცვა! გადამავიწყდა. მაშ საკადრისი საჩუქარი მიმირთმევია.

– დედი! დედილო! არ მინდოდა მომესვა ღვინო, ვერ გავბედე უარის ყოფა.

– არ იქმნებოდა, ჩემო კარგო, მაშინ უარი! უამა მეფეს.

– მართლა, დედიჯან?!

– რა მშვენიერი იყავ მის გვერდზედ... ღვთით, მშვიდობით ჩაიარა დღევანდელმა დღემ. მე მეშინოდა.

– რისა, დედილო?!

– მეფის თვალთა ნაპერწკლებისა. დიდი სურვილი აღებეჭდა ჭაბუკს სახეზედ და... სახიფათოა იმისი ჟინი. ყველაფერზედ მიუწვდება ხელი ძლიერი. ახალგაზრდაა. გარს ბევრის ბევრი ახვევია ჩვენი მოშურნე.

– მაშინებ, დედი!

– და შეიძლება ბოროტება შთააგონონ შენს შესახებ.

– როგორ დედიჯან?! ხელმწიფე კაცი, თავმომწონე რაინდი ტურფა და განზრახვა ავაზაკური?!

19

ხელმწიფე კაცი, თავმომწონე იგი რაინდი, უდიერად იტანჯებოდა ქალის მურაზით. რით დაიმონა გამოცდილი პირველ ნახვაზედ?! მის არსებაში აღიზარდა ანაზდად გრძნობა და დაეუფლა იგი ვნება მის ხორცს, მის სულსა. ქალის აჩრდილმა შეიმოსა ხმა გამყივარი და თვის გარემო ყოველივე ჩახშო სხვა ბგერა, მაწყნარებელი სიტყვა თუ ჟღერა; უჩინარ ჰქმნა მის თვალთაგან ყოველი სხვა სახე; შტახსი მიუპყრა საყნოსელად, ალვა სუნნელი; ხავერდის ხაო შესახებად ალერსიანი. ტკბილი იყო ის აჩრდილი, ვით გოლეული. განმარტოებულ გალიაკში მზეჭაბუკი მოსასვენებლად მარტო არ იყო: მოფარდაგულ კარ-ფანჯარიდან, უკვე გაშლილ ლოგინიდან, სანთლის

ალიდან, ყოველ მხრიდან, ყოველ კუთხიდან გამოჰმზერდა აღალმა ქალის, ხორცშესხმული მისი სახე ხელშესახები.

– აქა ხარ, ქალო, ჩემს ახლო სდგეხარ?! ვერა ვწევივარ შენს არსებასა! ჩემს გულში გხედავ ელვის სვეტად ჩამოსახულსა. ახ, რა შორსა ხარ, – მსოფლიოს განაპირასა! მოდი, მომხედე! რად მეკრძალვი მე შენსა რაინდს? მო, გამახარე! არ გსურს მისმინო?! განა გიბრძანებ მეფე-კაცი, რომ გეშინიან; გიხმობ მიჯნური: მოვედინ ჩემდა, მომეახლე, ჩემო ძვირფასო!

ვნებააშლილი, ნაღვინევი ვერ უძლებდა თვის ძლიერ სურვილს, იწრაფიდა, წამს მიეღო რაიმ პასუხი: ზამბახი სიტყვა სანუგეშო, თუნდაც ლენცოფა უარყოფის, გესლით აღსავსე. მოესპო ღონე, ვეღარ შესძლო დაყოვნება სასურველისა და... შემოჰკრა ტაში. გაჩნდა მონა მის წინაშე მდაბლად დახრილი.

– ალმასხანი ალმაველი!

გაბრუნდა მონა. ალმაველთან არ წავიდა მისახმობელად, მთავარსარდალს მოახსენა მეფის ბრძანება.

– ჯერ არ მოუსვენია მეფეს? საკვირველია! წადი, აცნობე იმ ალმასხანს დაბარებული.

უღონო იქმნა ალმაველი მბრძანებელის წინ. ძნელ მისწრაფებას აეტანა ჭაბუკი მეფე; მოთმინების თასი დასცლოდა. ვერღ აელაგმა მისწრაფება გაშმაგებული. ვნებათა ღელვით დამტვრეული სახე თუ ტანი. ხალვათად იყო: სარტყელ შესხნილი; ახალუხი გადაჰღეღოდა; გულისპირზედ ღვინის წვეთები. თასის ძირში წითელი ღვინო. ბრუნავდა ალაგს ფრიად ღელვილი.

– აქა ხარ?!

– მე მაშინვე გეახელი, ბატონო მეფევ.

– მოხვედ და... მე ხელმწიფე ვარ ქვეყნის მბყრობელი?

– თვით ღმერთისგან დადგენილი ქართველთ განგებად.

– იმდენი ძალა თუ არ შემწევს, რაც ვინმე ბატონს?!

– შენს სურვილს, მეფევ, საქართველო ემორჩილება.

– ბატონისაა მის საყმოში, რაც მის თვალს მოსწონს?

– ოღონდაც რომ მისი არის საიასაღო!

– მე კი ვინც მიყვარს, ვინც აღგზნებით მომსურვებია... დაჯე! რას დგეხარ?!

– შენ ფეხზედ...

– მე არა ვზივარ?! ჰო, ვერ ვისვენებ: აღარ მაქვს ძალა; სხვას ვყევარ მონად!

– საშინელს იტყვი! როგორ თუ მონად, ბატონო მეფევ?!

– და ვერ მიმხვდარხარ, რა გევალება?!

– იარაღსხმული დარაჯა ყველგან, საომარ ფეხზედ დაყენებული...

– მაშ როგორ გინდა?! სადაც მეფეა, იგი არის მისი სასახლე; ხელმწიფის ბინა უნდა იყოს ციხედ დაცული!

– მე ესე ვგონებ, რომ...

– და შენა ჰფიქრობ?!

– მომიტევე, ბატონო მეფევ?

– რა ლამაზია!

– ალქს წაუღია შენი გული, მეფევ ბა...

– როგორ თუ ალქაჯს? ხორცშესხმული ძალა ზეცისა! ჩემს გვერდზედ თურმე ბრწყინვალებდა ბედის ვარსკვლავი, მე სად ვეძებდი!

– ბედის ვარსკვლავი, ბატონო მეფ...

– რა შუქურია! ან ის ქალი ემ წამსვე აქა, ან სიცოცხლე ჩალის წონად შემფასებია!

– შენი სიცოცხლე, ხელმწიფეო, ჩალ.....

– მომე მუთაქა! მშვენიერია! დახე ამ ფუნჯებს! იქნებ მის ხელით შეკონილან, მოზომილან მისის თვალ... რა თვალებია! ბნელი ცა თუა ცეცხლ წანაკიდი. აღარ შემიძლავს! ნახევარი სახელმ...

– ჰა, ჰა, ჰა! ნახევარი სახელმწიფო...

– შენა ხარხარებ?!

– როგორ გავბედავ?! ნუ შემრისხავ შენს ფერხთა მტვერსა!

– მყის ის ქალი აქ, თვარა...

– კერის სიწმიდეს თაყვანსა სცემს ამირთამირი და მის შერყევას ვერ...

– და შერყევა მეფისაგან კერის სიწმიდის?! ვეღარ მიცვნიხარ: მეტმა ღვინომ თუ ჩაგიშხო გონების ძალა... რა ტურფა არის! ეხლავ ის ქალი, ან რისხვა ჩემი ცეცხლად მოედოს ყველას, ყველაფ... ალმასხანი ხარ?

– მე გახლავარ, ბატონო მეფევ!

– რა საწყალი ხარ!.. ღმერთო ჩემო, მწყაზარ ღაწვზედ ვარდი გაშ... მიხმე შადიმანს!

20

– ბატონს მეფეს უმდაბლესი ჩემი სალამი!

– დამიჯეგ ახლო, ამზრდელო ჩემო!

– ჰაზრიანი მასპინძელია ჩვენი გიორგი: მსუბუქი ტაბლა, შარბათები, კულით ღვინოი; ჩვენც ესე დაგვხვდა ჩვენს სავანეში. რა ღვინოები! გამდნარი ცეცხლი ტკბილად სასმელი...

– და მისი დაი მზის ნატეხი, ხორცსხმული სხივი!

– მშვენიერია!

– სურვილითა მსურს ერთი წუთით კვლავ ნახვა მისი.

– მეფის სურვილი კანონია კარგის ყმისათვის; მაგრამ გიორგი...

– აი ის თასი! აქ შეეხნენ მარჯნის ბაგენი. მეც აქ ვეწაფე! და როცა ვსვამდი, აღმოჩნდნენ თასზედ: სახე ლომისა, მის წინ მფრინველი რტოთი ნისკარტში. აბა გასინჯე!..

– მოსჩანს ხელი მადლიანი ამ ჩუქურთმაში! უცხო რამ მფრინველს მიუხრია თავი ლომისკენ. კარგი ნიშანი...

– მე ის მერჩივნა, მთლად ლომისკენ მოქცეულიყო.

– ესე სჯობია: წამიერად მიხვრა მისკენ და მერმე... რა მშვენივრად მოახერხე, ბატონო მეფევ, შენს სიახლოვეს მის გაჩერება! დაიწვა ქალი, ეს სასმისი მანამ მოგართვეს.

– და მეც მომიდო ცეცხლი უქრობი. აღარ შემიძლიან! სასმისი, ღვინო, ჩემი ჯიღა, თვით თავი ჩემი არად მიღირან მე უიმისოდ.

– საძნელოა საქმე ჩამაფიქრები...

– ეხლა მჭირდება მკვეთრი ფიქრი ჩემის ვაზირის.

– მოთმინება, მზეჭაბუკო, სიფრთხილე დიდი!

– როგორ ბრძენი ხარ ჩემს ომში შენა! შესაძლო კი სჩანს გზის გაკვლევა, რაიმ წავარნის?

– მოვზომოთ წყნარად: ცდა ბედის მონახევ...

– არაფერი ნახევრობა! უკლებლივ ჩემი! ყოველი მსხვერპლი ჩემის მხრიდანა!

ძლიერ ძნელი იყო მეფის სურვილის აღსრულება: სახიფათო გზატეხილი გადაჰხირიყო. მოსწყურებოდა იგი ქალი ჟინმორეულსა, აღარ დასთმობდა. წმიდა კერის შელახვის ნებას არ მისცემდა მას სააკაძე; ძალა ხელთ ებყრა, ომისთვის თვითონ ზეგარდმოცხებულს მომხრენიც ჰყვანდნენ: ხალხის გრძნობა თუ ჩვეულება, კანონმდებლობა და მის სასწორი. მთელის ლაშქრის სიყვარული ამირისადმი, მოყვარე ნუგზარ და მეგობარნი დიდებულებში.

– არა, იერიშით მასზედ მისვლა არ შეიძლების: ჟამი არ უთხრობს. ისევ ალმასხან: გამოცდილია ამგვარ ამბებში, – იტყოდა შადიმან ჩაფიქრებული.

შეგზავნა მარჯვე ალმასხანი ქალთ სავანეში. უამბო ფლიდმა მეფის ტრფობა, ტანჯვა მისი თუ მიჯნურობა და გაუბედა: ჰხლებოდა ქალი, ერთის წამით კვლავ სჩვენებოდა.

– ქალი ეახლოს ნასვამ ვაჟკაცს მისთვის გონახდილს?!

– ეახლოს მეფეს! განა ბნელ ჰაზრით; რომ დასტკბეს იგი წამიერად მის მხოლოდ მზერით, მასთან საუბრით. მცირე ვახშამი სხვათ დაუსწრობლად მარტო თქვენთანა.

– კმარა! პატივი დასდეთ თქვენს თავს, ჩემს ოჯახს.

– მაშ?

– მხიარულად ბრძანდებოდა ბატონი მეფე, მოწყალებით გარდმოგვხედა თავის მონებსა: ნუ ინებებს ჩვენს დამცირებას, ნუ შეჰკადრებს ბნელსა საქმეს თავისსავე თავს.

– განრისხდება მეფეთ მეფე, მეხის ტეხად მოგვევლინება. აცნობეთ ქალწულს, მიუთხარით მეფის სურვილი!

– ჩემი ქალი დიდს პატივს სცემს რაინდ მეფესა, არ დაიჯერებს, რომ გაივლო მან გულში ცუდი. არც ეკითხება ეს მძიმე საქმე.

– მაინც...

– კმარა! უნდა გაიგოს ჩემმა გიორგიმ.

– რა საჭიროა? მეფის სურვილს უმნიშვნელოს დიდ რამედ ჩასთვლის და... მძიმედ მიმაჩნავს უარი თქვენი... მე გიახლებით!

– მოისვენოს: ჟამი არის დაწყნარდეს სახლი.

21

გაგზავნილს კაცს დაუხვდა წინ თითონ გიორგი: ეცნობებინათ მხლებლის მისვლა ქალთა სადგურში. უამბო დედამ, რა შეჰბედა ბოროტმა კაცმა.

– უკაცური განზრახვაა გალექებულის. ვის გაუგია ცალკე ყოფნა ქალთა ვაჟკაცთან?! – სთქვა გიორგიმ

და წამს ჩაფიქრდა.

– ქალო, აქ იყავ იმ საუბრის დროს?

– დავითხოვე, ვაჟკაცი რომ შემოვიდა სალაპარაკოდ.

– ფარდაგს უკან ვიდექ კარებთან.

– განზრახვა შავი, იქნებ კიდეც ნაკარნახი ბინძურ მტერთაგან. დახვედრა უნდა კარზედ მოსულ უბედურობას.

– რაღა ვქნათ, შვილო? გავიხიზნეთ, ეხლავ წავიდეთ!

– არ შეიძლება! ამ წამს უფრო მძლე სიმაგრე არ მეგულება.

– გაგვეგზავნა ნუგზარისას, ხომ აგვცდებოდა.

– ვინ იფიქრებდა?! წყნარად იყავით. როგორ თრთი, ქალო! ვერ შემოგვბედენ. გამოფხიზლდება, თვით შეინანებს. და თუ გაბედა...

– მიშველე რამე, ძმაო გიორგი!

– ნუ კი ძრწი, ქალო! საუკეთესო რაზმი ჰყავს გოდერძს სახლის მცველად. გარს გვახვევიან ჩვენნი ერთგულნი. მეც...

– გოდერძს, გენაცვა?

– ნურაფრის შიში! ეხლავ შემოვალ.

– ახ ნეტავ დაი არ მყოლებოდა! – წამოსცდა სიტყვა და მყის შეინანა სულმოკლეობა მან წამიერი. გასცა ბრძანება. წუთს მთელი რაზმი შეაყენა საომარ ფეხზედ. ყველა კარი თუ სავალი დაკავებული. მფრინველიც ღამის მის უნებლივ ვერ გადევლოს იმის ეზოზედ! მეფის ჟინის მასრულებელთ მალე შენიშნეს ეს მოძრაობა და გაიკანკნენ. ძნელი იყო იმათი ყოფა: დამამცირებელ მათ მოქმედებას ამოჰყვებოდა უბედობა, ვითა გრიგალი. შადიმანმა შეაქო გულში თავისი მტერი და უფრო მეტად გაბოროტდა უილაჯო სიავკაცითა. რა ვის შეეძლო?! მხოლოდ გულში ჩაიტანეს ჯავრი უშუქო.

გადატყდა ღამე. ქალებს ძრწოლა ასტეხოდათ, ისევ ფხიზლობდნენ; ვერ მიენდნენ შავს ბედს უბედოს, არ მოისვენეს.

– დედი, დედიჯან! ამომიღე ჩემი ხანჯალი.

– ღმერთო, დაგვიხსენ! რად გინდა, შვილო?

– მსურს თანა მქონდეს!

– წმინდა გიორგი მფარველია ჩვენის ოჯახის. ჩვენი გიორგის ფხიანი ხმალი არ მისცემს კერას შესაგინებლად.

შეეძლოთ კი ტკბილი ძილი დაწყნარებული: იმათ მფარველად ფხიზლობდნენ გმირნი: გიორგი, გოდერძ; მზირის თვალით დაჰყურებდნენ მთელ არემარეს და მეტადრე ქალთა სავანეს. გოდორძ ბურდული გიორგისთან აღზრდილ-გაწვრთნილი. მისგან ესწავლა შემართება, ბრძოლის წესები. მოხიბლულიყო გიორგისაგან, ვით თვით გიორგი სვიმონ დიდისგან. გვერდზედ ახლდა ომებში სარდალს მისი შინაყმა. მასპინძლისას რომ სუფევდა დღეს მკაცრი წესი, უნარი და გასჯა იყო იმ ჭაბუკისაც: ალღოთი ეგრძნო, განსაცდელი მოჰვლენოდა მზეთუნახავსა და სდარაჯობდა, არ მწუხავდა ერთ წამსაც თვალსა.

– გოდერძო, შენა?

– მე გახლავარ!

– რომ გაგარინდა, თითქო ქვაო?

– ლუარსაბის სავანიდან რამ ხმა მომესმა, მას ვდარიალობ.

– ხომ სდგას გუშაგი?

– კარგი ვაჟკაცი! მაინც ერთია და...

შესდგა გიორგი, ყური დაუგდო. არრა აჩქამდა. გამოტრიალდა.

– ამირთამირო!

– რა დაგემართა? ხმა გითრთის, თვალნი აგკვესებიან.

– ბნელი მყობადი მესახება ამ შავ ღამეში. შენ ვერა ჰხედავ?

– სთქვი, რა გაწუხებს!

– მეფე და მისნი დიდებულნი ბოროტს იზრახვენ შენს ოჯახისთვის და მაშ შენთვისაც.

– მერე?

– შენს ხელთ არიან ავის მთესველნი. მხოლოდ მიბრძანე!

– ხელშეუხებნი მეფე ცხებული და დიდებულნი სტუმარნი ჩემნი!

– აახ!

ძნელ ყოფაში ჩააყენა მეფის ჟინმა დავალების აღმსრულებელნი: ხელცალიერი დაბრუნება ვერ გაებედნათ; არა ჰხლებოდნენ, ძნელი იყო, შეუძლებელი: მოუთმენლად ელოდდა სიტყვას სურვილგზნებული. შადიმანს თუ დიდებულებს ისც აღონებდათ: შეიძლებოდა მეფის სურვილს მოჰყოლოდა უფრო მეტი ახლოვება ამირთამირის. დაიძლეოდნენ დიდებულნი ამ შემთხვევაში: მეფის უფლება, გიორგის ხმალი დასცემდა იმათ. ვერ გაერკვიათ, რა სიტყვა ემცნოთ მეფისათვის, რომ მცირედ მაინც დამცხრალიყო გაშმაგებული.

ღვინით თუ ვნებით აღვსებული ლუარსაბი იტანჯებოდა. აწყდებოდა მოთმინება ამოწურული, იგვემებოდა. აჰრეოდა აღტყინებულს თვალთა იერი. ცხად ზმანებაში მომწყვდეული ეტყოდა ლანდსა:

– მოდი, გენაცვა! შეუცნობი ღიმი გიქრის ტურფა ბაგეზედ. თვალნი შემკრთალნი, მძლავრ კდემისგან ნამნაბკურებნი. გამჭვირვალე ხორცში მოსჩანს სისხლთა მილები. ჰე ტურფა მაჯა ნაქანდაკები! რად არ გაკოცე, როს მომიბყარ ღვინით ეს თასი?! მო, სატურფალო!..

– როდი მოდიან მოამბენი, გადაიკარგნენ... გასკდება გული! მო, მომეშველე!.. – მაშ თითონ მოვალ!.. ხმა არსით ისმის. მხოლოდ გუშაგნი გაჰყივიან ჟამითი ჟამად... დრო აღარ იძვრის. ამონათდი, ცისკარო დილის, ამომიშუქდი!

მიწვა ლოგინზედ მოშვებული, ჯანმოღებული.

– ლამაზიაო ქალიშვილი დადიანისა. მაკრინეზედ უფრო ლამაზი?! რა სათქმელია! მაგრამ... მე – ხელმწიფე, სააკაძე კი – აზნაური. მითქმიდა გული, თავადობა მეწყალობა მე გიორგისთვის. შემსტაცეს ხელი... ტანჯვით მოგელი, მოციმციმდი, მკურნალო გულის! არა, არ მოდის: როდი ისმის მისი ფეხის ხმა. მე თითონ მოვალ!.. ხელმწიფე ხარ, არ შეგშვენისო... ახ, როგორ ჰშვენის!.. მესმის შრიალი, ნაზი ფეხის დგმა... ჩემი სულის დგმა!.. კარი!.. ეჰ, არვინ არი! მიმზერს უკუნი! – წარსთქვა ღელვილმა და შეუცნობლად თვის ქუდს შეეხო.

– სამეფო ჯიღა... რა მოუხდება სადედოფლო ჯიღა ლამაზსა! ხუჭუჭთ ტევრები. სუნნელება მუქის ქარვისა... მოხვედ, გენაცვა! იგრძენ, კეთილო, რომ მოგელის სული ტანჯული?.. სადედოფლო ჯიღა, გვირგვ... მო, მომეახლე, ახ, რად მომშორ...

22

ძნელად ეძინა ვნებულ ჭაბუკს გვირგვინოსანსა. ვერ დაესვენათ დაწყნარებით ვეღარც მასპინძლებს. როდი იყო დრო მყუდროების: ბოროტება წარმოეშვა ქუფრ ჟამთა დენას და სიავეს შეეკრიბნა ძალთა სიმრავლე.

– დრო აღარ იძვრის; გაგრძელდა ბნელი.

– მოითმინე, საყვარელო, იქნებ ინათოს.

– ყივის მამალი.

– გატყდება ღამე.

– დაიშლება ბოროტება პირმოქუშული.

შეიმაღლა აისმა ფრთები. ამოშუქდა ალიონი. აჰკრა რიჟრაჟმა მნათი ხელი ცის მუქ ფარდებსა. აღმობრწყინდა პირმნათი მზე სათაყვანები. შეჰღაღადა ყოვლმა არსმა სიცოცხლის წყაროს. მცენარემაც მისკენ ჰქმნა პირი, გაუღო გული, გაუღიმა მხიარულად ნათელს მხიარულს. აიშალა სტუმართ რიცხვი სააკაძისას: სახლში, ეზოში. დაესვენათ უდარდელებს, გამოეძინათ; ახალნი ძალნი შეეკრიბათ სიცოცხლისათვის.

პირმხიარულად დაჰხვდა ვაჟკაცთ ამირთამირი. ეხმატკბილა ქალბატონი სტუმარ ბანოვანთ. ვინ შეატყობდა გიორგის თუ ოჯახის წევრებს, რომ გაათიეს ღამე ღელვილი და აწც გულს უფქვავსთ სამარის მღილი?! შადიმანი, დიდდიდებულნი დარცხვენით დაჰხვდნენ პურად მასპინძელს; მაგრამ რა ჰნახეს რიხიანი მისი სახე მოღიმარედა, გაჰკვირდნენ ფრიად: კვალიც როდი ეტყობოდა გარდასულ დრტვინვის, მკვეთრის განცდების.

ეძინა მეფეს. მის სავანეს გარეშამო სრული სიწყნარე. იქითა ჰქონდათ მიქცეული ყური თუ თვალი, რომ საკადრისად შეჰხვედროდნენ მის გაღვიძებას. ფერმკრთალად იწვა მედგრად ნაბრძოლი, თავის თავთან, თვის ვნებასთან ომგარდახდილი. ხელი აეკრა შეუცნობლად საბნისათვისა. ოქროს საკინძი ჩაწყვეტილი, მკერდი ჩახსნილი. შორს გარტყორცნილი მაშიები, მიყრილ სამოსში სატევარი ამოღებული. გაეღიმა ბაგის ქიმით, რა დაჰხედა შემუსვრილობას. გაახსენდა: არ ინება გაეხადნათ, მიეწყოთ წესზედ მის ტალავარი, ჩაეწვინათ, ჯვარის სახე გარდაევლოთ მის სარეცელზედ. იჯდა ლოგინზედ, იგონებდა გუშინდელ ამბებს. უკვირდა თვისი აჩქარება; აღარ მოსწონდა.

– რას ჰგვანებია! ნამსახური კაცის სახლი და ბოროტად მისი შეხება?! იგი ჩემთვის თავდადებული, მამა-პაპასთან ნაღვაწ-ნაშრომი. სვიმონ დიდის ყურადღება სინორჩითვე დაიმსახურა, მისგან ისწავლა რაინდობა, საგმირო ზნენი. მის დიდი ჰაზრიც ანდერძია სვიმონისავე: თუ მეფე ვარ საქართველოსი, მთელი ძალა და განგებაც უნდა მებყრას მე... ეჰ, თვით სვიმონიც რომ ვერ შესწვდა მას, მე როგორ შევძლებ?! ლაშქარი, ხალხი, ხმალი ჩემი თავს შემოგავლო, მეტყვის გიორგი; მაგრამ... საძნელოა იმისი დასკვ... იმისი დაი... რა ლამაზია! სადედოფლოდ გაჩენილი მზეთუნახავი. აღარ შემიძლავს! ჩქარა ვნახო, თვალი მოვავლო, – წარსთქვა ღელვილმა

და გადისროლა რვალის ბირთვი ვერცხლის პინაკში. გაჩნდნენ მასთან მსახურები დაკვართილები. ტაშტი, წყალი, პირსახოცი. ჩააცვ-დახურეს, გამოაწყეს, მორთეს, მოკაზმეს. მარდად იძროდნენ გაწვრთნილები. ხმას აღარ იღებდნენ. მანქანები ხელოვნურად მომართულები. მოეწონა იმათი ქცევა. შეაქო გულში მასპინძელი სარისტიანი:

– ყოვლისფერი უნაკლულოდ მოზომილი, მოაზრებული!

უჩინარ იქმნენ ფარეშები. წარუდგა სტუმარს თითონ გიორგი:

– დილა მშვიდობისა, ბატონო მეფევ! იმედი მაქვს, მოსვენებით გაატარე წუხელის ღამე.

მეფემ კმაყოფილება გამოუცხადა; იკითხა დროის მდგომარეობა; მახლობლებთან ბრძანა საუზმე.

– დიდი ზეიმი აღარ არის უკვე საჭირო: იღლება კაცი; უფრო ვიამებთ, განცალკებით გავატაროთ დღევანდელი დღე.

– ასრულდების ნება შენი, ბატონო მეფევ!

საუბრის დროს სტუმარ-მასპინძელი იდუმალ ათვალიერებდნენ ერთმანეთს. გიორგის ეგონა, მეფე რასმე ბრძანებდა თავის ნაჭარბ მღელვარებაზედ და მის გამო შერყევაზედ გონთმყოფობის კეთილ სამზღვრების. მზად იყო იგი, შესაფერი პასუხი ეგო. სდუმდა ლუარსაბ: მთლად თუ დასცილდა თვის ძნელი ჟინი, სიტყვა თუ ქცევა.

– იქნებ არც კი განუზრახავს რაიმე ავი და მტრებმა თითონ მოისურვეს ჩემის სახელის ზღაპრად დადება. ეშმაკის კერძნი, ჯოჯოხეთით წარმოგზავნილნი!

მეფეს ეგონა, მასპინძელი მოახსენებდა სამანდილოსნო გალიაკში მის კაცის მისვლას და შეჰკადრებდა: რათ განწირა მან თვის ერთგული და რომ გიორგი არრას

იტყოდა, იფიქრა მეფემ, წარგზავნილთ თუ ვერ შეჰბედესო. გაეხარდა მას მათი მარცხი. არ კი დასტოვა თვისი ჟინი; ვერც დასცხრებოდა: ჰბრძოდა სხეული. ის გაეხარდა: მღვრიე ნდომა მთვრალის ღამისა ვერ გაეგოთ ტურფა ასულს, მის ჭირისუფალთ.

ამ მცდარმა ფიქრმა კარგ გუნებაზედ დააყენა მზეჭაბუკი და მასპინძლის თანხლებით მხიარულად გამობრძანდა იგი დარბაზში. ელოდნენ მას კარის კაცნი, სხვა სტუმრებიცა. საქმის მიმოხვრამ განაცვიფრა ყველა ისინი, ვინც იცოდა წუხანდელი ღამის შფოთი, ღელვა თუ ფურტკვნა, გამოცდილი შადიმანი ძლიერ ცდილობდა, განეჭვრიტა მზირის თვალით მის ვნებათა გზა; ვერაფერს მიჰხვდა. ვერც მიაკვლევდა: ჯერ როდი იყო წავარნა იგი მკვეთრად დაქნილი. მცირეოდნად მაინც დამშვიდდა: ნასვამ ვაჟკაცს დაავიწყდა ჟინიანი სურვილებიო. გიორგის და მის ოჯახის დამცირება გაახარებდა, მაგრამ ბოროტში მასცა ედვა მცირე რამ წილი და საშიში იყო ამხედრება მთავარსარდლისა: ჯერ ვერა ჰქონდა მოხაზული ბრძოლის ფარგალი.

– ნუთუ მართლა დაავიწყდა ძლიერი ნდომა? მე რომ მას ვიცნობ... თვალხმიერად, შადიმან ჩემო: სავაზირო გაგჩენია ძნელშესამართი, ჰაზრის ხმალით გასაკვეთი, გადასაჭრელი; აბა თუ ჰნახავ რაიმ სავალს, გარშემოსავალს!

23

ძნელ დილას მოელოდდა სააკაძის ოჯახი, მეფის რისხვის, თვის გაწბილების მომტან ბნელ დილას და გაეხარდათ, რომ არ შესძღვნა ახალმა დღემ იმათ ბოროტი. გამხიარულდნენ, დატკბნენ ყველანი. უალერსებდნენ თვის ფიქრში, თქმაში დიდებულ სტუმარს. ნასვამ კაცის ბორგვნილ სწრაფვად დაადასტურეს ღამის ამბები, მთვრალის ბოდვადა. მეტადრე წრფელად უხაროდა თითონ მაკრინეს.

– როდი მოვსტყუვდი ჭაბუკ რაინდში: არ შეიძლება სულმდაბლობა გაეკაროს მას! მოვეწონე, არ დამალა თავისი აზრი, აღიარა თვისი გრძნობა წრფელმა საჯაროდ. თვის გალიაკში ალერსით თუ მოიგონა ჩემი სახელი და ბოროტებმა...

მის ძნელ ყოფაში იმედიანი იგი დასკვნა თუ მოსჩანდა უფრო სანატრად.

სეფაში ისევ დიდი სადილი გაიმართა უფრო მხიარული: თავისუფლადა გრძნობდნენ თავს სტუმრები, მთელის არსებით ეძლეოდნენ სიამოვნებას. მეფის გარშამო დიდდიდებულნი და მასპინძლის ოჯახობა, მის მახლობელნი. უფრო თუ დამშვენებულიყო მზეთუნახავი. თვისი კვალი დაემჩნიათ შიშს და ღელვასა: მეტი სიფრთხილე, უფრო დიდი დაკვირვება; შეუცნობი მეტყველება მორევ თვალების; აელვარებდა იმის სახეს ფიქრის ციაგი. მეფე სუფთად იქცეოდა! დინჯად, მოზომვით: თვალს ადევნებდა მზეჭაბუკი თვისსა გულისთქმას. გუშინდელი აღტკინება არ დამცხრალიყო, მეტი ძალაც შეემოსნა, ფესვი გაედგა და მის გულში ხანგრძლივ ხანძრად გარდაქმნილიყო, მეტს მოკრძალებას მოითხოვდა ქალწულისადმი.

– სადედოფლოა! დაჰშვენდება სახელმწიფო მორთულობა, ტახტი მკობილი. ვინ შეედრება?! ვაჰ, რომ უბრალო კაცის შვილია! ხომ ჩემს ხელთ არის განდიდება ამის გვარისა, ღირსიც არის ამირთამირი: მისი ნიჭი თუ ქველობა, ტახტისადმი მის სამსახური...

სამაგალითო იყო გიორგი თავის სტუმართ პატივცემაში; ის უხდებოდა: მის ზრდილ ქცევას სიამაყის შუქი დასთრთოდა. დღეს სამ წყობად ნადიმობდნენ იმის სტუმრები; დარბაზში, სეფას და მდაბიონი ისევ ეზოში. ყველგან იყო მასპინძელი, არვის აკლებდა პატივცემას, თვის ყურადღებას.

– ჩვენო გიორგი! ეს შენი ღვინო შენ მკლავივით ძალიანია: შენი მარჯვენა ბრძოლის ველზედ მუხლსა სჭრის მტერსა, აქ ეს ზედაშე ჩვენ გვაბარბაცებს; მინდა ერთი მხარზედ გემთხვიო!

– ჩემო ნინიავ! ბრძოლაში ნაცადი მყევხარ და მიხარიან, რომ მხარს მისწორებ იქ მტერთ ჩეხაში, აქ კი შენ მჯობნი ღვინოსთან ომში; მომსურვილდა გადაგეხვიო!

– შენი კვნესა მე!

– თქვენ სადღეგრძელოსა ვსვამ, ჩემო ერთგულნო! ნინიას ვკოცნი, თქვენ ყველას გკოცნით!

– გაუმარჯოს ჩვენს დიდ მოურავს!

– ნუ მოუშალოს შენი თავი მფარველად ხალხსა!

– გაუმარჯოს ჩვენს კარგ მასპინძელს! აქათ მოდი, სუფრის თავში, დაგინახოთ მეფის ტახტთანა!

– ცალიერია მეფის ტახტი: არ ინება გამობრძანება!

– დაჯექ! გიორგი! დაამშვენე ჩვენი ზეიმი.

– მეფეთ მეფემ შამოგითვალათ: არ დაჩრდილოთ სიამოვნება, ფიქრის ძალით თქვენთანა ვარ ყოველ ჟამსაო...

დარბაზში დაბრუნებულ გიორგის ის უკვირდა, რომ მეფე დღეს მეტად დარბაისლურად იქცეოდა. უმეტესის პატივისცემით ებყრობოდა დიდ დიასახლისას, დედაც კი უწოდა მას რამდენჯერმე. ქალს ისე გაბმით, დაშტერებით აღარ უმზერდა, თუმცა დღესაც მუშტრის თვალით სინჯავდა მასა. მეტი ჩაფიქრება ეტყობოდა. სადილის ბოლოს ისევ ისე თავდაჭერილი იყო, თითქო ძლიერი ღვინო ვეღარ მოქმედებსო მასზედ. ამ გარემოებამ დიდ საგონებელში ჩააგდო შადიმანი და სხვა დიდებულნიც, რომელთ იცოდნენ ლუარსაბის გუშინდელი ვნებათა ფურტკვნა. ჰბაძავდნენ მეფეს: თითონაც მეტ დარბაისლობას იჩენდნენ ქცევაში თუ სიტყვა-პასუხში; მაინც ძლიერი ზრუნვა აჩნდა მათ სახეს: ცდილობდნენ განეჭვრიტათ მეფის გულისთქმა, რომ შესაფერად მიემართათ სიტყვა თვისი თუ მოქმედება. დასრულდა სადილი. გაბრძანდა მეფე მოსასვენებლად. აღტაცებულნი იყვნენ მისგან დიასახლისა, თვითონ მაკრინე.

ისე განქარდა წუხანდელი ჩვენი ძრწოლა და ავის გრძნობა, ვით ღამის ბნელი მზის სხივთ წინაშე. ვენაცვალე მე ჩემს წილს ღმერთსა: არ გაგვწირა, არ მოგვცა მტრად მეფე მფარველი, – იტყოდა დიდი დიასახლისი.

გიორგი ვერ იზიარებდა ვარდისფერ ჰაზრებს თავის ოჯახის. დაცული იყო გარეგანი სახე კეთილის, ეს ახარებდა კერისათვის თავდადებულ გმირს. მაგრამ მისი გამოცდილება და გამჭრიახი ჰაზრი გამჭვრეტი დიდს სიფრთხილეს უკარნახებდნენ: დარწმუნდა იგი: წუხანდელი შავი აჩრდილი როდი იყო ლანდი უბრალო, ხელშესახებ განზრახვას ახლდა, მკვეთრ სინამდვილეს. საჭირო იყო გამოკვლევა, ნათელ არეზედ გამოფენა ამ ძნელი საქმის, რომ ულოდნელად არ შეჰშლიყო ცხოვრების გეზი. გაიცალკევა მოურავმა მათე მროველი, გაანდო თვისი საიდუმლო, სთხოვა, ენება შუამდგომლად მისვლა მეფესთან. ფიქრნაჩვევმა მეგობარმა ჰაზრიანად სცნო მასპინძლის სიტყვა. თითონც იცოდა ლუარსაბის ჟინიანი ზნე; ამ თვის სასურველს ის ვერ დასთმობდა, მისი დუმილი იყო ყუჩილი ქარიშხალის წინ. დაეთანხმა, შეებედნა დაბარებული.

– დიდად გმადლობ, ხელმწიფეო: არ გამირისხდი უდროვოდ შენის შეწუხებისთვის.

– გაგჩენია საქმე რაიმ ფრიად საძნელო.

– დიდი დარდი დასწოლია ჩვენს მასპინძელსა და...

– შენზედ ვფიქრობდი; მინდოდა შენი მოყვანება მებრძანებინა.

– განგების ხელი უხილავი, ხელმწიფევ ჩვენო!

– დარდი მძიმე ამირთამირსა?!

– შენი სახელით შენნი კაცნი მიჰსვლიან წუხელ და...

უამბო მეფეს მთელი ღელვა გასულ ღამისა, შემძიმება ოჯახისა, მაკრინეს ძრწოლა და გადასცა გიორგის სიტყვა:

– ნუ ინებებ, ხელმწიფეო, ჩემის კერის დამდაბლებასა: ხმლით სახელი დავიმსახურე; თავს შემოევლოს ჩემი მკლავი კვლავც შენს დიდებას. ნუ შეურაცხჰყოფ სახელს ჩემის დის მდაბალ სურვილით.

დაფიქრებით მოისმინა დაბარებული და როდი გაწყრა: არც კი აღელდა. წუხანდელ ღამეს იგიც მძაფრად ეწამებინა. სიღრმეში თუ ჩაახედა თავის გულისა, შეაძლებინა თვისის სწრაფვის დასკვნა უცილო.

– ქალების ძრწოლა. მძიმე დარდი მასპინძელისა. მესმის! ვით შეურიგდეს ვაჟიკაცი თვის ოჯახის დამცირებასა?! მაგრამ...

– ხელმწიფევ ჩვენო! ნუ ინებებ...

– მაგრამ მე ხომ არც მქონია მაგნაირი განზრახვა ძნელი; ძვირფას ქალის შემმწიკვლელი ჰაზრი უფერი.

– თვით მზის შვილი ხარ კეთილ...

– დათმობით კი ვერ დავთმობ იმას!

– მუხლმოდრეკით გევედრები, ცხებულო ღვთისა!

– ვერ შეველევი! უცვლელი სიტყვა მეფეთ მეფისა: სააკაძეს დაი მაკრინე დედოფალია საქართველოსი, ღვთივ მოცემული მეუღლე ჩემი!

– გიორგის დაი დედოფალი საქართველოსი?!

– მსწრაფლ ქორწინება, სულ მცირე ხანში! – ბრძანა მეფემ აღელვებულმა

და ანიშნა დასრულება მასთან სიტყვისა. განცვიფრებულმა შუაკაცმა მდაბლად დახარა მეფის წინ თავი და განეშორა. გიორგიმ რომ მოისმინა მეფის სურვილი, შეწუხდა ფრიად. იცოდა, მეფე ეწეოდა თავის ნდომასა, ხოლო კავშირი კეთილს ვერას გამოიღებდა: დიდებულნი ბოროტ შურით აივსებოდნენ, იუარებდნენ; თუ იძულებულ იქნებოდნენ დაეთმოთ მისთვის, სისხლს აიღებდნენ: ან დაშლიდნენ შეუღლებას თუნდ ძალადობით, ან მოაშთობდნენ მათთვის უნდომ ახალ დედოფალს. დაფარული მათი მტრობა განცხადდებოდა და ასტყდებოდა ძმათა შორის ბრძოლა ბოროტი.

– ეს არაფერი, თუ ხელმწიფის მქონდეს იმედი, მაგრამ ვერ შესძლებს ამ ბრძოლაში შემრჩეს ბოლომდინ: ვერ შეითვისა ჩემის ჰაზრის სიღრმე-სიგანე, თვისისვე პაპის ზრახვა მაღალი: უნდა მოისპოს, ვინც ტახტის წინ ქედს აღარ იხრის! ვახ, სვიმონის დროს მცირე ვიყავ, გამოუცდელი, ხოლო მის შემდეგ იმის მზგავსებს აღარ ვახლავარ. მაინც ბრძოლა შეუდრკომი ამ ჰაზრისათვის!

– მედგარი ბრძოლა განწირული, გადამკვეთელი!

– რა ლამაზია შემართება, რომ ელავს ხმალი! მაგრამ როს ენა გესლიანი გველის ხლართებს სწნავს... არა! წავალ შევეცდები, შევევედრები, დასთმოს თვის ნდომა! სწორედ ესე უნდა მოხდეს, ესე დასრულდეს! – წარსთქვა გიორგიმ

და შეაღო კარი მეფესთან.

– დამიჯეგ გვერდზედ!

– გმადლობ, მეფევო!

– გითხრა მროველმა ჩემი დასკვნა შეურყეველი?

– მამცნო, გავიგე; დიდად შევმძიმ...

– უკეთეს საქმროს მოელოდდი შენის დისათვის? – უბრძანა მეფემ და ღიმი ააჩნდა თვალთ კილოებში.

– დიდბრწყინვალეა შვილი მზისა, დაგვწვამს თვალებსა.

– შენი დაიც მზეთამზე არის; გულს ჩამდგომია მისი სახე, უთმენად მბუგავს.

– არა, ბატონო: ვინ ჩემი დაი, მხევალი შენი, სად დედოფალი საქართველოსი?!

გვეყოფა სიტყვა! აწ შენ ისევ მასპინძელი და მე სტუმარი; ძლიერ მალე თავისიანი.

– მეფეო, მეფევ! დიდებულნი აზავთებულან, რომ მწყალობელი ბრძანდები ჩემი; რა გაიგებენ შენს მკვეთრსა ნებას, განრისხდებიან, სასიკვდინოდ დაგვადგებიან, მეც, ჩემს ოჯახსაც.

– მაინცა სძულხართ დიდდიდებულებს; მეტს რაღას იზამენ?

– გადაჰკვეთავენ სიმს თქვენის ტრფობის, დაჰშლიან ქორწილს; არ დაგვინდობენ თილისმისად, საწამლავისად.

– მუნ შეეშინა შიში, სადა იგი არა...

– შიში არ ვიცი! მაგრამ...

– კმარა! მისმინე: შენი ხმალი გუშაგია სამეფო ტახტის; მთელ საქართველოს მეუფის საყდრის...

– როგორც ყოველთვის...

– და მის მეუღლის, საქართველოს დედოფლის მზე მაკრინესი!

– აზნაურის ქალი მაკრ...

– თავადის ქალი დიდებულისა! – შეიმაღლა ხმა და ანიშნა დაყუჩება, სიტყვის შეწყვეტა.

25

დიდად დაფიქრებული გამოვიდა გიორგი. ცხადი იყო: ლუარსაბი თავის სიტყვას არ უარჰყოფდა; დიდკაცობა არ. მიიღებდა ამ მოყვრობასა, ვერ შეურიგდებოდა მეფის სურვილსა. ბრძოლა უცილოდ! არ დაინდობდნენ ერთმანეთსა, ვერ დაზოგავდნენ ვერარა ღონეს.

– მტრის ლაშქრის წინ უნდა ვიდგე დარაზმულისა, რომ მსწრაფლ გავკვლიო ბრძოლის სავალი: გონების სარკე წინად მაწვდის ჯართ მოძრაობას; ხოლო აქ... ტახტის გარშამო გაბმულ ქსელებში უმწეო ვსჩანვარ. აქ შადიმანი, ჯავახიშვილი, თუმცა ღაზნელი ზაქარია მჯობნი არიან... ვამცნო სახლობას; ვკითხო ჩემს დასა, აწ დედოფალსა.

გაემართა მანდილოსანთ სავანისაკენ. მოლოდინით ფერნაცვალნი დახვდნენ ქალები. თრთოდა მაკრინე: ცხროება თუ შესდგომოდა ბედის ანაწერს. გიორგი უფრო ჩათხრობილი, სინამ ღელვილი. ჩამოჯდა ტახტზედ; გადიწია შუბლიდან ქუდი; ხელმანდილი გადაისვა ნაღარ სახეზედ; გადაავლო თვალი თავისებს.

– ვერასფერს გავხდი! ვუმტკიცებდი, ვემუდარე; არ შეისმინა.

– უი, დამქოლეთ! მაშ ჩემი ქალი...

– მოხიბლულია ახალგაზრდა მაკრინეს ეშხით. ჩემი ბედი იგი არის, სხვა დედოფალს ვერ მოვიხდენ ჩემს გვერდითაო.

– დედოფალს, შვილო?!

– ძლიერა ჩქარობს ჯვარის დაწერას. რას იტყვი, ქალო? ეს საკითხი შენ გეხება პირველ ყოვლისა. თუ გული გიშლის, შენს დაფარვას შესძლებს შენი ძმა.

ფერნაკრთობი ქალი მთრთოლარე ალეწა ალმა; ცეცხლს ეზიარა მის თვალთა ხედვა; ენა აეკრა განხმელ სასაზედ. რა უნდა ეთქვა?! მისი გული ჯერ არ იყო დატყვევებული. ჟამი უთხრობდა, მაგრამ... მეომართა ბანაკს ჰგვანდა მისის ძმის სახლი. რჩეულ-რჩეული ვაჟკაცები რომ მოდიოდნენ, ომზედ უბნობდნენ; გამარჯვებას ოცნებობდნენ გატაცებულნი. მათი სანატრი ბეგთარი თუ აბგარ-აბჯარი, სინამ ქალთამზე, ქვეყნის დაცვისკენ, სახელისკენ უფრო მიხრილნი, სინამ კერის მოწყობისაკენ. შეუმჩნევლად არ რჩებოდა ქალის სახე შუქმომფინარი, მაინც ჯიქად განიტყოდნენ ომის ტრფალნი: ჩემი საქმე ჭაბუკობა, არა ქალთა არშიყობა! იმას სცილობდნენ, დაემონათ სიყვარულის საკაცობო მისწრაფებისთვის. შუქურ მნათობის დაჩემება ბევრს ჰქონდა გულში, მაგრამ ის ჰსურდათ, ჭაბუკობით მოეხიბლათ თითონ მაკრინე, თან მოეპოვნათ თანაგრძნობა ამირთამირის. და მათ შორის გოდერძ ბურდული. ჯერ ისევ ნორჩი, სპასალარის მარჯვენა ხელი. ზეიმის ჟამს რჩეულ მცველებს ის წინამძღვრობდა. ცეცხლის თვალი აადევნა მზეთუნახავსა, როს ეახლა იგი მეფეს მისის ბრძანებით. მთავაცნება მიმოებნა აღელვებულსა. მაინც კი შესძლო თავის თავის მკაცრად შებოჭვა; მოაგონდა მწვრთნელის მცნება ბრძოლის წესზედა; არც ერთის წუთით თვალთ აცდენა. საომრისათვის! და იგი იმ დროს მხოლოდ გუშაგი... იყუჩე, გულო, აფეთქებულო!

– ვინ აზნაური სააკაძე, სად მეფე სიძედ?!

– მოვახსენე, დედაჩემო, მე მას ეგ სიტყვა. ესე მიბრძანა: დიდებული თავადი ხარ დღეის იქითო.

გასწორდა წელში ამ კარგ თქმაზე გიორგის ცოლი, ქალიშვილი ნუგზარისა პატივმოყვარე.

– რას იტყვი. დაო საყვარელო, მის საპასუხოდ?

სდუმდა მაკრინე. გონების თვალთ წინა აჰსახოდა ჭაბუკი გოდერძ, გარნა მკრთალადა. ალღო ამცნობდა, რა მურაზით ევლებოდა იგი მის სახეს. არც თითონ იყო გულგრილად მასზედ. ეხლა... ჯერეთ არ დაჟამებულიყო კეთილით სავსე იგი ნაყოფი; ეხლა... თვით პორფიროსანს მიუბყრავს მისკენ თვალი ტრფიალი.

– თუ უებრო რაინდია მიჯნურობისა, რომ დაჰხარა თვის გვირგვინი წინაშე ჩემსა?! – გაიფიქრა ქალმა და შეარხია დაფენილი ტევრი წამწამთა, უნდოდა ეთქვა, ვერ გაფურჩქნა სიტყვათა ბუდკო.

– ემჯობინება, ერთი კიდევ ჩაუკვირდეს მეფე თავის გულს, – წარსთქვა დედამ.

– ვერაფერს იტყვი, დაო ჩემო? ან კი რა ითქმის ამ საკვირველ ამბის ტრიალში?! ძლიერ ვეცდები, ჰაზრიანად მოგვარდეს ყველა.

– კვლავ მივუგზავნოთ, – დასძინა დედამ.

– შესაძლო არის! ახლა კი... მეფე მხოლოდ სტუმარი ჩვენი. არ დავიმჩნიოთ. მითომ ჩვენში არრა მომხდარა: ესე ინება...

ესეც იქცეოდნენ გიორგი და მისიანები, პირმღიმარი მასპინძლობა განეგრძობოდა. მახლობელნი ბატონი მეფის, ვინც იცოდა ქალისადმი მის აღტკინება, განეცვიფრა ზეიმობის ურყეველ დენას, სხვები... მათ არ იცოდნენ, რა საშიშრობა დატრიალდა მასპინძლის კერას და გულუბრყვილოდ მხიარულობდნენ. მხოლოდ ხელმწიფის საბოლოვო გამოთხოვებამ ყურადღება მიაქცია სტუმრეულობის, იმისმა სიტყვამ.

ემზადებოდა წასასვლელად ბატონი მეფე. სიამით იყო: მოხდენილმა მასპინძლობამ გაუღო გული; ნათლის სვეტად ჩაესახა ტურფა ქალწული. მიბრძანდება დიდი სტუმარი. მოშორებით ცხენები ჰყავთ დარახტულები. გამობრძანდა სავანიდან. გამოეფინნენ. ეთხოვებოდნენ. მაკრინე რომ მიუახლოვდა და დახარა მდაბლად თავი საამბორებლად, მზეჭაბუკმა აარიდა თვისი მარჯვენა; თვით დაიხარა, შეახო ბაგე ქალის მანდილსა. ალერსის შუქქვეშ აღაღანდა სამოთხის ვარდი. ბევრმა დაჰნატრა იმ წუთში მზიას. უფრო უმეტესთ აეძრათ შური. ქუფრ ღრუბლებად მოეფინათ ზავთის გესლი დიდდიდებულებს.

– მეფეო, მეფევ! საკართანო! დალოცე ფუძე! – მოახსენა გიორგიმ

და თვით მიართვა სასმისით ღვინო.

– წმინდა გიორგი კარისა გფარველობდესთ შენ, შენსა ოჯახს, შენსა სახლ-კარსა, ჩვენო კარგო მასპინძელო ამირთამირო! – უბრძანა მეფემ და გამოცალა.

– ამინი იყოს!

– გწყალობდესთ ხატი!

– ტკბილს მასპინძელს მშვიდობით ყოფნა!

– ესე მტერი დაგეცალოს, ჩვენო გიორგი!

დაიძრა მეფე ნელის ნაბიჯით. აჰყვა ამალა. აგუგუნდა მომღერალთ გუნდი: ქებას გალობდნენ მზეჭაბუკისას. მოართვეს რაში. შებძანდა. შესხდნენ. გასცდნენ ჭისკარსა. შეჭურვილი რაზმი აჰყვა მიმავალთ გზაზედ. გვერდზედ ახლდა ბატონ მეფეს სარდალთ-სარდალი. ფრთხილად იყო, თვალხმიერადა: ისე უნდა გადაევლოთ მისი მამული, მწყობრი დენა სიამისა არ რყეულიყო. თვალს ადევნებდნენ დიდებულნი აღბორგებულნი.

– მომასწავი ამბებია არასახუმრო! არა, შადიმან, გაისარჯე, თუ შეგწევს გონი, – ეტყოდა თავსა.

– ხომ შენიშნე ყოველივე, ბატონო ჩემო?

– ჰაი, ჰაი რომ შევამჩნიე.

– მსწრაფლი საზრუნვი.

– დაიწყო ბრძოლა!

– ვინც ჩვენი არის, განსაცდელში ჩვენთან იქმნება.

– ვამცნოთ მომხრეებს!

მეფის მოქცევამ გულს ლახვარი გაუტარა გატანჯულ გოდერძს: გაფითრდა, დაკარგა თვალნი; დაიძაგრა; შესძრა ქარქაშში ბასრი მახვილი. ვინ იცოდა, რას ჩამორეკდა წითელი წუთი გონახდილი ვაჟკაცის ხელით, თუ არ ენახა ყოვლის მხედველს გიორგის ესა. თვალთ ისარი გაუტარა ელვისებური. დაუშვა მკლავი; შეტორტმანდა, ვით ნაღვინევი: სულთამხუთავი თუ შეეხო ჯერეთ ჯანსაღსა.

ზრუნვამ მოიცვა გიორგი და მისი სახლობა, საგონებელმა. მეფე სიტყვას არ გასტეხდა, ვერ ჩააქრობდა თვის მისწრაფებას. შიშით შეჰმზერდნენ მათზედ მოსულ ბედნიერებას: მოჰქონდა იმას აჩრდილი ბნელი, დიდებულთ შური უძინებელი, ცხად მოქმედებად აეგზნებოდა იმათი მტრობა წინააღმდეგ ამირთამირის, მის მომხრეების, თითონ მეფისა. ირყეოდა მათ გავლენის მაგარი ზღუდე: შემდგარიყო მზეჭაბუკი ახალ სავალზედ, მათ წინააღმდეგ მიმავალ გზაზედ. თუ მეფე არ შედრკებოდა არჩეულ სვლაში, ეწეოდა დიდბრწყინვალე ხვედრს, რომლის ძიებას შესწირეს თავი

მის წინაპრებმა: დასჭირდებოდათ დიდებულებს მიწამდინ დახრა შეერთებულ საქართველოს მეფის წინაშე.

– თუ შესძლებდეს ლუარსაბი განუყოფელ საქართველოს გვირგვინის ტვირთვას, ამ ხმლით შევკრებდი მის დაბნეულ ტურფა ნაწილებს! მაგრამ თუ შედრკა ძნელ სავალზედ დიდებულთ შიშით, მათ ხვანჯიან ბადეებით გარშემორტყმული, დაგვღუპავს ჩვენცა და თავსაც თვისსა... ვერა, ვერ შესძლებს! სად აქვს უნარი?!

რაღა შეეძლო ეხლა გიორგის? არ დაჰყვებოდა მეფის სურვილსა, უნდა მაშინ შეჰბრძოლებოდა, ან გასულიყო ოჯახობით სახელმწიფოდან. სად წავიდოდა? ნუგზარისას, მიუვალ მთებში? არა! ჩაკეტილ კლდეში მისი ყოფნა, მოძრავ ძალისა?! შესაძლოც იყო მეფის მტრობას დაეღუპნა ისიც, ნუგზარიც. პირი უნდა მიებრუნა ირანისკენ. ჩრდილოეთით ვერ წავიდოდა: მყინვართ ვეშაპი ქვად აქცევდა თეთრი თვალებით. მაინც ერთხელ კიდევ სცადა თავის საცდელი.

– დომენტი ჩემო, ბრძენი კაცი ხარ; შენთვის ძნელია ყოველივე ბოროტება ოჯახში, ხალხში. მეფის განზრახვა უსათუოდ ცოდვას მოგვივლენს.

– რა შემიძლიან?!

– შემავედრე ბატონ მეფეს, მიმსახუროს წინანდებურად; თავს დავსდებ მისთვის; ამაცილოს განსაცდელი, თვითც აიცილოს.

– ვინ მწიგნობარი, სოფლის გაღმა გაბიჯებული, სად ქორწინების შესახებ სიტყვა?!

– დიდს პატივსა გცემს, შენს ჭკვიან სიტყვას უფრო შეისმენს. თუ არ დაგვთანხმდა, საფიცარი ჩამოართვი, რომ არ გაგვწირავს.

– საფიცარი?! მეფის სიტყვა...

– ნუ მეტყვი უარს!

მიდიოდა სასახლეში ავალიშვილი, თუმც ვერ გაეგო, რად ეგონა სააკაძეს, რომ საფიცრით შებოჭავდა მეფის ნებასა.

– ბატონს ხელმწიფეს უმდაბლესი სალამი ჩემი!

– დომენტი შენა? ძლიერ მიამა. წიგნთა შესახებ საზრუნველი მოგიყვანდა ჩემ სასახლეში. აგისრულებ ამგვარ სათხოვარს.

– არა, მეფეო! – სთქვა დარცხვენილმა

და გადასცა დაბარებული.

– მეცნიერმა არ თუ იცი მიჯნურობის ძალა უძლევი?

– წამიკითხავს; არ განმიცდია.

– ხომ გიამება, ქართველთ მეფეს დედოფლად რომ ეჯდეს ტახტზედ ღვთის შვილი ტურფა?

– ჰაი, ჰაი გამეხარდება.

– ვინ შეედრება სიმშვენივრით ჩემს მაკრინესა?!

მოახსენა გულუბრყვილომ სათქმელი წრფელი:

– ჭეშმარიტს იტყვი! სულიერადაც ძვირფასია იგი ქალწული.

– მომესმა სიტყვა მართალის კაცის!

– მაგრამ მეფეო!.. საფიცარი გვიბოძოსო, რომ არ გაგვწირავს.

– საფიცარი?! მე, მეფეთ მეფემ, სიტყვა ვუთხარ და... კარგი! გადაეცი ქუმსიაშვილს ჩემი ბრძანება: შეამზადოს საფიცარი, როგორც წესია.

– ბატონო მეფევ! შენის ტახტისთვის უკეთესი შეიქმნებოდა, თუ დედოფლად მოგენება ხელმწიფის ქალი, რომელიმე ქვეყნის მფლობელის: ძალს შეგვმატებდა ეს გარედგან, არც დაჰბადებდა შინ რამე დრტვინვას. დიდებულნი მეტად ჰღელავენ.

ჩაუბნელდა ლუარსაბს სახე.

– ეჰ, უნდა ჰქონდეს ქვეყნის მბყრობელს იმის უფლებაც, რომ აირჩიოს თვის მეუღლედ თუნდაც მხევალი, თუ გული უთხრობს, – წარსთქვა შადიმანმა

და მორჩილებით ჩაჰკიდა თავი.

– ვერ დასთმობენ დიდებულნი ამისთანა ამაღლებას სააკაძისას! მისი გვარი ესისხლ-ხორცოს ბაგრატიონთ გვარს, საქართველოს მფლობთ ძარღვებში შიოშას სისხლი?! – სთქვა მეტად წყენით მუხრანბატონმა.

აეხატა მეფის სახეს უთმინობის ნაოჭთა ქსელი; ათამაშდა მის თვალებში ცეცხლი დამწველი.

– იმ ქალის წინ დამდაბლება ჩვენ ქალ-რძალისა: მის მხლებელნი გახდებიან, შიმუნვარები, უნდა ემთხვ...

უფრო მეტს იტყოდა ლარგვეთელი: მეტად სწყინდა მას ეს ამბავი, მაგრამ...

შეინძრა მეფე, დაილეწა ბოღმის ქარით იმისი სახე.

– ღვთის ნება არის: ზეცას განაგებს მამა უფალი, ხალხის ცხოვრებას მეფე ცხებული; იყავნ მის ნება! – წარსთქვა დროზედ ქაიხოსრო ჯავახიშვილმა.

– ღირსი არის დედოფლობის: მნათობთ მნათია! – დაათავა სიტყვა ღაზნელმა.

– დედოფლად მისი მოყვანება ღვთის ნება არის, ჩემიც ნებაა! – წარმოსთქვა მეფემ

და წამოდგა განძვინებული. სასახლიდან რომ გამოვიდნენ, მუხრანბატონმა გაკვირვებით შეხედა ქაიხოსროს და ზაქარიას. მეღვინეთუხუცესმა მოახსენა შეთქმულთა კრებულს:

– რაკი საჯაროდ არ მოეწყო ეს ჯვარის წერა, სასახლეშიც შეიძლება მის აღსრულება.

– არც შეშვენის ქორწილის ხმა ბერთა სავანეს, – სთქვა აღსართან მაღალაშვილმა.

– კანონიც ჰკრძალავს მონასტერში ჯვარის დაწერას, – დასძინა ფარნაოზ ფავლენიშვილმა.

– მაშ?

– დავახვედრებთ გზაში კაცებს, გამოვაბრუნებთ დედოფალს აქეთ. შეგვემთხვევა მეფეც გზაშია და... აღსართანი შეასრულებს ჩვენს დავალებას.

– რად არ ვიცოდით თქვენი განზრახვა, რომ მეფის წინ აღარ გვეთქვა სიტყვა ნაჭარბი?

– გვეგონა მეფე შეიგნობდა და დაგვითმობდა...

წარგზავნილმა მოუტანა მეფის პასუხი, მის საფიცარი. შეახო ბაგე გიორგიმ რაყამს. მიჰმართა დასა:

– საქართველოს დედოფალო, დაო მაკრინე! აღსრულდა შენზედ განგების ნება. ჩემი ხმალი სამსახურად თქვენის ტახტისა!

მიულოცეს სხვებმა დიდება. ციხე-დარბაზში, მთელს სოფელში გავარდა სიტყვა; მოედო არეს. დაიწყო დენა მიმლოცველმა, ზღვენთა მიმტანმა. მდაბიო ხალხს უხაროდა, სამეფო ტახტზედ ჩვენც მფარველი აღმოგვიჩნდაო. მოძრაობა, მოქმედება გიორგის სახლში: ქალს ათხოვებდნენ, დედოფლად სვამდნენ, დიდ დედოფლად საქართველოსი; თუ რამ შეეძლო გათქმულ ოჯახს, რად დაზოგავდა?! მზადდებოდა აჩქარებით ტანთსაცმელი, სამკაული, საფენ-ლოგინი.

– მზითევი არ გეჭირვება საქართველოს დიდ დედოფალს. ბატონ სიძესაც უბრძანებია, ნუ იზრუნვებთო; მაინც ინებე, რასაც მოვასწრობთ: ვალდებულია ჩვენი ოჯახი, თავის თავს დასდებს ამით პატივსა.

– საგულისგულო უნდა ჩალაგდეს! არვინ უნდა სთქვას: გაეხარდათ, რომ მბყრობელი იშოვნეს სიძედ და პატარძალი ცალიერი გაისტუმრესო.

– მაინც ვერ შევსძლებთ შევამზადოთ მის საკადრისად: ძალიან ჩქარობს.

აჩქარებით ამზადებდნენ აღელვებულნი. გადაესხნათ კარადები, სკივრები თუ ხელისყუთები. ფარჩა, ბუზმენტი, ოქრო-ვერცხლი, ძვირფასი თვლები. მთელი სახლი სავსე იყო მკერვალებით, მქარგავ-მქსოვლებით. თავდარიგი საქორწილო ზეიმისათვის.

– მეფეს უბრძანებია, ეკლესიიდან პირდაპირ სასახლეში წაყვანა ქალის.

– აქ დაიწერს ჯვარს, თუ?..

– ქვაბთახევშიო მარტო მახლობელთ თანადასწრებით. მცირე ვახშამი. საჯარო ქორწილს მერმე სადმე გარდავიხდიო.

– იქ თითონ იცის ბატონმა მეფემ. აქ კი ჩვენ გვმართებს დიდი ქორწილი; ყველა ჩვენი ნაცნობ-მოკეთე, მთელი საყმო ნადიმ-ზეიმზედ!

არვის ეცალა ჩასაფიქრებლად. ცოტა ხანში დიდი საქმე იყო საკეთი. თითონ ქალსაც აღარ ჰქონდა დრო დაფიქრების, საკუთარი გულისთქმის სმენის. მაინც უარს ვერ ეტყოდა მას მისი გული: მადლობას ჰგრძნობდა ვაჟკაცისადმი, რომ ღირსეულად შეაფასა მისი მშვენება, არც მოიხმარა ბოროტად ძალა; თვით ტახტი შესძღვნა ფიანდაზადა. ის კი იყო: მისი გული იხურებოდა, თუ შეჰხვდებოდა ჭაბუკ გოდერძს თუნდ შემთხვევითა. იგი უთქმელად ასრულებდა გიორგის ნებას, მხოლოდ ცდილობდა, არ შეჰყრიყო თავის მზეთამზეს.

– საწყალი გოდერძ! ვგონებ, ვუყვარდი, – იტყოდა ქალი

და ნაღვლიანად შეჰხედავდა პირჯანღიან ვაჟკაცს მოხდენილს. უყვარდა გოდერძს. მეტისმეტად ეკრძალებოდა; ჯერ ვერ ჰბედავდა; ხმლით უნდოდა მოეპოვნა ბედის ვარსკვლავი, თავდადებით, კარგის ვაჟობით.

– ეჰ, ჩემო კარგო, უკვე იყავ ღირსეული, რადღა ჰყოვნიდი?! ეხლა კი... თვით ხელმწიფეა შენი მეტოქე.

სწრაფად დაქანდა ბედისწერა, ზვავის სიჩქარით. როდი დასცალდათ დაჰკითხოდნენ გონებას, გრძნობას, დაეკრათ თვალი ნებისყოფის გეზისათვისა. გრიგალივით ატრიალდა მათ გარშემო მბრძანებლის ნება და ააბრუნა, ააბორგა ყოფის მორევი.

28

– საცაა, მოვლენ. გუშაგთ გვანიშნეს.

– კოშკიდანაც გადმოგვძახეს: ჰე, გამოჩნდნენო.

– მოდიან! მოდიან!

შემოისმა სიმღერის ხმა ჯერ შორეული. აღელდა სასძლო, შეარხია საროს ტანი, წამოდგა ქალი. კაბა, ბაბთა-დარაია; თეთრ ფარჩაზედ მოელვარე ვერცხლის ძაფები, ვერცხლის დუგმები, ჩაფრასტები. გულისპირის მოსავლები მარგალიტისა; შიგადაშიგ ფრანგ-ფარსანგის იაგუნდი, ფირუზები ნიშაბურისა. მარგალიტის საყბეური ხატულ ნიკაპქვეშ. ჟრუანტელმა დაუარა, თრთოლამ აიღო.

– როგორ გაცხროებს, ძვირფასო ჩვენო?! არც ისე გრილა. მოდეგ ცეცხლისკენ!

მიუახლოვდა აღგზნებულ ბუხარს. ჭაღთა სხივები, ცეცხლის ალი აციმციმდნენ მის სამკაულზედ. ძვირფას ქვებში პირველ ჟამის ცეცხლი უქრობი. ვერ ედრებოდა მათ ციაგი მის თვალთა ნაკვესს.

– მოართვით ქურქი: არ დასცხრა ჟრჟოლა.

– ეხლავ, ბატონო!

თეთრი დიბა გადაკრული სიასამურზედ; მარგალიტის გოგზარები, თითრიმები, მარჯნის ფოჩები. ალისფერი წუღით ფეხი ედგა მოქარგულ ქოშში. შესწყდა სიმღერა. წარდგნენ ქალის წინ სასახლიდან წარმოგზავნილნი: მიესალმნენ, მიემშვიდობნენ. წყნარი თავდახრა დედოფლისა ღირსების მხატვი. წამწამთა ჩრდილი დაეფინა ბროლ-ვარდის ღაწვებს. ქალწულის ეშხმა თვალი მოსჭრა დიდ დედოფლის დიდ მეგობარს ხურომან ქალსა: ეახლებინა პატარძლისთვის მანდილოსანი. შესდგა ერთს წამს მაკრინეს წინ, მერმე ეახლა, უბყრო ხელი, მოულოდნად დაუკოცნა ფიფქივით მაჯა.

– ბედის ვარსკვლავო ჭაბუკ მეფისა! მზის ქალი თუ ხარ სადედოფლოდ გადმოვლენილი.

ღელვილი ქალი შეუგნებლად შემოეჭდო სეფე ბანოვანს. უამათ ქცევა. გაემართნენ ქვაბთახევისკენ. თანთან დაეშვა მაყრულის ხმები: ვეღარ ისმოდა მათ სიმღერა სიშორის გამო.

ტახტრევანდი მოართვეს ქალსა. მაყრიონი მხიარულად მიიმღეროდა. მოქუშულიყო მცველთ უფროსი ჭაბუკი გოდერძი; კრინტუძრავად იტანჯებოდა. სასტიკი იგი მოვალეობა! მხედართმთავარს დაედგინა მცველად დედოფლის და... მიჰყვანდა თვისი სატრფიალო მეუღლედ სხვისთვის.

– ჩემი ბრძანება და შესცვალონ გლოვად სიმღერა: ერთ წამისყოფით ლეშად ვაქცევთ მათ ყველა ვაჟკაცს. და გავიტაცებ! ხონთქრის სამზღვრები და ჩემი მზე ჩემს ხელთ იქნება, – ფიქრობდა ვაჟი,

თან ხმლის ვადას ხელში სწურავდა. მაყრიონი მიდიოდა, მიიმღეროდა. დაეცა ბინდი. მთლად ჩამუქდა ტყიანი მთა წინ აფენილი: მზის ჩასვენებამ დააღონა, შავით შემოსა.

– ნუ ჰყოვნი, გოდერძ! მოჰშორდები შენს მზეს, ბედშავო, და ჩაბნელდება შენი ყოფა გაუხარელი. გაიბრძოლე განწირულად, გასჭერ საბრკომი!

– მაგრამ ქალი – დედოფალი... ვაჰ თუ შევსძულდე!

– შესძულდე ქალსა? მაშ მიაქციე მახვილი შენს გულს!

იქნებ დაეჯერებინა საიდუმლო ზახილისათვის; უსათუოდ დაჰყვებოდა, თუ მის ყურადღება არ მიექცია ხიფათს საშინელს: მგზავრები მიუახლოვდნენ ტყეს; გზა დაეშვა ხევისაკენ და შევიწროვდა. გამოჩნდა ტყიდან მხედართ ჯგუფი; შეაყენა, შეატბორა გზად მიმავალნი. მსწრაფლ აეტოლა გოდერძი ეტლსა.

– გოდერძო, შენა?

– მე გახლავარ!

– დედოფალი სასახლისკენ უნდა გაბრუნდეს: იქ უნდა მოხდეს მათ ქორწინება.

– გზიდან! ტაძარშია ნაბრძანები მათ ჯვარისწერა.

ალმასხანმა გაიცინა და წაიხარა, ხელი შეახო დედოფლის ეტლსა. ათამაშდა ჰაერში ხმალი, ელვასავით გაიღიმა და... ახტა, აგორდა მოსხლილი თავი. მყის ხმალთა ჩხერა ფოლად ფარებზედ. ხანმოკლე გმინვა. გაენგრძო სვლაი. კარის ბჭეში შეეგება წინამძღვარი იოელი, დალოცა ქალი, მიაცილა საყდრის კარამდინ.

– ქორწინება მონასტერში გასაკმარია! – წარმოსთქვა ნასიძემ

და არ მისცა ნება თავის ბერებს, დასწრებოდნენ ჯვარისწერაზედ. საიდუმლო დეკანოზმა კანდელაკმა შეასრულა. მეტყველებდა იოსები, ღვთის სიტყვის მცოდნე. მეფე ბანოშ ხავერდებში გამოწყობილი. ჯერეთ ლაღობდა, ხასი ქცევა ააჩნდებოდა. მალე ჩაფიქრდა: დედოფლის სახე უღიმარი აუჩნდა სარკედ და დააწყნარა. სადედოფლო იალქანი არ ედგა ქალსა. ჰხამდა კი ესა: მეფის მეუღლე გარეგნულად რჩეულია წუთიერი დედოფლებიდან. ეს აღონებდა ქალიაანთ, მეტადა სწყინდათ; ეს ახარებდა იმ დიდებულთ, რომ ახლდნენ მეფეს. მოძღვარმა ოლრით უბყრო ხელნი შეწყვილებულთა, რომ შემოევლოთ ნიშთ გარშამო საზეიმო გალობის ხმაზედ. შემოიჭრა წარმოგზავნილი. წამოუდგა მეფეს. გახსნა კოლოფი. აბჭყვრიალდა ჯიღა ძვირფასი.

– დიდ დედოფალმა მოუგზავნა ახალ დედოფალს!

მიეახლა ხურომან ქალი; შეუმკო თავი ტურფა ნივთით მშვენებით შემკულს. მიართვეს ღვინო ნაკურთხ სასმისით. როცა ქალმა შეახო ბაგე, მეფემ შეჰნიშნა:

– ეს მეორედ ვსვამთ ერთ თასიდან: ერთი თქვენსა და...

შემკრთალნი თვალნი შეანათა მოუბარ ქმარსა.

– შესვით სასმელი წუთის ცხოვრების; სიტკბოება თუ სიმწარე გაიზიარეთ! ეს სასმელი არ მეორდების, ვით სიყვარული ნათელყოფილი, სულით და ხორცით სრულ ერთობის მასწავლებელი, უსრულებელ დროთა სვლაში ერთარსებობის. სახიერმა დაგილოცოსთ ტკბილი ერთობა! – წარსთქვა მოძღვარმა

და ემთხვია ხელზედ მეფე-დედოფალს ქვეყნისა მბყრობელთ...

– ფეშანგ, აქა ხარ?

– რას მიბრძანებ, გოდერძო ჩემო?

– რაზმის თავი ეხლა შენა ხარ!

– მე?! შენა?

– მე ეული, ტანჯული სული მიმომავალი.

– რაზმი უშენოდ?! ამირთამირს ეწყ...

– გული ჩემი თქვენთანვე არის. განწირულს ჟამს მწამს, მაუწყებს სული მეცანი და თქვენდავე მოვიქც...

სიტყვა ვეღარ დაათავა: აუტირდა რვალის ვაჟკაცს ფოლადის სული. ჩანთქა უკუნმა.

განეშორა წმიდა სავანეს წუთისოფლის საამო ბგერა: ძლივს მოისმოდა შორეული მაყრულის ხმები.

29

– აჩქარებით დაიწერა ჯვარი მეფემა.

– ბერთ სავანეში, სად კრძალულია ხორცთა ზეიმი, თუნდ საიდუმლოს წმიდა სახითა.

– ჭეშმარიტი ქორწინება ნებით სწარმოებს; აქ კი ჭაბუკ მეფის დაჟინება, ძალდატანება.

– უნუგეშო ნუგეშია რაღაცა მცირე.

– დიდს ძლიერებას შესძენს ჩვენს თქმას სურვილი მტკიცე.

– პატრიარქი ჩვენსკენ არის: მონასტერში ჯვარისწერა უკანონოდ ჩაითვლებაო.

– ეხლაღა იტყვის?! საიდუმლო უკვე შესრულდა.

– სხვა გზა არ იყო: განზრახვა ჩვენი ვერ მოხერხდა; შეაკვდა კაცი.

– საცოდავი აღსართანი!

ვერ განიფანტა დიდდიდებულთ ბნელი განზრახვა; იგი თან გაჰყვა მეფის ამალას. სხვა კარისკაცნიც ქუფრსავე ფიქრს ანვითარებდნენ. სასახლეში მცირე ქორწილი; მარტოოდენ მახლობელნი, თავისიანნი; ერთი-ორი კარისკაცნი, დიდებულები. მხოლოდ სერობა მგზავრობის შემდეგ. მიჰყვნენ გიორგი და ნუგზარი სასახლემდისა. ახლიჩეს პური; დაულოცეს მეფეს ბედი, ახალი სული. გამოეთხოვა გიორგი თვის დას, ვით დედოფალსა. მიჰმართა სიძეს:

– ბედნიერად იცხოვრე, მეფევ, განგებისგან მოცემულის თანამემცხედრით. ჩემი მახვილი თქვენის ტახტის აღსამაღლებლად!

თითქო თავს ვერ მოჰგებოდა მზეჭაბუკი გაკვირვებული: აისრულა ჟინიანი სურვილი თვისი; ჰე, გვერდზედ უზის მზია ქალი ბედის ვარსკვლავი! ვინა ჰპოვოს მზგავსი მისი მთელ დუნიაზედ?! მაგრამ იგი მეუღლეა კანონიერი და ვერ გაეგო, გაიმარჯვა ამ მძაფრ ბრძოლაში, თუ დამარცხდა, აჯობეს ხმალში. თუ გულს ჰკითხავდა, ომის მომგედ ჰრაცხდა თავის თავს: აისრულა მურაზი მწვავი; როგორ გასძლებდა, არ სწეოდა ამ სასურველსა?! და თუ უსმენდა გონს ცივად მსჯელსა, წაგებულად იტყოდა ბრძოლას: ძვირად დაუჯდა სატრფიალოს შინ მოყვანება.

– ვაჟბატონი ესე ვბრძანებდი: ნახევარი სახელმწიფო სურვილის ფასად! დედოფლად დავსვი; სახელმწიფოც, ჩემი თავიც მიმირთმევია!

ადასტურებდა ჰაზრის კარნახს დიდებულთ სახე: ფიქრს მისცემოდა, ბოროტ ჭმუნვას იმათი სული; ჰგმობდნენ ხელმწიფეს, არ მოსწონდათ იმისი ქცევა. იტყოდა მეფე თავის გულში: ეს საშიშია, მათზედ აყრდნია, ამ ბურჯებზედ, სამეფო ტახტი, აბგარ-აბჯარი მათი იცავს ცხებულის გვირგვინს და თუ გამიდგნენ, ელის რყევა ჩემს ძლიერებას.

– სიმამრის შვილი ბუმბერაზი შეგიმუსრავს მაგათ ძალებსა.

– ჭეშმარიტს იტყვი: სააკაძე როდი დასთმობს თავისსა ჰაზრსა, არც თვის უფლებას; და კიდეც შესძლებს! ხელთ უბყრია ლაშქარი, ხალხი; მას მკლავს უმაგრებს მძლავრი ნუგზარი. არ ჩამოდგება! მაშ რა გაფიქრებს?!

– მაგრამ ჩემნი დიდებულნი... არ დაუთმობენ არც ისინი მამა-პაპით დაომებულ წარჩინებასა. მხოლოდ ბრძოლაა გადამწყვეტი მათ შორის დავის! და ბრძოლა კი...

ახალი სული დაიჭერდა ქმრის შეხედვას ზრუნვით აღსავსეს, წამსვე მძაფრ ნდომით აღტყინებულსა და ფერს გადაჰკრავდა ღელვით დაქანცულს. უფრო მოსწონდა მზეჭაბუკს იგი, სიყვარული უცხოვლდებოდა, როს მისი იყო სულით-ხორცამდინ. დიდად მოუნდის მის მიახლება. სხვათაცა თვალთ წინ გვერდს მოუჯდის, ხელი შეახის. კრთებოდის ქალი; სწვავდის სირცხვილი კდემა ნაჭარბებს; მიიხრებოდის მულისაკენ, დედამთილისკენ. დიდ დედოფლის თვალთ იერმა მოუალერსის. მშვენივრისგან მოხიბლულმა გონის თვალი გადაავლის დიდებულთ კრებულს, მის მეტყველებას აესახის ზავთი მძვინვარე. მის ნებისყოფა მოითხოვდა რაიმ საბაბსა, რომ გრიგალივით აქროლებულს წრე შემოერტყა ურჩებისათვის, აეტაცნა დასალეწად, სანიავებლად. მაგრამ აჩნდებოდა მისვე ახლო დამცინავი ღიმი ბოროტი, მოესმოდა იდუმალი ბგერა ეჭვისა და იშლებოდა შემძლებელის ნება უძლური, დუნდებოდა მის მარჯვენა, იღვედებოდა.

30

– მაშ ჩვენ და მეფე უფლებებით ტოლნი ვყოფილვართ!

– ყველა თავადი ისეთივე მეუფეა თავის საყმოში, როგორიც მეფე თვის სამეფოში. მხოლოდ მეფეს მეტი საყმო შეუძენია და ძალაც მეტი: ბევრი მებრძოლი შეუძლიან გამოიყვანოს.

– ჭკვას ახლო არის!

– დადიანი რით არ არის სწორი მეფისა, ან სხვა მთავარი ქვეყნისა მბყრობი? უშოვნიათ მრავალი ყმა, მეტი ქვეყანა; უპოვნიათ მეტი ძალა, ასტოლებიან სხვა ხელმწიფეებს. თუ ლიპარიტს თვის ბრძოლაში გაჰმარჯვებიყო, მისი საყმოც ერთ სამთავროდ შეიქმნებოდა.

– უნდა დავიცვათ ეს წყობილება, განვამტკიცოთ უფლება ჩვენი: გვარის დიდება ვალად გვდებს ამას.

– მაშ მოურავი დიდებაშიც მონად დამრჩალა.

– არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი!

– დიდდიდებულნიც ჰსურს გარდაჰქმნას ცხებულის მონად.

– მაღალ წოდების დასაკნინად მოუწყვია თვის მოქმედება.

– მე კი მეგონა: რახან მხოლოდ აზნაურია, ჩვენ წინააღმდეგ შური ბნელი ამოქმედებდა; თუ თავადობას უბოძებდა ბატონი მეფე, დაწყნარდებოდა.

– შავი მიწა დააწყნარებს მონად შობილსა.

– მაშ თავადობაც არ ეყოფა გაზვიადებულს?!

– ეგრე რომ იყოს, მყის მიიღებდა: თათარხნობას ჰსურდა მეფეს ეწყალობნა მისთვის ხარისხი. გადაველობე.

– რა უნდა ჰპოვოს თავის ჰაზრის შესრულებითა?

– მითქვამს წინადაც: ერთს კაცს მოუკრებს მთელს უფლებას საქართველოში და მერმე...

– და მერმე რაო?

– ადვილად შესძლებს ხელთ ჩაიგდოს მეფის გვირგვინი.

– ტახტი მეფისა?!

– ვითომ რატომა? მისი დაი ეზიარა ბაგრატიონთ სისხლს. ბუმბერაზი სააკაძე მეფის მოყვარე; ჯარი, ხალხი აღმერთებს იმას; მეფე ჯერეთ უმემკვიდროა; ღვთის ხელთ არის ყველას სიცოცხლე და...

– ეხლა კი მივხვდი! რა ადვილია: გიორგისთვის აწ ხსნილია სასახლის კარი, მეფის სავანე...

– ღმერთო, დაგვიხსენ!

– გვიშველის ღმერთიც, როს გავირჯებით. დამიგდეთ ყური: ერთი ბრძოლა წაგებულია. თუ ლუარსაბს შეელახა გიორგის კერა, ბრძოლა იქვე გათავდებოდა; გავიმარჯვებდით. აწ დაფიქრება უცილებელ ახალ ბრძოლისთვის, მომზადება, თვალის დევნება.

– ჩვენ უკვე ვიბრძვით და ომის მცნება ცხადად მკვეთია: მოჰკალ, ან მოგკლავს! რაღას ვახანებთ?

– უნდა მოისპოს! სჯობს, ერთი კაცი შეეწიროს მთელ წოდებასა.

– მაინც სიყუჩე, ყმაწვილებო, მცირე ხნობითა. საჭიროა, მივაძინოთ მტრის ყურადღება და შევამზადოთ ყმაწვილი მეფე ამ ბრძოლისათვის.

– ეგ ხომ ძნელია: სააკაძის დაი ჰყავს გვერდით.

– მაინც კიდევ შესაძლო არის.

– საიდუმლოდ უნდა დარჩეს ეს ჩვენი კრება!

– მტკიცე ფიცი შეურყეველი!

– სიკვდილი გამცემს!.

ამირთამირის ყურადღება ვერ მიაძინეს. ჰფხიზლობდა იგი. ჰხედავდა თვის მტრებს გონების თვალით, ცხადადა გრძნობდა იმათ გულისთქმას, მისთვის დაჰკვლევდა გულდადებით მათ ხლართიან გზას.

31

შავნი აჩრდილნი აჰყოლოდნენ შეუღლებულთა. გარს მოეცვათ საშიშ ლანდებს მეფის სასახლე, ბედნიერთა გალიაკი ტურფად მკობილი. ყოველ კუთხიდან მოჩვენება ბოროტმეტყველი. დრო მიმავალი არ აქრობდა ბნელის სახეებს: ხორცს თუ ისხავდნენ შესახედად შესაზარენი, გარს თუ ავლებდნენ ჩამუქებულ სისხლის წრეებსა; შავად შეღებეს ყოველივე სახე საამო.

ბაგრატიონთა პატარძალი უკვე შემკრთალი თვალს ადევნებდა დაკვირვებით მის გარემო მყოფთ, მათ სიტყვას, ქცევას: შემძიმებული თქმანი უფრთონი; ფრასათა ტანი დაბზარული, ჟანგმოდებული; ბაგე ღიმილად განზიდული, შუბლი ჭმუხვნილი; გველის ხლართებად ჩაწოლილი მუნ საზრუნველი ქალისათვის მოკარნახე დიდის სიფრთხილის. თითონ მეფე თავის გზაზედ თითქო ურკვევი, თავისივ ქცევით ხან შემკრთალი, ხან ცვიფრებული.

– ღირს ჩემი მაკო ჩემს მოქმედებად, ამ დიდ მსხვერპლად! მაგრამ... სახელმწიფოში, ქვეშევრდომთ შორის ამერთვა ძალა. ვერ თუ შევსძელი დინჯად, ზომვით შესრულება ჩემის ნდომისა. ავაჩქარე ჯვარის დაწერა: მეფიქრებოდა, განდიდებულ ხელისუფალთ არ შევებოჭე. დიდი თამარიც მათ შეკონეს ჯერ ისევ ნორჩი; მხოლოდ შემდეგში გაიბრძოლა ლომის ბოკვერმა. ალმასხანმა თურმე სცადა ქალის ჩემთან მოყვანება ჯვარდაუწერლად. ვერ თუ იცნობდა ის გიორგის, მის გაწვრთნილ ბიჭებს! გოდერძის ხმალი. ცეცხლის სახით შემომხედის სააკაძისას. აწ მივხვდი, მესმის მისი გულისთქმა! გადიკარგაო. რად ვერ წაჰკვეთეს იმ თავხედს თავი?! ჩემი მაკრინე... მის გარშამო ნურავინ ჰნერგავს ბოროტებასა! სისხლს ავიღებ მისის მტრებისას: ჩემის ლაშქრის ბასრი ხმალი თავს მომევლება.

ამ მოაზრებამ მიახედა მოყვრებისაკენ, მოზომილად, თვალმხიერად რომ მოქმედობდნენ; თანაც თავმდაბლად.

– მაყრად გამოჰყვა საომრად მზა რაზმი რჩეული. მესმის: არ გვენდობოდნენ; ვეღარც მე მენდნენ. საფიცარიო. საწყენია, აღმაშფოთველი! ვერ შემბორკავდა: ეკლესია გახსნიდა ფიცსა; თუ მაკრინე ჯადოსანი არ ყოფილიყო, სულ ვერ გასჭრიდა ის საფიცარი. საშინლად გასჭრა გოდერძის ხმალმა: ავად მოუხდათ თათბ... გოდერძი. თათარხნობას სათარხანის რაშს რომ წასწვდა ამირთამირი, ის გოდერძმა გადაარჩინა: ხელი მოჰკვეთა მასზედ ზურგით მისულსა მტერსა, ნუთუ ეტრფოდა გიორგის დას, ჩემს მაკრინესა?! რატომაო. ხმლით გაიკვლევდა ძნელ წავარნას მისკენ მიმავალს.

გადაჰხედა თავის ახალ სულს, მიზეზს ბრძოლისა; მოეწონა მშვენიერი, ააჟრჟოლა ძლიერმა ნდომამ. მურაზაშლილმა დაჰგმო თავი, რომ მის ქმედობა წმინდა გულით ვერ მოდიოდა, მის მიჯნურობა იყო ისევ ჯანღმოფენილი, აკლდა მზეობა: თვითმოყვარება ასოსნებდა ნათელს მხიარულს. აწ აღუთქვამდა ალავარდნილ მიჯნურობასა. ქალი ჰხედავდა თვის მეუღლის ჰაზრთა დენასა, მეცანის ფიქრი თვით სდევდა მის გულისთქმასა და უხაროდა: გრძნობდა თითონაც სრულის გულით ქმრის სიახლესა, მძაფრი სიამის ცხელ სხივებზედ იფურჩქნებოდა, მშვენიერთა-მშვენიერად ისახებოდა.

წინად რომ მეფე ფიქრთ არეში დიდდიდებულთ ეთანხმებოდა და დაფარულად წარიტყოდა ძნელ სათქმელ სიტყვას:

– სად გვარი ჩემი ზეცით ნაკურთხი, სად აზანური შიოშას ქალი თუნდ მშვენიერი! შემოქმედმა განარჩია ეს ორი სისხლი, ეკლესია ვით შეაერთებს?!

და ზვიადობა იმის გულზედ ეკლის კონად აღმოჩნდებოდა, აწ მზის შუქზედ ჩაიბუგა ბნელი საბრკომი; მრავლდებოდნენ წუთნი, ჟამნი, დღენი ლხენისა. უღრუბლო ცაზედ სიხარული მზეებრ მსვლელობდა. სასახლეში ზოგიერთი სეფე-ქალი მიდ-მოდიოდა; ძნელად ფარულ შურით ჰმზერდნენ ახალ დედოფალს; ადევნებდნენ ბოროტ თვალსა, რომ შეენიშნათ იმის თქმაში თუ ქცევაში რაიმ უფერი: ვერ შეიმშვნევსო დიდს დიდებას არღირსეულად ამაღლებული! გრძნობდა ქალი ყველაფერს ამას. კეთილითღა მიუზღავდა ბოროტთ გულისთქმას. ის თუ ეგონა, მის გრძნობის სითბო დაადნობდა მყინვარე ავსა, მის გულის შუქი განფანტავდა მათ გულთა ღამეს.

დიდი დედოფალი კეთილი თვალით შეჰხვდა თავის რძალს. ნატრობდა იგი, ღირსეული შეჰხვედროდა მის შვილს მეუღლე; ხორციელის, სულიერის სიმშვენივრით შემკული ქალი. პირველსავე შეხვედრაზედ დაატყვევა ქალის სიტურფემ; ხოლო მის ქცევამ, მოზომილმა მისმა მიმოხვრამ დაატკბო იგი. იმასაც გრძნობდა გამოცდილი, როგორის ეჭვით უმზერდა ქალი თვის გარშამო ყველაფერს, ყველას, რა ძალიან იტანჯებოდა. შეითვისა გულკეთილმა, მფარველ დედად მოევლინა; უალერსებდა.

და ლუარსაბს უხაროდა თვის დედის ქცევა: უწუნებდნენ მას არჩევანსა, კიდეც ჰბედავდნენ მტრობის დაჩენას და დედისგან ეს მოწონება მის გულს გაბზარულს ეწამლებოდა.

– თუ ჩემი ქცევა მავნები იყოს, დიდდედოფალი კმაყოფილი არ იქნებოდა. მომიწონებენ ნაქმედს სხვებიცა, ჭკვიანურად ჩამითვლიან ყველანი ჰაზრსა: უდიდესი ნიჭი არის სიმშვენივრე თვალის მომჭრელი.

32

შევლო ვაჟკაცმა ხორციელი სიამის კარი, ქალის ცხებულმა აღნაგობამ მკვეთრ სიამედ რომ აუსახა. გააღებინა მსხვერპლი დიადი სასტიკმა ნდომამ: არა ნახევარ სახელმწიფო გადასაზღვრით გადაკვეთილი, სადედოფლო ტახტი ტურფა, თვისიც არსება სიკვდილამდინ მისი ხლებული; სიძვად არ ეჯდა ეხლა იმას ნანატრი ქალი, თანამემცხედრედ მოჰვლენოდა საქართველოს დიასახლისი. ნივთიერი იგი გრძნობა ნეტარებისა როდიღა დასცხრა, არც გაცრიატდა გარდავლილის ფერთა ცვალებით; უფროც იმატა, ყინჩი ფერი შეიმოსა, აოშხივარდა მეტ სუნნელებად და გარდაიქმნა ულევ წყაროდ ღრმა სიამეთა, გოლეულის გემოვნებით გაჟღენთილ განცდათ. მთლად აავსო ალერსნაჩვევი, დააწყნარა ჟინმორეული. გადიოდა დრო და ვაჟკაცს თითქო ავიწყდებოდა, რომ არსებობდნენ კიდევ სხვანიც მოციმციმენი. ბუნებისგან მადლმოსილი ტანი ქალისა სთრგუნავდა ყოველს მწიკვლსა შემბღალავს; ვერ ეხებოდა იმას ბიწი მამდაბლებელი. ამ უხრწნელობას ძალს ჰმატებდა დაცულ კერიდან მოყოლილი იისფერი კდემა დახრილი. მთელს მის არსებას აშუქებდა ნათელი სული თვალთმომჭრელი სიკეთით სრული.

დიდს დედოფალს ეფიქრებოდა, არ აჰყაროსო გული ტურფას, არ გაჰკვეთოსო ცოლ-ქმრობოს სირა; თვალს ადევნებდა დაბრძნობილი თვის ჭაბუკ შვილსა. ამაო შიში! როდი შრებოდა შვების ფიალა, რაზომც სვამდა მუნით ნექტარს მოწყურებული: მთლად ვერ ჰკრეფავდა მისი ხედვა გაშლილ სიტურფეს.

– ჟინს მოიკლავს; უკუაგდებს თავისებურად.

– აიგლეჯს მკერდით, შორს გასტყორცნის: ჩვეული არის.

– ქართველთ მეფის მეუღლედ გვყავს შიოშას ქალი...

– მთვრალმა ძალით იქორწინა უჯერო ადგილს, თითქმის იდუმალ.

– მთვრალმა ძალითა?

– ვნების აშლით დია მთრვალმა, გარდარეულმა.

– სიტყვა მართალი. გათრობს ღვინო, თრიაქი, ვნება; რა ბედენაა?!

– არ ეგების ჯვარისწერა მონასტერშია! უნდა ემცნოს მთელს სახელმწიფოს.

– შორსმჭვრეტელი ხარ, ვაზირო ჩვენო! ვაჰ თუ ხავსად გამოგადგეს ხელის საჭიდი.

– გამძლე ღვედია! თუ არ ეყოფა, ჯაჭვს ვაშველებ, უწყვეტ ჯინჯილებს.

– ფრთხილად, ვაზირო! სულიერადაც ძლიერი სჩანს ხორცით მშვენიერი ქალი, შეიძლება სამუდამოდ მოხიბლოს ქმარი.

ქალი რომ მართლა ძლიერი იყო, ეს ლუარსაბმაც მალე შეიგნო. სხვა ტურფები მსწრაფლ ჰკარგავდნენ იმის გვერდზედ მიმზიდველობას: მხევლად ხდებოდნენ, მხოლოდ ჟინთა დამცხრობელად; დაბებკილ ძონძად გარდიქმნოდნენ გასაგარებლად, თუნდ ფარჩის მჩვარად, სტავრა-დიბისა. ეს კი მძლე იყო, სულიერად მკვიდრად ნაგები. ქმარს გვერდსა ჰყვანდა განუყრელად მკერდში ჩაკრული, მაინც გრძნობდა ურყევ ზღუდეს იმის გარშემო, ვერ მისწდომოდა მტკიცედ დაცულს მის განძს სულიერს. ესა სტანჯავდა გამარჯვებულ დამარცხებულსა. ვეღარა გრძნობდა მბრძანებელი ნების სიმტკიცეს. ფოლადის ქსელზედ თუ ექარგა ძლიერ გამჩენელს სუნნელოვანი ყვავილი ნაზი.

გამართლდა შიში შეთქმულებისა: მისდევდა დღე დღეს, გარდააჭდეს კვირებმა თავი, უკვე თვეები ითვლებოდა შეუღლებიდან, ლუარსაბი ევლებოდა ახლად ნაგებს სასურველ კერას: დაეგზნო ცეცხლი ლამაზ გრძნეულს მკვეთრ გრძნობის ტალზედ ფოლადებურ ნებისყოფის ჩამონაკვესი; ეს წმინდა ცეცხლი ათბობდა ვაჟკაცს, ანათებდა მის სულს ქუფრნარევს, უსახავდა ახალ სავალს ყვავილებით ტურფად მოფენილს.

– იარე ამ გზით! ეს აგამაღლებს; შეიქმნები ბაგრატიონთ ბრწყინვალების განმაახლები, დიდი მეფე მთელის ერისა მომავალთაგან მადლიერად მოსახსენები.

– მსურს ვემორჩილო წკრიალა ხმას საიმედოსა!

33

ხელმწიფის სულში იმარჯვებდი კეთილი ბნელზედ. მხნედ მიუძღოდა მას წყობაში ნათელთა შვილი. მეფისათვის აქამდისინ ქალი მხოლოდ ბირთვი იყო თბილი, სამღერი. აწ სხვას ჰხედავდა: იგი თურმე ნაზ ბუნებით ფაქიზჰქმნიდა არსებასაც მოტრფიალისას; მგრძნობიარე მისი გული გზას დაუკვლევდა ძნელ უღრანში წუთისყოფისა; მოციაგე მისი ფიქრი უნათებდა ცხოვრების ბნელეთს; მისი ლბილი ნებისყოფა მტკიცედ ნაბეჭი უადვილებდა იწრო სავალს მზის მწვერვალისკენ. გრძნობდა ამას მზეჭაბუკი და იღიმოდა. მურაზაშლილი ჩაჰყურებდა ზამბახს თვალებში, თითქო პირველად ჰხედავდა ყვავილს თვის სარეცელზედ!

– ჩემი მძლავრად მბრძანებელი მხევალი ჩემი! ხორცკეთილობა ნათელ სულით სხივოსნებული. სევდის საგუბრად მეგულების მე შენი სული: შეგიკრებია საზრუნველად მოყვსის დარდები; გსურს შენის ზრუნვით ამოსწურო სხვათა გულში პატიჟთ ნაჟური. უუტკბილესო ბედისწერავ ქართველთ მეფისა!

– განუყოფელ საქართველოს მეფეთმეფისა!

ჩააკვირდა ხმას იდუმალს, წარმოსთქვა თვის გულში:

– მაგრამ ესეთი მისწრაფება სამეფო ტახტის უცილებლად გამოიწვევს დიად სისხლის ღვრას.

მოაგონდა გიორგის სიტყვა:

– სისხლის ღვარები გადაჰლახვენ სავალს ჩახერგილს საქართველოს დიდებისადმი. მტკიცის მარჯვენით შეკრიბოს მეფემ ქართველთ მამული! უნდა მოისპონ განდგომილნი, განდიდებულნი, ივერიის განუყოფელ ტანის მკვეთელნი! დამდაბლება ქედმაღლებისა!

ჩააფიქრა ლუარსაბი ამგვარმა სიტყვამ. მისი ნება ირყეოდა ორ სავალთ შუა, დაბზარული ნებისყოფა ჭაბუკ მეფისა. ადასტურებდა გონის თვალი მებრძოლ სულის კარნახს გამკვეთელს; გრძნობა ეტყოდა, ამოეღო ქარქაშით ხმალი; ნებისყოფა ვერ ჰყვებოდა თვის თანამგზავრებს: აშინებდა განაზებულს ცეცხლი ბრძოლისა, ომი მძვინვარე.

– თუ ვარ ზეგარდმო კურთხეული მეფე ცხებული...

– განუყოფელ საქართველოსი!

– ჩრდილი იტყვის სვიმონ მეფისა! გმირთაგმირი სამფლობელოს ღირსად მბყრობელი. რად არ დამმშვენდეს ხელში სკიპტრა დიდ ძლიერების? სვეჩასვენებულ სვიმონ დიდებულს დაენაცვლოს ლუარსაბ დიდი... იწრო წავარნა ძნელად სავალი. გამიძღვების ალმასის ხმლით გმირი გიორგი. წმიდა გიორგი აგვადევნებს თვისსა წყალობას. ძნელს ყოფაში მისალბუნებს ეს მზია ქალი. ჯერ კი... შეიკრიბე, იადონო, ძალთა სიმრავლე, რომ ბოროტს ჟამს არ გადატყდე ნაზად გებული!

დაიხარა რჩეული ბედის, დაუკოცნა ტრფობის ბორცვნი ფარჩით ფარულნი. გამოეღვიძა. მოსდო ვაჟკაცს დრუნგილის მკლავი. მკერდში ჩაიკრა თვალმიბინდულმა. უშრეტი წყარო მდუღარ ალერსის!

– ავსდგები აწი, საყვარელო: შუადღეა მოტანებული. ალბათ ღონდება ვაზირი ჩვენი, რომ შენთან ყოფნამ დამავიწყა საქმე საშური: გუშინ შემთხოვა მომესმინა სახელმწიფო საზრუნველი განსაგებელი.

გამობრძანდა მზეჭაბუკი გალიაკიდან; თან გამოჰყვა შუქი მღიმარი. ვარდისფერი სიტკბოება აჰყვა იმას პირველ დროდგან ქალთან ყოფნისა და თანისთან იზრდებოდა, ძლიერდებოდა. ლამაზ იმედებს უღვიძებდა ეს დიდ დედოფალს. ჰნატრობდა იგი. მზეთუნახავს მოეხიბლა ვაჟკაცის გული და კეთილ გზაზედ ეტარებინა; უსრულდებოდა ოცნება თვისი. გამობრძანდა ახალი სული. მიემშვიდობა, დაიხარა ხელზედ საკოცნად; დედოფალმა არ აცალა, გულში ჩაიკრა. უხაროდა ლუარსაბსა თვისი დედის, თვის მეუღლის ესე შეტკბობა: აფასებდა ის დედის ჰაზრს ყოველ საქმეში და მით უფრო ამ ძნელ ამბავში, სად მძლავრმა განცდამ დააკითხა მხოლოდ თვის ფიქრსა, ააყოლა საკუთარ გრძნობას და სურვილი უტეხელი ფარად ახმარა ხმალივით მოსულ უარის წინ დიდდიდებულთა. კარისკაცთ რომ არ მოსწონდათ მის არჩევანი და ცდილობდნენ მეფეს ჟინი სიძვით მოეკლა, მას ეგონა, შინაურნიც უარსა ჰყოფდნენ, მეტადრე დედა. დიდდედოფალმა ღირსეულად შეაფასა თავისი რძალი: ეხერხებოდა ფიქრის ძალით გაჭვრეტა სულის. აწ მულიც უფრო ეთვისებოდა: გადნა ყინული უარყოფის მის გოროზ გულში. სიამეს თუ სიტკბოებას ფრთა გაეშალა. ღიმილით ჰმზერდა ახალს კერას ანგელოზი ოჯახის მცველი; მაინც თვალებში კაეშანი გამოსჭვიოდა: ბოროტის აჩრდილს თუ ჰხედავდა სული მისანი.

ბოლომდისინ დაივანებდა ახალ ოჯახში სიამის შუქი, თუ იგი ყოფილიყო კერძო კერა, რომელი წვეულ იყო ეტარებინა მხოლოდ საკუთარი ცხოვრება თვისი პირად საამოდ, საღორძინოდ შთამომავლობის, სასარგებლოდ ნათესავთა თუ მეგობართა. ამ დავალებას პირნათლად შეასრულებდა ოჯახის თავი და შემდეგ, განსაზღვრულ ჟამთა დათავებისას, უმჩნეველად წარსდგებოდა წინაპართ წინა. თუ ვაჟკაცს დაუმძიმდებოდა ჟამითიჟამად ამგვარ ტვირთისაც გადატანა წუთისოფლის მღელვარე ზღვაზედ, ხელს აღუპყრობდა ახალი სული საგანძურით ნიჭებული, უფრორე სრული. მეტსაც შესძლებდა ძალი მდიდარი, სამოქმედოს ფართოდ მოზომილს: მოუდიოდა გვარით მხნეობა. მაგრამ იგი მეფე იყო და ერის ყოფის მღელვარე დენას ევალებინა მძიმე საკეთი, რომლის სრულება აღამაღლებდა, ასხიოსნებდა მას კაცთა შორის, სიდიადით მოჰკაზმავდა უზენაესით; ვერ შესრულება კი...

– ან ეს იწრო გზა ბოლოს ფართე, განათებული; ან მუქ იგავად დაიდები შენ ხალხთა შორის!

– მომეცი ძალა შესრულებად ძნელ მოწოდების!

– შენს ხელთ არს იგი და კვლავ დაეძებ?

– ცხადად ვერ ვხედავ, რისად მიწოდა, ან რომელ ძალ...

– ჰა, ჰა, ჰა, დაიშლება წოდებულთგან შეუძლებელი და სხვა რჩეული... ოხ, ბნელა, ბნელა! მომესმის ჩქამი სისხლთა ღვარების!

ტკბებოდა მეფე ბედნიერებით; სანუგეშოდ წალკოტში შესულს, გოლეულის ტალღებში ჩანთქმულს ვეღარ შეეძლო გონივრულად განგება ხალხის, ძალი არ ჰქონდა დასანახად მღელვარ ცხოვრების, სმენად იმ ხმების, არეულად რომ ისმოდნენ შორ მანძილიდან. ჭიაფერი სანახავი სისხლით ღებული, ტეხილი ხმა გამყივარი, ავადმეტყველი. აკვირდებოდნენ მეფისათვის კარგის მსურველნი მხარშექცეულ ცხოვრების დენას და გრძნობდნენ კრთომას, ცრიატდებოდა მათიც სიამე. – შიშსა ჰგვრიდა კარგებს სახე რყეულ ყოფისა. სასახლეს გრკალად მოსდებოდა ავი ლანდი წითელთვალება.

– შვილო ლუარსაბ, ბატონო მეფევ! კარგის ბედის გატაცებულს აღარ გცალიან, მიაქციო ყურადღება დიდების დაცვას, სამეფო საყდრის შარავანდედს, მის სხივთა კრთომას: მე მაკვირვებს, დიდადაც მწყინს, რომ ჰბედავენ, არ მოგიბყრონ იგი პატივი, რომელი სძევსთ იმათ ვალადა; არ გეახლენ, არ მოგილოცეს ბედნიერება. არავითარი მოსაკითხი აღარ მოგართვესთ, როგორც წესია მეფის წინაშე.

– დიდკაცობის ქალ-რძალი ხომ, ძმავ საყვარელო, არ გვეკარება. რახან ჰბედავენ, მათი ფეხი მთლად ამოვკვეთოთ: სხვა სეფე-ქალი იმათ ნაცვლადა! – წარსთქვა ელენემ მეტად წყენითა.

– ნუ ჰგონიათ, ვერა ვხედავ მათ თავხედობას! ანუსხული მაქვს ყოველივე, ყველას ურჩობა. დაუდგებათ დრო განკითხვისა. ჯერ კვალში ვსდგევარ ლმობიერების. ვფიქრობ, ვაცადო; შეეჩვივნენ ჩემს ლამაზ იღბალს. ქედმოხრილნი მოემართნენ მუხლზედ სამთხვევად. და თუ არა, შევანანო სინანულით სისხლისფერითა!

– სიბრძნე არის მეფეთაგან არაჩქარება, მაგრად მეშინის: სულგრძელობა არ ჩასთვალონ სისუსტის ნიშნად, უფრო მეტად არ გაგვიხასდნენ. ეგრე შევნიშნე უბედური მამის შენის დროს, მეტადრე ბოლოს, იმ ბედშავის მოწამვლის ჟამსა.

– ნუ გეფიქრება! ძლიერება ჩემსავ ხელშია: მკვეთრი არის გიორგის ხმალი, ლაშქარი, ხალხი პატივს სცემს იმას: ახლა ნუგზარი თვის მთიელებით. იგინი ხომ

ჩემნი არიან, სხვებიც ბევრია ერთგული ჩემი, მყის მოვსტეხო, დავამდაბლო მათ ქედმაღლობა!

– კვირას არ გაატარებს გიორგი, კაცი არ გამოგზავნოს მოსაკითხითა, თითონ კი მხოლოდ სამჯერა გვნახა.

– მისთვის არ დადის ახშირებით, არ ჰსურს აჩვენოს, რომ მოყვარეა სასახლისა და მახლობელი; გამოცდილია!

სიტყვა მეფისა გაეხარდა თანამემცხედრეს; თვალთა იერით მოუალერსა. იდუმალი გაღიმება შეაგება იმას ვაჟკაცმა; შემოჭდობა ვერ გაბედა: დარცხვა დედისა.

– ზაზამაც კაცი გამოგზავნა მოსაკითხითა; შემოეთვალნა გეახლებიო.

– ომში მხარდამხარ მისდევს გიორგის, არ დაჰშორდება არც ცხოვრებაში.

ამ საუბარში იყო ოჯახი, როდესაც წარსდგა სახლთუხუცესი და მოახსენა!

– დელუ-მაჰმადს შამშადილელს მოსაკითხი მოურთმევია, ბატონო მეფევ. ბრძანებ მიღებას?

კმაყოფილებით გარდაჰხედა თავისიანებს.

– აქ მოიყვანე: აღარა ღირს დარბაზში შესვლა.

უბრალო ხასიათი ჰქონდა დესპანის მიღებას; მაინც ამცნო, როგორ იამა ხანის მოკითხვა. გახსნეს წიგნი, მოსაკითხი. მიართვეს მეფეს. სადედოფლო სარტყელსა ზღვნიდა. ბითუმი ოქრო ფართოდ ნაჭედი; ფოლაქები ოქროს ხრიკით გადაჭედილი; ფირუზებით შექვიშული, ზურმუხტ ნარევი.

– დელუ-მაჰმად შამშადილელს პირისსანახავად მოურთმევია! თუ შემოგწვდება? – უთხრა ღიმილით ლუარსაბმა თავის მეუღლეს.

შემოარტყეს. ჩახატა ნივთმა მუჭაშიც კი დასაჭერი წელი წერწეტი. ელჩმა თვალი ვერ მოსწყვიტა სიტურფის ნიშატს. ფერმიხდილი შადიმანი ტუჩებს იკვნეტდა.

35

ვინ სთქვა: ნათელთ საკრები ბრწყინვალე მზე უძლეველია?! მაშ რად დაეშო თანისთანად თვის სიმაღლიდან? ჰე, ძლივსღა ავლებს პატარა გრკალს ცის კაბადონზედ. მატულობს ბნელი. დარაზმა ჯარი. საბრძოლველად გამოსულან უკუნის შვილნი: უგრძესი ღამე, ქარბუქი მძაფრი, ნამქერთ ზვინები, თვალყინული ვეშაპი თეთრი, პირყვითელი რუხვი დევები. მთლად მოაშთვეს სიცოცხლის სახე. გაძრცვეს ქვეყანა, შემოჰხიეს ტურფა სამოსი. ცივი ღრუბელი განუჭვრეტი გადაჰხირია მნათობის სხივებს. ალქი ხარხარებს; ალთ კრებული ქუფრ ხმებს ამრავლებს. ლაშლაჟვარდი დაძრწის სიკვდილი, ყინულის ცელით სთიბავს სიცოცხლეს.

– და ნათელის სიძლიერე მაინც უძლევი!

– ღმერთო კეთილო, მზევ დიდებულო, დაგვიფარე განსაცდელისგან!

– რას ევედრები უკვე ძლეულსა?! გასჭირებია თავისიც ყოფა. მოვსპობ! მოისპოს მოსავიც მისი!..

– რამდენი თოვლი აუგია, შენ გენაცვალე! მფრინველს თუ საქონს, ბალღებს, ავადმყოფთ როგორ გავუძღვეთ?!

– და ზედ ახალწლის დღესასწაულნი... რა დროს ზეიმ-ქეიფია, როს ბუნება სტირს, კვნესის, გმინავს?!

– ახალწელიწადს წინად თურმე გაზაფხულზედ ეგებებოდნენ.

– ბედნიერები! თუ მოვა კიდევ წელს გაზაფხული?

– ნუ დამწუხრდები.! მოვა ჩვეულად. დასძლევს მნათობი ბოროტის მთესველს. იმედს ნუ იტეხ, ნუ შეშინდები. აბა გენაცვა, შეამზადე, რაც შეიძლება! კუნძს შემოვათრევ, დავიგზნოთ ცეცხლი: ცივმა სიბნელემ არა გვნახოს ძაბუნებულად, არ წახალისდეს...

სასახლეშიაც ფართოდ იწყეს სამზადისი ახალწლისათვის, მიმლოცველთა მისაღებელად, გასასტუმრებლად, ბევრ მიმლოცველთა: წესი იყო, ჰხლებოდნენ მეფეს, მოესურვათ იმისთვის კარგი, ყოვლის კეთილით აღსავსეობა. დედოფალსაც სეფე-ქალნი ეახლებოდნენ, წარჩინებულ ოჯახების მანდილოსანნი; უკვე დრო იყო, გარშემორტყმულ ყოფილიყო რჩეულ ქალ-რძალით, შიმუნვარებით, მხევალთ სიმრავლით.

– ესრე ჩემო მშვენიერო! ხელმწიფეთ არ შეუძლიანთ მხოლოდ პირადი ცხოვრება კერძოებული. ქვეყნის მოთავედ რომ არიან დადგენილები, მათი ცხოვრება ხალხს ეკუთვნის და საჯაროდ მიმდინარეობს. ვალდებული არის ხალხიც თქვენ გეთაყვანოს, მეფე-დოდოფალს. სიბრძნე მოითხოვს, ლმობიერად მოებყროთ ყველას, თან ხელმწიფურად: უნდა იგრძნონ ლბილ გულთან ერთად ის დიდი ძალა, რომლის სატვირთად შენ ჰყოფილხარ მოვლინებული.

– და ბევრნი მოვლენ, ბატონო დედავ?

– დიდებულთა სახლებიდან მომკითხველნი გვეახლებიან; თუ სიშორით თითონ ვერ მოვლენ; წიგნს, მოსაკითხს გამოჰგზავნიან. გეკუთვნის შენ მოსალოცი წარჩინებულთაგან, მათ სახსოვარი. დიდი ქორწილი ვერ გარდვიხადეთ, რომ მაშინვე გადმოელოცნათ; წესი მაინც მოითხოვს ამას, უსათუოდ შეასრულებენ.

– საზოგადო ზეიმს ბრძანებს მეფე ბატონი?

– არა, დიდი დღე არის ახალი წელი! იმხიარულებს ყველა თვის ჭერქვეშ; ხოლო შემდეგში გაჰმართავენ დიდებულ ნადიმს, ქორწილის ზეიმს დაედრება სამეფო ლხინი. ნუ გეფიქრება, მშვენიერო: თვალს მოსჭრი ყველას, თვით თვალბედითებს, – ეტყოდა დედამთილი

და ასწავლიდა იმგვარ მოქცევას, რომ აჰსახოდა ხელმწიფური მიუწთომლობა, თანაც სიმდაბლე სათნოიანი!

ემზადებოდნენ სასახლეში ბედნიერი დღისთვის, გულღიად კი ვერ ელოდნენ დღესასწაულსა: შავი ეჭვი ასდევნებოდა, გველის ხლართად ედებოდა მათ მოლოდინსა. გულის ყვავილს დაუგესლავდა. იგი ეჭვი სინამდვილეს ემსგავსებოდა, გონების თვალით თუ გაჰმზერდნენ უკვე გავლილ ჟამს: წარჩინებულთ თითქო გაჰბედეს და შეწყვიტეს სასახლესთან იგი კავშირი, რომლის მოსპობის წარმოდგენაც შიშის ზარს სცემდათ; დაივიწყეს სასახლისკენ მიმავალი გზა.

– მაინც კარგი ვქმენ, რომ მაშინვე არ მოვსთხოვე დამორჩილება: დრო მივეცი ჩაფიქრებისა; მსურდა ნელ-ნელა შასჩვეოდნენ სინამდვილედ ქცეულს ჩემს სურვილს. ეხლა სხვა არის: დაჰრეკა ზარმა, მოვითხოვო თაყვანისცემა!

აღარ ისურვა ლუარსაბმა ფიქრის განგრძობა; ჰსურდა ერწმუნა, რომ უკვე განვლო მათ რყევის ჟამმა და ვერღავინ გაჰბედავდა მორჩილობის უარყოფასა: მაგრამ... ქუფრი ლანდები იმედთ სხივზედ არა ჰქრებოდნენ: შორით უმზერდნენ, აკვესებდნენ ზავთიან თვალებს. თვალებს ჰმწუხავდა ხელმწიფე კაცი იმ სახეთა წინ; ალბათ ეგონა განქრებოდნენ თვალთრიდებით ის საზარელნი. დიასახლისიც როდი იყო დაწყნარებული. თუმც არწმუნებდა თავის რძალსა, ახალი წელი მოგვიტანსო ახალს სიკეთეს, მაინც მეტად ეფიქრებოდა, დიდკაცობამ ვაჰ თუ ქედი არ მოიდრიკოსო და აღვივდეს შინაური ბრძოლა ძლიერი.

– თუ სვიმონის ხმალო ერტყას ჩემს ლუარსაბსა, ეჭვებს ადგილს არ მივცემდი მე ჩემსა გულში, მაგრამ მის შემდეგ დაიხარა სამეფო დროშა, მეტად დაკნინდა საბრძანებელი: მოსულმა მტერმა პირუკუღმა აატრიალა ბედის ბორბალი. ჰხედავ აღიძრნენ ქედმაღალნი, იძრახეს ცუდი ცხებულთათვის, დედოფლისათვის. ჩემი მეუღლე... ირანელი ვერ გაჰბედავდა საწამლავით მის მოსპობას და ვერც შესძლებდა, მოენახა თვისნი ერთგულნი და ეხლაც... ალბათ შესძლებენ, დაემყარონ მტრად განწყობილ რაიმე ძალას ტახტის სარყევად, – წარიტყოდა დაბრძნობილი

და ეევედრებოდა ყოვლად შემძლებელს:

– ღმერთო კეთილო! ნუ შეაქცევ ჩვენგან პირსა შენს; მომხედენ ჩვენ დღესა ბოროტსა, მონანი შენნი დაგვიფარენ განსაცდელისგან; იხსენ ცხებული, მიეც ძალა შემართებისა; წარუძღვანე ანგელოზი შენი მებრძოლი!

ახალი სულიც ვერ მოელოდდა გულუბრყვილო სიხარულით ახალსა წელსა, როგორც სჩვევოდა ეს თვის ოჯახში. მუქი ფიქრი ჯანღისავით გადაჰფენოდა მის გრძნობათ სარკეს; კაეშანი დაუქროდა ლამაზ სახეზედ, უფსკრულთა სიღრმე აეთვისნათ მისსა თვალებსა. განცვიფრებით ჩაჰყურებდა მეფე-მეუღლე სულის ფსკერზედც ყოვლის მხედველ მის მეცან თვალებს.

36

თითქო მართლდებოდა მეფის ოჯახის მოლოდინი, რომ ახალი წელი მოუტანდა განახლებას მეფისა და მის დიდებულთ ურთიერთობას. გარმოერტყმოდნენ თვის ხელმწიფეს წარჩინებულნი, ვით მზეს მნათობნი, მისის ძალით დამონებულნი; გულით წმიდით მიიღებდნენ მის არჩევანსა და იტვირთებდნენ მასთან ერთად მშობელ ქვეყნის კეთილს თუ ბოროტს.

თენდებოდა დღე ბედნიერი. მოლარეთუხუცესმა მოართვა მსახურთუხუცესს საზეიმო ტალავარი ბატონ მეფისა, სამშვენებლად ლარი ძვირფასი. მოირთო და მოიკაზმა, მეტად დამშვენდა. მის ოჯახიც ფეხზედ იდგა განმზადებული. სახლთუხუცესმა შეაღო კარო და მიართო აბრამის ტაბლა: ვერცხლის სინზედ მცხვარი ბასილი, ბედისკვერი, აბრამიანი, გოზინაყი, ალვახაზი, ხილეულობა; მოხარშული თავი ეშვისა; ჩოღრათო ღვინით; ზროგანმახული ისარი; წმიდა სანთელი სამსავ მხარესა. მიჰმართა მეფეს:

– ბატონო მეფევ, მოგილოცავ ახალ წელიწადს! სიტკბოება მოგიტანოს ახალმა ხანმა; ფრთაასხმული ისარი გულში ყოველსა შენს მტერს!

მეფემ მადლობა გარდაუხადა. დადგა ტაბლა ხელმწიფის წინ. მიუბრუნდა აღზნებულ ბუხარს, წაუჩინჩხლა, უსურვა მეფეს მრავალსახე სიკეთე ბევრი. ახალწლის კუნძი ბუნჯგალ-ბუნჯგალ გადაშლიდა უთვლელ ნაპერწკლებს: თუ არა ჰშურდა მასპინძლისთვის ჭარბად სიკეთე. მეფემ აიღო აბრამიანი, დააბერა ოჯახის წევრნი. უთხრა მეუღლეს:

– შენითა ვარ მე ბედნიერი, სხივთა ზოლებად მოეფინე შენ ჩემსა გულსა!

აზიარა სახლთუხუცესიც და გადაჰკოცნა. ესე უბრძანა:

– ეს ახალწელი ჩემთვის მეტად ნათელი არის: საქართველოს დედოფალი მიდგა გვერდითა. მსურს შენთვისაც ირჩეოდეს ეს წელიწადი: მიწყალობია შინატეხში სახაზინოდ გადმოსული შანშეს მამული; სამხიარულოდ მოიხმარე საშვილიშვილოდ.

დიდად უამა წარჩინებულს მეფის ბრძანება; მუხლზედ ემთხვია. დაემშვიდობა ხელზედ მთხვევით ახალს დედოფალს. აღელვებულმა ქალთამზემ შუბლზედ შეახო

მოხუცს ბაგე და... ოდნავ შეკრთა: ის თუ ეგონა, უხერხული მოძრაობა მომივიდაო. კარისკაცი ცასა სწია დედოფლის ქცევამ. მეფეც მეტად გაახარა მის მოძრაობამ.

– დიდ დიდებაში სიმდაბლისთვის შემოქმედმა დიდს ხანს გაბრწყინოს! – წარსთქვა მოხუცმა.

მოდღევდა დილა. ეახლა მეფეს ამირთამირი, მიულოცა დღესასწაული, მიართვა ზღვენი შესაფერი თვის ხელთუფლობის. თავის დასაც ეთაყვანა მოწიწებით, როგორც დედოფალს; მაგრამ მაკრინე მხიარულად გადაეხვია თვის საყვარელ ძმას. მეფის სახლმა მოკეთურად მიიღო იგი. უთხრეს ისიც, ვინ მოვიდა იმათთან მეკვლედ.

– ჭყონდიდელის ვალი იყო პირველ მოკვლევა; ჩემს თბილისის სასახლეში უნდა მიმეღო, მაგრამ...

– ნუ დასჭმუნდები, ბატონო მეფევ! მობრუნდება ბედი ჩვენკენა, აგვისრულებს ყოველ საწადელს.

– სასტიკი მოსჩანს ბედისწერა, ჩახერგილი მაქვს მე მისგან კვალი.

– მკაცრს მოვარბილებთ, მოვხრით, მოვგრკალავთ!

– შენს პირს შაქარი!

– შაქარლამაა მშვენიერი. აბა მიირთვი!

– სიტკბოება ნუ მოეშალოს ბაგრატიონთ დიდებულ ოჯახს!

მეფე მეტად გამხიარულდა, როცა ეახლა მას ციციშვილი და თაყვანისცა.

– რა მშვენიერი ხარ-ირემია! სად იშოვნე მოსართმევი ესეთი კარგი?

– გუშინ გავედ სანადიროდ. წიფლიანში მოვასწარი განმარტოებულს. დავიმორჩილე: მოწყალებით თუ დამხედა ქალმა დალმა ოქროსთმიანმა.

– ნადირთა და მონადირეთ გამგე ქალღმერთმა?

– დიაღ, ბატონო!

– მკერდს დაჰსობია ბეჩავს ბოძალი.

შემოვიდა მეფის მზრდელი ბარათაშვილი. თაყვანი სცა წესისამებრ მეფეს, მის დედას. მაკრინეს წინ ყოყმი დააჩნდა. ვერ გაბედა გამოცდილმა წესის დარღვევა და ეთაყვანა. თვალს ადევნებდნენ მის მოძრაობას.

– მეტად მიამა შენი მოსვლა, ჩემო შადიმან! დაგვიძვირე ბოლოსდროს ნახვა, სადარბაზოდ ხლება ჩვენთანა.

– იცოცხლე, მეფევ, მრავალჟამიერ! შენთანა ვარ გულით მე მარად.

იწვიეს ყველანი სადილად. სხვათა მოლოდინში ცოტა შეაგვიანდა ნადიმი. არ გამოჩნდნენ მუხრანბატონი, ქსნის ერისთავი, ამილახვარი, ორბელიანი, მაჩაბელი, ჯავახიშვილი. მოსაკითხითაც არ ახსენეს მეფე ბატონი. სხვებს მოეგზავნათ მოლოცვის წიგნი და მოსაკითხი. წიგნში ნაწერმა არ გაუხსნა შუბლი მოღრუბლულს: ახალი სული როდი იყო იქ ნახსენები; არ მოსწონდათ არჩევანი, ვერც გაებედნათ დაერღვიათ საუფლო წესი. ბრძოლის ლანდი აღიმართა ხელმწიფის თვალთ წინ უკვე ხორცსხმული. ნახა ერთგულნი. ცოტანი იყვნენ, თუმცა კი კარგნი, იმედიანნი.

აღძრულიყვნენ წინააღმდეგ მძლავრნი დიდკაცნი; განეზრახათ, დაეკნინათ ძალი მეფისა, თვის კარნახის მასრულებლად ეგულვებინათ. ჰაზრთა არეში იქნებ იტყოდნენ, დავწყვიტნეთო აპაურნი, დავამსხვრიოთ მორჩილების მძიმე უღელი და ჩვენნი გვარნი ბაგრატიონთ გვარისავით ავამაღლოთო. ეს მისწრაფება აერთებდა მათ საბრძოლველად. ჯერეთ კი უნდა მიექციათ თავის ძალები დასამხობლად იმ ბუმბერაზის, რომელის სულში ასახულიყო: დიდებულთა მორჩილება ტახტის წინაშე, მიწამდინ დახვრა, ჰაზრი სვიმონის!

ნათელი ჰაზრი ხვავიანი თუ არ ჩადის სამარეში მოაზრესთანა, გადადის სხვაზედ; იპოვის, შეჰქმნის თვისსა მტვირთველს, თვის აღმსრულებელს.

იტყოდა სვიმონ:

– გაძლიერდება საქართველო, როს შეერთდება მხოლოდ ერთის მბრძანებლის ხელში. არ დასჭირდება მაშინ იმას, დაუკრას თავი მორჩილებით ყეენს თუ ხონთქარს; შეევედროს ერთმორწმუნე მყინვართ ხელმწიფეს.

ვერ შესძლო თითონ! ასთვისებოდა მისი ჰაზრი მის აღზრდილ ვაჟკაცს.

– ღმერთო ძლიერო! შეაძლებინე ბატონ მეფეს ამ ჰაზრის ტვირთვა, – ნატრობდა გულში სარდალთსარდალი.

37

ბატონი მეფე ახალწლის დღეს იმედით იყო, რიხიანადა: გვერდზედ ახლდნენ ბუმბერაზი სიმამრიშვილი, თვისნი მომხრენი. იმედს აძლევდნენ, გატყდებაო ძალა ბოროტი და უარმყოფნი მოვლენ შენს წინა. და თუ არაო, არც ეს სჩანდა შესაზარავი: ლაშქარი, ხალხი, თანამგრძნობნი დიდკაცთაც შორის, სამხედრო ნიჭი ამირთამირის სანუგეშო წინდი იყო გამარჯვებისა.

– დროებითია მათ უარობა, ბატონო მეფევ: დაინახავენ, რომ შენთან ყოფნა მხოლოდ არის ქვეყნის იმედი და მორჩილებას განგიცხადებენ.

– მოგახსენო, მეფეთ მეფეო: ხალხს უხარიან ბედნიერი არჩევანი და შეუღლება. ჩვენს ხელმწიფეს თვალში ჩინი კარგი ჰქონია და ძლიერი შორსმჭვრეტელობა; დედოფალი ჩვენთან მეფეს დაახლოვებს: გიორგის და იმის ოჯახს საწყალი ხალხი ებრალებაო, – დასძინა ბააკა ხერხეულიძემ.

– ხალხი ნამდვილ ჩვენსკენ იქნება: ზოგიერთი თავადები სულს უხუთავენ. ყმა არის გლეხი, მაინც კაცია! – წარსთქვა გიორგიმ.

– კიდევ მსმენია გლეხთ დიდი დრტვინვა. რას ჰნიშნავს ესა? კანონო არის, ვის შეუძლიან მის გარეშე ძალის მიტანა?!

– კანონი, მეფევ, მხოლოდ მაშინ იჩენს თვის ძალას, როცა მარჯვენა სდარაჯობს მძლავრი: უნდა ახსოვდესთ, რა მოელის კანონის მრღვეველს; უნდა იცოდნენ, რომ ბატონ მეფეს ხელთ უბყრია ცეცხლის მახვილი ცოდვილთ შემწველი, კეთილთათვის გზის მანათობი.

– ძალა... უნდა აღსდგეს ძლიერება ქართველთ მეფისა! მაგრამ... განა დრო მითხრობს ყოველ მხრიდან შეიწრებულსა?

– ჟამი იბრუნებს მოღიმარ პირს მხოლოდ იმისკენ, ვის ხელში ჰნახავს ძალსა ძლიერსა, მისის ბრძანების აღმასრულებელს, – მოახსენა იოსებ კანდელაკმა.

ლუარსაბი ადრეცა გრძნობდა, რომ ბრძოლა სააკაძისა და წარჩინებულთ შორის არ იყო მხოლოდ პირადი მტრობის ნაჟური; ალღო ეტყოდა: ამ უძინებელ განხეთქილებას საფუძვლად ჰქონდა ფართო ჰაზრი თუ მისწრაფება. ამას ცხადჰყოფდა თითონ მებრძოლთ შემადგენლობა: ერთს მხარეს იყვნენ დიდდიდებულნი, მეტ აღმატებას მოტრფიალენი; მათ წინააღმდეგ აზნაურები, მდაბიო ხალხი; იყვნენ დიდკაცნიც მოხიბლულნი გმირის ქველობით; ამოქმედებდა სხვებს კავშირი ნათესაური. იგი ბრძოლა სწარმოებდა ჯერ იდუმალ და მზეჭაბუკიც არ აქცევდა დიდ ყურადღებას. ეხლა, როცა მისმა ტრფობამ დაჰხარა იგი გიორგისაკენ, წინააღმდეგთ ვერ დაჰფარეს თვისი ჭვანგები და თვით მეფის სასახლისკენ გაიწოდეს ტოტი მებრძოლი. საჭირო იყო, ჟამიც უთხრობდა, მოეზომა სამძიმო საქმე და ჩასდგომოდა სათავეში ერთ-ერთ დარაზმულს; ან თავს დაევლო ორივესთვის და დაემონა. ესეთი ქცევა მოითხოვდა მისგან დიდს სიმხნეს, მარჯვედ ზომვას, თავის განწირვას, მას კი...

– უჰ, რა ძნელია ტვირთი მეფეთა! მარადი ზრუნვა, ფიქრი მძიმე, ყველგან სიფრთხილე. ბედნიერია ხელმწიფეზედ მის ქვეშევრდომი, ვისც შეუძლიან იყოს ტკბილად თავის ოჯახში, იცხოვროს მშვიდად, – იტყოდა მეფე

და ჰყოვნიდა, არა ჩქარობდა: არა ჰკარგავდა მიხრწნეულს იმედს, რომ ჟამთ მსვლელობა თვით გახსნიდა ჯადო ნაკვანძსა და განაბნევდა ქუფრსა ლანდებს ისე საშიშრებს. თითქო იმისთვისც არ ენება ბრძოლის დაწყება, რადგან ჰხედავდა: ატეხილ ბრძოლის პირველ მსხვერპლად შეიქმნებოდა მზეთუნახავი დედოფალი მისი გვირგვინი.

– ნუ გეფიქრება, მშვენიერო! შენი ვაჟკაცი არვის მისცემს, შენს თავს საჩაგვრად, მძლავრი რაინდი უშიშ-უხინჯო.

– მეფეა იგი: ვაჰ, თუ სამეფო საზრუნველმა სხვა ხმა ასმინოს.

– ვით შეიძლება?! წყნარად იყავ, დამშვიდებით, ჩემო სულისდგმავ!

მაგრამ... ვერ იყო მშვიდად მეფის სულისდგმა: მისი მშვენებით მეფის მოხიბლვამ აასწრაფა საშიშრობის მოახლოვება, რომ მოდიოდა ბედისწერად, მოაბიჯებდა. სისხლის მსმელი ბოროტება ჯერეთ შორსმყოფი არ მოსჩანდა ისე პირბნელად. დაახლოვდა იგი მძვინვარე. მის პირის ქარი საგრძნობ იქმნა სასახლისათვის, ჯოჯოხეთის სუნთქვა მისი კვამლავარდნილი. ვერ იქმნებოდა ქალთა მზე დინჯად. იცნობდა უკვე იგი მზეჭაბუკს: ჟინის გადაღმა მის არსებაში ლანდივით იდგა ძვალბზარული მის ნებისყოფა, დიდ ბრძოლისათვის უსადეგი, შეუფერები.

– იქიდან მოდის მისი ჟინი აფეთქებული, რომ იცის თვისი ნების სილბო და ეშინიან, საბრკომელი რამ ძლიერი არ აღმოჩნდესო. დიდებულია საქართველოს შეერთება ძლიერ სკიპტრის ქვეშ, მაგრამ განგებამ მე მომიხმო ამ დიად საქმის ასაჩქარებლად და მედარდება: პორფირის კალთა ჩემის მეუღლის ვერ გადასწვდების საქართველოს კიდით კიდემდინ.

38

ჩაიარა ახალწლის ხანმა; მეფეს, მის ოჯახს იმედები ვერ აუსრულდათ; უფროც უხშირა ზრუნვა ძნელი თუ კაეშანი, მეტადრე ქალებს. სეფე ქალნი არ ეახლნენ, არ სცეს პატივი: ალბათ უარჰყვეს დარბაზობა, მოვალეობა; ახალ დედოფალს არ იწყნარებდნენ, დიდ დედოფალსაც პირს არიდებდნენ.

– რა სათქმელია?! ვით უფლისწული მიუღია შიოშას ქალი.

– თილისმა თუ რამ გამოჰყვა მეცანთ კერიდან.

– ჩვენზედ ხომ ვერ იმოქმედებს იმისი ჯადო.

– მაინც არ მესმის და არც მომწონს ეს ჩვენი ქცევა: სასახლიდან ჩვენი თავი ჩვენვე განვდევნეთ.

მართალს იტყოდა მანდილოსანი. უხერხულ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ დიდი დედოფლის მეგობრები, სეფე ქალები. მეტი გზა კი არა ჰქონდათ: მხარი უნდა დაეჭირნათ თვის კაცებისთვის. ახალ დედოფალს რომ ჰხლებოდნენ, ეს არა ჰსურდათ; დიდი დედოფლის ცალკე ნახვა ვერ ხერხდებოდა. თუნდ გაეწვიათ მხოლოდ იგი, არ ეწვეოდა, წაბრძანებას არ ინებებდა. აწუხებდა ეს ამბავი მაკრინეს გულსა; ის გაეხადნა საფიქრებელად, დედამთილისთვის აეცდინა ეს დამცირება. ვერაფერი ვერ მოაგვარა. რა შეეძლო ვარსკვლავს მოყოლილს განგების გრკალში?! მას აბრუნებდა უტეხ ძალით ცათა ტრიალი, მიაქანებდა ბედისაგან მოვლებულ წრეზედ. განიზრახა მცირე ხნობით ძმასთან გახიზვნა; ვერც ეს მოხერხდა.

– შენი წამოსვლა სასახლიდან თუნდ ცოტა ხნობით მტრებს გაახარებს; ესე იტყვიან: მოიწყინა მეფემ ქალი და განდევნაო. ხმას ავრცელებენ, ჯვარუწერლად უზის ცოლი, გაეყრებაო.

– ხომ სიცრუვეა! ქვეყანამ იცის...

– მტერმაც იცის სიცრუვე თვისი, მაინც არ იშლის.

– მაშ რა ვქმნათ ეხლა?

– განგების გზას მივსდიოთ მტკიცედ! წმიდა ჰაზრი მიგვიძღვის წინა. დედოფალი ხარ საქართველოსი ზეცით რჩეული. მახვილი მიბყრავს ამოწვდილი სამეფო ტახტის ასამაღლებლად. გვებრძვის ბოროტი. ვერ დასთრგუნავს ბნელი კეთილსა; საბოლოოდ გაიმარჯვებს ქუფრზედ ნათელი!

– მხოლოდ იქამდინ, ვიდრე ივლი ნათელ გზაზედა! – შემოესმა შორით გიორგის

და მყის იყუჩა; ფერმა გადაჰკრა.

– რა იყო, ძმაო, გენაცვალე? ცუდად ხომ არ ხარ?

– ვერ გაიგონე?!

– შენს გარდა აქ არვინ არის, ჩემს გალიაკში. შარბათს ვუბრძანებ.

– არა, არ მინდა! ხმა უცნაური...

– ხატის ხმა სწვდება შენს მახვილ სმენას, სალოცავისა. იდიდოს იგი, მფარველი ჩვენი! შევუთქვათ მსხვერპლი, ღამის თევა, ძმავ საყვარელო!

– მსხვერპლი ძლიერ ხატს... ღამის თევა...

– შეთქმულიცა მაქვს. ზაფხულში მოდის მისი დღეობა. ჩვენ დასკვნილი გვაქვს თქვენთან ერთად ვიმხიარულოთ მწყალობლის კარსა.

დაფიქრებული წამოვიდა ამირთამირი. უმძიმესი საზრუნველი აჰყოლოდა უყოვნებელი; თვისკენ მიებყრო მის გონება, მთლად მიეზიდნა.

– შემართება უდრკომელი, ბრძოლა ბოლომდინ; წყობა სასტიკი! შენს გარშამო გრიგალივით ტრიალებს ავი, დედოფალო, დაო ძვირფასო! საწყალი ქალი განგებისგან ჩვენს ბრძოლაში ჩამოყოლილი! ნუ გეფიქრება: ვერ შესძლებენ ჩვენს დამდაბლებას! არც ისეთი ძაბუნნი ვართ და უმწეონი. ჩემს ხელთ არის მთელი ლაშქარი; ჩემგან ელის ხალხი შველასა; გარეშენნიც გვყვანან დამხმარნი; შენი არის ხელმწიფის გული. არსად სისუსტე, არც წამს შეკრთომა! განწირულ ომში მცირე რყევა შენი თუ ჩემი გასტეხს განზრახვას, დაგვღუპავს ყველას, თითონ მეფესაც!

– თითონ ხელმწიფეს, ჩემს ლუარსაბსა?!

– მებრალვის მეფე: აწუხებს მეტად აჩრდილიც ბრძოლის, აკრთობს, აშინებს. სად ხარ, მებრძოლო სულო სვიმონის? დაივანე მის ძის ძეში, რომ მოსპოს მტერი, შინ მობრძვავი, გარით მომმზირი.

– აღზდეგ, აღმართე ცეცხლის ხმალი რვალის მკლავითა! ნუღარა ჰყოვნი!

– საქართველოს სული მიხმობს, ბრძოლად მიწოდებს. გისმენ, მოვდივარ, ხატო ძლიერო!

ამირანის ტბათვალები აცეცხლებული. ღრმავდებოდნენ შუბლის ღარები. ჟინმორეულს ნესტოები უთამაშებდნენ. მის მარჯვენა შეუგნებლად სწურავდა ხმლის ტარს... გადუარა ბრძოლის აღგზნებამ. დაუწყნარდა თვალთ მეტყველება. გადაისვა სახეზე ხელი.

– განგებას რომ შეჰბრალებოდი, ის აჯობებდა: ვაჰ, თუ გადიფშვნა საროსავით ამ ქარტეხილში. მაგრამ აღსრულდეს, რაიც ჩვენზედ მოსასვლელია! ბედის ზვირთებზედ დავქანაობთ, ვით ნაფოტები...

ფიქრნაჭარბი გმირთა გმირი მომავალს ჰმზერდა:

– ცის ტატნობზედ ცვალებადი ღრუბელი ბნელი. სწრაფი გრიგალი ულოდნელი ჩვენსავე მხრიდან. ღმერთო ძლიერო! მომხრეები, მისანდონი მეტად მჭირიან. სად ხარ, გოდერძო? ბედმა სასტიკმა შენც გაწამა, რკინის ჭაბუკო! მეუბნებოდი, დიდ ბრძოლებში შენთანვე ვარო. წამოისწრაფე! ხომ გიბრძანებს გული გრძნეული?

39

– ძლიერ გაკვირვებული ვარ, ვაზირო ჩემო, რომ აქამდისინ არავითარი მოლოცვის წიგნი არ მომსვლია სხვა მფლობელთაგან ჩემის ქორწინების შესახებ. მე ვბრძანე, წესისაებრ გეცნობებინათ ეს ამბავი ყველასათვისა.

– მდივანთუხუცესს გარდავეცი, ხელმწიფეო, ბრძანება შენი. უსათუოდ შეასრულებდა.

– და თვალყური არ ადევნე, ვით შესრულდა ის ჩემი ნება?!

სდუმდა შადიმან. მისი დუმილი კეთილს არას მოასწავებდა; ჯიქებული მისი სახე ბოროტს ჰხატავდა. მეფემ შენიშნა და აენთო, რისხვით აღტყინდა.

– როგორ?! ბრძანება ჩემი არ სრულდება წესისაებრ და ისიც ვისგან? კარისკაცთაგან, დიდებულთ მიერ. ჩემმა სილბომ თუ დაავიწყა, რომ მონანი არიან ჩემნი, ბრძანებათა აღმასრულებნი!

– გეტყვი გულახდით, ბატონო მეფევ! ვინ შემოგბედავს ამ სიმართლეს, თუ არ აღმზრდელი?! თქვენს დიდებულებს თქვენ სამსახურში ოფლით, სისხლით უპოვნიათ თვის წარჩინება; დაიმსახურეს ტახტის წინაშე. ეხლა შენ...

– რაო ეხლა მე?

– შენ უკუაგდე ყოველივე მათ წარმატება: უჩინარი აირჩიე მათ მბრძანებელად, ვინმ აზნაური, ხოლო მის დაი დაამყარე მათ ქალბატონად, დედოფლად მთელის საქართველოსი.

– მისთვის აღარ მეახლებიან? ჰსურთ თვის ნებაზედ წარმართონ სვლა მეფეთმეფისა, ჩემის ერის მრთელი ცხოვრება? ვერ ეწევიან! ჩემს ხელთ არის განდიდება თუ დაკნინება. მივაგებ ყველას მისაგებელს! – წარსთქვა მეფემა

და ბრძანა მდივანთუხუცესის მყის მოყვანება.

– აცნობე ყველას თავის დროზედ ამბავი ჩემის შეუღლებისა?

– განვლო ხანმა და მაშინღა შევატყობინე: ავასრულე განკარგულება.

– ხანმა განვლო? განკარგულება?!.. პასუხი მათი?

– ზოგიერთის გახლავსთ პასუხი: დადიანი...

– მე რად არ ვიცი?!

ხელთუფალმა დაღუნა თავი; ვერ შეჰბედა სიტყვა მეფესა. შადიმანი შეყოყმანდა, მაინც გაბედა:

– მკაცრ სიტყვასა სწერს დადიანი, მთლად უფერებელს. ვერ გავბედე ჯერ მოხსენება. ესე ვფიქრობდი: შემდეგ სჯობს ვამცნო, როს დაცხრება მის გატაცება, რომ...

– კმარა! – წარმოსთქვა მეფემ

და უბრძანა ეცნობებინათ იგი პასუხი.

დიდად დაფიქრებული გამოვიდა შადიმან დარბაზიდან, თითქმის შემკრთალი: აღარ სჯეროდა, რომ დასცხრებოდა მზეჭაბუკი თვის ახალ სულის სიყვარულიდან. მაშ გაუცუდდა თვის მოფიქრება, რომ ჟინდამცხრალი ვაჟკაცი ისარგებლებდა ქორწინების უფერებელ გარემოებით და უარჰყოფდა ქალსაც, მასთან

ჯვარისწერასაც. ამაოდ ეცადნენ, რომ კათალიკოზს უჯეროდ ეცნო ქორწინება ბატონ მეფისა; უაზრო იქმნა გავრცელება სხვა ყალბი სიტყვისც: ჯვარისწერა ქვაბთახევში არ მომხდარაო. მეფე განაგრძობს ქალისადმი მიჯნურობასა და აღიარებს კანონიერ დედოფლად იმას. კიდეც რისხდება, მეხს დავატეხ უარმყოფელთო. ძალა თუ იგრძნო თავის ხელში იმედიანი. მოყვრებმა თუ შთააგონეს ესეთი რწმენა.

– მაშ შემეშალა ანგარიში?! საკვირველია. ვინ იფიქრებდა, ისევე არ გაუშვებდა შიოშას ქალსაც, როგორც მისცა დავიწყებას სხვებიც მრავალნი?!

თუ ესე მომხდარიყო, ეს ამბავი დიდმოურავს დააკნინებდა. ეხლა სხვა იყო. არ შეიძლებოდა საქმის ესე დატოვება. დიდკაცობა მტკიცედ დასდგომოდა უარყოფის გზას და ეს შადიმანისვე შთაგონებით, მეთაურობით. ბოლომდისინ უნდა მიეყვანა დაწყებული ბრძოლა. მცირედაც ყოვნა და გაიმარჯვებდა გიორგი: ჯარი, ხალხი იმის ხელში; დედოფალი მისი დაი; მბრძანებელი მისი სიძე მისკენ მიხრილი. ჟამთა სვლაში ტახტის მემკვიდრეც მისი დისწული.

– არ შეიძლება! ჯერ ისე არ დაძაბუნებულა, გიორგი ჩემო, დიდებულთ დასი, ვერ გარდგიტეხოს ხმალი ვადაში. მაშ... უნდა მოვღუნოთ ბედის გრკალი ურჩის გარშემო, გავსწუროთ ხლართში და მოვაშთოთ მის ჯილაგი, მისი ხსენება!

– და თუ მოითხოვს ჩვენი ბრძოლა უფრო მეტს მსხვერპლსა?

– არ შეიძლება შედრკომა თუ შეყოყმანება! მეფე ცხებული მისთვის არის დადგენილი განგებისაგან, რომ უპატრონოს ზეცით ნაკურთხ წეს-წყობილებას.

– და თუ ვერ შესძლებს?

– გასწირავს ღმერთი და... უბრძანებს ახალ სამოელს ახალ რტოის აღმოჩენას აღსამაღლებლად!

40

დადიანის წიგნს ეტყობოდა სხვათა გავლენა. მოკითხვით იწყობდა, მეფის სალამით თანასწორ მეფესთან; შემდეგ განცვიფრებას გამოსთქვამდა მომხდარ ამბის გამო. ესე ეწერა:

...თქვენი ქორწინების ამბავი მემცნა. განსაკუთრებულ პირობებში თუ მოხდა იგი. უნდა მცოდნოდა მე ეგ თქვენი დაწყებილობა: ჩემ სახელმწიფო სახლთან ჰქონდა მაგ საგანზედ თქვენს საბჭოს მიწერ-მოწერა. დარწმუნებული ვარ, არ იქმნებოდა საქმის ვითარება იმ გვარად მოწყობილი, რომ მოყივნებულ იქმნას ჩემი სახელი...

შემდეგ ისევ მოკითხვა ეწერა ხელმწიფისა ხელმწიფესთანა. სხვა მეფეებს თუ მთავრებს ან სრულებით არ მოეწერათ, ან შეუსაბამო პასუხი იყო, მეფისათვის შეუწყნარები. მეტად სწყენოდა კახთა მეფეს ლუარსაბის მჭიდრო კავშირი დიდმოურავთან: იმან იცოდა, რა ჰაზრი ამოქმედებდა გიორგის და ეშინოდა, ის მისწრაფება არ ჩაუნერგოსო ლუარსაბს; მაშინ ადვილი შეიქმნებოდა თეიმურაზის შერყეული ტახტის მოსპობა და კახეთის ქართლთან შეერთება. შაჰ-აბაზი დაუდასტურებდა ამას: მას მეტად სძულდა კახთა მეფე, რუსთ მოტრფიალე თეიმურაზ, ირანის მტერი.

– იცნობს შაჰი სააკაძეს, იმის უნარსა: იცის, რომ იგი სპარსეთისკენ უფრო იხრება და შესაძლოა შეიკავშიროს მეფე ლუარსაბ, გააძლიეროს და იმის ხელით განამტკიცოს ჩრდილო საზღვარი. თეთრი ვეშაპი ირანის ლომს შიშის ზარსა სცემს, – იტყოდა თეიმურაზ

და მის ნათქვამს თითქო ადასტურებდა ფერი-ლეილა თავის უსტარში. ყეინისაგან სიტყვა არ იყო, ქალი ძმას სწერდა მხოლოდ თავისით. გიორგის დის

წინააღმდეგ არრას იტყოდა. მაინც ეწერა: მზია ქალი გვყავს აქ შენთვისა; გაამქრალებს იგი ტურფა ყველას მშვენებას და შეგძენს მეტსაც ბრწყინვალებას ირანის გვერდზედ. ლუარსაბი ვერ მიმხვდარიყო ვისზედა ჰსწერდა: მხოლოდ ჰხედავდა, რომ ყეინი ფიქრობდა მასზედ და მის ჰაზრთ გრკალში მისი სახეც მოჰყოლოდა განზრახულის მისაღწევადა.

– იქნებ ჰგონია ბედნიერ შაჰს, რომ ჩვენც ისეთი სვესრულები ვართ, როგორც თითონა, და შეგვიძლიან მეუღლედ მოვიყვანოთ იმდენი მშვენიერი, რამდენიც კი თვალთ წარგვტაცებს და მოგვსურდება. იმისთვის თუ მწერს ჩემი დაი, შენთვის სხვა ლამაზიც აგვიჩენიაო.

– ფრთხილად, მეფეო! კარგად იცის შაჰ-აბაზმა ჩვენის სჯულის მკაცრი წესები.

– მაშ?!

– იქნებ შემოგზღვნას ხალვათი სჯული წუთის ყოფასთან შეწყობილი, შეგუებული. მაშინ სხვა ტურფაც კანონიერ ცოლად გერგება.

კავკასიონის სხვა მბყრობელებიც გრილად გამოეპასუხნენ ბატონ მეფესა. იქნებ ისინიც არ აძლევდნენ ამ ქორწინებას რამ მნიშვნელობას. ზოგმა სულაც არ ახსენა ქართველთ ხელმწიფე: არ წარმოგზავნეს დესპანები, არც წიგნი თუ მოსაკითხი. იქნებ სიგრილე იმ წყენითაც აიხსნებოდა, რომ ისინი ქორწილის ჟამს არ მოიწვიეს. შესაძლო იყო!

ყველაზედ მეტად აფიქრებდა მეფეთ-მეფეს პატრიარქის ძნელი დუმილი. ბესარიონ არ აახლა არც ერთი სიტყვა ამ ამბის გამო; საჯაროდ ეთქვა: მეფემ სათნო ჰყო იმ ქალის ცოლად მოყვანება და არა თუ დედოფლადაო განცხადებულად. ეკლესია ემხრობოდა ამ საქმეში დიდდიდებულებს: ჯვარისწერას არა სთვლიდა კანონიერად. ამას ისიც ადასტურებდა, რომ კათალიკოზმა არ გამოსცა გუჯარი მაკრინეს დედოფლად ხსენების შესახებ, არ დაუგზავნა თავისი ბრძანება ხუცესთა ეკლესიისათა.

ამან ყოველმან მეტად შეაფიქრა ხელმწიფე. მტერი ბევრი აღმოჩნდა; მათ აერთებდა შიში ტახტის გაძლიერებისა. ეს შიში ზიარი იყო სახელმწიფოს ფარგლებში მყოფ ყველა დიდებულებისათვის, მოსამზღვრე მფლობელთათვისაც: მტრულად უმზერდნენ ყველანი მეფეს. ბოროტი მათი გრძნობა მეტ მოქმედებაშიაც აისახებოდა, ოღონდ კი სადმე დაწყებილიყო საწინააღმდეგო მოძრაობა. გარედან მოსულ მტერს ბევრი მისცემდა ხმას შიგნიდან, ხელს შეუწყობდა. იქნება ბრძოლას დადიანი ჩასდგომოდა სათავეში: შეურაცხყოფილადა სთვლიდა თავის თავს. სხვებიც ხელზედ დაიხვევდნენ ამ გამოსვლას და ეცდებოდნენ მსწრაფლ დაეძლიათ ლუარსაბი, სანამ აღჭურვას მოასწრობდა მათ დასამხობლად.

– ამ ბრძოლას თითონ შაჰ-აბაზი დაადასტურებს, თუ ლუარსაბმა არ უსმინა მას.

– დააკნინებს შინაბრძოლა ქართველთა ძალას, გააადვილებს შაჰინ-შაჰის მისწრაფებასა.

– რომელ მის სურვილს?

– რომ თვით ჩაკეტოს მთების კარნი თეთრ მტრის წინაშე, თუ ქართველთ ეს ვერ მოახერხეს.

41

გავიდა ხანი, ცუდი ჟამი ბნელის მძლავრობის. დაბრუნებული მზის ალერსი სურვილით მიიღო გულგაღებულ მიწამ მშობელმა. გაჟიებული ნიადაგი დიდ

მისწრაფებას იჩენდა სიცოცხლის სამრავლებლად. აღმოცენებულიყო მრავალი ღივი ნაზის ტრფობისა, ნეტარ თბობისა. ახმაურდა ნაკადი, ღელე: მთაში დამდნარ თოვლს გაელაღებინა ისინი და ძალთ სიმრავლით ჩაირბენდნენ, ჩაიმღეროდნენ. იგრაგნებოდა მტკვარი ძლიერი, გულაღსავსეს ვერ იტევდნენ ნაპირ-ბექები. ირთვებოდა მიწის პირი გაღიმებული, ყვავილებით ორხოსავით იქარგებოდა. მაღალ მთების კალთებიდან ჩადნა ნამქერი. ამწვანებული ტყე თუ ჭალები. ხმაურობა სიცოცხლით სავსე. ბაღ-ველიდან მონაბერი სუნნელებაი. ზე ცა იშვებდა, ქვე ქვეყანა გაღვიძებული. დამდგარიყო აღვსების ჟამი: ბნელისაგან ვნებულ მიწის მკვდრეთით აღდგომის. აღორძინება; სიცოცხლის ძალთა მიმოდენა; ღიღინ-ღიმილი. ყოველი დღე აახლოვებს დიდებულს მნათობს, ზე ამაღლებულს, აძლიერებს მის ბრწყინვალებას. აღტყინების ტურფა ჟამი; ჭაბუკურ შვების.

იშვებდნენ და იხარებდნენ მეუღლენი შეთვისებულნი. მეფეს მძლავრად იზიდავდა გრძნეულ ქალის ხორცთა სიმდიდრე, ულევ ვნებად გარდაქმნილი, გარდაფურჩქვნილი. მისი სულის სიფაქიზეც ჰხიბლავდა მას თავის სინათლით. იცნობდა იგი მზეჭაბუკი ქალთა სიახლეს, განცდილი ჰქონდა მრავალგვარი მათი ტრფიალი; ქალთამზე მაინც ახალსახედ ეჩვენებოდა: მორევებად მოხაზულნი იმისნი თვალნი უღრმესნი იყვნენ; მუნით მჭვრეტი მისი სული ძლიერებით უსაზღვრელი უფსკრული იყო. ახალ-ახალ მარგალიტებს პოულობდა იმათ ფსკერზედ შეყვარებული; გრძნობათა ტალღებს პირად-პირადი გოჰარ-საუნჯე გამოჰქონდათ ქალის გულიდან; მის გონთა არეს მოჰფენოდნენ მოციაგე ფიქრთა ყვავილნი; მისი ნაზი ნებისყოფა გრკლად მოხაზული უწყვეტი იყო, მტკიცედ ნაბეჭი. მოჰქონდა ღამეს ალერსთ სახე ახალ-ახალი. საწერტელი ხრწნილებისა ვერ ჰმწიკვლავდა მის სხეულთ ნაქვთებს. ვერ თუ ამღვრევდა ნდომათ ლექი სპეტაკს სულს ძლიერს.

– არ გეკადრება, გენაცვალე, ხორცთა ხრწნილება; უცოდველ ხარ ლამაზ ტანით, სულითაც წმინდავ! გულს ვერ ვიჯერებ ვერასოდეს შენის ალერსით; რა მოგშორდები, მყის მივმართავ ჩემს თავს და ვეტყვი: არ ჰყოფილხარ მის მახლობლად არც ერთსა წამსა!

– გიყვარვარ უკვე და ეგ იმისთვის. მეც შემიყვარდი!

– ჩემო ლამაზო!

– წინად კი...

– არ თუ გიყვარ...

– მაკრთობდა შენი სიახლოვე: ვერ ვკითხულობდი შენს თვალებში წრფელ მიჯნურობას.

– აწ დაგტრფიალებ, სულზედ უტკბესო!

– მაინც მეშინის: შენს თვალთა ფსკერზედ მეხატება სახე საზარი.

– რად მეტყვი მაგას, სატურფალო?! განაძე შიში!

– ჩემად არ ვკრთები: ავიტან ბოროტს; შენდა მეშინის.

– ნუ, დედოფალო! ჟამია, განქრნენ შენ თვალთაგან ქუფრი ლანდები!

მოშურნეებს რომ ეგონათ, ქალს მოიწყენსო, გაიგრილებს მდუღარ ვნებებს და გონის თვალით შეაფასებს თვის მოქმედებას, გაუცრუვდათ ეს იმედები: გულსავსობით ეტრფიალა მეუღლეს მეფე; მისი გრძნობა იზრდებოდა თანისთანადა. მაინც ისარი გულს განწონილი! აკვირვებდა მეცანის სიტყვა: თვის სულის ფსკერზედ თვითც ჰხედავდა მოცურავ აჩრდილს და ის საზარი არ კი ჰქრებოდა, უფრო მკვეთრად ისახებოდა. მძლედ მოზიდული ხლართები მოქნილი ტანის. ახლოვდება, მოიგრაგნება! თეთრი თვალები, გამყინავი მათ შემოხედვა.

– ხმალი ჩვენებას, ცეცხლის დაშნა ზეცით ნაკურთხი!

გაიბრძოლებდა, გაავლებდა ხელს თვის მახვილსა, მაგრამ... ეჭვი მგესლავი; ადუნებდა მის მარჯვენას რყევა უფერი. ხორცშესხმული მოჩვენება თუ ჰბზარავდა მის ნებისყოფას.

– შევებრძოლები ყველა შენს მტერს, შენსა თუ ჩემსა! შევმართავ მკვეთრად და გულს განვუპობ!.. ახ, მერმე, შემდეგ, – ეტყოდა გულში

და ჩაიკრავდა ცოცხალ ზამბახს, ეკონებოდა.

– სულისდგმავ ჩემო, ჩემი ყოფის სიხარულად მოვლინებულო! – ეტყოდა ტკბილად

და თვალებში შეჰყურებდა შეშინებული, ხომ არ მიჰხვდაო ჩემს გულისთქმას ქალი მეცანი.

– ერთი მადარდებს: ჩემს გვერდზედ მყოფი, ჩემს უბეში ჩაკონებული, წამს დაჰღონდები, ჩაიფუფქები. რა ღრმა არის შენი დარდი ჩემთვის უცნობი! რა ლამაზი ხარ სევდის ფრთის ქვეშ მიუწთომელი!

– შენსავ თვალთაგან მეწურება დარდის წვეთები.

– ჩემ თვალებიდან, სატურფალო მეცანო ჩემო?!

– ჰო, აჩრდილს ვხედავ შესაზა...

– თუ უკვე ხორცსხმულ ბოროტ არსებას?

– ვერ გაუძლებს სული ჩემი მის სიცხადესა, ვერ აიტანს ტანი ჩემი მის მძლავრ ხლართებსა!

– ჩემი სურვილი განმტკიც... ეგ რა ღიმს ვხედავ მარჯნის ტუჩებზედ? ჯოჯოხეთის ძალთა სიცილი, თუ გაშუქება სამოთხიდან ნატყორც იმედის?

42

იგი აჩრდილი, რომელი დასცურავდა ლუარსაბის სულის ფსკერზედ და ჟამითიჟამად ტივტივდებოდა, საჩინარად ისახებოდა, მის ნამზნევ ნებისყოფისაგან ნაშობი ეჭვის სახე იყო. ჟინით ძლიერი ვაჟკაცი მოუთმენელი მოკლებული იყო გამწევ ძალას სურვილისა, იმ დაუღალავ შემმართებლობას, რომელი მისდევს შესაბყრობლად ცის ტატნობზედ აღმოჩენილ სინათლის ნიშსა, მიაბიჯებს წარბუხრელად, მიესწრაფება; მიდის, მიარღვევს უჩქარებლად ყოველს საბრკომსა; გასტეხს, მოუვლის, ვით ფრთიანი გარდაევლება; მიაბიჯებს ქვედდახრილი ჩხამომარჯვებით: ან მიაღწევს თავის საწადს, ან დაინთქმევა. სიკვდილის გესლი როდი მწარობს მის უტეხ სვლაში.

– მოუვლენივარ საშიშ დროში გულცივ განგებას; მებრძვის სასტიკად ბოროტება ვითა ვეშაპი. ძლიერ წყობაში მე შემომმზერს ჩემი მეუღლე, ჩემი კერა, სამფლობელო, მთლად საქართველო. მე კი... ახ! სულის ფსკერზედ მომცურავი ქუფრი აჩრდილი...

– მომეახლე, საყვარელო! მსურს ვიამო, ვინუგეშო შენის ხატებით.

– თავს შემოგევლე!

იყო წამები, იღვიძებდა მეფეთ მეფის არსებაში ძალი უტეხი ხალხთ მმართველისთვის უცილებელი, რომ მძლედ ედგეს სათავეში ერთა ცხოვრებას და გზას უკვლევდეს ტეხილ აწმყოში თუ ბნელით მოსილ მომავალში გაურკვეველში. წუთიერად ეგზნებოდა იმისი ძალა, მალევ ქრებოდა. მნათობნი წუთნი მრავლდებოდნენ მის არსებაში საიდუმლო ზეგავლენით თანამემცხედრის. თვითაც შენიშნა ეს მძლე ძალა ნაზის არსების: იმის მახლობლად სხვანაირად მსჯელობდა იგი, სხვა სახით გრძნობდა, სხვა სურვილით ივსებოდა მის ნებისყოფა: დიდებულ

საქმეთ სასრულებლად იგულვებდა თავისსა თავსა, მზიურ მოქმედად, რომლის სახელი რჩება სულში ხალხისა, მის მადლიან გულის ფიცარზედ. და იმ წუთებში საადვილოდ მოსჩანდა მისთვის იმ ნათელ გზაზედ მძლედ სიარული. ცხოვრების დენას თვით მიეცა მისთვის ის ჰაზრი და მხოლოდ სთხოვდა თავდადებას მის გასატანად.

– გევედრები: აითვისე დიდი ანდერძი, შედექი გზაზედ ნათელ დიდების; განიმტკიცე მბრძოლი მარჯვენა! ჰა ბუმბერაზი შენდ სამსახურად; ეჰა ქალთამზე: მისი ალერსი დაგიყუჩებს ხმლის კვალთა ტკივილს, მისი შეხედვა განგამხნევებს თვით ღონემიხდილს, მის სიხარული აღგამაღლებს გამარჯვებულსა. წინ ხმალმოწვდილი!

– ძნელი გზა მოსჩანს!..

– ერთადერთი სავალია პირშავ დევისკენ, რომ უფლებია უკვდავების წყალს მაცოცხლებელს!

– მაინც საძნ...

– მეფეო, მეფევ, გევედრები, მომიბყარ ყური! ისმის გმირის ხმა: ჩამიშვით ჯაჭვით ალიან მთხრებლში, მოვკვეთო თავი ძაღლპირ მავნესა!

– ჰხედავ, ცეცხლია: დაგწვავს, დაგბუგავს.

– რომ შემოგესმათ კივილი ჩემი: ვიწვი, ამზინეთ! უფრო ჩამიშვით.

და მიაღწია თვის საწადელს.

– მაშ მიმიწოდა ამ ღვაწლისთვის უცვლელ განგებამ და...

– ასრულდების ბედისწერა შენის ხელითა.

– ასრულდეს იგი! ისარი მათ გულს ორბის ფრთიანი, ხმალი ფხიანი მეფის ტახტის მაკნინებელ დიდდიდებულებს!

როდესაც ამ გუნებაზედ იყო ლუარსაბი, ამ ფიქრზედ იდგა შთაგონებით გამხნევებული, მძლე რაინდის სახეს იღებდა, ნათელ ღმერთისგან წარმოვლენილ დიდ მებრძოლისა. და მისი სახე გულს უხსნიდა ტურფა დედოფალს. ფიქრობდა იგი:

– ბრძოლის ხატი წარუძღვება უტეხ ბუმბერაზთ, ჩემს ლუარსაბს, ჩემს ძმას გიორგის. თუნდც განმრავლდნენ მტერთა გუნდნი ვით ქაჯთ ლაშქარნი, მაინც მოსპობენ, განაბნევენ, განაქარვებენ!

მაგრამ მეფე დიდხანს ვერ ტვირთულობდა ბუმბერაზულ სახეს მოზიდულს: აჩნდებოდნენ მის თვალებში ეჭვის ხლართები, წელმზნეული შავი მცურავი და დაჰგესლავდნენ მისსა ნებას, მოაფონებდნენ. და მოდუნებულს შავ ფიქრებით ევსებოდა ჰაზრთა სალარო, გულის კარი ეღებოდა ცივ გრძნობათათვის. ესა ჰხდებოდა უფრორე მაშინ, როს ჰშორდებოდა თვის დედოფალს და ვერ შეეძლო გამთბარიყო მის თვალთა სხივით.

– ღმერთო ჩემო, რა მემართება?! თუ აქა ვარ ამის გვერდზედ, ამის უბეში, თვით როსტომ ვარ საბრძოლველად განმზადებული, სწორედ ისეთი, თათარ-ხანთან რომ ვიბრძოდი გიორგის გვერდზედ; თუ მოვშორდი ამის აღალმას, ამ ამზევებულ ალქის აჩრდილსა, მეღების ღონე, ვიღვედები, უძლური ვხდები; მომავალის სისხლი მაშინებს და წარვიტყვი უსასოქმნილი.

– თანაწარმხდეს, მეუფეო, სასმელი ესე! და მეჩვენება იგივ გიორგი სატანაილად, ბნელეთიდან მოვლინებულ ბელიარადა; მზარავს ვაჟკაცს მის კბილთა ღრჭენა, ცეცხლის თვალები, გრგვინვა ლომისა, მძაფრი ფშვენა ფრთიან ვეშაპის.

ორი გზა გადაჰშლოდა მზეჭაბუკს წინა, ორივე გზა ეკლიანი მარჯვნივ თუ მარცხნივ. იქცეოდა ის სავალთ შუა: ვერ აერჩია. გრძნობდა მეუღლე მის გულის

ტკივილს; ისიც იცოდა, ამ ცვალებას კავშირი ჰქონდა მის სიცოცხლესთან; ალღო ეტყოდა, რომ მზეჭაბუკი შესდგებოდა ძველსვე სავალზედ.

– ცრემლით ცხელით აღმევსება თვალთა უპენი, მდნარ ტყვიის ცვარნი დამიდაღვენ საბრალო გულსა...

– მაგრამ უსიტყვოდ!

– ვერ ესმას ჩემგან ვერც ყვედრება, ვერცა ვედრება!

43

ჰხედავდა მეფის სულიერ ბრძოლას მისი აღმზრდელი ბარათაშვილი: მიენიჭებინა მისთვის ბუნებას გამჭრიახი ძალა გონებისა, ხანთა სიმრავლეს – გამოცდილება. თვალს ავლებდა მეფის სულში ძალთ განწყობასა და ჰსურდა თანისთანობით, ყოვლისფერის აწონ-დაწონით მოეგო დიდი ბრძოლა მოურავისთვის; უნდა დაეცა ქვიან ადგილზედ, მოეტეხნა მისთვის ბეჭის ფრთა, წარეკვეთნა ბაყბაყისთვის თავი სამივე. ნელ-ნელ აწყობდა სათავისო საქმეთა სვლასა, უკრეფავდა მას სათავეებს, რომ მოეზიდნა ბოლოს მძლავრად და შეებოჭნა მის ძლიერება, მოესპო იგი.

– ვერა სჭრისო შენი ხმალი ჩემსა ხმალთანა, იტყვი, თავხედო; ის კი არ იცი, განმახულია ჩემი შუბი გრძელტარიანი. დაგესმების მკერდზედ იქიდან, საიდანაც არ ელოდები. ფრთხილად, გიორგი! – იმუქრებოდა შადიმან.

ისიც, მისი მომხრეებიც ჰხედავდნენ, რა დიდი ძალა მოიპოვა გიორგიმ მეფის კარს თავის დის გამო და მეტად ფრთხილობდნენ, ყოველს ნაბიჯს შორით ზომავდნენ. აქამდისინ თუ მხოლოდ გიორგის უმზერდნენ ძვირის თვალით, აწ დედოფალიც მას დაერთო, გიორგის დაი. მოუცდათ ჰაზრი: ეს კავშირიც ჟამიერი გამოდგებაო. ვეღარ გასჭრა ხერხმა ნაცადმა: მეფეს ჟინს რომ უურვებდნენ ძალმომრეობით, ხოლო ჩაგრულთ აყუჩებდნენ ვერცხლის სიუხვით.

– აქაც ისე მოხდებოდა, თუ ჯვარი არ დაეწერათ მეფისათვისა.

– ისე მოაწყო გამოცდილმა მეფის სტუმრობა, რომ იმ ჟამს ქალის გამოყვანა არ ეგებოდა; გულსწრაფი კი აღარ გვაცლიდა, დაყოვნება არ მოისურვა.

– მაინც გეგონა, მსწრაფლ გულს აჰყრიდა და ამზადებდი შესაბრუნ გზებსა.

– სხვებიც ჰგონებდნენ! მაგრამ მთლად მოჰხიბლა ვაჟკაცი ალქმა. თუ ესე არ მომხდარიყო...

– მეფისაგან მიცემული საფიცრის წიგნი?

– რა სათქმელია! მთვრალის ფიცსა თუ ხელწერილს ჰაზრი არა აქვს.

– როგორ თუ მთვრალის?

– ლუარსაბი უგონოთ იყო აშლილ მურაზით.

– მაშ რა ვქმნათ ეხლა?

– მოვზომოთ ფართოდ: შევეცადნეთ, თავის ნებით განშორდეს ცოლსა. თუ არ ინება, მაშინ... უნდა მოისპნენ გიორგიცა, იმის დაიცა!

– უნდა მოიშთნონ?!

– მსხვერპლს მოითხოვს სახელმწიფოს კეთილდღეობა.

– ჯერ კი გიორგი, თორემ...

– მეტად გადიდდა: გოსტაშაბიშვილს განურისხდა, ვერ ასრულებო ჩემს ბრძანებასა.

– თითონ ვარდენს, გუშტასპ-შაჰის შთამომავალსა?!

– არ მისცა ნება დამჯდარიყო, ფეხზედ ამყოფა.

– გონახდილი ამაყობა მეტად უგვანი.

– ერთიც ახალი: უკვე მზად არის მეფის რაყამი: სააკაძეს თავადობა ჰსურს მიანიჭოს. ვაყოვნებ სიგელს, მაგრამ როდამდის?

– მაშ რა ვქნათ ახლა?

– სხვა ხერხი ვსცადოთ! სახელმწიფო ამბავია მნიშვნელოვანი, მოზომვა უნდა; ხიფათი რომ არ შეგვემთხვეს აღსრულების ჟამს.

– ოღონდაც!

– ეგრე! ეხლა ჩემი დავალება: ყველა მომხრეს უნდა ემცნოს მდგომარეობა, რომ ავიცილოთ უდიერი განსაცდელი ჩვენზედ მოსული, საფრთხე ახალი.

– სხვა რამ ახალი?!

– მეფის სიცოცხლე, ჩვენიც სული უფლის ხელთ არის. ვსთქვათ ნადირობას, ან ბრძოლაში, თუნდ ავადობით ბოლო მოეღოს ჭაბუკ მეფესა, ჰფარავდეს ცაი! მაშინ...

– მემკვიდრე არ ჰყავს მას მახლობელი.

– ჰყავს მახლობელი! მისი ცოლის ძმა, შიოშას შვილი...

– გიორგი?!

– ამირთამირი! მას თაყვანსა სცემს მთელი ლაშქარი; უყვარს იგი ხალხს; შორსმჭვრეტელია! გლეხთ ათამამებს, ჯარის წინამძღვრად მდაბიოთ ირჩევს, იმათი ხმალი უკედა სჭრისო. თუ შეიცვალოს სააკაძით ბაგრატიონი, ვით სასანიდნი მათ შესცვალეს და სასანიდთ – ნებროთიანნი.

– სჯობს თვით მოისპოს! ნადირობად გასულს მეფეს ჯვარი ეწეროს.

– მომწყურდაო ნადირობა, იტყოდა მეფე. ყარაიას რა სჯობია სანადიროდა?! უნდა ემცნას დიდდიდებულთ მეფის სურვილი!

– ჰე, ჰე, ჰე! მართალი უთქვამთ: ყური მისთვის არ იზრდება, მრავალი ესმის, იჩაგრებაო.

– ისიც კი უთქვამთ: ორი ყური, ერთი პირი მისთვის არის, ბევრი ისმინოს და ცოტა სთქვასო.

– საიდუმლოდ უნდა დარჩეს ეს განზრახული: არ შეგვინდობს ხალხი იმათს სისხლს.

– მხოლოდ შენ იცი შენი განზრახვა!

– როგორ თუ ჩემი?!

44

განქრა ზამთარი, გასცდა ჩვენს მხარეს, გადიკარგა მისი ხსენება. იმ წელს მარტი ტყავს არ ჰკერდა, არც აკერებდა; აპრილობას აპირობდა თვისის სითბოთი. ახალ სახეს იმოსავდა მღიმარი მიწა. ყვავილებით მთლად გადიპენტა. განპოხებულს გასძლიერებოდა ნაყოფიერების სურვილი, ზღვარი არ უჩნდა წარმოშობილს მისგან სიცოცხლეს. მისწრაფებათ დამსკვნელი დრო ზეკურთხეული. დედამიწის სისხლი სდუღდა მრავალსახე მის შვილთ ძარღვებში. იმედთა ჟამი! სიყვარულის მძლედ აღმოჩენა; გვართ განგრძობის სურვილთ ქაფქაფი.

პირმანგ დედოფალს დაჰმჩნეოდა სურვილთ ნაყოფი: ხორცით შეივსო გამთავნებული; მცირე სიმძიმე, ტანთ გაფუება; თვალთ კილოებმა განს გაიწიეს, მეტი გზა მისცეს მელნის ტბათ სიგრძეს; შეუცნობელი სიღრმე მზერისა; უხდებოდა რხევით რონინი.

– შენ, ჩემო ქალო, გატყობ ცვლილებას: თითქო დასრულდი; მკრთოლვარე სხივთ ციმციმი აგხდა, დინჯი ნათელი გიშუქებს სახეს; სასიამო განცვიფრებას ფრთა შეუხია. იქნებ, საყვარელო...

მორცხვად დახარა წამწამთ ტევრები. საიდუმლო სიხარული ღიმად გარდევლო.

– შენ გენაცვალე! იცი როგორ გამიხარე გული ჩაგრული?! შემოქმედი შენით აგრძობს ბაგრატიონთ გვარს. ნეტარი ხარ, მშვენიერო, დედათა შორის! – უთხრა დედამთილმა

და გარდუკოცნა სახე, ყელ-ყური. ამ ხნიდან ისეთი სიფრთხილით თუ სინაზით ებყრობოდა ქალს დიდი დედოფალი, თითქო მისი რძალი მტკიცედ გებული ხორციელი კი არ იყო ტანმოქნილი, მალალი რამ ქანდაკება ყოფილიყო სათუთსახები. ენერგებოდა სასოება ნაყოფის მტვირთველს, ნოყიერად იფურჩქნებოდა.

დინჯდებოდა თანისთანად გაზაფხულიცა. უმდორდებოდა მოცქრიალე ცვალებადობა. მინდორს, ბაღნარს დაეყვავილნათ. შეღერებულ ნაყოფთ ნასკვი შესცინოდა მნათობს შემოქმედს.

უღიმოდა მზია-ქალი ცხოველმყოფელ ქვეყნიერებას. ჰმადლობდა, რომ აზიარა თავის უსამზღვრო შემოქმედებას. უხაროდა დიდ დედოფალსაც. მკაცრ დარაჯად დაადგა მზიას. ვის შეეძლო დაერღვია მის მყუდროება?! მისან მოხუცს შეალოცვინა; შეაბა ყელზედ ავგაროზი, წმიდა ნაწილი.

ახალს დედოფალს სიამაყე დაეტყო ხმაში, თვით ქცევაშიაც. თუ აქამომდე მოკრთალებით მოიქცეოდა, არ იმჩნევდა სხვათ წინაშე თვის ხარისხის უმაღლესობას, აწ ძლიერებამ განიღვიძა იმის სულშია, უტეხმა ნებამ: მოუდიოდათ სააკაძეებს. მეტადრე მაშინ იჩენდა ძალას, თუ შეჰნიშნავდა თვის გარშამო რაიმე ისეთს, რაც შეარყევდა მის მყუდროებას, აჩანჩქარებდა მის ცხოვრების მიმდორებით მიმდინარობას.

ესეც იყო იმის მიზეზი, რომ ბატონ მეფის გაბრძანება სააგარაკოდ მცირედ შეფერხდა: ვეღარც ისე მთლად აღსრულდა, როგორც სჩვეოდათ და განზრახული ჰქონდათ წინადა. იმ ზაფხულს მეფე კოჯორში უნდა დავანებულიყო საგრილობლად და ბრძანება იყო, მთელი მისი ოჯახისთვის მოეწყოთ იქ მეფის სასახლე; მაგრამ გამოირკვა, ქალთ გადასვლა მცირე ხნობით შეგვიანდებოდა.

– იქნება უმჯობესიც იყოს, მგზავრობას და აყრადაყრას სრულებით მოვერიდნოთ წელს; არც აქ იცის აუტანელი სიცხეები.

– არა, დედავ! კოჯრის ჰაერი მაინც სხვა არის. სიცოცხლედ ღირს ზაფხულს იქ ყოფნა.

– მართალსა ჰბრძანებ, მაგრამ...

– ნუ დავარღვევთ სასახლის წესსა. ფრთხილად მოვაწყოთ ყოველივე, შესაფერი თავდარიგი დავიჭიროთ; არა უშავს რა!

– კარგი, გენაცვა! შენ წაბრძანდი, როგორც წესია. ჩვენ, ქალები, შევყოვნდებით შესაფერად შესამზადებლად და შემდეგში გამოვმგზავრდებით.

– ბატონო დედავ! მოიქეცით სწორედ ისე, როგორც წესია უცილებელი: ეხლა უკვე შენ გეკუთვნის ბრძანება თუ განკარგულება.

– ეგრე, საყვარელო! საჭირო კი არ არის ამ შინაური სიხარულის ჯერ განცხადება: ავი თვალი აქვს ქალს ადევნებული. შენს კარისკაცებს სხვა მიზეზით განუმარტე ჩვენი დაყოვნება, თუნდ დედოფლის უბრალო რამ შეუძლებლობით.

ჰსურდა მეფეს, გაბრუნებულიყო. გადასწია მხევალმა ორხო და შამოვიდა გალიაკში თითონ მაკრინე. მიჰხვდა, მასზედ ექმნებოდათ დედა-შვილთ სიტყვა და კდემითმოსილმა სიხარულმა აავარდისფრა. მიუახლოვდა ლუარსაბი, თმაზედ აკოცა მორცხვად თავდახრილს.

45

ბატონი მეფე თითონ გაბრძანდა სააგარაკოდ, ქალები თან არ წაიტანა. თავისუფლად იგრძნეს თავი კარისკაცებმა. დრო ჩაიგდეს, გაეშალნათ მეფის ფერხთ ქვეშ თვის ერთგულობა, თანაც ცხადექმნათ მიზეზები გულგრილობისა, ყინვის წრედ რომ შემოავლეს სამეფო საყდარს. იცნობდნენ მეფეს: მას არ შესწევდა ხასიათის ისეთი ძალა, მედგრად ებრძოლნა ავისგანმზრახ ქვეშევრდომებთან. მით მიდიოდა მათ ურჩობა თავხედობამდინ. ისე მოეწყო მეფის ყოფის ვითარებები, რომ გადამწყვეტი რამ ნაბიჯი უნდა წარედგა: ან საბრძოლველად დაკვართულიყო ან დანთქმულიყო ტალღების ქვეშ ბნელ ბოროტისა. ამასა გრძნობდა მეფე ლუარსაბ, ბუნდოვანად კიდეც ჰხედავდა და მაინც კიდევ ხანს დაჰზმიდა, ირყეოდა, იტანჯებოდა. სასწაულს თუ მოელოდდა თავის სახსნელად.

– მიბედავენ გარეწრობას მეფეს ცხებულსა! მახვილი იმათ განმახული ურჩობისათვის! მაგრამ... იქნებ შეეჩვივნენ, შეურიგდნენ არსებულ ამბავს და დასთმონ თავისი გოროზობა მეფის წინაშე. არ აქვს გიორგის ამის იმედი; არ მოხდებაო. მღერად მიაჩნავს მახვილთ ტრიალი. თუ სცდება იგი: აგერ მოვიდნენ მორჩილებად, გარს შემომერტყნენ. ვეღარ თუ შესძლეს ყოფნა უმზეოდ. შეეჩვევიან! მიიღებენ მასაც თვის ტოლად, ამირთამირსა. დროა ებოძოს თავადობა, ჩემი რაყამი. და თუ ვერ მოხდა მათ შარიგება... ბევრი სისხლის ღვრა დააკნინებს ჩემს სამფლობელოს და მაშ...

– თანაწარმხდეს, მეუფეო, სასმელი ესე!

მაგრამ ჰხედავდა, ვერ ასცდებოდა ეს მომავალი, თუნდ თვით არ ეწყო, არ გადედგა ნაბიჯი მძლავრი: გიორგი და დიდებულნი ვერ თავსდებოდნენ, შეუძლებელ შექმნილიყო მათ მორიგება; სხვადასხვა ჰაზრით აღვსილიყვნენ მტრულად წყობილნი. ამირის ხმალთ ელვარება ძლიერი იყო: ვერ მოზღუდავდა საბატონო, თემი, ხეობა; მთელ საქართველოს დასწვდებოდა მის ელვარება, სახელმწიფოს მთელ წყობილებას.

– დაგიომებს, მეფეთ მეფევ, დიდს დიდებასა. ამორჩევა სრულის გულით გიორგის გზისა!

– საბრალოა მზია ქალი ბედშავ ბრძოლაში. საწყალია ჩემიც გული ამ განწირულ შემართებაში. ჩემი ტრფობა, მიჯნურობა მიზეზია ბრძოლის დაწყების.

– მხოლოდ საბაბი! მძლედ იბყარ ხელში ცეცხლის ხმალი მედგრისებური: განგინათებს ბნელეთის გზას, გაჰკვეთს ბოროტსა!

– მირჩევს გიორგი ხმლის ამოწვდას დაუყოვნებლივ. მოძღვარიც მეტყვის: მწყსენ იგინი რკინის კვერთხითო. მაგრამ... ადვილია დაშნის ამოწვდა, ძნელი იქმნება მის მიქცევა ქარქაშისადმი.

– დახანება შეუძლებელი: გიწვევს გვირგვინი, გიკარნახებს განგება ცისა!

– შადიმანი, დიდებულნი მაფრთხილებენ გიორგის მხრივა. ასმოდეოსის განზრახვაი ასულდგმულებსო, მხოლოდ მისთვის სწყურს დაგიომოს მთლად საქართველო, რომ ერთის დაკვრით აისრულოს თვის საწადელი: წარიტაცოს ბაგრატიონთ წმინდა გვირგვინი. ბოროტს იტყვიან, როგორ გაჰბედავს?!..

– მეუბნება ამირთამირი: ანდერძიაო შენის პაპისა; აღსრულდესო შენის ხელით სურვილი მისი. უბედური სვიმონ დიდი, ბედის რჩეული. ჯერ ვერ ვგრძნობ სულში მის ქველობას აცეცხლებულსა. შემდეგში, მერმე...

– თანაწარმხდეს, მეუფეო, სასმელი ესე!

მეფის ამ რყევას, მის ფარულ ჰაზრებს კითხულობდნენ დიდდიდებულნი მისსავ თვალებში და ცდილობდნენ მიებირნათ, უალერსებდნენ. ამრავლებდნენ მის გარშამო თანამოაზრეთ. ამირთამირის წინააღმდეგ ამხედრებდნენ მფლობელებსაც საქართველოს ნაწილებისა. ცდა ამაოდ არ ურჩებოდათ: ლუარსაბის ტახტისათვის მეფეებად წოდებულნიც ბოროტს იტყოდნენ, სამტრო თვალით შემოჰმზერდნენ, იჭურვებოდნენ.

– უნდა განწიროს ლუარსაბმა შიოშას შვილი!

– ისა სჯობია, თვით გიორგი შეებრძოლოს თვის სიძე-მეფეს.

– ვერ შევასრულეთ ძოღან ესა, წვეულობის დროს. უნდა შესრულდეს მაშინდელი დაწყობილება და უფრო მკვეთრად.

– როგორ მოხდება?

– მეფე დაითხოვს თავის ხარჭას და...

– ხასასა?!

– და თავს წავაგებთ!

– მაგ ჰაზრისა ხართ?

– ვერც მოვახერხებთ: არ დაგვთანხმდება.

– თუნდაც რომ დაგვყვეს, არ გამოდგება.

– რად არ ივარგებს?

– არც აწ იტვირთებს თავის გვარის მოყივნებასა. ატყდება ომი. სარდალი დასძლევს; მხედრობა, ხალხი მას მხარს დაუჭერს. მოგვსპობს ყველასა.

– სამწუხარო ჭეშმარიტება.

– მაშ რა ეგების?

– მოვსპოთ უწინარ: ერთის ცხოვრება შეეწიროს ქვეყნის განსაცდელს.

– მაგრამ რა გზითა? ერთობ ფრთხილია.

– ღმერთი გვაგონებს. არ კი დაგცილდეთ მეფის სურვილი: ყარაიას ნადირობა ნაბრძანებია.

46

კარგად იცოდა ამირთამირმა, რომ უძინებელი მტრები ასდევნებოდნენ ცხოვრების სავალზედ, კბილებს უღრჭენდნენ მას, მის ჯილაგსა. ჰხედავდა კარგად, რომ ეხლაც ბნელ ჰაზრს შეეკრიბნა დიდდიდებულნი მეფის გარშამო და მზირად იყო, არ ენდობოდა.

კარისკაცთ ქცევა იმაზედ იყო გათვლილ-ნაზომი, რომ იცოდნენ ლუარსაბის ხასიათი, მისი სისუსტე და იმედობდნენ მასზედ გავლენას, მოლანდებულ საშიშროების წინაშე მოხვრას. ჯერ გულგრილობა დაახვედრეს, შემოარტყეს უარყოფა უსიტყვო, უხმო; შემდეგ თქმები აიმაღლეს, მოქმედების სახე აღმართეს: შეაკრთობსო მას ჩვენი ქცევა, მოიხრებაო, ჟინს რომ მოიკლავს, მთლადაც ჩვენკენ მოიქცევაო, იმ ხარჭას თუნდ მღვდლის ნაკურთხს, განშორდებაო. როცა იყოვნა მათის ფიქრის აღსრულებამა, სხვა ახალიც დასძინეს ძალა: აუმტერეს საქართველოს კუთხეთ მფლობელნი, გულში ჩაუგდეს ამირისგან ამხედრებულ ლუარსაბის წინაშე შიში. აწ მზად იყვნენ, ჩაბმულიყვნენ იმ ბნელ ფერხულში, რომ იხლართოდა ქართველთ

მეფის ტახტის გარშამო. იყო კიდეც ბრძოლის დამწყობი: მეტად ნაწყენი დადიანი თანაც შიშობდა, ლუარსაბი პაპის ბრძოლას განაახლებსო; ჰსურდა დაესწრო, დაერაზმა მრთელი ძალები. მარჯვე დრო ჰქონდათ განდგომილ მთავრებს: ეგულებოდათ ქართლის გულში თვისნი მომხრენი. ამირთამირი განზედ დარჩა ბუნებრივად განაპირული. ეს აფიქრებდა უტეხ ბუმბერაზს:

– ლუარსაბი ყურადღებას არ მიაბყრობს ჩემს კარგ რჩევასა, მიიქცევა ჩემი მტრებისკენ. გარს ეხვევიან; ევედრებიან, გაეყარე მეუღლესაო; აშინებენ მტერთა სიმრავლით და აძალებენ; არწმუნებენ, ეკლესია საიდუმლოს გააუქმებსო. წინვე მიდგა დრო წინანდელი: კერის სიწმიდის დაცვისათვის შებრძოლება თვით მეფესთანა. მაშინ გადავრჩი, ისევ მიწვევს წერა პირშავი... საფიცარი მეფის ქაღალდი... ამაო არის! ფიცის გატეხა. ჰა, ჰა, ჰა! გახსნის ფიცისგან აქ მღვდელმთავარი, იქ მამა ღმერთი.

გიორგი მაინც გულს არ იტეხდა: კვლავ იმედობდა, რომ ჩააგონებდა სიძე-მეფეს, არ ეღალატნა იმ დიდ ჰაზრისთვის, რომლის სატვირთად მოვლინებულიყო განგებისაგან; კიდევ ეგონა შეაგონებდა, რომ ის გზა იყო ერთადერთი სავალი განსამტკიცებლად შერყეულის მისის ტახტისა, თვითონ მეფის დასახსნელად განსაცდელიდგან.

ვერ მოჰქონდა შედეგები მის მჭრელ სიტყვასა. მეფე თითქო რწმუნდებოდა სპასალარის ჰაზრთ სიმართლეში და დაჰყვებოდა, მაგრამ რაკი სააკაძე გასცილდებოდა, აეშლებოდნენ კვლავ ეჭვები, უდუნებდნენ ყოველს უნარს შემართებისას. სიძე-მეფის ჰაზრთ ცვალება აღონებდა სააკაძეს, ამღელვარებდა. ის რწმუნდებოდა, რომ ლუარსაბ სუსტი იყო დიდ ქმედობისთვის, ვერ დაიტევდა იმ მისწრაფებას, ვერ შესძლებდა საფერ ბრძოლას მის გასატანად. ესეთი დასკვნა ვერ ადუნებდა მის მარად მოქმედ ნებისყოფასა, გარნა ძლიერ აღელვებდა და აღონებდა. ჰაზრთა არეში სხვასც ეძებდა ამ მისწრაფების აღმასრულებლად, მაგრამ აქაც მკლავნი ჰქონდა მას შებორკილი: მის დაი იყო დედოფალი საქართველოსი და მოუხდებოდა მეფესთან ერთად გაეწირნა თავის თავის სისხლ-ხორცი.

გიორგის დაი ჰაზრიანი, კეთილქმნილი, გულითც კეთილი. შეაყვარა თავი ყველას, ვინც გარს ეხვია. მეუღლე-მეფეც დაიმონა ტკბილ მორჩილებით. სახელმწიფოს მართვაში კი ვერ ერეოდა: ძნელი იყო ჯერეთ მისთვის ეს რთული საქმე.

– ქალო მაკრინე! მფლობელნი ხართ განუყოფელ საქართველოსი. ესეთი რწმენა ჩაენერგოს უნდა ლუარსაბს; მისთვის იბრძოდეს. უამისოდ გაძნელდება თქვენი მეფობა. გეტყვი საკვირველს: მხოლოდ მისთვის ეკრძალვიან ბატონ მეფესა, რომ ეფიქრებათ ჩემის ლაშქრისა. ეს თუ არ იყოს, ჩალად აღარ ჩააგდებენ ზეცით ცხებულსა. უკეთურ ჰაზრსაც გაივლებდნენ: სხვა დავსვათო მეფის ტახტზედა. და ეს იმისთვის, რომ მოუცდათ შენს შესახებ ჰაზრი ბოროტი.

– რა შემიძლიან მე ჯერეთ უძლურს?! ერთი იცოდე: საქართველოს დედოფალი გიორგის დაა, ღირსეულად დაუხვდება იგი თავის ბედს!

როდესაც მეფე მარტო აბრძანდა კოჯორში და გიორგიმ გაიგო თავისი დის ნაყოფიერობა, მიჰხვდა, რომ უკვე დადგა დიდის ბრძოლის ბოლო წუთები: დახანებას ვერ ინებებდნენ მის მეტოქენი, ეცდებოდნენ თვის განზრახვის მსწრაფლ შესრულებას; შემდეგში მეფის დაყოლება უფრო ძნელი შეიქმნებოდა.

– მეფეო, მეფევ! თუ ჰხედავდე ჩემსავით ცხადად, რომ შენთ ხელთ არის შენივე ბედი. დაიწყე ბრძოლა! დაგიმონებ თავხედ დიდებულთ, გამდგარ მფლობელთაც. კახეთს მოგართმევს კახთმეფისგან გულნატკენი ყეინი-სიძე. ჩვენი თბილისი... მეფეო,

მეფევ! აჰყევი ნაკვალს დიდის სვიმონის: ისლამისაკენ! შესწირე სული შენს სამფლობელოს. ნუ გაჰხედავ მყინვართ კეისარს! ხმალი განდგომილთ! შეიქმნები მეფეთმეფე საქართველოსი, ერთის ზღვიდან მეორემდის ქვეყნის მფლობელი. აქ შენ იქნები, იქ შენი სიძე შაჰ-აბაზი ფრთიანი ლომი. ჩემი ხმალი შენ სამსახურად!

მაგრამ გრძნობდა ბუმბერაზი: ყურნი არ ესხნეს თქმის სასმენლად მის სიძე-მეფეს და იტყოდა გულდალახვრული:

– საკვირველია შენი ნება, ბედისწერაო! დიდებულს სვიმონს საბყარი შაჰი ხუდაბანდი დიდ ირანშია. საბყარ ლუარსაბს შაჰ-აბაზი აცეცხლებული...

47

გიორგი თან ახლდა მეფეს, როდესაც ის გაბრძანდა სააგარაკოდ, მაგრამ მალე დაბრუნდა, რაკი დააბინავა. მცველ რაზმის უფროსად მიუჩინა პაპუნა ჩივაძე. გიორგიმ იცოდა ეხლა, რად ინება მეფემ ქალების ჯერჯერობით ადგილობრივ დატოვება. დიდი დედოფალიც არ მოჰშორდა რძალს: ესე სჯობდა ქალებისათვის. სახელმწიფო საქმეების წარმართვისათვის კი ვერ იყო ხელსაყრელი: დიდებულთ აქამდისინ იმისთვის ვერ შესძლეს დაეყოლებინათ მეფე და აესრულებინათ თავიანთ განზრახვა, რომ დიდი გავლენა ჰქონდათ მეფეზედ მეუღლეს და დიდ დედოფალს. ცოლთან სიახლე უყუჩებდა ვნებათა ღელვას, იზიდავდა ანდამატივით; ქალთა გავლენით ითვისებდა ვაჟკაცი იმ ჰაზრს, რომ ცხოვრებამ ვალად დასდვა კერის შენებაც, ახალ ოჯახის მორთვა-მოწყობა. აწ თვალი რომ მოაშორა თავის მეუღლეს, იქნებ გულიც ეშორებინა მისთვის და მაშინ დუშმანნი შესძლებდნენ თვის სურვილთა არსრულებასა. იმ ახალ ამბავს შეეძლო გული დაეხვივნა ვაჟკაცისათვის, მჭიდროდ გადაება დედოფალი სამეფო ტახტთან, მაგრამ მასვე შეეძლო სწრაფად მოეტანა მოგრაგნილი მათზედ ბოროტი: რა გაიგებდნენ დიდებულნი ამ ახალ ამბავს, აჩქარდებოდნენ, არ დაზოგავდნენ არავითარ საშუალებას, გაჰყრიდნენ ცოლ-ქმარს, ან სხვანაირად იღონებდნენ ქალის მოსოპბას.

– მსწრაფლ გარდაწყდება ძნელი ბრძოლა დაუნდობელი!

ამ გვარი ჰაზრიც აჰყოლოდა სარდალთსარდალსა, როდესაც მან სთხოვა დედას და თვის მეუღლეს წასულიყვნენ სასახლეში ახალ მოყვრებთან. მარჯვე დრო იყო. ჯერ არ ენახათ, რაც გაათხოვეს; მცირეოდნათ ერიდებოდნენ სიძე-ხელმწიფეს, მის კარისკაცთა; ეხლა უფრო ადვილი სჩანდა იმათთან ხლება, მათი მოკითხვა. გარდა ამისა ქალთა პირით უფრო კარგად გაიგებდა დიდ დედოფლის ჰაზრთა სახესა; ამცნობდა იმათ თვის მოსაზრებას; აჩქარებდა მათ გამგზავრებას საგრილობლადა.

სააკაძეს ოჯახობა მიღებულ იქმნა სასახლეში დიდის პატივით. კმაყოფილნი დარჩნენ მათ მოსვლით. მაკრინე ხომ სიხარულით ცასა სწეოდა. სამი დღე დაჰყვეს ქალთ ხელმწიფისას. არ უგრძვნიათ არც ერთს წამით უხერხულობა: დიასახლისნი დარაჯად უდგნენ მათს კარს სტუმრობას. დიდი დედოფლის საუბრიდან ცხადად მოსჩანდა: მასა სწამდა, დიდკაცობა მიიღებდა მომხდარ ამბავსა, შეეჩვეოდა; დასცხრებოდა ძნელ მტრობიდან, დაწყნარდებოდა.

– უტყუარი ნიშნები არის: უკვე ჰხლებიან ურჩნი, უზრდელნი, რომ გაჰბედეს გამდგარიყვნენ მეფის ტახტიდგან.

– განა ეახლნენ იგინი მეფეს?

– როგორ არა! თეიმურაზ მუხრანბატონი, ქსნის ერისთავი იასე, ჯავახიშვილი

ქაიხოსრო, ანდუყაფარ ამილახვარი, ნუგზარ ორბელიანი, რევაზ ციციშვილი უკვე ჰხლებიან. სხვებსაც მალე მოელიანო.

– კარგი ამბავია, დედოფალო! შადიმანი?

– ის არც წინათ მოჰშორებია ტახტს, თუმც ნაწყენობას მარად ვატყობდით.

– ერთი გვაფიქრებს: ვერა გვჯერა ქვეშევრდომად ჰხლებოდნენ მეფეს. იქნებ კვლავაც სცადონ იმის ნების დამორჩილება. თქვენს გავლენას აშორებულმა ვაჰ თუ ვერ შესძლოს ჭაბუკ მეფემ იმათთან ბრძოლა და...

– რამ ჩაგიყენათ ფიქრი ძნელი, შავი გრძნობები?

– იქნებ სჯობდეს, დედოფალო ადრე წაბრძანდეთ.

მაკრინე ჯერ ყურს უგდებდა მათს საუბარსა. ეხლა აღელდა, მკვეთრი სიტყვა ააელვარა.

– თავისით განბჭოს, თვით გადასჭრას თავისი ბედი. საქართველოს დედოფალი არ უკრთის ბრძოლას. ერთი მაღონებს: შევიქმნები ომის საბაბი.

– ნუ, გენაცვალე! არ გარგებს ღელვა. ჯვარი გწერიათ შენც, მშვენიერო, ჩემს ლუარსაბსაც.

დიდი დედოფალი დააფიქრა ამ საუბარმა; ეჭვი შეიღო თავის რწმენაში. დაასკვნა მალე ასულიყვნენ კოჯორს მეფესთან. დიდის პატივით გაისტუმრეს სააკაძის ოჯახობა სასახლიდანა, ვით შეჰფეროდა ეს მეფის მოყვრებს, დედოფლის მშობლებს.

– რას მოიფიქრებდა ცხონებული ჩემი ვაჟკაცი, რომ მეფის სიდედრი შევიქმნებოდი?!

– რასა და რასა.

– ძლიერ კეთილია დედოფალი: ისე მოგვებყრო, როგორც დართ, სადართ.

– ბედნიერ ეტლზედ გაჩენილა ჩვენი მაკრინე: დაიმონა ვაჟკაცის გული, აჰშორდება ყოველგვარი საშიშროება და...

– ჭკვიანია ჩემი ქალი, თანაც ამაყი; ღირსი არის დედოფლობის, ბრწყინვალებისა.

– დიდ დედოფალს ყოველივე კარგად სცოდნია: ნამდვილ გაეგო, ზურაბ ერისთავის ცოლი რად წავიდა მონაზონადა. ან ვაჟკაცი როგორ იტანჯვის.

– მოენენი ჰყავთ, ყველაფერი წვლილად იციან.

48

თანდათან იკრიბებოდნენ წარჩინებულნი განმარტოებულ მეფის გარშამო. ზღვნით მიდიოდნენ, მოსაკითხებით. მიუბყრობდნენ სამეფო პატივს; მორჩილებას უმჟღავნებდნენ გადაჭარბებულს. ალბათ ჰსურდათ გადერეცხათ ის დანაკლისი, რომ აგრძნობინეს ჭაბუკ მეფეს ნახევარ წელში.

მზეჭაბუკმა განაახლა ხელმწიფური ნადიმ-ზეიმი. მოდიოდნენ სეფე ქალნი, მოისწრაფიდნენ: მოჰნატროდათ საგრილებლად კოჯრის ჰაერი. აჭრელდა ტურფა სანახები რჩეულთ დასებით. თავს ევლებოდნენ ჭაბუკ მეფეს ალერსიანნი. სალამაზო სიტყვა ფრთიანი. თვალთ მეტყველობა გრძნობით ნაშუქი.

ხალვათად იგრძნო მეფემ თავი, მთლად თავისუფლად, კვლავ გარდიშალა მის თვალთა წინ ამო წალკოტი, სად ჰკრეფდა წინათ ფურჩქვნილ ყვავილთ ტკბილსაყნოსელთა. მოავლო თვალი შორეული იმ ჯადო წრესა, გარს რომ მოარტყა დედოფალმა მის პიროვნებას. გაპობილიყო ეხლა მისთვის თილისმა ხაზი, გრკალს კარი ექმნა მის სავალად და...

განაახლა ხორციელი ამოვნება პირადპირადი. ის სიამენი ვერ უდრიდნენ შუქურის სხივებს, მაგრამ, ეჰ, სხვადასხვაობდნენ, ახალ განცდას აწვეთებდნენ მხურვალ-მცხინვარეს. ხოტბის სმენა, სიმღერები, როკვა, შუშპარი. ზეიმ-ნადიმი უწყვეტელი. კეისრული ჟამთა რონინი. ახალ დედოფალს სრულებითაც არ ახსენებდნენ.

– ვიცი, განზრახ არიდებენ ჩემს მეუღლეს თვალსა თუ ყურსა. ნუთუ არ ახსოვთ, რომ იგია თანამგზავრი ჩემის ცხოვრების, თანამემცხედრე?! წუთიერი სიმღერაა სხვათა გვერდზედ ჩემი შექცევა. იმას ვეკუთვნი საბოლოვოდ, იგია ჩემი! უნდა თავი მოიხარონ, ხელთ ეამბორონ. მე ვბრძანებ ამას!

– ახ, რად არ არის ჩემი მზია კეისრის ქალი, თუნდაც მთავრისა, ვით ასული დადიანისა! მაშინ!.. ვბრძანებ მე და ამისრულებენ! ჩემი ნება თუ სურვილი იმათთვის გარდუვალია! იგრძნობენ, მივლენ ქედმოხრილნი თაყვანსაცემად! – ინუგეშებდა თავს მეფე-კაცი

და გულღია მიიღებდა იმ სიამეთა, რომელთ შესძღვნიდნენ მის გარშამო შეკრებილნი მის ქვეშევრდომნი, აწ მის მონანი. მეფის იმედნი ვერ იყვნენ მაინც წელგამართულნი: თუ შესაძლოდ მიაჩნდა მას დიდებულთ მოხვრა, გარეშე მტერთ რაღას ეტყოდა, თუნდ დადიანსა, რომელს სწყენოდა მეტისმეტად და დაესკვნა სისხლის აღება?

– საქართველოს ნაწილთ გამგენი მხარს დაუჭერენ ეგრისის მთავარს: იმათ იციან, გიორგისთან ჩემი კავშირი დასაწყისია საქართველოს შესაკრებად მძლავრ ბრძოლებისა, ზვიად ქვეშევრდომთ დასამხობად, დასაკნინებლად. ხელმწიფის ტახტი ვითა მზე ცაზედ და მთელი ხალხი განურჩევლად მის მოთაყვანე!..

– ცნობები მაქვსო, მოსამზღვრენი საბრძოლველად ემზადებიან, მეტყვის ვაზირი. თუ ეს გამართლდა... ახ, ქორწინება... არ შემეძლო უმისოდ მაშინ. ეხლაც! მშვენიერი დედოფალი ზეცით ნაკურთხი... ამირთამირს თავადობა რად არ მიუზღვენ?! მაყოვნებდნენ, როდი მირჩევდნენ. ეჰ, კმარა დრტვინვა! არ გამწირავს ღვთის განგება, მიჩვენებს სავალს.

ვერ თუ იცოდა: მის ყოფაში თავის იღბალს თითონ სჭედს კაცი. მეფე იყო, მძლედ შეეძლო ეკარნახა ბედისწერისთვის; თუ არა და იბრუნებდა პირსა ელვარს კეთილთ მომცემი და მოიცავდა მისსა გვირგვინს ბნელი უკუნი.

49

გუშინ ნადიმზედ ბატონ მეფეს მეტად ულხინეს. გულგახსნილი სიყვარულით თავს ევლებოდნენ. მბრძანებელმა დაივიწყა მათი ურჩობა, ტახტისაგან თითქმის განდგომა. მათი ქცევა სინანულად მოსჩვენებოდა, ბოდიშის მოხდად. შეუნდო მეფემ: ბუნებრივად მიიჩნია მაშინდელი მათ საქციელი.

– კარგად მომიხდა, რომ დავტოვე დედოფლები მცირე ხნით შინა. ისიც კარგია, გიორგი რომ მალე წავიდა. ერთის წუთით დაივიწყონ ჩემი მზექალა. არა უშავს რა!

– გვიხარიან, ხელმწიფეო, რომ სიამოვნებ ისევ ჩვენ შორის: მოგვენატრა მზეჭაბუკთან დროს გატარება.

– ხელმწიფურს ნადიმს დიდებული ნადირობა რომ დაენაცვლოს...

– რათა ხანია, ნადირობად არ ბრძანებულხარ.

– ნადირობა აღლუმია ომის მაგვარი; ვაჟკაცთ ვარჯიში; მხედართა გაწრთვნა.

– ბრძანე, მეფეო! გველოდება ყარაიას ნადირთ სიმრავლე.

– ნადირობა საყვარელია, მაგრამ ხიფათიც მოსდევს განძვინებულ მხეცთაგან თუ უზომელ ნასროლისაგან.

– გამახსენე საბრალო გივი: უცაბედად დაჰკრეს ბოძალი.

– ეჰ, სად წაუვა მოკვდავი ღვთის განგებასა?!

– ჯერ ნადირობა და მერმე ომი! შეიწრებულა, მეფევ, შენი საბრძანებელი; თბილისიც კი სხვის ხელში არის.

– არ გაგვწირავს ღმერთი კეთილი და კიდევ ვნახავთ ბაგრატიდთ ტახტს განდიდებულსა.

– წაგვიძეხ, მეფევ, შენს მორჩილ მონათ: თავს დავსდებთ შენის დიდებისათვის.

აღტაცებული ბატონი მეფე მადლს გადუხდიდა თვის მოთაყვანეთ. იმედს ბრძანებდა: თქვენისთანა ერთგულებით გარსშემორტყმული აღვადგენო ქართველთ სიმძლავრეს.

მხიარულ დღეს დაერთო ზედ ზრუნვა ძლიერი: შადიმანი ეახლა და მოახსენა, დადიანი აღარ სცხრებაო. ძალთ სამრავლებლად მიუმართავს იმერთ მეფისთვის. სამცხის მმართველიც მისკენ არისო. კიდევ სხვას სცდილობს: თურმე არწმუნებს თვის მომხრეებს, სააკაძე აქეზებსო ქართლის მეფეს ჩვენ დასამხობლად.

– ამირთამირს უნდა ემცნოს ეს ყოველივე. მოახდინო სათანადო განკარგულება!

– სააკაძესა? არ იბრძოლებენ იმის გვერდზედ დიდებულები. მეტს შემოგბედავ: სიყვარულს რომ გიმჟღავნებენ დღეს კარისკაცნი, უარყოფითად გარდიქმნება ის თაყვანება, თუ...

– უკეთუ?

– თუ არ მიჩრდილე, ეჰ ჟამიერად, იგი მიზეზი, რომელმა ჰშვა საზარელი განხეთქილობა.

– დაიჩრდილნენ დედოფალი, ამირთამირი?! არ შეიძლება!

– ავს ეტლზედ თუ გაჩენილა სარდალთსარდალი. შავ ბედის მზიდავს უჯობს სიკვდილი.

– დიდად ნაღვაწ კაცის სიკვდილი?!

– სჯობს შეეწიროს თვის ქვეყანას, მის დამშვიდებას. მხოლოდ უმისოდ გარდიყრება ფირუზ ცაზედ ქუფრი ღრუბელი.

– რად მიბედავ მაგას, შადიმან?!

– გეტყვი სიმართლეს: დამკარ მახვილი!

50

– მობრძანდება, მობრძანდება ბატონი მეფე!

– ხელმწიფე მოდის?!

– ბიჭები! ჩქარათ!

ჩამობრძანდა. ჩამოართვეს. მიესალმნენ. სეცდიანი მოსჩანდა მეფე, ზრუნვით მოცული.

– არ მოგელოდდით, საყვარელო!

– ვეღარ გავძელი.

– ვგრძნობდი მაგასა: ვაჩქარებდი ჩვენ წამოსვლასა.

– მსწრაფლად მომიხდა. ჩემი მაკრინე...

– აგერ მაკოცა!

– არ წამოსვლა არ ეგებოდა: უნდა მენახეთ თქვენც, გიორგიცა.

– სახელმწიფო საქმე თუა ანაზდეული. ჩვენ კი გვეტყოდნენ, ზეიმობსო ბატონი მეფე.

– უბრძანე და გეახლება სარდალთსარდალი.

– გავგზავნე კაცი; უკვე მოვიხმე.

ულოდნელად მეფის მოსვლამ, მისმა სახემ თუ საუბარმა ააღელვეს მისი დედა და მის მეუღლე. დააკვირდა დედოფალი ქმარს. მის თვალებში ათამაშდნენ განცვიფრება, ეჭვი ბნელი, საკითხი მკვეთრი. დედაც უსიტყვოდ ეკითხებოდა. ლუარსაბმა ვეღარ შესძლო მეტი ყოვნება, წარსთქვა სათქმელი. მოკლედ მიუთხრა, როგორ შეკრბნენ მის გარემო დიდებულები, რა ალერსით შეეგებნენ ქალნი თუ ვაჟნი; მერმე ამცნო, რომ დაასკვნეს ნადირობა აღლუმის მზგავსი და გიორგიც იქ მიიწვიეს; შეატყობინა, აღძრულანო საბრძოლველად გარეშე მტერნი და დაათავა:

– გამიხასდნენ, შემომბედეს ძნელი სათქმელი.

– გაგიბედეს ძნელი რამ სიტყვა?!

– არ იბრძოლებენ დიდებულნი გიორგის გვერდზედ, შესაძლოა მტერს ეახლონო.

– გვიღალატონო?!

– ის აჯობებსო, წამიერად მიიჩრდილონო დედოფლის მისადევარნი, თითონ მაკრინეც რომ...

დედოფალი დაკვირვებით თვალს ადევნებდა, სინჯავდა იერს, სახის ხაზთა ათამაშებას და... ღიმი მწარე; აცეცხლება მეტყველ თვალების. წამოიმართა. მრისხანედ ამეტყველდა მისი აღალმა. ახ, რა დამშვენდა ამპარტავნად განძვინებული. უკუდგა მეფე განცვიფრებული.

– და შენ უსმინე შენთა მონათ სიტყვა უკადრი?!

– მივეც თქმის ნება, რომ...

– და გულს გაივლე ჰაზრი ბნელი, რაინდთ უფერი?!

– რომ ფიქრი მათი შემეგნო და მექარვ...

– ისმინე, მეფევ, საქართველოს დედოფლის ნება: არმაზის ქალთ მონასტერში ხანდაუზმელად! მონაზონი თეკლე შესძლებს ჩამოგეცალოს!

გატრიალდა სიამაყე დიდდიდებული. მზე ჩაესვენა ლუარსაბის გვირგვინისათვის.

ბჭესთან დიდებისა

1

– ბატონო შადიმან! მეფე წაბრძანებულა თავის სახლობის სანახავად; ეს არის მითხრეს, – მიჰმართა თეიმურაზ მუხრანბატონმა.

– ვეღარ დავაშლევინე წასვლა, ვერც გადავადებინე. ბრძანა და მაშინვე მოისურვა ასრულება.

– რატომ არ შემატყობინეთ?

– ვაფრინე კაცი; კობერს ჩაბრძანებულიყავით.

– სხვა არავინ იყო აქ?

– ვინ შეჰბედავდა, ან ვის დაუჯერებდა?!

– საფრთხილოა: შეიძლება ჩაშალოს ჩვენი განზრახვა.

– როგორ?!

– მოულოდნელად, თავისთვისაც შეუგნებლად: წამოსცდება სიტყვა თუნდ ნადირობაზედ და ეჭვს დაჰკრავენ.

– მაგ ფიქრმა გამიელვა, მისთვის ვუშლიდი. მაინც ფეშანგ ფავლენიშვილი გავაყოლე: ჰაზრიანი კაცია, შესძლებს თვალ-ყური ადევნოს. თუ შეჰნიშნავს რასმე საეჭვოს, შეგვატყობინებს.

– კარგი გინებებიათ! მოურავის დამ ჯერ არაფერი არ უნდა იცოდეს არც თავისზედ, არც ძმის შესახებ. თუ იგრძნო რამე, ეტყვის გიორგის და სისხლის ღვარით ატირდება ჩვენი ქვეყანა: ჰყვანან მომხრენი.

– ბრძანა, ჯერ ვერ გავუცხადებ, ესე სწრაფად გულს ვერ ვატკენო.

– მოაჯადოვა! არ ჰსურს განდევნოს.

– მხოლოდ მცირე ხნით განვიშორებ ქვეყნის დასამშვიდებლადაო.

– მაშ იმედოვნებს შემდეგ კავშირის განახლებას?!

– ხავსს ეჭიდება. ოღონდ მოვიშოროთ მძლავრი დარაჯი, ფარად რომ ჰყავს მის დედოფლობას, მერმე...

– თითონ მოურავს ეჭვი ხო არ აუღია?

– არა! წყნარად არის კრწანისში, თავის ახალ საყმოში. ბრძანება რომ მისვლია, უთქვამს: ყარაიას ნადირობა თუ ჰსურდა, რატომ პირად არ მიბრძანაო.

– მარტო არის?

– ექვსიოდ მონადირე ახლავს. სხვებსაც მიელის.

– მაინც რაზმი მზად უნდა გვყვანდეს: სიფრთხილეს თავი არ ასტკივა.

– გულდინჯად ბრძანდებოდეთ: ყოველივე მოსაზრებულია და მოზომილი.

– ეყოფა, რაც იფარფაშა და იბატონა.

– ოღონდაც! – დაასკვნა ბარათაშვილმა

და ჩაფიქრდა.

2

იმას აფიქრებდა, მეფის წასვლას ხიფათი რამ არ მოჰყოლოდა. ვეღარ სჯეროდა, რომ შესძლებდა თქმის ასრულებას: განქორწინებას და მანამდის სიტყვის შენახვას.

– შესაძლო იყო მის დათანხმება: გარს ვეხვიენით. ჰმორჩილებდა ჩვენს გავლენასა; იქ ის ალქი აუშლის სურვილს, ააღელვებს, მოუდუნებს ნებისყოფასა, დასტყუვნებს სიტყვას. საფრთხეში ჩავცვივით: მისი ძმა მთელ ძალას იხმარებს ჩვენის განზრახვის ჩასაშლელად, ჩვენ დასაღუპად.

დაფიქრებულიყო მუხრანბატონიც. არც მას სჯეროდა, ლუარსაბი დაიცავდა მათ საიდუმლოს და, როცა ჟამი დადგებოდა, შეასრულებდა განზრახვას. ჰაზრთა რკვევამ სასტიკ დასკვნამდინ მიიყვანა.

– უსათუოდ მოესწრაფოს დღე თვით გიორგის! ეს თუ არ მოხდა, ჩაგვეშლება დაწყებილება. იქნებ ჩვენსავ წინააღმდეგ მოიმართოს განზრხვა ჩვენი.

დაასკვნა, გაეზიარებინა თავის ეჭვები ქსნის ერისთავისთვის, დააპირა მისკენ გადავლა; აღარ დასჭირდა: შემობრძანდა თითონ იასე. ხმალდარაკიანი შინაყმა მოსდევდა.

– მშვენივრადა გრილა ამ დალოცვილ კოჯორში!

– მობრძანდი, ბატონო! – შეეხმაურა აივნიდან თეიმურაზ

და ჩაეგება მეგობარს, შეიპატიჟა.

– ეს არის, ვაპირობდი თქვენთან გადმოსვლას.

– ახალი ხომ არა გაგიგიათ რა?

– არა, ლუარსაბის წაბრძანების მეტი. შადიმანთან საუბრის შემდეგ უცნაურმა ფიქრმა შემიბყრო.

– რა ჰაზრმა?

– მეფე წაბრძანებულა ოჯახში. თუ ქალმა მოხიბლა და დაავიწყა აღთქმა...

– მაშინ ახლად დაგვჭირდება გოდოლის გება და უფრო მკვიდრად.

– რომელიღა გზით?

– ძველივე საშუალებით: მსწრაფლ მოისპოს იგი მისი ძმა! აცნობეს მოურავს მეფის სურვილი ნადირობის შესახებ?

– უცნობებიათ. შემოუთვლია: მსროლელთ მოუხმობ, გეახლებიო.

– ეს კი უთქვამს: რატომ პირდაპირ არ მიბრძანაო. კრწანისშია; იარაღში სწრთვნის თავის გლეხებს.

– ჭკვიანია და შორსმხედველი: ის მამული ქალაქს აკრავს; იქიდან ადვილია თბილისის ზვერვა, მოძრაობის თვალიერება შაჰინტახტში თუ სალაყბოზედ. სამეფო აგარაკიც ახლო არის, მოკლე გზებით კოჯრამდინ საათ-ნახევარი საკმაოა მკვირცხლმსვლელისათვის.

– მართალსა ბრძანებ! ვერაფერს ვერ მოვაპარებთ აქ.

– მარჯვედ იცის მოფიქრება და მით უფრო საშიშია ჩვენთვის, საფრთხილო. დროზედ უნდა ჩამოვრეკოთ საბედისწერო.

– არ ასცდება ნადირს ისარი!

– დაბრუნდეს მეფე, გავემართნოთ მხეცთ გასამუსრად!

3

ღამე გატეხილი იყო. მოისმა ცხენის ფეხის ხმა აჩქარებული. შადიმანის სასახლესთან შედგა მხედარი; ჩამოხტა, გადააგდო აღვირი აქაფებულ ცხენს; დაუწყო რახუნი ალაყაფის კარებს. გაუღეს. დაურიდებლად ეკვეთა შადიმანის ოთახს. ეძინა ვაჟკაცს. უეცრად ვერ მიჰხვდა, ვინა ჰბედავდა და ძილს უფრთხობდა. წამოხტა. ხანჯალი ჩამოგლიჯა ლურსმიდან. რომ გამოერკვა, ხმაზედ იცნო, ვინც ისწრაფოდა; გაუღო კარი.

– რა ამბავია? შუაღამისას შემოსდგომიხარ გზას.

– დიდი ამბავი დატრიალდა სასახლეში! გამოვიჭერ, მოვდივარ ქროლით ღადაღუდეში.

– მითხარ, ნუ ჰყოვნი!

– ბატონი მეფე მიბრძანდა ოჯახში. არ გაუვლია ბევრს ხანს, რომ გამოვიდა გაფითრებული. წასცდენოდა მძიმე სიტყვა და განრისხებულ დედოფალს ებრძანებინა, მაშინვე მოერთმიათ მისთვის ეტლი, გაესტუმრებინათ არმაზის ქალთა სავანეში.

– მონასტერში?! თითონ თხოულობდა?!

– არრას ისმენდა! თავს მოვიკლავო, იძახოდა გაშმაგებული. ამაოდ ამშვიდებდნენ მეფეც, დიდი დედოფალიც. აღარ მოვუცადე; გამოვქუსლე.

– რაღა საჭირო იყო დაცდა?! – წარსთქვა შადიმანმა და უხმო ბიჭებს.

მსწრაფლ მოიწვია დიდებულები. მყის შეიკრიბნენ. აღელვებულნი კითხულობდნენ მიზეზს უჟამოდ ყრილობისა. შადიმანისკენ მიებყროთ თვალნი. მიჰმართა ბარათაშვილმა:

– ლუარსაბს ვეღარ მოუთმენია: გაუცივართ, გადუცია ცოლისათვის თვისი განზრახვა. აცეცხლებულ ქალს მონასტერში წასვლა უთქვამს, აღარ დაუხანებია, ძალა დაუტანებია ქმრისათვის.

– და იმასაც აუსრულებია ცოლის სურვილი?!

– საიდუმლო გამჟღავნებულია. სააკაძეს ეხლავ მიუტანენ ამბავს. მიჰხვდება ყველაფერს. შეისხამს იარაღს ჩვენ წინააღმდეგ.

– იქნებ სჯობდა ქალი მოგვესპო?

– გვიანღაა მაგაზედ ფიქრი.

– უნდა მოისპოს გიორგი ეხლავ, ამავ ღამესა!

– უსათუოდ! მხოლოდ მაშინ აღარ ექნება ამ საშინელ ამბავს ჩვენთვის ძნელი ბოლო.

– ვინ იცის, სად არის ეხლა.

– კრწანისში.

– რაღას უცდით?! წაესწრაფენით! – ჩაურთო სიტყვა შადიმანის ცოლმა სანდუხტმა, რომელსაც ჩაცმა ვერ მოესწრო და ქირმანის შალში იყო შეხვეული.

– სწრაფად შეიარაღდით და მოდით. გამოიყოლეთ სანდოები. რაზმი უკვე მზად არის. მოკლე გზებით დავეშვათ, – ბრძანა შადიმანმა.

გაიფანტნენ. შეიჭურვნენ. შეგროვდნენ. დაეშვნენ თავქვე. სად მიდიოდნენ და რა განზრახვით, ეს გახმაურდა. რაზმში, კარისკაცებშიც ერივნენ სააკაძის ერთგულები. მათ სთქვეს გიორგის გადარჩენა და დაეშვნენ წავარნებით კრწანისისაკენ. წინ უსწრობდნენ შეთქმულთა ბრბოებს: შეგროვებამ, ბჭობამ, შეიარაღებამ შეაფერხა ისინი. ყველაზედ ადრე დაეშვა გიორგისკენ მისი პირადი მეგობარი ფარეშთუხუცესი კახაბერ ხერხეულიძე.

4

იმ წინადღებში მეტად დაფიქრებული იყო გიორგი: ისე მოეწყვნენ გარემოებები, რომ მეფე მთლად ხელში ჩაუვარდა დიდკაცობას, სააკაძის მოსისხლე მტრებსა.

კოჯორში შეიკრიბნენ ისინი, იქ შემოარტყეს ლუარსაბს ჯადო წრე ზეიმ-სიმთვრალისა, ვნებათა ღელვისა, მის დაცხრომის; ლიქვნისა და გესლიანის წაქეზებისა. მთელი ეს ტკბილად მწამლავი ისრები თუ ჰოროლები მიმართულნი იყვნენ მოურავის დასამხობელად, მის მოსასპობლად.

ამირთამირმა ააცილა მეფე საზაფხულო სასახლეში, დააბინავა; თითონ მალე დაბრუნდა იქიდან; თავი დაანება, სრულ ნებაზედ მიუშვა იგი. იცოდა: ათას გაქნილ ენას მაინც ვერ გაუმკლავდებოდა, ვერ შთააგონებდა მეფეს ყოველ ჟამს და წამს. ხმალზედ ყოფილიყო საქმე, ერთი ასს გაუმკლავდებოდა, მაგრამ ეხლა ენა მოქარგული ბოროტება იბრძოდა და ამ ფარგალში მოწინააღმდეგენი უფრო ძლიერნი იყვნენ, გამოცდილნი.

თუ დედოფალი თანა ჰყოლოდა ჭაბუკ მეფეს, კიდევ შესაძლო იქნებოდა ბრძოლა: მისი სიახლე მარად აღგზნებდა ვაჟკაცს და ამისთანა წუთებში ის მორჩილი მონა იყო თავის მზიასი. ეხლა ამ გავლენასაც მოკლებული იყო. ქალები მაშინვე ვერ გადავიდნენ სააგარაკო ბინაზედ: დედოფალს ვერ შეეძლო მსწრაფლ გამგზავრება, მეფემ კი უეცრად მოიქეიფა და აღარ ჰსურდა დაყოვნება თუნდ ერთის ჟამით. საჭიროებაც არ მოითხოვდა მანდილოსნების ანაზდად გამგზავრებას: ცხირეთის

ციხე-დარბაზი და მისი სანახები სიმშვენივრით ეჯიბრებოდნენ კოჯორს და არც თუ ისე ცხელოდა ჯერ, სიგრილე ეძებნათ დაუყოვნებლივ.

დაბრუნდა გიორგი კოჯრიდან, თვალ-ყური მაინც არ მოაშორა მეფეს: რამდენიმე თავდადებული ჰყვანდა მეფის სასახლის მცველად დაყენებულ რაზმში და თვით კარისკაცებშიც: ბააკა ხერხეულიძე, პაატა ჩივაძე, ურუმ ბენაშვილი, მათია ქვლივიძე, ხოსიტა ადოლაშვილი. ამათ ყველას ისე ენდობოდა, როგორც თავის თავს.

როდესაც მიუვიდა მეფის ბრძანება ყარაიაზედ სანადიროდ წასვლის შესახებ, შეეჭვიანდა: არც თუ ზედგამოჭრილი დრო იყო ფართო ნადირობის მოსაწყობად. აახლა პასუხი, მსწრაფლ გეახლებიო. დაიბარა მარჯვე ბიჭები, რომლებიც ამ ნადირობისა თუ აღლუმის ჟამს არ ასცდებოდნენ მას, დარაჯად დაადგებოდნენ.

– თუ ღია საფრთხე მომელოდდეს, პირისპირ ბრძოლა, მშველელი საჭირო არ იქმნება ჩემთვის; მაგრამ ვინ იცის, რა მახეა ჩემთვის დარწყული; მეტი სიფრთხილე არ იქმნება შეუფერები: ბევრი ვაჟკაცი გაუფუჭებია ნადირობის დროს ისარს ფრთიანს მრუდედ ნასროლსა თუ ცხელს ტყვიას მიზანს აცდენილს, – გაიფიქრა გამოცდილმა.

ამისათვის დაიჭირა წინადვე თავდარიგი, თავისები დაიბარა შესაკრებლად. ზოგიერთი მოსულიყო; მალე მოაღწევდნენ სხვანიც და ეახლებოდა მეფეს ამ მარჯვე მონადირეებით გარს შემორტყმული.

მეფის წასვლა კოჯრიდან არც იმან იცოდა. ვერც ეცოდინებოდა: ანაზდად მოხდა ეს. ის თუ ეგონა ლუარსაბს, მისი მოსაზრება ისეთი სრული იყო და მკვეთრი, რომ მაშინვე შესაძლო შეიქმნებოდა ოჯახის ჩაყენება წინანდელ სადინელში.

გიორგი ეხლა წყნარად იყო და ვახშამთ უკან ჩვეულებრივ ხალვათად მოისვენა. დაიძინეს მისმა მხლებლებმაც. დაწვა კიკოლაანთ მართაც: დედაბერი უვლიდა სააკაძის სახლს და ემსახურებოდა, როცა ის მოისურვებდა ამ თავის ახალ მამულში მიბრძანებას.

5

მამლის ყივილი იყო, როდესაც რაზმი მოადგა წინანურის ხევს. შეაყენეს. მისცეს განკარგულობა: გარს უნდა შემოსჯროდნენ გიორგის სახლს, რომ არვინ გაჰპარვოდათ ღამის სიბნელეში. სხვებს შადიმანის წინამძღოლობით უნდა შეემტვრიათ ალაყაფი და აეკაფათ მოურავი მის სავანეში.

– ფეხაკრეფით! ხმაურობა არ იყოს! ლოგინში მოვასწრობთ. სიკვდილი ხელმწიფის მოღალატეს!

უხმოდ მიდიოდნენ. აქა-იქ ისმოდა ძაღლის ყეფა თუ ყმუილი. ალყა შემოარტყეს. ეცნენ ჭიშკარს. დაკეტილი არ დაჰხვდათ. მიიჭრნენ ოდასთან. ოთახის კარი შავად გამოიყურებოდა გაღნიოშებული. დაუშინეს ლოგინს თუ საფენს. ხმა არ მოესმათ. აანთეს, მიანათეს: არავინ სჩანდა.

– დაგვემალა ის...

– იქვე არის: ტანთსაცმელი, იარაღი აგერ აქ ჰყრია.

გაცვივდნენ, დაიწყეს ჩხრეკა. ეძებდნენ ოთახებში, ბაღებში, თავლაში, ბაღჩაში, ყველა კუთხეში. ვერსად მოხელეს. ძლიერ ეწყინათ. აირივნენ. მოასწრეს რამდენსამე კაცს. უიარაღონი შერჩნენ მტერს: ვერ იომეს. ჰკითხავდნენ, სცემდნენ, ხანჯლებით ჰგმირდნენ: უნდოდათ ეთქმევინებინათ, რა იქმნა მოურავი. არ იცოდნენ, რას ეტყოდნენ?!

– დააყრევინეთ თავები!

მოსპეს ვაჟკაცნი.

– გაგვცეს, შეატყობინეს!

– სისხლს აიღებს, მთლად დაგვანელებს!

– მოვასწრობთ სადმე: შორს ვერ წავიდოდა.

– ბატონო, თავლაში მისი ცხენი ბმულა და აღარ არის.

– ცხენის გატაცებაც მოუსწვრია?!

– არა! აი შეკაზმულობა.

– უბელოზედ გადაჯდებოდა.

– ვინ გაგვცა იმ იუდის კერძმა?

– ბატონო, აი დედაბერი ვიპოვეთ, გოდრიდან ამოვათრიეთ.

– გრძნეული იქნება, ეშმაკის კერძი.

– სად არის მოურავი, შე როკაპო?

– რა მოგახსენოთ. ვახშამი ინება და მოისვენა. ჩვენც დავიძინეთ... ქართველები ყოფილხართ; მეგონა, თათრები დაგვეცნენ.

– რის თათრები, ეშმაკეულო! სთქვი, სად არის! – შეუტია შადიმანმა და ბიჯი წასდგა.

– ეხლავე სთქვი! მეფის მოღალატეს დავეძებთ.

– მეფის მოღალატეს გიორგის სახლში?!

– გაკმინდე ხმა! გვითხარ, ვინ შეატყობინა. ხმაურობას გაიგებდი, რაიმე ძახილს.

– არაფერი გამიგია, არც ვინ მინახავს.

– ცხენის ძუაზედ გამოაბით, აათრევინეთ!

– მარტო კარის რაკუნი მომესმა და მერმე გიორგის ხმა: ბააკავ, შენა?

– ბააკა? ხერხეულიძე?!

– ის ჩვენთან იყო, რომ მოვდიოდით.

– არ წამოგვყოლია თან.

– მაშ აქ როგორ გაჩნდა?

– ძიების დრო არ არის. თავი გააგდებინეთ მოღალატეს.

– გვარეულობა აგვესევა.

– იქნებ სხვა ვინმე ბააკა იყო.

– თუ ის გამოდგეს, ცხვირი მოეჭრას, როგორც ოჯახის მოღალატე დიაცს!

– ეხლა რა ვქმნათ?

– ნოსტესაკენ! იქით გაიქცეოდა, თავის ოჯახისკენ. გამაგრდება, შემოიკრებს მომხრეებს და დააპირებს გამკლავებას.

– აბა ჩქარათ! მოვასწრებთ, მანამ ძალს შეიკრებს.

– იქნებ გზაზედვე მოვწვდეთ.

– ვერსად წაგვივა!

6

აიკლეს, გაიტაცეს, გააჩანაგეს; მისცეს სახლს ცეცხლი. ალმა გაანათა თავმოკვეთილი გვამები. სისხლის გუბეში იდგა გაშეშმიშებული დედაკაცი და ძაგძაგებდა. გაცვივდნენ ყველანი. მოიწმიდა იქავრობა თავდამსხმელთაგან. ხმაურობაზედ გამოცვივნული მეზობლები. მოდიოდნენ ფეხაკრეფით, განცვიფრებით შეჰყურებდნენ უბედურობას.

– ამისთანა ქონების ესეთი გაოხრება?!

– ნეტავ რა დანაშაული მიუძღვის ამაგდარ ვაჟკაცს?

– ყვიროდნენ, დაჰკათ მეფის მოღალატესაო.

– რად უღალატებდა ხელმწიფე-სიძეს მისთვის თავდადებული კაცი?

– აქ რაღაც სხვა ამბავი უნდა იყოს.

– ქათმებივით დაუყრევინებიათ თავები საწყლებისთვის.

– რას ერჩოდნენ უღმერთოები?!

თქვეს, იყაყანეს. ჩააქრეს ცეცხლი. ჩარდახს შეაფარეს დახოცილები და ყარაული დაუყენეს პატრონების მოშველებამდინ.

თავდამსხმელნი რომ ეძებდნენ გიორგის და ონავრობდნენ მის სახლ-კარში, პაატა ჩივაძემ იხელთა დრო, ჩამოსხნა ბეგთარი, საჭურველი; გასცდა სახლს, ეზოს, მოახტა ცხენს და გაჰკრა ნოსტესაკენ მოკლე გზებით. მოურავის დასაღუპად წამოსულ რაზმს გამოჰყვა რამდენიმე მისი ერთგული, რომ განსაცდელის ჟამს მხარი დაეჭირათ განწირულისთვის.

მიაქროლებდა პაატა, არ ერიდებოდა თავქვეს თუ აღმართს, ღელეს თუ ტყესა, ოღონდ მოსწევნოდა პატრონს და მიერთმია მისთვის იარაღი.

– უიარაღოდ, უჭურველად შერჩება კაცი და დაჰღუპავენ მოღალატენი, – ფიქრობდა იგი.

მიესწრაფებოდა. არც მწყემსი, არც სხვა ვინმე სჩანდა, რომ დაჰკითხებოდა; მგზავრს კი ამ ღადაღუდეში სავალო არა ჰქონდა. მიჰქროდა კაცი, თან გზას ათვალიერებდა, იქნებ შემთხვევით იმავ ბილიკს ვადგევარ და ნაკვალი ვნახოვო. რომ გადასცდა სათოვლე მთას და დაუახლოვდა კოშკის სანახებს, წააწყდა ცხენის ახალ ნაკვალს. კიდევ მცირედ და ტყის პირას შენიშნა მხედარი: მიდიოდა, ცხენს მიუძღოდა. იცნა, გაქუსლა. შედგა მოურავი, ცხენს ამოეფარა, ხმალი მოიმარჯვა; მაგრამ მალე გაარჩია მიმავალი, შემოეგება.

– შენა ხარ, პაატ?

– მე გახლავარ, ბატონო! შეიმოსე და აღიჭურვე: ფეხდაფეხ მოგვდევენ.

– შენ საიდან?

– რაზმს ჩამოვყევ კოჯრიდან. შენ სახლს რომ იკლებდნენ, მოვასწარი იარაღის გამოტაცება.

– ძმა ძმისთვის, შავი დღისთვის!

– შენს მხლებლებს თავები დააყრევინეს. სახლს ცეცხლი მისცეს. გაფანტულ რაზმს აგროვებდნენ დასადევნებლად.

– კაცები დამიხოცეს? ახ! მოთავედ?

– შადიმანი.

– ჩემი ცხენი გაიბერა, გასკდებოდა, თუ არ ჩამოვმხდარიყავი, – განუმარტა გიორგიმ

და შეიმოსა, შეიჭურვა. გაუდგნენ გზასა.

– სხვა ჩვენები?

– არ ვიცი: ღამე წამოვედით. ურუმას კი მოვკარი თვალი.

დაეშვნენ კავთურას ხეობაში. ჯერ არ გასცდენოდნენ ამ მიდამოებს, რომ ბექობიდან ამოჩნდა ბენაშვილი.

– ურუმავ?!

– გახლავარ, ბატონო!

– საიდან მოგვიარე?!

– უფრო მოკლე გზა გახლავსთ. ვთქვი: ბატონის ოჯახს მშველელი დასჭირდება და წამოვედი.

– ფეხით?

– ცხენი გზაზედ დავაგდე: გაიგუდა.

7

მტერს რომ გამოასწრო გიორგიმ, ერთ წამს შესდგა: გზას იკვლევდა ჰაზრთა არეში. თბილისზედ არ შეიძლებოდა: ღამე იყო, დახშულნი იყვნენ ქალაქის კარნი; სოღანლუხის ფონით საშიში იყო ბნელაში, შორსაც უვლიდა; ერთადერთი გზა იყო წინანაურის ხევით. ფრთხილად დაძრა ცხენი: შეიძლებოდა აქ კოჯრიდან მომავალ მდევარს შეჰხეჩებოდა. განვლო მშვიდობით: უკვე ჩაევლოთ. ოქროყანის სანახები. ვერის ხევი. სათოვლე მთა. გადახედა ქართლს. შეუერთდნენ ერთგულები. დაქანცულები მივიდნენ ნოსტეს.

გიორგის ჯალაბობას გაუკვირდა მისი მისვლა და მერმე ისეთ ყოფაში, ძალიანაც შეშინდა. ეგონათ, მაკრინეს საქმეზედ გამოჭრილა და სისხლს ეძებსო: დედოფალმა წერილით აცნობა მათ თავისი უტეხი სიტყვა და ემშვიდობებოდა. შესძახა მოსულმა:

– ჩქარა წამოდით ყველანი! ეგრე, როგორცა ხართ!

– რა ამბავია? სად მიგყევართ?

– მტერი მოგვდევს. აბა სასწრაფოდ! სადაც არის, გამოჩნდებიან, – მოჰკრა ხელი წვრილფეხობას. შებრუნდნენ ქალები ძვირფასეულობის გამოსატაცად. აღარ აცალეს გიორგიმ, მისმა კაცებმა.

– დედი, ჩქარა!

– წადით თქვენ! ჩემს კერას ვერ მოვშორდები, – გადაჰკოცნა ყველანი. გიორგის ქისა ჩაუდვა ოქროთი: მოესწრო ამოღება. ერთი ცხენი ნახეს, ახსნეს. გაცვივდნენ. გიორგის ცოლმა გაიტაცა თავისი ამზრდელი. დაიბნენ მსახურები. ორმა მაინც მოახერხა თან გაყოლა. მთელი სოფელი ფეხზედ დადგა.

ლტოლვილთ მიმართეს ქსილეთის ტყეს, ყველაზედ მაგარ ადგილს იმ არეში. ესწრაფებოდნენ, ტყეს შეჰფაროდნენ. ძნელდებოდა გზა. გულგახეთქილი ქალები თუ პატარები ვერ მისდევდნენ ვაჟკაცებს: ცოტა იყო სამი ცხენი აღმართებში. მიაღწიეს დაბურულს. გორაკი რამ აჩნდა ხევის პირას მომაღლო; მას მიატანეს.

ხუთი ვაჟკაცი იყო. სამსა ჰქონდა იარაღი. ნოსტედან წამოსულ ბიჭებს მხოლოდ ხანჯლები ერტყათ. სამი ცხენი, მათში ორი უბელო. მტერი საცაა მიაკვლევდა, მოადგებოდა. ხუთი კაცი ვერ შესძლებდა გაჰმაგრებოდა ყოველ მხრიდან მოსულებს, მერმე როცა ზურგთ უკან ჯალაბი ედგათ. არც საგძალი ჰქონდათ. იქიდან დაძვრა ჯერ არ შეიძლებოდა: დაქანცულები იყვნენ; კიდეც ბნელოდა. შემოხერგეს, გაუკეთეს საფარი.

– ძვირად დაუსვამთ გამარჯვებას.

– ვერ გაიმარჯვებენ, ბატონო: შენი რიხი დაუმხობს შემმართველობას.

მოჰშივდათ.

– ბატონო გიორგი! ჩავალ, მოვახერხებ საგძლის შოვნას.

– წადი! ჩემი სახელით მოსთხოვე. ცხენს წაიყვან.

– ქვეითად მირჩევნია: უფრო ადვილად ჩავალ, არც ყურადღებას მივიქცევ.

წავიდა ბეჟან გორგასლიშვილი.

– ეხლა კი მიაღწევდა მდევარი ნოსტეს.

– ვერ გვნახავენ იქ, გამძვინდებიან.

– დედაა იქ, დედა! გაჯიუტდა, არ წამოვიდა.

– ვერას გაუბედავენ მოხუცს ადამიანს.

ტიროდნენ ქალები, ბალღები. ვერ დაამშვიდეს აღელვებულებმა. გარკინავებული გაიყურებოდა გიორგი თავის სასახლისკენ.

– და ამ უბედურების ჩემდ თავს დამტეხი ჩემი სიძეა, მეფე ლუარსაბ!

– დაავიწყდა მას შენი სამსახურიც, მოყვრობაც.

– შადიმან უძღვის. მას მოუწვდია მახვილი ჩემ სამტროდ. ჰეი, შადიმან, ფრთხილად: ჯერ კიდევ ფეხზედა ვდგევარ! – წარსთქვა მოურავმა

და ხანჯალი ააპრიალა: შორიდან უღერებდა, ემუქრებოდა. ვეღაცები ამოჩნდნენ ბილიკზედ. მიტრიალდნენ, დააკვირდნენ მომავლებს.

– ვინ უნდა იყვნენ?

– მგზავრები არ იქნებიან.

– მგზავრს აქ რა უნდა?!

– აბა მარჯვედ!

უკან გადასხეს ქალები, ბალღები. ჩაუსაფრდნენ. მოესმათ:

– ჩვენა ვართ, ბეჟანაი ვარ!

გულს ეფონათ ჩასაფრებულებს. მოახლოვდნენ. მოვიდნენ სავსე ხურჯინებით დატვირთულები. გიორგის ერთგულნი ყოფილიყვნენ, მისკენ წამოსულთ გორგასლიშვილი შეჰხვედროდა. გული მოეცათ: ეხლა ადვილი აღარ იყო მათი წაქელვა. ავახშმეს. დააძინეს. დანაყრდნენ. დალიეს.

8

ფხიზლობდნენ ვაჟკაცები, ჰყარაულობდნენ: ყოველ წუთს მოელოდნენ მტერს. მდევარი მალე მიიკვლევდა მათ სავანეს, გარს შემოერტყმებოდა, ამოჟლეტდა. სამხედრო საქმეში დიდად გამოცდილი გიორგი ჰხედავდა, დიდს ხანს ვერ შესძლებდა იქ გამაგრებას; არც შეიძლებოდა დაყოვნება მტრის მახლობლად, და ეძებდა გამოსასვლელ გზას.

– იძინონ საწყლებმა. ალიონზედ გავაღვიძოთ და გავემართნეთ; გავეცალოთ ამ ადგილებსა.

– საით აპირებთ, ბატონო, გზის გაკვლევას?

– არაგვისაკენ!

სხვა გზა არც ჰქონდა ეხლა გიორგის. იმერეთისკენ ვერ იზამდა პირს. იქ მხოლოდ მტრები ეგულებოდა და უმთავრესი დადიანი. ის შეურაცხყოფილადა სთვლიდა თავს და ამას უფრო სააკაძეს აწერდა, სინამ ლუარსაბს; ესე იყო ჩასმენილი დიდებულთაგან. თრიალეთზედ ახალციხეში. არა, გული არ მისწევდა ოსმალეთისკენ. სპარსნი ერჩივნენ. მძლავრ ნუგზარისკენ, გაუტეხელ ადგილებში არაგვის ხევის!

ჯერ უნდოდა პირდაპირ გაეკვლია გზა თვალადზედ, თელათგორზედ, სასხორისზედ, მაგრამ შეცვალა გეგმა: აქ შარაგზები იყო, ადვილად შეიძლებოდა გარს შემორტყმოდნენ. უფრო სამხრეთისკენ დააპირა გავლა, ირიბად, სათოვლის კალთებისაკენ. დაფიქრებული ზომავდა სავალს ჰაზრთა არეში.

– ბატონო გიორგი! აბა გახედე, როგორ განათდა ნოსტესაკენ.

– შეჩვენებულნი! ცეცხლი მისცეს ჩემ საყვარელ სახლს, სააკაძიანთ სავანეს, შრომით მოწყობილს.

– თქვენ ციხე-დარბაზს, მთავარსარდალო?

– რაღა ამირთამირი ვარ უკვე განრისხული და დევნილი... დედა! დამიღუპეს ამაგდარი ამ ხანძარში თუ ნანგრევებში. დედა! რად არ წამომყევ, მეზრუნა შენზედ?!

ცეცხლი ეგზნებოდა გიორგის თვალებში თუ სახეზედ, ძლივს იმაგრებდა თავს. ქალ-ყრმა არა ჰყოლოდა ხელზედ, წაესწრაფებოდა თავის მამულისკენ, რომ სისხლი აეღო მტრისაგან მძვინვარისა, ან მოსპობილიყო თავისსავე კერის ნანგრევში. აღარა გაეწყობოდა რა. შეუტია თავის თავს, დაამშვიდა. წყნარი მოფიქრება და მიზანზომილი მოქმედებაღა გადაარჩენდა ეხლა მას, მის ცოლ-შვილს, მისთვის თავდადებულ მოყმეებს.

– ერთი კიდევ შემოუარეთ მიდამოს და ჩვენც დავიძინოთ: ჯაფის დღე მოგველის ხიფათით სავსე.

ჯერ არც კი იყო შეფერადებული აღმოსავლეთის კალთა, როცა გიორგიმ წამოშალა ყველანი. შესხეს სუსტები, ჩაიყენეს შუაში; დაეშვნენ. მდევარი ან დარაჯი არ შეჰხვდათ გზაზედ: ვერ თუ მიეკვლია მტერს მათი ბინა. შარაზედ არ მიდიოდნენ, სავალს სჭრიდნენ ღადაღუდაზედ: უფრო საიმედო იყო, თუმცა ძნელი. კარგ მანძილზედ გასცდნენ ბინას, როცა შენიშნეს მახლობელ გზაზედ ვაჟკაცთა ჯგუფი, რომელიც გზას იკვლევდა მათგან დატოვებულ ადგილისაკენ.

– ჩვენკენ მოდიან.

– ძებნას დაგვიწყებენ.

– შეფერხდებიან, მანამ იქავრობას მოსჩხრეკენ.

გასცდა შეიარაღებულთა ჯგუფი, ხევს ჩაეფარა. გიორგიმ გზისკენ დაუხვია, რომ შესძლებოდა სწრაფად სიარული. გამოჩნდა მცირე სხვა ჯგუფი. ჩამოაყენა გიორგიმ თავისები, გასწია წინ ვაჟკაცთ თანხლებით, რომ გაეფანტნა მომავლები: მტრები ეგონა. ამირთამირი რომ დაინახეს მათკენ მიმავალი, სალამით მოეგებნენ: მისნი ერთგულნი გამოდგნენ.

– გავიგეთ, აგშლიან მეფეც, მისი კარისკაცებიც და გამოვეშურენით. შეგვეშინდა ხიფათი რამ არ შეამთხვიონ ჩვენს ბატონსაო.

მეტად გაეხარდა გიორგის.

– თუ დავრჩი, თქვენს ერთგულობას არ დავივიწყებ!

– ისეც დიდად დავალებულნი ვართ შენგან. დარჩენით კი... ამირთამირს ვერ ავნებენ რაღაც ბორები!

– გმადლობთ!

– პურ-მარილი ქვაზედ დადე, გამოივლი, წინ დაგხვდება, – ჩაილაპარაკა ჩივაძემ.

მოსულთ წინამძღვარმა ავთანდილ კარგარეთელმა ნება არ მისცა შარაგზითვე განეგრძოთ სვლა.

– ჯერ ვერ მოუგვნიათ შენი კვალისთვის, თორემ ხალხი ბლომადა ჰყავთ შეიარაღებული. ამბობდნენ, თრიალეთისკენ ეცდებაო გზის გაკვლევას; გოსტიბისკენა ჰქმნეს პირი.

დაუსწორდნენ თელათ გორს სამხრეთით და შეიფერხეს ხელსაყრელ ადგილას: წყარო დიოდა; დაბალი ტყე ჰფარავდა; ღრანტე ჩასდევდა; ხელს შეუწყობდა თავდაცვაში თუ გაჭირებისას ფარულად გაცლაში. აუცილებელი იყო დასვენება: ქალ-ყრმა გაეწამა, ცხენებს მუხლი ეკვეთებოდათ. გიორგი ეხლა უფრო გულდინჯად იყო: გარს ოცამდინ ვაჟკაცი ეხვია გამოცდილი. იარაღი მოეტანათ, არც საგძალი აკლდათ: მოჰქონდა ხალხსა. მხოლოდ ის აღონებდათ, ცხენები არა ჰყვანდათ საკმაო, თუმცა მისმა მეჯინიბემ მოახერხა და მოსწია რამდენიმე ტაიჭი. ბევრი მშველელი ქვეითად მოსულიყო სხვადასხვა ბილიკებით, ეგებ ჰაზრი არ აგვართონო.

აიკლეს სააკაძის სახლი, დაწვეს. მთელი ნოსტე შეალაწლაწეს. გიორგი და მისი სახლობა ვერსად იპოვნეს.

– გაგვისხლტა ხელიდან!

– ცოლ-შვილიც გაუტაცნია.

– სად წავა! როდემდის დაიმალება?!

– ეხლავ უნდა ვიპოვნოთ!

– მოვხელავთ: ჯერ არ არის სამშვიდობოს გასული.

მიიკვლია მდევართ ერთმა ჯგუფმა. მოადგნენ ქსილისს. ჯაშუშისგან აღნიშნულ ადგილს ხმაურობა აღარ ისმოდა. მდევარი მაინც იმედს არა ჰკარგავდა, ალყას არტყავდა. ფრთხილობდნენ: ეშინოდათ გიორგისა, მეტადრე რაკი გაიგეს, იარაღი მიართვეს და შეუერთდნენო. ალყა შევიწროვდა. აჰხედეს გორაკს. ბინა დატოვებული დაჰხვდათ. სასწრაფოდ ნაკეთები ჯებირები, ვახშმის ნამუსრევი. აღარავინ იყო. გადაენაცვლა დევნილ ლომს. დაბრუნდნენ ამაო ძებნის შემდეგ. მოვიდნენ სხვებიც. მოართვეს შადიმანს ამბავი:

– არაგვისკენ უქმნია პირი. ნუგზარისას თუ აპირობს გამაგრებას.

– უნდა მოვასწროთ არმაზამდინ. მერმე მეტად გაძნელდება დევნა. მთელი ძალები უნდა მივმართოთ მცხეთისკენ.

ლტოლვილნი უკვე გამაგრებულიყვნენ თელოვანის სანახებში. ოცდაათ კაცამდინ უწევდნენ. რჩეულნი იყვნენ, გიორგის ნაერთგულევნი. ადვილი აღარ იყო იმათთან ომი. ვერც შიმშილით ამოჰხოცდნენ: სოფლები ნუზლას აწვდიდნენ.

– გიორგი გაუნაპირებიათ ბატონებს, აჰმტერებიან, მეფეც გაუორგულებიათ მასზედ.

– ბატონი რაღა ბატონია, თუ უმადური და უმადლო არ იქმნება.

– მაგათ არაფერი სიკეთე არ ახსოვთ კაცისა: თუ გიორგი არ გარჯილიყო თათარხნობას, ვნახავდი მაგათ ყოფას თვით მეფიანად.

– მაშინ ამოდენა ხალხი მაგან გადაგვარჩინა და ეხლა...

– ეხლა ჩვენ გადავარჩინოთ, რომ სული მოითქვას; მერმე თითონ იცის.

– ღამე დაჰსხმიან თავს უეცრად. კრწანისიდამ ტიტველამ თურმე ძლივს გამოასწრო.

– ძლიერია და მოხერხებული: მარტოდმარტო კაცმა თავი დააღწია ავაზაკურად დარწყულ ხაფანგსა, ცოლ-შვილის გატაცებაც მოახერხა.

– კეთილი რომ აქვს ხალხში დათესილი, მიჰხმარებიან: ვაჟკაცები ახლავანო ეხლა გვერდს.

– კაცო, თომავ!

– რაიაო?

– გამოცდილი ხარ და როგორა ჰფიქრობ, ეხლა რომ დახმარება გავუწიოთ, სასიკეთოდ არ მოგვეცხობა მერმე?

– უსათუოდ! ჯერ ერთი, პატივნაცემნი ვართ მაგისგან და ვალს გადახდა უნდა; მერმე ეგ ისევ დაიჭერს თავის ადგილს და ერთიათად გადაგვიხდის, მფარველობას გაგვიწევს.

– თავს დავდებთ მისთვის: წარჩინებულია, მაინც ჩვენი კაცია

და ეხმარებოდნენ, ემატებოდნენ. მისადმი მიხმარება მეფისა და ბატონების ღალატად იყო გამოცხადებული, მაგრამ მაინც თავს არ ზოგავდნენ ამაგდარისთვის. ეხლა შეიძლებოდა მცხეთისკენ დაშვება, მაგრამ ცხენები არა ჰყვანდათ საკმაო, ის აბანდებდა. მოაგონდა გიორგის ქართული თქმა: იარაღს მტერი მოიტანს!

– ცხენებიც მტერმა ალბათ უკვე მომიყვანა! – გაიფიქრა და აამოქმედა თავის ჰაზრი მკვირცხლი. გაიღიმა. ულვაშებზედ ხელი გადისვა.

– კაცო, პაატ! აგერ კიდეც დაღამდა. ალიონზედ უნდა გავემართნეთ. ცხენები რომ გვყვანდეს საკმაო, შევსძლებდით პირდაპირ შარაგზით გვევლო: ვერ მოგვწვდებიან და თუნდ წინ დაგვიხვდნენ, საკმარისნი ვართ.

– ვერას დაგვაკლებენ: იმათ რაზმებშიც ბევრი არის შენი მომხრე.

– ცხენებს, ბატონო, სოფლიდამ წამოვასხამთ, – სთქვა პაპუნა ვაშაყიშვილმა.

– ყაჩაღები ვეგონებით სოფელში, აღავღავდებიან, ყიჟინას ასტეხენ, – წარსთქვა ქვლივიძემ.

– მართლა და არა ღირს, სოფელი დაიდევნოთ, – დაადასტურა კარგარეთელმა.

– მაშ? – შეეკითხნენ გიორგის.

– მტერმა უკვე იცის ჩვენი ბინა და სავალი. გადაჭრილი გვექნება გზები. ალბათ სასხორისის გზაც დაჭერილია, თითონ მცხეთის ხიდიც. ჯგუფ-ჯგუფად ეყოლებათ შორიახლო ცხენოსანი ყარაულები. ღამე...

– მივხვდი! ღამე ისინი ცხენებზედ არ ისხდებიან და...

– აი დალახვრა ღმერთმა! ვიგონე, ვიგონე და ეგ კი ვერ მოვიგონე.

– მე დავწინაურდები, მგზავრად მოვეჩვენები, დავათვალიერებ, გავირთობ, დავალევინებ. იქნებ ჩვენი ბიჭებიც ერივნენ ყარაულში, – სთქვა ჩივაძემ

და წამოიკიდა ხურჯინი.

ექვსიოდე რჩეული ბიჭი დაეშვა გზისკენ.

10

დაღამდა. გიორგიმ თვალი გადაავლო აჩქარებით გამართულ ხერგებს, დააყენა ყარაულები. მიჰმართა სხვებს, დაესვენათ, დაწოლილიყვნენ. თითონაც წამოწვა იარაღასხმული. ამშვიდებდა შეძრწუნებულ ბალღებს, ქალებსა. ჩასძინებოდა. მძიმე სიზმარმა გამოაღვიძა. ეზმანა სახიფათო ბრძოლა, ახალნორჩობაში რომ გარდაეხადნა დიდებულად. ისე ცხადად მოელანდა, თითქო ნამდვილ ეხლა იბრძვისო.

ერთაწმიდის გადაღმა ტყიან მთაში გულჩავარდნილი ადგილი. აქ ტბად დატრიალებულიყვნენ შემდინარე ნაკადები. წვიმიანში ან ლეღის დროს ეს ტბა უძირო იყო. ზოგჯერ წყალს ვეღარ იტევდა საგუბარი და მრისხანე ღვარად გადმოხეთქავდა ნაპირებიდან. წყნარს დროს ლამაზი: სარკე ანკარა ლელწმის ჩარჩოში. მთვარეს, ვარსკვლავებს უყვართ მის სიღრმეში მზერა. გარს მოჭდობილი თმა-წვერ დახავსებული ხეები ჰხედავდნენ შიგ თავის ახოვან აგებულობას და მოსწონდათ თავი, ულვაშებში იღიმებოდნენ. წყნარი ტბა იყო. მფრინველთ და ნადირთ უხვად აწვდიდა გრილ წყალსა. ალქაჯები მოსახლობდნენ შიგ. ალქიც ენახათ მის ნაპირებზედ. ბოროტნი როდი იყვნენ ეს ტყის შვილები, არვის ავნებდნენ. ერთი კი იყო: სწყინდათ, როცა მწყემსი თუ სხვა შეჰბედავდა მათ საბანელში; ჩაითრევდნენ, დასტანჯავდნენ; არ დაუთმობდნენ. ხალხმა იცოდა ეს და ერიდებოდა მათ წყენას. ყვავილებსაც არ მოჰკრეფდნენ იქ, ლამაზ ყვავილებს, ტბის ზედაპირი რომ შეემკოთ ხელიხელ გაბმულთ.

ერთხელ კი საზარი შეიქმნა ეს ტბა, ფრიად საშიში. გველაშაპმა დაიდო ბინა ტბის სანახებში. ნთქავდა იქავრობას. მფრინველით თუ წვრილ ნადირით გაუმაძღარი, დიდ ნადირსაც ეკვეთებოდა. შინაური პირუტყვიც აღარ გაჰბადა არემარეში. ფოლად ხლართებში ამტვრევდა ძროხას. გათამამდა: მინდორშიც

ჩამოდიოდა. ბევრჯელ მიცვივდნენ გულხეთქებით მწყემსნი, მუშანი. ბალღებს, დედაკაცებს ტყეში ვეღარ გაეწაწანათ.

– კაცო, კაცო! აბრამამ თქვა, მტკვრის ნაპირებამდინ მიაღწია, იქაც ნახესო.

ჯერ ეგონათ, შეშინებული ხალხი აზვიადებსო. მერმე დაიჯერეს, როცა ნავნები და მნახველი გამრავლდა. გაიხსენეს ხნიერებმა ამგვარი ძველი ამბები:

– ხანდისხან, ათასში ერთხელ, შემოვა ჩვენს ქვეყანაში აფთარი თუ ვეფხვი, ტყის კაცი თუ გველაშაპი. ყმაწვილობაში გაგვიგონია, ეგეთივე ძელის სიმსხო გველი გაჩნდა კუმისის ტბაში და მთელი ზაფხული იკლებდაო იქავრობას.

დასძინეს მცოდნეებმა:

– მაგისთანა იშვიათი ნადირი რახსის ნაპირებიდან თუ სპარსეთის სანახებიდან შემოჰყვებაო ჩვენს მდინარეებს.

გიორგი ყურს უგდებდა ამ თქმებს, ღელავდა. ბოლოს, როცა მეფის სასახლემდინაც მიაღწია ამ ამბავმა, დაასკვნა წასულიყო, შეჰბმოდა ვეშაპს. არავის გაუზიარა თავისი განზრახვა. შეიჭურვა ჯაჭვ-მუზარადით. მაგრამ დაფიქრდა და მიჰხვდა, რომ ამისთანა მძიმე საჭურველი კისკას მხეცთან შებმაში ვერ გამოდგებოდა: მებრძოლს შეუბორკავდა მოძრაობის საშუალებას. და დაიკვართა. ხმალი, ლახტი, შვილდ-ისარი, ფეხმარდი ცხენი.

გვალვიანი ზაფხული იყო. ცხელოდა. შევიდა ტყეში. მიახწია ტყის ნაპირებსა. საშიში არაფერი ჩანდა. უბრალო ხმები თუ გაავრცელესო, გაიფიქრა. უეცრად ცხენი შეშფოთდა, ათრთოლდა, აფრუტუნდა. მხედარმა მოიმარჯვა ლახტი. შებუჩქვილ ხის სიმაღლიდან მოისმა შრიალი და გადმოეშვა ჯაგარასხმული გველი. ანთებული თვალები მკვეთრი, სისინ-წივილი. აყირავდა გველი რგოლად მოხვეულ კუდზედ და გადირკალა პირაშკმული. გიორგიმ მოასწრო ცხენიდან გადახტომა. ნადირი ჩააფრინდა ჰუნეს და ხლართებით გაუბა ფერხნი. შებრუნებულმა გიორგიმ ლახტი დაჰკრა წელში და ჩაჭეჭყა. გადიშხლართა მისკენ მცურავი. წელი ვერ აჰყვა ხერხემალ ჩალეწილს. გაბრაზებულმა შხამი გადააშადრევანა მტრისაკენ. უბრალო ხერხიღა იყო ძლეულისა. მისწვდა ხმლის წვერი, თავი გაუპო.

ეს ამბავი დაესიზმრა ხიფათში მყოფ ვაჟკაცს. მხოლოდ ეხლა გველაშაპი ფრთიანი იყო, ბრჭყალებიანი; ბევრი თავი ესხა. ბრძოლას უსწორებდა. გმირის ხმალი ჰკვეთდა თავებს, მაინც რჩებოდა ზოგიერთი ბევრეულიდან. ესმოდა ხმა:

– გადასჭერ წელში და მოისპობა. შენ დაგრჩება მის ნატვრის თვალი!

თითონაც იცოდა, ესე უნდა მოქცეულიყო, მაგრამ ვერ ახერხებდა: მარჯვენა თავის თავად მაღლა იწევდა. გამოეღვიძა ოფლში გაცურებულს. პირჯვარი გადისახა. მოისმა ფეხის ხმა: მისნი კაცნი დაბრუნდნენ გამარჯვებულნი; შვიდი ცხენი მოიყვანეს და ორიც შეიარაღებული მხედარი, გიორგისგან დავალებულნი, მისი მშველელნი. გაიღვიძა ბანაკმა. სამხედროდ გააწყო მოურავმა რაზმი და ჩავიდა გზაზედ. გაკვალილი გზებით მიდიოდა პირდაპირ, თუმცა ფეხაჩქარებით.

11

მოისმა ცხენოსანთა ფეხის ხმა. მიიხედეს, გზაზედ მტვერი ავარდნილიყო: მდევართა დასი მიისწრაფოდა მათკენ. შეკრთნენ ქალ-ყრმანი. შეიბერტყნენ ვაჟკაცები. მოახდინა განკარგულება: ოჯახობა დააწინაურა, უმრავლესობით გარსშემორტყმული; თითონ სხვა ვაჟკაცებით ცოტა ჩამორჩა. და ისე მიდიოდნენ წინ. დაუახლოვდა მდევარი. ფეხი დააწყო იმანაც, არ ეკვეთა გაქცეულებს. გამოეყო წინამძღვარი, გაემართა ლტოლვილთაკენ. შადიმანი ყოფილიყო.

– სად წამიხვალ, მოღალატევ?! აკი გაქცევა არა გჩვევია.

შედგა გიორგი, მოიმარჯვა იარაღი. წავიდა შადიმანისკენ.

– მობრძანდი, ბნელის შვილო, გავსწორდეთ ხმლითა, – შესძახა მოურავმა

და წაესწრაფა. თუ იგრძნო ხმაში მრისხანებით აღსავსე გული და შეკრთა, შეყოყმანდა, შედგა, იბრუნა პირი. შედგა გიორგიც.

– ბალღებს ებრძოლე და დედაბრებსა, შე ლაჩარო! ბნელში დაგესლე: შენთვის ძნელია სინათლე დღისა!

შეუერთდა გიორგი თავისებს. შადიმანიც კვლავ ჩადგა რაზმში.

– შევაყენე, კიდეც გამოვაცალკევე და თქვენ არ წაესიენით, ადგილიდანაც არ დაიძარით, თქვე...

– რა გარისხებს, შე დალოცვილო?! გვეგონა საბედისწეროში გამოიწვიე ამირთამირი და იმისთვის დავდექით განზედ.

– ამირთამირი კი არა, მეფის მოღალატე...

განაგრძეს გზა. მეტად საფიქრო იყო ლტოლვილთ მდგომარეობა: უკან მოსდევდა მოსისხლე მტერი; სხვა გუნდიც რომ შეჰხეჩებოდა ან წამოსწეოდა, გაჭირდებოდა ხალხის დაცვა, ცოლ-შვილის გადარჩენა. ამას დაეფიქრებინა გიორგი. ხერხს ეძებდა, თავიდან აეცდინა ხიფათი. იმ ჰაზრისაკენ უფრო იხრებოდა, ეხლავ შეჰბრძოლებოდა მომდევართ და გაეფანტნა, მოესპო მათთვის სურვილი ადევნებისა. დამკვიდრდა ამ ფიქრზედ და მოხერხებულ ადგილს ათვალიერებდა. გზა მცირე რამ აღმართს შეეფინა; გორაკის ზურგი იყო გადასავლელი.

– აღმართი რომ გათავდება, იქიდან ემჯობინება უეცრად შემობრუნება და თავდასხმა: ჯალაბი თავქვეს გადაადგება და ბრძოლას ვეღარც კი დაინახავს, – იტყოდა გულში.

ხმა რამ მოისმა გადაღმიდან, თითქო გუგუნი. ავიდნენ, გადაჰხედეს. სიტყვებიც დაირკვა:

> იციან გუდამაყრელთა შორით მოქნევა ხმლისაო;
> ლამაზად შეინახიდი ნახეთქი თავრივლისაო...

ერთ წამს შეტბორდნენ ლტოლვილნი. გიორგი დაწინაურდა რამდენიმე კაცით. მომავალთა წინამძღვარმა გამოაჩქარა ტაიჭი და... ერთმანეთს გადაეხვივნენ ბუმბერაზები.

– გოდერძი, შენა?!

– მე, ჩემო გიორგი! გავიგე შენი სიძნელეში ყოფნა და... ჩემი რაზმია.

შალის დროშას მოაფრიალებდნენ შავს. გარშამო ფერადი ხრახნილი. შუაზედ ამოწვდილი ხმალი წითელი ბაწრით ამოქარგული. ვაჟკაცები ბეგთარში ისხდნენ. მიემშვიდობა. იცნო: ბეწინა ჭორმეშიონი, ჩილილა წიკლაური, დათა მძაფრიძე, აბიკა ბოდაველი... ზოგნი მთიელნი იყვნენ, სხვანი ბატონთა უდიერობის გამო ველად გაჭრილნი; ხმალსა თუ ისარს მინდობილნი. თავიანთ ბედი შეეკავშირებინათ ბურდულის ალამთან.

ეახლა ბურდული გიორგის მეუღლეს, მდაბლად მოიკითხა. ჩაუდგა თვის რაზმს. მოშორებით მისდევდა ლტოლვილებს. აღარ მღეროდნენ. მძლავრ მაშველთ მიტოლებით იმედმოცემული დევნილნი მეტ ძალასა გრძნობდნენ გულში თუ მუხლში. გასცდნენ სასხორისს. მთხრობელი მოუვიდათ: აქათ-იქიდანაც მტრები გვყვანან ადევნებულნიო. ითათბირეს გიორგიმ, გოდერძ. დააწყეს, გზის უშლელად ევლოთ მცხეთის მიდამოებამდინ, იქ მოეზომათ უკანასკნელი ნაბიჯი.

– ხიდზედ ყარაულები დგანან. რომ გამოვიარე, მოელოდნენ ძალთ გამრავლებას. იქ თუ ჰსურთ ალყა შემოგვარტყან და ტყვედ ჩაგიგდონ.

– ვის მოელოდნენ.

– იასე ქვენაფლაველს, თეიმურაზ მუხრანბატონს.

– მიკვირს, ხიდზედ გამოგიშვეს.

– გამომიშვებდნენ! თითონ არ მოვინდომე ხიდზედ გამოსვლა, მტკვარი გადმოვსჭერ.

– განა ფონი არის იქ?!

– არა! მაინც შევსძელით: ქართველთ სისხლით შეიღებებოდა ხმალი, ეს კი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება.

12

მოდიოდნენ ფეხაჩქარებით. ერთს ადგილას ბუჩქნარი მოსჯროდა გზას. ავარდა ბოლი, მოისმა გრიალი. ტყვიამ გადაგლიჯა უნაგირის თავი და ნალეწით ხელი დაუსისხლიანა გიორგის. გაფრინდა ცალქალამნიძე, მოასწრო, წაჰკვეთა თავი. იცნეს: შადიმანის შინაყმა იყო – იასონ კუნელაშვილი.

დანარჩენი გზა უბრძოლველად გაიარეს. დარწმუნდნენ: მტერს მცხეთის გზა შეეკრა, იქ ჰსურდა მოემწყვდია ლტოლვილი. გეგმი მარჯვე იყო: ხიდს ვერ ასცდებოდნენ, იქ კი მძლავრი დარაჯა ედგათ მდევნელთ. უკან მოსდევდათ თვით შადიმანი და რაზმები ქვენაფლაველის, მუხრანბატონის. გადაჰხედეს მცხეთის ხიდს. იწყეს ბჭობა. გიორგი და უმრავლესობა იმ ჰაზრს დაადგნენ, შეჰბრძოლებოდნენ, ხმლით გაეკაფათ სავალი.

– ხიდი ვიწროა, ბევრნი ვერ შეგვებმიან ერთბაშად და მისი გაწმენდა ძნელი არ იქმნება. წყალში გადავყრი დამხდომებს! – სთქვა მოურავმა

და დაეტყო, ძალა შესწევდა მის ქადილს.

– ემჯობინება, ბინდს მოვუცადოთ, რომ ავცდეთ მეთოფეების მიზანს: ხიდის ყურში ჩასხამდნენ იმათ, – დასძინა კარგარეთელმა.

– მაინც ეხლავ მოვემზადოთ და განვაჩინოთ, სად ვინ ვიბრძოლებთ, – სთქვა ვასაკ კავსაძემ.

– სუსტები შუაში, რომ დავიფაროთ.

– ჩუმად ჰხარ, გოდერძ, არ რას გვეტყვი, – მიჰმართა გიორგიმ.

– მომწონს თქვენი ჰაზრი: შეიძლება მის ასრულება, მაგრამ ქალები და ბალღები გვტანან თან და უნდა მშვიდობით გავიყვანოთ. ხელჩართულ ბრძოლაში რაიმ ევნებისთ.

– მაშ რა უნდა ვქმნათ?

– გარდა ამისა ხიდზედ სულ ჩვენი ბიჭები სდგანან ბატონთაგან ძალით გამორეკილნი, არ ეგების მათი ჩახოცვა. გავაპოთ მტკვარი!

– რომ დაგვეღუპნენ?

– სად წაუვალთ განგების ნებას?! ძოღან ჩვენ უვნებელად გადმოვლახეთ მდინარე.

მოიწონეს თქმა, დაადგნენ ამ ჰაზრს. დაიკვართნენ. გაუსინჯეს ცხენთ მოსართავნი. შესხეს. ასხდნენ. ახსენეს ღმერთი. ჩაჰყვნენ მდინარეს. შეიძრნენ ყარაულები: ეგონათ, სხვა გზით აპირებენო გაცლას, მტკვრის ნაპირ-ნაპირ. წამოიშალნენ სხვა ჩასაფრებულნიც. მეტად გაოცდნენ, როცა ლტოლვილთ ცხენები გადაჰყარეს ზვირთებში. გონს ვერ მოვიდნენ, ტყვია თუ ისარი წაეყარნათ მათთვის

თუნდაც შორიდან. პატრონები მხედრებს ეჭირათ, ტალღებმა არ გადარეცხონო. ქალებს გიორგი ამოსდგომოდა და ამხნევებდა. ვაჟკაცურად ირჯებოდნენ მხედარნი, ერთმანეთზედ თვალი ეჭირათ, ეშველებოდნენ. და გააპეს მტკვარი მრისხანე, უზარალოდ გავიდნენ ნაპირს.

სახტად დარჩნენ მდევარნი: ამნაირ გამბედაობას არც სააკაძისგან მოელოდნენ.

– ეს რა ვნახეთ, კაცებო!

– როგორ შეჰბედეს აქ მტკვარს, რით დაიმორჩილეს მისი ზვირთები?!

– ადამიანის საქმე არ არის ეს, ეშმაკისათვის აქვს სული მიყიდული.

– სვეტიცხოველმა დაიფარა ის ხალხო თავის საფარველ ქვეშ!

– ღირსიც არის ამირთამირი, ხატი ჰშველოდეს!

ნახეს ადევნებულთ, როგორის მოხერხებით აუქცია გიორგიმ გზა მათ სადარაჯოს, გადაევლო მტკვარს და გაუცრუვა იმედები. ეცნენ ხიდს. გაირეკეს ყარაულები. დაედევნენ მიმავალთ. გიორგიმ დაჰკრა თვალი მათ მოძრაობას; სუსტები დააწინაურა; თითონ დაწყობილი ნაბიჯიო გაჰყვა უკან. არ შედგა, არ მოიცადა მტრის მოსვლამდინ: აქ წინ წადგმული თითო ნაბიჯიც დროს მოგება იყო, საფრთხის დაშორება. მდევარი აჩქარებით მოამტვრევდა არემარეს; სისწრაფეში იშლებოდა, იფურტკნებოდა.

დაახლოვდა მტერი. აუცილებელი შეიქმნა შედგომა, მათკენ პირის ბრუნება. ჩაუდგნენ მებრძოლთ გიორგი, გოდერძ და შეუტიეს. მდევარი შეტორტმანდა სააკაძის გრგვინვის ხმაზედ. ელვასავით სწრაფი შეტევა მტრის გაფანტვით და გაბრუნებით დათავდა. გიორგის რაზმში დაჭრილ-დასერილები ამოჩნდნენ. მძიმედ დაჭრილიც იყო: ხმალი დასხლეტილიყო ქავთარ ქავთარაძის ფარის ნაპირიდან და მახვილის წვერს ღრმად ჩაეკაფნა ლავიწი. მდევარმა რამდენიმე მკვდარი დასტოვა ბრძოლის ველზედ. სოლიკო ავალიშვილი შეჰხვედროდა გოდერძს და გურზით მკერდდაბზარული გადავარდნილიყო. მკვდარი არ იყო. დაენანათ კარგი ჭაბუკი: დააწვინეს ნაბადზედ, წყალს აყლაპებდნენ მათარიდან.

13

გადასჭრეს მანძილი ომგარდახდილებმა, გახდნენ არაგვს, დაიბანაკეს. სამშვიდობოს იყვნენ გასულნი, ადვილი აღარ იყო მათის დევნის განგრძობა. მაგარ ადგილებში იყო ეხლა გიორგი: მტერი წინ ვეღარ დაჰხვდებოდა, ვერც ახალ მშველელს იპოვნიდნენ აქ სისხლისმსმელნი. საშიშიც იყო სადევნელად არაგვს გადასვლა: შელახვა იქმნებოდა ეს ერისთავის უფლებისა, მისადმი ომის გამოცხადება. ამას ვერ შესძლებდნენ ისინი ეხლავ, მოუმზადებლად: ხეობა მაგარი იყო ადგილ-მდებარეობით, ხალხის სიმამაცით. ჩაუდგებოდნენ მებრძოლთ სათავეში გიორგი, ნუგზარ, მის შვილი ზურაბ და ადვილად გახდებოდა შესაძლოდ ომი დიდებულთ დამარცხებით დათავებულიყო. ეს იყო მიზეზი, რომ შადიმანმა, სხვა დიდებულთა დროებით შესწყვიტეს დევნა. რაში რომ დაუსხლტათ ხელიდან, დაასკვნეს უნაგირზედ ეყარათ ჯავრი: გაემართნენ გიორგის გვარეულობის ამოსაწყვეტად.

ლტოლვილთ სასწაულად მიიჩნიეს თვის გადარჩენა. დარწმუნდნენ, ღმერთი ჰფარავდა მათ, ვით ისრაილს ფარაონისგან. გიორგის ცოლმა აღტაცებულმა ხელნი შეჰყარა ზეცას და აღიმაღლა ხმა მადლობისა:

– გმადლობ შენ, უფალო, რამეთუ გვიხსენ განსაცდელთაგან საშინელთა: მდევართაგან განძვინებულთა, წყალთაგან მღელვარეთა და უფსკრულთა! გვიძეღ,

სახიერო, სიმართლითა შენითა და განგვარინე საბრკომთაგან ბოროტთასა! ნუგეშინი ეც ძალითა შენითა ბანაკსა ამას სიწმიდისა შენისა, ყოვლადძლიერო!

მიჰმართა მებრძოლთ:

– მსურს ვემთხვიო სვეტიცხოველს და მივსცე აღთქმა სასწაულთმოქმედს!

გმირებმა გარდახედეს ერთმანეთს. ანიშნა გოდერძმა თავისებს. შესხდნენ, გაჰყვნენ აქადაგებულს. გიორგიმ უთხრა სხვებს, ბანაკში დარჩენილიყვნენ: ახლო იყო ვერაგი მტერი, თვალხმიერობა უნდოდა ისევ, დიდი სიფრთხილე.

მივიდნენ. ილოცეს. შესწირეს. აღუთქვეს. გამოვიდნენ წასასვლელად. ალაყაფის კარებში გამოჩნდა ორი ნაბდოსანი ყაბალახებში. დაუპირდაპირდნენ მლოცავთა ჯგუფს. შედგნენ იგინი. მოსულთაგანი ერთი წაესწრაფა გიორგისკენ.

– გიორგიჯან, შენა ხარ, ძმაო?! – შესძახა

და გადააგდო ნაბადი, მოეჭდო ვაჟკაცს.

– მაკრინე, ძვირფასო!

გადაეხვია გიორგის მეუღლეც.

– მაპატივე, ძმავ, რომ ჩემის მიზეზით ამოდენა განსაცდელი შეგემთხვათ. მადლობა ღმერთს, მშვიდობით გადარჩით და ცოცხალთ გხედავთ.

– დედოფალო და დაო ჩემო, წამო შენც ჩვენთან!

– არა! მე უკვე მხევალი ვარ ღვთისა მანაზონი თეკლე, თქვენთვის მლოცველი. ერთის წამით გამოვსცილდი მონასტრის ზღუდეს: ვერ შევსძელ, არ მენახეთ ჩემნი ძვირფასნი, არ შემეთხოვა შენთვის, საყვარელო ძმავ, ჩემი უკანასკნელი სავედრებელი.

– მითხარ, დაო ჩემო! მიბრძანე, დედოფალო!

– მომეც სიტყვა, ამისრულო, შემომფიცე სვეტიცხოველზედ!

გიორგი შეყოყმანდა ერთს წამს და წარსთქვა:

– ვფიცავ, აგისრულო! ვალდებული ვარ, როგორც ძმა და ქვეშევრდომი.

– მე საუკუნოდ გავეყარე ლუარსაბს, მაინც გვედრი, ნუ გაერევი მის სისხლში: ამ ყველა უბედურობაში ის თვით არ არის დამნაშავე.

– წმიდა არსებავ, კეთილო სულო, ქვეყანაზედ ტანჯვად მოსულო! – წარსთქვა გოდერძმა ნამეტნავისაგან გულისა.

– გოდერძი, შენა ხარ?!

– მე გახლავარ, დედოფალო!

– ჩვენდა მხსნელად მოვლენილხარ განგებისაგან! – სთქვა მღელვარედ

და მიუბრუნდა ძმას:

– რომ მოვდიოდი, მაცილებდა მონასტრამდინ დარაჯთა გუნდი; აღათანგი მოუძღოდა, ჩვენი მოსისხლე. მისი თვალები... შემამთხვევდა რამ ბოროტებას. აფრიალდა შავი დროშა, ლანდივით გაჩნდა გოდერძ ჩემს გვერდზედ.

– და არ მიამბე?! – მიჰმართა გოდერძს მოურავმა საყვედურის ხმით.

გამოეთხოვნენ მწირ დედოფალსა. წარსდგა გოდერძი, დაეყრდნო მუხლზედ, შეეხო ბაგით დედოფლის სარტყელს.

– ეს ბეჭედი, ჩემო გოდერძ, ჩემად სახსოვრად! – უთხრა გულამომჯდარმა ქალმა

და გადასცა ნივთი, აკოცა შუბლზედ; ატირდა მწარედ.

მზე გადიხარა. წყნარი ჰაერი იყო ჯერ ისევ, შეცვლას კი აპირობდა დარი: მთის მწვერვალებზედ აღმოჩენილი ღრუბლები ირყეოდნენ, ჯგუფდებოდნენ, ძირძირს იწევდნენ; არაგვის ხეობაში აპირობდნენ ჩამოწოლას.

– გაავდრდება. დროც არის: აგერ ორი კვირა იქმნება, ცას ნამი არ გაჰვარდნია, – წარსთქვა მანდილოსანმა, რომელიც ტახტზედ იჯდა მოკეცილი და ძაფს ახვევდა გორგლად. მოახლე ედგა წინ, ხელთ ეჭირა საშულოვე და შვებით აძლევდა, რომ ადვილად ეტრიალნა ამოხვევის დროს. უგუნებოდა სჩანდა ქალბატონი, ჩაფიქრებული. ჯიღა წარბები შესჭმუხვნოდა, ბაგეთ გარშამო მკაცრი ნაოჭი შემორტყმოდა. გოგო გრძნობდა დიდ ქალბატონის ავ გუნებაზედ ყოფნას და გაკანკული შეჰყურებდა თვალებში, უნებლიეთ არაფერი ვაწყენინოვო.

– ბატონს ისევ სძინავს?

– დიახ, ქალბატონო!

იყუჩეს. დიასახლისი ისევ ფიქრს მიეცა.

– თითქო ძილის დრო არ არის, ჟამი მოსვენებისა. იქნებ ხანმა გატეხა და მიუშვა სადავე. არა, ნუგზარ ჩემო, ჩვენ ისეთ ეტლზედ ვართ გაჩენილნი, დასვენება მხოლოდ საფლავში მოგვერგინება. საყმო გაუტეხელი გვყავს, არა მშვნევობს მორჩილებას თუ ბეგარასა. შენ მისწრაფებამ მტრობა აღძრა მთიელთა შორის და ჯავრი დაფარული. იქნებ უკვე აუცილებელია ჩვენთვის მომხრეების პოვნა. სიძე გიორგი... ძლიერია, ჰაზრიანი, მაგრამ ბევრი ჰყავს მტერი; მეშინიან, საფრთხე არ დაურწყან მას. სიძე მეფე... ეჰ, ცვალებადია ლუარსაბის ბუნება, ადვილად შეიძლება ავი შთააგონონ.

დიასახლისი რომ გართული იყო ფიქრებში, მოახლე უცებ შეიძრა, გადავიდა ნოხიდან, მოკრძალებით შედგა კედელთან.

– რა დაგემართა, გოგო? შემაკრთე!

– ბატონის ფეხის ხმა შემომესმა, ქალბატონო.

ქოშის ხმა ეხლა მკაფიოდ მოისმა. გაიღო კარი, შემოვიდა ვაჟკაცი. ახალუხი ჩასხნილი ჰქონდა, მკერდი უჩანდა; აბურძგვნილი ჭაღარა თმა შუბლს ჩამოჰშლოდა. მანდილოსანმა კითხვით შეხედა მას.

– მოურავმა გამაღვიძა, საჩქარო წიგნი არისო დიდ ქალბატონთან. აჰა! სწერია, საკუთარ ხელში მიერთოსო.

დახედა უსტარს, ფერმა გადაჰკრა.

– ჩემი თეონა იწერება. ნეტავ რა ამბავია?

გოგომ დაუშვა საშულავო და კითხვით მიაბყრო თვალები ქალბატონს. ანიშნა, წასულიყო. გახსნა, წაიკითხა. ქმარი თვალს ადევნებდა. მანდილოსანს თანდათან ჭმუნვა აეხატა სახეზედ.

– რაო, რას იწერება; ხომ კარგად არიან?

– თითონ კარგად არიან. სასახლის მხრიდან დასაფიქრებელსა მწერს: მეფე კოჯორშია სააგარაკოდ; ისევ აუშვია იალქნები; დიდებულთა ქალ-რძალით არისო გარს შემორტყმული.

– ლუარსაბი რომ ვერ დაიცავს სარეცლის სიწმიდეს, ცხადია, განა მე ვარ, რომ...

– მაცა, ყმაწვილო! სიძე-მეფეს გიორგის წინააღმდეგ აქეზებენო დიდკაცები, ჰსურთ დაღუპონო.

– ეგ ძველი ამბავია თითონ გიორგისათვის. ადვილი ნუ ჰგონიათ მისი დაღუპვა.

– ეგ ეგრე, მაგრამ როგორ მოხდა, რომ მთელი დიდებულნი შეჰყრილან მეფის გარშამო, შენ კი არაფერი იცი ამის შესახებ?

– ეგ დასაფიქრებელია?

– აი კიდევ ჩასაფიქრებელი: მეფეს მოჰსურვებია დიდი ნადირობა ყარაიას, დიდებულნი ყველანი მოუწვევნია; აღლუმის მზგავს ნადირობას აწყობსო; ვშიშობ, ნადირობის დროს ხიფათი რამ არ შეამთხვიონ, როგორც საწყალ ფარსადან ფავლენიშვილსაო.

– მაშ მე აღარ მახსენეს?! მოსათმენი არ არის ეს! როგორ, ქვენაფლაველი, ციციანი, მუხრანელი, ბარათა იქ იქნებიან და მე, ნუგზარი, კი გამორჩეული?! არა! ჯერ ფეხზედ ვდგევარ და შეუძლებელია ჩემი განაპირება. ჰნახავთ თქვენ ამას! ეხლავ...

– რას აპირობ?

– იქ გავჩნდები ჩემი კაცებით!

– დაუპატიჟებელ სტუმრად?

– მაშ?!

– იქნებ ესე სჯობდეს: რჩეული ვაჟკაცები იახელი და ეწვიე სიძე გიორგის. მაინც დრო არის: კარგა ხანია, არ გვინახვანან. მოსაკითხსაც გაგატან ქალ-სიძესთან. შენ და გიორგი მოილაპარაკებთ და ჰნახავთ, რა გზას უნდა დაადგეთ.

– იცი, ჩემო კარგო, უშენოდ სადმე ხრამში გადავიჩეხებოდი, – უთხრა ცოლს დაფიქრებულმა.

– რაც ხდება იქ ან მოხდება, ყველაფერი დაწვრილებით უნდა ვიცოდე.

15

შეუდგა ნუგზარი მზადებას. გულჯავრიანი იყო. ცხადადა სჩანდა, მის დამცირება მოესურვებინათ, მეფეც დაეყოლიათ. საჭიროდა ხდებოდა საკმაო მხლებლების წაყვანა. უხმო გამრეკელს.

– რამაზ!

– ბრძანე, ბატონო!

– ჩემი სიძის გიორგის სანახავად მოვისურვე წასვლა. საუკეთესო ვაჟკაცები უნდა მეახლნენ ომში ნაწრთობნი. შეაგროვე, შეაიარაღე!

– რამდენი გნებავთ?

– თხუთმეტიოდე.

– დავარჩევ, ბატონო! როდისთვის ინებებთ?

– ხვალზეით გავემგზავრები.

– იქნებ შინ აღარ დაგიხვდეთ ამირთამირი: მეფე ნადირობად მიბრძანდება ყარაიას, გიორგი მათთან იქნება. დიდებულთ მეფესთან მოუყრიათ თავი კოჯორში.

– ვინ გიამბო?

– წიგნის მომტანმა. მეგონა, თქვენი მოსაწვევი უსტარი იქნებოდა ეგ.

– საპატიჟო? არა!.. ჰო, მაწვევ კაცს მაახლებენ, – წარსთქვა დაბნეულად

და აიტკრიცა. ღელავდა გულში:

– როგორ, ყველას იწვევს ლუარსაბი, მე კი არ მახსენებს?! მართლა რაღაც ბნელი ამბავი მოჩანს: ნამდვილ მოისურვეს ჩემი დამდაბლება!

ერთს ხანს ჩაფიქრდა. წარსთქვა თავისთვის:

– ჩემს სიძეს მეტისმეტად აესივნენ და უფრო იმის შემდეგ, რაც დედოფლად შეიქმნა მაკრინე. სანადიროდ გადიან. გიორგი მტრებში მარტო იქნება, უქომაგოდ და... ჰე, ჰე! ახლოა სიმართლესთან ჩემი დედაკაცის ეჭვები: სწორედ მახე რამ დაუგეს იქ! რა საკვირველია, მე სასურველი არ ვიქმნები იმათთვის იმ დროს. ვნახოთ!

შებრუნდა სახლში.

– იცი, ქალო, შესაძლოა გიორგი აღარ დამხვდეს შინ, იქნებ კიდეც წავიდა მეფე სანადიროდ. მანამ მე ჩავალ, ისინი...

– მაშინ იქა ჰნახავ, ყარაიაში.

– დაუპატიჟებელ სტუმრად მისული?

– რა ვქმნათ, არ მიგიწვიეს.

– თურმე ყველამ იცის, რომ არ მახსენეს. წიგნის მომტანს უამბნია ბიჭებისათვის.

– ეგ მეტისმეტია და...

– დამაცადონ! არ მინდა მათი წვევა, არც მათთან ხლება! მე თითონ მივდივარ ყარაიას სანადიროდ. თუნდ იქ დამხვდნენ, თუნდ მერმე ჩამოვიდნენ, მე მაინც ჩემი გზა მექმნება.

– როგორც საკუთარი ხიდი ქალაქში?

– ჰა, ჰა, ჰა! ნუგზარის ცხვარი ჩვენს ხიდზე დადის და დაბეგრეთ, ბაჟი გამოართვითო. უნდოდათ ხარჯი შეეწერათ არაგვის ერისთავისთვის! ეხლა თითონ მაძლევენ ხარჯს, ჩემს გაკეთებულ ხიდზედ რომ უნდებათ სიარული. მივდივარ სანადიროდ! ვნახავ სიძე გიორგისაც, ჩვენ ქალსაც; ნანადირევს მივართმევ.

მხიარული სახით გამობრძანდა ნუგზარი.

– იცი, რამაზ ჩემო, მებრძოლი ბიჭები რომ ამოარჩივო, კარგი მსროლელნიც იყვნენ, მონადირენი. ოცდა ხუთი კაცი მოგვინდება. ძაღლები ცოტა, მაგრამ საუკეთესო, მებრძოლნიც: სხვილი ნადირი იცის იქ.

– სანადიროდ მიბრძანდებით, ბატონო ნუგზარ?

– მომეპრიანა!

შეიკრიბნენ ნუგზარისას რჩეული ბიჭები, ომში, განსაცდელში გამოწვრთნილები. ათიოდე ძაღლი აიყოლიეს. ჩაუდგნენ რაზმს ნუგზარ და ზურაბ, დაჰყვნენ არაგვსა.

16

ახალი დილა იყო, როდესაც დაიძრა მგზავრთა დასი. არაგვის ხმაური ჯერ არ ჩანელებულიყო გაღვიძებულ ბუნების ჩქამში. ხევში ღამით ჩაწოლილი ნისლი მაღლა-მაღლა იწევდა სხივთაგან დასერილი, ეფინებოდა გზის აქეთ-იქით აყუდებულ მთათა კალთებსა.

გუნდი ჯერ ჩუმად მიდიოდა. მკვეთრად ისმოდა ცხენთა ფეხის ხმა, სალზედ ნაცურ ნალთა შხრიალი. ბატონი ნუგზარ რამდენიმე ნაბიჯით წინ მიბრძანდებოდა. აქეთ-იქით მოსდევდა ორი შინაყმა მასთან ხმალში შეწვრთნილი გივი არაბული და თევდორე თელაშვილი. თითონ მსუბუქად ეცვა. უხდებოდა თაფლისფერ სკლატის ტალავარი ბუზმენტიანი. აბგარ-აბჯარი არ აესხა. მხოლოდ ხანჯალი. წაბლა ტაიჭი უმუცლო, კოჭმაღალი, დიდრონთვალებიანი. არ არყევდა მხედარს ჰაეროვანი. მზირად ეჭირა თვალი მხედრისკენ, რომ ეგრძნო მისი სურვილი. შიგადაშიგ მთელ ტანზედ თრთოლა გადურბენდა. თითონ რაზმი შეიარაღებული იყო, მაგრამ საომრად არა, მხოლოდ ფრთხილ მგზავრობისათვის. დასტას ორიოდე დაბარგული ცხენი მოსდევდა.

ჩაფიქრებული მიდიოდა ბატონი შუბლშეჭმუხვნილი, სივრცეს მისჩერებოდნენ უძრავი თვალნი. ერთსა ფიქრობდა განუწყვეტლად ძლიერ ძნელ საკვლევს: ფიქრი გარს ევლებოდა მის ქალ-რძალს. ჰხედავდა გიორგის ყოფას ძნელს:

მას გზა ჰქონდა შეკრული; დიდებულნი ვეღარ შესძლებდნენ მის ამაღლებას; დღეს თუ ხვალ უნდა მიეღო მას თავადობა; ხმლით და უნარით ყველის მჯობი გვარითაც დაეტოლებოდა მათ. თუ ტახტის მემკვიდრეც მის დისაგან ეყოლებოდა საქართველოს მინიჭებული, მაშინ...

– გიორგი მაშინ ისეთს სიძლიერეს მოიპოვებს, როგორიც ჯერ არ ჰქონია არც ერთ დიდებულს. მაშინ წარჩინებულთ თავის მოდრეკა დასჭირდებათ გიორგის წინაშე. და განა მარტო ქართლის წარჩინებულთ, საქართველოს ნაწილთ მბყრობელთაც მეფის ხარისხამდინ ზეამაღლებულთ. ვერ დასთმობენ! მეც ვერ დავთმობდი, გიორგი თუ ჩემი არ იყოს. მაშ... განსაცდელი მოელის ვაჟკაცს და მთლად მის ოჯახს. მიშველება დროიანად – დაასკვნა

და ააცეკვა თვისი ჰუნე, გაახალისა. ამალამ იგრძნო ბატონის გამორკვევა და თითონაც წახალისდა: ცხენებს ყელი მოაღერებინა, სიკისკასე დაიტყო და ახმაურდა. აგუგუნდა მგზავრული ხმა ეშხზედ მომყვანი.

ჯერ არ დაშვებულიყო სიმღერა, რომ არაბულმა შეაყენა ცხენი და ხელის შემაღლებით ანიშნა ვაჟკაცებს გაჩერებულიყვნენ. შედგნენ ყველანი. სმენად გარდიქმნენ. ცხენის ფეხის ხმა მოისმოდა აჩქარებული. ერთი წამიც და კლდის ქიმს გამოსცდა მხედარი. ცხენი ოფლში იყო გაცურებული, მტვერში ნაგანგლი. მიაჭენა.

– ბატონო ნუგზარ!

– პორფირე?! რა ამბავია?

– თქვენთან მოვისწრაფი. ბედს არ გაუწირავს ამირთამირი, რომ აქ შეგხვდით.

– აღარ იტყვი, რა ავი წაეკიდათ?!

– თავს დაესხნენ მეფის ბრძანებით. მოასწრო გაქცევა. სასიკვდინოდ სდევნიან.

– მისი ცოლ-შვილი?

– მოახერხა გატაცება. მტერი ფეხდაფეხ მისდევს და... – არ ვიცი! ქსილის ტყეში იყო გამაგრებული, როცა თქვენთან გამოვიჭერ.

– კაცები ჰყავს!

– რამდენიმე ერთგულნი შერჩნენ, ისინიც უიარაღონი.

– ჰაი, დედას მტრისასა. ჩქარათ! იქნებ დროზედ მივასწროთ.

– მოურავი დაგვიღუპონ?! არ შეიძლება ეს! – გაისმა რაზმში

და ამ სიტყვებმა ელვად დაუარეს ვაჟკაცებს, ბრძოლის გუნებაზედ დააყენეს ყველანი.

17

წამოესწრაფა ნუგზარი. ეხლა მისი სვლის მიზანი აღარ იყო ყარაია, არც ნადირობა; იგი ისწრაფიდა ნოსტესაკენ, რომ დაეფარნა თავისიანნი და თავის თავიც იმ განძვინებულ ვეშაპთაგან, რომელთ ჩაებნელებინათ სინათლე დღისა დასაფარად თვის ქუფრ საქმეთა.

მშველელი ეჭირებოდა გიორგის, საქართველოს სიამაყე სარდალთსარდალსა. ქომაგი უნდოდა დიდმოურავს: იგი იძულებით მიისწრაფებოდა საყვარელ კერიდან, ზურგი ებრუნა პირად მტერთ წინაშე იმას, რომელი ჩვეულ იყო სამშობლოს მტერთ ბეჭთა მზერასა, გაქცეულის დუშმანის ზურგის. თანამებრძოლთ ეძიებდა ბუმბერაზი ამირთამირი ძლიერ სასწრაფოდ: მასთან ერთად ინთქმებოდა მისი ოჯახი, გვარეულობა, ირღვევოდა საქართველოს ტახტის სიმტკიცე.

– გაისარჯენით, მოძმენო, გზა გვიძევს წინ საომარი!

– ჩვენ ნადირობას, მხეცთა მუსვრას ბრძოლა გვირჩევნის!

შეჯგუფდნენ, წრედ შემოერტყნენ ნუგზარს: გამართეს ბჭობა.

– უსათუოდ პირს აქათ იზავდა გიორგი.

– მცხეთის ხიდისკენ გამოავლებდა თვის ჰაზრთა ლარსა.

– მაშ ჩვენ პირდაპირ მცხეთისკენ დაგვჭირდება სვლა.

– თუ ხიდი ჩაუხერგეს და სავალო შაუკრეს, მეტი გზა არ ექნება, მტკვარს დაჰყვება აღმა ან ჩაღმა.

– იქნებ თრიალეთისკენ გაემართა ახალციხეს გადასასვლელად.

– შეიძლება ფელის ციხეში გამაგრდეს: ახლოა ნოსტეზედ.

– ვერ შესძლებს: ვერ მოასწრობს ნუზლის შეზიდვას, კაცთ შეგროვებას.

– შეეცდება მტკვარი გადასჭრას, მთებს შეეფაროს.

– არა, ოსებს ვერ დაუახლოვდება: ახსოვთ იმათ დვალეთის დამორჩილება და სისხლს აიღებენ.

– ნამდვილ აქათურ გზას დაადგებოდა! იქნებ ფეხდაფეხაც მოსდევენ და შევეხეჩნოთ საბრძოლველად.

– როგორ, გაჰბედავენ ჩემს საბრძანებელში შემოსევას, არაგვის ხეობაში ჩემ ქალ-სიძის დევნას?!

– ყოველივე შესაძლოა ეხლა იმათგან: ვერ შეურიგდებიან გიორგის გაშვებას ხელიდან.

– სიკვდილის მომასწავებელი იქმნება ეს მათთვის: მომხრეები ჰყავ ხალხში, გონს მოვლენ, შეიკრიბებიან მის გარშამო.

– სმენა! ჩაიცვით საომარი, მოიკაზმენით! პირდაპირ მცხეთისკენ!

– ბატონო ნუგზარ! შეიძლება დევნილნი გვერდის წავარნებით მოისწრაფებიან. ყარაულები დააყენეთ გადმოსავლებზედ, რომ გვაცნობონ მათ გადმოჩენა.

დასთანხმდნენ ამაზედ. დაეწყნენ. წავიდნენ. ჩუმად ვეღარ მიდიოდა რაზმი: ამბავმა მეტად ააღელვა ისინი და გრძნობებს თუ ჰაზრთ უზიარებდნენ ერთმანეთს. ნუგზარს კი განრისხებულს ბოღმა მოსწოლოდა ყელში და ეშინოდა ხმა ამოეღო, რომ მის შავ ღელვას სავალი არ ეპოვნა უხეშ თქმებში თუ ბოროტ ქცევაში განსასახებლად.

მიდიოდა რაზმი, მიისწრაფოდა: გზა ედვა წინ დიდსაომარი. სიძე-მეფეს გაეწირა ამაგდარი და მერმე ისე, რომ მის უვნებელად გალტოლვა უდრიდა მდევნელთათვის წაგებულ ბრძოლას. ყოველ ღონეს იხმარებდნენ, არ გაეშვათ ლომი მბდღვინავი. ესეც იყო: მოსდევდა მტერი სააკაძეს განძვინებული.

– ბატონო ნუგზარ! ხიდი შეკრული იქნება. იქ მივასწრობთ მტრებს. დაგვჭირდება ხიდის გაწმენდა აქადან ჩვენ, იქიდან გიორგის.

– ასიოდე კაცი უნდა მყვანდეს თან, რომ...

– მაინც ვეყოფით! თუ ომს მივასწარით, გაგვიმარჯვდება!

მიდიოდნენ, ისწრაფიდნენ სამსხვერპლოსაკენ: თითონ არ დაბრუნდებიან ხელცარიელნი; მტერიც არ დაანებებს განწირულთ. უსათუოა ერთის მხარის სრული მოსპობა!

18

მიდიოდნენ წინ. იტყოდა გულში ნუგზარი:

– იქნება სჯობდეს, დავაბრუნო კაცი და მოვითხოვო მეომრები კიდევ მომგვარონ. მაგრამ მოცდა აღარ შეიძლება: აქ მხოლოდ სისწრაფით შეიძლება გამარჯვება. თუ მოასწრობენ იმ კაცის ხელში ჩაგდებას, მთელი ლაშქარიც ვეღარ უშველის.

ეჩქარებოდა. თითქმის ჩამოლიეს ხევი: დაუსწორდნენ ბოდორნას. აჩნდა შორიდან მგზავრების ჯგუფი.

– ბატონო ნუგზარ! დარაზმულ ხალხს ჰგავს.

დააშტერდა ნუგზარი.

– ქალნიც მოჩანან. ჩვენები ხომ არ იქნებიან?

– სწორედ ისინი არიან!

– ნამდვილ! აგერ გიორგი.

– მადლობა ღმერთს: გამოუხწევიათ.

– საკვირველია, როგორ გამოეცალნენ.

– არ შეიძლება ამირთამირის დაძლევა! გაჭირვებაში ერთი ათად იქცევა.

– ჰაზრის თვალით ჰხედავს ყველაფერს, თვით უჩინარსაც!

მოვიდნენ. შეხვდნენ. მეტად გაეხარდათ. ქალი ეხვეოდა მამას, ტიროდა, უამბობდა. ძალიან გასჭირებოდათ ყოფა.

– ცოტანი ვიყავით. ქალები და ბავშვები გვყვანდა თან და არ შეიძლებოდა არაჩვეულებრივი ნაბიჯის გადადგმა, მტრის დასაბნევად.

– მაინც გადაგიდგამთ: მტკვარში უფონოდ...

– გოდერძის რჩევა იყო. თუ ის არ შეგვსწრებოდა, დაგვაზარალებდნენ.

– ბურდული? ვიცნობ! დათარეშობს თავის რაზმით ჩემს მიწა-წყალზეც. ხევი, ფშავ-ხევსურეთი თავის სავალ გზად დაუდვია. ყმებს აგულიანებს. თავი კაცები მის სიტყვას ემორჩილებიან. ეხლა კი მადლობის ღირსია. სად არის?

– ბელტის ციხესთან ცოტად ჩამოგვრჩა. მოგვეწევა.

აღარ გამოჩნდა გოდერძი. უცადეს. კაციც დააწინაურეს. ვეღარ იპოვეს.

– თუ განშორება უნდოდა, დაგემშვიდობებოდათ მაინც.

– ბოლოს ჟამს დამისწორდა, სიტყვა რამ მითხრა, – წარსთქვა გიორგიმ

და იყუჩა. მძიმე ფიქრის აჩრდილი აუთამაშდა სახეზედ.

– საკვირველია იმ ვაჟკაცის გზა: მოულოდნელად გამოჩნდება, უეცრადვე მიეფარება.

– რა ჰაზრი აქვს იმის გაჭრას, გარე სიარულს?

– ვინ იცის, რა ფიქრი ან გრძნობა აწამებს, არ აჩერებს არც ერთს ადგილას?!

– საშინელი ხელმარჯვეაო. მის საქმეებს ზღაპრად იტყვიან.

– საარაკოა: მიჰხდომია, შუა ქისტეთში სოფელი აუკლია, ხევსურთ ცხვარი დაგიტაცნიათო.

– რა გითხრა ბურდულმა?

– არც რა! უბრალო სიტყვა გადმომიგდო.

არ იყო გოდერძის თქმა სააკაძისათვის უბრალო. სამშვიდობოს რომ გამოვიდნენ, გაიცალკევა გიორგი:

– ბედისაგან მოწოდებული ხარ: უნდა აასრულო განგების ნება ან დაიღუპო!

– რას ამბობ, კაცო?!

– რაც მაშინ გითხარ, როს მოისურვა სტუმარ-მეფემ შეჰხებოდა შენს წმიდა კერას.

– გამემუსრა ჩემი სტუმრები, ხელი შემეხო ცხებულისათვის?!

– გიორგი! განგება ირჩევს მეუფის გვარს განსაზღვრილ ჟამით. აასრულებს მისი მოდგმა დანიშნულებას, სხვას მისცემს გვირგვინს. ჟამმა დარეკა. საქართველოს სული გიბრძანებს, ხალხის მეფეო!

– ავიმაღლო მახვილი ჩემი...

– სიტყვას არ გასტეხ: მისი სისხლი შენის ხელით არ დაიღვრება!

ჩააფიქრა გიორგი გოდერძის სიტყვამ, მაგრამ იმ ჰაზრმა მქმედი ძალა ვერ შეიმოსა, ფრთა ვერ გაშალა. ეხლა არ გაანდო ეს სიტყვა თვის სიმამრს.

დააწყნარეს შეძრწუნებული ქალი თუ ბალღი, მოუსვენეს გაწამებულებს და პირი იბრუნეს: საქართველოში მხოლოდ ნუგზარის ჭერიღა იყო ამირთამირის, მის ოჯახის მფარველ-პატრონი.

19

დაწყნარდა გიორგი, რაკი სამშვიდობოს გაიყვანა ოჯახი და შეაფარა ძლიერ თავისიანს. არ იყო ეს სულის სიმშვიდე, ვერც იქმნებოდა; მაინც უკეთესი ყოფა იყო წინანდელზედ, როცა ყოველს წუთს მოელოდდა სრულს მოსპობასა.

დაუწყნარდა გონებას იმედმოცემული. აქამდისინ რომ მხოლოდ გადარჩენა, სიცოცხლის შენახვა უელავდა ჰაზრთა არეში და ისე ნათლად, რომ მის სხივებში სხვა აღარა სჩანდა რა, ეხლა ეს მისწრაფება გვერდზედ მიმდგარიყო, გზა მიეცა სხვა ფიქრებისთვის, ახალ საძიებელთათვის.

მისი მტრები კი აღმატებით აღბორგებულიყვნენ, მათ გრძნობათა ფურტქვნას სამზღვარი არა ჰქონდა, ცეცხლითა ქშინავდნენ აღტყინებულნი და გაჰკიოდნენ სიმწარით, როგორც რომ ლომი, რომელს უცნაური მანქანებით დაჰსხლეტოდა განწირული მსხვერპლი და თან ისეთი, ვის კერძადაც შესაძლო იყო თვით შექმნილიყო.

რა მოხერხებულადა ჰქონდათ ყოველივე მოფიქრებული! ნადირობის დროს შემთხვევით მოისპობოდა უმთავრესი ძალა წინააღმდგომი, არავითარი საბუთი არ იქმნებოდა, ვისზედმე მიეტანათ გუმანი. მერმე სულ ადვილად შეიქმნებოდა განქორწინება ან ულმობი ავადობით მოსპობა დედოფლისა. ამით გათავდებოდა ყოველივე. ჩადგებოდა ცხოვრება თავისსავე წარსადინელში.

– ვინ სთქვა, შემთხვევას ძალა არა აქვსო?! თუ ლუარსაბ არ წასულიყო სასახლეში, ურყეველად ჩაივლიდა მოსაზრებული. ეხლა დავმარცხდი. სააკაძის მსწრაფლ მოფიქრებამ, თავხედურმა გამბედავობამ და... უღირს ბრბოის თანაგრძნობამ უვნებელად მიიყვანეს საიმედო საზღვრებამდისინ.

– მაინც დევნა უფერხებელი: მოსპე იგი შენ, თვარა ის მოგსპობს!

– განერა საფრთხეს უვნებლად, არ დაჰკლებია არც ერთი სული. განიპო მათ წინ წყალიც მჩქეფარე, გზა მისცა ლტოლვილთ, ვით ისრაილს ზღვამ მეწამულმა, – წარსთქვა შადიმან

და მორწმუნე კაცს ეს შედარება ცეცხლის ასოებით აღებეჭდა ჰაერში.

– დევნა ვუყავი შიოშას შვილს, ვით ეგვიპტელმა?!

და შეკრთა ერთს წუთს, თითქოს შეთრთოლდა. მაგრამ მრისხანებამ სწრაფადვე აიტაცა იგი, ააქოჩრა ზვირთად ბოროტად. შებრუნდა უკან, გაემართა ხიდისაკენვე. რომ დახედა სანგრებს, ჯებირებს, ვეღარ შესძლო დადუმება, ბოღმის დაფარვა.

– ამ ვიწროებიდან გაგისხლტათ ერთი მუჭა ხალხი, რომელთ ქალები და ბავშვებიც ერიათ?! ღალატსა ვხედავ!

– ნუ ინებებთ, ბატონო შადიმან, ჩვენზედ ბოროტის თქმას: ვემსახურებით ხელმწიფეს, თავს არა ვზოგავთ.

– კიდევ სიტყვა გეთქმისთ?!

– რად გიკვირთ, ბატონო? ამირთამირი წმიდა გიორგისავით უძლეველია, ბევრჯელ გაუტანია მარტოდ-მარტოს მტრის მთელი რაზმი და...

– და შეგეშინდა?

– ნუ დამამცრობ, შადიმან! სესიაანთ გაბოს არ ეძრახვის მხდალობა, შენ თითონ იცი.

– მაინც იმედი გვქონდა, ავასრულებდით მეფის ბრძანებას, თუ პირდაპირ შეგვბრძოლებოდა. მაგრამ მკლავმაგარი რომ არის, გამბედავიც არის საოცრად: ვინ მოიფიქრებდა, მტკვარს გადასჭრიდა?!

ნახა შადიმან, რომ ხალხი თანაუგრძნობდა გიორგის და სისხლი გადაენთხა გულზედ, ბოღმა მოაწვა ყელში ბირთვივით. რას იზამდა? მებრძოლი მეტად უჭირდა ეხლა და იძულებული იყო დაეთმო. გასცა ბრძანება დაწყობილიყვნენ, გაჰყოლოდნენ საბრძოლველადვე.

20

– უნდა ამოწყდეს სააკაძის გვარეულობა, მთლად ამოიფხვრეს!

– უსათუოდ!

– ან ჩვენ, ან ისინი! – იტყოდნენ მტრები და ისწრაფოდნენ მათ გასაჟლეტად. ვეღარ ახსოვდათ ბევრი სიკეთე ამირისგან საქართველოს შესანახად მიმოფენილი, თვით მათ სიცოცხლის მახვილთაგან განსარინებლად: ცოფმორეულმა მღელვარებამ გადაავიწყათ. დევნის სათავეშივე, როდესაც აიკლეს გიორგის ოჯახი და ცეცხლს მისცეს მისი სახლ-კარი, უდივრად მოებყრნენ მის მოხუც დედასაც კი. დიასახლისი ომახიანად დაუხვდა მტერს, ჩაკეტილი კარების წინ იდგა ჯიუტად.

– ჯერ მე მომკალით, უსჯულოებო, მემრე ანგრიეთ ჩემი ოჯახი!

გაფთრებულ დედაკაცის წინ შედგნენ მდევნელნი: მანდილოსნისადმი პატივმა ხელნი შეუკრნა მათ. გონებაახდილი შადიმან თითონ ეცა დედაბერს, გადაამზღვრია.

– ჰა, ჰა, ჰა! დამიხედეთ ჩემის გიორგის მეტოქეს, დედაკაცს უმკლავდება! – შესძახა

და წამოვარდა, გაიწია ვაჟკაცისაკენ. დაიჭირა ხალხმა, გააცალა, მიმალა სხვაგან. ცდილობდნენ დაშოშმინებას.

– შეისმინე, ქალბატონო! გიორგიმ რომ გაასწრო, ეხლა ვაჟკაცები გროვდებიან მასთან. ნუ გეშინიან! არ დაჰნებდა შენი ვეშაპი შვილი, ქონებასაც აინაზღაურებს.

აიკლეს სახლ-კარი და მოსწყდნენ ნოსტეს: ფეხდაფეხა სდევდნენ გიორგის. ხალხი განცვიფრებული დარჩა ბატონების ამგვარ უკეთურობით.

– არ ინდობენ არც მეფე, არც დიდებულნი ამაგდარ ადამიანს ღირსეულს და ჩვენ რაღას დაგვზოგავენ.

– აღარ ახსოვთ უმადურებს, რომ თათარხნობას გიორგიმ დაიფარა ეგენი ამოწყვეტისა და გაოხრებისაგან. ეხლა...

– ეხლა ვეღარაფერს დააკლებენ! რაკი მაშინვე ვერ ჩაიგდეს ხელში, ისეთს რასმე გამოიგონებს, რომ სახტად დარჩნენ.

– ეჰ, ის თავს უშველის, მაგრამ ჩვენ... ერთადერთი ქომაგი გვყვანდა, ისიც სამუდამოდ დაგვეკარგა.

– არა! თავისას გაიტანს: ისევ გაჩნდება თავის კერაზედ.

– ღმერთმა ქმნას! ეხლა კი ძალიან უჭირსთ სააკაძეებს: შემობრუნდებიან, გაუჟლეტავს არ გაუშვებენ.

– იმერეთში აპირობენო გახიზვნას.

მართლა და დაიძრნენ სააკაძენი. გიორგის დედაც თან გაიყოლეს. ეგონათ, მოასწრობდნენ კორტოხზედ გადასვლას, მაგრამ მტრები მცხეთიდან პირდაპირ

გაემართნენ მათ დასანთქმელად. როცა მოახწიეს სააკაძიანთ მამულებამდინ, გაქცეულნი მხოლოდ ატენის ხეობამდინ მისულიყვნენ. წინსვლა შეუძლებელიღა იყო და გამაგრდნენ ფელის ციხეში. მხოლოდ შესძლეს ტყე-ტყე გაეპარებინათ გიორგის დედასთან ერთად ქალები და ბავშვები. ეს მეტად მნიშვნელოვანი იყო შემწყვდეულთათვის: ვაჟკაცებს ხელები გაეხსნათ თავისუფლად მოქმედებისთვის და შესძლეს გამკლავება, თუმც ბევრი ზარალით.

ბოლოს მაინც ამოსწყვეტდნენ მომწყვდეულებს, თუ გაჭირვებას გაქცევის გზა არ ეჩვენებინა. ციხის გალავანში ჭა იყო ამოღებული. ჭის ერთი გვერდი ჩანგრეულად მოჩანდა ძირს, ბნელ რაღაც მთხრებლად. დაფარული გვირაბი ყოფილიყო. ამოსასვლელი ტყეში ჰქონოდა. სანოვაგის შეტანა აქედან იწყეს. ამავე გზით დაუსხლტდნენ ხელიდან მოსისხლეებს.

იყარეს ჯავრი შადიმანმა და მის მომხრეებმა გიორგიზედ და მის გვარეულობაზედ, დიდი ზიანი მიაყენეს მათ, მაგრამ სურვილს მაინც ვერ ეწივნენ: ვერ მოსპეს ვაჟკაცები. თითონ გიორგი ხომ ეხლა საშიშარ საფრთხედაც შეექმნათ მათ, უბედურობის მათზედ მომტანად. არა, უსათუოდ უნდა მოსპობილიყო გიორგი!

21

– ბატონო იასე! შადიმანის ჯიუტობამ და უსაზრობამ ჩვენ უფრო მეტი ზარალი მოგვაყენა, სინამ სააკაძეს.

– მაგას რასა ბრძანებთ, ბატონო თეიმურაზ?!

– რაკი გიორგი ცოცხალი გადარჩა, მოახერხებს დაბრუნებას, უფრო მეტის ძლიერებითაც, და გაიხსენებს ყოველსავე ავს, რაც შეჰხვდა ჩვენგან. დანაკარგსაც აინაზღაურებს. გახსოვდეთ ესა!

– ჭკვას ახლოა, მაგრამ ჯერ არ დაჰხწევია მგელკაცი ხაფანგს: მთაში გვყავს ის შემწყვდეული! – წარსთქვა ქაიხოსრო ჯავახიშვილმა.

– ის გალია მეტად ფართოა, გადასავალი გზები ბევრი აქვს: ჩრდილოეთისკენ, მთა-მთა იმერეთს, თუნდ დაღისტნისკენ. ტყუილია მისი შებყრობის იმედები, – განმარტა ანდუყაფარ ამილახვარმა.

– იმისი დევნა რომ განვაგრძოთ, ნუგზარის საბატონოში მოგვიხდება შესვლა, მასთან ომის დაწყობა. თქვენ იცით, რა მიუვალი ადგილები აქვს, რა ძლიერია, – დასძინა ფაშან ფავლენიშვილმა.

– ეგეთ ომის დაწყობისათვის საჭირო იქმნება უფრო ფართოდ მომზადება და ხელმწიფის ბრძანება, უამისოდ შეუძლებელია ჩვენი მიხდომა, – განაგრძო ნოდარ ციციშვილმა.

– თუ ხელმწიფემ არა ბრძანა, ხალხი არ გამოგვყვება, არც კათალიკოზი დაგვილოცავს გზას, – დაათავა ხერხეულიძემ.

მართალს იტყოდა აღათანგი მეფის ბრძანების შესახებ:

ურაყამოდ არ ეგებოდა ამისთანა მძიმე ბრძოლის დაწყება. ეს შადიმანმა იმაზედ კარგად იცოდა და ამისათვის დასდგომოდა გზას სასახლისაკენ. ვერ მოდიოდა ვაზირი გულსავსედ: მისმა დაჟინებამ ბევრი ზიანი მოუტანა ლუარსაბს: გრძნობები შეულახა, ოჯახი აურია, შედეგი კი სასიკეთო ვერ გამოიღო.

– ეჰ, შადიმან, ავად დაგირჩა თათბირი და შენი დანაპირები: ვერ ეწიე წადილს! გიორგი, სხვა სააკაძეებიც ცოცხლები გაგექცნენ. მხოლოდ უშანგ სააკაძის მოკვლა, იოთამეს გახეიბრება და იმ დედაკაცის...

ბარბარე სააკაძის სიკვდილის გახსენებამ შეუმღვრია შადიმანს გუნება.

– შიგ ბრძოლაში ჩამოერია გაკაპასებული. შევუტიე: მოგვეცა, ვაჟკაცები ვებრძვით ერთმანეთს! ვის ეტყვი? თვალებში მეცა. ხანჯალზედ... შესაშინებლად ამოვიღე და... ღორივით ზედ წამოეგო.

ამოიღო ხანჯალი, დახედა. დედაკაცის სისხლსა ჰხედავდა გაპრიალებულ ფოლადზედ. შეჰზარა. შეეჯავრა სასახლეში შესვლა. მაინც გადადგა ბიჯი: მეტი გზა აღარა ჰქონდა.

– აქა მშვიდობა! – წასთქვა მისულმა

და მდაბლად დაუკრა თავი მეფეს, მის დედას. ლუარსაბმა დაღლილი თვალებით შეჰხედა მას. უბრძანა დამჯდარიყო.

– ბატონო მეფევ! ახში გაგვექცა მძვინვარე ლომი სახელმწიფო ტახტის მრყეველი, ბოროტის მქმნელი.

– ავის მოქმედი გიორგი?! რამდენჯერ გვიხსნა ჭირისაგან მისმა მარჯვენამ.

– ძლიერ კეთილი ხარ, მისთვის იტყვი ნათელ სათქმელს ბელზებულისთვის. ეხლა ის თავის სიმამრთან არის შეფარებული. ჯარს აწყობს შენსა და ჩვენ წინააღმდეგ, სისხლს ავიღებო.

– თქვენ განწირეთ, თქვენ ებრძვით იმას!

– რაცა ხდება შენს საბრძანებელში, ყოველივე შენი უცვლელი ნებით სრულდება!

– თქვენ მიმიყვანეთ იქამდინ, ჩემმა ნაზირ-ვეზირებმა, რომ მე შეურაცხვყავ მისი გრძნობა: განვაძე ქალი ტახტის საფერი, განვსწირე თვითცა!

– და ყოველივე ეს სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის.

– მწვრთნი კვლავ, მარიგებ! მეფე ვარ და ყველასაგან უნდა სრულდებოდეს მხოლოდ ჩემი ნება! – შესძახა

და წამოიჭრა, იატაკზედ დაანარცხა კრიალოსანი. სდუმდა შადიმან. იცოდა უეცარ აღტკინებას მალე მოჰყვებოდა მოშვება. აცალა მცირედ და მიჰმართა დიდ მოწიწებით:

– უნდა მოისპნონ ტახტის მოწინააღმდეგენი, განიავდეს მათი ბუნაგი. სხვას უნდა ჩაჰბარდეს ამირთამირობა და არაგვის ერისთავობა. განთავისუფლდეს ბაგრატიონთ გვირგვინი მის ჩასანთქმელად პირაშკმულ ვეშაპთაგან. დასტური დაგვე, მეფევ ცხებულო, შევკრიბოთ ჯარი მოღალატეთ ამოსაფხვრელად!

– არაგველთა, საკაძეთ მოსასპობელად?!

– აი, ბატონო მეფევ, რაყამი! დაამტკიცე, გვიმსახურე სიკვდილამდინა!

– ხელი მოვაწერო ბრძანებაზედ?!

– და თუ აღარა გნებავთ, ცხებულო ღვთისავ, ჩვენი სამსახური...

– ეჰ, რაც გინდათ, ქენით! ჩემი გული ვეღარ გამთელდეს! – ბრძანა მეფემ

და მოდუნდა, ჩაუქრა თვალები, ჩამოეშვა სახის ნაქვთები. ჩამოართვა მიწოდებული კალამი, მოაწერა ხელი. სულ ერთი იყო ეხლა იმისათვის, რაზედ აწერდა, ოღონდ ჩამოჰსხნოდა უსიამო საქმე საზრუნვი.

22

მანამ სახელმწიფო საქმეს შეეხებოდა მოხსენება, სდუმდა დიდი დედოფალი. მას არ მოსწონდა შვილის ქცევა ამ შემთხვევაში, შემაძრწუნებელ ამბავთ ტრიალში, მაგრამ არ ერევოდა განმგებლობაში და სიტყვა არ ჩაურთა საუბარში. მერმე კი, როცა მეფემ მოაწერა ხელი და დასტური დასცა მოქმედებისა, აიმაღლა ხმა:

– როგორ ჰფიქრობ, სახლთუხუცესო, ეს უმაგალითო ამბავი, რაც ეხლა დატრიალდა, სასარგებლოა ჩვენის სამფლობელოსათვის, ბაგრატიონთა გვარისათვის?

– ამ ხნობით შემთხვევით შეგვეშალა ანგარიში, ბატონო დედოფალო, ხელიდან გაგვეშვა მოღალატე, რომელი თავისთვის ამზადებდა სამეფო გვირგვინს. ტყუილად კი არ მიიბირა ხალხი, ლაშქარი. მაგრამ უფრო ძნელი იქნებოდა, თუ მას შეესრულებინა თავისი განზრახვა.

– რა განზრახვა?

– ვითომ დის სანახავად სასახლეში შემოსულს მოესპო, ჰფარავდეს ღმერთი, მეფის სიცოცხლე და თავისი თავი გამოეცხადებინა საქართველოს განმგებელად.

– სიმართლის სახე არ უჩანს მაგ ეჭვს: სააკაძეს ბევრჯელ ჰქონია მაგგვარი შემთხვევა და თითონ სდგომია დარაჯად მეფეს; სვიმონ დიდის სანდო შინაყმაც გიორგი იყო. განსვენებული ჩემი მეუღლეც ძვირად აფასებდა მის ერთგულობას.

– თქვენი მზირი თვალიც დაუძინებია მის შორსმხედველ ვერაგობას და მისთვის ჰბრძანებთ მაგას. ჩემი წმიდა მოვალეობაა, მანამ ვახლავარ ბატონ მეფეს, გაათკეცებული ყურადღება მივაბყრო ყოველსავე, რაცა ჰხდება სასახლეში და მის გარშამო, რომ დროზედ ავაცილო ცხებულს ბოროტი. გიორგის დაიც...

– ავად ნუ ახსენებ სულით გატანჯულს! გიორგი კი... მიკვირს, როგორ მოასწარით იმ კაცს მძინარეს და მთლად მოუმზადებელს, თუ მართლა მაგისთანა ჯოჯოხეთური განზრახვის მატარებელი იყო?! ხომ ეჭვი უნდა ჰქონოდა, რომ მეფის ერთგულნი გუმანს მიიტანდნენ მის ბნელ ფიქრებზედ და ეცდებოდნენ მის მოსპობასა. თითონ უდროვოდ მოწყობილი ნადირობა სიცხიან ყარაიაში.....

– კმარა, ბატონო დედავ, მივანდოთ ჩვენთ მზრუნველთ იურვონ ჩვენს ტახტზედ და სახელმწიფოს კეთილდღეობაზედ, – ბრძანა მეფემ

და ანიშნა შადიმანს, წასულიყო. იგრძნო, რომ მისმა დედამ იცოდა ყოველივე, რაც მოეწყოთ სააკაძის მტრებს და რის უნებლიეთი მოზიარე თითონაც იყო. მეტად აღელვებული გამოვიდა შადიმან.

– ერთი მარცხი კიდევ და შეიძლება დიდმა დედოფალმა მთლად გადახაროს მეფე თავისკენ, გაგვირისხოს, გაგვიორგულოს. იქნებ მეფემ სააკაძე და მისი დაი კვლავ მოიწვიოს, – იტყოდა შადიმან.

მსწრაფლ ამცნო მომხრეებს საქმის ვითარება. დაგზავნა გამრეკლები, რომ მეფის ბრძანების თანახმად გამოეწვიათ ლაშქარი სააკაძის კვლავ სადევნელად. მისწერა მანუჩარ მაჩაბელს, აეშალნა ოსები, რომელთ ახსოვდათ გიორგისგან დვალეთის დაბყრობა და სისხლი სწყუროდათ მისი. ამცნო ათაბაგ მელიქს, მოჰშველებოდა თავისი რაზმით.

ლუარსაბი დაფიქრებული იყო, თვალებ მიქცეული: მოსდებოდა მის სულს უნებლიეთი ზრუნვა მაბეზრებელი და შეეჭმუჭნა მისთვის ვიწრო შუბლი წვრილ ნაოჭებად. თავი დაეხარნა წელში მორკალულს. კარგა ხანი იყო ფიქრთა ბარდებში გაბმულ-ხლართული. ბოლოს გასწორდა წელში და მოივლო მარჯვენა გოჰარშეყრილ ხანჯალზედ. წარუდგა დედას.

– ესე აღარ შეიძლება, არ ეგების სხვათა ხელით სახელმწიფო საქმის კეთება!

– ოღონდაც!

– წარჩინებულთ ააბნიეს ცხოვრების დენა. ისეც დაკნინებულს ჩემს ტახტს ჩამოაცილეს საუკეთესო ძალები. გიორგი და ნუგზარ კვლავ ჩვენ სადიდებლად უნდა ისხავდნენ იარაღს, ეხლა კი გაყოფილან სახელმწიფოს თავი კაცები და ებრძვიან ერთმანეთს დაუნდობელად, ხალხს მიჟლეტავენ.

– არც ხელმწიფე, აღარც ხალხი მათ აღარ ახსოვთ.

– მოვუღებ ბოლოს თვითნებობას და თავხედობას! ისევე უნდა ემსახურებოდნენ ტახტს ყველანი ერთად, როგორც რომ ადრე, თათარხანობისას. მოვსტეხ მე იმათ!

დიდი დედოფალი ჰმადლობდა უფალს შვილის ჰაზრების ამისთანა ცვლილებისათვის. შებრძანდა გალიაკში, სანთელი დაუნთო ჭურვილ მთავარანგელოზს; ევედრებოდა, განემტკიცებინა ცხებულის მარჯვენა, ხანიერად განეღვიძებინა მასში სული მებრძოლი, გაუტეხელ-შემმართებელი. ხატმა ეჭვის ღიმილით გაუღიმა თვის მოსავს.

23

– შვილო ლუარსაბ! ბრძანებდი, მე თითონ გავიკვლევო მეფურად ჩემს გზას, ვეღარავის დავენდობიო. როგორა ჰფიქრობ დააწყნარო შენი ქვეყანა?

– შესაძლოა სახელმწიფოს დაწყნარება, კვლავ აყვავება, მხოლოდ იგი ძნელი მოსჩანს ასასრულებლად.

– ყველა საქმე ძნელი მოსჩანს, სანამ შეჰბედავ.

– ეჰ, მოვიქანცე; აღარაზედ არა მაქვს გული.

– ნუ იტყვი მაგას! ახალგაზრდა, ღონით სავსე, სახელმწიფოს ძლიერების ხელთა მბყრობელი და დაბზარული სიტყვა უძლური?!

– ხმლით უნდა გაჭრა იმ ახალს სავალს. გვერდს აღარვინ მყავს მძლავრი ბრძოლის საწარმოებლად. გიორგი რომ ეხლა აქ მახლდეს.....

– ამირთამირი, ჩემო კარგო, ერთადერთია, იგიც ეხლა დევნილია შენი სახელით. სასწაულით გადარჩენილა, მაინც დიდი საფრთხე ელის მის სიცოცხლესა.

– და ჩემის ნებით?!

– შენის თანხმობით და ბრძანებით, ბატონო მეფევ!

– ჰო, მარწმუნებდნენ, დამითანხმეს, აღარ მომეშვნენ. გული ჩემი ვერა სთმობდა მას განსაწირად; გონება კი მეუბნებოდა, დიდ დიდკაცობას ამყარია ტახტი შენი, მათ უსმინეო.

– გიორგის ჰსურდა ეგ ბურჯები ჩამოშლილიყვნენ და თვით ხალხზედ დაჰყრდნობოდა შენი გვირგვინი: დიდდიდებულნი არ არიანო მეფისაგან მისანდობელნი, ხალხს მტარვალად დასდგომიანო.

დედის თქმაში საყვედური შეესმა მეფეს; გაგულისდა, გაბრძანდა გარეთ. ისევ მალე შემობრუნდა, სკამი მიიდგა.

– ვეღარ მომისვენია. თვალთ წინ მიდგანან მაკრინეც, გიორგიც. არ მეგონა ჩემი სიტყვა ისე აღაგზნებდა და გააბოროტებდა ქალს. მაინც ნეტა არ გამეგზავნა.

– ცოდვას დაატრიალებდა, თავს მოიკლავდა: ძმასავით ამაყია და ძლიერი.

– ჭკვიანიც არის და ლმობიერი. რამდენჯერ მოუცია ჰაზრიანი რჩევა კეთილი. მხოლოდ დროებით მინდოდა ჩამომეშორებინა, მანამ....

– შემიყვარდა მაკრინე, როცა ვნახე მშვენიერის გული ნათელი. მაინც არ მეგონა ესეთი კეთილი იქნებოდა. საკვირველი ამბავი მომიტანეს.

– რა ამბავი, დედი, რატომ აქამდინ არ მითხარი?

– არ მინდოდა გამეხსენებინა იგი შენთვის, ამაღელვებინე.

– ისეც სულ მახსოვს!

– გიორგი რომ გასულა მტკვარში, სვეტიცხოველს ჰხლებია სამადლობელოდ. მაკრინეს გაუგია და უნახავს. ფიცი ჩამოურთმევია, მეფეს ვნება არ მიაყენოვო.

– მინდა ვნახო მაკრინე, იქნებ...

– რასა ყმაწვილობ?! მისი გული არ გამთელდება, მასთან კავშირი არ განახლდება!

– ვინ იცის, მწირობაში როგორ...

– ვზრუნავ იმაზედ. არაფერი გაუჭირდება, – უთხრა დედამ

და დაფიქრდა. კიდევ ჰქონდა სათქმელი, გარნა ყოყმობდა. განაგრძო სიტყვა:

– რას იტყვი, შვილო? მსურს მის მზითევი მასვე მივართვა: იგი შესწირავს წმიდა სავანეს. ულუფა კი სასახლიდან მიეცემა, სინამ ვცოცხალვარ.

– და მერმეც მარად! მხოლოდ ის დროშა. მისი ნაკერი... მიღელავს გული, მიძნელდება მშვიდად ცხოვრება.

ადგა. იწყო სიარული.

– გაერთე, შვილო, გული რასმე გადააყოლე. ღვთივ ცხებული ხარ, მისი განგება წარგიმართავს ნათელ რამ სავალს.

დედა რომ ურჩევდა, გაერთეო, კარისკაცნიც ზრუნავდნენ ამაზედ. განზრახულმა ნადირობამ ჰაზრი დაკარგა და ჩაიშალა.

დარჩა მხოლოდ ვნებათ ცხრობა კოჯორში შეყრილ ქალ-რძალთა შორის და ნადიმობა: იქით იწვევდნენ.

აბრძანდა კოჯორში, მაგრამ პირველ დღესვე გული გაუფუჭდა. დასახიჩრებულმა ბააკამ მოახერხა, წარსდგა მეფის წინ და შესჩივლა თავისი შეურაცხება.

– მერჩივნა გულში ხანჯალი ამ სახიჩრობას, შენს სამსახურში დავზარალდი ესე საშინლად.

– ჩემთვის ზრუნვაში?!

– შენი სიმამრიშვილი გიორგი რომ მოეკლათ, საუკუნოდ დაგედებოდა იმისი სისხლი. გიორგისთანა ბუმბერაზი არავისგან განიწირება!

– მოღალატედ გსახავდნენ შენა და მირჩევდნენ ჩამომერთვა შენთვის მამული. გეყოფა დასჯა, ხელს ვერვინ გახლებს! – უბრძანა მეფემ.

მაინც სცადა ცოცხალ ყვავილთ წალკოტში შესვლა. გაჰკვირდა კაცი: ღაღანა ვარდებს აღარ ჰქონდათ მისთვის მშვენება, სანდომ სუნნელად ვეღარ ფშოდნენ დანაქვთილები: მურაზი თუ ჩაჰქრობოდა, ეშხის ალები.

24

შევლო სააკაძემ არაგვის ხევის ბჭე. მისი დამორჩილება აღარ შეიძლებოდა, თუ მასთან ერთად არ დაიბყრობდნენ საერისთავოს, არ მოუსპობდნენ თავშესაფარსა. ეხლა ნუგზარიც ისეთივე მტერი იყო მათი, როგორც გიორგი. ადვილი არ იყო მათ სურვილის ასრულება: ხეობა – ბუნებრივი ციხე, ხალხი მებრძოლი. ჯარს ისეთი სარდლები ჩაუდგებოდნენ, როგორც გიორგი, ნუგზარ, მისი შვილი ზურაბ. ძალიან საფრთხილო იყო საერისთავოში შესვლა.

მტრები ვეღარ მიჰყვნენ ლტოლვილთ: მებრძოლთ შეჯგუფება იყო საჭირო, მათი რიცხვის გამრავლება. მანამ შეაგროვეს გზების შესაკრავად გაფანტული რაზმები და მიუმატეს ახალი ძალები, დრომ ჩამოიარა. ამით ისარგებლა გიორგიმ: დაასვენა ცოლ-შვილი, შემოსა სათანადოდ. იზრუნა თავის თავზედ და თავის კაცებზედ: არა ჰქონდათ სრული აღჭურვილობა, არც ტალავარი. ეხლა ადვილი იყო ეს: მისი სიმამრის ჯაბახანა მდიდარი იყო ყოველგვარი საჭურველით; განსაკუთრებულ დარბაზში კედლებზედ მოფენილი იყო მშვილდები, ისრებით სავსე

კაპარჭები, გრძელ ლულიანი თოფები; რიგ-რიგად ეკიდა ლახტები, გურზები, კინენნი, ჰოროლები, ცხენთა შეკაზმულობა.

გიორგის ჰაზრი იყო, ცოლ-შვილი დაეტოვებინა ნუგზარისას და თითონ გასცლოდა იქავრობას, მთლად ქართლ-კახეთის სამზღვრებს. სპარსეთისკენ დააპირა წასვლა, თუმცა იქაც შესაძლო იყო ხიფათი.

– ლუარსაბის დაი ლელა ყეინის მეუღლეა და შურს იძიებს შენზედ.

– მიცნობს შაჰ-აბაზი და დამიფარავს.

როდესაც თავისი ჰაზრი გაუზიარა ნუგზარს, ის არ დასთანხმდა.

– მეც ვიფიქრე მაგაზედ და დავადექ გადაჭრილ დასკვნას.

– რა განიზრახე?

– სპარსეთში წასვლა შენთან ერთად და ცოლ-შვილიც თან.

– როგორ?! მოჰშალო ბინა და.....

– რად მოიშლება კერა?! აქ დარჩებიან ჩემი ვაჟები. შესძლებენ გაუმაგრდნენ შემოსეულთ, მანამ მოვეშველებით. იცი შენ ზურაბის უნარი.

– ჰაი, ჰაი, ვიცი: ჩემი გაზრდილ-გაწრთვნილია ვაჟკაცი, მაგრამ....

– არ მოისვენებენ, ეცდებიან ამოფხვრან ჩემი ოჯახი, მთელი ჩვენი გვარეულობა. შენ იცი, როგორი ავი თვალით მიყურებენ. ადვილად ამიჯანყებენ საყმოს: მთას ჯერ არ დაჰვიწყებია სისხლის ღვარები, რომელიც ვადინე მას, რომ გამეტეხნა და მორჩილებაში მომეყვანა.

– ლუარსაბი აღარ მისცემს ნებას შენს მამულში შემოსევისას, როცა გაიგებს ჩემს აქედან წასვლის ამბავს.

– მისცემს! ძალით გამოართმევენ რაყამს. თუნდ ეგრეც მოხდეს, შენ რომ ფიქრობ, მისი მინდობა მაინც აღარ შეიძლება: მოკალე სპილენძი, მაინც გაწითლდება; მუდამ ჟამს შიშში ვიქნები, – დაათავა ნუგზარმა

და მტკიცედ დაადგა თავის გადაწყვეტილებას. შეამზადებინა წასასვლელად ყოველივე, შეაგროვა საკმაო რაზმი, რომ შესძლებოდათ შეეყენებინათ მდევარი, თუ იგი წამოსწვდებოდა მათ. ჩაფლეს მიწაში, რასაც მეტი ღირებულობა ჰქონდა. დაავედრა ნუგზარმა ციხე და საყმო თავის შვილებს.

– ნუ ენდობით მეფესა და დიდებულთ სიტყვას: ეცდებიან შეგაცდინონ და ხელში ჩაგიგდონ. თუ ომი წააგოთ, სპარსეთში გადმოიხვეწენით.

ჯერ ისევ მზადებაში იყვნენ, როდესაც მივიდა მთხრობელი:

– დიდის ჯარით შემოჰყვნენ არაგვს. მეფის ბრძანებაა, არავინ დაინდოთ და არაფერიო; გიორგი უთუოდ მომგვარეთ ცოცხალი, თუნდ მკვდარიო.

დარწმუნდა სააკაძე, რომ მართალი იყო დიდად გამოცდილი მისი სიმამრი.

25

მთლად მოემზადნენ. აგერ უნდა დაჰმშვიდობებოდნენ კერას, წინაპართ სამყოფს, შეჩვეულ ადგილებს თუ ცხოვრებას, გადავარდნილიყვნენ უცხო მხარეს და ეს მხოლოდ იმისთვის, რომ დაეფარნათ თავიანთ სიცოცხლე მტრად ასეულ მოძმეებისგან. ძნელი იყო ეს. ისეთი წამიც დადგა, როდესაც ვაჟკაცებს ეჭვი შეეპარათ თავიანთ განზრახვის ღირებულობაში.

– უნდა მოვსწყდეთ მზრდელ დედამიწას და გადვიქანჯნეთ უცხო ქვეყანას, სხვა სჯულის ხალხში, სხვაგვარ ყოფაში. იქნებ სიცოცხლე არც კი ღირდეს ამოდენ მსხვერპლად, – წარსთქვა ნუგზარმა, როდესაც მარტო დაიხელთა თავისი სიძე.

– მეც დამაჩნდა გულისტკივილი. თუ მხოლოდ ჩვენი თავი გვებაროს, ეგრე ვიზამდით: აქვე ჩავიხოცებოდით, ან განვდევნიდით შემოსულ დუშმანს; მაგრამ ცხოვრებამ დღეს მოგვანდო ჯალაბთ სიცოცხლე, ერთგულთა ბედი და...

– და მთელი ორი საგვარეულო, შენი და ჩემი. ამოფხვრიან ჩვენსა ჯილაგს, ჩვენ სახსენებელს. მივდივართ! ეტყობა, სიბერემ გამტეხა, რომ ერთს წუთს ავყევი გულს მოჩვილებულს, – წარსთქვა ნუგზარმა

და გასწორდა წელში. უკვე საუზმობდნენ გამგზავრების წინ, რომ სანუგეშო ამბავი მოხდა: ეახლნენ ფშავ-ხევსურთა კაცნი და გადასცეს მათ თემთა სიტყვა.

– მიბრძანდებით, ბატონო ნუგზარ, სათათრეთში შენ და გიორგი, ჯალაბნიც მიგყავთ. ბარელებმა იქნებ იფიქრონ, მთამ ვერ შეინახაო ჭირნახული ამირთამირი. გიორგის სახელისთვის მთა ივიწყებს იმ სისხლის ღვარებს, რომელთ იდინეს ჩვენში შენგანა: ვაჟკაცთ არ ჰშვენისთ დაკნინებულ მებრძოლთ დაჩაგვრა.

– სიმამრი ხარ გიორგისა, ეგ კი მეფის კარს ერთადერთი იმედი იყო საწყალ ხალხისთვის. ვერ გავსწირავთ გაჭირვებაში! დარჩით აქ! ჩვენ მიგვინდვია თქვენი ბედი. თავდებია ჩვენის თქმისა ხალხის ხმა და თემთ ბატონი უძლეველი გუდანის ხატი. დაფიცულნი ვართ!

ნუგზარი განცვიფრებით უყურებდა მოციქულებს და არა სჯეროდა ნასმენ-ნანახი. გააკვირვა ხალხის სიკეთემ.

– არა, ძმანო! ჩვენ წავალთ და გაძლევთ ვაჟკაცურ სიტყვას: ხალხზედ ზრუნვაში ამას იქით მე შევეცილო თქვენს გიორგისა! – უთხრა ნუგზარმა.

– დიდებულია თქვენი სიტყვა, თემთ მოციქულნო! ჩემის მიზეზით ისჯება ნუგზარი და მე გევედრებით: ჩვენ ჩვენს თავს იქ მოუვლით, ვაჟკაცის სახელს არ დავამდაბლებთ; თქვენ აქ მოუარეთ ნუგზარის დოვლათს და მის დანარჩენთ. თუ არ დავრჩით, ღმერთი გარდგიხდით; თუ დავრჩით, ჩვენ გადაგიხდით. აღთქმა: მშვიდობით დაბრუნებისას ერთად მოვილოცოთ მთის სალოცავნი! – დაათავა გიორგიმ

და გადაჰკოცნა მოსულნი. მიჰბაძა ნუგზარმა სიძეს. ცრემლოდნენ ქალები, ტიროდნენ პატარები.

პირდაპირი გზით არ იარეს ლტოლვილებმა: საბრძოლ გზაზედ სიარულის დრო არ იყო, ყოველ ნაბიჯზედ სიფრთხილე ჰმართებდათ და თვალიერება. გასცდნენ ჟინვალს, გადუარეს ბოდავს, ნასოფლარს, თეთრხევს, გადასჭრეს საყარაულო; უწიეს საყდრიონით, ნაქალაქევით იკვლიეს; გადავიდნენ წინა კახეთში. ყარაიისკენ მიდიოდნენ ბევრჯელ უგზოდა. ნიშანში ყურყუთაის ფონი ჰქონდათ ამოღებული.

უკვე მიახლოვებულნი იყვნენ მტკვარს, როცა გზის შესაკრავად წამოსულ რაზმთაგანმა შენიშნა ლტოლვილები. ეს რაზმი მუხრანბატონისაგან იყო მოწყობილი. მეთაურობდა კოლიკე კოლათაური, განთქმული ვაჟკაცი.

– ცოცხალს მოგგვრი გიორგი სააკაძეს; მის შესაბყრობლად დანიშნულ ჯილდოს ვერავის დავანებებ! – დაეკვეხნა.

ბედმა გაუღიმა: ის წამოეწია მიმავლებს. გოლიათი კაცი იყო უზარმაზარი, საშინელი მკლავის მექონი. სწყინდა, გიორგი როგორ მჯობნისო. მოსურნე იყო მასთან საბედისწერო შებრძოლებისა. შეჩერდნენ გიორგი და ნუგზარი ათიოდე ვაჟკაცით; სხვებს უბრძანეს განეგრძოთ გზა. დაწინაურდა კოლიკე, შემოსძახა:

– სად გარბი, გიორგი? კურდღელი ხომ არ ხარ, გაქცევით გადაირჩინო თავი?!

ვეება ცხენზედ გამჯდარიყო რკინით მოსილი. წადგა გიორგი. ეს უფრო მხარ-ბეჭიანი იყო, წელში კი წვრილი. ამისი სახე უფრო ძარღვიანი იყო და მოძრავი. კოლიკე შედარებით ფრახი მოსჩანდა, შემძიმებული.

– დამრჩი, გიორგი!

– მობრძანდი!

მოიმარჯვა კოლიკემ ჰოროლი და წამოვიდა. გიორგიმ ფარი დაახვედრა. ცეცხლი გაყარა შუბის წვერმა და გადილეწა, გიორგიმ არ ინება წვერით დაეცა მისთვის კინენი; შეიბრუნა, ჰკრა ტარის თავი, გადააგდო გვერდშელეწილი. გაეღიმა, რომ დახედა მფორთხავ ბუმბერაზს. უბყრო ლაგამი იმის ტაიჭს, წამოიყვანა.

26

გავიდნენ ლტოლვილნი სამშვიდობოს. მდევარი ვერ გაჰყვებოდა მათ მტკვრის გაღმა: შელახვა იქმნებოდა ეს სპარსეთის უფლებისა და შეურაცხყოფა დელი-მაჰმადისა, შამშადილის, მთელი ყარაბაღის ხანისა.

შადიმანს გაეგო, რა გზით მიდიოდა სააკაძე და მთელი ჯარით წამოსულიყო მისთვის გზის გადასაჭრელად. შეჰხვდა გზაზედ კოლიკეს რაზმს. მიჰყვანდათ დამტვრეული კალათაური. შადიმანმა რომ იწვრილა ამბავი, ბოღმა ყელში მოაწვა; წვერს მოიზიდა სიმწარით; შესძახა:

– ლუარსაბის შეუგნებლობამ და იმ დედაკაცის ჯიუტმა ქცევამ დაგვმართა ეს სამარცხვინო ამბავი.

– ნუ აჰყვები გულს, ბატონო შადიმან: ცხებულის უპატიური მოხსენება არა ჰხამს ჩვენგან, – შენიშნა ქვენაფლაველმა.

– რომელ დედაკაცზე ბრძანებთ? – შეეკითხა აღათანგ ხერხეულიძე.

– რომელიც მიზეზია მთელი ამ ბნელი და ძნელი ამბებისა! შენ...

– მსურს მოგაგონოთ, რომ გიორგის დაი ჯვარწერილი მეუღლეა ბატონ მეფისა!

– მხოლოდ გიორგი სააკაძეს ვსდევთ სახელმწიფო ღალატისათვის, – განმარტა მუხრანბატონმა.

– და ისიც თქვენის თავოსნობით, ბატონო შადიმან! – შეჰმართა აფროსიონ ამილახვარმა.

ბარათაშვილი ერთს ხანს გაშტერებით შეჰყურებდი სიტყვის შემბრუნებელთ. იგრძნო, რომ მარცხმა შეარყია მისი სახელი თვით მის მომხრეებში და შეკრთა. შეეფიქრა ხელცალიერად დარჩენილ ჯარისაც, მეტადრე ოსებისა და შესძახა.

– გაიქცნენ მგელ-კაცნი ბუნაგიდან, მაგრამ მათი ქონება და მისადევარი მაინც იქ დარჩნენ. იავარიქმნას მათი დოვლათი! ამოიფხვრას მათი ხსენება! ესეთია ბატონი მეფის ბრძანება.

გასცა განკარგულება, პირი არაგვისკენვე ექმნა ლაშქარს.

დელი-მაჰმადმა მსწრაფლ გაიგო სააკაძის გადასვლა მის საბრძანებელში. ისეც გულდასმით ადევნებდა თვალს ყველა ამბავს საქართველოში, მეტადრე ქართლ-კახეთში. ეს ნაბრძანები ჰქონდა მას ყეინისაგან.

შაჰ-აბაზს მზირი თვალი ეჭირა საქართველოზედ. გოგ-მაგოგის ზღაპრული სამფლობელო კავკასიონის გადმოსავლებიდან უნდა მოზღვავებულიყო ირანზედ თუ მთელ წინა აზიაზედ. სპარსეთს ლომს ისტორიულ ცხოვრებისაგან დავალებული ჰქონდა, შეეყენებინა მყინვარეთის ვეშაპის წინსვლა: განგების იარაღი იყო ის და იცოდა, რა ბნელი საქმე ებარა მას.

– საქართველოს სამზღვრებზედ უნდა ჩაიხერგოს მყინვარეთის გზა, სხვაგან შეუძლებელიღა იქმნება მის შეყენება! – იტყოდა დაფიქრებული.

დელი-მაჰმად ერთგულად ასრულებდა მეფის ბრძანებას და ეხლა, როცა გაიგო მისთვის მეტად სასურველი კაცის მისვლა, გაემართა შესაგებებლად. გულიანად

მიიღო სტუმრები. გაიგო, მოსულთ მის საბრძანებელში ჰსურდათ დაეტოვებინათ ცოლ-შვილი, თითონ ჰხლებოდნენ ყეინს; მოუწონა განზრახვა. სავანედ თეთრი ციხე მიუჩემა მათ ჯალაბობას.

– ესე სჯობია: სიმაგრეც არის, საცხოვრებელი ბინებიც მოხერხებული, არავის არ შეუძლია ხელი შეახოს ჩემს სტუმრებს; მაინც სიფრთხილე სჯობია. აღჯაყალის გალავანი ავაზაკთაგან შეუვალია.

იცოდა შამშადილელმა, რა ძვირფასი იყო ყეინისათვის ამირთამირი. მისი წამოსვლით საქართველოს დიაღ დააკლდა ქმედი მარჯვენა, ხალხის გმირი ძლევამოსილი. მისი და ნუგზარის ყოფნა ყეინის კარს შეაფიქრებდა ქართლ-კახეთის მფლობელთ; ისინი ადვილად ვეღარ გაჰბედავდნენ სპარსთ წინააღმდეგ მოქმედებას თუნდ მყინვარეთის შთაგონებით. შესაძლო იყო ესეთი წაქეზება.

– ნატრობდა დიდებული ყეინი სააკაძისთანა საკვირველ სარდალს. დამიმადლებს, როცა ვაახლებ და მასთან ერთად რჩეულ ვაჟკაცთ რაზმს, – ფიქრობდა დელი.

27

შამშადილელს დავალებული ჰქონდა, ჯარი შეედგინა თავის საგანმგებლოში; უნდა კიდეც დაექირავებინა ქართველთაგან თუ მთიელთაგან. მტრები აჰსეოდნენ ყეინს, საფიქრო ყოფაში ჩაეყენებინათ.

ხონთქარს ესარგებლნა მარჯვე შემთხვევით, წაერთმია მესოპოტამია და მისი დედაქალაქი ბაღდადი. ინდოეთს შეეკრა სამზღვრები, აეკრძალნა ვაჭრობა სპარსეთთან, ცდილობდა წყალიც არ გაეშვა არხებით სპარსეთისაკენ მოსამზღვრე მდინარეებიდან. აშლოდნენ ავღანნი და ეწყოთ რბევა სანაპიროებისა. მტრები ხელს მისცემდნენ ერთმანეთს სპარსეთის სანადგურებლად.

საშიში იყო ჩრდილო სამზღვარიც: იცოდნენ, რა არეულობა ხდებოდა საქართველოში; ეფიქრებოდათ, გიორგი არ დაღუპულიყო: მხოლოდ ის და მისი მომხრენი ეწინააღმდეგებოდნენ ლუარსაბს, რომ კავშირი შეეკრა რუსთ ხელმწიფესთან. ქართველი ხალხი გიორგის თვალით შეჰყურებდა რუსეთს. ეხლა ჩრდილოეთს შეეძლო ესარგებლნა სპარსთა მოუცლელობით და შემოსეულიყო საქართველოს კარით. საჭირო იყო სწრაფად მოქმედება.

თითონ წაუძღვა დელი-მაჰმად თავის ლაშქარს და ქართველებსა. ყიზილ-აღაჯს მიიყვანა: შაჰი იქ იდგა თავის ჯარებით.

პატივით მიიღო ყეინმა ლტოლვილნი. როცა უამბეს სააკაძის წინააღმდეგ მეფის ქმედობა, გაიკვირვა ცოლის ძმის ქცევა.

– აღარც ისე ყმაწვილია, მთლად ემორჩილებოდეს შადიმანს და კარისკაცებსა. მწყინს ისიც, რომ მას კეთილგანწყობილობა აქვს თეიმურაზთან. ჰგონიათ, რუსთხელმწიფე ეხლავ გადმოვა. მოუსპობ მე შეუგნებლებს ამგვარ იმედებს! – წარსთქვა ყეინმა

და აიტკრიცა.

– ქართველნი სპარსეთისკენ უნდა იყვნენ ირანის და რუსეთის ამ დიდ ბრძოლაში, ან დაიღუპნენ! მაგრამ ეს მერმე, ეხლა...

იგრძნეს, რა ძლიერი იყო ყეინის რისხვა ქართველთ მფლობელთზე; შეიგნეს მიზეზიც იმ დიდ წყრომისა.

როდესაც შემდეგში უამბეს, როგორ სთხოვა განდევნილმა დედოფალმა ძმას, არა ევნო რა პირად ლუარსაბისათვის, წარმოსთქვა დაფიქრებით:

– დაუფასებელია მაგისთანა თავგანწირული მეუღლე. მთელ ჩემ ცოლთ რიცხვში არ მეგულება თუნდ უბრალო ერთგული ჩემი. ზღაპრად დადის ირანში ბებია ჩემის თავდადება თავის ქმრისადმი: ქართველი ქალი იყო ისიც. დაუფიქრებელია ლუარსაბ მეფე!

მზად იყო ყეინი, დაეძრა ლაშქარი. გიორგი ეახლა.

– ნება უნდა მომცე, შენის ჯაბახანიდან მე თითონ ავარჩიო ჩემის კაცებისთვის აბგარ-აბჯარი და შენის ჯოგებიდან ცხენები.

– რამდენი?

– სამოცამდინ. დანარჩენნი კარგად არიან შეიარაღებულნი. კიდევ...

– კიდევ სხვა?!

– მე ჩემი რაზმით თავისუფალი უნდა ვიყო მოქმედებაში. შენს გარდა არავის შეეძლოს ბრძანება. ნება მქონდეს, საჭირო დროს პირდაპირ ვინახულო შენი მზისებური ბრწყინვალება.

დაფიქრდა ყეინი: თუ ეძნელებოდა ამისთანა თავისუფლების მიცემა უცხოსათვის. დათანხმდა. გასცა ბრძანება. გიორგის გარშამო დაირაზმა მრთელი იქმყოფი ქართველი ვაჟკაცობა. ნუგზარი არ გაუშვა ყეინმა საომრად.

– დრო აღარ არის შენი ბრძოლისა. ჩემს გვერდით იქნები მრჩეველად ბჭეთა თუ ნაზირ-ვეზირთა შორის.

დაიძრა ლაშქარი. ყეინმა თვალი მოჰკიდა განცალკევებით მიმავალ ქართველთ, მათს წინამძღოლ ბუმბერაზ ვაჟკაცს და შური აღეძრა. დაჰგმო გულში ქართველთ მფლობელნი, რომელთ ხელთა ჰყვანდათ ამისთანა მებრძოლნი და სდევდნენ შეუგნებლად თავის ტახტის განმამტკიცებელთ.

28

პირისპირ განწყობილი ლაშქრები. ინდონნი მეტნი. სპარსთ ლაშქარი უფრო მოძრავი. სჭარბობდა ცხენოსანი. ინდონთ ადრე დაეჭირათ ადგილები. მათი ბანაკი უფრო ხერხიან ადგილას მოწყობილიყო: სპარსთ პირშეღმა უნდებოდათ ბრძოლა. ინდონთაკენ ხევები მიიმართებოდნენ მარჯვნივ და მარცხნივ.

სამხედრო იარაღი ერთნაირი. მბრუნავ ეტლთა რიცხვიც არა სჭარბობდა ინდონთა მხრიდან. უპირატესობა მაინც მათკენ იყო: წინ უძღოდათ სპილოთა მწკრივი. სპარსთა ჯარში იყო მხოლოდ მცირე რიცხვი ავაზებისა, მაგრამ ესენი ბითუმ ბრძოლაში, რკინით შეჭედილ ცხენ-კაცთ გუნდებში სარგებლობას ვერ მოიტანდნენ.

ომის დაწყებისას გამართეს მცირე თათბირი ცხენდაცხენ. მიდგა ჯერი გიორგიზედ.

– ბრძოლას მოვიგებთ! მაგრამ მოგახსენებთ: ჩვენი ლაშქარი ერთობ შექუჩებულია, რაზმებშუა თავისუფალი ადგილი არ არის; მოძრაობას შეამდორებს გაჭირების ჟამს.

სარდალთაგანმა ალი-ასლანმა მკვახედ მიუგო:

– ბითუმად უნდა მოჰხვდეს მტერს ხალხი, რომ შეამტვრიოს მათი მწკრივები, შეიჭრას შიგნით.

– სპილოთა რიგი. ეკვეთნონ შეჯგუფებულთ. მათ წინააღმდეგ ერთადერთი ხერხი არის: მსწრაფლ მოძრაობა.

მოუწონეს გიორგის სიტყვა. განრისხდა გოლიათი.

– მე გასწავლი, გურჯო, შენ ბრძოლას!

– სიბერემდინ კაცს სწავლა არ მოსჭარბდება, – მიუგო გიორგიმ

და გაიყენა ჰუნე, მოიმარჯვა იარაღი. გაეღიმა ყეინს.

– არა, პირად თქვენი შერკინება შემდეგისათვის. ეხლა ორივეს ძალა მე მჭირია და ერთნაირად.

დამშვიდდნენ. გიორგიმ დაიჭირა თავისი ადგილი.

– სპილოები... განგაში უნდა ატყდეს იმათ ზურგთ უკან, არეულობა. ისინი იქითკენ იბრუნებენ პირს: ისე არიან დაგეშილები, ბრძოლის ხმისკენ მიისწრაფიან. ამისთანა გამბედავნი თავისის დაღუპვით მასახელებენ, – წარსთქვა ყეინმა

და მიმოიხედა. ვერსაით მიიღო პასუხი: ვერვინ გაბედა ინდონთ ჯარში სხვა მხრიდან შეჭრა. შეიკრა შუბლი, აინთო მთლადა. გაუყარა თვალი თვალში გიორგიმ ყეინს და შეჰმართა:

– ჟამია: ბრძანე!

მიჰხვდა ყეინი. გადაჰხედა ნუგზარს. მას ამაყი ღიმი უქროდა ულვაშებ ქვეშა. ანიშნა დასტური. გადაჰკოცნა ნუგზარმა სიძე. ქართველთა რაზმმა იბრუნა პირი მტრის ლაშქრისგან. უკან წავიდა. შეაირიბა გზა. ჩაეფარა ხევში.

ყეინს უნდოდა, დაძრულიყო ინდონთა ჯარი, ჩამოთავქვევებულიყო. არ ირხეოდა იგი ლაშქარი. თითონ დასძრა საუკეთესო ცხენოსანთ გუნდი. შეიქმნა ბრძოლა, კინენთ ჯახება. წამოვიდა სპილო. ამავე დროს მტრის მარცხენა ფრთასთან მოისმა თოფთა გრიალი, ავარდა კვამლი და შეიქმნა მოძრაობა, ზახილი, ბრძოლა. შიგნით იწევდა ისართ ფრენა, ხმალთა ტრიალი. შედგა წინსვლა ინდონთ მწკრივისა. მიიქცნენ ბევრნი ზურგთუკან მტრისკენ. სპილოთ ნაწილიც შებრუნდა უკან. შეიქმნა ჟლეტა. ვერ ჩანდა მტერი ინდონთ ბრბოებში. ბრმად იბრძოდნენ აბნეულნი კაცნი თუ მხეცნი. მიზღვავებულ მებრძოლთ შუა ცოტა კაცთ ბრუნვა. გიორგი...

მისმა ზახილმა, თავხედურად გაბედულმა იმისმა ბრძოლამ შეაძრწუნა მეომართ ჯგუფნი. მგრგვინავ-მბრდღვინავი ლომი მყვირალი. მაინც დაიღუპებოდნენ ქართველნი: ბევრნი ებრძოდნენ, წალექავდნენ, ზედ გადივლიდნენ. მისეული სპარსთ ლაშქარი დროზედ მივიდა, მიაკვლია იმათამდინ და...

რახან ერთხელ კარი გააღო შენივთებულ ინდონთ სიმრავლემ, შესაძლო შეიქმნა სპარსთათვის მის გულამდინ მიტანება. მთლად დაესხა სპარსთა ჯარი, ჩასაფრებულნიც. გადიწვერა მზე. შედრკნენ ინდონნი. ლტოლვილთ გზა-გზა გადაჰყარეს იარაღი თუ საჭურველი, რომ გაესწროთ, განშორებოდნენ.

ბინდმა რომ დაჰკრა, ნაომარი ადგილი რიყე იყო მკვდარ კაცთა, ცხენთა, ნასრევ-ნალეწ იარაღისა. სისხლის ტბორები. მთელი ღამე გასტანა დევნამ. ტყვეთა სიმრავლე. რჩეულ ტაიჭთ მთელი ჯოგები. ბევრი კარვები. ინდური ლარი, სიმდიდრე.

29

რაკი მტერთა უმთავრესი ძალა დამარცხდა, ავღანთ ლაშქარი მხოლოდ იმისთვისღა აწარმოებდა ბრძოლას, რომ თავი გადაერჩინა. მალე მოსპო შაჰმა ყოველი წინააღმდგომი ძალა აღმოსავლეთ სამზღვრებზედ. არ ინება ხარბად ესარგებლნა თავის გამარჯვებით: ღრმად არ შეიჭრა უცხო ქვეყნებში; მხოლოდ დაიბრუნა გატაცებული ნაწილები სპარსეთისა, შეასწორა სამზღვრები და ჩააყენა მეციხოვნენი საშიშ ადგილებში.

ყანდაგარი რომ აიღო და აიალაფა დიდ სიმდიდრესთან ერთად მიართვეს ყეინს საიშვიათო ტყვე: ხელთ ჩაჰვარდნოდათ ყანდაგარის ხანის ქალი მიმანსალა. როცა ტყვეები წარუდგინეს, გამოცდილი ვაჟკაცი გააკვირვა ქალის აღნაგობის

სიკეთემ. მისი თვალები... მეტად დიდრონი თვალნი მნათობნი. ცრემლთა ტბები ჩასდგომოდა თვალთ უპეებში. არრას იტყოდა, არ ოხრავდა, არცა სულთქმიდა. ცრემლთ ნაკადულნი უსველებდნენ წამწამთა რაზმებს, მკერდზედ ნაშალ შავ თმათა ტევრებს. ეკვროდა მამას.

ვერ მოსწყვიტა თვალთ ისარი ყეინმა ქალსა. მოლბა ნელ-ნელა მკაცრი სახე გამარჯვებულის. გადაჰხედა ქალის ტყვე მამას. დაჭრილი იყო, სისხლი ისევ ჰჟონავდა მხრიდან. დააკვირდა. სახე შეჰხვდა გაქვავებული. ღია ჭრილობის ტკივილები არ მოსჩანდა სახის ნაქვთებში. შავი ვაჟკაცი. გაუკვირდა, რომ ქალი ნათელი ჰყოლოდა, შენისლული ვერცხლის ფერი.

– ალი-ისლამ! შენ ცალკე კარავი გექნება; დოსტაქარი შეგიხვევს ნაჭრევს; შენი ქალი შენთან დარჩება: ვაჟკაცი მტერიც საპატივოა.

გააკვირვა ბრძანებამ იქ მყოფნი: არ მოელოდდნენ შაჰისაგან ამ დიდ წყალობას. ტყვე ეთაყვანა.

– წყალობაშიც დიდებულო, როგორც ბრძოლაში! – წარსთქვა განცვიფრებულმა.

ქალის თვალებს ცრემლთა ღვარი არ შესწყვეტოდა, ბალღურ სახეზედ როს ღიმილი აუთამაშდა. როგორ დამშვენდა! შაჰის თვალებში ლმობიერი სიამე აღჩნდა.

– აღარვის დასჯა! ეყო სიკვდილს ჩემგან მიზღვნილი მსხვერპლი!

სიხარული გარდარეული. სიმძიმილი აღტაცებად გარდაექმნათ ტყვედ ჩავარდნილებს. მოართვეს და მოახვავეს ყველა განძი ფასდაუდები. გასცა, გაიღო საბოძვარი. უშოვარი არავინ დარჩა.

როდესაც წარსდგა მის წინ გიორგი, ყეინი ისე დააკვირდა მას, თითქო პირველად ჰხედავსო. სააკაძე ჯავშანში იჯდა. მკლავზედვე ჰქონდა დაჟეჟილი ფარი ნაბზარი. სისხლით ნაღები მისი ბეგთარი. საყელოც ჩასისხლებული. ჩაჭრილი ჰქონდა მუზარადი: ხმლის წვერი მოჰხვედროდა, კანამდის ეწია.

– განა სიგიჟე არ იყო, რომ შეამტვრივე ქალაქის კარი ერთი მუჭა რაზმით? ინდოეთშიაც ეგრე ჰქმენი შენ: მცირე რაზმით შეიჭერ გაწყობილ ლაშქარში და უკან მოექეც სპილოთა მწკრივს.

– ბრძოლის დროს სიბრძნე – სიწყნარის ჟამს თავხედობად სჩანს.

– რა გიწყალობო შენ ნამოქმედარ სასწაულთა აღსანიშნავად?

– შენი კეთილი ყურადღება.

– ეგ სამუდამოდ! ეხლა კი, – სთქვა ყეინმა

და წამოდგა, შეიხსნა ხმალი, გადასცა განცვიფრებულ გმირს.

– ვამაყობ, რომ ჩემ სისხლშიაც ნაკადია ქართველთ სისხლისა! – დაათავა ყეინმა

და ხელი შეახო ასაყენებლად მის წინ ცალმუხლზედ მდგარ გიორგის. ბუმბერაზმა ხელზედ აკოცა.

წარსდგნენ ქართველნი, ეთაყვანნენ, შეჰზღვნეს ქებანი. ამ წუთს შაჰმა თვალი მოჰკრა ალი-ასლანსა. ჩარკინებულიყო ბუმბერაზი, ზავთით სავსე თვალნი მიებყრო სააკაძისთვის.

– ალი-ასლან!

– გახლავარ, მეფეთ მეფეო!

– ნუ ნაღვლობ! მოვა დრო და პირდაპირ გასწორდები გურჯ გიორგისთან.

ამ გამარჯვებამ სხვა საბრძოლველს გზა გაურკვია. ყეინს მდიდარი დავლა დარჩა: იარაღი, უამრავი ტყვე, საგანძური. ლაშქარს ბევრი მომხმარე სჭირდებოდა; მსახურებად იყვნენ სპარსნი; ისინი ბრძოლაში ვერ იღებდნენ მონაწილეობას. ეხლა ჯარის მოვლის საქმე ტყვეებს ჩაჰბარდათ სპარსელების მეთაურობით, რომელნი პასუხს აგებდნენ ყეინის წინაშე. მსხურობიდან განთავისუფლებული სპარსნი შეიარაღა და ჩააყენა დახოცილთ თუ დაკარგულთ ადგილს. ტყვე ვაჟკაცებისაგან შეადგინა ცალკე რაზმი, უჩინა უფროსებად სპარსნი და აღუთქვა კარგ სამსახურისთვის თავისუფლება. მალე მოაწყო ყველაფერი: ოქრო ბევრი ჰქონდა ნადავლი.

დაიძრა ლაშქარი დასავლეთისკენ. არა ბრძანებდა, სად მიდიოდა. ეგონათ, სატახტოში ბრუნდებაო. ტყუილად! ჯარმა გზა გაიკვლია ხონთქრის საბრძანებლისკენ.

ოსმალო არ მოელოდდა ესეთ მსწრაფლ თავდასხმას. ეგონა აღმოსავლეთის ომი მეტ დროს და ძალას დააკარგვინებდა შაჰს. მაინც მტკიცედ დაჰხვდა, მხნედ იბრძოლა. ვერ გაუმაგრდა გალაღებულ ლაშქარს უამრავს, რომელს უძღოდნენ დიდებული მთავარსარდალნი. გატეხეს ხონთქრის ძალები. შაჰ-აბაზმა დაიბრუნა ბაღდადი, სამზღვრები საიმედო ადგილებამდინ მიიტანა და გაამაგრა.

დიდი წყალობა გაიღო დაბრუნებისას: გაანთავისუფლა ის მრავალი ტყვე, რომელიც ჯარის სამსახურში იყო ხონთქართან ბრძოლის დროს. დაუბრუნა ოჯახებს მქმედი მარჯვენა. ეხლა რომ ინდოეთში თუ ავღან-თურანში საარაკო ამბები დადის შაჰ-აბაზის პიროვნობაზედ, ხან თუ კეთილზედ, ხან სატანაის განსახებაზედ, ამ ამბების დამწყობნი იგი მის ხელში ნამყოფნი იყვნენ.

აავსო ინდოთა რაზმიც საბოძვრით და უბრძანა თავისუფლება. გაჰკვირდა: არ დაიშალა იგი რაზმი, დარჩა შაჰის კარს. საქართველოში ომების დროს რომ მოხსენებულნი არიან ინდო-ავღანნი, ეს ის რაზმია ყეინისთვის თავდადებული.

ეხლა სპარსეთი უზრუნველყოფილი იყო აღმოსავლეთით და დასავლეთით. ჩრდილოეთი იზიდავდა შაჰ-აბაზის შორმჭვრეტელ თვალსა, ცხრა მთას იქით მყოფი რუსეთი, სპარსეთისთვის მაინც მახლობელი საშიშრობა მარად, ყოველს ჟამს. აქ დაიღუპა ნორჩ სპარსეთის დიდება კვიროს, აქადანვე მოელოდდა დაღუპვა ირანს, საარაკო მაგოგთაგანა.

ყეინი მხოლოდ სამზღვრების გამტკიცებას ჰფიქრობდა აქათ, გალაშქრება თვალუწვდენელ თეთრ ქვეყანაში შეუძლებელი იყო მისთვის.

ფიქრობდა დიდს ფიქრს, მისი შემოქმედი გონება ქსელს აბავდა ახალ ბადის მოსაქსოვად, უწყვეტ სიმებსა.

მანამდის კი შვება, განცხრომა გამარჯვებულ ომების შემდეგ. მოუწოდა ყველა დიდებულთ, მისგან დამოკიდებულ მეფეებსაც, და დაიდვა უწყვეტი ნადიმი საარაკო. მეჯლიში მოსდევდა მეჯლიშს, გასართობი გასართობებსა. ბრძანა ყეინმა:

– ჩემს კარს ორი უდიდესი ბუმბერაზია, ორივ ძვირფასი; ემსახურებიან ჩემის ტახტის ზეამაღლებას. მაგრამ წესია ვაჟკაცთა: გამოსცდიან ერთმანეთს ხმალში.

– სააკაძევ! ებრძოლები ალი-ასლანსა?

– თვით სატანაილს შენის ბრძანებით.

– ასლან, რას იტყვი?

– დიდ მადლობას ბრძანებისათვის!

– შეემზადენით! არ შემოგაკვდეთ ერთმანეთი: დანაკლისი იქმნება ჩემთვის.

დასდეს პაემანი. დადგა ჟამი. კეისარს ნადიმი მაღლობზედ ებრძანებინა. დაჰყურებდა ბრძოლის ასპარეზს. გვერდს უმშვენებდნენ ლეილა და მიმანსალაი.

კოშკის სარკმელთ მოსდგომოდა მშვენიერთ დასი. მოედანი ჯაჭვით შემოეფარგლათ ზღვა ხალხის შესაყენებლად.

გამოვიდა შესაზარი ალი-ასლანი. რიხსა ჰმატებდა ჯაჭვ-მუზარადი. კინენი ხელში. დევი თუ იყო ვეშაპს გამჯდარი. წამოიშალა ქართველობა აღელვებული. თვით დედოფალს ეცვალა ფერი. გოლიათი ძლიერი სჩანდა; კლდის ნაგლეჯს ჰგვანდა. გამოვიდა თეთრი რაშით სხვა მხრივ გიორგი. ჩვეულებრივ როდი ფიცხობდა.

გაუკვირდათ: ასლანი რომ წვერმახვ კინენს ათამაშებდა, გიორგის ხელთ ლახტი აეღო.

– რას შვრება კაცი?! შორით დასწვდება ალი კინენით.

– ალბათ მოზომა.

– ფრთხილობს გიორგი.

– ფიქრი თუ აქვს მოპირდაპირის.

– ღმერთო, ჰფარვიდე!

ნავარდს უვლიდნენ. ანთებულ თვალით მიჰბყრობოდნენ ერთი მეორეს. იდროვა ასლან. ოდნავ დახარა იარაღი და გაექანა. გიორგიმ მსწრაფლ ფარი იფარა. გაისმა ჭახა. გასხლტა კინენი, გაშხრიალდა ტარი ბეგთარზედ: თუ უქეშა ფარი მებრძოლმა. კინენის ძალით წაიხარა თითონ ასლანი. სააკაძემ დასცა ლახტი ელვის სისწრაფით. ჩამოუშვა გოლიათმა მარცხენა მკლავი; გაჰვარდა ფარი: ბეჭი თუ მოსტყდა. გაიყენა გიორგიმ ცხენი, დაუშვა ლახტი. გახედა ყეინს. გადაფრინდნენ, გაიყვანეს წრიდან ძლეული. შეხმაურდა, შეიძრა ხალხი. ქართველებმა ამოისუნთქეს.

გიორგი რომ წაუყენეს ღელვილ შაჰ-აბაზს, ჰკითხა მან მკვეთრად:

– რად არ მოჰკალი?

– მკვდარია იგი: ვაჟკაცი სადაც შერცხვების, იმის სამარე იქ არის.

31

იგვემებოდა ქართლი საბრალო, ბოროტების ქარტეხილი არყევ-არღვევდა. იდევნებოდნენ კაცნი რჩეულნი, ხალხისაგან გამოსულნი მისნი ერთგულნი. და იგი ფურტკვნა აუტანელ უბედობად მოსდებოდა შეიწრებულ ერს, ანგრევდა მის კეთილდღეობას, ავაგლახებდა.

უწევდა იგი ღელვა არმაზის დედათა სავანესაც, გადადიოდნენ აქაფებული ზვირთები მის გალავანზედ და გარს უვლიდნენ მრისხანებით სენაკ-გალიაკს, სად მკლავჩამოყრით იჯდა ამდღე დედოფალი ძაძით მოსილი და აღივსებდა უბე-კალთებს ცრემლთა ღვარებით. თუ ჰლამობდნენ ის ზვირთები მისსა წალექვას.

– არ მიჰკარებიხარ, ქალო საყვარელო, სანოვაგეს! ცოდვაა, გენაცვა, დასუსტდები, დაიტანჯები.

– გმადლობთ, დედავ! ვცადე, ვერ შევსძელ: მწარეა პური.

პირი არ დაუკარებია. ისე ჩაჰხვეოდნენ ქუფრი ფიქრები, დროს ვერ ამჩნევდა. ვერ გაერკვია, როგორ მოხდა, რომ ლუარსაბმა შეჰკადრა მას ის მძიმე სიტყვა.

– ჟამიერად, მანამ დამშვიდდებაო აღბორგებული დიდკაცობა. განა სიყვარული ის ძალა არ არის, რომელი ებრძვის ყველას, ყველაფერს და მიისწრაფის თავის სავალზედ?! ახ, ნეტავ არ შემყვარებოდა.

და ცრემლთა დენა ღაპაღუპით, ჩქროლვა გულისა.

– სად ხარ, ლუარსაბ, რისთვის გამწირე?

წარმოუდგა ვაჟკაცი იმ წამში, როდესაც შეურაცხყოფილის სიამაყემ გახლიჩა ბაგე და წარმოათქმევინა მკვეთრი სიტყვა უკანასკნელი.

– როგორ განცვიფრდა! შეკრთა კიდეც. არ მოელოდდა ჩემგან იმ თქმასა. ვსთქვი და გათავდა! არ შეიძლებოდა სხვანაირად. როგორ! დედოფლის, მეფის კანონიერი მეუღლის იმისთანა დამცირება?! ვერა, შადიმან, ვერ დააკნინებ სააკაძეთ სისხლს! – წარსთქვა მაკრინემ

და სიმკაცრე აესახა აღტკინებულსა. თვალებიდან ცეცხლებსა ჰყრიდა. ძნელი იყო ქალის ყოფა. იმთავითვე სიბოროტე შემოერტყა დიდების გზაზედ.

ჯერ განიზრახეს მის დამცირება და შელახვა მის სიწრფელისა. ნუთუ ეგონა გალაღებულს, შესაძლო იყო ის ბილწი საქმე?! მერმე სცადეს ცბიერებმა მუხთალი ძალა. ძვირად დაუჯდათ: გვერდს მახლდა გოდერძ.

გადაფრინდა მისი ფიქრი ჭაბუკ ბურდულთან.

– საწყალი გოდერძ! ჩემთვის კვდებოდა. კიდევ ვუყვარვარ! საიდან გაჩნდა, ღმერთო ჩემო, ჩემს გვერდზედ მაშინ, სასახლიდან რომ მოვდიოდი?! ფერი ეცვალათ ჩემს ბოროტ მცველებს. თუ აგრძნობინა მოყვარულ გულმა, რომ იმ გზაზედ საფრთხე მელოდდა. სწორედ!

ამ ფიქრებში იყო ქალი, როდესაც შემოაღო კარი წინამძღვარმა ნინომ. მძიმედ დაუკრა დედოფალს თავი. როცა ქალმა აკოცა, სიამე აეხატა სახეზედ!

– დიდ დედოფალს მოურთმევია შენთვის ეს წიგნი. მოსაკითხიც მოუზღვნია, შესაწირავი.

გახსნა, წაიკითხა. არიგებდა დედამთილი:

– სიფრთხილე გმართებს დედად მოწოდებულს. მეტის მეტად არ აჰყვე გულსა. შემატყობინეს შენი ქცევა და კარგი სიტყვა: ძმისათვის დაგივედრებია მეფის შესახებ. ქცევაც, სიტყვაც შენა გგვანან, ჩემო ლამაზო!

ქალს მალამოდ მოჰხვდა დაჭრილ გულზედ დედოფლის სიტყვა და დაუშუშდა ერთს წამს მაინც წყლული სასტიკი.

დიდი დედოფლის ესეთი ყურადღება იყო იმის მიზეზი, რომ მონასტერში ყველა ფრთხილად ებყრობოდა მას და პატივცემით. ქალი მაინც ცდილობდა ისე დაეჭირა თავი, როგორც მონაზონს, მონასტრის დებთან დარს და თანასწორს.

კარგა ხანი ვერ გაიგო, რა დაემართა მის დედას ან გვარეულობას და სხვა დარდებთან ერთად ესეც სევდის ლოდათ ედვა გულზედ. წინამძღვარმა გაგზავნა კაცი, რომელმაც შესძლო სწორე ამბის გაგება და თანაც მის სანახავად მოიყვანა მათ სახლში ნამსახური დედაკაცი. იმან დაწვრილებით უამბო უბედურობის ამბავი და ისიც, როგორ ეშველებოდა ხალხი დევნილებს.

– მაშ ეხლა...

– ეხლა დედა თქვენი ღენტორ ყიფიანის ოჯახში ბრძანდება იმერეთს: ნათესავად მოჰხვდება იგი მას დედეულთ მხრიდან.

32

წაუვიდნენ შადიმანს ხელიდან გიორგი, ნუგზარ, სააკაძიანთ სხვა ვაჟკაცები, ქალებიც კი. განზედ მოფიქრებულმა განზრახვამ ვერ მოიტანა სასურველი შედეგი. საშიშიც შეიქმნა პირად მისთვის მისი ბნელი დაწყებილობა: სამშვიდობოს გასული გიორგი მძლავრ ძალას შეჰფარებოდა; უსათუოდ გამოიყენებდა იმ ძლიერებას თავის დაცმეულ ყოფის აღსადგენად.

– ლუარსაბის აჩქარებამ გამოიღო ეს ხენეში ნაყოფი. სააკაძიანთ ჯიში თავმოყვარეა და ჯიუტი. განრისხებულმა ქალმა თავისი გაიტანა. გაქვეყნდა ყველაფერი და ჩაიშალა წინანდელი გეგმი მოქმედებისა. სწრაფად ვეღარაფერი მოგვარდა. გვაჯობა, გაგვასწრო!

– დაგეცარა განზრახვა, შადიმან ჩემო! ძნელია ეხლა საქმის გამოსწორება, თითქმის შეუძლებელი.

უკეთესი იქმნებოდა, თუ ნუგზარისას მიგვესწრო მისთვის: ამოვწყვეტდით მოურავიანთაც, მათ მოყვრებსაც. ეხლა...

– შორს არის გიორგი ჩვენგან.

– მიუწთომელია! თუ მართლა ისე გაიმარჯვა ინდოეთში თუ სახონთქროში, ყეინი დიდად დააფასებს მას, ღირსეულად დააჯილდოვებს.

– ბევრ სიკეთეს გაუწევდა ომებში: ბრძოლაში მას კაცი ვერ აჯობებს.

– ყოველ მხრიდან დაგვერღვა ჰაზრი. იმ მახეში გავებით, სააკაძეს რომ დავურწყევით. და ეს ყოველივე შენი ბრალია, შადიმან! – შესძახა ქაიხოსრო ჯავახიშვილმა, რომელიც მეტად გარჯილიყო გიორგის ოჯახობის აკლებაში და ეშინოდა შედეგებისა.

– უნდა მოგეკლათ ვითომ დედოფალი და მოგეშორებინათ! ეხლა...

– გზა ჩანს, როცა ურემი გადაბრუნდება.

გადაბრუნებულ ურემს წამოყენება უნდოდა, გამართვა, შესწორება, თუ რამ გახრილიყო, დაშლილიყო, დამტვრეულიყო. შადიმანს მეტი გზა აღარა ჰქონდა, თითონ უნდა ეტვირთნა ეს ყველაფერი.

უპირველესი საზრუნველი იყო თვით ლუარსაბი, აწ დაბნეული, მოშვებული, გარინდებული. იყო ამდღე უმოქმედოდ, ან იმას აკეთებდა, რასაც ეტყოდნენ. მრჩეველნი კი ისევ ბოროტს შთააგონებდნენ: სცადა დიდმა დედოფალმა, გაემხნევებინა ვაჟკაცი, სასიკეთო სავალში ჩაეყენებინა, გზააბნეული. ამაოდ! შეუძლებელი შეიქმნა საქმის გამოსწორება: ვერც ნებამიხდილი მეფე გამოიჩენდა ამისთანა გამჭრიახობას, არც დიდებულნი დასთანხმდებოდნენ. დასაყრდნობი კი აღარავინ ჰყვანდა, ხელის აღმპყრობი.

დრო მაინც თავისას მოითხოვდა, მიმდინარე ყოფა არ ჩერდებოდა: აუცილებელი იყო მისი აყოლ-დაყოლა და სხვის ხელში შემყურე ხელმწიფე შადიმანსვე ასდევნებოდა, მისივ კალთა დაეჭირნა ხელთ.

ბარათაშვილი ეხლა თავის წინანდელ ჰაზრის ასრულებასვე შეუდგა: შეუჩნდა ლუარსაბს, განეახლებინა შუამდგომლობა დადიანთან, წამოეყვანა დედოფლად მისი ქალი მარიამ.

– ნაწყენი გახლავსთ დადიანი, შეურაცხყოფილადა სთვლის თავს და აწ უამება შენი სურვილი, კმაყოფოლად ჩასთვლის თავის თავს. მისი მოყვრობა დიდად ხელსაყრელია შენის ტახტისთვის.

– მე უკვე ჯვარდაწერილი ვარ.

– ხუმრობ, ბატონო მეფევ! ვის გაუგონია, მოლოზანზედ ჯვარდაწერილი იყოს ვაჟკაცი და ისიც მეფე?!

– განა უკვე აღკვეცეს მაკრინე მონაზონად?

– არა! გარემოება უშლიდა, ჰზიარებოდა სიწმიდეს. იგი მაინც მონაზონი თეკლე არის და ეკლესიის კანონით განქორწინებული, თუ იყოვო ჯვარდაწერილი, – ბრძანა კათალიკოზმა.

– თუ იყოვო ჯვარდაწერილი?!

– დიახ, ბატონო მეფევ! მონასტერში ჯვარის წერა აღკრძალულია. ესეც არ იყოს, მთვრალმა მოიქმედე ის ამბავი, მიჯნურობით გაშმაგებულმა, საიდუმლო კი შეგნებულად უნდა სწარმოებდეს, დაფიქრებითა.

– კათალიკოზმა წარმოგზავნა გუჯარი განქორწინებისა?

– არ გახლავსთ საჭირო. ბრძანა: მოიყვანეთ სადედოფლო, საიდუმლოს მე შევასრულებო.

მიუვიდნენ დადიანს ლუარსაბის შუამავალნი. ზღვენი მიართვეს სიძისაგან. დიდებულად მიიღო მთავარმა, განუსვენა, ასიამოვნა. გაიწვია დიდ ნადირობად. ეს ნადირობა ბრძოლას ჰგვანდა ირმის ჯოგთა გასაწყვეტად განპირებულსა. მტრად მოეკიდა ირმის სახეს ლევან მთავარი: თავის მამის სისხლს იღებდა იმ ცხოველთაგან. დადიანმა დიდი მფარველობა აღმოუჩინა ირემთა თუ შველთ არსებობას. გასცა ბრძანება.

– ჩემს ტყეებში ამ საქონელს არვინ შეახოს ხელი. ჩვენი სიმდიდრე საქონლის რაოდენობითაც იზომება. ბევრი საქონი დოვლათს აჩვენებს.

– დიახ, ბატონო! რაც მეტი პირუტყვი მოეძიება თავადსა თუ მის ყმას, მით უფრო შეძლებულია იგი.

– ხელმწიფესაც!

– დიახ, შენი მუხლის ჭირიმე! რადგან თქვენ საბრძანებელში ყველა თავადი თვის ქონებით თქვენი კუთვნილებაა.

ოღონდაც! იმას ვამბობდი: ირემთ ჯოგები და შინაურ პირუტყვთ სიმრავლე, ეს რემა და ის რემა, ჩემთვის ორივ ძვირფასი არის. ვაი მას, ვინც ჩემს ნახირს ავნებს აქ თუ იქ!

– ვინ გაბედავს, მეფევ დიდებულო!

და გამრავლდა მის მთავრობის დროს ირემთ ნახირი. ისე გალაღდა ეს რქოსანი და გათამამდა, რომ მის შიშით ახოები ვეღარ ხარობდნენ: სძოვდნენ ნათელს და აოხრებდნენ.

ნადირმა ბოლოს თვით იმსხვერპლა თავის მფარველი: ნადირობის ჟამს შეეხეჩა ირემთ მთელ რემას. წაქელეს ისიც, მისი ცხენიც და დააცხავეს. მისი მემკვიდრე სისხლს იღებდა ირემისაგან. ბევრი დააკლა მამის სამარეს, ბევრეულის ჰსურდა გაგზავნა მისთვის სულეთში.

33

ლუარსაბის დესპანები რომ ნადირობად მიიწვია მასპინძელმა, მისსავ კარს იყვნენ გურიელის მემკვიდრე და სვანეთის მთავრის შვილი ლაცაბ დადიშქელიანი.

– ბატონო ლევან! დიდი მადლობელნი ვართ თქვენი, მაგრამ გვეჩქარება. ნადირობა მთელ კვირას კიდევ დაგვაკარგვინებს, – მოახსენა სვიმონ გოსტაშაბიშვილმა.

– მეფეს ჩვენ გზისკენ უჭირავს თვალი. გვაბარებდა, სწრაფად მოგვიტანეთო კარგი ამბავი, – დასძინა ოთარ ფალავანდიშვილმა.

– ვაჰ შენ, ჩემო თავო! საკადრისად თუ ვერ გაგიმასპინძლდით და მოგვიწყინეთ ძვირფასმა სტუმრებმა.

– რად ბრძანებთ მაგას, ბატონო?! დიდებული დახვედრა, ხელმწიფური!

– ლუარსაბი კი, ჩემი სიძე მეფე ლუარსაბ, კვლავაც მოიცდის: იცადა თვით და საკმაოდ ჩვენც გვაცდევინა. აუცილებელია თქვენი წამობრძანება. ჩემი ნაზირ-ვაზირი თუ ბჭენიც შეიკრიბებიან მანამდისინ და შევსძლებ მათ ჰაზრის მოსმენას. დიდი

სახელმწიფო საქმე, საბჭოს თანხმობა უკეთესი იქმნება, თუმცა ჩემს ნებას მაინც არავინ გასტეხს.

მიჰხვდნენ სტუმრები, ამაო იქნებოდა სიტყვის შებრუნება. საბჭოს შეკრება მხოლოდ საშუალება იყო დროს მოსაგებად: მოფიქრებული ჰქონდა პასუხი. საუბრის ბოლოს თითქო შემთხვევით შეეკითხა:

– განქორწინების გუჯარი, რასაკვირველია, თან გექნებათ?

და პასუხსაც აღარ მოუცადა, რაღაც კითხვით სულ სხვას მიჰმართა.

არ იცოდნენ მეამიტებმა, რომ დადიანი ეხლა სისხლს იღებდა მის კარს სათხოვრად მოსულ მეფისაგან: გულს დაღად ესვა ლუარსაბის მაშინდელი ქცევა.

– როგორ, ქალს შემოგვეღირა, მოციქულები მოგვიგზავნა, წიგნი მოგვართვა და მერმე ვეღაც აზნაურის ქალი დაისვა დედოფლად?! შეურაცხყოფა იყო ჩვენის ტახტისა! ეხლა მტერიც და მოყვარეც ჩვენ შემოგვმზერის, რა პასუხს მისცემენო.

– უარს მაინც ვერ შევუთვლით. მაშინ გაეტაცნა იმ ქალის სილამაზეს და ჯვარისწერითღა დაემორჩილებინა ჯიუტი.

– აბა სიმშვენივრე თუ უნდათ, ნახონ მაშინდელი მათი სასძლო და ამბავი წაიღონ.

– მაინც რას აპირებ, ბეჩავ?

– იყოვნოს საქმემ, დაბორიალდეს. უნდა კარგათ გავზომოთ, გურიელი გვირჩევნია, რომელს ხონთქარი სწყალობს, თუ ლუარსაბი, რომელიც შეიძლება დაატყვევოს სიძე-ყეინმა.

– ლუარსაბი მაინც მეფეა ცხებული.

– რით არ არის მეფე გურიელი? მაინც ყველაფერში ისე მოებყარით მის მოციქულებს, როგორც შეჰშვენის სიძედ დასკვნილ მეფის დესპანებს.

შეიკრიბნენ სანადიროდ განმზადებულნი. თვალი მოსჭრეს შუამავლებსა: თვითეული ჭანდარს ჰგვანდა მიმომავალსა. რჩეული იარაღი. ფრთა ასხმული ბედაურები. მწყაზარ-მწყაზარ ძაღლთა სიმრავლე. მეტად ჰშვენოდნენ შარვაშიძე, დადიშქელიანი, იმერეთის მეფის ძმისწული მანუჩარ; გურიელი ხომ... თმანაგრუზი დევი იყო ჩაბალახელი. მას თვალი ეჭირა ლევანის დაზედ. ვერა სჩანდნენ რჩეულთ ჯარში ლუარსაბისნი: დაჰვიწყებოდათ, რომ სხვა მფლობელის კარს გაგზავნილთ ჰაზრის გარდა სახეც უნდა გაჰყოლოდათ თან. შენაყრდნენ. გამოიფინნენ.

– აბა, ხუცესო, პარაკლისი გამარჯვებისა! ისეთს წმიდას შეგვავედრე, ნადირთ საქმეს ის განაგებდეს.

– გახლავსთ, ბატობო! ქრისტეფორეს სახელზედ წარვსთქვავ. მწევრის თავი აბია წმინდანს.

– ძაღლის პირი წმინდანს?! მეტი მოგსვლია ოჯალეში: მძიმე ღვინოა.

– აჰ, მცირედ ვიხმიე, თქვენი რისხვა არ მქონდეს. მოგითხრობთ!

– დრო არ არის! შეგვავედრე, ვისაც გინდოდეს. ირმის მხარ-ტყავი...

– ფეშხოსაც არ დაიშურებს მწყალობელი.

მოაწყეს პარაკლისი. გამობრძანდა ეშხიანი მარიამ ქალი. თანახლება სეფექალთა, შიმუნვარების. სხვა მნათობი შემოიჭრა მზის სინათლეში. როგორ ჰსურდათ მისალმება, შეალერსება! არ ეგებოდა: გრძელდებოდა ღვთისმსახურება. ლუარსაბის დესპანებს შემთხვევა მიეცათ, დაკვირვებით გაესინჯათ, სადედოფლოი. მოწიწებით იდგა, შიგადაშიგ პირჯვარს იწერდა.

– ლამაზები ებედებიან: მაკრინე რომ მზის სხივი იყო, ეს ქალწული სავსე მთვარეა.

– ცოტა მძიმეა აგებულობით.

– ხანძარი ჰგზნია ამაყ თვალებში.

– ბაგრატიონთ სალოცავო, შენ დაგვეხმარე!

გათავდა ლოცვა. მიესალმნენ უფლისწულს. ლუარსაბის მოციქულნი ეთაყვანნენ, როგორც დედოფალს. გურიელი ალად ავარდა. ელვა სტყორცნა ლამაზის ძმასა, მაგრამ თვალი მოჰკრა მის ბაგეზედ უჩინარს ღიმილს და დადოდგინლდა.

გასცდა ჭისკარს მთვარის ამალა. წავიდა ყველა, სიწყნარემ მოიცვა უზარმაზარი ეზო სამეგრელოს მბრძანებელისა.

34

დიდებული ყეინი კი დიდის ირანის განცალკევებულიყო მახლობელ ბჭეებთან და ისტორიულ ფიქრს მისცემოდა ძნელს.

– სპარსეთს ყოველთვის სამი მხრიდან მოელოდდა და მოელის განსაცდელი: აღმოსავლეთით ინდო-ავღანთაგან, დასავლეთით ბერძენთა თუ ბიზანტიელთაგან და მათ მოადგილე ოსმალეთისგან; ჩრდილოეთით მას უღრჭენს კბილთ რუსთ კეისარი, მფლობელი დიდის მყინვარეთისა.

– აღმოსავლეთისა და დასავლეთის მტრები ისე საშიშნი არ არიან ირანისათვის: ისინი თავის განდიდებაშიც ვერ დაამხობენ სპარსეთის ძალას. საშიშია ჩრდილოეთით მიმავალი ბოროტმოქმედი.

– სულ უწინაც ჩრდილოეთით ევლინებოდა სპარსთ განსაცდელი: საარაკო მაგოგთ მეფე გოგ უძლეველი.

– გეცოდინებათ მაგოგთ ამბავი – ბრძანა შაჰ-აბაზმა.

– მაგოგნი უამრავი ერნი იყვნენ სკვითთა მოდგმისა. მათ ეჭირათ კავკასიონთ გადაღმა და გურგანის ზღვის ჩრდილოეთით თვალუწვდენელი ქვეყნები ვიდრე სამზღვრამდე ბნელეთისა. ძველნი უსახურად იტყვიან მათ და უკვდავადა.

– როგორ თუ უკვდავად!

– აურაცხველნი იყვნენ, ბრძოლის ჟამს ულევნი; მრავალთ სიკვდილი მათ უამრავ რიცხვს არ ემჩნეოდა, თითქო სიკვდილი არ სცელავდა მათ.

– იმ დევისავით, რომ მოჰკვეთდი თავს და ორი ახალი ამოუვიდოდა.

– ბრძენთა წიგნებში მოხსენებულია მაგოგთ მრისხანე წინამძღვარი გოგ:

შეითქვნენ შენზედა ყოველნი ძალნი მაგოგთანი და ყოველნი სიმტკიცენი მათნი. და თობელნი, და მოსოხნი მათთანა. განემზადე, რამეთუ მოახლებულ არს ჟამი!

მოვიდეს შენზედა გოგ, ვითარცა გრიგალი უდაბნოისა და ღვარი მღვრელნი ცითგამო. იღვიძებდი: მოახლებულ არს განსაცდელი!

შეიმუსრო შენ და ყოველი ერი შენი მას დღესა შინა, ოდეს მოვიდეს შენზედა მთავარი იგი მაგოგთა და დაჰფაროს ქვეყანა შენი სიმრავლითა ლაშქრისათა, ვითარცა ღრუბელმა. შეიჭურვე და არა მისცე რული თვალთა შენთა!

– და გიახლოვდება ეს განსაცდელი! კეისარი დიდის რუსეთის..... ზღვიდან ზღვებამდის გაუდგავს ფესვსი, თვალნი მოუბყრავს კავკასიონზედ; უძღვიან მას მოსოხ-თუბალნი, იგივ ქართველნი! – წარსთქვა ყეინმა

და ალად ავარდა რისხვა სახეზედ. ხანჯალს გაიკრა ხელი, დაჰკრა ვერცხლის თასს. გაჩნდა შაჰის წინ მონა უსიტყვო.

– მოგვთა მოთავე რასულ-მაჰმადი!

შემოვლო რასულმა მოფარდაგული და ეთაყვანა.

– გულთმისანო! მე ვფიქრობ.....

მისანი დააკვირდა მბრძანებელს გამჭვრეტი თვალით, შეფიქრდა მცირედ და.....

– ირანის სულს მეცანს შენც იმავ საფიქროთ შეუბყრიხარ, რომელს ჰფიქრობენ შენნი მონანი. მთელი სპარსეთი ხარობს შენის ორმაგ გამარჯვებით, მაგრამ...

– რას ითხოვენ კვლავ?

– თვალნი მზირნი ჩრდილოეთისკენ! მოდის ვეშაპი, მოსჩანს თეთრად, მოიგრაგნება. კავკასიონს უკვე სწევია. საქართველო ჩვენს და მის შორის. თვალნი მზირნი ჩრდილოეთისკენ!

შეჰმზერდნენ განცვიფრებულნი აღტაცებულ მესაიდუმლეს, რომელს თვალნი დაჰკარგოდნენ, შეუგნებლად იტყოდა სიტყვას.

– მაშ განგების ნებაც არის ჩემი სურვილი?

– განგების შვილო, შენში მკვიდრობს ირანის სული!

ცოტა ფიქრიც და გადაეწმიდა ყეინს სახე, დაუმშვიდდა თვალები: დაადგა იგი უტეხ ჰაზრს, რომელი ან ასრულდებოდა, ან შეიწირავდა უთვალავ მსხვერპლს, ბევრ სიცოცხლესა.

სახელმწიფო ფიქრებიდან ჟამიერად განთავისუფლებული გაემართა თავის ცოცხალ სავარდისაკენ: მოისურვა, გაერთო თავი, დავიწყებას მისცემოდა ყვავილთა შორის.

– არ მოელოდდნენ: ხადუმთ უფროსს არრა უბრძანა. მშვენიერთა გუნდი გულუბრყვილო მხიარულებაში იყო, როდესაც შაჰმა განვლო დახურული დერეფნები და უჩინ კარით გავიდა ქალთა სასახლის ეზო-წალკოტში.

მარმარილოს სარაჯი იდგა. შადრევანად გადმომჩქეფარე წყალს აელიცლიცებინა აუზი. ბანაობდნენ გაცელქებულნი. აუზის ელმეცერი ნაპირები შიგნით იყვნენ დაქანებულნი. შხეფს დაესველებინა იგინი.

თვალთწარმტაცი განაზებული ვერა ჰბედავდა აუზში ჩასვლას: თუ უკრთოდა წყალთა სიგრილეს. მბრძანებელმა მოიხმო თვისთან და როდესაც კრძალვით მიეახლა იგი, მოჰხვია მკლავი, აკოცა, დასვა აუზის პირს და გაუშვა. ქალი გასრიალდა, შეჰკივლა და ჩაყურყუმელდა სავსე სარაჯში. გაეღიმა მეფეს, ანიშნა ამოეყვანათ. გაიმეორა საშიში ხუმრობა სხვა მშვენივრებზეც.

ყეინი რომ ერთობოდა, ბამბასავით თეთრს ქალს საგრძნობელის აგებულობისას გაებედნა და თითონ უახლოვდებოდა მას: ნელ-ნელა, თითქო შეუგნებლად იქით იძროდა. ეს ქალი ზღვნად მოჰგვარეს მას ჩრდილოეთიდან. ყეინმა დაჰკრა თვალი და არ მოეწონა მისი ქცევა, არც სახის მეტყველება: შური გადაჰფენოდა. თვალი მოარიდა. ის მაინც მისკენ მოძრაობდა. მივიდა. მბრძანებელმა ასწია იგი, გადააგდო მარმარილოზედ და გამობრუნდა სახე შეშლილი. ქალმა ჩქაფანი მოიღო წყალში. ვერა ჰბედავდნენ მიშველებას: განწირულად თუ ჩათვალეს ყეინისაგან.

35

ბრძანა ხელმწიფემ ლაშქრის შეკრება, ოთხსავ კუთხივ გასცა ბრძანება. და მოდიოდა რაზმი რაზმზედ უთვლელი ჯარი, დასტა დასტაზედ. მრისხანე შაჰი თავის თვალით სინჯავდა მებრძოლთ და ძრწოდნენ მის წინ მისი სარდლები; ყეინმა აქ შეწყალება სულ არ იცოდა, მის ბრძანებას მოსდევდა ხმალი.

კარგად იარაღდებოდა ლაშქარი. ჯაბახანა სავსე ჰქონდა ყოველგვარი საჭურველითა: დიდ ბრძოლებში გამარჯვებულმა პირველ ყოვლისა გაამდიდრა

ჯართა მარაგი. ოქროც უთვალავი: ინდოეთის სიმდიდრე სასიკეთოდ დაეტყო მის სავსე ხაზინას.

– საით ემზადება, ბატონო ვაზირო, ჩვენი მზის შვილი ამოდენა ლაშქრით? აღმოსავლეთი უკვე მისია და დასავლეთი.

– ჩრდილოეთში კი სრულებით საჭირო არ არის ამოდენა ძალა: იქ მხოლოდ ორი მმართველი გაგვიდგა, კახთ ბატონი თეიმურაზ და ქართლის მეფე ლუარსაბ.

– შენ ორს ამბობ, მე ერთი მიმაჩნია ნამდვილ ორგულად, თეიმურაზი. ლუარსაბს ის უნებლიეთ ამოქმედებს ჩვენ წინააღმდეგ.

– იმათ დასამორჩილებლად სრულებით საჭირო არ არის ამოდენა ძალა. იქნებ თეიმურაზი თავისთავად მოვიდეს ჭკვაზედ და თავი დაუკრას ყეინს: მისი დედა და ვაჟები აქ ახლავან შაჰს.

– მაშ საით მიდის? ხომ არ განიზრახა თეთრ ვეშაპთან...

– ვინ იცის?! ავასრულოთ ჩვენ ჩვენი ვალი, დანარჩენი მივანდოთ ყველა ღვთის შვილის ნებას.

განგების რჩეული შაჰ-აბაზი თითონაც მეტად დაფიქრებული იყო ახალ ლაშქრობის საგანზედ. იცოდა, ჩრდილოეთისკენ უნდა ექმნა პირი, ისიც იცოდა გამოცდილმა, რომ არ იყო საჭირო ქართლ-კახეთისათვის ამოდენა ლაშქარი და ესეთი ძლიერი სამხედრო მოწყობილება, მაგრამ მას გამჭვრეტი თვალი ეჭირა მყინვარეთისკენ, რომელი ზურგთ უკან ედგა საქართველოს და აქეზებდა, აგულიანებდა.

– იქ გადასვლა... არა, არ შეიძლება! უსამზღვრო მინდვრები მუდამ თოვლიანი, ზღვებსავით მდინარეები. მწირი ქვეყნები უქონელი; ათასგვარი ხალხი მრავალი. შეუძლებელია მისი დაბყრობა! არც საჭიროა. ერთადერთი: ჩაიკეტოს სავალები კავკასიონის, ვერ გადმოვიდნენ რუსთ ხელმწიფე და მის ლაშქარი. ქართველთ უნდა ჩაჰკეტონ კარნი; მათ უნდა შეაქციონ ზურგი რუსეთს ან დაიღუპნენ! – დაასკვნა მეფემ.

იგზავნებოდა მრავლად ჯარი ჩრდილოეთისკენ. გუბდებოდა ყარაბაღში სპარსთა ლაშქარი. შამშადილელი პირველსავე დასტებს გაჰყვა: მინდობილთ ჰქონდა სარისტის მიცემა საომრად დაძრულ ხალხისათვის. მისგან განუწყვეტლად მოსდიოდა ყეინს ამბავი: მთელი გზის სიგრძეზედ მანძილ-მანძილ იდგნენ კაცები შეკაზმული ცხენებით მზადა, რომ არც ერთს წუთს არ ეყოვნა ამბის წამღებს ჯარებიდან სასახლემდინ და სასახლიდან მთავარსარდლამდინ.

ნახევარი ჯარი გაგზავნილი იყო, როცა დაიძრა თვით შაჰ-აბაზი. გასცა ბრძანება, როგორ უნდა მოევლოთ სამფლობელოსთვის მის დაბრუნებამდის. მხოლოდ ეხლა მიიხმო გიორგი და ნუგზარი. ტკბილად მიიღო. გულახდილად გადაშალა მათ წინ თვისი განზრახვა. შეეკითხა. უბრძანა გამოეთქვათ თავიანთ აზრი.

– შენი შიში მყინვარეთის კეისრის შესახებ საფუძვლიანია. უმთავრესი გზა მიჭირავს ხელთ, არაგვისა და თერგის ხეობები. ვიცი მათი ყოველი მოძრაობა საქართველოსკენ. მოდიან ელჩებად სახელმწიფო საზრუნველზედ; ბერებისა და ვაჭრების სახით; შუამავლებადაც: ცდილობენ თავიანთ მეფის გვარი ბაგრატიონთ დაუახლოვონ. ოქროც მოაქვსთ მოსასყიდადა. მთის ხალხებშიც ბევრნი ჰყვანან ეხლა თავისნი, ლეკში, ჩეჩენში, ოსებში.

– და ამნაირ მათ მოქმედებას განსაზღვრილი მიზანი არა აქვს?

– დაბყრობა ჰსურთ საქართველოსი. მათი კაცები ცდილობენ გზების შესწავლას, ჯარის თვალიერებას, ციხეების სიმაგრის გაგებას, დამცველთა უნარს. დავალებული თუ აქვსთ ცნობათა შეკრება.

– თქვენი მეფეები ხელს უწყობენ მას.

– უალერსებს მათ მტერი, მეგობრულად უჩვენებს თავს. ერთსჯულობის საფუძველზედ ჰქსოვს თავის ბადეს. ჰგონიაოთ, უზრუნველყოფს იგი მათ და შესძლებენ განცხრომით ყოფას.

– თითონ ხალხი! რასა ჰფიქრობს უმრავლესობა!

– ხალხს არც ჰსურს რუსთ ბატონობა, არცვისი ბატონობა! ერი მზად არის დაეყრდნოს მეზობელთ ძალას და არ გადმოუშვას საერთო მტერი. მე ვიცი მისი გულისპასუხი. მეფეთ არ ესმისთ ხალხის წადილი, – დასძინა ამირთამირმა.

– მეფობის ღირსი არის მხოლოდ ის, ვისაც ესმის ერის გულისტკივილი და წარუძღვება მას სიკეთის წარსადინელზედ, – წარსთქვა ყეინმა და თვალი თვალში გაუყარა გიორგის.

36

– გიორგი!

– ბრძანე, მეფეთმეფეო!

– მთელი ლაშქრით მივდივარ საქართველოში. შენ უნდა გამოაწყო ქართველთ რაზმი ისე, როგორც მზად გყვანდა ინდოეთში თუ ბაღდადში. მე მახლდები პირად. ნოდარ იაშვილი და ანდრონიკ ანდრონიკაშვილი აქ დარჩებიან: საძნელო ადგილები ჩაჰბარდებათ.

– ახმედ-ბეგ!

– შენი ფეხთა მტვერი, დიდებულო!

– რომ წავალ, მესამე დღეს დაიძვრება დანარჩენი ჯარი, შორიახლო მომყვება. შენა ხარ მომდევარი ჯარის მთავარსარდალი!

განცვიფრებული ახმედ მიწამდინ ეთაყვანა მბრძანებელს: არ მოელოდდა ამისთანა განდიდებას. ჯიშით ქართველი იყო. ენა იცოდა. მეტად ერთგული იყო ყეინისა. ჩაფიქრებულმა სააკაძემ აიღო თავი, პირდაპირ შეხედა ყეინს.

– და საქართველოში ჩემი ხმალი და ჩემი რაზმი.....

– ჩემ სამსახურად და ქართველ ხალხის საკეთილდღეოდ! მივდივარ მეფეების დასაბყრობლად. ან დამმორჩილდნენ, ან დაიხოცნენ! ხალხს არ ებრძვის სპარსთა ლაშქარი.

– თეიმურაზს ეშინიან შენი, ილტვის რუსისკენ.

– უნდა წარეკვეთოს თავი ყველას, ვისაც ჩრდილოეთისკენ მიუქცევია პირი!

– მაშ ბატონ ლუარსაბს... – სცადა ნუგზარმა ჩაერთო სიტყვა.

– რომ შეეძლოს თავის პაპის სავალზედ რება, მიუზღვნიდი მთელ საქართველოს.

– მაშინ ჩემი ხმალიც მისი ტახტის განსამტკიცებლად! – წარსთქვა გიორგიმ.

– ეხლა კი მისი სისხლი სწყურიან შენს ხმალს!

– ჩემი დაშნა კიდეც დასწვდებოდა მას, თუ დედოფალს ჩემს დას სიტყვა არ ჩამოერთმია ჩემთვის, რომ სისხლს არ ავიღებდი პირად მისგან, – მიუგო გიორგიმ.

გაჰკვირდა შაჰი. აამბებინა, სად მოასწრო თავის დის ნახვა და სიტყვის მიცემა. რომ მოისმინა, წარსთქვა ნაღვილანად:

– დაამდაბლა ლუარსაბმა შენი დაი, წაართვა დედოფლობა, იძულებულჰყო მონაზონად აღკვეცილიყო და ქალი მაინც მის სიცოცხლეზედ ზრუნავს.

– ქმრის პატივცემა....

– გაგიფუჭა ნამსახურობა, სასიკვდინოდ გდევდა, აგაოხრა, იძულებულგყო ლტოლვილიყავ და შენ მაინც აღთქმას აძლევ ქალს, უვნებელად დასტოვო იგი!

ყეინის ჰაზრი გადაფრინდა მეუღლისაკენ. ცხადად წარმოუდგა ფერი-ლეილა და მის შესახებ გაუშუქდა ჰაზრი ახალი. ეწვია. გაუკვირდა, რომ მასთან დაჰხვდა მიმანსალაი.

– ვერც ერთს ჩემს ცოლს ვერ შეეთვისე, ის კი დაგიმეგობრებია.

– რა კარგია ეს ანგელოზი! დიდი ბავშვია ესე ლამაზი.

მათთან ერთად ინება ვახშმის მირთმევა. ამცნო მეუღლეს, რომ საქართველოში მიდის ლაშქრით და ჰსურს იგიც თან წაიყვანოს.

– უნდა ვუმზირო ჩემის ხალხის ამოწყვეტასა?!

– ხალხის სიამეს: სამეგობროდ მივემართები. მეფეები კი უნდა დამმორჩილდნენ, ან...

– ან მოჰკლავ ჩემს ძმას ჩემ თვალთ წინ? სააკაძეს ააღებინებ სისხლს.

– გიორგი ხელს არ შეახებს მას, არ უზამს ბოროტს, – მიუგო ქმარმა

და უამბო ყველაფერი, რაც გაეგო. ქალი დაშოშმინდა. იმედი მიეცა, ძმასა ჰნახავდა და შთააგონებდა, მიჰნდობოდა ყეინს, ამოერეცხა გულიდან რუსეთის იმედი და გაძლიერებულიყო სპარსთ მეგობრობით. ინება სააკაძის ნახვაც. დაწვრილებით აამბობინა საქართველოში მომხდარ შფოთის შესახებ. დასთანხმდა შაჰს, მხოლოდ შესთხოვა, მისი ახალი მეგობარი ქალიც თან წაეყვანათ.

არ გაუვლია სამ-ოთხ დღეს, რომ ყეინი დაადგა გზასა.

37

დაიძრა ყეინი. გვერდს ახლდა მას სააკაძე ქართველთა რაზმით. შამშადილში დაიბანაკა და კიდევ სცადა კახთბატონის გონზედ მოყვანა. შეუთვალა:

– მღალატობ. და გდევ! უარჰყავ ჩრდილო, მორჩილებით და მიგიღო მეფურ პატივით. არ შეიძლება საქართველოს ნიადაგზედ დადგეს რუსეთი! იცი: ძალა შესწევს ჩემს ქადილს. გახსოვდეს: ჩემს ხელთ არიან შენნი შვილნი და დედა შენი!

არ ეახლა თეიმურაზ, თუმცა ხალხი მოითხოვდა სპარსთ მეგობრობას. წიგნი მიართვა, ბოდიშობდა, შიშითა ვარ შებყრობილიო. ამავე დროს დესპანს გზავნიდა, ევედრებოდა რუსთ ხელმწიფეს, მომეშველეო. დარწმუნებულიც იყო, რუსის ჯარი მოვიდოდა დარიალით და იხსნიდა მას. ბრძანა გამაგრება, ჯებირების გაკეთება მუკუზნის ხაზით.

მყინვარეთი კი მხოლოდ აღუთქვავდა. საქართველოს განმტკიცება ჰაზრად არ ჰქონდა. აღრეულობის შემოტანა უფრო ეწადა, რომ ადვილად დაეთრგუნა მისდა უბრყვილოდ მინდობილი ერთრჯული მხარე.

მტკვარს გახდა სპარსი, საქართველოს კარი შეაღო. მოახსენეს შაჰ-აბაზს: თეიმურაზ ქისიყს ამაგრებს, რუსთა ლაშქარს ელოდებაო. უბრძანა ბუტაღ თავრიზელს და დელი-მაჰმად შამშადილელს, დასცემოდნენ თეიმურაზს და შეებყროთ, ვით ველის მხეცი. შეძრწუნებული თეიმურაზ მყისვე ივლტოდა. გაჰყვნენ მრავალნი, სპარსთ ლაშქარის დანახვაზედ ზარდაცემულნი. კახთ მცირე ჯარი ჯებირებზედ გამუსრა მტერმა.

დაიძრა ხალხი: გასახიზნად მიისწრაფოდა. მალე მოსწვდა გაქცეულებს შაჰის წყალობა: აეკრძალა ხალხის დევნა და დარბევაი, არაფრის გამორთმევის უფლობა არ მიეცა უსასყიდლოდ.

– ხალხს არას გვერჩის. ჩვენი ნახირი მინდორში სძოვდა და ერთი ძროხაც არ გაიგდეს წინ.

– ოქროს აპნევენ: თუ სოფელს რამ მოეჭარბება, ყოველივე ნაღდზედ მიაქვთ და კარგ ფასებში.

– გუთნეული ჰბმიათ დოვლათაანთ. ჯარის დანახვაზედ მეხრეები გაქცეულიყვნენ. ყეინს დაეჭერინებინა და ყველანი დაემოსა. თურმე იცინოდა მათ შიშზედ და გაკვირვებაზედ.

– თეიმურაზისთვის შეუთვლია: მეახელ, დამიმეგობრდი და სიკეთით აგავსებო.

– მიემხროს ის დალოცვილი და მორჩეს! მეზობელი ხელმწიფეა და მეტად ძლიერი.

– არ კი ჰხლებია ყეინს, მაშინვე გაქცეულა თავის ჯარიდან; მხდალნი ყველანი თან გაჰყოლიან.

ივლტოდა თეიმურაზ, ისწრაფოდა განსარინებლად და თან მისდევდა მძიმე სიტყვა საბრძოლველად დაშთომილ გმირთა:

– ილტვი, მხდალო, მტრის პირისაგან: არ ხარ ღირსი შენ მეფობისა!

მით უფრო ემწვავებოდა ნათქვამი, რომ ჰხედავდა, რომ მართალი იყო იგი სიტყვა.

როცა მოსწიეს მას ამბავი, გმირულად დაიხოცნენო ჯებირთა მცველნი, გონახდილმა შეუგნებლად წარსთქვა ბოროტი:

– მეფის მგმობელთ და გამწირველთ ხვედრი არის მხოლოდ სიკვდილი!

ჯებირების გატეხის შემდეგ ალაზნის ველით დაედევნა თეიმურაზს მაჰმად-თექი, ხოლო ფირ-ბუტაღმა გადასჭრა გომბორი და დასწვდა საგურამოს. უყელა გაქცეულს, გზა შეუკრა ჟალეთის ახლოს. მომწყვდეული თეიმურაზი იძულებული იყო ხმლით გაეკაფა გზა. დაიბზარა კახთა ძალა; მტერმა თავი იპოვნა. უსათუოდ გასტეხდა ქართველთ, თუ არ გამოჩენილიყო მხედართ რაზმი შავდროშიანი. შეიჭრნენ ომში.

– ჩვენებია, შავდროშიანნი! – შესძახეს კახელთ და გაიბრძოლეს.

– ეშმაკეულნი! – შემაღლდა ხმა სპარსთა რაზმებში.

მოსულები უხმოდ იბრძოდნენ. შიგადაშიგ თუ ისმოდა მძლავრი ყივილი. გადრკა სპარსთ ჯარი. მოსულთ ბელადმა მიაგდო რაში თითონ ფირ-ბუტაღს და ჩამოაგდო. დაიშალა სპარსთა წყობები. გადარჩა საფრთხეს თეიმურაზ. ვეღარ ნახეს გამარჯვებულთ შავდროშიანნი.

– მკვდარი მაინც დარჩებოდათ, ან ვინმე დაჭრილი!

– ჩამოყრილნი თან გაიტაცეს, ბატონო მეფევ!

– ნეტავ ვინ იყვნენ?

– მთის არწივები! დაღესტნამდინ უწევს მათი ხმა. ხალხის მჩაგვრელთ სულთმხუთავად ევლინებიან.

– ქართლ-კახეთის თავადები მათ შიშით ძრწიან.

– სულ იციან, რაც კი ხდება საქართველოში.

– მათთან ბრძოლას ქაჯნიც, დევნიც ერიდებიან: თილისმა აქვსთო.

მაჰმად-თექი ვერ მოსწვდა თეიმურაზს. აღარც განაგრძო მისი დევნა. შეუხვია თორღის ციხისკენ: აცნობეს, თეიმურაზმა ხაზინა და საეკლესიო სამკაულნი იქ შეაფარაო. უნდოდა ეს საუნჯე მაინც ეგდო ხელთ, რომ მიერთმია ყეინისათვის.

გაუმარჯვდა. დალეწა ციხე, მოსპო მცველები, წამოიღო სიმდიდრე დიდი. მანამ მოახწევდა ყეინის კარს, იქ უკვე მისულიყო ამბავი ფირ-ბუტაღის შესახებ. ზღაპრულად გაეზვიადებინათ შავდროშიანების გამოჩენა და მათი ბრძოლა.

შაჰ-აბაზი განარისხა ძნელმა ამბავმა. გალაშქრებას დაჰკარგოდა მისთვის მიზანი; ამაოდ სჩანდნენ მოსაზრება, ხარჯი, დრო, გარჯა. ალმურიღა ასდიოდა უღონოქმნილსა. გაკანკულიყვნენ გარემონი: ეშინოდათ მის ყურადღების. გაისმა ბანაკში ხმაურობა, ჩოჩქოლი; მიაწია ყეინის ყურამდინ. იკითხა. წარსდგა მის წინ ხელისუფალი:

– მაჰმად-თექი გეახლათ. ჰსურს უბრძანო, წარმოგიგდგეს.

ანიშნა. წარსდგა თექი ყეინის წინ და ეთაყვანა.

– შენმა ჯარმა გაიმარჯვა შენის მონის წინამმძღვრობითა და...

– და მომართვი კახთ ბატონი დატყვევებული?

– ვერა, მზის შვილო: ადრე გაესწრო, გასულიყო ქართლის სამზღვარზედ.

– თითონ შენ ნახე?

– ესე მითხრეს, მეფეთმეფეო!

– ჰა, ჰა, ჰა!

– შევუბრუნდი თორღის ციხეს, ბრძოლით ავიღე. დავლად მოგართვი მეფის ხაზინა, ეკლესიის განძეულობა.

– ნადირი გაგიშვია, მის ბალანი მოგირთმევია. გაუშვი ერთადერთი ჩემი მტერი საქართველოში, არა სდიე თვით კართამდე ჯოჯოხეთისა და წარმომიდეგ?!

ათრთოლდა თექი, დაემხო პირქვე.

– ვბრძანე, ხალხს ბელი არავინ ახლოს, არაფერი არ წაართვას მას და შენ კი.... იცი ფირ-ბუტაღის ამბავი?

– მითხრეს.

– თუ გევლო გზაზედ, მიასწრობდა ჟალეთის ბრძოლას და.... მიჰქრის ბუდაღ სულეთისაკენ. გაჰყევი მის კვალს!

გაიტაცეს. წარკვეთეს თავი.

სასწაულებრივ გადარჩენილმა თეიმურაზმა გადიარა კახთა მზღვარი, გავიდა ქართლში. ლუარსაბი თვალს ადევნებდა, იცოდა თეიმურაზის ლტოლვის ამბავი, ჟალეთის ბრძოლა. მუხრანში დაჰხვდა. მიულოცა გადარჩენა. ხუმრობა რამ წარსთქვა უგბილი:

– ვერ დაჰხვედრიხარ სათანადოდ დიდებულ სტუმარს, პურადობას თუმცა იჩემებ.

– შენც მსწრაფლ გეწვევა! გამოჩნდება, ვით დაუხვდები.

არ შეუფერხებია თეიმურაზს ქართლში, გასწია იმერეთისკენ. გაჰყვა თან ლუარსაბიც. ეშინოდათ მოსყიდული კაცებისა. თავისებსაც აღარ ენდობოდნენ. ყეინი უთვლიდა ლუარსაბს, შენ არას გერჩი, ძმასავით მიგიღებო. ვერ ენდო და ეს მით უფრო, რომ მას თან ახლდა აწ მის მოსისხლე სააკაძე.

– არ დასცხრება სააკაძე; რამე ღალატს მოაგვარებს და სისხლს აიღებს.

– უსათუოდ! ყეინი თავისიანებსაც არ დაგვინდობს: თავისთვის უნდა საქართველო.

– გამოგვყვება იმერეთშიც, არ მოგვეშვება.

– გზები ხსნილია რუსეთისაკენ, თუნდ სახონთქროში.

გასცა ყეინმა ბრძანებები: კახეთის მეფედ განაცხადა უფლისწული იასე, გიორგი მეფის ძე. მაჰმადიანი იყო, სიმცროდან ყეინის კარს გაზრდილი. სახლთუხუცესად მიუჩემა მას დავით ასლანის შვილი ჯანდიერი, ვაზირად ნოდარ ჯორჯაძე. გაემართა ქართლისაკენ. ორ ტოტად მიდიოდა მისი ლაშქარი: ერთი ალაზნის ხეობით; ამას თითონ უძღოდა; მეორემ მოუარა გომბორს და მოისწრაფოდა ივრის ხეობით. საგურამოს სანახებში უნდა შეჰხვედროდნენ ერთმანეთს. ყეინი მივიდა ალავერდს. დაათვალიერა ტაძარი. დიდად მოეწონა, მოახსენეს:

– ალერტის წმიდა გიორგის სავანეა ეს. დიდებული ხატი უხსოვარ დროიდან დაბინავებულა აქ. მპარავთა და ავაზაკთა მპოვნელ-დამსჯელი ძალაა. ლეკნი, დიდოელნი, ღლიღვნი, ქისტნი მოვლენ აქ და შესწირვიან.

– რა სჯულისანი არიან ისინი?

– მაჰმადის თაყვანისმცემელნი, მზის შვილო!

გაუკვირდა, რომ დიდებულ წინასწარმეტყველის სახელს იმ მიუვალ მთებამდინ მიეხწია; მადლობა შესწირა გამჩენელს. შევიდა ტაძარში. აღავლინა ლოცვა არსთა შემოქმედისადმი. ნიშნად პატივცემისა დაუბრუნა საკვირველთმოქმედს თორღის ციხიდან წამოღებული უძვირფასესი მიტრა ალავერდელისა.

ამ მოქმედებით განცვიფრება გამოიწვია ხალხის თვალში და ნდობის გრძნობა.

– რად უნდათ, რომ ცდილობენ ჩვენი მეფეები რუსეთის კალთა დაიჭირონ, როცა ძლიერ ყეინს ესე ახლო მყოფს შეუძლიან მფარველობა გაუწიოს საქართველოსა?!

– უბრალოდ ანრისხებენ ირანის მფლობელთ და უბედურობას იწვევენ ხალხზედ.

– ამათთან რომ კავშირი გვქონდეს, რომელი მტერი შეგვებმებოდა ან რის იმედით?

39

გადიარა ყეინმა გომბორის ფრთა, გადაჰხედა იორს, გადავლო ერწო და ჩაეშვა არაგვის ხეობაში. აქ თავდებოდა თეიმურაზის საბრძანებელი. შეიფერხა სამზღვრებზედ რამდენსამე ხანს. წარსდგა მის წინ ნუგზარ და სთხოვა, მიეცა ნება წასულიყო თავის საბატონოში, არსებაში მოეყვანა თავისი კერა დაბუგულ-განადგურებული.

– შევითვისე შენი ჰაზრი, დიდებულო ხელმწიფევ: საქართველო და სპარსეთი ერთად უნდა ებრძოდნენ მტრად მოზღვავებულ ჩრდილოეთს. ამ ფიქრს წავიმძღვარებ, ანდერძად დავუდებ ჩემს მემკვიდრეებს.

– შენ ხელთ ყოფილა ჩრდილოეთის გზა დარიალამდინ. განაახლე ციხეები, შეაყენე ერთგულნი მცველნი. ეს გზა საიმედო კაცის ხელთ უნდა იყოს. ჩემის ხაზინიდან მოგეცემა ხარჯი.

– ისეც სავსე ვარ შენის წყალობით, ნათელის შვილო!

ჯერ არ წასულიყო ნუგზარი ბანაკიდან, რომ ეახლენ ყეინს მისი ვაჟები მანუჩარ, ზურაბ. ძლიერ მოეწონა ვაჟკაცი ზურაბ.

– გიორგის გაზრდილია, მისგანა აქვს ხმალი ნასწავლი.

– მაშ ფხაასხმული დაშნა გეჭირება შენც?

– შენ სამსახურად, მეფეთმეფეო!

ეახლნენ ყეინს შადიმანი, მუხრანბატონი, ქსნის ერისთავი, ქაიხოსრო ჯავახიშვილი. ეკრძალებოდნენ: ყეინს გიორგი ახლდა გვერდს, შეიძლებოდა სისხლი აეღო. წყალობით მიიღო. შეარიგა სააკაძესთან. სადავო მსაჯულთ გააბჭობინეთო, უბრძანა. ყოველივე ბოროტება ლუარსაბს გადააბრალეს. დაბრუნებულთ მოიტანეს ყეინის სიტყვა:

– უფრო უვნებლად გავივლი ქართლს: ლუარსაბი მოყვარეა და არც ისეთი სამტრო ბიჯი გადაუდგავს, როგორც თეიმურაზს.

დამშვიდდა ხალხი. ეთაყვანნენ სხვა თავადებიც. მისწერა წიგნი ლუარსაბს: იწვევდა თავისთან, აღუთქვავდა დიდ სიეკეთესა.

დაიძრა ყეინი. მის სვლას არ უძღოდა მახვილი. წესს არ არღვევდა ლაშქარი, არვის ავნებდა: აღლუმი თუ იყო ეს სვლა სპარსთა ჯარისა თვით სპარსეთის სანახებში მიმოფენილი. გორს დაიდვა ბინა. სპარსთ ბანაკად გარდაიქმნა გორის მიდამო, ლიახვისა, მტკვრის ნაპირები.

ნადიმობდა შაჰ-ინ-შაჰი. გვერდზედ ახლდა ფერი-ლეილა. დაასაჩუქრა ყველანი, ვინც კი ეახლა და თავი დაუკრა. მეუღლის სურვილის გამო ინახულა ცხირეთი, ერთაწმიდა; გაიარა ნოსტეზედ. რომ ნახა გიორგის მამული გადაბუგულ-გაოხრებული, უბრძანა წყალობა: თვის ხაზინიდან ოქრო მისცა მის აღსადგენად.

ყველაფერი ეს მხოლოდ გარეგანი სახე იყო ყეინის სიწყნარისა. ჰხედავდა ჭკვიანი, საქართველოს გულში რომ იდგა განდიდებული, მაინც სასტიკად იყო დამარცხებული: ვერა სწეოდა უმთავრეს მიზანს, არ ჰყვანდა ხელში მეფეები, რომელთ ეძებდა. ხელთ უნდა ეგდო. მთელ საქართველოში ისეთი კაცი უნდა დაესვა მეფედ, რომელი ვერ გასწყვეტდა კავშირს სპარსეთთან, სამუდამოდ უარჰყოფდა რუსთ, არ გადმოჰბადებდა მყინვარელთ ძალას მთათა გადმოღმა.

– ლუარსაბი... სუსტია იგი. მაგრამ თუ გვერდს ამოუდგა ძალა ძლიერი... სჯული უსათუოდ უნდა გამოიცვალოს! იასე... კახეთსაც ვერ უვლის: აჰშლია ხალხი, თუმცა ჯერ ისევ აქა ვარ ჯარით.

ლუარსაბზედ თავისი შეხედულობა გაუზიარა ფერი-ლეილას. დაფიქრდა ქალი, მოუწონა მოსაზრებანი.

– სჯულს კი, იცოდე, არ გამოიცვლის!

– რატომ? თუ პაპათქვენმა სვიმონმა შეიცვალა სჯული და მტკიცედ დაადგა სპარსეთთან მეგობრობას, ის რაღა არის?!

– სწამს. თავისი ნათქვამიც არის.

ის კი მოუწონა ქალმა, რომ შეერთოთ მისთვის დადიანის ქალის მაგივრად თვით ყეინის დაი, სიმშვენივრით გათქმული ფატმა. დაასკვნეს ეს პირი. კვლავ მისწერა ყეინმა წიგნი. ლეილასაც მიაწერინა მოკითხვა. შაჰის წიგნისა და სურვილის გადამცემად ამოირჩიეს დიდად გამოცდილი ხოჯა სარუხან ენაწყლიანი. ოქრო გაატანა. დაიბარა შადიმან.

– მზრდელი ხარ ლუარსაბისა, შენი სიტყვა სარწმუნოა მისთვის: გაჰყევი ჩემს ელჩს, დაარწმუნე და აქ მომგვარე!

მეტად ემძიმა დავალება ბარათაშვილსა: ჰხედავდა, შაჰის განზრახვა სასიკეთოდ არ მოუხდებოდა ლუარსაბს; თავის მეფის ტყვედ მოყვანა ემძიმებოდა.

– ჰყოყმობ, შადიმან?!

– აღარც ისეთი გავლენა მაქვს მასზედ: თეიმურაზის სიტყვას ისმენს მორჩილებით.

– შენი გავლენა... გაჰყარე ცოლსა, მტრად აადევნე თვის ტახტის ბურჯს სააკაძეს და ჰბედავ სიტყვას გავლენაზედ?!

– გიორგი სააკაძე... ის ავს ფიქრობდა.

– თარხან-მოურავი თავის ხელმწიფის ავს?! არა, ერთგული მსახურია ის თავის მეფისა, გადამეტებით ერთგულია. უნდა წახვიდე და აქ მომგვარო! – დაათავა ყეინმა მკაცრად.

მიხვდა შადიმან, ან უნდა აესრულებინა ბრძანება, ან დაღუპულიყო.

40

ყეინმა გაუგზავნა წიგნი იმერთ მეფეს გიორგისაც, დაუყოვნებლივ დაებრუნებინა მასთან შეფარებული თეიმურაზ და ლუარსაბ. სწერდა:

...ჩემ მორჩილებაში მყოფი უჭკუო თეიმურაზ და ლუარსაბ შემოგკედლებიან. ოსმალთა მფლობელობაში ხარ, შენი ქცევა გატეხა არის ჩემსა და ხონთქარ შუა დადებულ ზავის. თუ მეურჩები, ლაშქრით შემოვალ შენს ქვეყანაში...

იმერთ მეფემ იცოდა ზავის პირობები, მაგრამ ისიც იცოდა, ამ ზავით არ იყო ხონთქარი კმაყოფილი. თუ შაჰის ლაშქარი დაბანდდებოდა საქართველოში და დაჰბზარავდა იქ თავის ძალას, ხონთქარს ეს მეტად უამებოდა. ამისთვის არ შეუშინდა ყეინის მუქარას. გიორგი მეფე ეხლა მხოლოდ იმაზედ ფიქრობდა, როგორ ესარგებლნა მდგომარეობით, რომ გაეძლიერებინა თავისი სახელმწიფო.

მაინც ურჩია შეფარებულებს ჰხლებოდნენ ყეინს. დაისწრო შადიმანი და სარუხანი. ცალყბივ ეტყოდა: ძნელი იყო მასპინძლისგან სტუმართ დათხოვნა. კიდეც ეფიქრებოდა, ძალა მიეცა თავის სიტყვისათვის: შესაძლო იყო, ლტოლვილნი რუსეთს გადასულიყვნენ, მყინვარეთის ხელმწიფე მართლა გადმოეყვანათ საქართველოში. ეს არ ჰსურდა მას, არც სხვა მფლობელთ დასავლეთ საქართველოსი.

– დამკვიდრდება აღმოსავლეთში, გადმოვა აქაც; დაიბყრობს მთელ კავკასიონს.

– ის მოგვივა, რაც დაემართათ მის ფარგლებში სხვა სახელმწიფოთ; მოვისპობით.

– ღმერთმა დაგვიხსნას!

– რად არ ესმის ლუარსაბს და თეიმურაზს: მიემხრონ სპარსეთს.

– ატყუებს რუსი დაბნეულებს, აგერ-აგერ მოგეშველებითო.

ერთი მაინც მოახერხა გიორგი მეფემ: როცა ურჩევდა თავის სტუმრებს, დაჰყოლიყვნენ ყეინის ნებას, მეტად თავისუფლად დაიჭირა თავი; ფეხი ფეხზედ შემოიდო, ქუდი მუხლზე დაიდვა და დარიგების კილო მისცა თავის საუბარს.

– თუმც ლტოლვილი ვარ, მაინც მეფე ვარ ზეცით ცხებული! – წარსთქვა წყენით ლუარსაბმა

და გამოვიდა დარბაზიდან. ისარგებლა შადიმანმა ამ მღელვარებით, არწმუნებდა დაჰყოლოდა ყეინის ნებას, რომ მიჰნიჭებოდა ყოვლი კეთილი.

ყეინის მუქარა მთელ დასავლეთ საქართველოს შეეხებოდა და ამის გამო მეფე გიორგი თვით წავიდა დადიანისას. სასწრაფოდ მოიწვიეს გურიელი, დადიშქელიანი, შარვაშიძე. სხვა მიზეზიცა ჰქონდა გიორგის ოდიშში სტუმრობას: გურიელმა სთხოვა მას შუაკაცობა. მეტად მოსვლოდა თვალში დადიანის ფუნთუშა ქალი მარიამი და ენუკვებოდა. მარჯვე დრო იყო: ლუარსაბი აღარ ვარგოდა სიძედ: ან რუსეთს უნდა გაქცეულიყო იგი, ან შაჰს ჩაჰვარდნოდა ხელში.

შეიკრიბნენ. იბჭეს. მორიგდნენ. დაადგინეს: გიორგი ისარგებლებდა ქართლის უმწეო ყოფით და დაიჭერდა იმ ადგილებს, რომლებიც კი გადასცილებოდნენ კორტოხის მწვერვალებს. სამეგრელოს უნდა დაეჭირნა ლეჩხუმის ნაწილი, რომელს დადიანნი თავისად სთვლიდნენ; სამეგრელოს უნდა მზითვის სახით დაეთმო

გურიელისთვის რიონის გაღმა ადგილები, ხოლო შარვაშიძისთვის სამურზაყანოს ჩრდილო ნაწილი. დადიშქელიანმა მოითხოვა სვანეთს უბაჟო ვაჭრობა ჰქონოდა სამთავროებთან.

ძმური კავშირი დიდებული ნიშნობით დათავდა დადიანის კარს.

ამ ამბავმა მთლად მოამტვრია ფრთები ლუარსაბს. ნახა, დაწუნებული იყო სასიძოდ; მხოლოდ ფუჭი სახელი შერჩენოდა მეფობისა: დასავლეთი საქართველო საშიშ ფლატესღა წარმოადგენდა მისთვის. მეტად დაენანა თავისი იმედიანი წარსული, როცა გიორგის ხმალი განამტკიცებდა მის სამეფო ტახტს, ტურფა მაკრინე შარავანდედს უორკეცებდა მის გვირგვინს, როცა ფრთაძლიერი იმედი დასტრიალებდა მის დიდებულ ცხოვრებას. გვიანღა იყო! ამოიკვნესა. დასთანხმდა ყეინს.

41

გიორგი ეხლა განუყრელად აღარ ახლდა ყეინს, მხოლოდ ინახულებდა და სარისტას დაიჭერდა მის გარშამო: რაკი ქართლში შემოდგა ფეხი ყეინმა, ჯარის მთავარსარდლობა სააკაძეს ჩააბარა და უმთავრესი ბრძანებები მისი პირით ცხადდებოდა ჯარში თუ ხალხში. მეტ დროს ნოსტეში ატარებდა: დიდის სიჩქარით და მხნეობით ცდილობდა აღედგინა თავისი სახლ-კარი. უწყალოდ იყო გავერანებული: ქონება გაეტაცნათ, საციქველიც აღარ დაეტოვებინათ; გადაეწვათ დანარჩენი ყოველივე; დაენგრიათ, რასაც ცეცხლი ვერ მოჰრეოდა.

დიდძალი ხალხი მუშაობდა გიორგის კარ-მიდამოზედ. მუჭა-მუჭა იპნეოდა ოქრო. ნანგრევების გაწმედა, ხე-ტყის ზიდვა და დამზადება, კირის დაწვა თუ აგურ-კრამიტის გამოხურვება. წყალი ეზოზედ მოდიოდა.

გვერდზედ ჰყვანდა დიასახლისი; ირჯებოდა სარისტიანი. დედაც იქ ჰყვანდა: გადმოეყვანა იმერეთიდან. გატეხილიყო დედაკაცი უბედობაში, მოულოდნელად მოღვარსლულიყო; ვეღარ სჭექდა, თუმცა მხნეობდა. მაინც სახე უღიმოდა: კიდევ მოესწრო კერის აღდგენას, ოჯახის ნახვას.

გიორგი რომ სახლს აახლებდა, ერთ კუთხისაკენ თვალი ეჭირა. მოაცილეს იმ ადგილს ნამწვ-ნანგრევები და გადაწმიდეს. დაღამებისას თითონ მოთხარა, ამოაბრუნა რამდენიმე გელაზი. გამოჩნდა საძირკველში თახჩა თაღიანი და შიგ ტაგრუცი. ახადა. ხმალი იყო შიგ და პარკით ოქრო.

– რა იცოდნენ მძარცველებმა, რომ სასახლეს ოქრო ჰქონდა შენახული თვის აღსადგენად.

– ხმალი?

– ჩემი საყვარელი! ასი მოკლული შემისრულა ბრძოლებში და დავასვენე: ფოლადიც ვეღარ იტანს მეტს ადამიანის სისხლს.

ამოაცილა ხმალი ქარქაშსა, მოუალერსა, გაწმინდა. ისევ ჩაკეტა. ჩადგა სამალავში. ამოქოლა. სწრაფად მიდიოდა შენობის აღდგენა: ბევრი ხალხი ეხვია. მხიარულად მუშაობდნენ უხვ პატრონისაგან გალაღებულნი. დაქირავებული მუშა კი არა, მოწყობილი მამითადი გეგონებოდა.

უფრო ადრეც დასრულდებოდა შენობა, თუ სცალებოდა გიორგის: ხშირად იბარებდა ყეინი, ჰკითხავდა, მასთან ერთად ჯარებს ათვალიერებდა. დიდი ნდობა დაიჩინა ამ დაუღალავ კაცისადმი. მეტად აფასებდა მის სარისტიანობას და სიფხიზლეს. სიფრთხილე კი მეტად სჭიროდა უცხო ქვეყანაში მყოფს, მტერთაგან გარშემორტყმულს: ღალატს ათასი გზა აქვს უჩინარი.

ქართველნი კმაყოფილნი იყვნენ ყეინისა და მადლობელნი: ძალა ებყრა უძლეველი და ბოროტად არა ხმარობდა მას ხალხის წინააღმდეგ; თვალს ადევნებდა, სპარსთ შემოსევით არა ვნებოდათ რა. უნდოდა საქმით დაერწმუნებინა, რომ ხალხს არ სდევნიდა იგი, არც მისი აღმოფხვრა აქვს განზრახული. მხოლოდ მოითხოვდა, არ ექმნათ პირი მყინვარეთისკენ, აღმოეფხვრათ იმედები რუსთ ხელმწიფისა. ყეინის ესეთ კეთილ განწყობილებას ხალხი დიდ მოურავს აწერდა.

– კრულვით იღებდნენ ჩვენს გიორგის, სპარსთ მოუძღვისო საქართველოს ასაკლებადა.

– აოხრებას მაშინ ჰნახავდნენ, თუ გიორგი არ ახლდეს თანა.

– დიდად ენდობა, უჯერებს სიტყვას: უმისოდ ნაბიჯს არ გადასდგამს; კაცს ხშირად ჰგზავნის, მეახელიო.

– ხუმრობა არ არის: მთავარსარდალია სპარსთა ლაშქრისა!

– ღირსიც არის პატივცემისა: მაგისთანა ძლიერი და ჰაზრიანი კაცი სხვა აღარ მოიპოება ეხლა არც ჩვენში, არც სპარსეთში.

– ყეინს ჰყოლია ერთი ლომ-კაცი, მაგრამ გიორგის ყეინის თვალთ წინ დაუმორჩილებია და აღარც კი უკადრია მისი მოკვლა.

42

მოუთმენლად ელოდდა ყეინი პასუხს იმერეთიდან. ელჩად მიმავალნი არწმუნებდნენ მას, მალე მოგართმევთო სასურველ ამბავს, თვით ლუარსაბს აქ გაახლებთო. ჯერ ვერა მართლდებოდა მათი აღთქმა: იმერთ მეფე ვერ აძლევდა გარკვეულ პასუხს. საუბარში ეტყობოდა, ხონთქრისათვის ეცნობებინა შაჰ-აბაზის მოთხოვნილება.

ყეინი ეხლა უფრო ღრმად ჩაჰკვირვებოდა საქართველოს მდგომარეობას. მკაცრ დასკვნამდინ მისულიყო, ახალ რამ ფიქრს დასდგომოდა ქართველთ შესახებ. მისი ჰაზრი ეხებოდა მთელ საქართველოს და კიდევ ერთს კაცს, რომელს მხოლოდ შეეძლო ეტვირთნა ბედი ქართლისა. იხმო გიორგი.

ყეინი გორის ციხეში არა სცხოვრობდა. მცველნი ეყენნენ იქ. ძირს დაბინავდა სამეფო სახლში. ერთსართულიანი იყო ეს სასახლე, მაინც მაღალი: აივანი, დარბაზები მტკვარს დაჰყურებდნენ, ეზოში კოშკი, შიგ მის მცველები. ყრუდ მოისმოდა მდინარის ჩქეფა. ეზო-ყურე მაშხალებით განათებული. მარტო იყო შაჰ-აბაზი, არ ენება სხვათ თანახლება. შარბათი ედგა, თეთრი ღვინო, ტკბილეულობა. სავარძელთან შავი მონა უძრავ-უსიტყვო.

თაყვანი სცა გიორგიმ. დაჯექიო, უბრძანა შაჰმა.

– გამახსენდა, ფერი-ლეილას რომ მოჰყევი თეირანში. გავკვირდი მაშინ და გავიფიქრე:

– სადა ჰყვანან გამოცდილნი, რომ მიუნდვია ძნელი საქმე ახალგაზრდისთვის. ეხლა სხვას ვფიქრობ.

– განსვენებულ გიორგი მეფეს ანდერძად ჰქონდა დადებული სვიმონ მეფისგან, ახლო ვყოლოდი დიდ სახელმწიფო მოქმედებებში. დედოფლად ლეილას წამოყვანა დიდმნიშვნელოვანი იყო; ადასტურებდა, მეფემ სპარსეთი ირჩია რუსეთს: უფლისწული ლელა რუსთ ხელმწიფის დანიშნული ბრძანდებოდა.

– იქითკენვე მიიხრებოდა გიორგიც: ბაგრატიონნი ყველანი გარეთ იყურებიან, ერთსჯულ ხელმწიფისაკენ. ბიზანტიისაგან დადგენილთ სისხლში ჰქონდათ

ბერძენთადმი მისწრაფება. დაინგრა ბიზანტია, გაშალა ორთავიანმა არწივმა ფრთები მოსკოვში, ბაგრატიონნი ახლა იქით ისწრაფიან.

– იცი საქართველოს წარსული, დიდებულო, გაიხსენე სტეფანოზ პირველი, აღმაშენებელი დავით, პირიმზე თამარ: ისინი არ ისწრაფიდნენ ბიზანტიისკენ.

– და სვიმონ ხელიც! მხოლოდ იმათ ესმოდათ, რა ძვირფასია ხალხისათვის თვითარსებობა და მეგობრობა მახლობელი მეზობლისა. მნიშვნელოვანია სპარსეთისათვის, რომ მის სამზღვარზედ სცხოვრობს მისანდო ერი, სიცოცხლით სავსე და ნიჭიერი. საქართველო სპარსთ მეგობრად უნდა დარჩეს! რუსთ უარყოფა, ან მის ღაღუპვა!

– ხალხი სჯულის შეცვლას ვერ ურიგდება.

– ხალხს არც ვთხოვ მაგას! მმართველნი კი ბაგრატიონნი ჩვენს სჯულზედ იყვნენ, რომ გასწყვიტონ მყინვარეთთან ყოველი კავშირი. ხალხმა ხომ ნახა, მას არას ვერჩი. ქართველთ მოთავეთ უარი ჰყონ ხელმწიფე რუსთა, ან აღარ იყვნენ!

– სვიმონ დიდი დარწმუნდა, მხოლოდ ირანთან მეგობრობა იყო ქართველთათვის ბუნებრივი. სჯულიც შეიცვალა, რომ დაეჯერებინა ხუდაბანდი ერთგულობაში. ხალხის მმართველი სულით, ხორცით შეეწიროს თავის ერსაო. მისი სული არ გადვიდა მემკვიდრეებზედ.

– შენ უფრო ახლო ხარ სვიმონ მეფეზედ, სანამ მისნი მემკვიდრეები. შენ თითონ ხარ მისი მემკვიდრე! ძლიერი ხელი უნდა, რომ ალაგმოს თავგასული დიდდიდებულნი, შეიერთოს მთლად საქართველო, უმცროს ძმასავით ამოუდგეს სპარსთ სამფლობელოს. ან ეს, ან აღმოფხვრა საქართველოსი, რომ ირანმა თვით იზრუნოს ჩრდილო სამზღვრებზედ.

ამ ლაპარაკში იყვნენ, როცა გაიღო ჭის კარი და გამოჩნდა ფერი-ლეილა. ქართულად იყო ჩაცმულ-დახურული. გვერდს ახლდა ქალი მიმანსალაი. თან მოსდევდნენ რაინდები, შიმუნვარები. დედოფალი რომ აბრძანდა აივანზედ, გიორგი მიესალმა მას, დაუკოცნა სარტყლის ფოჩი. დაემშვიდობა. განშორდნენ სხვებიც.

– განმარტოებულხარ. არ გიბრძანებია, გხლებოდნენ დიდებულნი...

– სამხედრო საქმეებზე გვქონდა ბჭობა. აქ მხოლოდ ჩემი ჰაზრი სჭრის და თარხანმოურავისა. დიდებული მებრძოლი არის, ტოლი არა ჰყავს.

– მინამ ეგ ახლდა ჩემს ძმას ლუარსაბს, ვერვინ ჰბედავდა იმის შეხებას. ალაგმული ჰყვანდა მეტად განდიდებული წარჩინებულნიც.

– მისთვის გაუორგულეს მეფე და განწირეს ამაგდარი მებრძოლი.

– ალბათ ეგრე იყო, თორემ მისი დაი ნამდვილ სადედოფლო ქალი ყოფილა სიმშვენივრით, ჭკვით, სათნოებით.

– სადა ყოფილხართ?

– ბაღში გავიარეთ. მტკვრის პირას გავედით. გვეხვეოდნენ დედაკაცები. ძალიან უალერსებდნენ მიმანსალასა: ესეთი დიდთვალებიანი მშვენიერი არ გვინახავსო.

43

ამბავს ელოდდა კეისარი თვის დესპანთაგან. ეჭვი შეჰპაროდა სურვილის აღსრულებაზედ. ბორგავდა მძლავრი. შთააგონებდა სული ბოროტი:

– აქ გიდგა ჯარი, შეჭურვილი მთელი ლაშქარი. ჩააყენე სიმაგრეებში; განაცხადე შენ საკუთარ სამფლობელოდ ქართლი, კახეთი; თითონ ჰმართე ეს ნაწილი დიდის ირანის!

დინჯად ეტყოდა სული მეცანი:

– არ შეიძლება! უცხო ხალხი სულ სხვა ბუნების, უცხო სჯულის და ხასიათის; თვითარსებობის მოტრფიალე, სიცოცხლეს რომ ურჩევნია თავისუფლება. არ იტვირთებს სხვის უღელს მძიმეს; ვერ შეექვსის იგი მოსპობას!

– სულს ამოსწვდის თავისუფალს ძალა უძლევი! ის შეარიგებს მონობასთან, თვით მოსპობასთან!

– დასერილია, დაღარილი ქართველთ მამული, ხევ-ღრანტეები, მდინარენი, უღრანებით დაფარული მთაგრეხილები. დახვრელილია მღვიმეებით, გვირაბებით, კლდის ქალაქებით. ვერ გაიშლება აქ ლაშქარი, ნაწილ-ნაწილ ამოწყდება მათის მახვილით.

– ეგ არ მაშინებს: მოვაზღვავებ უამრავ მებრძოლს!

– თუნდ შეიმაგრო ეს ნაჭერი საქართველოსი, შენთან მაინც არ იქნება საქართველო კორტოხიდან თვით პონტის ზღვამდე. და დაიხსომე: სადაც დარჩება თუნდა ერთი მუჭა ქართველთა შვილი ნაბდის გაშლა თავის მიწაზედ, იქ იქნება საქართველო შეურყეველი!

– მაშ ამოწყდეს, აღიხოცოს ქართველთა გვარი, თვარა დაგვღუპავს მათ მიქცევა ჩრდილოეთისკენ, – ხმა აიმაღლა აღშფოთებით სულმან ბოროტმან.

– ირანის ლომო! ვერ თუ ჰხედავს შენი გონება, დაჰღუპავს სპარსეთს მყინვარეთთან მოსამზღვრეობა. მარადი ბრძოლა ულეველად მომდინარე მწირ ქვეყნის ხალხთან! საქართველო უნდა იყოს თავისუფალი, მაგრამ მტკიცე მოკავშირე ირან-სპარსეთის. ის პატარაა, მამულით კი, ხალხის სულით ძლიერი არის. დიდი სპარსეთი იქ უნდა ჰბრძოდეს მყინვარელთ ძალას. მთელი ირანი, დასავლეთი, მთელი აზია ხელს უწყობდეს საქართველოს იმ დიდ ბრძოლაში: ივერიის დამონება ირანისკენ უსხნის გზას მაგოგთ.

ყეინი გადაიხარა მეცან სულისაგან ნაჩვენებ გზისკენ. მხოლოდ ის აღონებდა, რომ ეს ჰაზრი არ იყო შეგნებული ბაგრატიონთაგან; არც თავადთაგან, თვითეულს მათგანს რომ ეგონა თვის თავი მბყრობელ ხელმწიფედ. ის კი იცოდა, თითონ ხალხი უფრთხოდა ჩრდილოს, ჩაჰკეტავდა ბნელეთისკენ გაღებულ კარებს, თუ ვინმ ჰკითხავდა.

და ესევ გრძნობა ასულდგმულებს სააკაძეს, ხალხის საყვარელს. მისი ნატვრაა, აღმოიფხვრას ზვიადობა დიდდიდებულთა, მეფის ტახტს რომ არხევ-არყევენ; შეერთდეს მთელი საქართველო ერთ ძლიერ ხელში; ძმურად იაროს ჩემმა ერმა უდიდეს ხალხთან წინააზიის!

ყეინის ფიქრმა გადიელვა მოურავისკენ, რომლის სიძლიერით მოხიბლული იყო ის და მოულოდნელად მოესურვა ნოსტესაკენ გასეირნება. გაიყოლა, გაემგზავრა, გაჩნდა ნოსტეში. გიორგის თითონა ჰქონდა ჰაზრად მეჯლიში გაემართა კეისრისათვის. მაგრამ ჯერ მზად არ იყო: უნდოდა დანგრეული ოჯახი ოდნავ მაინც არსებაში მოეყვანა. ნახა თავის კარს დიდებული, მეტად გაეხარდა.

ეზო ერთს მხარეს აჩხნდეულიყო საშენ მასალით; უდიდესი მისი ნაწილი თავისუფალი იყო. შედგა ყველგან მუშაობა, ხალხი დაეხვია იმ ადგილს, მოაკრიალა. დაჰკრეს კარვები. გაიგო სოფელმა ყეინის მობრძანება სააკაძის კარს და გაჩნდა იქ მოქმედ მარჯვენით. დაინთო ცეცხლი. აფეშხოვდა საკლავები. დუღდნენ ქვაბები. მოდიოდა ხონჩა ხონჩაზედ ნაზუქები, ფუნთუშები, შოთი, კაკალა. აიხადა ღვინის ქვევრები. მრავალ ადგილს გაშლილი სუფრა. შეიყარა მთელი სოფელი. წითელ-ყვითლად მოკაზმული ქალი თუ რძალი, ჭაღარა ხალხი, კოხტა ბიჭები ტალიკტალიკი. ხატობა იყო. ძლიერ ძალის გამომცემ ხატს ჰხლებოდა ხალხი.

იწვიეს შაჰი. დამწკრივდა ტახტის გარშემო შეიარაღებული ბიჭები: სააკაძეს რაზმელნი იყვნენ. ყეინმა მოავლო თვალი ჭამად დამსხდარ ხალხს და გაჰკვირდა: სულ გლეხობა იყო, სააკაძის მეგობარი აზნაურები. ბატონთაგანი არავინ ერია: ნოსტეში არ იყვნენ ისინი, წვევის დროც აღარ დარჩა. ზაზა შერჩა ციციშვილი, ისიც შემთხვევით: შეაბრუნეს გზად მიმავალი.

ჯერ მოკრძალობდნენ. ჭამა სჭარბობდა. შეხურდნენ მერმე. აგუგუნდა სუფრულები, მრავალჟამიერ. საკრავთა ხმა აჰყვა სიმღერას. მოართმევდნენ ტაბაკით პურ-მარილს, ადღეგრძელებდნენ, ეტყოდნენ ქებას.

თაიგულით წამოვიდა ყეინისაკენ ღაღანა ქალი. ზურგს უმაგრებდა დედაკაცი ხანში შესული. შაჰს ეთაყვანა. ავარვარდა. ენა დაება. მაინც რაღაც სთქვა და მიართვა ყვავილთა კონა. ააღელვა შაჰ-ინ-შაჰი ამ მოძრაობამ; აეხატა სიამოვნება; თავის ხელით ბეჭედი უძღვნა.

– ჩემ სახსოვრადა!

დაინიშნა შაჰ-აბაზზედ თინაანთ თიკო!

აიდგეს ფეხი ყვავილებმა შაჰის ტახტისკენ. ყვავილთ ნაკადმა სულ აავსო სამეფო ტახტი და მის კვარცხლბეკი. ეშხით აღივსო, იღიმებოდა; გაიცინებდა; მის აღტაცებას აღარ ჰქონდა აღარც სამზღვარი. გაკეთდა წრე და საკრავთა თუ ტაშის ხმაზე ჩამოტრიალდნენ. ფიცხი ქართული, დავლურები, სამაია მინაზებული.

გააცილეს ყეინი. დიდ მანძილზედ მისდევდა ხალხი. სააკაძე თავის რაზმით გარს მოჰვლებოდა.

44

დაბრუნდა ყეინი. ამბავი დაჰხვდა შადიმანისგან: ლუარსაბი დაგვეთანხმა, მალე გეახლებაო. თავის გარჯაზედ რომ სწერდა ვრცლად, სხვა მიზეზებსაც ასახელებდა: შენი ლაშქარი რომ დაუახლოვდა იმერეთს, მეფე შეშინდა. დაითხოვა შეფარებულნიო. თეიმურაზი უკვე გაემგზავრა რუსეთს. პირად შიშმაც აჩქარა: ბახუტაშვილი შეეცადა მის მოკვლას, თუმცა ვერ მოახერხა; მეფე აქ ვეღარავის ენდოვო.

არ იყო შაჰისათვის სრული სიამე: უმთავრესი მისი მტერი გასცლოდა იმას; მაგრამ ლუარსაბი ხელთა ჰყვანდა და ესეც გამარჯვებად ჩაეთვლებოდა.

მოვიდა კაცი, ლუარსაბი მობრძანდებაო. ყეინმა განიზრახა, დიდებით მიეღო ის, როგორც მეფე და მოყვარე. თითონ შეეგება მთელი ქართლის თავადების თანხლებითა. შეჰხვდნენ. გადაჰკოცნა თავის ცოლისძმა.

– შენი სტუმარი ვარ მთელის ლაშქრით! ირანის დედოფალმა, შენმა დამ, ფეხი იბრუნა. იმედია, შესაფერად დაგვიხვდები პურადი მეფე.

ყეინის თქმამ და ქცევამ აღტაცება გამოიწვია დიდებულებში. ლუარსაბიც კარგ გუნებაზედ დააყენა შაჰის შეხვედრამ. მოჰყვა გორის სასახლეში ზეიმი ზეიმს. თვით ლუარსაბიც, მისი დაიც, დიდკაცობაც ყველა ელოდა, რომ ყეინი ეხლავე მისცემდა მეფეს მოქმედების უფლებას, დაავანებდა თბილისს, გამოაცხადებდა კახეთის მეფედაც. კიდეც აღუთქვამდა ყეინი ყველა ამას, მაგრამ მოითხოვდა სჯულის გამოცვლას. ეს საკითხი მაინც პირდაპირ არ დაეყენებინა ლუარსაბისთვის; გაკვრით ეტყოდა.

შაჰმა დაასკვნა დაბრუნებულიყო: საქართველოში მის დგომას აღარავითარი ჰაზრი არა ჰქონდა და მით უფრო, რომ შეატყობინეს – ხონთქარი სამზღვებზედ ჯარს აგროვებსო. ერთს მეჯლიშზედ მიჰმართა მეფეს:

– კარგა ხანი დავყავ საქართველოში. მომწონს აქაური ბუნება, ხალხი, ზნე-ჩვეულება. ბევრი კარგი დღე გავატარე, მაგრამ ლამაზად იტყვით ქართველები: წასვლა სჯობს წამავალისა, არ დაყოვნება ხანისა.

– ჩვენ უშენოდ, მზისა შვილო, მოგვეწყინება: შევეჩვიენით შენ სამსახურს, კეთილყოფასა.

– მეფე აქა გყავთ და სიკეთე არ მოგეშლებათ. დარწმუნებული ვარ, ყველანი ისეთივე მორჩილებით ემსახურებით, როგორც მე: მოყვარეა ჩემი, სპარსთა ძალა დაიცავს მის ტახტს.

იგრძნეს თავადებმა, რომ ლუარსაბი აღარც ისე ადვილად იქმნებოდა მათთვის ხელშესახები, როგორც წინად იყო. გაეხარდა ლუარსაბს; ეგონა გადიარა საშიშმა წუთმა, დავმკვიდრდებიო. ესეც იქნებოდა, თუ აესრულებინა პირობა და ამოერეცხა გულიდან ჩრდილოს ტრფიალი.

გაგრძელდა ნადიმი. ყეინი ეხლა სხვასა ბრძანებდა. საუბარი საზოგადო. მიმომფრენი ეშხიანი სიტყვები, თქმები. დაფიქრდა შაჰი, თითქო დაღონდა. თუ რამ უმძიმდა? ჩამოიარა აჟიჟინებულ სუფრაზედ სიჩუმის ანგელოზმა. თვალნი მიებყროთ დიდ სტუმრისათვის.

– ფიქრმა თუ რამ შეგამძიმა, მეფეთ მეფეო? – მიჰმართა ლუარსაბმა.

– ნასიამოვნები ვბრუნდები, მაინც ჯავრი მიმდევს: გიქებენ სანადირო ადგილებს, გაწვრთნილ მონადირეებს; გული დამწყდება, თუ ვერ ვისიამოვნე ნადირობით.

– ბატონი ლუარსაბი პირველი მონადირე ბრძანდება ჩვენ შორის.

– ყარაიას რა შეედრება სანადიროდ?!

– ადვილი ასასრულებელია შენი სურვილი: ვუბრძანებ ნადირობას!

დაასკვნეს ნადირობა ყარაიაზედ. გზაც ის იყო. ქეიფის დროს ადვილი იყო აღტაცება და სიტყვის დათქმა. მერმე დაფიქრდა ლუარსაბი და ეჭვი დაჰკრა.

– იქნებ მარჯვედ მოფიქრებული საფრთხე არის ყეინის მხრივა. მხოლოდ სიტყვით ჩამაბარა ქართლის მეფობა. თბილისში, გორში, სხვა ციხეებშიც თავისივე რაზმები უდგა. აღარ გამომიშვებს და დამატყვევებს. კარგად მწვრთნიდა თეიმურაზ, ნუ ენდობიო.

მოესურვა, განდობოდა, რჩევა ეკითხა. არავინა ჰყვანდა გულის მისანდო.

მაკრინეს ძმა ამირთამირი! ჩემად რომ მყვანდეს, ის მეტყოდა, გზას გაჰკაფავდა. შემირიგდა ყეინის ნებით, მაინც შორს მივლის. ეჰ, იმის შემდეგ, რაც ჩვენში მოხდა...

ეჭვი თანისთან უძლიერდებოდა. კიდეც დარწმუნდა და დაასკვნა გალტოლვილიყო. ცხირეთს წასვლა მოინება, გასეირნება. აპირობდა იქიდან გაჭრას, უგზოდ რებას ხონთქრის სამზღვრისკენ. წამოეწია ცხენოსანთ ჯგუფი.

– ბრძანა ყეინმა, არა ჰხამსო მეფეს მარტოდ სვლა და გვაახლა შენდ სამსახურად.

დაღონდა მეფე. ყეინმა არაფერი არ შეამჩნევინა. ისევ მოეცა იმედები. გაემართა შაჰ-აბაზი მთელის ლაშქრითა. მის გვერდზედ მეფე და დიდებულნი. დაკვართული მონადირენი, ქორ-მიმინო, დაწვრთნილი ძაღლნი. მიმავალ შაჰს გარს ერტყმოდა რჩეული ახალგაზრდობა: საქართველოში შეკრიბა ვაჟკაცები, საკუთარ მცველად დააყენა დიდის სასყიდლით.

წაბრძანდნენ ქალებიც. ფერი-ლეილას გასცხოველებოდა სამშობლოს სიყვარული; გული სწყდებოდა მის განშორებით.

მძლავრი ფიქრი თან მისდევდა დიდებულ ყეინს. შიგადაშიგ სიტყვას გასწყვეტდა, თვალს მეფისკენ გააპარებდა. ისა ჰქონდა საზრუნველი, რომ კახეთიდან არ მოსვლოდა კარგი ამბავი. დასვა მეფედ იქ იასე, მიუჩემა გამოცდილი ნაზირ-ვეზირი, მხედართმთავარი. ის ეგონა, იმდენ უნარს გამოიჩენდა, რომ შეიძლებდა მოესმინა კარგ მრჩეველთათვის, სასიკეთოდ მოიხმარდა იმ დიდ ძალასა, რომელი ჰქონდა ყეინისაგან იმას ნაზღვნევი. არ გამართლდა უმცირესიც მისი იმედი; გონს მოკლებულმა ჟინიანმა ააღელვა თვით მახლობელნი; ამბოხება უკვე მზად იყო.

– რომ იასე არ ვარგოდა, ეს მე ვიცოდი; მაგრამ სად არის ღირსეული ბაგრატიონი?! ბაგრატი, სვიმონ... არ აქვსთ უნარი მათ მეფობისა! ხოსრო მირზაო, იტყვის გიორგი. ჭკვიანი არის; სახელმწიფოს განმგებელად არ გამოდგება რბილი ცბიერი. ქართველთ მეფედ კაცი უნდა შემმართებელი, მეფე-სარდალი.

ყეინის თვალი შეჩერდა ლუარსაბზედ და იქიდან გადავიდა გიორგისაკენ. მას ცხენი გაეყენებინა შაჰის გარშამო მყოფ ჯგუფისაგან, განს გასულიყო ოდნავ მისგან ჩამორჩომილი; მის თვალთა ხედვას ვერ ასცდებოდა, რა ხდებოდა შაჰის გარშამო.

– როგორა ფრთხილობს! ერთს წუთსაც ვერ დააძინებ მის ფხიზელ თვალსა. დევი თუ არის. ძალა-თილისმა დაჰყოლია ვაჟკაცს ბუნებით. აი ხელმწიფე ქართველთათვის გამოსადეგი, საქართველოსთვის! და არც სპარსეთს უღალატებს ჩრდილოს გულისთვის. ლუარსაბი... იმეფოს დეე. სჯული უნდა შეიცვალოს, რომ არ გაგვიდგეს!

სპარსთ ლაშქარი სოღანლუღის გზით მიდიოდა. მიაბნელებდა დასტა-დასტა დაულეველი.

– ამბობენ, უძლეველიაო ყეინი და მართალი ყოფილა. ვინ შეჰბედავს უამრავ ლაშქარს, ან როგორ დასძლევს?!

– კაცო, ვის გაუგონია, სპარსთა ლაშქარმა გადმოქელოს ქვეყანა და არ აიკლოს?

– საკვირველი ამბავია, საარაკო.

– უბრძანებია, ვინც ხალხი შეაწუხოს, არ აცოცხლოთო!

– აი სიძე ესეთი უნდა, ლუარსაბს რომ უშოვნია!

– ჩვენც დავიკვეხებთ სასიძოებს!

– კარგია, შერიგდნენ: დაისვენებს ჩვენი ქვეყანა.

დიდებული ნადირობა გადაიხადეს ყარაიაში. ნადირთ ხვავები. ლუარსაბმა თავი იპოვნა: ყველას აჯობა ისარში თუ სიკისკასეში. გააფრთხილეს, შაჰი იწყენს, შურს აიღებსო. ეშხში მოსულს ვერ შეასმინეს. დიდი ქება შეჰფინა სიძემ, ნადირობა როცა გათავდა. ეხლა კი უნდა გასცდენოდა ყეინი სამზღვრებს. საბოლოვო სიტყვას ელოდდნენ. მოიხმო ლუარსაბ, გაიცალკევა.

– შენ უნდა შეიერთო კახეთი, მთლად საქართველო. იასეს თან გავიყოლებ. თბილისში დაიდგამ ტახტს. გმორჩილებდეს იქ მყოფი ჯარი. ლეილა რომ გწერდა წიგნში, ფატმას ჰგულობდა, ჩემი დაი უნდა შენთვისა. ხვალ საჯაროდ განვაცხადებ მე ჩემსა ნებას. ერთი პირობა!

– რა, მწყალობელო?

– სჯული უნდა შეიცვალო, ჩემს სჯულზედ დადგე!

ჩაიფუფქა ლუარსაბი. ძნელი იყო ამ ბრძანების აღსრულება მორწმუნისათვის. იმით უფრო ძნელდებოდა ეს მის ნაბიჯი, რომ მიუთხრეს: თეიმურაზ მოუძღვისო რუსთა ლაშქარსა, გადმოჩნდება, გაამტვერებს ყეინის ძალას. უცდიდა პასუხს და თან ზავთით ივსებოდა. ბოლოს ვეღარ მოითმინა და უბრძანა:

– მოიფიქრე! დრო ბევრი გაქვს წინ.

გამოცხადდა მეორე დღეს ყეინის სიტყვა: ქართლის დროებით მმართველად დაენიშნა ფარსადან ციციშვილი; კახთ ბატონის იასეს განსამტკიცებლად ებრძანებინა ნუბარ-ხანისათვის ჰხლებოდა მას თავისი დასტით; ნარიყალაში ბრძანა ჩაეყენებინათ ძლიერი რაზმი და ციხისთავობა მიეცა ზურაბ ლორიჯანისათვის.

მიუბრუნდა შაჰი ლუარსაბს:

– დიდად მასიამოვნე დაუვიწყარ ნადირობით. ქართლში ყოფნისას ბევრი კარგი დღე დავლიე. ვალს გარდახდა უნდა: გეპატიჟები სანადიროდ მაზანდარანის სანახებში!

ისაუბრეს. დაემშვიდობნენ. დაბრუნდნენ ქართველთ დიდებულნი. სააკაძეს ნაბრძანები ჰქონდა ჩაეცილებინა ყეინი სატახტომდინ.

46

ლუარსაბს მიუჩემეს განცალკევებული სასახლე მთელის მოწყობილობით და მონებით. ულუფა სამეფო ხარჯიდან ეძლევოდა. ისე ებყრობოდნენ, როგორც მეფეს და შაჰის მოყვარეს. ქართველები ბლომად იყვნენ მაშინ სპარსეთში, თავს იყრიდნენ ლუარსაბისას. ზოგნი ურჩევდნენ, დაეთმო სჯული; სხვები იტყოდნენ:

– ქართველები ვერ იმშვნევენ სხვასჯულ მეფესა. იმეფებს იქამდისინ, სანამ ძალა ექმნება ყეინის მფარველობას. დღეს თუ ხვალ რუსთხელმწიფე ჩადგება საქართველოში და არვის უყაბულებს სჯულის გამოცვლას.

– ეგრე იქნება, თუ რუსთ ჯარი შემოვიდა საქართველოში. მაგრამ საეჭვოა: რუსეთი ჯერ შორს არის და რუსთ ხელმწიფეს არა სცალიან.

– თეიმურაზ მარწმუნებს, მალე მოვაო რუსთხელმწიფე ჩვენ საშველადა. არა მგონია, სცდებოდეს მეფე: იცნობს რუსეთსა.

– შესაძლოა, ბატონო მეფევ! ერთია ძნელი: ეს უკვე აქ გვყავს, იმას კი ველით.

სააკაძე ეხლა აღარ ერეოდა ჯარის განწყობაში თუ მის გაწრთვნაში, არც სხვა სახელმწიფო საქმეებში. მიაცილა ყეინი და დაეთხოვა; დაბრუნდა სახლში თავის საქმეების მოსაწყობად: ოჯახის ასაშენებლად, დაწყობილის დასამთავრებლად, თავის მტრებს ახლა ის სამართლით ედავებოდა წანახედს. ამ ხანს ეკუთვნის საგულისხმიერო დავა ქაიხოსრო ჯავახიშვილთან. მისი გამოცდილი თვალი მაინც ხედავდა, რომ ქართლის საქმეც ირეოდა ისე, როგორც კახეთის, და გაჭირებისთვის საკუთარი რაზმი ჰყვანდა შედგენილი, გარს ეხვივნენ თავის ერთგულნი; მარად მზად იყვნენ გაჰმკლავებოდნენ გიორგის მტრებს, თუ ისინი აეშლებოდნენ.

დააწყნარა ყეინმა ჩრდილო სამზღვრებიც და მოიცალა შინაურ საკეთებისთვის: იწყო წესის განმტკიცება, კანონთა შესაფერი ცვლილება, მეურნეობის და ვაჭრობის განვითარება; გზების, არხების გაჭრა-გაყვანა; პოეზიის, მწიგნობრობის აღყვავებისთვის ზრუნვა.

ცდილობდა აღედგინა კეთილდღეობა ირანისა. ეხლაც თითონ ადევნებდა თვალს არხის გაყვანას, რომელიც მიდიოდა აღმოსავლეთიდან, თითქო მიჰქონდა მთელი მდინარე. დიდძალი მუშა იყო შეყრილი. აუცილებელი იყო მისი პირადი გავლენა: არ უამებოდათ მებატონეებს ამისთანა მუშაობები, რადგან ხარჯში დიდი მონაწილეობა უნდა მიეღო იმას, რომლის საყმოში გაჰყვანდათ არხი. ეს ეძნელებოდათ. რას იზამდნენ?! ძალა ხელთ ებყრა მბრძანებელს და აღმართს ახვნევინებდა.

ჩქარობდა ყეინი. ჩრდილო სამზღვრებიდან მოსვლოდა მას მაღელვებელი ამბები: მის საქართველოდან წამოსვლას ისევ ფრთები შეესხა თეიმურაზისთვის.

გამოავრცელა ხმა, რუსთ ხელმწიფის ჯარი მოადგაო ძაუგის სანახებს და დღედღეზედ შემოვაო დარიალის კარით. ამ ხმებს ბევრნი ავრცელებდნენ რუსის ოქროთ მოსყიდულები. შეერყათ გუნება იმისთანებსაც, რომელნიც დიდ ადგილებზედ იყვნენ ყეინისგან დაყენებულნი. თითონ ჯორჯაძე და ასლანიშვილი გასდგომოდნენ მეფე იასეს, რაც თითონაც დაემსახურებინა შეუფერებელს, წვრილმანებში სასტიკს, ჟინიანს.

მეამბოხეთ შეკრიბეს ჯარი კახეთში, მოუწოდეს მთიელებს. მოიწვიეს თეიმურაზ კახეთის ტახტზედ. მობრძანდა. სასტიკად მოებყრო ყველას, ვისაც სპარსეთის მხარე ეჭირა, ან წარმატება მიეღო მათგან. იქამდინ გაკადნიერდა კახთ ბატონი, რომ შეუსია ჯარი თვით სპარსეთს: ისარგებლა ამბოხებით, რომელიც მოეწყო შაჰ-აბაზის წინააღმდეგ დალი-მელიქს, მიაშველა ჯარი და ააოხრებინა სპარსეთის სანაპიროები, დაანგრევინა ქალაქები.

კახეთის ღელვამ ქართლზედაც იმოქმედა: დიდებულთ ისევ თავი იპოვნეს, ყურს აღარ უგდებდნენ აღარავის. შადიმანმა ძველებურად აისხა ფრთები, თვითნება განმგებელად მოევლინა ქართლს. ვისღა ახსოვდა ვეღაც ფარსადან ციციშვილი?! უკადრისობდნენ იმის ბრძანებას.

ხმებს რუსეთის მოქმედების შესახებ საქართველოში საქმეც თან მოჰყვა: ეახლნენ შაჰ-აბაზს რუსთ ხელმწიფის ელჩები. ყეინი არ დაუხვდა სატახტოში. რომ გაიგეს, არხზედ მუშაობის დასათვალიერებლად წაბრძანდაო, აღარ მოიცადეს; მოითხოვეს, წაეყვანათ იგინი მასთან.

– სასწრაფო მინდობილობა გვაქვს, დაყოვნება არ შეგვიძლიან, – დაიჟინა ვასილ კორობინმა.

წაიყვანეს. წარუდგინეს. კარავში მიიღო. გადასცეს მეფის ქაღალდი. უთხრეს პირად. რუსთხელმწიფე ქართლსა და კახეთს თავის სამფლობელოს განაკიდ ნაწილებად იტყოდა, მათ მმართველებს – ქვეშევრდომებად; განკვირვებას გამოსთქვამდა, რომ შაჰ-აბაზი შეესია იმ ქვეყნებს, გააძევა კახთ ბატონი, ტყვედ წაიყვანა ქართლის მეფე. სხვა საკითხი სავაჭრო ხელშეკრულობას შეეხებოდა და მეზობლურ ურთიერთობას.

ელჩმა პირად მოახსენა, როგორ განრისხდა მათ ხელმწიფე შესევისა თუ ტყვეობათა შესახებ და ბრძანა ჯარების დარაზმვა. ხელმწიფე მოითხოვს ლუარსაბის, თეიმურაზის დედისა და ძეთა განთავისუფლებასაო.

– უთვალავი ლაშქარი უკვე გზას ედგა, რომ წამოვედით; კიდეც მოაღწევდა საქართველოს სამზღვრებამდინ, – დასძინა კუვშინნიკოვმა.

ყეინი წყნარად უსმენდა ელჩებს. მალე მიჰხვდა, რომ მთავარი დავალება იყო სავაჭრო კავშირის განმტკიცება; საქართველოს და მის მეფეთა ბედ-იღბალს მეორე ხარისხოვან საკითხადა სთვლიდნენ. თუ დაჟინებით იტყოდნენ ამ საგანზედ, მხოლოდ მისთვის, რომ შეეკრთოთ და დათმობაზედ წაეყვანათ; ბოლოს თითონაც დაეთმოთ საქართველოს საკითხებში. ამ კურდღელს რუსი მაშინ ურმითა სდევდა. სდუმდა ყეინი ერთ ხანს. ეგონათ, ფიქრობსო. პასუხი კი უკვე დაემუშავებინა მის მსწრაფლმფიქრველ გონებას. ბოლოს უბრძანა:

– ქართლი და კახეთი მოკავშირენი არიან სპარსეთისა, მისგან დამოკიდებულნი: უკანონო იქმნება მათგან რუსთ ქვეშევრდომლობის მიღება. ლუარსაბი მოყვარეა ჩემი და სტუმრად ბრძანდება ჩემს კარს. ვაჭრობა... მოვაგვარებ მაგ დიდ საქმეს; ჩემს სოვდაგრებსაც აქვთ მცირე რამ სადავო. მოსულს ჯარს აქაური ლაშქარი დახვდება: წესი არის ვაჟკაცთა და ჯართ შეჯიბრება.

ელჩებმა რომ ნახეს, შესაძლო იყო უმთავრეს საგანში შეთანხმება, ესიამოვნათ; ჰმადლობდნენ ყეინს. ისტუმრა. დარბაზობა გაუმართა. რუსთ ხელმწიფეს რომ ზღვენი მოერთმია, უკეთესი ფეშქაში გაუგზავნა. სამზღვრამდინ საპატიო მცველნი აახლა.

47

– თავი უნდა მივანებო მშვიდობიან სამუშაოებს: სპარსეთი ითხოვს, უყოვნებლად აღმოვწოდო დაშნა ქარქაშით, – წარსთქვა ყეინმა.

იმან ააჩქარა შაჰი, რომ დაჟინებით მოდიოდა ამბავი, რუსეთმა ოქროთი გაუმართაო თეიმურაზს ხელი. დაუჯერებელი არა სჩანდა ეს: აჯანყების მოწყობა, კახეთში გადმოსვლა, ჯარის შედგენა აჩვენებდა იმას, რომ შეძლება ჰქონდა მას ნივთიერი. ისიც იცოდა, რომ რუსთ ხელმწიფე არ იყო გულწრფელი, ერთს რომ ამბობდა, მეორეს აკეთებდა სულ წინააღმდეგს. ძალიან შესაძლო იყო, მათ ოქროს ჯარიც მოჰყოლოდა თან, თუ ფეხდაფეხ არა, შემდეგში უსათუოდ. მიშველება უნდოდა ამ მძიმე საქმეს.

დასავლეთ სამზღვრებზედაც ამოძრავებულიყო მტერი. ხონთქარს მოსვლოდა ამბავი, რუსეთი ამხედრებულაო სპარსთ წინააღმდეგ და ეგონა, დრო დადგაო შურისძიების, ბაღდადისა, მის სანახების დაბრუნებისა.

ლუარსაბი ამ დროს განშორებული ჰყვანდა სიძე-ყეინს, თუმცა ჯერ არ განერისხა ის, არც გაეწირნა. უთხრა, უალერსა, უბრძანა; ვერ შეასმინა!

– აღიარე ჩვენი სჯული და დაიმკვიდრე საქართველო ძველ თვის სამზღვრებში. აგისრულო შენ პაპის ნატვრა: შემოვკრიბო საქართველო შენის სკიპტრის ქვეშ.

ჭკვაში მოსდიოდა აღთქმა. არც თუ სჯულის გამოცვლას უფრთხოდა ძალიან.

– სადაც სვიმონი და მრავალი ბაგრატიონი, მეც მათთან ვიყო! – იტყოდა გულში.

მაგრამ როცა აჰზომავდა, რა ძნელი იყო იმ ტვირთის ზიდვა, რამდენი ზრუნვა, გარჯა და ბრძოლა დასჭირდებოდა ბაგრატიონთ ბრწყინვალე ტახტზედ დამკვიდრებისათვის თუნდაც სპარსთ შემწეობით, ეზნიქებოდა ნებისყოფა.

– მოვა რუსეთი, ერთ დაკვრით მოსპობს სპარსეთს, თვით ხონთქარს. გაბრწყინდებიან ქრისტიანე სახელმწიფონი ორთავიან არწივის ფრთებ ქვეშ! შემრჩება მე სჯულის შეცვლა, ზრუნვა და გარჯა!

ჩასაგონებლად შეუყენებდა შაჰ-აბაზი ფერი-ლეილას. ქალი ცდილობდა ჩაეგონებინა, რა დიდებულ წამს ჩამოევლო მისთვის, და გამოეყვანა ვაჟკაცი გარინდებულ ყოფიდან: დარწმუნდებოდა მეფე, მიიღებდა აღფრთოვანებული სამოქმედო ჰაზრს, მკვეთრად აღიჭურვებოდა მის ნებისყოფა; მაგრამ განვლიდა ჟამი და მოეშვებოდა კაცი, ამოეწურებოდა მქმედი ძალა, აეხვანჯებოდა ჰაზრთა ქსელი და დაუშვებდა გვირგვინოსან თავს; ქედს მიუბყრობდა ალესილ მახვილს.

– გადმოჩნდება ჩრდილოეთით რუსთ ბრწყინვალება. შარავანდედშემოსილი ჯვარი მოუძღვის. განქარდება მის წინაშე ძალა უსჯულო!

– ძმაო ლუარსაბ! წაგერთვა ტახტი, სამშობლო ცას მოჰშორებიხარ, აღარ გყავს გვერდით მნათობი თანამემცხედრე და იტანჯები. აღუსრულე სათხოვარი ბრწყინვალე ყეინს, ძლიერებით კვლავ შეიმოსე! ხომ მოგეწონა ფატმა ქალი, ირანის მნათი? მეუღლედ გაძლევთ. იმეფევით, მშვენიერნო, საქართველოში!

– ჰაი, ჰაი მოსაწონია. თითქო უდრისო მნათობ მაკრინეს. ცეცხლი მეტიც აქვს. გულზედ გასკდება დადიანი, რომ მის დის ბადლად გვერდს მეჯდება ყეინის დაი! – იტყოდა აღფრთოვნებული

და მზად იყო, მყისვე შეესრულებინა ყოველივე მოთხოვნილება; მაგრამ გაივლიდა ჟამი და მოუძლურდებოდა.

– სჯულის გამოცვლა, მაინც ზრუნვა და ბრძოლა, ომი! რით არ მჯობია ქვეშევრდომი თუნდა უბრალო?! სცხოვრობს იგი თავის ქეიფზედ! მეფობა... იყო ინდოეთს მეფე და არა იყო შეჭირვება გულსა მისსა. ორშაბათსა, სამშაბათსა, ოთხშაბათსა უხმის დიდებულნი ნადიმსა ზედა და გასცემდის საბოძვარსა. ხუთშაბათსა, პარასკევსა და შაბათსა ნადირობდის და განისვენებდის. კვირასა დღესა დასჯდის და სამეფოთა საქმეთა განაგებდის. აი ხელმწიფე ბედის რჩეული!

მართლა და დიდებული იყო ლუარსაბ ნადიმში თუ ნადირობაში. უხდებოდა ლამაზ ვაჟკაცს გასართობები.

– მერყევია, უნებისყოფო. მასზედ დანდობა ამ ძნელ დროში არ შეიძლება. საჭირთა შემმართები, ომის ტრფიალი. ბრძოლის უნარს მოკლებული დე დაიღუპოს! – დაასკვნა შაჰმა

და განუცხადა:

– მეახლა ხანი შირაზისა. მთხოვს, ვეწვიო სანადიროდ თუ სანადიროდ მე არ მცალიან. ჩემ მაგივრად შენ ეწვიე რამდენიმე ხნით!

იგრძნო ლუარსაბ ჭეშმარიტება. ჩამოჰკრა მისთვის უჟამო ჟამმა. მოეღვა წელი, მოიღვედა; თვალ-უპეებში აღმოაჩნდა ნამთა ნაჟური.

48

მიჰხვდა ლუარსაბ, რომ საპატიმროდ ისტუმრებდა იმას ყეინი. მის მასპინძელი ასან-ხანი საბყრობილეს უფროსიც იყო და თვით ჯალათიც. ეხლა შაჰ-აბაზი გულს ვეღარ მოიბრუნებდა მასზედ, თუნდ, აესრულებინა ყოველივე მისი ბრძანება: რუსთ ხელმწიფემ მოითხოვა მის დაბრუნება და მაშ ლუარსაბს ვეღარ უნდა ეხილა სამშობლოს ცის ვეღარც ღრუბელი.

– ჰა, ჰა. ჰა! გაისტუმრეო ლუარსაბი, ქეთევანი, ვაჟიშვილნი კახთ ბატონისა, ბრძანებას მითვლის რუსთ კეისარი. გავისტუმრებ მათ საკადრისად!

ლუარსაბს წინადგრძნობა სინამდვილედ აესახა, როცა ოსტატურად გამოაცალეს ხელიდან ყეინისაგან ნაზღვნევი ჯიღა. შემოაწვა სევდა უნათი, სიცოცხლის სირა გადაკვეთილი და აღბორგდა სული მისი, იწყო მწუხარება და ურვა.

... მოუწოდა ქართველთა, რომელნი იყვნენ მისსა გარემო, აუწყა სიტყვა მძინვარისა შაჰ-აბაზისა და ეტყოდა:

– შემძიმებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკვდიდმდე. დაადგრენით აქა ჩემთანა!

წარვიდა მცირედ და დავარდა პირსა ზედან თვისსა, ილოცვიდა და იტყოდა:

– მამაო ზეცათაო! უკეთუ შესაძლებელ არს, თანაწარმხდეს ჩემგან სასმელი ესე.

ნუგეშინის სცემდნენ მას მოყვასნი და ეტყოდეს:

– არ ეგების სიკვდილი მეფისა! შთააგონებს უფალი კაცსა მას მრისხანესა, რამეთუ არა ჯერარს დაღვრად სისხლისა ცხებულისა.

არა რასა ისმენდა უსასოქმნილი. ისწრაფოდა თქმად აღსარებისა და მიღებად წმიდათა მათ სისხლთა და ხორცთა უფლისათა, მაშინ შთაგონებულ ქმნა სულისგან წმიდისა ხუცესი იგი ეგნატეი, მიეახლა მეფესა ცრემლთა ფრქვევითა, მოუსმინა

სულიერსა შვილსა თვისსა ცოდვანი მისნი და მიუტევა სახელითა უფლისათა. და მიუბყრნა საშინელი იგი საიდუმლონი. იტყოდა მეფე:

– ჟამი ჩემი მოახლოებულ არს! მნებავს, რათა აღსრულებულ იქმნას წესი ანდერძისა ჩემ ზედა და სერობაი ვყო მოყვასთა ჩემთა თანა, ვითარცა რა აღაპი მოსახსენებლად უბადრუკისა სულისა ჩემისა.

და შეჰმზადეს ყოველივე, რათა აუგონ წესი, ვითარცა მკვდარსა. მოიღეს ტალავარი მისი და დასდეს შუაგულ დარბაზისა სახედ გარდაცვალებულსა და მას ზედან ნიშანნი სამეფონი თვინიერ გვირგვინისა. აღმოიღო მომტირალმან ხმალი მისი და დაასვა მიწასა და მოსთქმიდა დაყრდნობილი ვადასა ზედან მის ხმლისასა. ცრემლოდა თვით და მოინახენი მისნი. ცრემლოდა ფრიად მეფეცა განსვენებულად ხსენებული.

და გადაჰბურეს ტალავარი იგი არდაგითა სტავრა-დიბისათა და აღუგო ხუცესმან ანდერძი წესისაებრ ეკლესიისა. ჰქმენ აღაპი, მცირე და იტყოდნენ შენდობასა ახლადმიცვალებულისა მეფისა მის ლუარსაბისას. სიტყვამცირობდენ. წარსრთქვა მეფემან ლუარსაბ:

– ამცნეთ სიკვდილი ჩემი ღირსსა დედასა თეკლეს და ევედრენით, მომიტევოს ცოდვაი იგი ჩემი მოუტევებელი და ილოცვიდეს წმინდასა ლოცვასა თვისსა ჩემ ცოდვილისათვის.....

როდესაც გაიგო ფერი-ლეილამ, რომ ყეინი ისტუმრებს მის ძმას მაზანდარანში, ატირდა: იცოდა რას ჰნიშნავდა ის, როცა შაჰი ჩააბარებდა თავის ტყვეს რომელსამე ხანს: ეს უდრიდა სიკვდილის განაჩენს, რომელიც უნდა აესრულებინა მასპინძელს თან ისე, არავითარი ბრალი არ დასდებოდა ირანის მფლობელს. სთხოვა ქალმა ქმარს, ეხვეწა; ვერაფერი შეასმინა. განრისხდა და გადგა ქმრისაგან, გული აღარ გაუსწორა მას, მტრად დაესახა.

აღარ დაწყნარდა ყეინი. გასცა ბრძანება, მყის ეხმოთ ლაშქარი. თავისი მცველი ქართველთა რაზმი და სპარსეთში მყოფი სხვა ქართველები დაგზავნა სამხრეთს. იხმო ასან-ხანი.

– როგორ განუსვენებ ჩემს მოყვარეს მეფე ლუარსაბს?

– ვცდილობ, მზის შვილო, კმაყოფილი იყოს მასპინძლობისა.

– შემომესმა მის ავადობის ამბავი.

– არა, ხელმწ..... ჰო, უგუნებოდ შეიქმნა ბოლოს ჟამს.

ანიშნა, გასცლოდა, თან ისეთი თვალით შეხედა, რომ სულთამხუთავი მოელანდა ათრთოლებულს. დაბრუნდა ხანი. მხიარულად მოეჩვენა ლუარსაბს. ნადიმი ნადიმს მოჰყვა მის სასახლეში. გაიწვია სათევზაოდ. ხალისობდნენ, ბადეს ესროდნენ. მოიკრიფა ლუარსაბმა ბადის კალთები, წაიხარა მორევისაკენ ბადის სასროლად და..... გაიელვა მასპინძლის ხმალმა, წაჰკვეთა თავი.

49

ძვირად დაუჯდა შაჰ-აბაზს ლუარსაბის სიკვდილი: ფერი-ლეილამ რომ გაიგო ამბავი საზარელი და გამოიტირა თავისი ძმა, ამოწურა თავის გულიდან ყოველივე ლბილი გრძნობა მეუღლისადმი, გაწყვიტა მასთან ყოველივე კავშირი სულიერი თუ ხორციელი: იგი წარმოუდგა მის გაწამებულ გონებას, ვით ბნელის შვილი, კაცთ სისხლის სმად მოვლინებული. შაჰი ნაჩვევი იყო ქალთ განრისხებას; უფრო ნაჩვევი იყო მათ ანაზდად მოლბილებას, დამორჩილებას; ეგონა, დაცხრებაო, ჩემად მხევლად შეიქმნებაო.

– მაგრამ არა პირველ დედოფლად! უნდა დამდაბლდეს ჩემს წინაშე ქართველთა ჯიში, თუნდაც იყოს ჩემი მეუღლე!

განვლო ხანმა; ქალმა გული აღარ მოიბრუნა. მთლად განრისხდა ყეინი მასზედ. მაშინვე სამაგალითოდ დასჯიდა ლეილას, მაგრამ ეფიქრებოდა მინანსალასი: ძლიერ იყო ის შემტკბარი ლეილასთან, ვერ აიტანდა ნებიერი მეგობრის დასჯას, გულს გაიხეთქდა; ყეინს კი მეტისმეტად უყვარდა ის და მის ცრემლები მდუღარებად დაესხმებოდა.

ჯიუტობდა ფერი-ლეილა. მისი გული აღარ სცხრებოდა, ზიზღი მისი თანისთანად ძლიერდებოდა. მოთმინებიდან გამოვიდა განძვინებული და განიზრახა მისი დასჯა, მთლად დამდაბლება.

– შენი ძმა საპატიო სიკვდილით მოკვდა: ხმლით მოეკვეთა მას ურჩი თავი; საპატიო დასჯის ღირსიც აღარ ხარ შენა. დაგამდაბლებ, იგავად დაგდებ მთელს ირანში, შენს ქვეყანაშიც!

– საქართველოს მეფის ქალის დამდაბლებას ვერვინ შესძლებს დაუსჯელადა!

– გურჯისტანში ნუ გგონია შენ შენი თავი!

– უფლისწული ვარ და დედოფალი საქართველოს გარეშეც!

– მანამ გქვიან შენ მეუღლე სპარსთმფლობელისა!

– ცხოვრების გზაზედ არ შემხვედროდი, მყინვარეთის დედოფალი შევიქმნებოდი.

ქალის მკვახე თქმაზედ ათრთოლდა მინანსალა და მოეჭდო მეგობარს: თუ ჰსურდა მის დაწყნარება და დაფარვაი. გაფითრდა შაჰი, იდგა ერთს ხანს თვალდაკარგული. გატრიალდა, განვლო კარები.

ფიქრს მისცემოდა შაჰ-აბაზი: ჰზომავ-სწონავდა, რა სასჯელი მოეგონა ქალისათვის ისეთივე მძაფრი, რომ ცოცხალი სამარადოდ წამებულიყო. აუთამაშდა ეშმა თვალებში, გაეპო ბაგე გესლიან ღიმად. შემოჰკრა ტაში. მყის გაჩნდა მონა.

– ფეიქარ-ხანი!

ეს ხანი დამსახურებული იყო ყეინის წინაშე. ხმალი კარგა იცოდა. უსახური კაცი იყო ბოროტ გამომეტყველებისა, დაუნდობელის სახელი ჰქონდა, მოსისხლესი. წარუდგა ხანი მოწიწებით, თითქო შემკრთალი.

– მომხსენებია შენი ერთგულობა, კარგი ნამოქმედარი ჩემის ტახტის განსამტკიცებლად.

– მარად მზადა ვარ შენ სამსახურად, შვილო მზისაო!

– ეხლა მჭირდება შენისთანა მხნე მებრძოლი ჩემი ერთგული! კახეთის განმგებლად მიგულებიხარ; საჩუქარი მომიძღვნია ჩემის მკერდიდან: მომიცია დედოფალი ფერი-ლეილა შენთვის მეუღლედ. წაიყვანე! სასახელო შეიქმნება შენთვის კახეთში.

ხანი ჯერ განცვიფრდა. მერმე დაემხო მბრძანებლის წინ სათაყვანებლად. წაიყვანეს დედოფლის სადგომს. მოუთხრეს ქალს ყეინის ნება.

– უნდა აღსრულდეს ბრძანებაი შაჰინშაჰისა! გაგიფრთხრილდები მბრძანებლის სიხარულთა აქამომდე მოზიარესა.

ქალი ღრმად ჩაფიქრებულიყო. არ უსმენდა კაცს, არც შეხედავდა. მიუახლოვდა. კვლავ სთხოვა, გაჰყოლოდა. შეახო ხელი. დედოფალი ზე წამოიჭრა.

– უგვანო მონავ! შენ გაჰბედე და შეეხე სპარსთ დედოფალსა?!.... სისხლის მსმელო ყეინო აბაზ, ვერ ეწევი ჩემს დამდაბლებას!

ამოიძრო დანა-ხანჯალი, დაიცა გულში. დაბარბაცებულს შემოეჭდა მინანსალაი. ერთად დაეშვნენ. დაბნეული კარის კაცნი გონს ძლივს მოვიდნენ. აგლიჯეს ფერის ინდონთ ასული. დედოფალი თავდებოდა, სულსღა ჰღაფავდა.

ხანჯალს შუა გაუპია საწყლისთვის გული.

გადაგდებული მინანსალა მძიმედ ხრიწავდა. მიეშველნენ, წამოაყენეს. პირზედ ქაფი მოსდებოდა თვალებდაკარგულს. მკერდი, ყელ-ყური ჩალურჯებული. გულში ერჭო ეკლის მსგავსი რამ ქინძისთავი.

– საშინელ შხამით დაგესლილი იარაღია. მსწრაფლ გათავდება.

– უშველე რაიმ, ექიმბაშო! გაბედნიერებ, – მიჰმართა შაჰმა.

– გვიანღა არის! არც არსებობს ამის წამალი.

შაჰ-აბაზმა მაინც შეუსრულა სიტყვა ფეიქარ-ხანს: ცოლად მისცა ლუარსაბის მეორე დაი, თინათინ ქალი, რომელი სახონთქროდან მოსულიყო სტუმრად თვის დასთან.

50

თეიმურაზი ჩავიდა კახეთს, აშალა ხალხი ყეინის წინააღმდეგ. ქართლიც ამოძრავდა. ეხლა შადიმანი ჩემულობდა პირველობას. ძველი მტრობით აპილთავებულმა ისევ იწყო სააკაძისკენ ბოროტი თვალით მზერა. მისის შთაგონებით დიდებულთ სცადეს გაემეორებინათ გიორგის წინააღმდეგ კრწანისში ჩაშლილი გეგმა. ამაოდ! სააკაძე სრულებით არ ენდობოდა მათ, საკმაო მომხრეები ჰყვანდა თავის გარშემო და მზად იყო შესაფერად დაჰხვედროდა მასზედ თავდამსხმელთ. მაინც ჰხედავდა, რომ ბოლოს იძულებული შეიქმნებოდა გასცლოდა მათ ქართლიდან, ისევ სპარსეთის გზას დასდგომოდა.

რუსთ ხელმწიფის კაცები არა სცხრებოდნენ, თუმცა სპარსთ და მათ შორის ეხლა ზავი იყო შეკრული: მოსდებოდნენ მთელ საქართველოს და შთააგონებდნენ ხალხს რუსთ ძლიერებას, უღვიძებდნენ ერთმორწმუნე ხალხის იმედსა, არწმუნებდნენ: უკვე გადაწყვეტილი არის სპარსთა და ოსმალთ დამონება, მაჰმადიანთ მთლად ამოფხვრაო. ოქრო ჰქონდათ თან, იშველებდნენ იმის ძალასა.

კახეთში რუსთ ამნაირმა მოქმედებამ სრული ნაყოფი გამოიღო და შეთქმულობის სათავეში ჩადგნენ შაჰ-აბაზისაგან ნაზირ-ვაზირად თუ მრჩეველებად არჩეულნი ნოდარ ჯორჯაძე, დავით ჯანდიერი, თამაზ ვაჩნაძე. ამ ამბოხებას ხელი შეუწყო თვით იასე მეფის უაზრო ქცევამ უგვანმა. დასკვნილი იყო იმისი მოკვლა. ალავერდობას იფეთქა აჯანყებამ. ივლტოდა იასე. გაანთავისუფლეს კახეთი. შეესივნენ სპარსეთს.

აუცილებელი შეიქმნა ყეინის მხრივ მსწრაფლი მოქმედება. ისიც აღარ ჰყოვნიდა. გაგზავნა რჩეული ცხენოსანთა ჯარი არაბ-ქერლუს წინამძღოლობით. უნდა შეერთებოდა ალი-ყული-ხან თავრიზელს. იდუმალ უნდა ევლოთ და სწრაფად, რომ შეეკრათ თეიმურაზისთვის გზა გასაქცევი. შეუერთდა მათ ყარაბაღის ბეგლარბეგი ზიად-ოღლი. განვლეს თბილისი. ავიდნენ წიწამურს. შეკრეს გზები.

დაინახა თეიმურაზმა განსაცდელი: რუსის ჯარი საქართველოში არ მოდიოდა; შაჰ-აბაზი მოუძღოდა უამრავ ლაშქარს. მიჰმართა ნაჩვევ ხერხს: ივლტოდა მცირედის ჯარით. განვლო მშვიდობით სპარსთ სადარაჯო. გადარჩა. მაინც მოუხდა მსწრაფლი ომი, რომელმაც იმსხვერპლა ზიად-ოღლი.

მოაბნელებდა ყეინის ჯარი. ძრწოდნენ ქართველნი. გაგზავნა ქართლის მეფედ ბაგრატ-მირზა. შეესია კახეთს. იქ დახვდნენ მას ლეკთა ჯარი და უსუფ-ბეგ

შირვანელი. გასცა მძვინვარემ ბრძანება: ვაჟკაცები მთლად გაეწყვიტათ; ქალნი და ბალღნი გაერეკნათ სპარსეთში. უნდა დაცალიერებულიყო მთელი კახეთი, დასახლებულიყო თარაქამის ელებით. მაშინ იყო, რომ ამოწყდა გარეჯაში ექვსასი კაცი აღდგომა დღესა. ოცი დღე იყო კახთა მუსვრაი. ბოლოს მოუღებდა შაჰ-აბაზი კახეთსაც, ქართლსაც, თუ არ მოსვლოდა საშიში ამბავი: ხონთქარი გადმოსულიყო სამზღვარზედ, მიემართებოდა ბაღდადისაკენ.

ყეინი მსწრაფლ დაბრუნდა. კახეთში დაწყებულ მუსვრის განსაგრძობად დასტოვა ძლიერი ჯარი თავისი სიძის ისაკ-ხან ყორჩიბაშის მეთაურობით. კახთ ბატონად იასეს მაგივრად ჩადგა ფეიქარ-ხანი.

დაბრუნებულ ყეინს მცირე ამბავი შეემთხვა, რომელმაც მეტად შელახა მისი თავმოყვარეობა. ხრამის პირას დაბანაკდა. დაეცნენ ღამე მის ბარხანას. დაუხოცეს კაცები; აიკლეს; გაიტაცეს უფრო სურსათი. ბრძოლა ელვის სისწრაფით მოხდა. უჩინარ იქმნენ. გაუკვირდა ყეინს, ძლიერ ეწყინა. საბარათიანო გახიზნული იყო, სოფლები ცალიერი და ვერ გაეგო, საიდან დაეცნენ თავს, ან ანაზდად სად მიიმალნენ. მოახსენეს:

– სამალავები აქვსთ აქვე ხრამის ნაპირებში. მღვიმეებში არიან შეხიზნულები.

– ამოწყდნენ ყველანი!

– შეუძლებელია მისვლა: მიუდგომელ ფრიალოებშია მღვიმეები.

– მაშ საიდან დადიან დამალულნი?

ვერ მიმხვდარიყვნენ, რომ მღვიმეებს შიგნით ერთმანეთთანა ჰქონდათ კავშირი და ჩასავალი ზევიდან, დაფარული გვირაბებით. გასინჯა თითონ.

– მაინც უნდა გამოვიყვანო ეს აფთრები ბუნაგებიდან!

– რით შეიძლება?

– ფიცრები ტახტებად! ჩაუშვით მებრძოლნი!

ჩაუშვეს ხალხით სავსე ბაქანები. მღვიმეთ პირებში მოძრაობა აღარ მოსჩანდა. რომ დაუსწორდნენ სამალავებს ჩაშვებულები, მსწრაფლ გამოჩნდნენ გძელ ტარებზედ გამაგრებული მახვილები, გადასჭრეს თოკები. ჩაიღუპა უფსკრულში ხალხი. რამდენსამე ადგილას მოასწრეს მებრძოლთ გადახტომა მღვიმეებში, წამოეგნენ შუბებზედ, გადმოცვივდნენ. სდუმდა ყეინი. მიწის ფერი დასდებოდა გაწბილებულსა. მკაცრად დამარცხდა მოსაზრება მძლავრ მებრძოლისა.

გოგჩაზედ რომ ჩავიდა ყეინი, სააკაძე აქ შეუერთდა მას თავის რაზმით.

51

დიდად ევნო კახეთს. ქართლი გადარჩა. მაინც ეს მხოლოდ აჩრდილი იყო იმისი, რაც ეწადა შაჰ-აბაზს, რასაც ის მაშინვე აასრულებდა, თუ ხონთქარს არ შეეშალნა ხელი.

ყეინმა შეაგნებინა ოსმალეთს, რომ ის საქართველოში ებრძვის რუსს, ორივ მაჰმადიან სახელმწიფოების ისტორიულ მტერს. ხონთქარი მორიგდა; დაადგა იმ გზას, რომელს ადრევე უჩვენებდნენ მას შორსმჭვრეტელნი. შეასწორეს სამზღვრები, შეკრეს ზავი.

ეხლა შაჰი ხელგახსნილი იყო, დრო უთხრობდა, აესრულებინა თვისი განზრახვა. ძალა რომ ჰქონდა, გეგმი იყო საჭირო. მთელი ხალხის ხელში დაჭერა ან ამოწყვეტა ადვილი არ იყო. შეკრიბა სამხედრო საბჭო. მხოლოდ დიდად გამოცდილნი მოიხმო: ასლან ყორჩიბაში, უსუფ-ხან ქირმანელი, შაჰის მცველი გამგე

ქეირიმ-დოვლე, ძველი სარდალთსარდალი მირ-თათაში და ერთადერთი უცხო ტომი გიორგი სააკაძე.

საბჭოში ცხად იქმნა: საქართველო ცალკე სახელმწიფოდ, მაგრამ სპარსთა კითხული; ან ამოფხვრა ქართველთ ტომისა, განუყრელად შეერთება სპარსეთთან, დასახლება სპარსთა თემებით.

– ბაგრატიონთა შორის არ არის ისეთი კაცი, რომელსაც შეეძლოს ჩვენი ჰაზრის განხორციელება: იასე გამოიქცა; ბაგრატ-მირზას საბარათიანოში გადმოუტანია ტახტი, რომ გასაჭირში ახლო ჰქონდეს ჩვენი სამზღვარი; ხოსრო-მირზა რუსთ მოძულეა, მაგრამ არა აქვს ძალა მძლედ მოქმედების.

– შენი სასიძო სვიმონ ბაგრატიონი?

– განცხრომის კაცი! მაინცა ვცადოთ. უკვე ვუბრძანე ქართლის მეფობა.

– თუ არა და მახვილმა ბრძანოს!

– ადვილი იქნებოდა მათ დაბყრობა და ამოჟლეტა, თუ ქვეყანა ხელს არ გვიშლიდეს. ხევ-ღრანტები, უდაბური ჭალა-ტყეები, უვალი მთები, გიჟად მხლტომი მდინარეები; მიუდგომი სახიზნები, სამალავები. გაივლი მხარეს ცეცხლით, მახვილით და შენ შემდეგ თვით მიწიდან ამოდის ხალხი.

– ერთადერთი წამალია სწრაფი თავდასხმა; ამოსუნთქვა ვეღარ მოასწრონ, ოხრად დარჩეთ სახიზნავები.

– ნაცადია! ვერ მოასწრო თეიმურაზს იდუმლად მისულ ცხენოსან ჯარმა. ორჯელ განერა დახლართულ გზებით.

– დიდებულო, მიბრძანდი ისევ მეგობრულად, დააწყნარე და.....

– ბრძოლის ველზე როდი ვარგა იმავ ფანდის განმეორება.

– რახან დაიწყო ამოჟლეტა, დეე დათავდეს!

დადუმდნენ ბჭენი. სააკაძეს მიაბყრეს თვალნი. ჯერ არ ეკითხათ, არც მას ეთქვა არც ერთი სიტყვა.

– გურჯო გიორგი! ბრძოლის კაცი ხარ. გაგიმარჯვნია მცირე რაზმით დიდ ლაშქრებზედა. ჩამოჰკრა ჟამმა. დაგვიმტკიცე შენი უნარი. მოგვეცი ჰაზრი!

წამოდგა გიორგი და დაიწყო დაფიქრებულმა:

– ქართლის ახალ მეფე სვიმონს მეუღლედ მიჰყავს შენი დაი. ქორწილი თბილისში გარდიხადონ. მაყრად რჩეული ჯარი გააყოლე. ხანები ვალდებულნი იქნებიან დაესწრონ ქორწილს, თვითეულს მათგანს თან გაჰყვება რაზმი რჩეული. თბილისში ისეც არის შენი მეციხოვნე ჯარი. ლაშქარი შედგება იქ. ქორწილში მიწვეულნი იქნებიან ქართლიდან, კახეთიდან თავი კაცები; ხელში შეგრჩებიან ისინი. ქორწილს ჩვენში მოსდევს ნადირობა. ჯარის უდიდესი ნაწილი გაემართება სანადიროდ სხვადასხვა მხარეს. დაიჭერენ სახიზნავებისკენ მიმავალ გზებს. შენ რომ მიხვალ შენის ლაშქრით, საქართველო ტყვედ დაგიხვდება. ჩაიხერგოს ჩრდილო სამზღვრები; ძმურად იარონ მომავალში საქართველომ, დიდმა ირანმა.

სდუმდნენ ყველანი. თვალნი მიებყროთ შაჰ-აბაზისთვის.

– დიდებული გეგმი შეზომილი იქაურ ადგილ-მდებარეობაზედ, შეთანხმებული ხალხის ჩვეულებასთან. უკეთესი მოსაზრება არ შეიძლება, მაგრამ...

შედგა ყეინი, მოავლო თვალი იქავრობას.

– შენი გონების თვალი ნათელი ნაკლს მაინც ჰხედავს.

– მაგრამ კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა, კარგ გეგმს კარგი აღმსრულებელი: ერთგული სარდლები მყვანან გამოცდილები.

– და მზანი, თავი დასდონ შენთვის!

– ვიცი! მაგრამ იმ ქვეყნისა და ხალხის ზნე-ჩვეულების დიდად მცოდნე უნდა ჰაზრის შესრულებას. ესეთი აქ მხოლოდ თითონ სააკაძეა.

52

წამოდგა გიორგი. დიდად ჰღელავდა. მაინც ცდილობდა, გაქვავებულ სახეზედ არ აღბეჭდოდა გრძნობათა ფურტკვნა. საუკეთესო ჰაზრი მისცა მეჯლიშს, უხინჯოდ მოზომილ-მოფიქრებული. დაიმონებდა ესეთი მოქმედება ქართველთ, ცხვრის ფარასავით ხელში ჩაუგდებდა მთელს ერს და ქართველობას ან სამუდამოდ უარ უნდა ეყო რუსეთი, ან მოსპობილიყო.

იმ გარემოებებში აუცილებელი იყო სააკაძისთვის ძლიერი ჰაზრის მიცემა, მთლად უხინჯოსი: განსაცდელის წუთი იყო მისთვის. ბჭენი ეჭვის თვალით შეჰყურებდნენ მას, თითონ ყეინი მზირად იყო და ყურმახვილად. თუ მის თქმას ხინჯს შეამჩნევდნენ, რაიმ სიყალბეს, თუნდაც რყევასა, დაჰღუპავდნენ იქვე, იმ წამსვე. როცა იგი აწვდიდა ჰაზრს, იმედი ჰქონდა, ვერც ერთი სარდალი შაჰ-აბაზისა ვერ შეასრულებდა მას, უაზროდ დაანაწილებდა ლაშქარს და შეძლებას მისცემდა ქართველთ, გაჰმკლავებოდნენ შესეულ მტერს. ეხლა მასვე დაავალეს განზრახულის შესრულება. მეტად ძნელი შეიქმნა მისთვის გზის გადაკვლევა.

– და დაჰღუპავ, სააკაძევ, შენს ხალხს თითონ შენ?! დაისახები ჟამთა სვლაში სატანაილად! ხომ არიან ქართველთ შორის რუსთა ტრფიალნი.

– ჰა, ჰა, ჰა! დიდმოურავი გამწირავი თავის ერისა?! უარჰყოფს რუსეთს საქართველო და დაწყნარდება: იგი ჰრევს მმართველთ და ამხედრებს სპარსთ წინააღმდეგ.

გასწორდა წელში, თვალი თვალში გაუყარა ყეინს.

– კანონია შენი სურვილი! მხოლოდ მცირე სათხოვარი, ირანის ლომო: გვერდს მახლდეს ზურაბ. დარიალის გზა მათ უჭირავსთ და მანუჩარს ვერ ვენდობი მე.

– ზურაბ დასჯდეს ერისთავად ნაცვლად თვის ძმისა!

დაიშალა საბჭო. სააკაძემ ამცნო ზურაბს ყოველივე. მეტად უამა.

– ისე შევკრა დარიალი, მფრინველმა ვერ გადმოიაროს!

იცოდა გიორგიმ, გულწრფელი იყო იგი მის სიტყვა.

კმაყოფილი დარჩა შაჰ-აბაზი განზრახვის ასასრულებლად მიღებული ზომებისა, მაგრამ როცა განცალკევდა და ჩაფიქრდა, ეჭვის ლანდი დაინახა გონების თვალთ წინ.

– სიძე სვიმონი შეერთებულ საქართველოს მეფედ ცხებული და წრფელი მომხრე ირანისა... ძნელია იქ მეფობა, უფრო ძნელი, სინამ თვით სპარსეთში. სვიმონ არ არის ძლიერი, არც შორსმჭვრეტელი. ბაგრატიონია იგი ნებისყოფას მოკლებული თვალდაბინდული. ვერ შესძლებს ის განგების გზის საღად გათვლას, ვერც ზედან გავლას.

– და აღმოიფხვრას! და შეიქმნეს სპარსთა ქვეყანად!

– ვაჰ, თუ ვერ იყოს შესაძლები ხალხის მოსპობა. იქნებ ის სჯობდეს, მფლობელთ გვარი განვაახლო საქართველოში, რომ შესძლოს ბრძოლა თეთრ ვეშაპთანა.

– და ვინ არის ქართველთ შორის ამგვარი გვამი?!

– არის იგი შეუგნებელი! კაცის ბედი საკვირველია. იტყვის ხალხი: ადამიანს ერთხელ ჩამოუვლის ბედი და ფრთას შეახებს; თუ შეიგრძნო, აღორძინდება და თუ ვერა, დაიღუპება. დიდებული ბუმბერაზი გულით, მკლავით, თვით გონებითა;

გვირგვინისთვის მოწყობილი მისი თავი ლომისებური. მის გულში მხოლოდ უარყოფა რუსეთისადმი. ეტყვის მას ბედი: აღაყვავე საქართველო სპარსეთის გვერდზედ! როდი ესმის მისი ზახილი! ხალხის ამოფხვრა...

– ჰყოყმობ, რჩეულო! თუ დაგავიწყდა: შემომქმედის ეჭვმა შეჰქმნა ბნელი ბოროტი.

– არა! წუთიერი იყო რყევა: ომში ეჭვი დამღუპველია.

გამოემგზავრნენ სააკაძე და ზურაბი. გიორგის უნდოდა, თან წამოეყვანა თავისი შვილი პაატა. საშიში იყო: შეიძლებოდა, ყეინს ეჭვი დაეკრა, შვილის გაცლა მოჰსურვებიაო. ზურაბმა ცოლი სპარსეთში დასტოვა იმ ხნობით.

53

და თბილისში მოდიოდა სპარსთა რაზმები. მოიმღეროდნენ ბეგთარში მსხდომნი. ივსებოდა ქალაქი საკვირველი მაყრიონით, მიმლოცველებით. ფერად-ფერად კარავთ სიმრავლე. ქალაქებად გარდაიქმნენ კრწანისი, ვერე, ისნის ველი, საბურთალო, ვაკე, დიდუბე.

მეფე სვიმონ ნარიყალას სასახლეში ბრძანდებოდა და ეს ამოდენა ხალხი მიდმოდიოდა მასთან რაშებით. ხეირს ხედავდა ვაჭარი თუ ხელოსანი, მუშა, მორბედი. მოდიოდა მოწვეული დიდკაცობა, მათ ჯალაბობა. სიმშვენიერე, სიკისკასე, ჩაცმა-დახურვა. გაზაფხულის ყვავილებად გაფურჩქვნილები!

– ხვალ მობრძანდება პატარძალი. ამაღამ კოდაზედ დარჩებან.

– დიდი მაყრიონი მოსდევსო იარაღსხმული.

– ოცი აქლემია დატვირთული ქალის მზითევით.

– ხალები იქნება, დასტა-დასტა ფარჩეული, ოქრო-ვერცხლი, თვალ-მარგალიტი.

– პატარძალი დაი არის შაჰ-აბაზისა; რაღას დაზოგავს.

– დიდმოურავი მოსდევსო ქალსა. შაჰი ისე ენდობაო, როგორც თავის თავს.

ვრცელდებოდა შეყრილ ხალხში ამბები, თქმები. ღელავდა ყველა. ძლიერ იშვიათი ამბავი იყო და ესწრაფებოდნენ თავის თვალით ენახათ ობა. ჯერ სად იყო მათი მოსვლის დრო, რომ გამოვიდა მეორე დღეს ხალხი. სავსე იყო ქუჩის პირები, სარკმელები, ბან-საჩეხები, წვრილფეხობა ხეებზედაც აკუნწლილიყო. ქარკაპებამდინ მიეხწიათ სეირის მუსუსთ.

გვიან წამოსულიყვნენ კოდიდან. მზე გადახრილი იყო, როცა გამოჩნდნენ მოწინავენი. მოაჭენებდნენ, გზიდან ჰრეკავდნენ მოზღვავებულ ხალხს. წესიერების დასაცავად ირჯებოდნენ ასასები თუ ჩაფრები, ოფლს იწურავდნენ. გამოჩნდა მაყრიონის წინამძღომი გუნდი. ლაპლაპებდნენ მზის სხივები მათ საჭურველზედ.

– აგერ მოჰყავთ პატარძალი!

– ტახტრევანდი გარდახდილია.

– იჰ, პირს იბურავს.

ყურთა სმენა აღარ იყო საკრავთ ხმისაგან.

– ვინ იცის, ქალო, უბრალო ჯიჯიაა ფარჩებში გამოხვეული.

– არა, ძალიან ლამაზიაო. ბევრი თურმე უყურებს სვიმონ მეფეს შურის თვალით.

– მოსწონს ყეინს ბაგრატიონთ დანათესავება: ჯერ ხომ ლუარსაბ მეფის დაი წაიყვანა ცოლად, ახლა თავის დაი მიათხოვა ქართველთ მეფეს.

– ვინ ზის თეთრ რაშზედ დევივით კაცი?

– სააკაძეა, თითონ გიორგი.

– გარდანქეშან აიარი აბა ეგ არი!

– ის ვეღა არის მის გვერდს ქართველი?

– ზურაბია, ნუგზარის შვილი.

– ხასისგან რომ ჰყავს?

– ეგ დაუნიშნავს ყეინს მემკვიდრედ. სააკაძის გაზრდილია, ხმალში ნაწრთობი.

– ბოროტიაო, ნუგზარზედ ავი.

– განზედ, განზედ! – შემოისმა ცხენოსნების ხმა, რომლებიც მათრახს უღერებდნენ ხალხს, რომ გზიდან გადაეყარნათ.

გამოჩნდა განჯის კარიდან მხედართა ჯგუფი.

– ჰე, თითონ მეფე!

– მთლად ახალგაზრდაა.

– უშნოდ ზის ცხენზედ, მოშვებულა.

– განაზებულიაო, ხელზედ შესანახი. ბრძოლა სულაც არ შეუძლიანო.

– მაშ როგორიღა ხელმწიფე დადგება?!

– სახელმწიფო ვაჟკაცი თუ გინდათ, აგერ გიორგი. გაჭირებაში მარტო გაიტანს მთელ რაზმს.

– ლომს იმორჩილებსო ხმლით.

ქალის შესაგებებლად გამოსული მეფე სვიმონ მიუახლოვდა ტახტრევანდს, ჩამოხტა ცხენიდან. მიესალმა ქალს. საპატარძლომ გადიხადა პირბადე. კუპრის მორევნი აღგზნებულნი თუ შეანათა.

– რა თვალებია?

აღარ მოჰშორდა საპატარძლოს, გვერდით მისდევდა ცხენდაცხენ.

– ბიჭო, არჩილ, რა მორთული აქლემებია!

– აგერ ნარ-აქლემა, პირზედ ქაფი რომ მოსდებია.

– აქლემებს რას უყურებთ, თქვენ ამოდენა თამბალითს შეხედეთ, მაგათ ტვირთს.

– გამოვაბრუნოთ ერთი.

– გაყოფაში ჩხუბი არ მოგივიდეთ.

– არა, ძმაბიჭები ვართ. შენაც გიწილადებთ, თუ ხელადას ჩამოგვისხავ.

54

ქებინის გაჭრა ბაირამობას მოხდა. მთელი თბილისი გამოვიდა სეირის საყურებლად. სოფლებიდანაც ჩამოსულიყვნენ. ორპირად ხალხი შაჰინ-ტახტიდან მეჩეთამდინ. ბანები მაყურებლებით დატვირთული. ავარდა შუშხუნა. შეიმაღლა ზურნამ ხმა. გაიღო ციხის კარები. ცხენოსანთ ჯარი გამოვიდა მორთულ-კაზმული. იმათ შემდეგ ტახტრევანდი პატარძალისა და გვერდით რაშით მეფე-ბატონი.

მეტად იამა ხალხს, როცა ქალიც, ვაჟიც ქართულ ტანისამოსში ჰნახეს გამოწყობილი. დამშვენებულიყო ცეცხლის მფრქვევი შავგვრემანი ლეჩაქ-თასაკრავში, სარტყელ-გულისპირიან კაბაში. ტანთსაცმელი გოჰარშეყრილი. ვაჟი ბანუშ ხავერდში იჯდა. წითელ ტაიჭის კაზმულობა წითელ ნაჭარბი.

– აფსუს, ცეცხლის მფრქვევო ქალო, ძონძ ვაჟისათვის!

– ქორწილს რომ გადუხდიან, მერმე მეფედ დასმენ: გვირგვინს დაადგამენ, საქართველოს ხმალს შემოარტყმენ.

– ამას და საქართველოს ხმალი?!

– ეჰ, სხვები განაგებენ, სახელი მაგისი იქნება.

– მაგისთანა მეფეების საქმე მხოლოდ განცხრომა და უზნეობაა.

– აი მეფე რომ იყო, სვიმონ ხელი იყო, ლუარსაბის პაპა. ქეიფიც უყვარდა, ხმალშიც პირველი იყო. შიში სრულებით არ იცოდა.

– აკი უშიშრობამ წააგებინა თავი.

– ნეტა რა გულით გამოჰმზერს ლუარსაბი სპარსეთიდან თავის სამეფოს?

– თავის ბრალია: მზეთუნახავი დედოფალი, ვეშაპივით სიმამრის შვილი, ყეინი მწყალობელი. შეეძლო შეეერთებინა მთელი საქართველო.

– ყველაფერი თავის ხელით გადაყარა თავადების გულისათვის, ხალხს რომ სწურავენ და მეფეს არად აგებენ.

გათავდა მეჩეთში ქებინის წესი. შესწირეს მეფე-დედოფალმა სამლოცველოს. ქართველთ გული დაჰსეროდათ, რომ მათი მეფე ისე იქცეოდა, როგორც ნამდვილ მაჰმადიანი სპარსთ უფლისწული, მეტადრე სწყინდა ეს სამღვდელოებას და დიდკაცობას. მღვდელთმთავარი კიდეც აპირობდა ზეიმის მიტოვებას, როცა მეფე-პატარძალი მეჩეთში წავიდნენ; არ გაუშვეს. მეტად დააჩნდათ დაჩაგვრა და უკმაყოფილება. მაინც ისე მოტრიალდა საქმე, რომ მათაც შეჰხვდათ აჩრდილი სიამისა: გათავდა ქებინის წესი. უნდა გამოსულიყვნენ სამლოცველოდან. დედოფალმა აიხსნა ფასდაუდები ფარღული და გაუწოდა.

– ზღვნად ქართველთა ქალ-ღმერთს მარიამს სიონში!

განცვიფრებამ შეიბყრო იქ მყოფნი. მიჰხვდნენ ჰაზრს მოქმედებისას. უამათ ქართველთ, თითონ თათრებსაც

– ჭკვიანი ძმის დარიგებაა!

– დიდებული ყეინი თითონ ესე მოიქცა ალავერდში.

გაემართნენ შაჰინტახტისკენ. აეფინა ხალხი ქუჩებს, კლდეს, ჩირაღდნებით კაშკაშებდა სულ არემარე. მოზეიმეებს ხალხიც არ დაჰვიწყებოდათ; რამდენსამე ადგილას დიოდა ღვინის შადრევანი; დიდრონ-დიდრონი სინებით გამოჰქონდათ შაქარლამა თუ სანოვაგე. ხოშკაკალად აფრქვევდნენ თეთრსა. მთელი ღამე არ მოსწყდა ხალხი იშვიათ ამბავს.

სამი დღე გასტანა ქორწილის ზეიმმა, თანდათან უფროც ძლიერდებოდა. მერმე დაეშვა. ნადირობა დაენაცვლა დიდებულ ქეიფს. რაზმს რაზმზედ ისტუმრებდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისაკენ სანადიროდ. ხალხმა მიაქცია ყურადღება ამ ჯარიანობას.

– ამოდენა მაყრიონი ვის გაუგია?!

– საქორწილო ხალხი თავითფეხებამდინ იარაღში!

– რუსის ჯარი რომ მოდის, იმის დასახვედრად არიანო მომზადებულნი.

– საშიშია, თითონ ჩვენ არ დაგვერივნენ და არ დაასრულონ ის, რაც ყეინმა ჩაიდინა მეორედ შემოსვლისას.

– ძალიან გაამწარა კახთბატონმა: მოდარაჯე ჯარი გაუწყვიტა, მისკენ დაყენებული მეფე გააძევა; შეესია, ქალაქები დაუნგრია.

– თეიმურაზმა რომ გაასწრო, ყეინმა ჯავრი ხალხზედ იყარა.

– ჩვენ რა შუაში ვართ?!

– არა, შიში არაფრისაა: გიორგი არის მთავარსარდალი და არ გაგვიმეტებს.

– სპარსეთის ჯარმა რომ აგვიკლო, გიორგი თან არ ახლდა ყეინს, თორემ ნებას არ მისცემდა.

– ყეინის პირველ შემოსვლაზედ იმან იხსნა საქართველო განსაცდელისგან.

– ეჰ, ვინ რა იცის?! ამბობენ, გიორგიც გათათრდაო, იმისგან კეთილს აღარ უნდა მოველოდდეთო.

– აქლემები წაიკიდნენ, კოზაკი შუაში ამოჭყლიტეს; დიდკაცები იბრძვიან, ხალხი ისრისება.

55

ყორჩი-ხან და უსუფ გაემართნენ ჯარებით მცხეთისაკენ, მუხრანის სანახებისკენ დაჰკრეს ბანაკი. დაიბარეს კახელთა და ქართველთ რაზმები, აღლუმი გვინდა მოვახდინოთო.

აჩქარდა ყორჩი-ხანი: რამდენიმე კახელი მიიწვია თავისთან და ეჭვით შეპყრობილმა სიკვდილით დასაჯა. შეშფოთდა კახელთ რაზმი, იარაღით ხელში გავიდა საგურამოს, ქართველთ რაზმიც დაიშალა. აცნობეს ხანებმა ეს ამბავი სააკაძეს, შესთვალეს აღბორგება და გულისწყრომა.

გიორგის ამ დროს სხვა საზრუნველიც გასჩენოდა: თუმცა ყეინისაგან მას სრული ნდობა ჰქონდა გამოცხადებული, მაინც მზირად იყო და ფრთხილად: ბევრი მტერი ჰყვანდა, ხანებიც შურით უყურებდნენ და ეშინოდა შაჰთან შესმენისა. აცნობეს, სპარსეთიდან შათირი მოდისო ყორჩი-ხანთან. გიორგი დაუხვდა მას ლოჭინთან, მოკლა იგი, გახსნა წიგნი: ყეინი ნებას აძლევდა ხანს, მოეკლა სააკაძე, თუ რამ საეჭვოს შენიშნავდა. გაანდო ზურაბს ბრძანების შინაარსი.

– მაშინ ყეინის საბჭოში დასკვნილი ჰაზრი იყო: ჩაკეტილიყო დარიალის კარი და რუსეთიდან გადმოსავალი სხვა ადგილები: შეერთებულიყო ქართლ-კახეთი ისეთი კაცის ხელში, რომელი სპარსთ ვერ უღალატებდა, რუსთ არ მიემხრობოდა. ჩემი გეგმი ამ ჰაზრისთვის იყო მოწყობილი. თუ ეს არ მოხერხდა, იტყოდა შაჰი, ქართველთ ტომი უნდა აღიფხვრეს და საქართველო შეუერთდეს ირანსაო. ეხლა ჰგონიათ, ხელთ იბყრეს საქართველო; დასდგომიან ამ მეორე გზას.

– და ჰსურთ მოგიშორონ, რომ ხელი არვინ შეუშალოს.

– ჰსურთ გააუქმონ საქართველო, ხეობებიც თვით ჰქონდეთ ხელში.

– და მოსპონ საერისთავოც არაგვისა?!

– საქართველოსთან ერთად. ვინ დაგინდობს არაგვის ერისთავს, სიძეს კახთბატონის თეიმურაზისა?!

– მაშ რაი ვქნათ ეხლა?

– კახთა რაზმმა გვიკარნახა: ხმლით გავკვეთოთ გზა!

– საითკენ?

– საქართველოსკენ! ჩვენი ქვეყანა ჩვენად დავიჭიროთ. სხვა გზა ჩვენ არ გვაქვს.

– რა ღონისძიებით?

– ჩვენივე ძალით! და თუ დავიღუპებით, ხმლით ხელში დავიხოცნეთ ვაჟკაცურად.

– ძლიერ ძნელია! ნუ გავიწყდება, ჩემი ცოლი სპარსეთში არის.

– ჩემი პირმშო პაატაც იქ არის. რა ვაჟკაცია, ვისაც ცოლ-შვილი ავიწყდება! მაგრამ თუ მოელისთ ხალხს მოსპობა, მებრძოლთ სირცხვილი...

– რას ამბობ, კაცო?!

– ჩვენ ყველანი, აქაც, სპარსეთშიც, განწირულნი ვართ. ან შებრძოლება, ან სიკვდილი, ვითა ლაჩარს და მოღალატეს! მე ჩავკეტო ჩემის ხელით ჩრდილო სამზღვარი! ვერვის მივსცემ საქართველოს ამოსაწყვეტად!

სდუმდა ზურაბ ჩაფიქრებული. არ იყო სხვა გზა. თუნდ ეღალატნა და გასცლოდა ეხლა გიორგის, ძნელად თუ სპარსნი დაენდობოდნენ, ქართველნი კი მოღალატეს არ აცოცხლებდნენ. მანუჩარიც ეცდებოდა სისხლის აღებას. დაჰყვა გიორგის. დასდვეს პირობა.

– გახვალ მამულში, წამოასხავ შენს მეომრებსა. ხმა გაავრცელე რუსთა ჯარის გადმოსვლაზედა. ხარებობას ალიონზე მოახლოვდები ბუკთ ხმიანობით. მე მზად ვიქმნები. მოვსპობ სარდლებსა და... შევავედროთ ჩვენი ხმალი ჩვენს სალოცავებს!

შევიდა გიორგი ყორჩი-ხანთან, მიესალამა. ხანს ეგონა, გამწყრალი იქნებოდა გიორგი, აყვედრებდა კახთა დახოცვას. ხანმა განუმარტა, დასჯილთ ღალატი შევამჩნიეთო.

– ყველა მოწინააღმდეგენი შაჰინშაჰისა და მისის სიძის სიმონ მეფისა მოსპობილ იქმნენ და იქმნებიან! ქართველთ ჯარი კვლავ შეიკრიბოს! – წარსთქვა გიორგიმ.

56

ბნელი ღამე. ღრუბლებს გადაეზეწრათ ცის კამარა. ყუჩდა ბანაკი. დასძინებოდათ. გიორგი მარტო: მძიმე ფიქრს მისცემოდა: ქართველთ ბედი დაჰნდობოდა გადასაწყვეტად.

– მაშ დაუსკვნიათ, ამოწყვიტონ ქართველთა ტომი, საქართველო გარდაიქმნან ირანის კუთხედ. შესაძლო არის: ქართველთ ერი მოცულია იმგრგვლივ მტერთაგან, საქართველოს სიმაგრენი ხელში უჭირავთ; ჩვენი ხალხი უწინამძღვროდ დაგულებული: თეიმურაზ ლტოლვაშია მხოლოდ კისკასი, სვიმონ მეფე... აფსუს სახელო! ხალხის გმირნი არსად არ სჩანან და...

– შენ გევალება შენი ხალხის ჭირთაგან დახსნა! – შემოესმა ხმა.

გამოერკვა. არავინ იყო მასთან კარავში. გაუკვირდა.

– ხატი თუ იტყვის!

გადიხადა კარავის კალთა. შემოვიდა ტყავით მოსილი. ქუდის ბეწვი ჩამოშლოდა შუბლზედ, თვალებზედ.

– გაუმარჯოს ბატონ გიორგის!

– გადღეგრძელოს! ვინა...

მოსულმა გადიწია ქუდი.

– გოდერძი?!

– მე! შენმა ფიქრმა მომიხმო შენთან.

– ჩემმა ფიქრმა?!

– ხელი გამოიღო საქართველოს გულში შემოსულმა მტერმა. კახთა ხოცვიდან დაიწყო ჟლეტა. განგრძობაა ყეინისგან ქართველთ მუსვრისა.

– ვერ ეწევიან თავის ბნელ წადილს!

– შენი რჩევაა შემოტყუებით მათი შემოსვლა და ასრულებაც მონდობილი შენვე გაქვს მათგან.

– მქონდა! სხვასა ვგულობდი. ძვირად დამიჯდა: პაატა მყავს იქ, ჩემი შვილი. აწ ავასრულო ჩემი ჰაზრი მე ჩემებურად!

– ვაჟკაცია. იქნებ იგრძნოს და თავს უშველოს.

– შენ მებრძოლთ რიცხვი?

– ასამდინა მყავს. კახთ ჯარისკაცნი მიერთდებიან. თქვენ?

– საკმაონი ვართ! მოვა ზურაბი თავისი ხალხით. გარიჟრაჟზედ საყვირთ ხმებით შეგვატყობინებს.

– ვნახე, მზადა სდგას.

განვლო მოსულმა კარვის კარი, სიბნელემ შთანთქა. ხანმა არ გაჰვლო, შემოვიდა ძაძით მოსილი.

– საქართველოს სული გიბრძანებს: დაიცევ ხალხი ან დაიღუპე!

– საქართველოს სული?! დიდება მის სახელს!

– შენ ხალხში ვიყავ, ვაზიარე. შენც ეზიარე!

ამოიღო სანაწილე.

– ყოვლად სამღვდელო?!

აკურთხა გმირი. აზიარა. განვლო კარები.

ჩამობნელდა აისის წინა. გიორგიმაც გააქრო ჭრაქი. მიეტოლნენ თანამებრძოლნი.

– დაიგვიანა ზურაბმა, – წარსთქვა ელია დიასამიძემ.

– მოახწევს! – მიუგო გიორგიმ

და მიუბრუნდა შვილს:

– ბიჭები შეამზადე, ავთანდილ!

– თუნდ ვერ მოვიდეს, მაინც დავეცნეთ! – აჩქამდა პაპუნა ხერხეულიძე.

გაისმა ყრუთ ბუკთა ყივილი.

– აგერ ზურაბიც! – დაიძახა ვაშაყაშვილმა.

წამოხტნენ. შეირბინა ავთანდილმა. მოასხეს ცხენები. ამოძრავდა სპარსთა ბანაკიც.

– დადგა ჟამი. მსხვერპლს ითხოვს ჩვენგან საქართველოს სული უკვდავი, – წარსთქვა გიორგიმ.

გარდაჰკოცნეს ერთმანეთი და...

გადატყდა ხმალი

1

სადილობის დრო იყო. ღულელთსოფელში რამდენიმე კაცი შეყრილიყო არაბულისას. ბჭობა ჰქონდათ. ძნელ საქმეზედ თუ უბნობდნენ, რომ განცალკევებულიყვნენ, ქალები და ბალღები არ ეტანათ. ჯალაბი მონაწილეობას იღებდა ამგვარ მსჯელობებში: თუ რჩევას ვერ მოგვცემენ გამოუცდელნი, ბჭობას მაინც შეეჩვევიან, წესს ისწავლიანო.

– შავი დრო არის: საჯაროდ საუბარი საშიში გახდა, რაკი მტერი სახლში ჩაგვიდგა. სიფრთხილე გვმართებს: ვიზედაც ეჭვი მიაქვთ, აპატიმრებენ, ჰღუპავენ, ოჯახს უქცევენ.

– გატყდა ხალხი და დაძაბუნდა; გამრავლდა გამცემი.

– ენის მიმტანს ოქროს აყრიან.

– თუ ეს განგრძელდა, მთაც წახდება, როგორც რომ ბარი.

– ნამდვილ!..

– ძნელია ბრძოლა: დაიჭირეს გადასავლები, ჩასხდნენ ციხე-სიმაგრეებში. მტრის ხელშია ჟინვალი, საყარაულო, საბადურები, იკვლივი. მოსწყვიტეს ზევითი მთა ერწო-თიანეთს, აქავრობა – ბარ საქართველოს.

– ბოჭორმაშიც ჩამდგარა სპარსი. სანადიროდ მოვედითო; აღარ მიდიან.

– ანანურზედ აპირობსო ყორჩი-ხანი ჯარის გაგზავნას.

– აუვსიათ თვის ჯარებით შურის ციხე, აზეულა, სამშვილდე.

– გიორგის რჩევით არის ეს ყველაფერი. ყეინი მას მიუყვანია ამისთანა ჰაზრამდინ. თუ მეგობრულად შეეტყუე და ციხეები დაიჭირე, ქართველობა შენს ხელთ იქნებაო.

– გამოცდილი კაცია ყეინი: სააკაძისთვის მიუნდვია ამ საქმის შესრულება; საქართველოზედ წამოსულ ლაშქრის მთავარსარდლობა ჩაუბარებია.

– დაგვღუპავს ეშმაკეული!

– თათრობა მიუღია ყეინს კარს.

– ვინ იცის?! ცხადია ერთი: მის ხელშია აწ საქართველო. ამ საქმეზედ მოგიხმეთ თქვენ დღეს.

– მე ის მითხრა შენმა კაცმა, ლუდი დააყენა და გპატიჟობსო – წარსთქვა ალდიამ.

– მართალი უთქვამს! ძალიან ლუდი დამიდგა და პირს არ დავაკარებ, მანამ იაღსრის დეკანოზი არ დამიმწყალობებს, – მიუგო ლუხუმამ

და განაგრძო:

– შენსას არ შეიძლებოდა ამ საქმეზედ ჩვენი შეყრა: თავი კაცი ხარ და თვალს გადევნებენ, ბნელშიც გხედავენ.

– ჭკვიანი კაცი ხარ, ღვთის მადლმა!

სტუმრები მეტის ყურადღებით მიაჩერდნენ მასპინძელს.

2

– ქართლ-კახეთი, თითქმის მთაც მტერს უჭირავს; მეტად ძნელი იქმნებოდა მტერთა განდევნა, თუ თითონ გიორგის არ შეეგნო ეს საშინელება და არ ეფიქრა ქვეყნის საქმეზედ: სხვა მისებრი წინამძღვარი არ გვყავს ქართველებს.

– რას ამბობ, კაცო?! სააკაძე განა ფიქრობს ქართველთ ყოფაზედ?

– მაშინ მძლავრი რჩევა მიუცია ყეინისათვის, რადგან სხვა გზა არა ჰქონია. არც ისა ჰგონებია, საქართველოს ესე ბნელად მოებყრობოდნენ. თურმე ფიქრობდა: ჩრდილოეთის გზას ჩავხერგავ, ყეინს შიში აღარ ექმნება რუსეთის მხრიდან; დაწყნარდებაო; რუსეთისგან მოხიბლულს მეფეთ ვეღარ ენდობა.

– მოტყუებულა გიორგი: მტერია სპარსი და ჰსურს მხოლოდ მოსპობა ჩვენი.

– იქნებ ყეინი ისე ფიქრობდა, როგორც ეგონა მოურავს, მაგრამ მისმა სარდლებმა აღარ იკმარეს ხალხის ხელთ ჭერა და მოინდომეს მის ამოწყვეტა. მიუწერიათ, არ გვირიგდებაო ქართველი, ასდევს კახთბატონს, რუსეთისკენ იმზირებაო; სააკაძეც თეიმურაზს აჰყოლიაო. შაჰს უბრძანებია: მოსპეთ გიორგი, ქართველები იარაღით დააწყნარეთო. ყორჩი-ხანს კახთა რაზმის ჟლეტა დაუწყვია. განრისხებულა გიორგი და...

– თუ გვატყუებენ! რა შეუძლიან, თუნდ ისურვოს ჩვენთვის სიკეთე?

– იყუჩე, კონჩხავ!.. ეხლა ჩვენგან შველა სჭირდება. აჩქარებით შევკრიბოთ ჯარი: ყოველს წუთს ველი მისგან ბრძანებას.

– გიორგი აწ ჩვენივე არის?! უნდა ველოდოთ იმის ბრძანებას?! ვინ გითხრა შენ ეს? – ჰკითხა ალდიამ უნდობლად.

– თითონ გოდერძმა! შეერთებიან ქართლ-კახეთის დაშლილი რაზმნი. საგურამოს ტყეში არის ჩასაფრებული.

– ბურდულმა?! სიმართლეა ყველა შენი თქმა! მსწრაფლ ასრულდეს მის დავალება! – წარსთქვა ალდიამ

და აღარ დაახანა: ყველა იქ მყოფს დაავალა გასაკეთები. მოიმტვრიეს ხმიადი; ჩამოარიგეს არაყი, ლუდი. წასასვლელად ცხენებს ჰკაზმავდნენ. ჯერ ისევ ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს, რომ შეაჭენა კაცმა ეზოში. დაინახა თავი კაცები, აღარაფერს დაერიდა:

– დიდებული ბრძოლა გარდავიხადეთ გიორგის წინამძღოლობით! მთლად გაიჟლიტა სპარსთ ლაშქარი საფურცლეს მდგარი და მათ სარდლობა! მაგრამ...

– მაინც წააგეთ ბრძოლა?

– გვიხსნა გუდანმა! დაგვრჩა დიდი გამარჯვება: მთხრობლებმა თუ გაახწიეს, სხვანი ჩავხოცეთ. დიდძალი დავლა! მაგრამ გოდერძი...

– მოკლეს ბურდული?!

– არა! დაგვიჭრეს.

– და დასტოვეთ ბრძოლის ველზედა?!

– გამოვიტაცეთ, აგერ ტყეში გვყავს. დავწინაურდი, რომ მენახა, მტერი ხომ არ სდგას სოფელში, ან ვისთან ჩამოვიყვანო დაჭრილი.

– მადლობა ღმერთს!

– აქ მოიყვანეთ, ჩემსას! – წარსთქვა მასპინძელმა.

აღარ შესხდნენ სტუმრები: მოისურვეს მიჰგებებოდნენ გმირს. ცნობის სურვილიც მეტად აღეგზნათ, ჰსურდათ, დაწვრილებით მოესმინათ მომხდარი ამბავი და უკეთ მოეფიქრნათ, რა გზას დასდგომოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ.

3

ზაფრანის ფერი დასდებოდა. ზურგიდან იყო დაჭრილი. შუბის წვერს ბეგთარი გაეგლიჯა, ირიბად... ევლო ძვალს და ხორცს შუა. მოჰბანეს იარა. ალდიამ დაკვირვებით გასინჯა ნაჭრევი, გადასწია ნაპირები, ღრმად ჩახედა. ვაჟკაცი ხმას არ იღებდა, თუმცა სასტიკად გრძნობდა ტკივილებს. გამოცდილი ექიმი იყო კარიაული, კარგად იცოდა ჭრილობის ხელი.

– არა უშავს რა, ორ-სამ კვირაზედ გამთელდება. თუ ალმაცრივ არ წასულიყო იარაღი...

– საშინელი ძალით არის ნაგმირი; ჯაჭვი ორ ადგილას არის გაფხრეწილი.

– უკანასკნელი ცდა იყო ძლიერი მარჯვენისა: როცა თათარს ბრძოდა გოდერძი, წამოუარა სხვა მხედარმა, დასცა ჰოროლი; მაგრამ მაშინვე ძირს დაეცნენ მისი შუბი და მარჯვენა მინდიასგან დაკრულ დაშნით.

– შენ გადაგვირჩინე გოდერძი, კაცო?

– გოდერძი მაინც გადირჩენდა თავს: ჩამოაგდო ახმად-მირზა და მიუბრუნდა...

– ახმად-მირზა, ყორჩი-ხანის საუკეთესო რაინდი?!

– ჰო! გიორგიმ რომ ყორჩი-ხანი დაჩეხა, გოდერძიმ ახმად გააყოლა იმას სულეთში.

– გვითხარ, პაატ, დაწვრილებით, სად რა მოგიხდათ.

– როცა გიორგი დარწმუნდა, რომ ქართველთა მეგობრობას აღარ კმარობდნენ ყიზილბაშნი, მათ მონობა და მოსპობა გადაეწყვიტათ, თითონ გიორგის მოკვლაც, მიუბრუნდა მტერს. ცოტას გაენდო. ზურაბი უნდა მოსულიყო ხარებობის გათენებისას. რაზმი გვყვანდა მოშორებით დაყენებული. ჩვენი კარავი ახლო იდგა ხანის კარავთან. ვახშამი ყორჩი-ხანთან მიირთო. ღამე გატეხილი იყო, რომ დაბრუნდა. შეიჭურვა. გვიბრძანა იარაღის ასხმა. შევეკაზმენით. ჩავაქრეთ ჭრაქი. ზურაბისგან ნიშანს ველოდდით. აფერადდა აღმოსავლეთი. ჩქამი არ იყო ერისთავისგან.

– ვერ თუ მოახერხა პირობის შესრულება. მაინც დავიწყოთ! – წარსთქვა გიორგიმ.

ერთი წამიც და მოისმა საყვირთ ზახილი.

– აგერ ზურაბიც! – გადავკოცნეთ ერთმანეთი. შევსხედით. გაისმა მარჯვნივ მხედართ ხმაური.

– ესეც გოდერძი! – სთქვა მოურავმა

და დასძრა ცხენი. ბუკ-დაბდაბთ ზრიალს, მებრძოლთ ზახილს დაერღვია მოსვენება მტრის სარდლებისა. ვერ მოესწროთ მათ შეჭურვა, ცხენზედ შეჯდომა. წინ მოგვეგებნენ.

– რა ამბავია?

– თეიმურაზ რუსთ-იმერთ ჯარით!

– ყოველ მხრიდან ისმის ზახილი: შეთქმულობაა!

– და ღირსნიცა ხართ! – დასძახა გიორგიმ

და დააკერა შუბის წვერით ყორჩი მიწასა. ვიწვადეთ ხმალნი. სისხლში სცურავდნენ სპარსთ წინამძღვარნი. ბრძოლის ყიჟინა, აღბორგება ცასა სწვდებოდა. გარს შემოგვერტყნენ. წინებს ვხოცავდით, უკანმდგომნი ვერა გვწვდებოდნენ. აისის შუქზედ ვერც გვარჩევდნენ არეულ ხალხში. გამოაპეს მტერი ჩვენებმა, დაგვიახლოვდნენ. აირია სპარსთა სიმრავლე. შეუგნებლად ჟლეტდნენ ერთმანეთს. ლტოლვილნი სრესდნენ თავისებსვე ცხენის ტერფითა.

ინათა. გაირჩეოდა მტერი, მოყვარე. გოდერძ ბურდულს ახმად-მირზა გადასდგომოდა, ხმალი გაესწორებინა. დიდებულად იბრძოდნენ. სხვა წამოვიდა გოდერძისკენ დახრილ ჰოროლით. გადერია მისკენ მინდია. მოასწრო იმან, დასცა კინენი. მინდიას დაშნამ მოუღო ბოლო. დავსწვდით ჩვენ გოდერძს, გამოვიტაცეთ.

– გიორგი?

– სთიბავდა რაზმებს. ლომი იყო განძვინებული. მახლობელნი ზურგს უმაგრებდით. დაჰყარეს სპარსთა იარაღი, თავსღა ჰშველოდნენ. ერთმანეთს შეჰხვდნენ გიორგი, ზურაბ. ულოცავდნენ დიდ გამარჯვებას. ბრძანა გიორგიმ:

– გოდერძ ბურდული საიმედოდ დააბინავეთ! მოსპეთ სპარსთ ძალა ერწო-თიანეთს! – დაათავა ამბავი ჩივაძემ.

– გამჩენს ჩაუგონებია მოურავისთვის სწორე სავალი. თავისაგან გამრუდებული გზა თავის ხმლით გაუსწორებია. ისევ ჩვენია თეთრი გიორგი.

– დაყოვნება აღარ შეიძლება! ვაჟკაცნი გვინდა, რომ მივმართოთ ყიზილბაშთ დასტებს.

– ნუ გეფიქრება! დავგზავნი კაცებს, შეგროვდებიან, რისხვას დასცემენ.

– თქვენი გამარჯვებისა იყოს! – წარმოსთქვა მასპინძელმა

და ჩამოატარა ლუდი ჯამებით.

მსწრაფლ დაადგა სააკაძე გზას თბილისისკენ. მეტად ჩქარობდა. იმედი ჰქონდა, ყიზილბაშნი ვერ გაიგებდნენ ულოდნელ ამბავს, ვერ მოასწრობდნენ ციხის დაკეტას. შეუფერხდა მცირედ მცხეთაში: ბრძოლა რაიმ გარდიხადა სპარსთ დარაჯასთან. გზადაგზა ემატებოდა ძალა: ქართლ-კახეთის დაქსაქსული ჯარისკაცები აწ დგებოდნენ იმის ალამქვეშ.

ვერ შეუსრულდა მას საწადელი: ციხის კარი დაჰხვდა დახშული. მიახლებულს დააყარეს ქონგურებით შურდულის ქვა, ტყვია, ისარი. კედლებიდან ლანძღავდნენ იმას, მოღალატედ იხსენიებდნენ. მოაგონდა: ზღვებზედ, მთებზედ გადმოსული უცხო მფლობელი მოსდგომოდა ამ ციხეში გამაგრებულ ერთ მუჭა ქართველთ. ციხის თავმა აწყენინა ელინთ კეისარს, გადმოსძახა მას:

– ვაცისა წვერნი გასხნენ და ვაც-ბოტისა კისერი გაქვს!

დრო არ დაკარგა: ციხის აღება ერთის დაკვრით არ იქმნებოდა. გაიხსენა: იმპერატორმაც მხოლოდ დიდხანს გარმოდგომით აიღო იგი. შესაფერ განკარგულებათა შემდეგ სააკაძე ერთს წამს დაფიქრდა, გამოჰკიდებოდა ლტოლვილ მეფეს, თუ მიემართა ფეიქარ-ხანისთვის. იტყოდა გულში:

– მშვენიერი შემთხვევაა! მეყოლებიან ამანათები; შეჰბოჭავენ ყეინის ნებას: ვერ გაჰბედავს ავნოს რამე ჩემს შვილს პაატას!

შეიკავა პირზედ მომდგარი სიტყვა.

– არ ევარგება: მანამ მათი დატყვევების ამბავი ჩავა, პაატა უკვე დასჯილ იქმნება. არც გამოდგებიან: სვიმონ მეფე უღირს ყეინს, როგორც რომ მონა; იცის: არც მისთვის ვარგა, არც ქართველთათვის. მეფედა ჰყავს მოსაჩვენებლად: ქართველთა ტომს ისევა ჰფლობსო ბაგრატიონი და საქართველო სახელმწიფოდ ისევ ითვლება. ქალი... არ ვარგა მძევლად: ხმალ არ დაეკვრის; არც მეტად უღირს იგი შაჰ-აბაზს; რამდენი ჰყავს ქალი თუ ვაჟი!

დაადგა გმირი მარტყოფის გზასა: უმთავრესი მტერი აქ ჰყვანდა. საიმედო მეომრები შეუერთდნენ ეხლა გიორგის: ბარათა ბარათაშვილი, ბაადურ ციციშვილი, აღათანგ ხერხეულიძე. მათ სააკაძის დევნაში და გაძევებაში არავითარი მონაწილეობა არ მიიღეს: პატივს სცემდნენ დიდებულ მებრძოლს. როცა სპარსთა ლაშქარი იმის რჩევით შემოეტყუა საქართველოს, ხოლო თითონ მთავარსარდლად დაინიშნა ყეინისაგან, ეს დიდებულნი გაუდგნენ განზედ. აწ სააკაძე ქართველთავე ჩასდგომოდა სათავეში და ჰმუსრავდა შემოსულ ძალას; ისინიც ამოუდგნენ გვერდში მებრძოლსა.

– მოგებულ ბრძოლას შეედრების თქვენი აქ მოსვლა! – მიესალმა კარგ ქართველთ გმირი

და უჩინა თვითეულს მათგანს თვის ადგილი საბრძოლველად მიმავალ ჯარში.

– ერთი შეცდომა მაინც მოგივიდა, ბატონო, – შეჰბედა გზაზედ ვაშაყიშვილმა.

– რა შეცდომა?

– მეფე არ უნდა გაგეშვა. დავდევნებოდით, დავეწევოდით.

– სვიმონ მებრძოლი არ არის, იგი ყეინს არც უღირს რადმე.

– მის მეუღლე, ყეინის ქალი?!

– დიაცებს ვსდიოთ?!

დაჩუმდა დარცხვენილი გმირი. მაინც არ წყნარდებოდა მისი ფიქრი: თუ ხედავდა სააკაძის საქციელში სხვა მოსაზრებას.

სამხედრო თათბირზედ ერთხმად აღიარეს:

– ფეიქარ-ხანი გამოცდილი სარდალია, ჯარი საკმაო ჰყავს, ბანაკი გამაგრებული აქვს; ადვილად არ დაგვნებდება.

არჩიეს, სიფრთხილით მიახლებოდნენ მას და ადგილობრივ მოეზომათ, საიდან ან როგორ ემჯობინებოდა მასზედ თავდასხმა.

– ყორჩი-ხანის გადარჩენილი მეომრებიც ალბათ უკვე შეუერთდებოდნენ მას, მებრძოლთა რიცხვი გაუმრავლდებოდა, – სთქვა ციციშვილმა.

– ცოტამ გაგვასწრო; უმრავლესობა ჩაიხოცა ან ტყვედ დაგვნებდა. მაინც სიფრთხილე სჯობია, – დაასკვნა გიორგიმ.

– ემჯობინება, გარს დაუაროთ და გზა გადუჭრათ, – ურჩია ბარათაშვილმა.

რომ გადაჰხედეს ყიზილბაშთ ბანაკს, სხვა სურათი გადაეშალათ; ბანაკი დაშლილი დაჰხვდათ. საქართველოს დროშა ფრიალებდა იქ. მოახსენეს გიორგის:

– საფურცლიდან გამოქცეულთ შიშის ზარი დასცეს ფეიქარ-ხანს და მის ლაშქარს. უამბეს: რუსთ ლაშქარი დაგვატყდაო თავს; ქართველნი მიემხრნენ მათ; სააკაძემ სარდლები ჩაგვიხოცა; სულ დაიღუპა სპარსთ ლაშქარიო. ფეიქარ-ხანმა გასცა ბრძანება აღკაზმულიყვნენ, საბრძოლველად დაწყობილიყვნენ და გავიდა ბანაკიდან, დაადგა სპარსეთის გზას. ვინც ვერ მოასწრო თანგაყოლა, დავხოცევით ან ტყვედ წავასხით.

გიორგის მეტად უამა მტრის უბრძოლველად დამარცხება. მხოლოდ ენანებოდა, რომ ფეიქარ-ხან გაეხწია თვის ჯალაბობით: იმედი ჰქონდა, ხელთ ჩაიგდებდა ლაშქარს, ხანსაც, მის მეუღლესაც და აუსრულებდა დაპირებას ზურაბ ერისთავს.

– გადაარჩიეთ საუკეთესო ცხენებზე მსხდომნი! – უბრძანა გიორგიმ.

სწრაფად დაეწყნენ რაზმები. გიორგიმ ახედ-დახედა მებრძოლთ და მიჰმართა:

– უნდა მოვსწვდეთ ფეიქარ-ხანს და მოვიმწყვდიოთ!

წაესწრაფნენ იმედეულნი. მარდად იარეს. მაინც ვერ მისწვდნენ.

– ეეხ, გაგვასწრო! – დანანებით სთქვა მოურავმა, როცა ნახა, ფეიქარ-ხან გამხდარიყო მტკვარს.

– აღარ ღირს მაგაზედ ფიქრი: გაქცეულ მტერს არ სდევს ვაჟკაცი.

– ვერც შეიძლება იმისი დევნა: ეხლა იგი სპარსეთშია; ჩვენს ხელთ არ არის იმდენი ჯარი, შესაძლო იყოს შევესიოთ თვითონ ირანსა.

– ერთის ფეხით თუ წინ გვევლო, შეიძლებოდა, ჩემო ზურაბ, ჩემის აღთქმის შესრულება: ბაგრატიონთ სიძედ გაგხდიდი ჩემს ცოლის ძმასა.

– ჩემი ბედი არ ყოფილა ბატონიშვილი.

– მაინც ავასრულებ ჩემს სიტყვას, განათესავებ ბაგრატიონებს. ეხლა კი...

– როგორ სჯობს ეხლა, რომ მოვიქცეთ?

– უნდა დავსცალოთ სპარსთ ჯართაგან ჩვენი სამზღვრები და აგრეთვე ლეკთაგანაცა! – წარსთქვა სააკაძემ

და დაძრა ჯარი. გადასჭრეს შირაქი, წინამინდორი, გაიარეს ალიაბათზედ ზაქათალამდინ და შემოჰყვნენ გაღმა მხარესა. ამ ჯარს ადგილ-ადგილ ჩაუვლიდნენ სპარსთა გუნდები. ჩვენები მათ იარაღს ხსნიდნენ.

– როგორც ეტყობა, ალაზანის ველი განთავისუფლდა შემოსეულთაგან.

– ერთი გზით შემოსულნი, შვიდ გზით ივლტვიან.

– მარჯვედ მოქმედობს მთელ კახეთში ქართველთ ლაშქარი.

– კარგნი უდგანან მდევარ ჯარს თავში: დავავედრე მტერთა დევნა ასლანიშვილს, ნოდარ ჯორჯაძეს.

– შიშის ზარი დაუციათ ყიზილბაშთათვის.

– ეჰ, გოდერძი დამიჭრეს, თორემ ცოცხალნი ვეღარ გადარჩებოდნენ ვეღარც ესენი. ნეტავ ვიცოდე, როგორ არის იგი ჭაბუკი, – ინატრა გიორგიმ.

6

ალდია ხშირად დადიოდა გოდერძთან; უვლიდა მას: წყლულს უწმენდდა, ახალ-ახალ წამალს ადებდა. ნაჭრევმა პირი მორჩენისკენ ქმნა.

– ჩემო ქალო, აღარ არის საჭირო ესე ხშირად ვიარო, აღარც იმდენი მოცლა მაქვს: ბევრი ვაჟკაცია ომებში დაჭრილი, ყველას სჭირია შველა, წამლობა, – უთხრა ძიძილას.

– მაშ ეხლა...

– აი წამლები. კარგად მოისმინე! დაიხსომე, როდის უნდა იხმარო ესენი, ან როგორ შეუფერო ავადმყოფს.

მისცა დარიგება მოვლისა და წამლობის შესახებ. როდესაც ქალმა გადააცილა მოხუცი ჭისკარამდინ, იმან გაუმეორა დარიგება.

– თავადაც მორჩება იარა, რახან პირი მომშრალდა, მაგრამ მალამო ააჩქარებს განკურნებას და ეს მეტად საჭიროა ეხლა, როდესაც თითო მაგისთანა ვაჟკაცი თითო ლაშქრად უღირს ქვეყანას.

– მაშ მალე გამთელდება გოდერძი?! – შეეკითხა ქალი აღტაცებით.

– ჩქარა მორჩება. ჰაი, ჰაი გამთელდება, როდესაც მაგისთანა ღვთის შვილი ადგეხარ თავს. აბა კარგად მოუარე ჩვენს ძვირფას ჭაბუკს!

– სასმელი რომ მოითხოვოს?

– ეხლა შეიძლება. პატარა ყანწი არაყი, წიწანით ლუდი.

– გოდერძი მეტს არ სვამს კარგად მყოფიც.

– ახალი ვაჟკაცია და ეყოფა, თუნდაც ერთი ხვდეს: უსასმლოდაც დუღს თქვენი სისხლი.

– ქალო, ძიძილავ! საკართანოს რად არ მიართმევ ჩვენს ძვირფას სტუმარს? – გადასძახა დიასახლისმა, რომელიც დამკლავებული გადმოჩნდა სავსე საწველელით ხელში.

ქალი გამოტრიალდა ჯეირანივით ყელმოღერებული და გამოურბენინა მიმავალს ლუდით სავსე ჯამი.

– ღმერთო დიდებულო, იაღსრის მადლო და ძალო, შეეწიე ამ ოჯახს, სიხარული გაუმრავლე, მტერი დაულიე, ულხინე ხალხის მოჭირნახულე გოდერძს, – დაილოცა კარიაული

და მიჰმართა ქალს:

– თუ გოდერძი სულ ხმალზედ არ იყურებოდეს, დუშმანთან მარად ბრძოლაზედ არა ფიქრობდეს, გადაჰრევდა შენი სიტურფე; აღარ მოგშორდებოდა გვერდიდან. მაინც საით წაუვა ვავჟკაცი ცეცხლიან თვალებს?!

ქალმა ქუფრ წამწამით ჩამოზეწრა მელნის მორევნი.

მალე მოჯობინდა გოდერძი. შესძლო ყავარჯნით ეზოში გამოსვლა. მაისის მზით გამთბარი ტყის ჰაერი უალერსებდა ნაავადებს, დღითიდღე აწვეთდა ძარღვებში ძალას. ალდიას ერთხელღა დასჭირდა გადმოსვლა ღულელთსოფელში. შესძლო ჭაბუკმა ცხენზედ შეჯდომა.

– ეხლა კი წავალ ჩემს გზაზედ, ალდიავ! შენს სიკეთეს ხალხს გარდაუხდი.

– არა, ვაჟო! ერთი კვირაც უნდა მოიცადო; აბგარ-აბჯარი დაჰჟღლის ახლად შეხორცებულ ნაჭრევს. მე რომ შენხელა ვიყო და შენს ადგილას, არ გავეშურებოდი, გულს არ დაუკოდდი თავდადებულ ამ ნორჩ სიცოცხლეს.

მაისის ვარდად გარდიფურჩქნა თეთრი გოგონა.

– ეჰ, რა შეუძლიან ბეჩავს ჩემს გულს დღესაც უხსნელ ჯინჯილით დაბმულს?! იგი სხვისაა, ბნელ ძალებით დაბყრობილი მზეთუნახავის! – წარსთქვა გულში მწარედ გოდერძმა.

ალდია კი მარჯვედ შემოახტა იორღას: წელთ სიმრავლე გადუბერტყა ახალნორჩთ მზერამ.

7

– ოჯახიშვილო, ჰაა ოჯახიშვილო! – გაისმა ძახილი.

– გახედე, ვინაა! – მიჰმართა მამამ ძიძილას.

– მხედარი ვინმეა, გოდერძის სანახავად მოვედიო.

– შემოიწვიე, ბეჩავ!

ქალი შემოუძღვა ახალ ვაჟკაცს, იარაღში მჯდომს.

– მოხვედ მშვიდობით, გიგიავ!

– დამხვდით მშვიდობით!

– გოდერძი! ეტყობა მთლად მოურჩენიხართ, სარგებლისათვის თავი დაგინებებია.

– ალდიაის წამლობამ და ჩემ მასპინძლების ერთგულმა მოვლამ ფეხზედ დამაყენა.

– შენისთანა ვაჟკაცის მოვლა სასახელოა და საამო. მადლობა ღმერთს, კარგად გხედავთ. რომ მოგიყვანეს, გონჯად გამოიყურებოდი, – გამოეხმაურა დიასახლისი.

– სხვა რა ამბავია? ბევრი დავკარგეთ იმ ბრძოლაში?

– დაგვეღუპა უსჯულოს ხელით კარგი ბიჭები. ბევრი კი წაუმძღვარეთ დალოცვილებს შავეთის გზაზედ. დიდებული გამარჯვება დაგვრჩა. ჭერეხივით ეყარა ჩახოცილი ყიზილბაში.

– ეხლა?

– საუკეთესოდ არიან ჩვენები შეიარაღებულნი, ძველნიც, ახალნიც. გამოგვადგა მტრის იარაღი და ცხენები.

– ბევრი მოვიდა ახალი?

– ოცდა რვა. სხვებსაც უნდოდათ შეერთება, მაგრამ ყველა არ გამოგვადგება.

– ჰო, ყველა ვერ გაიზიარებს ჩვენს ყოფას. ცოტა სჯობს და კარგი. სადა სდგეხართ?

– ჟინვალის სანახებში მოგვნახავ.

– ხვალ ალდიასთან ჩავალ და ნებას მომცემს წამოსვლისას. ამ დღეებში გავჩნდები თქვენთან.

– მაშ მე...

– შენ პური შეჭამე, გიგიავ ჩემო, და დაბრუნდი: არ ვარგა, თუ გამოცდილი სარდალი არ უნდა რაზმს.

დიასახლისს კიდეც შეემზადებინა ტაბლა და მოართვა. აჭამეს, დაალევინეს. ისევ გოდერძის წასვლის გარშამო ტრიალებდა საუბარი. ძიძილა დაღონებული იჯდა კერასთან.

– ისე შევეჩვიეთ გოდერძს, როგორც შვილს. გვეძნელება გაყრა.

– კარგ მეომარს არ შეჰშვენის კერაზედ ჯდომა, როცა ხალხი გასაჭირშია. თუ გოდერძი არ ყოფილიყო საფურცლის ომში, ძნელი იქმნებოდა იმის თქმა, როგორ გაუმარჯვდებოდა მოურავს; მტერი მრავალი იყო, გიორგის სამოციოდე კაცი ჰყვანდა; ვერც ზურაბს შეეკრიბნა საკმაო ძალა.

– სააკაძე... აქ იმას ამბობდნენ, მოღალატეა, სპარსთა ლაშქარს მოუძღვისო ქართველთ საჟლეტად. ეხლა ქვეყანას უჩვენა თავის მამულიშვილობა.

– თუ ეგონა, სპარსი კარგ მეზობლად მოგვეკიდება და დაიცავს საქართველოს რუსთ მოსევისაგან. როცა ნახა, მათ ქართველნი როგორ განწირნეს, მაშინ...

– რად უნდა ჰგონებოდა ეგრე? მტერი მტერია, აღმიდან მოვა ის, თუ ჩაღმიდან. ყველა ხალხი იყოს თავის პატრონი!

– ჩვენს ქვეყანას მხოლოდ შესაფერი წინამძღვარი ეჭირება, თუნდა ისეთი მხნე მებრძოლი, როგორც გიორგი, თორემ სხვის სახვეწარი არაფერი გვაქვს.

– მართალს იტყვი! სცდება თეიმურაზ, რომ მყინვარელთს ემუდარება: დიდია ჩრდილოეთი, ულეველი ხალხის პატრონი და თუ ფეხი ჩამოსდგა ერთხელა, დაგვღუპავს, დაგვნთქამს. სპარსეთი... ვერ შესძლებს ის შეუზღუდლად ბატონობას საქართველოზედ! – სთქვა გოდერძმა

და მიუბრუნდა მოსულს:

– იქვე მომიცადეთ, სადაც სდგეხართ. გადმოსავალს ადევნეთ თვალი. რუსი თუ მოდის, ჩაუხერგეთ გზა, თუნდ თეიმურაზ უძღოდეს მას წინ!

გაუვსეს ხურჯინი საგძლით, ტიკჭორაიც წინწანაქარით, რომ ყველას ენახა, რა პატივით იცის ოჯახმა სტუმრის მიღება.

– მაშ წახვალ, გოდერძ? – შეეკითხა ქალი, როცა მარტო დარჩნენ იგინი.

– წავალ: მოვალეობა მიწვევს.

– ბედნიერო! თუ ქალის წესი იყოს, გამოგყვებოდი აბჯარასხმული. თქვენს გვერდზედ სიკვდილს რა ემჯობინება?!

– ბეჩავ! თუ შენისთანა ქალებიც ბრძოლაში ჩაიხოცებიან, გაგვიქრება კერის მომვლელი. ან ვისი იმედიღა გვექმნებოდა დაჭრილთა თუ დაავადებულთ?

– ჩემს სახსოვრად მსურს გაგატანო ეს ყელსაბამი, – სთქვა ძიძილამ და შეიხსნა ასხმული მძივი თვის ვერცხლის ჯვარით.

– არ მოვიშორებ ამ შენს შანას არცროს მკერდიდან, ჩემო დობილო, – სთქვა ვაჟმა

და ჩამოართვა ნათავაზები. ხანჯლის ტარი დაუკოცნა ქალმა მზეჭაბუკს.

8

გოდერძს განზრახული ჰქონდა, საყარაულოზედ გადაევლო, დაშვებულიყო ჟინვალისაკენ; შეცვალა გეზი გზაზედ დამდგარმა: გადუხვია სიონისკენ ბალებისხევით და დაეშვა მისაქცეველზედ.

– დიდს განსაცდელს გადავურჩი უსწორო ომში, არ ევარგება არ შევსწირო სვეტიცხოველსა, არ დაუნთო წმიდას სანთელი, – ეტყოდა თავსა.

მაინც ჰხედავდა, რომ ქართველთ საერთო სალოცავის გარდა მას იქითკენ იზიდავდა პირადი ხატი, თუმც ძლეული და დამსხვრეული, მაინც ძლიერი იმისათვის და მიმზიდველი. ტაძარში ლოცვისა და შეწირვის შემდეგ გაემართა დედათა სავანისკენ. სთხოვა მეკარეს, მოეხსენებინა მისი მისვლა წინამძღვარისთვის. ნინომ თითონ გამოჰხედა განთქმულ რაინდს და შეიწვია.

– მადლობა ღმერთს, ცოცხალს გხედავ, დაუშავებელს! ომის შემდეგ გამოავრცელეს, მძიმედ დაჭრილი გაიტაცესო ამხანაგებმა; მერმე ისიც სთქვეს, შორს აქავრობას, გარდიცვალაო.

– პირველი თქმა მართალია: ბრძოლის დროს დამჭრეს ზურგით კერძო და უგონოდ დაცემული გამოვეტანეთ. ჩემი სიკვდილის ხმა კი განზრახ გაევრცელებინათ ჩვენებს: შეჰშინებოდათ, მტერმა არ მიიკვლიოსო. ალდიაიც ხელს უწყობდა ამბის გატანას.

– კარიაული? სადა გწამლობდნენ?

– ღულელთ სოფელში. თითონ დადიოდა ალდია ჩემთან.

საუბრობდნენ მისულ-დამხვედრი. მზირად იყო დედაბერი და ყურმახვილად: იცოდა, ვაჟკაცი სულ სხვაზედ იყო იქ მისული და უცდიდა, როდის გამოსთქვამდა თავის სურვილს. ვეღარ მოითმინა ჭაბუკმა:

– დედავ, ბატონო! შესაძლოა დედოფლის ნახვა?

– არა, შვილო! ცნობის გარეშეა საწყალი ქალი.

– მაინც მინდა თაყვანივსცე მის მწუხარებას.

წინამძღვარმა უბრძანა მორჩილს, შეემზადებინა ქალი მნახველის მისაღებად. ოთახში რომ შევიდნენ, თეკლე წამოდგა, თავი დაუკრა წინამძღვარს. დააკვირდა ჭაბუკს და გაუღიმა.

– გოდერძი, შენა?!

– მე გახლავარ, დედოფალო! – მიუგო ჭაბუკმა

და მიუახლოვდა ქალს, დაეყრდნა მუხლზედ, აკოცა კალთას. ქალი დაიხარა, ქოჩორზედ შეახო ბაგე.

– როგორ ბრძანდები, დედოფალო?

– გმადლობ, ჩემო კარგო! კარგადა ვარ. ეს დედა და აქაური დები მეტად ზრუნავენ ჩემზედ. ჩემი ბალღიც კარგად არის, მაგრამ სულ სძინავს, – წარსთქვა ქალმა

და დააკვირდა აკვანს.

– უჰ, იშმუშნება! თითქო იღვიძებს ჩვენს ლაპარაკზედ.

გაარწია აკვანი. პირსაფარი გაუსწორა თოჯინას. გაერთო რწევაში. ნანა დაჰღიღინა. ჩაიფუფქა გოდერძი, წვერ-ულვაში დაულტო ცრემლმა. დედოფალმა თავი ანება აკვანს, გოდერძს მიაბყრო თვალი.

– მიყვარს გულჩვილი ვაჟკაცი, ომში ფოლადი, ცხოვრებაში ლბილი, ვით ცვილი! ჩემი ლუარსაბ... ცრემლი არ იცის. როდისღა მოვა და ჰნახავს შვილს, ტახტის მემკვიდრეს!

შესწყვიტა სიტყვა. გაშტერდა. რაღაცას იგონებდა.

– მეფე ცოცხალია, გოდერძი? გიორგიმ ხომ სისხლი არ აიღო მისგან?

– არა, დედოფალო! გიორგიმ აღგითქვა, რომ ხელს არ შეახებს ცხებულს; ბუმბერაზი არ გასტეხს სიტყვას.

– მოვიდნენ ჩემთან მეფეც, გიორგიც!

– მოვლენ, დედოფალო! – მიუგო გოდერძმა

და ხელზედ აკოცა აქვითინებულმა.

– კარგი, გენაცვალე: გაეღვიძება ბალღს. მერმე შემოვალთ და კიდევ გნახავთ, – შეჰმართა წინამძღვარმა და გამოიყვანა სტუმარი.

– მიკვირს, მაშინვე გიცნო. ესეა საცოდავი მას აქეთ, რაც ვაჟი მოსტაცეს და დაუკარგეს.

– დაუღუპეს?! ვინ მოგახსენათ, ბატონო თქვენ ეგ?

გრემში დაიდგა გიორგიმ ბინა. აქედან იძლეოდა განკარგულებებს; აქათ ისწრაფიდნენ მომხსენებელნი. ჯელგა-ჯელგა მოუდიოდათ ტყვე ყიზილბაშნი. შემუსვრილიყო სპარსთა ძალა საქართველოში. ერთსღა სცდილობდნენ: ქართველთ სამზღვრებს გადასცდენოდნენ. ესეც ძნელი შეიქმნა მათთვის: გზა-გზა მეტად ზარალდებოდბენ. საგძლის წაღება შეუძლებელი იყო მათთვის სისწრაფის გამო; სოფლის გაძარცვა, სანოვაგის გატაცება არ ეგებოდა; ამხედრებულიყო მათ წინააღმდეგ მთელი ხალხი; იძულებულნი იყვნენ ტყე-ტყე ეარნათ. ისე დაძაბუნდა მტერი, მეხრეებიც კი სძალავდნენ, მოუდიოდათ. გაიჟლიტა დიდძალი სპარსი.

– გაიწმიდა საქართველო ურდოებისგან.

– ტყეებში თუ იმალებიან, სხვაგან მათი ჭაჭანება აღარსად არის.

– შემოსილია ტყე თუ ჭალა, ძნელი არის მათი იქ დევნა.

– არც საჭიროა: ძალას აღარ წარმოადგენენ. ჰხამს ვიზრუნოთ აწ შემდეგისთვის.

– გვიბრძანე, ბატონო!

– შაჰ-აბაზი უპასუხოდ არ გაუშვებს ჩვენს მოქმედებას. უნდა ვემზადნეთ. კახეთში, ქართლში უნდა მოვსპოთ მისნი მომხრენი: მტრის დამხმარე თვითც დუშმანია. ლეკთ უნდა წავართოთ შეძლება, მიეხმარნენ შემოსეულებს, თუ არა და...

– მგელს მგელი ერქვა, ტურამ ქვეყანა ამოაგდო.

– ტურებივით დაძვრებიან სიბნელეშია, სისხლსა სვამენ უძლურებისას. ვაჟკაცები ვერ წასულან მათ შიშით სხვაგან: იდროვებენ, დაეცემიან, ანადგურებენ.

– ვერ მოახერხეს მათ ალაგმა კახთბატონებმა.

– ხალხის ძალით უნდა მოგვარდეს! ჩემი ბრძანება: უნდა განახლდნენ ციხეები ომალოში, საყორნეში, კოდორს, შავ კლდეზედ და ჩაისხას მეციხოვნენი. მომარაგდეს იარაღი და სურსათი ამ სიმაგრეებში. იგინი უნდა მოწინავობდნენ, რომ დროზედ ამცნონ საცხენისს, ყვარელს, გრემს ლეკთ ჩამოშვება. უნდა შეიკრას მთის ბილიკები. თუშთა ციხის გამაგრებას თუშებს ვავალებ. მანამდისინ კი თითონ შევალ იმათ მთებშია და მოვიყვან მორჩილებაში. არა მგონია, ის მთები დვალეთზედ ძნელი საომარნი იყვნენ, – სთქვა გიორგიმ.

კახელებს მოეწონათ ესეთი გადაწყვეტილება, ჰაზრიანად ეჩვენათ იგი. საკმაო ჯარი შეიკრიბა სააკაძის კარს. გარს ეხვივნენ თავი კაცები. შეუძლებლად არ მიაჩნდათ ამ სურვილის ასრულება. მხოლოდ ერთში არ თანხმდებოდნენ: ლეკეთში ასავლელად არ ეთმობოდათ გიორგი: მეტად საჭირო იყო თითონ ქართლ-კახეთში მისი მძლავრი მარჯვენა და არწივისებური თვალი. მოურავმა განუმარტა მათ, ეს მხოლოდ დამსჯელ რაზმის სვლა იქმნებაო მოსამზღვრე ლეკთა შესაძრწუნებლად; მათ ქვეყანაში ღრმად შევლა და ხანგრძლივი ბრძოლა ჰაზრად არ ჰქონდა; ამ შემთხვევაში შეუძლებელიც იქნებოდა იგი. დასთანხმდნენ.

დაყოვნება არ შეიძლებოდა, საშიშიც იყო: ხმა მივიდოდა ლეკებთან და იგინი გაეცლებოდნენ. დაარჩია ვაჟკაცები და შეეკაზმა. წარუდგნენ მას თუშთ წინამძღვრები და სთხოვეს, ნება მიეცა მათთვისაც, რომ გაჰყოლოდნენ.

– არა! თქვენ სხვა საქმე გაქვსთ და საბრძოლო: დაბრუნდით თუშეთს, შეავსეთ რაზმნი და იქიდან გადმოლახეთ ლეკთა სამზღვრები. წამოდით მთა-მთა საყორნეთი, საბაკუნით წიწმახამდისინ. მიეცით ცეცხლი გზა-გზა მათ სოფლებს. ციხე თუშთაში მოდარაჯე გუნდი დასტოვეთ. იქით გადმოვიკვლევ გზას და შევიყრებით გამარჯვებულნი.

– უსათოდ გამარჯვებულნი! მაინც რამდენსამე კაცს გამოგაყოლებთ: თქვენ ისე არ იცით იქაური წავარნები თუ ხევები, როგორც ჩვენ ვიცით.

დათანხმდა გიორგი. საბრძოლო სავალს დაადგა ხალხი. სალთად მიდიოდნენ: გზაგზა ჯარის გამოკვება ხმლისთვის მიენდოთ.

ცოტა დრო დასჭირდათ განზრახულის შესასრულებლად. იღბლით იარეს. კახნი, თუშნი შეხვდნენ ერთურთს ომგარდახდილნი. მოუდიოდათ ტყვე, ცხენები; მოჰქონდათ თან იარაღი, ნადავლი ყველა. შეერთებულნი ჩამოეშვნენ ღვთისმშობელში საყორნის დასწვრივ.

10

ეკლესიის მიდამო ხალხით იყო სავსე, შეერთებულ მებრძოლთ სიმრავლით. მათ რიცხვს ავსებდნენ ტყვედ მოყვანილნი და ტყვეობისგან ხსნილნი ქართველნი.

მზიანი დღე. ზაფხულს გაეტეხნა მთის სიგრილე. თოვლი მხოლოდ ღრანტებში იხილვებოდა. მინდორ-ველი ყვავილნარით გადაპენტილი. გადმოჰმზერდა სააკაძე კახეთის სივრცეს.

– აფსუსია, ამ ედემში ვერ ჰყვავოდეს ცხოვრება წყნარი, რომ ნახოს ხალხმა კეთილდღეობა. უნდა მოისპოს მტერთ შემოსევა, შინაურიც შუღლი ყოველი!

– ათიოდე წელიწადი სიწყნარე და მთელი ეს მხარე ყოველგვარ სიმდიდრით აივსება; კიდეც მოიჭარბებდა ხალხი გასატან-გასასყიდად.

– მთელი საქართველოც უნდა დაწყნარდეს. მტერს ფეხი არ უნდა ედგეს შიგ, რომ კეთილი იგემოს ხალხმა; სხვასაც მისცეს შემწეობა ნამეტნავისგან.

– გისმინოს ღმერთმა, ქართველთა ძალავ!

– მისმენს! რად მინდა ხმალი, თუ ვერ შევსძენ ქართველთ მშვიდობას, კეთილდღეობას?!

– ეგ დიადი განზრახვა შენი შესაძლოდ თუ არ მიაჩნდათ ქართველთ მეფეებს. აწ ღმერთი გვფარავს: მოგვივლინა თვისი რჩეული!

დასხდა მინდორზედ ხალხი ჯგუფ-ჯგუფად. საარაყე ქვაბებით ცეცხლზედ ძროხა თუ ცხვარი: გადმოერეკათ მთიდან საკლავი, სასმელი ხომ თუნდ თავსასხმელად. სიმღერა, ცეკვა, შეჯიბრება ფრთიან სიტყვებში. იშვებდნენ და იხარებდნენ ომგარდახდილნი.

გუნებაზედ იყო გიორგი: ადვილად შესრულდა ძნელი განზრახვა. ვინ იფიქრებდა, ესე სწრაფად გასწმენდავდა მტრისგან სამშობლოს?! ლეკთაც აგემა ქართველთ ხმალის ფხა. გახედა ტყვეებს.

– აქ მომგვარეთ ყარა-მურადი!

მოუყვანეს შებორკილი ლეკთა ბელადი. ძარღვიანი კაცი იყო, მაღალ-მაღალი. მარჯვენა წარბი ხმლის ნაკვეთით გადაკვალილი.

– გაუხსენით ხელები!

ეთაყვანა ტყვე დიდ მოურავს. უბრძანა ლეკს გვერდს მოსჯდომოდა.

– კარგი ვაჟკაცი, თუნდაც მტერი, საპატივოა!

– რაინდულს იტყვი!

– მომართვით ამის ხმალ-ხანჯალი!

მოართვეს. გიორგიმ ფხა გაუსინჯა ხმალს. მოიწონა, ვაჟკაცის შესაფერიაო. მურადი ხარბად დაჰყურებდა თავის იარაღს, მისი მარჯვენა შეუგნებლად იწევდა ხმლისკენ.

– აჰა შენი ხმალ-ხანჯალი! ცოდვა არის, შენ არ გერტყას, არ გამშვენებდეს.

ლეკი განცვიფრდა. წაიწია მხარზედ საკოცნად. სააკაძემ პირს აკოცა განთქმულ მეომარს. ხალხი გონს ვერ მოსულიყო. შედეგს ელოდდნენ.

– მურად! დაგვისახელე უკეთესნი ჩვენ ტყვეთა შორის: მსურს მოვიწვიო.

დაასახელა. მოიყვანეს. გაუხსნეს ხელნი. სუფრაზედ დასხეს. სხვა ტყვეებმა როცა ნახეს ესე მობყრობა, აღტაცებით ხმა აიმაღლეს. ისე განაგრძობდნენ სადილს, თითქო ეს შეიარაღებული მტერნიც მათნი თანამებრძოლნი ყოფილიყვნენ. მოდიოდა სადღეგრძელო სადღეგრძელოზედ. შეიმაღლა გიორგიმ ყანწი.

– მურად! გეტყვი შენ, მთელს დაღესტანს ამასვე ვეტყვი: მეგობრობა და კავშირი თქვენს და ჩვენს შორის! ესე სჯობია: ზღვა ხალხთ ზვირთები მოჰგრაგნიან ჩვენ დასანთქმელად, თვალუწვდენი მყინვარეთი, დიდი ირანი. გვაქეზებენ ერთურთ საბრძოლვად, რომ ადვილად დაგვიმონონ ისეც ცოტანი; რჯულით გვაცდენენ რუსნი ქართველთ, სპარსნი – თქვენ, ლეკებს. გვირჩევნის, ორნივ უარი ვყოთ, რომ ჩვენი თავი ჩვენვე გვებაროს. შევძლებთ იმათ მოგერებას, თუ მთა, ბარი ერთად ვიბრძოლებთ. გავათავებ ირანთან ბრძოლას, თქვენს ციხეებს თქვენვე გადმოგცემთ.

ჩამოართვა სიტყვა მურადმა:

– დიდს მეომარს ფიქრიც დიდი გაქვს. ნათელ განზრახვას ამსრულებიც ძლიერი უნდა. ჩვენც ვიპოვით შენებრ შეგნებულს, ქართველთ მეფეო. თქვენ წაუძღვებით მეზობელ ხალხთ სიკეთის გზაზედ!

გულქველობა ხელუხვობას აძლიერებდა: ბრძანა გიორგიმ ტყვედ მოყვანილთ თავისუფლება. ლეკთ სიხარული ზეცას უწევდა. ზეიმ-ნადიმზედ აღტაცება აზვირთდებოდა, თუ ერთს შემთხვევას მყუდროება არ შეერხია:

თუში აბდია ხმალში გათქმული თავიდანვე ბოროტებით შეჰმზერდა მურადს: აბდიაის შინში მოეკლა, სისხლი ემართა. მანამ ბელადი უიარაღოდ იმყოფებოდა, თუში თითქო არც კი ამჩნევდა. ხმალ-ხანჯალი რომ დაუბრუნეს, ზავთს და მტრობას აღარ ჰფარავდა. მოახერხა, გაითხოვა მურადი ხმალში. რბენა, ჩოჩქოლი. მებრძოლ გმირებს გარს შემოერტყნენ. ხმალთა ტრიალი. დაჰკრა თვალი სააკაძემ და გადაფრინდა, გააპო წრე, აუკრა ხმალი მურადს, აბდიას; იარაღი დააყრევინა.

– რას სჩადი, აბდი?!

– ლეკს სისხლი ჰმართებს!

– სტუმარია იგი დღეს ჩვენი.

– უნდა ავიღო სისხლი მაგისგან!

– ბჭეთ მივანდოთ გაგასამართლონ.

დაფიქრდა აბდია. მიჰმართა გიორგის:

– დღეს მეფე შენ ხარ, თავად გაგვსაჯე! მაგრამ ის მითხარ, რა ჯადო აქვს ემა შენ დაშნას, რომ თითო აკვრით მახვილები დაგვაყრევინე?!

11

გაუდგა გზას სააკაძე. გადასჭრა გომბორი, ჩაეშვა ივრის ხეობაში. დაათვალიერა ბოჭორმის ციხე, ინახულა იორის კოშკი. ჩააყენა მეციხოვნენი. დაბრუნდა თბილისს.

უსიამოვნო ამბავი დახვდა: შურის ციხე ვერ აეღოთ. ეგონათ, მეციხოვნენი წყურვილით ამოწყდებოდნენ, რადგან ზევიდან მომდინარე ნაკადი მოუწყვიტეს. ჰქონდა ციხეს სხვა გზაც წყალისა: სასახლის სარდაფებიდან ხვრელი ჩასდევდა კლდეში მომდინარე წყარომდინ, მაგრამ ეს გვირაბი ამოქოლილ იყო, ზევიდან ფილაქნებით გაწყობილი და მისი არსებობა ორმა-სამმა კაცმა თუ იცოდა.

– ალბათ მიაგნეს საიდუმლო გვირაბს: სხვა სახსარი არა აქვსთ წყალის შოვნისა.

– რა გვირაბს?

– არის! მაგრამ ეს მხოლოდ ორიოდემ იცის. უნდა მოვნახოთ გამცემელი.

ფიქრობდნენ და ვერ მიმხვდარიყვნენ, ვინ იქმნებოდა გამცემელი. რამდენზემე მიიტანეს გუმანი; თითონვე უარყვეს. დაღონდა გიორგი: დიდი განსაცდელი მოსდგომოდა კარს და თუ შინვე აღმოჩნდებოდნენ მტრის მომხრეები, მეტად გაუძნელდებოდა გამაგრება. მომავალ ომში ნარიყალას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: ციხისათვის ჯარი უნდა შემოერტყა და ისეც მცირერიცხოვანი ლაშქარი დაეკნინებინა; თუ არა, ბრძოლის დროს გამოვიდოდნენ ყიზილბაშნი, ზურგიდან მოექცეოდნენ ქართველთ და ორ ცეცხლ შუა გაჰხვევდნენ. ციხის აღება იერიშით არ შეიძლებოდა: მიუდგომელი იყო, დიდ მსხვერპლს შეიწირავდა.

გიორგი რომ ფიქრობდა ამ ყოფაზედ, მისნი ერთგულნიც მისცემოდნენ საგონებელს. ვერაფერი გაერკვიათ მოსაზრების გზა. მათ ფიქრთა დენას მაინც აუცილებლად მოჰქონდა შადიმანის სახე. იქნებ იქამდინ დამდაბლდა უძინებელი მტერი სააკაძისა, რომ სახელმწიფო საიდუმლო გადასცა მტერსა?! იცოდა იმან დაფარული. პირად მისთვის ამის თქმა მაინც არ შეიძლებოდა: არ სჩანდა საბუთი. თავის მამულში სცხოვრობდა ეხლა ის, მონაწილეობას არ იღებდა მომხდარ ბრძოლაში.

ისევ კრწანისის მამულში მოეწყო მოურავი. დიდი მოძრაობა იყო აქ, რიგი მიდიოდა, რიგი მოდიოდა. იგზავნებოდნენ შიკრიკები საქართველოს ყველა კუთხისკენ; ბრუნდებოდნენ პასუხებით, სამხედრო ცნობებით. მოსალოდნელ ომს უნდა გადაეწყვიტნა ქართველთ თვითარსებობის საკითხი და საბედისწერო ლაშქრობისთვის ემზადებოდნენ. სარდალთსარდალი სწერდა ბრძანებებს, იღებდა მოხსენებებს. მოკლედ იტყოდა. უბრძანებდა თავკაცებს, აღნიშნულ დროსთვის მისულიყვნენ თავის ჯარებით. მხოლოდ ერთს სიტყვას აწერდა: გიორგი.

სიტყვის შეუბრუნებლად ასრულებდნენ მის ნებას: სპარსთა შიში ძლიერი იყო, ხოლო ღირსეულ დამცველად ხალხსაც, დიდკაცობასაც მარტო გიორგი მიაჩნდათ. კიდეც ეშინოდათ: ძლიერი იყო გიორგის მრისხანება, დაუნდობელი: ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდა ურჩებს. მოურავი პირადაც აპირობდა ქართლზე გავლას, რომ გაემაგრებინა ციხეები და გაემხნევებინა ხალხი. სამცხეში აპირობდა იქიდან წასვლას: იმედი ჰქონდა, მოახერხებდა, ოსმალთა ძალას მოიშველიებდა. შევიდა გიორგისთან ქავთარაძე:

– ნარიყალას უნდა ავიდე და ბრძანება მომეც, დარაჯებმა არ დამაკავონ.

– შურის ციხეში?!

– თან აი დემეტრე მომდევს თანდილაშვილი.

– რა გინდა მტრის ბანაკში?

– ნამცხვარ წაუღებ: ძალიან უჭირსთ.

– სანოვაგეს დამშეულთათვის?!

– ცოტა სასმელსაც!

ერთს ხან თვალი გაუშტერა გიორგიმ თავდადებულ თანამებრძოლს.

– წადი! აი ნიშნად ჩემი ბეჭედი: არ დაგაბრკოლებს ჩვენი დარაჯა. არ დაიღუპო თავი უბრალოდ!

– თუ იქ არ გვიწერია სიკვდილი, დავბრუნდებით.

ხშირბინდი იყო, როდესაც ხურჯინმოკიდებულნი შეუდგნენ აღმართს. მარტოოდენ ხანჯლები ეკრათ. გზას უხსნიდა მათ თილისმა, მანამ გასცდნენ ქართველ გუშაგებს. გადმოცვივდნენ სპარსთ დარაჯნი, გარს შემოერტყნენ.

– ვინ ხართ? რა გინდათ?

– თქვენ გშიანთ და გინდათ; ჩვენ არაფერი არ გვინდა თქვენგან.

– რა მოგაქვთ? საიდან?

– რა თქვენი საქმეა?! წაიღეთ ხურჯინები, დაცალეთ. ეს წიგნი გადაეცით გოგია გორგიჯანიძეს: ბატონ შადიმანის ბრძანებაა.

წაიღეს. მისულთ ყარაული დაუყენეს. თითონ გოგია გამოვიდა იმათთან.

– შადიმანი იწერება, ყოველღამ მოგაწვდითო სანოვაგეს.

– ვეღარ მოვალთ, თუ ყოველთვის ამისთანა აურზაურს ასტენენ თქვენი მცველები: გვიგრძნობენ სააკაძესნი და აგვკუწავენ.

– მაინც დაგინახავდნენ ისინი, როცა მოგქონდათ.

– გვნახეს, შეგვაყენეს. გამოვახწიეთ: ხევში ათას ადგილას სდგანან სააკაძესნი და რა იციან, სად მიგვაქვს საზრდო.

– მაშ?

– ხვალ ამ დროს აქ ვიქნებით დაბარგულები და ყიჟინას ნუ ასტეხავენ.

– თითონ დაგხვდებით!

მეორე ღამეს რომ ამოჩნდნენ ბილიკზედ დატვირთულები, გორგიჯანიძე ჩაეგება, ჩამოართვა, მისცა მხლებლებს. მსახურნი რომ გადაეფარნენ, ქავთარაძე მიეახლა გოგიას დაბარებულ სიტყვის სათქმელად და... სწვდა ყელში, იქვე გაგუდა. ჩასტენეს პირში ხელსახოცი, ჩააყუდეს ტომარაში. წამოიკიდა დემეტრემ. ათიოდე ნაბიჯი და სამშვიდობოს იყვნენ. გარინდებულიყო ტყვე: თუ ვერ სუნთქავდა. შეიტანეს გიორგისთან, წინ დაუხეთქეს. გაეღიმა. გამოჰკითხეს, ხუნდებ ქვეშ ალაპარაკეს შადიმანის ერთგული.

– გამცემელი ღირსი არ არის ხმლით სიკვდილისა, მაგრამ სირცხვილად ისიც გეყოფა, რომ დაკლულ ღორივით ჩამოგიტანეს.

მიუბრუნდა მხლებლებს:

– გაიყვანეთ, მოჰკვეთეთ თავი!

12

შეიქმნა კრწანისი საქართველოს გულად; მისი მებატონე სრულუფლებიან გამგედ ქართლ-კახეთისა. მის ბრძანებას ჰმორჩილებდა ყველა, ხალხი ნებით და სიხარულით, დიდებულნი უნებლიეთ და ბოღმით გულზედ.

– ერთი დახედე ამ ბარათს, როგორი კილოთი არის დაწერილი. თითონ თეიმურაზი ვერ შემომბედავდა ამისთანა მკვეთრ სიტყვას:

... ბატონო დავით! გაბარებ კახეთ-ჰერეთის მმართველობას. შეგროვდეს ჯარი და შეიარაღდეს. შეაწერე თავადებს განსაზღვრული რიცხვი კაცთა. ყველა შეიკრიბოს ორს კვირაზედ დანიშნულ ადგილს. ვერ შემსრულებელს ჩამოერთვას ყმა და მამული! გიორგი.

– ისე აწერს ხელს, თითქო გვირგვინოსანი არისო.

– ღმერთმა ნუ ქმნას!

– მაინც უნდა ვუსმინოთ: ძლიერი მტერი მოდის ჩვენ მოსაფხვრელად; თუ გაუმაგრდება, ისევ სააკაძე.

– ხალხს მხოლოდ მაგის იმედი აქვს, მაგას ენდობა.

– ჩვენც ჯერ მაგის მარჯვენას უნდა დავემყაროთ: შეუდარებელია ბრძოლაში. მერმე...

მოსდიოდათ ბრძანებები ხალხთ მეთაურებს ქართლში, კახეთში, მთაში თუ ბარში. რახან თითონ ვეღარ მოუხდა გამგზავრება, დაავალა ნოდარ ჯორჯაძეს, დაუყოვნებლივ გადასულიყო კლდეკარით სახონთქროში და მოემხრო იქაური მმართველნი, რომ დახმარება გაეწიათ ქართველთათვის სპარსთან ბრძოლაში.

– უკეთეს დროს ვერ იპოვის ხონთქარი სისხლის ასაღებად, ბაღდადის დასაბრუნებლად და ქართველთ ნდობის მოსაპოებლად.

ნოდარს უნდა შეეგულიანებინა თეიმურაზი, რომ ის ოსმალთა დახმარებით ამოძრავებულიყო ოლთისიდან სპარსთ წინააღმდეგ.

– თუ ამას მოახერხებს, მაშინ ყეინი თითონ ვეღარ ჩაუდგება საქართველოზე მომავალ ლაშქარს და ეს სახიერო იქნება ჩვენთვის: ირანში ამჟამად შაჰ-აბაზზედ უკეთესი სარდალი არ მოიპოვება.

– მეც გამიგონია, პირველიაო ბრძოლის ველზედ მოსაზრებაში.

– თეიმურაზი ამნაირ მოქმედებით დაარწმუნებს სულთანს, რომ აიღო ხელი რუსეთზედ და თვის იმედებს ამყარებს მხოლოდ ოსმალეთზედ. ჩვენთვის აუცილებელია ოსმალთ დახმარება: რუსეთი შორს არის და არცა სცალიან: საშიშიც არის: ჩანთქმა სწადიან. ხონთქარი მხოლოდ გავლენას ეძებს საქართველოზედ.

აღათანგ ხერხეულიძეს უბრძანა უმთავრესი მეთვალყურობა მთელ ქართველთ ლაშქარზედ. მას უნდა ეთვალიერებინა ლაშქრის ნაწილები და მათი შემზადებულობა. რიგზედ და მწყობრად მიდიოდა ყველაფერი. მხოლოდ თეიმურაზის შესახებ არ ეთანხმებოდნენ დიდებულნი. იმ საგანზედ ჯერ კახეთში ჰქონდათ ბჭობა ასლანიშვილისას. ჰაზრის ამმოძრავებელი იყო ნოდარ ჯორჯაძე. დაასკვნეს, მოეწვიათ თეიმურაზ კახეთში. ისიც აფიქრებდათ, ვინ უნდა დაესვათ ქართლში მეფედ. ეხლა გიორგი რომ აპირებდა თეიმურაზის ამხედრებას სპარსთ წინააღმდეგ, ეს ჰაზრი იმ დაფარული შიშის შედეგი ეჩვენათ, არ დაბრუნდესო კახთ მეფე, არ ჩამომართვას ბატონობაო.

ნოდარმა გზა-გზა ინახულა მოწინავენი და იგინი ამ ჰაზრს დაადგნენ: იშორებს გიორგი თეიმურაზს; ეშინიან მისი დაბრუნებისა: ჰსურს უფრო მძლავრად მოიკრიფოს სადავეები და მერმე აასრულოს ხალხის ცხადი ნება, თავისი სურვილი საიდუმლო: დასჯდეს მეფედ საქართველოსი. დაასკვნეს, უყოვნებლად მოეწვივნათ კახთა ბატონი.

– თუ არა, ეხლა გიორგის მეფის ადგილი უჭირავს და ერთი ნაბიჯიღა აკლია, რომ სააკაძე დაენაცვლოს ბაგრატიონებს.

– თუ ქართლში განაცხადეს მეფედ, კახეთიც მიემხრობა; იქნებ იმერეთიც გამოჰყვეს: დიადი ხმა აქვს მოურავს ლიხთ იქითაცა, მაშინ...

– უნდა გამოვეთხოვოთ ჩვენს ბატონობას: ის დაუძინებელი მტერია ჩვენი, ისწრაფვის მოგვსპოს. ცხადად ქადაგებს: მხოლოდ ხალხი და მეფე მათი ამორჩეული! კაცისგან კაცი მარტოოდენ თვის უნარით ირჩეოდესო.

– როგორც მთაშია: ვერ დაემყნო იქ ბატონყმობა.

– თუნდა მეფედ არ აკურთხონ, შეიძლება აღიარონ ქართლის მმართველად, სანამ შესძლებს მისი დისწული მეფობის ტვირთვას.

– ის უკვალოდ დაიკარგა, ალბათ დაღუპეს.

– ვინ იცის ეგა?! შეიძლება არსებობს სადმე და ჟამს ელიან მისი მომხრენი.

– ჭკვას ახლოა! თუ თეიმურაზ არ ეუფლა თვის სამკვიდრებელს, სამუდამოდ დაჰკარგავს იმას.

– ქართლის ტახტიც მასვე ეკუთვნის, ვით ბაგრატიონს.

– უნდა შეერთდეს ქართლ-კახეთი ერთ სამფლობელოდ.

დაავალეს ნოდარს უსათუოდ წამოეყვანა თეიმურაზ, რომ კვლავ დაემკვიდრებინათ კახეთში და მიეზღვნათ ქართლის გვირგვინი.

13

საგულისხმოა პირობები, რომელიც დაუდვეს ქართლის ტახტზედ მოწვეულ კახთბატონს:

ქართლის დიდებულნი შეადგენდნენ საბჭოს მეფისას და იგი სახელმწიფოს განმგებაში კითხული უნდა ყოფილიყო მათი.

მეფეს უფლება არა ჰქონდა დაეწყო ომი ან შეეკრა ზავი საბჭოს დაუკითხავად.

ქართლელთ ლაშქარს არ უნდა ებრძოლა ქართლის გარეშე, თუ ნებას არ დართობდა საბჭო.

ქართლის ხაზინა გაცალკევებული უნდა დარჩენილიყო და მის ხარჯვა საბჭოს თანხმობით უნდა მომხდარიყო.

თეიმურაზ უნდა ხსენებულიყო მეფედ ჯერ ქართლისად და მერმე კახეთისა.

ქართლის ფარგლებში ღირსების ახდის და მამულის ჩამორთმევის უფლება აქვს მეფეს მხოლოდ საბჭოს თანხმობით.

გუჯარში ჩამოთვლილნი არიან ის მფლობელნი, რომელნი შეადგენენ მეფის საბჭოს. ეს დადგენილება აცნობეს გიორგის, რომ დასთანხმებოდა და გაეცა სათანადო განკარგულება. ეწყინა გიორგის და მით უფრო, რომ თეიმურაზ პირადი მტერი იყო მისი: წილი ედვა იმ დევნაში, რომლის გამო გიორგი იძულებული შეიქმნა მეორედ გახიზნულიყო ქართლიდან, შაჰ-აბაზის საქართველოდან დაბრუნების შემდეგ. დაფიქრდა მძიმედ:

– თეიმურაზს რუსეთისკენ უჭირავს თვალი, საქართველოს კი უჯობს აწ ოსმალთ დაეყრდნოს, რა კი სპარსმა ვერ შეიგნო კარგ მეზობლობის ღირებულობა. ოსმალი ვერ იმძლავრებს ჩვენს შინაურს საქმეში და ვერც დაგვანთქობს, როგორც ვერ ჩანთქა ლიხთ იმერნი, თუმც ძალა აქვს იქ. არც ვარგა თეიმურაზ ამ წუთში მეფედ: მოინდომებს მოქმედ ლაშქრის წინამძღოლობას. ძალა კი არ აქვს: თანაც ძრწის შაჰ-აბაზის წინ, მის სახელის გაგონებაზედ.

კახთბატონის მოწვევის ძლიერ მომხრედ ზურაბ ერისთავი გამოსულიყო: წერილსაც სწერდა სიძე გიორგის, ბრძნულს უწოდებდა ქართლ-კახეთის შეერთებას ერთ მეფის ხელში განსაცდელის ჟამს.

– საერთო ძალით დავამხობთ ჩვენ სპარსთ ქედმაღლობას. სისხლსაც ავიღებთ შენ – შენის შვილის და მე – მეუღლის, რომლის სადარი ხელმწიფის სახლში თუ იპოვების, – სწერდა გიორგის.

იგრძნო სააკაძემ ზურაბის დაფარული ჰაზრი.

– თვალი უჭირავს მეფის ასულზედ. ჰსურს გამახსენოს თან ჩემი აღთქმა. ავუსრულებ! მაგრამ... თუ მეტსა ფიქრობს, თუ სხვასა ჰხედავს უმემკვიდრო ხელმწიფესთან დამოყვრებაში, მაშინ... ეჰ, ვერ იცნობ, ზურაბ, შენ თეიმურაზს! – გაიფიქრა გიორგიმ

და განაგრძო:

– ეხლა ყოველივე უნდა დავსთმო და ყველას შეუფერო, რომ შევკრიბო საქართველო ძნელ ბრძოლისათვის. მოდის ირანი განრისხებულ მეფის ბრძანებით და ფიქრი მხოლოდ შეიძლება ძლიერ ხმალზედ, მეომართ რიცხვზედ.

დაასკვნა:

– რა გაეწყობა! ისევ სჯობს ჩავყვე: კახთა ბატონს მიუტანო ოქროს ლანგრით ქართლის გვირგვინი.

აასრულა. დაემორჩილა. აკურთხეს მეფედ თეიმურაზ. გარდიხადეს ნადიმ-ზეიმი. უკეთეს ქეიფს ჰპირდებოდა უხვი მეფე ომების შემდეგ. რომ თვალსაჩინო გაეხადნა დიდ მოურავს გულსავსეობა, ზღვენი მიართვა, რომ სიუხვით გააკვირვა წარჩინებულნი.

14

ძალიან ნაამები დარჩა თეიმურაზ: გადამწყვეტ ნაბიჯად მიაჩნდა ქართლ-კახეთის შეერთება თავის სკიპტრის ქვეშ იმ მიზნის მისახწევად, რომელს ეტრფოდა თვის სიცოცხლეში.

– ეხლა შემიძლიან წარვსდგე რუსთ ხელმწიფის წინ, კახთ ბატონის სახელითაც, როგორც ზეგარდმო ცხებული ქართლის მეფეც. ეხლა ჩემს თხოვნას, რომ მიიღოს საქართველო მფარველობის ქვეშ, მეტი ძალა ექმნება: რუსთ ხელმწიფისათვის დიდად სახარბიელო უნდა იყოს, ჩაიბაროს მთელი სამეფო უბრძოლველად და უჭირველად. უარს ვერ მეტყვის!

გვირგვინის კურთხევის შემდეგ მისი პირველი საზრუნველი იყო, ელჩები გაეგზავნა მყინვარეთის კეისართან, გაემეორებინა თავის სახვეწნი. სწერდა:

...ერისა და მეთაურთა თხოვნით ვინებე შემომეერთებინა მთელი ქართლი ჩემ სამფლობელო კახეთთან. კვლავ გთხოვ, მიიღო მთელი ჩემი სამფლობელო მფარველობის ქვეშ! დაუყოვნებლივ უნდა იქმნას გამოგზავნილი ჯარი და ზარბაზნები: მოდის ჩვენზედ განძვინებული შაჰ-აბაზი, რომელმაც მოსპო დედაი ჩემი და მემკვიდრენი; ჰსურს დაიმონოს ჩვენი ქვეყანა, წარხოცოს კვალიც ქრისტიანობის. ჩემის ხელით ჩავკეტავო რუსეთის გზებსა!

პირადაც დაავალა ელჩებს, ვარდენ ვაჩნაძეს, ამირინდო ამირეჯიბს და თეოდოსე სამთავნელს, განემარტათ იქ, რა მარჯვე დრო იყო მოშველებისთვის და რა ძნელი იქმნებოდა საქართველოში გადმოსვლა შემდეგ, როცა დაიბყრობდა მას ყეინი.

დარწმუნებული იყო, მსწრაფლ ეახლებოდა ჩრდილოეთიდან მაშველი ჯარი, მხოლოდ ეფიქრებოდა, იგი ლაშქარი არ დაებრკოლებინათ მთიელთ: იცოდა, შესძლებდნენ, არ გადმოეშვათ რუსის ჯარი ლომეკის ხევით. ამისთვის იყო, რომ მეტად დაიახლოვა მეფემ ზურაბ ერისთავი, მფლობელი ამ საშიში გზისა. თეიმურაზის მამობრივ ზრუნვას სიამტკბილობით უპასუხებდა მორჩილი შვილი; მოკრძალების ქურქით წამდგარიყო ამაყი მის წინ, ლმობიერების ხატად მორთული. ცდილობდა თავისი ქცევით მოესყიდნა მეფე და თანაც მიექცია ყურადღება მისის ქალისა, რომ შესაძლო შექმნილიყო გადაჭრილის თქმა. თეიმურაზ ჰხედავდა მას, მის მისწრაფებას და ჯერჯერობით ხელზედ იხვევდა. ქალს თვალი მოსჭრა მის ახოვნობამ და თუმც ამაყად ეჭირა თავი, მაინც არჩევდა იმას სხვათგან, შიგადაშიგ შეჰხედავდა მოწყალე თვალით.

გაბედა ზურაბ: დავედრა სააკაძეს შუამავლობა. მეტად ეძნელებოდა ეს გიორგის, მაგრამ ჟამი არ უთხრობდა, უარი ეთქვა; თავისი აღთქმაც კარგად ახსოვდა და ეახლა თეიმურაზს, განუცხადა მას სათხოვარი. მეფე შეშფოთდა, იუკადრისა: მას თვალი ეჭირა უფლისწულ ბარამზედ. ის ჰსურდა სიძედ და თვის მემკვიდრედ. თავი შეიმაგრა, არ დაიჩნია წყენა: არ შეიძლებოდა გაენაწყენებინა ღამაზ დევი, რომელს ეჭირა ერთადერთი გზა, საიდანაც მოელოდდა მეფე მეშველთა. ყოყმანის შემდეგ დათანხმდა იგი, მხოლოდ კი წარსთქვა:

– კვართი ხამისა და ისიც მოკლე! ქვეშევრდომი მბყრობელის სიძედ და ისიც ბუში!

არ დაიმალა ეს სიტყვა მეფის, მიახწია ზურაბამდინა. მაგრამ ძალა ვერ მიიტანა: დიდებულმა შთანთქა სიმწარე, ოღონდ სწევოდა ზეაღმატებას. ინუგეშა თავი ძველი სიტყვით, უეკლოდ ვარდი ვის უკრეფიაო.

15

ჩამოვიდნენ კრწანისს მთიელნი, რომ მიეთხროთ, როგორ აასრულეს მისი ბრძანება ლაშქრის შეკრეფის შესახებ, ან რა ჰაზრს დაადგა მთა ამ განსაცდელში. სააკაძემ პატივით მიიღო ისინი. ექვსიოდ კაცი იყო და მათ შორის გუდანის განდეგილი მანგია, იახსრის დეკანოზი ალდია, თუში რაინდი თუღუშაშვილი.

გიორგიმ ბინა მიუჩინა მოსულთ, უბრძანა მსახურთ, მოჰხმარებოდნენ. მეორე დღეს მოითხოვეს დესპანებმა, ნება მიეცა მოლაპარაკებისა. შეიწვია დარბაზში. გაუკვირდათ, როცა მისი სადგომი უბრალოდ ჰნახეს მოწყობილი: ტახტი ფარდაგ გადაფარებული; ხის სკამები; დედაბოძზედ მის ბეგთარი და იარაღი. ეგონათ, ერისთავის დარბაზივით იქმნებოდა მოწყობილი ხალ-ორხოებით. მძიმე ფარჩის სასთუნლებით, ვერცხლეულობით. ისიც ეუცხოვათ, რომ დარბაზში ხალხი თავისუფლად შად-გადიოდა, ესაუბრებოდნენ მბრძანებელს, როგორც ამხანაგს.

– შევნაყრდეთ, პური გავსტეხოთ ერთად და მემრე ვისაუბროთ სახელმწიფო საქმეზედ. რჩევას რასმე მომცემთ გამოცდილები.

– დიდი მადლობა, ბატონო მოურავო! სათქმელი გვაქვს შენთან, ხალხის დანაბარები.

გაშალეს სუფრა. მოართვეს სანოვაგე. უბრალო საჭმელი იყო: ცხვარი დაეკლათ და მოეხარშათ თუ შეეწოთ. ჩამოარიგეს არაყი. მოჰყვა ღვინო. მსუბუქად სჭამდა. ორი-სამი ყანწიღა დალია. მუსაიფის დროს დამკვირვებელ თვალს ადევნებდა მესაუბრესა. ცოტას იტყოდა. როცა შენაყრდნენ, მოისურვეს საქმეზედ სიტყვა.

– მოვილაპარაკოთ. მითხარით დაბარებული. გეტყვით ჩემს სათქმელს. უნდა ვიცოდეთ, რას ვესწრაფით, როგორ ვაპირობთ საწაღმართო საქმის კეთებას.

– ჰაი, ჰაი უნდა ვიცოდეთ, მაგრამ... – სიტყვა აღარ დაათავა ალდიამ, მიიხედ-მოიხედა.

– მაგრამ აქ ფეხია არეული და ვერ შევსძლებთ სმენას გულდასმით, ვერც თქმას გულახდით. ცალკე გავიდეთ! – გაიწვია გიორგიმ.

დესპანებს უამათ, რომ მიუხვდა მასპინძელი და აღარ დასჭირდათ, თითონ მოეთხოვათ განცალკევება.

– თქვით მთისგან დაბარებული, რომ მოვისმინო და დავსდვა მსჯავრი!

– გეტყვით. მოისმინე გულდადებით! შენს პასუხზედ არის დამოკიდებული ქვეყნის ბედი, შენს ხელთ არის საქართველოს გადარჩენა და მთის დაწყნარებაც, – წარსთქვა მანგიამ

და სიტყვა დაუთმო ალდიას. იმან გამოიღო ჩიბუხი პირიდან, დაბერტყა ხელის ყუაზედ; ახალი წეკო დააყარა, დატკეპნა ცერით და:

– თემნი შევყარეთ, ვუთხარით შენი ბრძანება. მართალსა გვწერ: უბრალო ომი არ მოგველის; ან საქართველო უნდა მოისპოს, ან ყიზილბაშმა სამუდამოდ აიღოს ხელი ჩვენზედ; საბედისწერო ბრძოლაა ეს.

– ნამდვილ!

– ამ განწირულ ომში საჭიროა ხატისაგან დალოცვილი სარდალი დიდი. ამისთანა წინამძღვარს აღარ უნდა ჰყვანდეს სხვა მბრძანებელი, ხელის შემშლელი.

– ოღონდაც!

– ხალხს ჰსურს და ხატსაც: შენ უნდა იყო მთავარსარდლად და მბრძანებლადაც: სხვას ვერ დავემორჩილებით! – დაათავა ალდიამ

და დაადვა ყალიონს ცეცხლი. სდუმდა გიორგი.

– ფშავ-თუშ-ხევსურთ ექვსასი ხმალი შემოგწირეს. ლაშარის საბატონოში გროვდება ჯარი. ქუდზედ კაცი გამოვალთ, თუ შენ გვეყოლები მეფე ბატონად! თუ არა, ზურაბი მოიტანს ძალას და დახვედრა გვმართებს, – განაგრძო ალდიამ.

სდუმდა გიორგი.

– ნუგზარივით ებრძვის მთას ზურაბ: ჰსურს დაიმონოს, როგორც დაიბყრეს ბატონებმა ბარი ქვეყანა. მეფის სიძე გამხდარა იგი, საბოროტოდ შეიძენს ძალას. ჩავიხოცებით, ვერ კი ვეყმობით! შენს ხელში ბარიც ითავისუფლებს. გაგვიგია ჩვენ შენი სიტყვა: ხალხი თანაბრად და მხოლოდ მეფე! ამად გდევნიან ბარის ბატონნი. გამჩენელს შენთვის მოუნდვია სამშობლოს დაცვა, შენვე უნდა გამშვენებდეს ხმალი სამეფო!

– მებრძოლი ხატი გუდანისა შენთან იქმნება და გაგიმარჯვებს!

– ხალხის ნებაა, და ერის ხმა ღვთის ხმად მოისმის.

სდუმდნენ ყველანი. სააკაძე ჩაფიქრებული. იცოდა, უარი უნდა ეთქვა სიტყვაზედ. მათ თქმამ მოაგონა ესეთივე რჩევა გოდერძის. რომ ეთქვა რამე და დრო მოეგო, შეეკითხა:

– გოდერძი მოიხმეთ საბჭოში? სად არის ეხლა?

– გოდერძს არ უნდა მოხმობა იქ, სადაც რაიმ ძლიერი საკითხია საქართველოს შესახებ: ხატი ეტყვის და იქ გაჩნდება. მოვიდა, როცა შენზედ ვუბნობდით. გვითხრა: სხვა ვერაფერი გვიხსნის და ვერავინო. სად არის ეხლა, ეს არვინ იცის! ის ყველგან არის და თანაც არსად!

– გვიბრძანე, ბატონო გიორგი!

– მე ხმლის კაცი ვარ, ბრძოლის ბატონი. არას დავზოგავ ხალხისათვის, არც ჩემს სიცოცხლეს. ბაგრატიონთ... ვერ მოვხდი გვირგვინს ზეცით ნაბოძებს!

– გამჩენელმა თვით განწირნა ბაგრატიონნი: ღმერთს უღალატეს და დათათრდნენ; ხალხს უღალატეს, რუსს აძლევენ მას ჩასანთქმელად.

– დაძარით ლაშქარი! ეს დიდი ბრძოლა მაინც ჩემ წინამძღვრობით ჩაივლის.

16

სააკაძე რომ ამზადებდა ქართველებს საბედისწერო ბრძოლისთვის, შაჰ-აბაზიც იძულებული შეიქმნა მთელი თავისი ძალა ფეხზედ დაეყენებინა. განდგომის ამბავი მალე ჩაუვიდა მას: თეირანამდინ მსწრაფლმსრბოლთა მწკრივი იყო გაბმული, მანძილ-მანძილ შეკაზმული მზა ცხენი ედგათ, რომ მოამბეს დრო არ ეკარგა. მოახსენეს ყეინს:

– ყორჩი-ხანი, მასთან მყოფი სარდლები და ჯარი ჩახოცა სააკაძემ!

– ვერ ყოფილა ყორჩი ფრთხილად, დაუღუპავს თავისი თავი, ჩემი მხედრობა. საკმაო ჯარი მყავს იქ: ფეიქარ-ხანი სისხლს აიღებს, გაუმკლავდება.

კვლავ:

– ალყა შემოურტყავს დიდმოურავს ნარიყალასთვის. სვიმონ მეფე ცოლით, ამალით გამოლტოლვილა.

– შურის ციხეს ვერ აიღებენ. სვიმონ მეფე მხდალი ყოფილა.

კიდევ:

– გადარჩენილა ფეიქარ-ხან, მცირე ჯარით გამოუსწვრია,

– ჰა, ჰა, ჰა! გადარჩენილა!

თანდათან ფართოვდებოდა სპარსთ უბედობის ამბავი საქართველოში და ღრმავდებოდა ყეინის გულისწყრომა.

– საქართველო ემონოს ირანს, ან ამოიფხვრას! სხვა სავალი არავითარი! ჩემს ჯარს თითონ ჩავუდგები ქართველთ სასპობლად!

ბრძანა:

– მოჰკვეთეთ თავი გიორგის შვილს, შემურვილი გაუგზავნეთ ჯილდოდ გმირობის!

ტაგრუცით გამოუგზავნეს ძვირფას ქსოვილებში გახვეული პაატას თავი.

– მოღალატე ზურაბის ცოლი... ცოდვაა ხმალი დედაკაცისთვის. საჩუქრად იგი აბდულ-რიზას: არაბთ სამზღვარზედ კარგ ხმალს იქნევს ჩემ სადიდებლად.

მსწრაფლ აასრულეს. მოახსენეს:

– ფეიქარ-ხან უკვე გეახლა. სწყურის, წარმოსდგეს ბრწყინვალე თვალთ წინ.

– მოიყვათ!

განერთხო მიწას მთავარსარდალი. ყეინი გესლიანი ღიმილით დაჰყურებდა დამდაბლებულს.

– სთქვი!

– ღალატი, მზის შვილო! სააკაძე...

– ღალატი შენგან, თუ გიორგისგან?

– ღამით დაგვესხა და...

– და მოგსპოთ ერთი მუჭა ხალხით... შეუდარებელი ჩაფარი ყოფილხართ: ერთის ფეხით ჩამოგასწრო ჩემმა შათირმა.

მიუბრუნდა ხელისუფალს:

– ჩამოერთვას ყოვლი უფლება და ქონება! მიენიჭოს შათირობა მებრძოლ ლაშქარში!

რამდენიმე დღის შემდეგ ჩაახწია სვიმონმაც. შაჰმა დარბაზში მიიღო კრებულთა შორის.

უბრძანა მისალმებაზედ:

– ჯილდოს ღირსი ხარ: საარაკო ბრძოლა გარდაგიხდია და ისე მარჯვედ, არც ერთი ჭრილობა არ მიგიღია!

ანიშნა, მოჰშორებოდა თვალთაგან. მსწრაფლ უჩინარ ჰყვეს. არეულ თვალებში შეატყეს, რომ ერთი წამიც და მისი აცეცხლებული რისხვა გადმოენთხეოდა, ჩაჰბუგავდა მისულსაც, სხვებსაც.

– ქართველთაგან შემდგარი ჩემი პირადი რაზმი გაგზავნილ იქმნას არაბთ საბრძოლველად!

მოუვიდა ამბები შემდეგ: სააკაძეს მოუწვევია ოსმალნი დამხმარებლებად; თეიმურაზ ქართლშიც გაუმეფებია; დიარ-ბექირში ამოძრავდა ოსმალთ ჯარი ქართველებთან შეერთებული.

ამ ამბებმა მეტად შეაფიქრიანეს შაჰი. ხონთქრის აშლა ეხლა ძნელი იყო და სახიფათო. ოსმალი თითონ აპირობდა შემოსევას და სპარსთ აღხოცას; სააკაძე მხოლოდ იცავდა საქართველოს და არ გაჰბედავდა სპარსეთის სამზღვრის გადმოლახვას და მაშ...

– არა, არ შეიძლება ჩემი წასვლა საქართველოზედ! აქ უნდა ვიყო, რომ ავლაგმო ხონთქრის ძალები. საქართველოს აქადანვე დავსცე ჰოროლი. შესძლებს ამას დიდი ირანი!

17

ბრძანა და ყოველივე კუთხიდან მისის საბრძანებლისა დაიძრა ჯარი. რაზმი რაზმზედ მოდიოდა შირვანისაკენ: იქ განაწესა იმ ჯართ საკრები, რომ დიოდა დასასჯელად საქართველოსი.

მთელი ლაშქრის მთავარსარდლად ბრძანა ისა-ხან ყორჩიბაში, განთქმული მბრძოლი ძალიან ფრთხილი. სანდო იყო: შაჰის ქალი ჰყვანდა მეუღლედ. თანამებრძოლ სარდლებად ბრძანა ერევნელი ამირ-გური, თავრიზელი შაჰ-ბად და ყაზახელი მირ-თოდი.

ლაშქარს ქართველნიც გამოაყოლა განსაზღვრულ ჰაზრით: ხოსრო მირზა უჩვენებდა, რომ ყეინს არ ჰსურდა მოესპო საქართველოს თვითარსებობა, შეედუღებინა იგი სპარსეთთან; როსტომ სააკაძეს მოსვლა ამტკიცებდა, რომ შაჰს გული ქართველებზედ არ აეყარნა; სდევდა მხოლოდ მათ, რომელთ უარყვეს სპარსთა კავშირი და მეგობრობა.

ყეინს მაინც აღონებდა: ლაშქრობა სხვისთვის უნდა მიენდო, გამოცდილისთვის, მაგრამ რომელი ვერ ესწორებოდა გიორგის; იამებოდა, თვით შეჰბმოდა გურჯს. სხვა გზა არ იყო! როცა ისტუმრებდა ყორჩი-ბაშს, დაავალა ყოველივე ღონისძიება ეხმარა, ხელში ჩაეგდო გიორგი და თეიმურაზ, გაეგზავნა მისთვის.

– ცოცხლები, რომ დაბადების დღე ვაწყევლინო! მიმიძღვთის ღვაწლი იმ ორთ წინაშე: თეიმურაზ ჩემგან არის გამეფებული, ხოლო გიორგი შევიფარე მტრისგან დევნილი და დიდებით დავაბრუნე თვის სამშობლოში.

– ღვთის შვილო! ვიცნობ გიორგის და ვიცოდი მისი გულისთქმა: არ გადგებოდა, ღალატს გულში არ გაივლებდა. თუ საქართველო სპარსთ მფარველობის ქვეშ უმცროს ძმად დარჩებოდა ირანისა, ქართველნი არ მიიქცეოდნენ მყინვარეთისკენ. შენი ჰაზრიც ესეთი იყო.

– შემდეგ?

– და ჰრისხდებოდი გურჯისტანზედ, როს იხრებოდა ის რუსისაკენ. დაატრიალეს ბოროტება შენმა სარდლებმა: შენ დაავალე რუსთა გზის შეკვრა, იმათ დაიწყეს ქართველთა ჟლეტა. ვერ მოითმენდა ამას გიორგი!

– მისთვის მომწონხარ, პირდაპირ ჰბედავ! წინადვე დამარწმუნეს გიორგის ღალატში. ვუბრძანე, მკაცრად ედევნებინათ მისთვის თვალი და მოესპოთ, თუ ჰნახავდნენ მის ორგულობას.

– სძულთ სააკაძე დიდებულებს, ჰშურთ შენგან მისი განდიდება და გულს გიმღვრევენ. არ შეეძლო შენი ღალატი, თუ...

– მიღალატა!

– ვხედავ! დასკვნილია მისი სიკვდილი. მაინცა ვნანობ, რომ მომხრე მტრად მოვიკიდეთ.

– მოისპნენ ჩვენი უარმყოფელნი! დაიჭირე ლომეკის ხევი! ჩემი დროშა ფრიალებდეს არშის ციხეზედ!

წამოვიდა ღვარისავით სპარსთა ლაშქარი. წაჰლექავდა თვის ტალღებ ქვეშ მთელ საქართველოს. მრავალსახე მტერი უთვლელი! ქვეითნი თუ ცხენოსანნი; არაბთ

ჯარი აქლემს ამსხდარი; ზარბაზნები, ზამბულაკები. ტალღა-ტალღა ჰოროლთ წვერები. ძრწოდა ქართველი.

– ღმერთო, გვიშველე!

მებრძოლ ხატსაც ქართველთაგან პირი ექცია.

– ვინღა გვიხსნის განწირულებს განსაცდელისგან!

– ნუ შეძრწუნდებით! ბასრი არის გიორგის ხმალი და უძლეველი.

– ვაჰ, თუ შურმა უბყროს ხელი ჩვენს თეთრ გიორგის და გადუფშვნიტოს ხმალი უტეხი!

18

სწრაფად ვერ წამოვიდა საქართველოზედ სპარსთა ლაშქარი: შაჰ-აბაზს უნდა გაემტკიცებინა თვისი სამზღვრები ხონთქრის მხრისაკენ, რომელს დაესკვნა, ესარგებლნა გარემოებით და დაებრუნებინა სპარსთა მიერ წართმეული ადგილები, აღედგინა იარაღის სიძლიერის ხმა.

სპარსთ ორ სამზღვარზედ უხდებოდათ ბრძოლა. ოსმალთ სამზღვარი უფრო საფიქრობლად მიაჩნდათ: აქადან მტერი თითონ მოდიოდა: ამის გამო უპირველესად ზრუნავდა იმ ლაშქარზედ, სათავეშიც თითონ ჩაუდგა. საქართველოს თითონ უნდა შეჰსეოდა და მაშ დროის განსაზღვრა მის ხელთ იყო.

– ორივე მხარეს მძლავრად შებრძოლება, რომ გატყდნენ ერთხელ სამუდამოდ, ვეღარ გასწორდებიან! – იტყოდა ყეინი

და ცდილობდა, მეტი ლაშქარი შეეკრიბა ორსავ სამზღვარზედ, უკეთესად შემზადებული. ამან მეტი დრო მისცა გიორგის, მომზადებულიყო დასახვედრად. არა ჰზოგავდა ღვაწლს. თუ მის ხელთ ყოფილიყო ყველაფერი, უკეთესად მოემზადებოდა, მაგრამ თვითყვარებამ იჩინა თავი და შეაბრკოლა.

თეიმურაზის მოწვევა ორივ სამეფოზედ არ მოსწონდა გიორგის: ერთი – ჩრდილოეთის მოტრფიალე, მეორე – დარწმუნებული ამ გზის უვარგისობაში. თავადებს ეხლა მეფის კალთა ეჭირათ. ძალას ატანდა გიორგი თავის თავს, რომ ერთობა არ დარღვეულიყო. მის მტრებს მაინც ეშინოდათ სააკაძისა.

– თუ შერჩა მას ეს დიდი ძალა, ღმერთმა უწყის, სადამდინ მივა.

– იქნებ ხელიც გაიწოდოს გვირგვინისაკენ.

– მაშინ აღარ გვედგომილება: ააზავთებს გლეხკაცობას, გაგვანადგურებს.

– დაიახლოვა მეტად მთიელნი. თუ აპირობს თვის დიდების მათზედ დაყრდნობას.

– აპირობდა, მაგრამ წაუხდა: მეფის წინაშე მონაღაა, მხოლოდ მებრძოლი.

– თეიმურაზს სძულს კიდეც იგი.

– იქნებ კიდეც ჰშურს მის მძლე მარჯვენა.

– თუნდ ეგრე იყოს! ჩვენთვის მხოლოდ ის არის კარგი, რომ შეჰზღუდავს მის მნიშვნელობას და ჩვენი საბჭო იპირველებს მათ ორივეზედ.

გიორგი იძულებული იყო თვალნი დაემწუხნა იმათ შესახებ და ყურნი მოეყრუებინა. განსაცდელის დროს ერთსა ფიქრობდა: მტკიცედ დახვედრას. სპარსთ ჰმეგობრობდნენ, თვით ყეინთან კავშირს იჭერდნენ, რომ განკითხვის დროს ასცდენოდნენ რკინის უღელსა. იცოდა გიორგიმ, იცნობდა ის მოღალატეებს; დრო არ იყო მათის დასჯის, ძალთ დაქსაქსვისა.

ზურაბის ზვიადობა და გულისთქმებიც უძნელებდნენ ყოფას: მეფის გვართან დამოყვრებას ესწრაფებოდა და ბრძოლაში დახმარებას პირად საქმეს უკავშირებდა.

რას იზამდა მისი სიძე?! თავს უნდა ედვა შუაკაცობა. კეთილად დაუთავდა: ქალს მოეწონა ბრგე ვაჟკაცი, უარი არ ჰყო. მეფედ კურთხევის გამო ზეიმს მოჰყვა ქორწილი და ნადირობა. იშვებდა მეფე და დიდკაცობა, როცა წუთიც მეტად ჰღირდა მოზღვავებულ ბოროტების წინ.

იცოდა ყეინმა, რა ხდებოდა საქართველოში და უამა, რომ მოახსენეს, თეიმურაზ ნადიმ-ნადირობს და ზეიმობსო.

– იმთავითვე ქეიფ-განცხრომა ეხერხება და სიმღერები, – წარსთქვა ყეინმა.

– კიდევ მეტად ეხერხება ბრძოლიდან სრბოლა! – შენიშნა მოხუცმა ზიად-ოღლიმ.

– ჩვენთვის ორივ ხელსაყრელია, – დაათავა შაჰმა.

19

დათავდა საქართველოში გამოსაგზავნ ჯარის გროება. დაიძრა ხალხი. ეს ძლიერება დიდ სახელმწიფოსაც ეყოფოდა დასაომებლად. ნელა მოდიოდა უმთავრესი ძალა. მოშორებით მოზდევდნენ წინ და გვერდებზედ მოძრავი რაზმები, გზებსა ჰზვერავდნენ, დავლურ ომს თუ მოელოდდა ყორჩიბაში, მისთვის ფრთხილობდა.

არა სჩანდა ძალა დამხდომი. უომრად გადმოლახა სამზღვრები; გამოიარა გატეხილ ხიდზედ: უწია ალგეთს. სცადეს გაეგოთ, სად იდგა სააკაძე თავის ლაშქრით, როგორ იყო განწყობილი მისი მხედრობა. ვერ გაუმარჯვდათ: მზვერავები ვერ გადმოსცდნენ ალგეთის ხევსა. ჩაჰსაფრებოდნენ, შეეკრათ გზები. საძებნელად გამოსულნი იკარგებოდნენ. შექუჩდა მტერი სარვან, ბაიდარ, შულავერ შუა; მისწვდა ბოლნისსა. ლაშქრის თავმა წაიწია ღოლოვნამდისინ. ყორჩიბაშმა გასცა ბრძანება დაბანაკების. დასცეს კარვები. გაამაგრა ლაშქრის სადგური. მზვერავთ ჯარი წინ წასწია ალგეთამდისინ. გადმოჰხედეს ზე მარაბდას და დაბლა ქოთიშს.

მცხოვრებნი არ დაჰხვდნენ სოფლებში: დაეხიზნათ ფარცხისისკენ თუ ორბეთისკენ. სპარსთ არა სჭიროდათ ბინა და საზრდო: ზაფხული იყო, სურსათი კი მრავლად მოსდევდათ. ქართველნი ჯარნი დაბანაკებულნი იყვნენ კრწანისს, ისანს, დიდუბეს, ვერე-საბურთალოს. ძლიერი ნაწილნი იდგნენ სოღანლუხს, თელეთს, ტაბახმელას, კოჯორს. ეს ჯგუფები უფრო მთიელთაგან შესდგებოდნენ და გზებს იცავდნენ თბილისზედ. განაწესა ცხენოსანნი, რომელნი დიოდნენ მოპირდაპირე ლაშქრებს შორის და სდარაჯობდნენ, რომ უეცრად არ დასხმოდა მტერი, ან სხვა მხრიდან არ გაერკვია გზა თბილისისკენ.

გიორგის ჰაზრადა ჰქონდა, შეჰბმოდა მტერს ქარკაპებში, მთის წავარნებზედ: აქ მათი ძალა ვერ გაიშლებოდა და შედარებით მცირე ჯართან შეჰხვდებოდათ პირისპირ ბრძოლა. ყიზილბაშთ იცოდნენ ეს: თბილისს ახლო ბევრჯერ მოსვლოდათ მარცხი: იდგნენ ბანაკში და ამ ხიფათს თავს არიდებდნენ.

მიიწურა თიბათვე. სპარსთ ლაშქარი არ იძროდა ადგილიდანა. უფროდაუფრო ამაგრებდა იგი თვის ბანაკს. მოთმინება ელეოდა ქართველთ ლაშქარსა. გაისმა ხმები: შევებრძოლოთ, გადავსდგათ ბიჯი, მატულობდა ესეთი სიტყვა. ჩააფიქრა ამან გიორგი: ის ბრძოლას მოელოდდა, სპარსთ შემოტევას, მტერი კი სამშობლოში შემოჭრილი იდგა უძრავად. არას ჰკარგავდა: უზრუნველ იყო; უკან გზა ხსნილი ჰქონდა პურიან ადგილებისკენ; უფროც ძლიერდებოდა: მოსდიოდა სპარსეთიდან ლაშქრის ნაშთები.

– ჩვენი ძლიერება დავლურ ბრძოლაზედ არის დამყარებული, ვიწროებში, ძნელ სავლებზედ შებრძოლებაში; მტერი არ იძვრის; შეუძლებელი გახდა თავსდასხმა. მაგრამ როდემდინ იქნება ბანაკში?! მისი გამოსვლა და დაღუპვა ერთად მოხდება.

– გამოვიტყუოთ სანგრებიდან და...

– ვფიქრობ მაგაზედ. შევაწუხოთ უეცარის იერიშით, თუმცა მეტად ფრთხილობს: სანგრის გადმოღმა წვრილ დასტებს უშვებს.

– მაინც ვსცადოთ ბედი, თორემ ლაშქარს მოეწყინა; ომს თხოულობენ.

– სარდლები და დიდკაცებიც აქეზებენ: მოთმინება დროს დაკარგვა არისო.

– არ ესმით! მიხდომა მეტად დაგვაზარალებს: სიმრავლის გარდა სიმაგრენიც ხელს შეუწყობენ.

– მაშ? – შეეკითხა ბარათაშვილი.

– შენი რაზმი საღამოსთვის მზად უნდა იყოს: წავიდეთ, ვცადოთ!

– არ ეგების შენი წამოსვლა: თუ მარცხი ვნახეთ, დავიღუპებით: ხალხი მხოლოდ შენზედ აყრდნობს თავის იმედებს.

– რა უშავს?! ეს ბრძოლაა; ყოველ წუთში სახიფათო შემთხვევა გველის. სამოციოდე ცხენოსანი გეყოფა.

20

შემოვიდა კაცი:

– ბატონო გიორგი! ორსულ კლდის მხრივ ტყვენი მოჰყავთ შენს გაგზავნილებს.

– ჩემს კაცებს?! მე არავინ გამიგზავნია. დამიძახეთ პაატას!

შემოვიდა ჩივაძე.

– კრწანის მთას ხალხი რაიმ ჩამოჰფენია. მიეგებენით! თუ მახე იყოს დაგებული...

გაემართა მხედართა ჯგუფი. შეხვდნენ. ხუთიოდ შეიარაღებულს მოუდიოდა ყიზილბაშები. იარაღნი აეყარნათ, არ შეებოჭნათ.

– მოგიმწყვდევიათ.

– სათარეშოდ გამოსულიყვნენ.

– ვის რაზმიდან ხართ?

– გოდერძისა.

– იქ იბრძვის იგი? აქ მოელოდნენ.

– თავიდან იქ ვართ.

– ბევრნი?

– რად გვინდა ბევრი?

ტყვენი შეშინდნენ, შექუჩდნენ ერთად. მალე მიხვდნენ, მოსულთაგან ავი არ ელოდდათ და დაწყნარდნენ. გაეხარდა გიორგის. გამოჰკითხა მომყვანებს. მოუწონა მოქმედება.

– დაისვენეთ. წახვალთ დილაზედ.

– დღესვე დავბრუნდებით: არ გვჭირია დასვენება.

– სად გაქვსთ ბანაკი?

– სად უფრო საშიშია. ჩვენ წამოსვლისას გზის გადაჭრას აპირობდა, სპარსეთიდან რომ გაუბავთ თვის ბანაკამდინ.

ტყვეები ადასტურებდნენ, სპარსთა ჯარი თხოულობსო ბანაკით განსვლას, ომის დაწყებას. რაღას ველით, მოვსწყვიტოთო ქართველთ ჯარები. სჩანდა, თუ

ქართველნი კიდევ მოიცდიდნენ, მტერი დაჰკარგავდა მოთმინებას, წამოვიდოდა. დარწმუნდა გიორგი, მისგან რჩეული ბრძოლის გეგმი ერთადერთი იყო ამ შემთხვევაში.

დაადგნენ გზას გიორგი და თანამებრძოლნი. გადიარეს შავ საყდარზედ, გახდნენ ალგეთს, დაათვალიერეს ბანაკი. რამდენჯერმე მეტად ახლოც მივიდნენ. ბარათას უნდოდა, სპარსთა ჯარში შესულიყო მომღერლის სახით: სპარსული კარგად იცოდა, სიმღერა მისი ხელობა იყო. არ გაუშვა გიორგიმ.

– ბევრი ჩვენი ურევია მოსყიდულები, გიცნობენ და...

კიანეთის მახლობლად პატარა ბრძოლა მოუხდათ მნიშვნელოვანი.

– ხედავ, გიორგი, მთავარ ბანაკს ჩამოსცილებია ჯგუფი: სადავლოთ თუ გამოყოფილა.

– ვზომავ! თუ შეიძლება შევიჭრათ ჯგუფში?

– დაიცა! ათიოდე ცხენი გაუშვათ ჭალის პირას მითომ საძოვრად, ცოტა ბიჭი მოუყენოთ. ჩავუსაფრდეთ. შეეხარბებათ, მოტაცებას მოინდომებენ და...

– ხუთიოდემც გამოგზავნონ.

– ვნახოთ!

გაუშვეს ცხენები მაშავრის პირს. საჩინო ადგილს მიუყენეს მწყემსები. გავიდა ხანი და სპარსთ მიაქციეს ყურადღება: მაღლობებზედ ადიოდნენ, ათვალიერებდნენ. გამოუშვეს ცხენებისაკენ მხედართა გუნდი. ნელა დიოდნენ; ალბათ ფრთხილობდნენ. როცა შენიშნეს, რომ მწყემსები აჯგუფებდნენ საქონელს გამოსაქცევად, წამოესწრაფნენ და... მოჰყვნენ ხიფათში: ჩამოყარეს მეკობრენი ჩასაფრებულთა. წამოვიდა მთელი დასტა მოსაშველებლად. აიშალა ქართველობა, დადგა საომრად, შესდგნენ სპარსნი შორიახლოს. გამოვიდა მათი რაინდი ცხენის თამაშით. შუბს აღერებდა. ბრძოლა სწადდა მარტოებული. გაეგება ბარათაანთ ფალავანი ნონიაშვილი. დაუარეს. ყიზილბაშის შუბმა შედრიკა დიმიტრის ფარი. სტყორცნა ისარი ნონიაშვილმა; წვრილთვალმა არ გაუშვა ზრო. საგდებელი შეისროლა მოპირდაპირემ. მიტროს ხმალმა ჰაერშივე გაკვეთა იგი. შეიბნენ ხმლებით.

– ეშხით იბრძვიან!

– აფსუსია მათი სიკვდილი!

შესდგა ყალხზედ სპარსის ჰუნე ხმალით ნავნები. ქართვლის ხმალი დასწვდა ვაჟკაცსაც.

წამოვიდა სპარსთ რაზმიდან სხვა ბუმბერაზი. მარდი რამ ჩანდა. მიეგება ლევან ბაქრაძე. სპარსი დაუხვდა, მაგრამ მალე მოსხლიტა ცხენი. გაეკრა ჰუნეს ლევან ჭაბუკი. ის იყო მისწვდა, რომ თათარმა მოაბრუნა წვრთნილი ტაიჭი და მოჰსხლა თავი მოწევნილ მხედარს. საბრძოლვად წარსდგა ეხლა თითონ ბარათა. მიდიოდა ნელის ნაბიჯით. გამოვიდა იქით მხრიდან გუნდის სარდალი. ბრწყინავდა მზეზედ იარაღი, შეკაზმულობა. ჰოროლთ ძგერება. ხმალთ ნალეწები. როდი ჰკივოდნენ. სცემდა ბარათა დინჯად, ძლიერად. ფიცხობდა სპარსი და მოიღალა. შეატყეს ეს თავისებმა, წამოეშველნენ. ჩავიდნენ ომში ქართველთ მხედარნიც. მალე დამთავრდა ბრძოლა საერთო. ცოტა დარჩათ ქართველთ ტყვეები: ვაჟკაცები ხმალქვეშ სიკვდილს ამჯობინებდნენ. შერჩა ბარათას ტყვედ მათ სარდალი.

– ცოდვაა შენი ტყვედ წაყვანა! განთავისუფლებ. შევხვდებით კიდევ ერთურთს ბრძოლაში.

– არა! სიცოცხლე რომ მომანიჭე, არ ივარგებს ხმლით გარდგიხადო.

მიაბყრო თვალი გიორგის.

– სირცხვლად არ ჩამეთვლება ბრძოლის წაგება: სააკაძე თუ ბარათა თითო ლაშქრად ღირს!

21

სააკაძის და გოდერძის გამარჯვება საარაკო ამბად მოედო ქართველთა ბანაკს და ისეც უძლეველი გმირები ხალხის თვალში ზეკაცად აისახნენ. მათი ქება ეკლად დაესვა ასლანიშვილს. სცადა იმანაც: რჩეულ რაზმით წაესწრაფა სპარსთ ბანაკისკენ. აღათანგი თანა ჰყვებოდა. ჩაჰყვნენ მტკვრის პირსა. მარნეულის მხრიდან დაუახლოვდნენ ურდოებს. გაუღიმა იმათაც ბედმა: გამარჯვებულნი დაბრუნდნენ. მოიტანეს დახოცილთა აბგარ-აბჯარი. თითონაც დაზარალებულიყვნენ: დაჰხოცოდათ ხალხი.

კერძო გამარჯვებებით არ შეიძლებოდა დაკმაყოფილება. დიდკაცობამ ხმა აიმაღლა: მოისურვეს თვით დაჰსხმოდნენ მტერს, მოესპოთ იგი. ამ აზრს ადგა თეიმურაზიც. გიორგი მოცდას თხოულობდა. მას მხარს უჭერდნენ ბარათაშვილი და მანუჩარ ათაბეგი. ხერხს მიჰმართეს მის წინააღმდეგებმა: მეფე გამოაცხადეს მთავარსარდლად.

– საქართველოს მეფე თანაც ამირსპასალარია. ამისთანა დიდი ბრძოლის დროს ვერვინ გადუდგეს იმის უფლებას!

– თეიმურაზ მთავარსარდლად შაჰთან ბრძოლაში. გალტოლვას ჩვეულს შიშის ზარი გულს ჩაჰვარდნია: თრთის აბაზის წინ. ის როგორ შესძლებს ომის განგებას?! – ჰკვირობდა გიორგი.

ამაოღა იყო ფიქრი, უნდა დაჰმორჩილებოდა მეფეს. რახან თეიმურაზი გამოაცხადეს ბრძოლის განმგებლად, ბჭობა გაიმართა. კრება სასახლეში შესდგა. სალაყბო სავსე იყო ხალხით: ელოდნენ გადაწყვეტილებას. დაიჭირა თეიმურაზ თვისი ადგილი. დასხდნენ ბჭეები. მიჰმართა მეფემ:

– მტერი ჩაგვდგომია. შუა სახელმწიფოშია გამაგრებული. შევკრებილვართ მასთან საბრძოლველად. კვლავ ვუცადოთ მტრის წამოსვლას, თუ თავს დავესხნეთ? არ გაძალებთ მბრძანებელი, რჩევასა გკითხავთ მთავარსარდალი!

ჩამოვარდა სიჩუმე. თვალნი მიიქცნენ სააკაძისკენ.

– შენ სთქვი, გიორგი: შენ გეკუთვნის სიტყვა პირველი.

დაფიქრებული იჯდა გიორგი რამდენსამე წუთს, მერმე წამოდგა და მოახსენა:

– იცით ჩემი ჰაზრი: უნდა ვუცადოთ, თუ არ გვინდა ბრძოლის წაგება. სპარსთ ლაშქარი ბევრით მეტია. გაშლილ ომში ძნელი არის მრავალთ დაძლევა. მცირე ჯარი რომ მიჰყუდებს ზურგს სიმაგრეებს, მტრის სიმრავლეს შესძლებს გაუძლოს. სპარსთ უჭირავთ ჯერ შურის ციხე. რომ გავსცდებით აქავრობას, გამოვლენ ციხით, ზურგით კერძო მოგვექცევიან. თუ დავსტოვებთ მათ დარაჯათ ჯარს, შევასუსტებთ ჩვენსა ძალას ისედაც მცირეს. გამაგრებულ ბანაკში სდგას შემოსეული. გარს ქვა-ღორღის გალავანი, ჯებირი, თხრილი. ჩაუხერგავს თვის სადგომი მას გარეშამო. ბევრს დაგვიხოცავს, მანამ შევანგრევთ. მტრის შებრძოლება შეიძლება მარაბდის დასწვრივ. ბრძოლის ველად გარდიქმნება ალგეთის ხევი. ცხელი ადგილი. ბრძოლა მსწრაფლად ვერ გათავდება. დაისიცხება ჯაჭვში მჯდარი მეომარი, დაიტანჯება. ცხელ ქვეყნის მტერი არ შეიმჩნევს სიცხის სიმძაფრეს. თუ ვიძლიენით, ამოგვჟლეტავენ: არსად გვექმნება ჯარის საფარი. გალტოლვილნი ტაშირზედ თუ სალ აღმართზედ ვერსად წაუვლენ. ამადა ვფიქრობ, რომ იქ ჩასვლა ჯარს დაგვიღუპავს.

დაფიქრდა კრებული. თვით მეფესაც ჰაზრიანად ეჩვენა სიტყვა, თუმცა არა ჰსურდა მთქმელის ნდომის გაზიარება.

– ვინ ხართ თანახმა?

– მე გახლავარ, ბატონო მეფევ! ალგეთის ხევში ბრძოლა კი არა, უბრალო ყოფნაც საძნელოა ამ გულ სიცხეში, – სთქვა ბარათა ბარათაშვილმა.

– მეც ვეთანხმები!

– მეც ეგრე ვფიქრობ! – სთქვეს ციციშვილმა და ათაბეგმა.

– გამოცდილება მეტყველებს გიორგის პირით, – დასძინა ქსნელმა.

დიდად უამა სააკაძეს ეს მისი სიტყვა.

– მიბოძე ნება, მოგახსენო, ბატონო მეფევ! – მიჰმარმა ასლანიშვილმა

და დაიწყო:

– სპარსნი მრავლობენ, მაგრამ ომში ჩვენნი სჯობიან. ერთი ათს უდრის. ბევრჯერ დაუმარცხებია ცოტა ქართველს მრავალი მტერი. შურის ციხეში ერთი მუჭა რაზმია. ანგარიშში მოსატანი არ არის იგი. მტრის ბანაკი გამაგრებული... შევანგრევთ სადმე, დავერევით მტერს შექუჩებულს, ვით მგელი ფარას. ბრძოლის ველი იმათთათვის ცხელი იქნება: იმათაც ჰყავთ გრილადგილელნი. ბრძოლის ცეცხლთან არ ღირს ხსენება ქოთიშის სიცხის! მტერი სახლში გვყავს, სირცხვილი ჩვენთვის! ხმალი უსჯულოს! თუ მუჭა რაზმით დიდად ვავნეთ მტერს, მთელის ლაშქრით გავსტეხავთ იმას. ვახსენოთ ღმერთი, დავსძრათ ჯარები.

მიემხრნენ ასლანიშვილს გიორგის მოშურნეები. ბრძანა მეფემ: ყოყმანსა და ფარის შველებას ვამჯობინოთ გულდაგულ მისვლა. მესმის მოურავის სიფრთხილე: ყეინს მაგისი სისხლი სწყურიან და თუ ხელთ იგდო...

ადგილობრივ აილეწა ამირთამირი.

– რომ მე ბრძოლაში თავს არ ვზოგავ, შენც კარგად იცი. არ ვარ ჩვეული ომიდან ლტოლვას. კვლავაც დაგიმტკიცებთ. უჩაფხუტოდ ჩავატარებ მრთელ ამ დიდ ბრძოლას! – სთქვა სააკაძემ

და მრისხანედ მიმოჰხედა მოდარბაზეებს.

22

ნაშუადღევს აიშალა ქართველთ ლაშქარი. მწყობრად დიოდნენ. განზრახვა ჰქონდათ, გარიჟრაჟზედ დასცემოდნენ მტერს. მთავარი ძალა გზატკეცილით მიემართებოდა: წალახური, კუმისი, კოდა. სხვა ნაწილი მთა-მთა დიოდა: სამების ვიწროები, ვაშლოვანი, ერტისბორბალო. გადაჰხედავდნენ შავსაყდრის თავქვეს.

კახელნი შეადგენდნენ მოწინავე ჯარს. ქართლელთ გულს აკლდათ, რომ მეფემ უპირატესობა მაინც კახთ მისცა.

– ასლანიშვილი და ნოდარ აადვილებდნენ მტერზედ მისვლასა და პირველად მათ შეჰშვენისთ, გაიტანონ თავისი ჰაზრი. – იმიზეზებდა მეფე.

შუაღამე გადასული იყო, როცა უმთავრესი ჯარი გაიშალა მარაბდის მინდორზედ. შეუერთდა შავსაყდრიდან მეორე წყობა. ახსენეს ღმერთი. დაეშვნენ თავქვე. ალიონმა შეათეთრა აღმოსავლეთი, რომ გახდნენ ალგეთს.

მტრის ბანაკი მდინარის მარჯვნივ იყო შეფენილი; ძირს ალგეთს ეყრდნობოდა, ზევით – მთას. წინ თხრილი გაეტანათ, მიწა დაეზვინებინათ. ურმებით ჩაეხერგათ. ჯებირები მისდევდა ალგეთის პირსაც. მიწის ზვინებზედ ზარბაზნები, ზამბულაკები. არ მოიწევდა იერიშის მომლოდნელი სპარსთა ლაშქარი. შეკრბნენ სარდალნი მეფის წინაშე. დაასკვნეს, პირდაპირ დასცემოდნენ და შეელეწათ საფარი.

– შიგნით მჭიდროდ არიან. თუ შევედით და დავსძარით წინა მწკრივები, ჩვენთვის ბრძოლა გაადვილდება.

– მკვიდრადა სჩანს გამაგრებული.

ამოირჩიეს, სად დასცემოდნენ. დაუახლოვდნენ. ზარბაზნებმა გრგვინვა დაიწყეს. ბევრი ვერ ავნეს გაფანტულად მიმავალ ლაშქარს. დაფარა ბოლმა არემარე. მივიდნენ თხრილზედ. თოფთა ტრქციალი. იქიდანაც მეთოფენი ტყვიას აყრიდნენ. ჩახტნენ თხრილებში. გადალახეს მიწის ზვინები. ურმებს მიაწყდნენ, დიდრონ ქვებს, ძელებს. ხერგებს იქიდან მოდიოდა ტყვია, ისარი, შურდულის ქვა თუ ხელშუბები. ვერ უდგებოდნენ ქართველნი ახლოს. უბრძოლველად იხოცებოდნენ.

– აქათ, ვაჟკაცნო! მოჰმართეთ ამ მხრივ!

მიაწყდა ჯელგა ერთს ადგილს, გადაამტვრია. გაჩნდა სავალი. შეუხდნენ დუშმანს. ხელჩართული ბრძოლა საზარი! ბევრი ხანი ვერ გასტანა დიად სისხლის ღვრამ: უკუდგა მტერი. გახალვათდა ბრძოლის ადგილი. გადაეშვა ქართველთ დასტა ახალ-ახალი. გაღრმავდა ბრძოლა.

– ჩვენსკენ არის გამარჯვება.

– ღმერთი ჩვენ გვიშველის!

– შემართებით! აბა ძლიერად!

გახელდა ხალხი, ღონე იმატა. აჰრევდა ბანაკს, მტერს გააქცევდა, თუ ბრძოლას ხახე არ ეცვალნა მათ მოულოდნად: მოაწყდა დასტა აქლემზედ მჯდომი. ბრდღვნიდა მხეცი, მკერდით, კბილით ჯგუფებს არღვევდა. არაბნი მაღლით ხელშუბებს თუ ისარს აყრიდნენ. ძნელი ის იყო, ფრთხოდა ცხენი, აქლემს უძრწოდა.

– ნოდარი! ჰარიქათ, ნოდარ ჩამოაგდეს! – შიშის ზარად გავარდა ხმა ქართველთ რაზმებში.

– რაღას ვუყურებთ?! გვიბრძანე, მეფევ!

– აბა მიჰმართე შენებურად, ჩემო გიორგი! ზურაბი ჯერ ჩემს გვერდით დარჩეს: ერთად ჩამოვალთ.

– არა, საცა გიორგი, მეც იმის გვერდზედ! – შესძახა ზურაბ

და გაექანა. აერიდა სააკაძე გატეხილ ადგილს, საითკენ აწ მოიწევდა ქართველთ ჯარი უკვე შემდრკალი; აჰყვა მთხრებლს ზევით და ადვილად გადალახა მტერთა საფარი: ყიზილბაშთა ყურადღება გართულებულ ბრძოლის ადგილს მიმართულიყო. ზურგით კერძო მოექცნენ არაბთ.

– ჰოროლები თითონ აქლემებს!

ხტოდა, ფრთხებოდა, ღრიალებდა დაჭრილი მხეცი. ველარ შესძლო შემართება მისმა მხედარმა. გაიფანტნენ, გადალახეს თავისიანნი. შეუერთდა შემკრთალ ქართველთ გიორგის ჯარი და გული მისცა. შემობრუნდნენ შესამართად, შემოუტიეს. მზე გადიხარა. შეკრთა მტერი, იწყო გალტოლვა. ჩანელდა ბრძოლა. გაჰყარა ბინდმა მებრძოლთ დასტები. სპარსთ ბანაკი დარჩათ ქართველებს. სავსე იყო იქავრობა მოკლულ-დაჭრილით. უპატრონო ცხენ-აქლემი მიმორბენილი. დალეწილი საჭურველი რიყედ გაშლილი.

23

ქართველთ ბრძოლა მოგებული ეგონათ, თითქმის დაწყნარდნენ. ბრძოლის ველზედ დაეყარნენ დასიცხულნი, ნაგვემ-ნაჩეხნი. ძილს მისცეს თავი. შერჩენოდა ზოგ-ზოგს ძალა და ალაფობდა. უფრო ირჩევდნენ იარაღს, ცხენებს. სიბნელეში ძნელი იყო დაჭრილების გადაყვანა მყუდროებისკენ.

გიორგი ნაამები იყო ძლევის გადმოხვრის გამო: წყნარად მაინც ვერ იყო. გაჩნდნენ მის გვერდზედ ბარათა, ციციშვილი, ნუგზარ, ულოცავდნენ გამარჯვებას.

– ცოტა ნაადრევად მიმაჩნია დარწმუნებით თქმა.

– როგორ?!

– გავფანტეთ მტერი, დავიჭირეთ მისი ბანაკი, მაინც ვერ მოვსპეთ: გვისწრო ღამემ, აღარც ჯარს ეძლო: დაზარალდა და დაიქანცა.

– არც გასაკვირველია: ღამე გზა, დღე ბრძოლა აურიცხავ მტრის ურდოებთან.

– ომში მთელმა სპარსეთის ლაშქარმა ვერ მიიღო მონაწილეობა: არსად სჩანდნენ შაჰ-ბად, ამირ-გურ. ხვალ თუ ჩამოვლენ ომში იგინი.

– შენ ხვალ კვლავ დიდ ბრძოლას მოელი?

– სასტიკ შემართვას. ბევრი დააკლდათ, მაინც დარჩათ მათ საკმაო კვლავ საბრძოლველად.

– შიშით მზნეულნი წინ როგორღა დაგვიდგებიან?

– ეგ მაიმედებს. მაფიქრებენ ერევნელნი და თავრიზელნი: იქნებ გაგზავნა თავს დასავლელად.

– უფრო ის არის საფიქრებელი, რომ იმ ახალ ძალებს შეუერთებს ომით დაღლილებს და მრთელის ძალით თავს დაგვატყდება.

– წააგებს! შემდრკალი ხალხი ახლებსაც შეაკრთობს. მე ის მაღონებს, თუ უბრძანა ჩვენი თავს დავლა.

– შესაძლოა! გავაფრთხილოთ თეიმურაზ, გავგზავნოთ გუნდი დამვლელ ჯარის დასახვედრად.

– ზურაბ, შენ განდობ მე ამ ძნელ საქმეს!

არ დაუძინიათ იმ ღამეს ჭირისუფალთ: ჩააყენეს გუშაგები. სდარაჯობდნენ მოღლილ მებრძოლთ ძილს. გატყდა ღამე. მილეულ მთვარეს ჩამოსცლოდა სხივთა სიმრავლე. ღამის ყუჩილს ახმაურებს დაჭრილთა კვნესა, დაობლებულ ჰუნეთ ჭიხვინი. ალგეთი გულსისხლიანი ნანას იტყოდა.

ჩამომჯდარიყო გიორგი, დაჰყურებდა ბრძოლის ასპარეზს. ძნელ ომს ელოდდა, იმედს მაინც არა ჰკარგავდა.

– ბევრი დახოცეს, დაგვისაბყარეს. ამდენი მსხვერპლი მთლად ეყოფოდა სპარსთა ლაშქრის ამოსაწყვეტად, თუ ჩემს რჩევას დაადგებოდნენ, ეხლა...

– რად დაჰმორჩილდი?

– ბრძანა ხელმწიფემ! აღარ იყო სხვა რაიმ ღონე.

– შენ დასვი მეფედ! ერი შენკენ მოილტოდა, არ მიიღე მისი სურვილი. ძლიერია ხალხის სიტყვა, ვით ბედისწერა.

– უარ მეყო ბაგრატიონთ მფლობელობა საქართველოზედ?!

– ბედისწერამ შენ დაგირეკა! ვერ შეისმინე და...

წარმოუდგა თავის თავი ქართველთ პატრონად. ზის ოქროს ტახტზედ, ბრწყინავს გვირგვინი, ნიშანი ერის თვითარსებობის.

– სვიმონ მეფის გვირგვინის ტვირთვა?! არა! აღშფოთდება მისი სული აჩრდილთ არეში.

– შენ დაგემყნო იმისი სული; შენ დაგტოვა თავის მემკვიდრედ! ანდერძი არ აუსრულე და...

გაიპო ბნელი. მყინვარეთის გველაშაპი პორფიროსანი. გვირგვინებით შემკობილი მისი თავები და მათ შორის სვიმონ დიდის გვირგვინიც ბრწყინავს.

– შენ დაადგი მას ეს გვირგვინი!

– მე?!

– შენმა უარმა! – იგრგვინა ცის ხმამ.

სპარსთ ბანაკიდან მოისმოდა დაბდაბთ გრიალი. გადაჰხედა მტრის ურდოებს. შეჯგუფულიყვნენ ცხენოსანნი, იქით ქვეითნი.

– მოუსწვრიათ შეყენება ლტოლვილ რაზმების, არეულ ლაშქრის წესში მოყვანა. საბრძოლველად ემზადებიან. სხვა გზა არა აქვსთ: დამარცხებულთ შაჰ-აბაზი თავებს დაჰკვეთავს.

ქართველთ ლაშქარს მოავლო თვალი. გრილდებოდნენ მდინარეში, სახეს იბანდნენ. ზოგ დაქანცულს ისევ ეძინა. ბრძანა ნაღარა, ბუკ-დაბდაბთა ახმაურება. წამოიშალნენ, შეკრეს რაზმები, წამოვიდნენ წინამძღვრები გიორგისაკენ.

24

– ველით ბრძანებას!

– ჟამია შებმის! ზევიდან შენ დაუარე, ბარათაშვილო!

– სადაა ბააკა?

– სასიკვდილოდ არის დაჭრილი.

– საბრალო! ბაირაღი?

– აღათანგს მოაქვს.

– ასლანიშვილო! ზურგი გვიმაგრე: ჩვენ გადავალთ დღეს პირველნი შემართებაში.

მეფისგან კაცი. უბრძანებდა ბრძოლის დაწყებას. შემოეთვალნა: ნარიყალის ჯარს ქალაქი დაუჭერია და ქარკაპებში მაგრდებაო.

– ეგ არაფერი! დურნუკის გზას უდარაჯეთ: ყიზილბაში მოდის იქიდან.

– იქ ზურაბი სდგას.

– მიეშველოს მას თეიმურაზ!

მზვერავებმა წუხელ აცნობეს, იმ გზით სპარსი სულ არა სჩანსო.

მართალი ეთქვათ მეფისათვის: ყორჩიბაშმა მხოლოდ ღამე უბრძანა, ზევიდან მოჰქცეოდნენ ქართველებს, თავქვეს გადმოსდგომოდნენ.

წაუძღვა ლაშქარს მოურავი ურდოებისკენ. მიუახლოვდნენ. ბარათამ შესძლო ბანაკში შეჭრა. მოურავმა მიმოფანტა პირველი მწკრივი. ღრმად შეიარეს. სპარსთ ლაშქართა შუაგულში შეიქმნა ომი. ხმალი, ხანჯალი, ხელშუბები, გურზთა გრიალი. მოეფინა ალგეთის ხევს მძლავრი ყიჟინა, ომის გუგუნი.

– დახე მოურავს! – აეზრახა აღათანგი მუხრანბატონსა

და დროშა უფრო მაღლა ასწია შემმართებელთ გასამხნეველად. ხმლით იბრძოდა სააკაძე. ელვის სისწრაფით სცემდა მახვილს იქვე ახლოდან. ვერ უძლებდა დაკრულს მებრძოლი, თავთავივით ცვიოდა კაცი. მხოლოდ მაშინ დაჰკივლებდა და ხმალს ასწევდა, როს ჰფრინავდა სხვა ჯგუფისაკენ. მობასრულიყო. ნაკადებად ჩასდიოდა მის ხმალს მტრის სისხლი. ულვაშ-ბიღები, მთელი სახე სისხლში ნაცური. დაშნის კვალი მარცხნივ ლოყაზედ.

ჩამოვარდა ბაირაღი. განგმირული აღათანგი არ უშვებს ალამს. შეამაღლა იმისმა ძმამ ქართველთა დროშა. შეირყა მტერი. ნელ-ნელ იხევს, უთმობს ადგილებს.

– დაიხურე ჩაბალახი: ჩემთან გაქვს ბრძოლა! – შესძახა აბდულ ქირმანელმა

და წავიდა შუბლმოწვდილი სააკაძისკენ. გიორგიმ გურზით ჩაულეწა შუბი და მკლავი.

– გადექ ბრძოლიდან.

ცხადად დაეტყო მტერს უკუქცევა. იბრუნეს პირი წინა რაზმებმა. ვერ შეაყენეს სარდლებმა ჯარი, თუმცა მხნეობდნენ. ომის ცეცხლში ჩამოვიდა თვით ყორჩიბაში. მოურავმა მიჰმართა იქით. იქითკენვე მიიბრძოდა ბარათაშვილი. დადგებოდა სპარსთ სარდლისათვის აღსასრულის დღე, თუ არ შემოჭრილიყვნენ გიორგისთან მეფის კაცები.

– ქოთიშის თავს გადმოეშვა მტერი ურიცხვი!

– ზურაბ?!

– მიეგება, შეაყენა, მაგრამ დაგვიჭრეს. გიბრძანებს მეფე, მოგვეშველეთო.

შედგა, შეფიქრდა სააკაძე. გადააგდო თვალი ომის ველს.

– მიეშველენით! თუ გაგიჭირდათ, ჩემსკენ იწყეთ უკუმოქცევა, ეგებ შევერთდეთ...

– და მოგვიმწყვდევენ.

– მომწყვდეულნი ვართ. მოვახერხებთ აღმართისკენ განზედ გაწევას. შეერთდებიან ყიზილბაშნიც ალგეთის პირას. გავსტეხთ ზევიდან მოქცეულები.

კვლავ დაიძრა, წამოვიდა ყიზილბაშთ ჯარი: თუ შენიშნეს თვის მაშველი მთის ფერდოებზედ. სააკაძემ აღმართისკენ იწყო დაწევა. ზვირთებივით მოდიოდა სპარსთა ლაშქარი. მოუძღოდნენ ყორჩიბაში და ხოსრო-მირზა. უნდა ევლო ამავ ხაზით მეფეს თვის ლაშქრით. გიორგის ჰაზრის ასრულება შესაძლოდ სჩანდა.

გაისმა ხმა მეფის ჯარში, თეიმურაზ ჩამოაგდესო. მოვიდა ხმა სააკაძემდინ. მუხრანბატონი მოეკლათ, მეფე ეგონათ. აირია მეფის ჯარი, იწყო ლტოლვა სააკაძისკენ. შეიტანეს ქართველთ შორის არეულობა.

– მეფე! მიჩვენეთ მეფე, დავანახვო გულგატეხილ ხალხს!

– მეფე ბატონი აქ აღარ არის!

– მაშ?!

– გაჰრიდა ბრძოლას. სამშვიდობოს ალბად გავიდა.

ამ ამბავმა ერთს წამს მოხარა სააკაძე. ვეღარ დააწყეს არეული ხალხი. სპარსთ მაშველნი შეუერთდნენ ყორჩიბაშის ჯარს. წრე შემოარტყეს ქართველებს. გიორგიმ მაინც მოასწრო და შეკრა ჯარი ოთხკუთხედად. ჩააყენა უკეთესნი პირველ მწკრივებში. შეჩერდა მტერიც. თუ ფიქრობდნენ, როგორ შეეტივნათ, რომ ქართველი ჯარი მთლად ტყვედ ჩაეგდოთ. სახე დაუწყნარდა გიორგის. მოიხმო სარდლები:

– ჩვენი დაწყობილება აღარ ვარგა: დიდი ჯარი მოგვექცა ზევიდან: ალგეთისკენ მივიტანოთ ძალა.

– იქაც დიდი ჯარი ჩააყენეს.

– მაინც გავაპობთ!

მიჰმართა ათაბაგს და ბარათას:

– უნდა გასჭრათ ეგ გზა! ფეხდაფეხ მოგდევთ და ზურგს გიმაგრებთ.

ამ განწირულების ჟამს აჩნდა გაღმა გუნდი მხედართა.

– ვინ არიან

– ჩვენებსა ჰგვანან!

– შავდროშიანნი!

– გოდერძის რაზმი!

გადმოევლო წყალს მებრძოლთ გუნდი, ეკვეთა მტერსა. წაესწრაფნენ ათაბეგი, ბარათაშვილი. ორივ მხრიდან გაჰკვეთეს ჯარი, შეხვდნენ ერთმანეთს. მტრის წრემ ჰქმნა კარი. დაიძრა ამ გზით ქართველთ ლაშქარი. სააკაძე და ბარათა უკან მოექცნენ და იკავებდნენ მტერს გალაღებულს. აივსო მკვდრებით, დაჭრილებით ვიწრო ადგილი.

განერეს ქართველთ. აეფინა მარაბდისკენ დაშლილი ჯარი. უკან მოექცეოდნენ გამოქცეულთ თითონ სარდლები: მტერს არ უშვებდნენ. დაჟინებით არ სდევნიდა გამარჯვებული. იმას სჯეროდნენ, ბრძოლის ველი მათ ხელში დარჩა. ზარალიც ჰქონდათ საგრძნობელი, დევნის ხალისს ეს ანელებდა. გაისმა სპარსთ ბანაკიდამ საყვირთ ზახილი: შესაკრებად მიიწვევდნენ გაფანტულ ლაშქარს.

ამოსცდნენ აღმართს. ქართველთ ჯარი აღარსად სჩანდა: გაფანტულიყო სხვადასხვა გზით გადასარჩენად. მარაბდის საყდრის გალავანში დაჭრილთ სიმრავლე. გაფითრებულ სააკაძეს სახე შეშლოდა. ჩამომჯდარი ვერძად კვეთილ საფლავის ქვაზედ. მიწას ჩამზერდა. იმას ცდილობდა, დაენახა, რა დაემართა. ჰაზრთა ქსელი შიგადაშიგ იგლიჯებოდა.

– ვერ დავუმკვიდრე საქართველოს თვითარსებობა! უფრო მძლავრად უნდა მევლო საკუთარ გზაზედ. შენა ხარო განგებისგან მეფედ რჩეული, მეტყოდა ხალხი, თვითონ შაჰ-აბაზ. მოვიწვიე თეიმურაზ და... აღარ მშვენის მე ჩემი ხმალი!

მძლავრად ჩასცა დაშნა მიწაში, გადასწია გამეტებით, გადაამტვრია.

– გადეფშვნიტა საქართველოს ხმალი ძლიერი!

– შენი ხმალი გადილეწა შენისვე ხელით. საქართველოს ჯვარი სწერია!

– გოდერძი?!

– წახვედ განგების წინააღმდეგ, აწ მაინც უარგყო.

– ბედისწერის წინააღმ...

თავს დასდგომოდა მოძღვარიც აბრამ.

– შენ აქ რა გინდა?!

– დაჭრილთ, ვნებულთ ჭირისუფლად მოწოდებულ ვართ.

ბერის სამოსი და ხელები სისხლით ნაბანი.

– გამხნევდი კვალად! – მიეახლა ბარათაშვილი.

– რაღად?!

– შევუმსუბუქოთ ხალხის ნამსხვრევს სხვათა მონობა.

– ავიღოთ სისხლი!

– დავაკლათ მტერნი ჩვენს ნათელ მკვდრებს!

– სიხარული ჩავუსხიოთ ბეჩავთ შავეთში! – ხმა შეუერთეს სხვა თანამებრძოლთ.

მოვიდა გონს სააკაძე, ზე წამოიჭრა და შეიბერტყა:

– შეჰსხედით!

დაადგა გზას. არა ჩქარობდა, აღარც ჩქამობდა: კრიჭა შეეკრა მწუხარებას ვაჟკაცისათვის. ნარგიზებზედ ვაშლოვანისკენ. დაქსაქსული ჯარისკაცნი უერთდებოდნენ. კოჯორი, ბეთანია, ვანეთი, ბოტისი. ნოსტეს რომ მივიდა, ამბავი დაჰხვდა:

– თეიმურაზ მშვიდობით მოვიდა ერთაწმიდას: აბარგებენ: იმერეთში გასაქცევად ემზადებიან.

არ უნდოდა იმისი ნახვა. ბაგრატიონთ მორჩილებამ მაინც დასძლია: ეახლა მეფეს.

– ჩაგეშალა იმედები, ნაქებო გმირო!

– შენ...

– საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს.

– ვერ გასჭრა ხმალმა შენის სარდლობით, გაცლას ჩვეულო! – შეჰბედა გიორგიმ

და გამობრუნდა. შემოესმა წამომავალს მეფის ხითხითი.

– ყური მატყუებს!

მაინც არ შესდგა, არც მიიხედა. აღარ ეცალა: უნდა ებრძოლა თუნდ დამარცხებულს, ვერ ჩააგებდა მახვილს ქარქაშში, ვერ დასტოვებდა დამონებულთ მთლად უიმედოდ. ერთი გზა იყო: დავლურ ომით, თარეშობით ეწუხებინა. ბრძოლის განგრძობას სთხოვდნენ იმას თავდადებულნიც. დასავლეთისკენ გაისტუმრა თავისიანნი და შეუდგა სისხლის აღებას.

26

პირი თბილისისაკენ ქმნა, რომ თვით ენახა გალაღებულ მტრის ონავრობა. წოდორეთის მხრიდან დაუახლოვდა. დაჰხვდა საბრძოლი: მტრის დასტები გამოსულიყვნენ, შეჰსეოდნენ იქავრობას, ათახსირებდნენ. წარიქცია მოსისხლენი, დააზარალა, გაწმიდა მათგან ლისი, თხინვალი, წყნეთი, ვერა. შეკრიბეს ცნობა:

ჯარი გაეგზავნა ყორჩიბაშს კახთ დასასჯელად. დანარჩენ ლაშქრით აპირობდა, მტკვარს შეჰყოლოდა და დაეჭირნა სრულიად ქართლი. ალაზნის ველზედ, ივრის ხეობაში, საბარათიანოში ბრძოლა გრძელდებოდა: მცირე რაზმები მოსვენებას არ აძლევდნენ სპარსთ, თავს ესხმოდნენ ულოდნელად, უადგილოში.

– ეხლა ყორჩიბაში და ხოსრო-მირზა იმის ფიქრში არიან, მოსპონ ეს მტრული მოძრაობა: ზოგს რომ ძალით იმორჩილებენ, სხვებს ოქროთი თუ აღთქმებით უალერსებენ.

შეკრა გიორგიმ ღართისკარი და წიწამური. თითონ მცხეთის მახლობლად იდგა: აქათ ელოდდა უმთავრეს ჯგუფს ყიზილბაშების. შეეგება. ბევრგან კიდეც დააზარალა. მათ ძლევაზედ საუბარი ამაო იყო: გადმოლახეს დაბრკოლებები; დაიჭირეს სამუხრანო; შეჰყვნენ გორისკენ.

დარწმუნდა სააკაძე, საკუთარის ძალით ვეღარ ეშველებოდა ჩაშლილ დიდ საქმეს და დაასკვნა, ხონთქრისთვის მიეყრდნო ზურგი. გაგზავნა დესპანები სახონთქროში. მასთან ზრდილი ქავთარაძე მეთაურობდა. რომ მის ელჩებს ძალა ჰქონდათ, განიზრახა ბრძოლა საათაბაგოში გადაეტანა: იქ საქართველოს მიწა-წყალი ოსმალთათვის სპარსთ წაერთმიათ. შეიერთა ათაბაგი და დაადგა კლდე-კარის გზასა. მომხრეებიც ეგულებოდნენ: შალიკაშვილი, დიასამიძე, მეფისაშვილი. მიმავალ მოურავს შეუერთდნენ გერმანოზ ციციშვილი და ეფრემ ხერხეულიძე: ყიზილბაშთა სისხლი სწყუროდათ.

არ ასცდა ყორჩიბაშის თვალს ეს მოძრაობა. გაგზავნა ჯარი გზის გადასაჭრად. ნაზიმ-ბეგი მეთაურობდა. ვერ ეწივნენ მტერნი თვის სურვილს: ქართველები გასცდნენ ვიწროებს, ჩაუსაფრდნენ და დაანთქეს ყიზილბაშთა ურდო. დიანოზ დიასამიძის ღვაწლს ამ ბრძოლაში და და აწყურის ციხის აღებას ზღაპრად იტყვიან.

სამცხის ბრძოლამ კარგი შედეგი იქონია: დაარწმუნა ხონთქარი, რომ შესაძლო იქმნებოდა სააკაძის წინამძღოლობით სპარსთ განდევნა, დაბრუნება წართმეული ადგილებისა. ამის გამო ქავთარაძის დესპანობა ხვავიანი გამოდგა: ხონთქარმა აღუთქვა დახმარება და სიტყვა საქმედ აქცია, უბრძანა საათაბაგოს მმართველთ, დაჰხმარებოდნენ გიორგის. ამან შეანელა ქართლ-კახეთის ხალხის წამება: ლაშქარი ბრძოლის ახალ ველისკენ დაძრა ყორჩიბაშმა.

კიდევ სხვა მარცხი მოუვიდა ყიზილბაშს: დიდი მიზანი საქართველოს დაჭერისა ის იყო, ჩაეკეტნათ ჩრდილოეთი, გაეთავთავადებინათ ქართველნი და რუსნი, მოესპოთ მყინვარეთისთვის იმედი საქართველოს დაბყრობისა. ყორჩიბაშს

ჰსურდა აესრულებინა ირანის ნატვრა: დაეჭირა არშის ციხე და მთლად ხეობა. საჭირო იყო ზურაბთან მორიგება: ის იყო მფლობელი ამ მივალ ადგილებისა.

ზურაბი არ იყო მემკვიდრე. მას საბატონო მხოლოდ შაჰის ბრძანებით ეჭირა. ყეინი განრისხებული იყო მასზედ და თუ ჰსურდა, შერჩენოდა საერისთავო, არ უნდა დაეშალნა სპარსეთისათვის დარიალის დაჭერა.

– მხოლოდ მაშინ დაივიწყებს შაჰ-ინ-შაჰი შენს შეცოდებას!

ზურაბი იძულებული იყო, შეესრულებინა სპარსთა სურვილი, თუმც იცოდა, ამით სიმამრს განარისხებდა. მაინც აღუთქვა, დაბრკოლებას არ შეგამთხვევთო. ესეც დიდი მოგება იყო.

– თუ ზურაბი არ შემებრძოლა, გავიკვლევ სავალს, ჩავაყენებ მეციხოვნეთ არშის ციხეში და მერმე...

– თუ აღგვისრულდა, მყინვარეთის საშიშრობა მთლად მოისპობა. იმედმიხდილი ქართველებიც შეგვრიგდებიან, – ამტკიცებდა ხოსრო-მირზა მთავარსარდლის ჰაზრს.

– შესაძლო არის. მხოლოდ სიფრთხილე! დიდად სახიფათო სავალია, – დასძინა საამ საგინაშვილმა.

– არ გივლია არშის ციხემდინ?

– მივლია! ძნელი გზებია. გაუჭირდება ლაშქარს გადასვლა.

– და გადავლახავთ! საშიშროება ყველგან სდევს ბრძოლას, სდარაჯობს მებრძოლს მარად სიკვდილი.

– მაშ ბრძანე წასვლა!

– არშის ციხეში ჩვენი მომხრე მებრძოლი გველის, ანდუყაფარ ამილახვარი. მას გამოვიხსნით და ეცდება მოურავის სისხლის აღებას. კარგად იცის ხევის ამბავი.

– ეგ უკეთესი!

27

დაიწყო დენა საშავარდნოში შეიარაღებულმა ხალხმა. მოდიოდნენ ფშავ-ხევსურნი, მთიულნი, გუდამაყარნი. საომრად იყვნენ მომზადებულნი. შეგროვდა ვაჟკაცობა.

– რა ამბავიაო, როგორ გითხრეს თქვენ?

– არც როგორ! თავ კაცთ დაედგინათ, ჯარი შეგროვდესო საშავარდნოს. იქ გაიგებთო სხევას.

– ერთმანეთში თუ მოუხდათ შუღლი მთიელთა?

– არა! ყველა მთიელნი შექუჩდითო დანიშნულ ადგილს.

– ალბად ზურაბმა დააპირა, ყმად დაგვიჭიროს.

– შეიძლება! თათარი ჩადგა ბარში და მოიშველებს.

– ვერა! ზურაბი გიორგისთან ერთად განუდგა ყეინს. ყიზილბაში სისხლს აიღებს, არას დაუთმობს.

– იმას ამბობდნენ, შეჰრიგდაო სპარსთ მთავარსარდალს.

– დიდი ამბავი უნდა იყოს, რომ ამდენი ხალხი შეგვყარეს.

– მოხევენიც მოდიანო ჩვენს შესახვედრად.

– სიფრთხილე მათთან! შეიძლება, შეგვერივნენ ზურაბისები.

ვერაფერი გაიკვლიეს დანამდვილებით. იმის იმედიღა ჰქონდათ, მოთავენი ეტყოდნენ იქ, რად დაიბარეს. დანიშნულ დროს შექუჩდა ჯარი. ცალ-ცალკე ბანაკად იდგნენ, რომ ფართედ ყოფილიყვნენ, უსიამო არრა მოსვლოდათ ერთურთში.

– ხალხო და ჯამაათო! თქვენ იცით, ნუგზარ ერისთავის დროს წითლად შეიღება ჩვენი მთები, კაცის სისხლად გარდაიქმნენ მდინარეები: უნდოდა, ბარელებთან გავესწორებინეთ, ყმად გავეხადნეთ. ვერ შესძლო! ხატნი გვეხმარებოდნენ. გავლალეთ მტერი. იმავ წადილის შესრულება მოინდომა ზურაბმა. ვერც მან გაგვტეხა.

– ვერა, მე და ჩემმა ღმერთმა!

– ახლა საკვირველი რაიმ ხდება. ყიზილბაში არ დასჯერებია ქართლ-კახეთის დაპყრობა-დამონებას, წამოსულა ჩვენ დასაჭერად. ხევი ჩემია, არშის ციხეში ჩემი ჯარი მსურს ჩავაყენოვო. მოდის ლაშქარი, მოიგრაგნება. წინ უძღვიან ის სარდლები, რომ გატეხეს მარაბდაში თვით სააკაძე: შაჰ-ბადი-ხან და ამირ-გური.

– ჩვენებიც ბევრნი ჩაგვიხოცეს იქ.

– გავატანოთ მათ სულეთში სპარსნი მსახურად!

– მტრის ლაშქარს როსტომიც თან სტანავსო, გათათრებული ხოსრო-მირზა. სწადიანთ: დაიბყრონ ხევი და შემობრუნდნენ ჩვენ დასამონად. ზურაბს ნება მიუცია ყიზილბაშთათვის: ერისთავი იმათ ეყმობა, ისინი ჩვენ ზურაბს გვაყმობენ.

– ვერ გაჰბედავენ მთაში შემოსვლას: მტერს ჯერ არ აჰსრულებია ეგეთი წადილი.

– შემოგვბედეს! ჟინვალს გამოსცდნენ. გზა-გზა სოფლებს არ აოხრებენ: უნდათ ხალხი დააწყნარონ და მერმე... ქართლ-კახეთშიც ეგრე მოიქცნენ: ჯერ არრა ავნეს და მერმე კი გამუსრეს ერი. გაისარჯენით! არ მიეცეს ხატთ საბატონო უსჯულოს ხელში! თუ შემოვლენ უსურმაგები, მოჰხდიან მანდილს ჩვენთა დიაცთ, ქალთ ტალავარს ვაჟთ ჩაგვაცმევენ. ხმალი უსჯულოს! გიბრძანებთ ხატი!

– და ავასრულებთ იმისსა წადილს!

– ვერ მოიკიდონ ყიზილბაშთ ფეხი ჩვენ მიწა-წყალზედ!

– მთიელთაგანნი აქ ხართ ყველანი: ფშავნი, ხევსურნი, მთიულნი და გუდამაყარნი. მოხევეთაც აქათ ჰქმნეს პირი. თუშნიც მოდიან. ერთურთ უნდა შეეჯიბრონ კარგ ვაჟობაში.

– დავიხოცებით ხელიხელ გაბმით, ან მთლად ჩავხოცავთ!

– აი თქვენი მოთავეები:

– ფშაველთაგან ალუდა ბერდიაშვილი.

– გამარჯვება წინ უძღვის იმას!

– ხევსურთაგან ჭორმეშირონი არჭილა...

– არჭილას ხმალი მტერს შიშის ზარს სცემს!

– მთიულთაგან ზაქარა ზოდეხეული.

– ლაშქრად ფასობს მისი სახელი!

– გუდამაყართაგან ბეწინა ერანდისშვილი.

– გუდანისგან დალოცვილი დაშნა უჭირავს!

– მოვლენ თუშნი და მოხევენი; თავის სარდლებს თვითონ იტყვიან.

სარდლებად თქმულნი გამოეყვნენ, შეჯგუფდნენ ერთად.

– ლაშქართ გამგენო! მთის ხატები გაბარებენ ამ ლომგულ ვაჟკაცთ, ქვეყნის ბედ-იღბალს! შეთანხმებით! მძლედ! თვალ-ხმიერად! გამარჯვებით დაგაბრუნოსთ სალოცავებმა!

– ამინ! – გაისმა ხალხში.

სარდალთა საბჭომ ესე დააწყო: არ გადეჭრათ მტრისათვის გზა არშის ციხემდინ; აქათ-იქიდან აჰყოლოდნენ, არ მიეცათ ნება აკლების; არშის ციხესთან დასცემოდნენ მათ ზურგით კერძო, ხევის კარისკენ გაელალნათ და გაერეკნათ. იქ ისინი ამოწყდებოდნენ, ტყვეობაში ჩაცვივდებოდნენ.

მარჯვედ შეასრულეს პორველი ხანა გეგმისა: სპარსთ მალე შენიშნეს ქართველთ ადევნება. ბრძოლა ვერსად გაუწიეს ერთმანეთს: მთიელნი ერიდებოდნენ: სპარსთათვისაც ხელსაყრელი არ იყო ომი ამ ვიწროებში. უვნებლად მაინც ვერ დიოდა მტერი: რამდენჯერმე დაეცნენ ქართველნი და ზიანი მიაყენეს, კიდეც შეაკრთეს. მტერმა იგრძნო მდევარის ჰაზრი და მთელი ლაშქრით არ მივიდა არშის ციხის კარს: ჯარი უკან დააყენა მოხერხებულად და წარგზავნა იგი ნაწილი, რომელ უნდა ჩამდგარიყო მეციხოვნედა. შეუძლებელი შეიქმნა ერთის დაკვრით მტრის განდევნა ჩრდილოეთისკენ.

აიღო მტერმა არშის ციხე, გაანთავისუფლა ანდუყაფარ ამილახვარი, დატოვა არშში მეციხოვნე და გამობრუნდა. შემოიქცნენ ეხლა მთიელნიც, გზა-გზა ომით შეაქცევდნენ დაბრუნებულებს. დაასკვნეს, არაგვის ხეობით აღარ გაეტარებინათ ყიზილბაშნი.

– მთიულეთის ყელში ვებრძოლოთ.

– გზა ჩაუხერგოთ არაგვისაკენ.

– იქ მისვლამდინ ჩაუხოცოთ უსჯულოს ხალხი.

უბრძოლველად ვეღარ მოდიოდა მტერი. ვიწროებში, ღრანტეებში სპარსთ სიკვდილი ჩაჰსაფრებოდათ. ხოცდნენ მთიელნი უჩინარნი, მტრის ჯარისთვის მიუწთომელნი. კლდის ფხა, ფრიალო დასტა-დასტა ანადგურებდა: ქვას აგორებდნენ მწვერვალიდან, უზარმაზარ ლოდს. ვერ ჰხედავდა სპარსი მებრძოლს, რომ შეემართა; სხვა გზა არ იყო, რამ სავალი გასაცლელადა. თერგის ხევი გარდაიქმნა სპარსთა სამარედ. ჰლოკდა ლომეკი მათ სისხლს უწმიდურს. მიდიოდა მაღლა-მაღლა ყიზილბაშთ ჯარი; უმძლავრდებოდათ თანისთანად საშიშრობა მათ უჩინარი. გაამაგრეს მთიელთ უჩინარი და ჯვართა ყელი, მოექცა მთელი ჯარი არაგვის წარსადინელისაკენ. ყველა ლოდს უკან სდარაჯობდა ხმალი, ისარი. სპარსთ უსათუოდ უნდოდათ გაეკვლიათ გზა არაგვისკენ და რამდენჯერმე დაატყდნენ მებრძოლთ მთელის სიმძიმით. ამაოდ! ჩაიხოცა ყიზილბაში. აქ მოესპოთ სიცოცხლე მათ განთქმულ სარდლებს: ამირ-გურს, შაჰბადს. უკვირდათ მედგარი წინააღმდეგობა; არ იცოდნენ, რომ მთიელთ შეუერთდნენ აქ გოდერძი ბურდული და ზურაბის ძმები, რომელთ შორის საგანგებოდ ირჯებოდა გმირი დათუნა, საბატონოს ნამდვილი მემკვიდრე.

ერთადერთი ხსნაღა დარჩა, ქსნისკენ მიქცეულიყო ყიზილბაში: აქათ გზა ხსნილი ჰქონდა მას. ეს ხეობა ზედმიწევნით იცოდა ამილახვარმა და გამოუძღვა. გადმოლახეს ლომისის მთა, გზას იკვლევდნენ ბერთა ციხისკენ. სდევნიდნენ მათ გამარჯვებულნი.

ქსნის ერისთავი თვალს ადევნებდა უსჯულოთ ურდოს და რა გაიგო, რომ ჩაეშვნენ მის სამთავროში, მიეგება მათ წინ საომრად: დარღვეულად სცნო თვის უფლებანი. გაიმუსრა მომწყვდეული სპარსთა ლაშქარი. ცოტა ჯარმაღა უწია საამილახვროს.

არც არშის ციხე შერჩათ ყიზილბაშთ: შემოერტყნენ ციხეში მსხდართ, გზას არ აძლევდნენ. შიმშილმა შეაწუხა მტერი. ჩააბარეს მოხევეებს ციხე-სიმაგრე. პირობა დასდეს, ცოცხალნი გაეშვათ. აუსრულეს აღთქმა: გააცილეს დარიალის კარს და გაუშვეს ჩრდილოეთისკენ.

დიდი დავლით და ტყვეებით დაბრუნდა გამარჯვებული ლაშქარი. შეიძინეს უკეთესი აბგარ-აბჯარი. ხატის კარზედ გადიხადეს დღესასწაული. წითელ ტალავარში გამოწყობილიყო ალდია კარიაული. გარჯილ ვაჟკაცთ ამწყალობებდა. მთიელთ თემებმა აქ შეკრეს მაშინ ძმური პირობა: მოეშალნათ ერთმანეთში შუღლი თუ სისხლი; ძველი დავა აღარ ეძივნათ; ახალი მტრობა გაერჩია მთიელთაგან შემდგარ ერთს საბჭოს.

29

საათაბაგოში ოსმალთა გამარჯვებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სპარსეთზედ: ხონთქრის გავლენა გადმოსცდა აქ დასავლეთ საქართველოს და აპირობდა გამტკიცებას იმ ადგილებში, რომლებს ირანი თავის კერძად სთვლიდა აქამდინ. სამცხეში ოსმალთა ბატონობა საფრთხეში აგდებდა ქართლ-კახეთს, თვით განჯა-ყარაბაღს. ამის გამო ამრავლებდა შაჰ-აბაზი თავის ლაშქარს დიარბექირში, დარაჯად ედგა ოსმალთ მოდენას.

საკაძე ხონთქრისათვის საიმედო შეიქმნა, რაკი საქმით გამოადგა მას. აღარ აუკრძალა დასავლეთ საქართველოს შეგულიანება, იქ ჯართ შეკრება.

ეხლა, როცა გაიგო ყეინმა დარიალის დამორჩილება, დიდად გამხნევდა და დაიმედდა.

– საშიშარი აღარ არი ეხლა ხონთქარი. გააცოცხლებს არშის კარი მთელ ჩემს ხაზინას და ჩემი ოქრო უთვლელ მბრძოლად მოევლინება ირანის დუშმანს!

– როგორ, ღვთის შვილო?

– მთების იქით უამრავი მებრძოლია სისხლში გაწვრთნილი. შესაძლო გახდა მტერთ სამუსვრად მათ გადმოყვანა. ქართველთ მეფენი სარგებლობდნენ ამავე ხერხით და უძღვებოდნენ თვითონ დიდ ირანს.

ხონთქარიც შეაფიქრიანა სპარსეთის ამ გამარჯვებამ: დაქირავებული ლაშქრით გაძლიერებული ყიზილბაში ადვილად შესძლებდა საბრძანებლის გაფართოვებას. ჩაანელებდა ეს ხონთქრის სახელს, მის ძლიერებას. ამის გამო საკაძის გამარჯვება სამცხის არეში უფრო დაფასდა ოსმალთა თვალში.

როდესაც დარიალის ხევში შესული სპარსთა ლაშქარი მთლად მოისპო ქართველთ მახვილით და ირანმა დაკარგა აქ, რაც მოეგო მას მარაბდაში, შაჰ-აბაზი შეფიქრიანდა და უბრძანა დაბრუნება თვისსა ლაშქარს.

– ხონთქრის სამზღვრებზედ ლაშქრის მოძრაობა მოსჩანს. საკაძემ ლიხთიმერი ფეხზედ დააყენა და იძვრის ქურთისტანისკენ. აქ არის ჯარი საჭირო. სვიმონ მეფეს დაუბრუნდეს სამეფო. შენ აქ მეახელ!

ყორჩიბაშმა უბრძანა ჯარებს, მოემართათ თბილისისაკენ. მოიწვია თავადები, რომელთ თავი დაეკრათ სპარსისთვის და ეტვირთათ მისი მონობა. შეიკრიბნენ. მოვიდა შადიმანიც. გატეხილიყო: მისგან შაჰ-აბაზის ხელთ მიცემულ ლუარსაბის სიკვდილი, ქართველთ უკიდური უბედურება, დამარცხებულ საკაძის ისევ მძლეობა მძიმე ტვირთად დასწოლოდა მას და გაეტეხნა. შიშის ლანდი ასჩენოდა მოღლილ თვალებში. ყორჩიბაშმა განუმარტა ყეინის ნება:

– შაჰ-ინ-შაჰი გათავებულად სთვლის ბრძოლას მოღალატეთა წინააღმდეგ. კიდევ არის მცირე ომები; ეს ჩვეულებრივი შედეგია დიდის ომისა. ვბრუნდები ირანს. ერთგულთათვის მომინდვია მეფე სვიმონ, მთელი ქვეყანა. ვერ დაიხსნიან თეიმურაზს მყინვარეთელთ მეფე, საკაძეს – თვითონ ხონთქარი. უზომელია შაჰის რისხვა ორგულთა ზედან და წყალობა ერთგულობისთვის!

აღუთქვეს მორჩილება. სთხოვეს, მეტი ჯარი დაეტოვებინა საქართველოს ციხეებში. დაავედრეს, დაედასტურებინა ყეინის წინ მათ ერთგულება.

30

სააკაძემ რომ გაიგო სპარსთ გამგზავრება, გადმოვიდა დასავლეთიდან. თვის კაცთა გარდა ახლდნენ იმას ლიხთიმერნი, ოსმალთა რაზმიც. დაჰკრა ციხეებს. აიღო გორი. ცოტა სპარსნიღა გადარჩნენ გალტოლვილები. შეეფარნენ შურის ციხესა. მთელ ქართლიდან დაიძრა სპარსი. იქაურმა თავადებმაც გული მიიცეს, შეუერთდნენ სააკაძის ჯარს. პირველობდა ქსნის ერისთავი: ეშინოდა შაჰ-აბაზის შურის ძიების და უხაროდა სპარსთ განდევნა საქართველოდან.

ჰმაგრობდნენ ჯერეთ ბარათაშვილნი. მხოლოდ ბარათა მხარს უჭერდა დიდ მოურავსა. ბირთვისის ციხე გაეხადნათ დასაყრდნობელად. აქ გამაგრდნენ სპარსთა მომხრენი. ხოსრო ჰმოთაობდა მათ, ბარათაშვილი. ულოდნელად შემოერტყა გიორგი ციხეს, აიღო იგი; ტყვედ დარჩა ხოსრო. დაჰმორჩილდნენ სამშვილდე, ქვეში, დმანისები და ლორის ციხე. სააკაძეს ხელთა ჰქონდა აწ მთელი ქართლი. სვიმონ მეფე მხოლოდ თბილისსღა ჰბატონობდა.

მთელი ეს სამხედრო მოქმედება სწარმოებდა ოსმალთ ძალის საფართოებლად. ხედავდა ამას ხონთქარი და ცდილობდა, ადგილობრივ დაება შაჰ-აბაზი, რომ ვერ გაეგზავნა მაშველი ჯარი საქართველოში. ამრავლებდა თავის ლაშქარს ბაღდადისა და დიარბექირის მიმართულებით. უამებოდა ხონთქარს სააკაძის მოქმედება: მოურავი მისთვის ანთავისუფლებდა აღმოსავლეთ საქართველოს ქართველთავ ხელით. მალე დაჰმორჩილდებოდა მას ქართლ-კახეთიც, როგორც ჰმორჩილებდა მთლად ლიხთიმერი.

სპარსეთი ვერ დასთმობდა ოსმალთ ბატონობას ლიხთ ამიერ: მაშინ ხონთქარს შეძლება მიეცემოდა, ჩრდილოეთით შეეტივნა ირანისათვის. საქართველო უნდა შექმნილიყო ბრძოლის ველად ამ ორ ხალხთ შორის. ამისთანა ძნელმა მდგომარეობამ შეაშფოთა მოჭირნახულე მოძღვარნი თუ ერისთაგანნი. მოიწვიეს ამ საქმეზედ საერთო კრება.

– სისხლის ღვარები. ამოაგდო ყიზილბაშმა მთელი ქვეყანა, რად იწვევთო რუსთ ხელმწიფეს საქართველოში. გამწვავდა ბრძოლა, რომ შეუბრუნა სააკაძემ ხმალი შაჰ-ინ-შაჰს. გაწყდა ქართველი. ეხლა იგივ სააკაძე ოსმალთ ძალით განაგრძობს ბრძოლას. დავიღუპებით!

– ხალხის ბედი კაცს აატირებს: სახიზრები სავსე ლტოლვილით. გაჭირვებამ, ავადობამ გამუსრა ყველა. გვეხოცება ვაჟკაცობა მუდამ ბრძოლაში.

– გიორგი რომ სპარსთ შეებრძოლა, მხარი მივეცით: არ დავზოგეთ არც სიცოცხლე თავისუფლად არსებობისთვის. ეხლა მხოლოდ იმისთვის ვიბრძვით, რომ სპარსთ მაგივრად ვაუფლოთ ჩვენზედ ახლა ხონთქარი. რასა ჰგავს ესა?!

– ვეღარ თუ ჰაზრობს სისხლით დამთვრალი: ვსთქვათ, აუსრულდა საწადელი, ყეინის ბადლად მოგვცა ხონთქარი; საქართველოს ამგვარი შეცვლით რა ეფონება?!

– ორ ბატონთ შორის ჩვენი ყეინი უფრო გვირჩევნის: შეჩვეული ჭირი სჯობია.

– სიბოროტეა ყოვლი ჭირი, თუნდ შეჩვეული. ახალი იგი ჩვენი მონობა ახალ მსხვერპლს ითხოვს.

– მივენდოთ ისევ სვიმონ მეფეს: ქართველობს მაინც.

– დიდმოურავს ვაცნობოთ დასკვნა: ეგებ დაფიქრდეს, შეიწყალოს ტანჯული ერი.

აახლეს სააკაძეს კაცები თბილელის წინამძღოლობით. შესთხოვეს:

– დააცხრე შენი გულისწყრომა, შეიბრალე ხალხი ტანჯული, შესწყვიტე ბრძოლა. რახან მონობა ვერ აგვცდება, სპარსი გვირჩევნის.

– სპარსნი უნდა გაეცალნონ საქართველოს მთლად და წაიყვანონ სვიმონ მეფე, იგივე სპარსი! – იყო პასუხი.

31

წავიდა სპარსი. შურის ციხე დარჩა ნიშნად მის მფლობელობის: აქ დარაჯად ისევ იდგა ისევ ყიზილბაშთ ჯარი. იჯდა თბილისს მეფე სვიმონ გათათრებული. მოქართველობდა. აჩვენებდა ქვეშევრდომებს, რომ ზრუნავდა ქართველთ ვარამზედ.

ქართლის მეფედ ითვლებოდა თეიმურაზიც. მყინვართ ხელმწიფეს სთვლიდა იგი უზენაეს ბატონად ქართლის, ბურჯად თვისის ხელმწიფობისა. ვერ მიმხვდარიყო, რომ მყინვარეთს თავის კერძად განეზრახა ქართველთ სამშობლო. ღვთის განგება მიკარნახებსო: შენ გიწოდებ, რომ განლიო ისლამის ძალა და აღმართო აღმოსავლეთის ჯვარი სხივმფენი. და გაშლის მძლავრ ფრთებს თეთრი არწივი ზღვებიდან ზღვამდე, ოკეანამდინ! დასკვნილი იყო ბედი ქართლისა: ვერ დაუთმობდა რუსი ამ მსხვერპლს ვერც სპარსთ, ვერც ოსმალთ.

დათქმული იყო ქართლის მეფედ იმერთ მემკვიდრეც. ხონთქრის ძალას მოიტანდა მთელ ქართლ-კახეთში. გიორგის ხმალი მოუძღოდა ამ ახალ მეფეს. ზურგს უმაგრებდა ორსავ ხონთქარი. სააკაძე ვერ იმშვნევდა ვერც ერთს სხვა მეფეს. რა სარგებელს მოუტანდა საქართველოს ალექსანდრე ხონთქრის მორჩილი? ოსმალთ გავლენამ მხოლოდ გახრწნა ლიხთიმერნი და დააკნინა. ლიხთამერთაც ამას უზამდა.

ამ სამთა აუცილებელ ბრძოლაში თეიმურაზს მომხრედ ჰყვანდა სიძე ზურაბი. ეს ერისთავი მეტად მძლე იყო. ნუგზარმა რომ ვერ შესძლო მთის დამორჩილება, ზურაბმა მონობის უღელი დაადვა ერწო-თიანეთს, გასწია საბატონოს სამზღვრები გომბორის მთამდინ. მხოლოდ ზემო ხევსურეთი და ჩრდილო ფშავი ვერ დაიჭირა, თუმც მორწყო სისხლით ხევ-ღრანტეები. შეუტია მუხრან ბატონს და წაართვა მთის სანახები. ზვიადდებოდა.

– ბედი შეგწევს, ჩემო ზურაბ, ქედს დაჰხრიან შენს წინაშე ქართლი, კახეთი.

– როგორ? რას მეტყვი?!

– მემკვიდრე ხარ ნუგზარისა კანონიერი.

– მერმე?

– დიდებულებთან შედარებით მეტად ძლიერი.

– ეგ მართალია!

– აღარ ჰყავს თეიმურაზს ვაჟი მემკვიდრე.

– და...

– მის მემკვიდრედ არის ეხლა მეუღლე შენი, მისი ასული.

არ დაწყნარდა მისი ფიქრი, ამ გზაზედ მსვლელი.

– სვიმონ მეფე თბილისსღა იბყრობს. ვერ დაიმკვიდრებს ის საქართველოს: ხალხს სულ არ მოსწონს. ვერ უშველის სპარსეთის ხმალი. ხოსრო მირზა... სააკაძე მტერია მისი. ხალხს ეზიზღება. მარაბდაში სპარსთ მოუძღოდა. მუხრანბატონი მეფის გვარისა. ხალხს მოსწონს იგი, მაგრამ... გავაქარწყლებ მის საშიშრობას. ვერ აუსრულდეს ვერც ჩემს სიმამრს თვის საწადელი: არ მივსცემ არვის არშის ციხეს, ვერავის ვავლევ ჩემს მიწაზედ, ვერც ძლიერ რუსეთს! შორს არის რუსი, ჯერ ვერ მოახწევს. თეიმურაზს გავუმაგრო ბრძოლაში ზურგი!

ხალხსაც ვეღარ ეთვისებოდა გზააბნეული ბუმბერაზის მოქმედება. წინად ერი უყურებდა მხსნელად ბატონთა მძლავრობისაგან; საფურცლეს ომში ღირსეულად დაიმსახურა სახელი უცხოელთა მონობისაგან ხალხის მხსნელისა; ეხლა ოსმალთ მოუძღოდა ქართველთ ბატონად.

– იქნებ მაშინაც მართალნი იყვნენ გიორგის მტერნი, რომ ამბობდნენ, საქართველო თითონ მისცა ყიზილბაშთა, მათ ლაშქარს თვით წამოუძღვაო.

– არა! დაგვიმტკიცა უარყოფა სპარსთ ბატონობის: შესწირა შვილი, თავიც გასწირა.

– ეტრფოდა იგი საქართველოს თვითარსებობას; რუსიცა სძაგდა საქართველოს ბატონ-პატრონად. ეხლა...

– მარაბდაში თუ გაემარჯვნა, გულისწადილს აისრულებდა.

– ვერა მგონია! შესცდა, როცა მეფედ დასვა კახთა ბატონი: იმას უხარის საქართველო რუსეთის მონად.

– სხვას რას იზამდა? ბაგრატიონთ გვარისაგან არვინ არის გვირგვინის ღირსი.

– უძლეველი ხმალი მისცა განგებამ ხელში. დასახა იგი ქართველთ წინამძღვრად; უბრძანებდა, წაეყვანა ხალხი ახალ გზით. ვერ შეიგნო ხმა ბედისწერის და იღბალმაც უარჰყო იგი: აჰხდა მებრძოლს სული მეცანი!

– ჭეშმარიტს იტყვი! მოსპობდა ბარშიც ბატონობას ჩვენი მთის მზგავსად, დაფასდებოდა ყოვლი კაცი თავის უნარით და...

– იქმნებოდა ქართველთ მოდგმა თავისუფალი! მის განმგებლად ხალხის რჩეული, გზის დაშნით მკაფი დიდ დიდებისკენ.

32

სპარსთ სისხლის მძებნელს სააკაძეს ვეღარ ეგნო ხალხის გულისთქმა: მის გონებას არ ესმოდა ერის ზახილი; მის ჩახშულს გულს ვეღარ ეგრძნო ერის განცდანი: ვერ ჰხედავდა, არ ჰყვებოდნენ ქართველთ ტალღანი, სურვილთ ყვავილებს არ უფენდნენ მას ბრძოლის გზაზედ. მიილტოდა სააკაძე სავნებელისკენ და სწრაფვა მისი იყო ქროლვა სტიქიონთ ძალის.

– დამდაბლდეს სპარსი ხონთქარის ძალით! – გაჰყიოდა დიდმოურავი

და მოარღვევდა არემარეს გაშმაგებული. სწერდა ბრძანებას:

– მოდის ხონთქარი დასახსნელად სპარსთ მძლავრობისგან! განდევნილ იქმნენ სვიმონ მეფე და მის დამცველნი! თეიმურაზ აწ არს მხოლოდ კახთ ბატონი. ქართლის მეფედ ალექსანდრე, იმერთ მეფის ძე! შეგებება ხონთქრის ბრძანებას!

ბრძანებაზედ ხმა არ გასცა თავადთ სიმრავლემ. სწერდა ზურაბი:

– ვერ ვუმტყუნებ თეიმურაზს, ჩემსა სიმამრსა. ამაგდარო ჩემო ამზრდელო, დაშალე ბრძოლა: ვერ წაიღოს ხონთქარმა ქართლი!

თეიმურაზ აიღო ხმალი. უმრავლესი მისი ძალა ზურაბი იყო თვის მთიელებით და მოლალული პირიქითით უცხო მებძოლნი. მოერთნენ კახნიც: პირველობდნენ ჯანდიერი ედიშერი, თამაზ ჯორჯაძე. წაესწრაფა სააკაძე მტრის შესახვედრად და მტერი იყო ისევ ქართველი. ამ მოძრაობამ შეაბრუნა გიორგისგან ქართველთა ერი. ვეღარ მოსწონდათ! ჩასდგომოდა სათავეში სხვისა ძალებსა, ცეცხლ უგზნებდა ქართლს, ქართველობას ოსმალთ სამონად, უსჯულოთა ფეხით საქელად.

ვერ ჰხედავდა ყველა ამას ამირთამირი; ვერ შეეძლო ნათლად მზერა აბმულ თვალებით. ბედისწერის მრისხანება ატივტივებდა, ქუფრ ზვირთებზედ აქანებდა, როგორც რომ ნაფოტს.

გაჩნდა გიორგი სამუხრანოში. შეუერთდნენ მუხრანელი და ქსნის ბატონი: მხარს ვერ მისცემდნენ თვის მტერსა ზურაბს. მოპირდაპირემ დაიწია ბაზალეთისკენ, დაჰკრა ბანაკი ბაზალეთის ჩრდილო სამზღვრებზედ. ზურგით კერძო მიჰყრდნობოდა მთათა კალთებსა. ელოდდა მომსვლელს.

პირისპირ იდგნენ ქართველები ერთურთ საჟლეტად. გარეშენი მოეყვანათ, სანადგურებლად, კაცთ სისხლის სმას შეჩვეულნი გადამთიელნი. მოირწყვებოდა ქართველთ მიწა ქართველითვე სისხლით.

გიორგი კარგად იცნობდა საომრად არჩეულ არეს: ხელსაყრელი ადგილი მოენახა მოპიდაპირეს, ძლიერ კუთხეში დაეკრა ბანაკი. მათ ზურგთ უკან აღმართი იწყებოდა ღელეებით დასერილი; თუ იძლეოდნენ, მოასწრობდნენ, სიმაგრეებს შეჰფარებოდნენ. მათი თავს დავლა არ იქმნებოდა: არც ერთ მხრიდან მთა ადვილად არ გადუშვებდა. მცხოვრებლებიც გზას არ მისცემდნენ უკვე მტრულად განწყობილნი სააკაძესთან.

– ოსმალთ მოუძღვის მოურავი ჩვენ დასანთქმელად!

– მოსრა კახეთი ყიზილბაშთ ხელით, აწ ხონთქრის ხმალით ქართლს ანადგურებს.

გიორგის არც დრო ჰქონდა ეხლა, არც შეძლება, უარეყო ეს ხმები და აქამდის მის მომხრე ხალხი მტრულად უმზერდა. გვერდს უმშვენებდნენ გამოცდილი თანამებრძოლნი, მაგრამ ესენი მასთან იყვნენ თანაშეზრდილნი და სიკვდილამდინ განუყრელნი მისნი ერთგულნი, ან ისინი, რომელთ ერთობ დაეკოდნათ სპარსთათვის გული და მათგან მხოლოდ ბოროტს ელოდდნენ.

გიორგის ბანაკში მეტი ხმაურობა იყო, უწყნარები მოძრაობა თუ მისვლა-მოსვლა. ეს არ მოსწონდა:

– ჰღელავენ ჩვენნი; მეტად ფიცხობენ. გრძნობაშლილი ნაკლებად ღირს ბრძოლის ველზედა.

იმედი ჰქონდა, შემართების დროს დაბლობისკენ ჩამოიტყუებდა მოპირდაპირეს და გზას გადუჭრიდა, წარსტაცებდა შეძლებას, მიჰყრდნობოდა კლდეთა სიმაგრეს. დაუარა ბანაკს. ამხნევებდა მებრძოლთა გუნდებს. გასცა ბრძანება, შესამართად მზად ყოფილიყვნენ.

– ცხენთ მოუარეთ; შეკაზმულნი გედგათ გვერდზედა. შეიჭურვენით, ისე შენაყრდით: საყვირთ ზახილი და თქვენი დაძვრა ერთსავე წამზედ!

გასცდა ბანაკსა. ავიდა ბექზედ, ბრძოლის ველს რომ გადაჰყურებდა. თავდადებულთ მცირე ჯგუფი ახლდა გვერდზედა.

– აქ შევისვენოთ. შეუტიოთ ახალ აისზედ. ჯერ არ ელიან ჩვენგან თავდასხმას.

– იქნებ სჯობდეს, კიდევ რამდენიმე დღე დავიცადოთ: გაჰბედავენ და გამოვლენ, – წარსთქვა ბარათამ.

– არა! უთმინობა მოსჩანს ჩვენს ჯარში. იქნებ იმათნიც აღელვებენ ჩვენს ლაშქარში თვალთმაქცურად შემოპარულნი.

– გამოვაბრუნოთ ბრძოლის ველზედ სპათა რაზმები, უკან დავსწიოთ. ეგონებათ, თავს ვარიდებთ მათ და გადმოვლენ საფრებიდან სადევნელადა, – ურჩია ქსნელმა.

– არა! ჩვენი ჯარი თუ მხოლოდ გვყვანდეს, შეიძლებოდა; მაგრამ უცნობი ჩვენთან მყოფნი კიდეც ზომავენ გზას სალტოლველად და ბრძოლის ველზედ მოჩვენებით გამობრუნება მებრძოლთ ლტოლვად გარდაგვექმნება.

– ჭკვას ახლო არის!

– აბა მცირედ დავისვენოთ და...

იყუჩა ჯგუფმა. განვლო ხანმა მდუმარებაში. ძილ-ღვიძილში ფიქრს ასდევდა მთავარსარდალი. ფრთიან ოცნებამ გარდიტაცა ბალღობის ხანას, როს სვიმონს ახლდა იგი შინაყმად. მის გულოვნებით მოხიბლული არ ჰშორდებოდა არც მძლავრ ბრძოლაში. დაჭრილიყო აწ გმირთა გმირი. შუბი ჰქონდა მკერდს განაწონი.

– დაგცეს ლახვარი? ვინ, როდის, მეფევ? – შესძახა გიორგიმ

და ხელი წაატანა გულში დასმულ იარაღს. შეჰზარა მეტად: მისი შუბი ყოფილიყო, თვით გიორგისი! გადისახა პირჯვარი. მოავლო თვალი იქავრობას. ეძინა ბანაკს. მის მახლობელთც ჩასძინებოდათ. ეღვიძა მხოლოდ ვაშაყიშვილსა. ცხენს მიჰყრდნობოდა, ადგილს ჰზვერავდა. მოაგონდა თვისი დარდი, როს სვიმონი ოსმალთ შეიბყრეს; ძნელი გლოვა, როდესაც იგი მოსპეს ხონთქრის კარს. გაახსენდა სვიმონის სიტყვა:

– ხმალში შენ ხარ ჩემი მემკვიდრე!

33

ალიონზედ დაიწყო ბრძოლა და მსწრაფლ გამწვავდა: ფიცხად ეკვეთნენ სააკაძესნი; თავს არ ზოგავდნენ, ოღონდ ჩქარა შეჭრილიყვნენ მტერთა ბანაკში. მეორენი უფრო დინჯობდნენ; ცდილობდნენ მხოლოდ გაჰმაგრებოდნენ, უკუექციათ მათი ზვირთები.

ნარჩევი ხერხი სცადა ბარათამ: მთელის ძალით დააწყდა მტრის ფრთას და ულოდნელად უკუმოიქცა. მტერი წაქეზდა, წაიწია, წამოედევნა. შეტრიალდა ბარათაშვილი, დაჰკრა გამოსულთ, შეარყია მათი წყობა, თავს დაუარა. სამცხის ჯარმა იერიში მიიტანა მარჯვენა ფრთაზედ; ადგილ-ადგილ დაფლითა წყობა. შუაგული მეტად იყო გამაგრებული. აქ იბრძოდა თითონ გიორგი. მოპირდაპირედ დასდგომოდნენ თუშნი და კახნი. მთავარსარდლად ზურაბი ედგათ. სააკაძეს დაეტანა თავის ძალებით; ვერ უყო ძვრა ფოლადის მწკრივებს.

მარცხნივ და მარჯვნივ რომ შედრკა მტერი და დაიწია, თეიმურაზ გასცდა ბანაკსა: გასაცლელ გზას თუ ეძიებდა. სააკაძე მთელის ძალით დაატყდა მებრძოლთ. შეარყია, გაგლიჯა მწკრივი და წაიწია, წინ წაუსწრო უმთავრეს ძალას. გარს შემოერტყნენ ზურაბისნი განმარტოებულს. ჰკაფდნენ ერთმანეთს. ჰა, ერთი წამიც და მიაღწევდნენ გიორგისნი მკაცრ ბრძოლის ადგილს, მაგრამ... დაშნის წვერმა ჩამოჰკაფა ჩაფხუტის ფარდა და ჩაეფლო მებრძოლს ყვრიმალზედ.

– დაიჭრა, დაიჭრა გიორგი!

ამ ზახილმა გაამხნევა მოპირდაპირე: გაქცეულნიც კვლავ შემობრუნდნენ. შეკრთნენ, შეშინდნენ სააკაძესნი. მიესივნენ ზურაბისნი დაჭრილს ყიჟინით. მოეღო ღონე სისხლით მობასრულს. დღე აღსრულების! გაჩნდა გოდერძი.

– მაინც ცოდვაა ქართველთ ხანჯლით მოკვდეს გიორგი! – ხმა ჰყო ჭაბუკმა

და გაიტაცა ბრძოლის თავი გულშემოყრილი. დევნა არ უყვეს: არვის უნდოდა, შავალმიანთ გაჰმკლავებოდა. ვერც რას უზამდნენ: მათ შეუერთდნენ გიორგის გმირნიც. გორა-გორა ეყარა მკვდარი. ცხენი, კაცი სისხლში მცურავი. წითლად რუები. მეტად დაზარალდნენ დასავლეთელნი: ერთობ ფიცხობდნენ.

გამარჯვებულთ წამოუძღვა თეიმურაზი. დაიჭირა ქართლი სრულიად. გამაგრდა გორში. სისასტიკე მეტად ნაჭარბი. სააკაძის მომხრეების დასჯა სიკვდილით, დასახიჩრება; იავარქმნა მათის ქონების. ქართლს გაეცალნენ მისგან დევნილნი, მიჰმართეს თბილისს. მაშინ მოსწყდა საბარათიანო თეიმურაზს, მიერთვა სვიმონს. მეფის სიმკაცრემ გააძლიერა შაჰის სიძე, სპარსთა გავლენა. თუ სვიმონ მეფე

დაძრულიყო დასაბყრობად თვის სამეფოსი, ქართლი მისკენ გადიხრებოდა და თეიმურაზ იძულებული შეიქმნებოდა გასცლოდა იქავრობას. კახეთში ვერ ჩავიდოდა ჯერ: შიგადაშიგ კიდევ იდგნენ სპარსთა რაზმები. ძნელი იყო, პირი ექმნა იმერეთისკენ: ბევრი მათგანი შეურაცხჰყო გამარჯვებულმა; სისხლს აიღებდნენ. რუსი იყო მისი საფარი. არც აქ იყო გზა გახსნილი მისი ჰაზრისთვის: დარიალი ზურაბს ეჭირა, ვერ დაუთმობდა ვერც თვის სიმამრს რუსთა სავალად.

34

მზირ თვალს ადევნებდა სპარსეთი სააკაძის მოქმედობას. მარაბდის ომიდან თითონ გიორგი უვნებელად გამოვიდა, კიდეც შესძლო ძლეულმა შიგადაშიგ გზა ეხერგა ყიზილბაშთათვის, ნავნები ექმნა. ლომეკის ხეობაში გადასული სპარსი მთლადაც მოისპო. შაჰ-აბაზს მაინც დინჯად ჰქონდა გული: საერთო ძლევა მარაბდაში ისეთი ძლიერი იყო, რომ ქართველთ ნაწილობრივი გამარჯვება დიდ შედეგს ვეღარ მოიტანდა; ლიხთამერი ვეღარ გაუმაგრდებოდა ირანს, უნდა დაჰმორჩილებოდა. დარიალის ხეობის დაჭერაც მხოლოდ დროებით გადიდო: ყეინი კვლავ გაჰგზავნიდა ლაშქარს მოწყობილს, მთებში ბრძოლის უკეთეს მცოდნეს და თვის წადილს აისრულებდა. ეს აღარ იყო სპარსისათვის საშიშ-საძნელო; მოურავი გიორგი კი საფიქრობელ ძალად მოსჩანდა.

– სააკაძე საბოლოვოდ არის ჩვენზედ განრისხებული: პაატას შემდეგ ვერც დაგვითმობს და არც დაგვითმობს.

– კახთბატონიც მასთან ერთად გვებრძვის ჩვენ ეხლა. ვერც ის მისცემს დავიწყებას დედისა თუ ვაჟთა დაღუპვას.

– თეიმურაზ თავისთავად არარა არის. საშიში იყო, არ გაეღო კარი რუსისთვის. აღარ არის ჯერეთ მაინც ესეც საფიქრი: აღარ სცალიან მყინვარეთს ჩვენთვის, მიზნადა აქვს დასახული ყირიმ-ხონთქარი.

– ვერ ჰხედავს ამას ოსმალეთი და ებრძვის ირანს. დაასუსტებს იგი ბრძოლა მაჰმადის მოსავთ, გაუადვილებს მყინვარელებს ჩვენს დამონებას. სააკაძე ურჩევს ხონთქარს ჩვენზედ ლაშქრობას. ამ მხრით არის იგი საშიში.

როდესაც ეს შიში გამართლდა და სააკაძემ მიჰყუდა ზურგი სტამბოლის ძალას, შეფიქრიანდა ყეინი:

– ჰშველის ხონთქარი ფულით, მეომრით. უიმისოდ ვერ შესძლებდა სააკაძე ჩემთან კვლავ ბრძოლას; ციხეებიც კი წაიღო სამცხეში.

უბრძანა სვიმონს, მეტი ყურადღება მიექცია მოურავის და ოსმალთა მოქმედებაზედ. მივიდა ირანს ამბავიც: სააკაძე დაბრუნდა ქართლს დიდი ლაშქრით, ქართლის მეფედ განაცხადა იმერთ მეფის ძე; შეებრძოლა თვით თეიმურაზს.

– ქართველებმა ჟლიტონ ერთურთი: გაგვიადვილებს საქართველოს მკვიდრად დაჭერას.

– მაგრამ თუ ეხლა გაუმარჯვდა იქ სააკაძეს, საქართველო დაგვეკარგება: საგრძნობ ძალებით დაბრუნდება და დაჰკრავს თბილისს.

ეს საფიქრო იყო და მით უფრო, რომ ჯარს ვერ აშველებდა შაჰ-აბაზი თვის სიძე სვიმონს. თითონ უჭირდა მებრძოლთ სიმრავლე. მის წინ იდგა ხონთქრის ჯარი ბაღდადისკენ, დიარბექირშიც. გამარჯვებული სააკაძე ირანის გზას დაადგებოდა. წაიწევდა თითონ ხონთქარიც და... მოელოდდა სპარსეთს ბრძოლა საბედისწერო.

გაამაგრეს სპარსთ თბილისი, დაიჭირეს ქართლის გზები, რომ მათზედ მოსულ სააკაძეს შეჰბრძოლებოდნენ.

– ვერ აიღებს მოურავი ეხლა თბილისსა.

– შურის ციხე შეუვალი გვაქვს, კაცმრავალი, სურსათით სავსე. მანამ ციხე ჩვენ ხელთ იქნება, ის ვერ წავა წინ, ვერას ავნებს დიდებულ ყეინს, – იტყოდა სვიმონ.

ეთანხმებოდნენ მას დიდებულნი. მხოლო შერმადინ ორბელიანი სხვა ჰაზრს იცავდა:

– კარგია თბილისის გამაგრება. მაგრამ ამოდენა ჯარის აქ უქმად ყოფნა, როდესაც სწყდება საქართველოზედ გავლენის კითხვა?!

– შენ ხელთ იყოს, რას ინებებდი?

– გავუძღვებოდი ლაშქარს, დავუახლოვდებოდი მებრძოლთ. მუხრანის ველზედ უნდა მოხდეს მათ შორის შებმა.

– თეიმურაზ ბაზალეთში გამაგრებულა.

– ეგ არაფერი! ჩვენი ჯარი ბრძოლას მიასწრებს. ორ ცეცხლ შუა ჩააყენებს ის სააკაძეს და...

– ჰა, ჰა, ჰა! შენის ჰაზრით შაჰ-აბაზი მიეშველოს კახთა ბატონსა?!

– საშიშია მხოლოდ გიორგი. თეიმურაზ ისეც უძრწის ყეინის სახელს.

არ შეისმინეს. გამარჯვებული გიორგი მოსპობსო ჩვენს ჯარს, თუ იგი ჩვენ განვაშორეთ თბილისის ციხეს. როცა გატყდა სააკაძე და მიილტოდა, გაჰგზავნეს სწრაფად ცხენოსანი გზის გადასაჭრად. გვიანღა იყო: გასცდა, გიორგი გადავიდა ხონთქრის სამზღვრებზედ.

35

ძლიერი ჭრილობა იყო. ბევრ სისხლს ედინა. დასუსტებულ იყო ბრგე ვაჟკაცი: ცხენზედ ჯდომა ვეღარ შეეძლო; შიგადაშიგ გონსა ჰკარგავდა. მოკლე გზებით მიისწრაფოდნენ. გასცდნენ საფრთხეებს: სახონთქროში გადადგეს ფეხი. შეჩერდნენ; მდევრის შიში აღარ იყო: მეტი ვეღარც დაჭრილს შეეძლო. მთელი თვე იწვა. ყოველ ღონეს მიჰმართეს, ფეხზედ დაეყენებიათ: იცოდნენ, ძვირად უღირდა იგი ხონთქარს. გამობრუნდა. შესძლო მგზავრობა. დადგა სტამბოლის გზაზედა.

მეფური დიდებით მიიღო სულთანმა. მისცა ბინა საკადრისი მასაც, მისებსაც. გაუჩინა ცალკე ულუფა. ხშირად ჰყვანდა თავის გვერდზედა: მის ვაჟკაცურ შეხედულებას, საარაკო თავგადასავალს, წრფელ მომხრეობას თვალი მოეჭრა მბრძანებელისთვის, დაეხვივნა იმისთვის გული.

მთლად განიკურნა. არ გამართლდა ექიმთა შიში. ნამზნევი რამ დააჩნდებაო, მის გმირობის მასუსტებელი. სცადა ხმალი, ლახტი, ჯირითი. მოსდევდა ჯანი წინანდებური. ეფონა გულსა: ვერ წარმოედგინა თავის თავი ღონემიხდილი.

რამდენიმე თვე დაჰყო სტამბოლში. უსაქმოდ იყო დიდ განცხრომაში. ვერ შესჩვევოდა ისეთ ყოფასა ბალღობიდან ხმლის მოტრფიალე. მის გაწვრთნილთაც მოსწყენოდათ უსაქმოდ დება.

– ბატონო გიორგი! მდიდარი მხარე ყოფილა: ხონთქარიც, დიდკაცობაც მხოლოდ ფუფუნებას მისდევენ. გამომჩვენებას: ხმალი ალბათ დაჰვიწყებიათ.

– მოგნატრდათ ბრძოლა? მეც მეწყინა. ვთხოვე კიდეც თითონ ხონთქარს, რომ გაგვგზავნოს სადმე საომრად. მოვიფიქრებო.

სასახლეში თითონაც ფიქრობდნენ, რომ დრო იყო, მოენახათ გიორგისთვის რაიმე საქმე. კიდეც მონახეს:

ოსმალთა და არაბთ სამზღვრებზედ ხშირად იყო მღელვარება, ხმალთა ტრიალი. არაბთ თემნი ვერ იტანდნენ ხონთქრის მძლავრობას, სპარსთ წაქეზებით

დიდ მბრძანებელს ეურჩებოდნენ. ამისთანა თემთაგანი მაშინაც აჩნდა. აშლოდა ხონთქარს. ძნელად საბრძოლი მამული ჰქონდა. მოიფიქრეს იქ გაგზავნა ქართველებისა.

– ვერ გაგიმარჯვდა ბოლო ომში ყველგან მტრის მძლეველს. ნუ დაღონდები: ომის ბედი ცვალებადია, გმირი მაინოც საესავო და საპატიო. ჩემს კარს ყოფნა მებრძოლისთვის მოსაწყენია.

– უომრად მე ვეღარ გავძლებ: ბრძოლის კაცი ვარ.

– მაშ გვიჩვენე შენი უნარი: ჩვენი მოხარჯე თემთაგანი გაგვითავხედდა, ეურჩება იგი ჩემს ნებას. ვერ მოიყვანეს მორჩილებაში! აწ შენ გავალებ. მომიცია მათ ბატონობა! შემდეგ გიბრძანებ შენ საკადრის დიდებულ საქმეს.

– ჩემს სამშობლოში, მეფეთ მეფეო?

– საქართველოს ეტანება დიდი რუსეთი. ჰსურს იქიდან მოსწვდეს სტამბოლს და თეირანსა. ვერ შეუგნია ეს სპარსთა მფლობელს და მტრობას არ ჰშლის. უნდა მისმინონ შაჰ-აბაზმაც, სხვა მფლობელებმაც! წინა ასია შეიკრიბოს ჩემს ბრძანების ქვეშ და ეკვეთოს მყინვარელ ვეშაპს!

სააკაძემ შეასრულა ხონთქრის სურვილი: დაამშვიდა მღელვარენი, გაუბატონდა. გაისმა ქებად მის გმირობის ხმა. ბუმბერაზად დასახეს იგი.

შაჰ-აბაზმა რომ გაიგო სააკაძის დაახლოვება, წარმოსთქვა გულში:

– თვით მოსულა მსხვერპლი მახვილთან!

36

ის ხანა იყო, როდესაც რუსეთს მეტად დაეტყო სამხრეთისაკენ მისწრაფება. გეგმი ცხადი ჰქონდა: დაბყრობა მთელის ვაკეებისა, დამორჩილება ყირიმისა, საქართველოსი, დამკვიდრება პონტისა და გურგანის კიდეებზედ რისხვად ხონთქრისა და ყეინისა.

ცხოვრებისაგან უკვე დაბრძნობილმა შაჰ-აბაზმა მკვეთრად დაინახა ეს საშინელი საფრთხე და შეიგნო, რამდენად სავნებელი იყო თვით ირანისთვის მტრად მოკიდება მეზობლად მყოფ ძლიერ ხონთქრისა.

– მხოლოდ ორნი ვართ მრთელ ასიაში რჯულის დარაჯნი. თვალუწვდენი მყინვარეთი მებრძოლით უხვი. აწ ის მოუძღვის დაუსრულებელ ბრძოლას ევროპისა და აზიის შუა, ისლამისა და ქრისტიანობის შორის. აღვივებს ბრძოლას ჩრდილოეთის სასტიკი ქარი. ერთობა გვმართებს მაჰმადიანთ დიდ ხიფათის წინ!

ოსმალეთშიც, სპარსეთშიც ეხლა პატივცემით იგონებდნენ ბრძენს, დიდის რწმენით რომ იტყოდა:

– ზავი მაჰმადიან მფლობელთა შორის! მთელი ძალა მიმართული ორთავიან არწივისკენ მყინვარეთისა!

ამ ჰაზრს ნდობით დაჰყურებდა დიდებული ვაზირი ხონთქრის აზიმ, ამირთამირი და მმართველი სახონთქროსი მრთელ აზიაში. სააკაძის საბატონო მის გავლენის ფარგლებში იყო. ნაზიმის კარს ხშირად იყვნენ არაბთ შეიხნი, სპარსთ დიდებულნი, შორ ქვეყნებიდან წამოსული წარმომადგენნი. ბევრსა ჰქონდა სახვეწარი ხონთქრის წინაშე. ყური იყო დიდის სულთანის და თვალი მისი. მის დიდებულ სასახლეში მისდევდა მუდამ ნადიმს მეჯლიში.

დიდი ზეიმი იყო აზიმის კარს: შეყრილიყვნენ მისალოცად დღესასწაულის. სულ ახალიც ერია მათში: თვის საბატონოდ განდევნილი ალი-არსლან მისულიყო ხონთქრის სიძის კარს. ევედრებოდა ხონთქრის განმარისხებელი, რომ დაეცხრო დიდ

მბრძანებელს თვის გულისწყრომა, გამოეცადნა მის ერთგულება. ეს მისი მისვლა დიდ ვაჟკაცობად ჩაითვლებოდა: მისი თავი ოქროდ იყო შეფასებული. ვაზირს მიეღო იგი კაცი პატივისცემით და აღეთქვა შუამდგომლობა.

სააკაძე არ იყო ნადიმზედ: მის საბატონოს დასცემოდა არაბთა შეიხი და გიორგი წასულიყო მის დასასჯელად.

მეტად ცხელოდა. თითქმის პირდაპირ დაშვებულნი სხივები მზისა ალის ნაკადად ეღვრებოდნენ ხმელ დედამიწას. სულდგმულს ჩრდილი მოეძებნა, შეჰფარებოდა. ციხე-დარბაზში სიჩუმე იყო. მუთაქაზედ დაყრდნობილი სააკაძე ფიქრებს ასდევდა. ხუთიოდე ცხენოსანი მოადგა ჭიშკარს. არაბთა ჰგვანდნენ. ჰკითხეს ბატონი, საქმე გვაქვსო ასაჩქარები. ამცნეს გიორგის. ეზოში უცდიდნენ მოსულნი. მხოლოდ ხანჯლები ერტყათ.

– ამოდით აივანზედ! გამობრძანდება და მოახსენეთ.

ავიდნენ. ახალუხა გამოვიდა გიორგი. მიესალმნენ და... დაეცნენ ხახჯალ მოწვდილნი. სატევარით მოსპო წინანი. გამოცვივოდნენ მისნი ერთგულნი. შორით ნასროლი ხელშუბი მკერდს განეწონა. მოეშველნენ მტრად მოსულებს თავისიანნი: ჩასაფრებულნი ყოფილიყვნენ გამცემთ სახლებში. ხელჩართული ბრძოლა ფიცხელი. გაწყდა ქართველი.

1923 – 1925 წ.

არმაზის მსხვრევა

1

შუადღე გადასული იყო. იაღლუჯისა და მტკვრის შუა მომავალ შარაზედ გამოჩდნენ მგზავრები. წინ სამი ცხენოსანი მოდიოდა: ერთი ხანში შესული, მეორე ახალგაზრდა, მათ შუა წვერ-ულვაშ შეღებილი ვაჟკაცი. ეს სპარსი იყო, პირველად მოდიოდა საქართველოში. ცნობისმოყვარებით ათვალიერებდა ყველაფერს, გამოიკითხავდა, ისმენდა ყურადღებით, აკვირდებოდა.

მოშორებით მოსდევდა მათ ხუთი შეიარაღებული მხედარი. შემდეგ მოუდიოდათ რამდენიმე უბელო ცხენი საუკეთესო. თითო თითო მეჯინიბეს ეჭირა ლაგამით, თოკით. წინა ტაიჭი ორ ზანგს მოჰყავდა. მისი ლაგამ-ავშარა ვერცხლის ფოლაქებით იყო მოკაზმული, თოკი გრეხილი აბრეშუმისა. თვალებს აფეთებდა შავი რაში, დასჭიხვინებდა, ყალყაზედ დგებოდა და იტაცებდა მეჯინიბეებს. ცდილობდნენ, თავი არ წაერთმია, არ დაზეზებულიყო; ფრთხილობდნენ, კბილით არ დასწდომოდა ან ტოტი არ დაეკრა. მათ უკან მოსდევდათ თამბალითით დატვირთული ცხენები და ბოლოს შეიარაღებულ მხედართა ჯგუფი. მტვრით შეფქვილულიყვნენ: შორი გზა გამოევლოთ.

გამოსცდნენ საყალთუთს. სავალი შევიწროვდა მდინარისა და მთის შუა. დაუსწორდნენ ყურყუთას ჭალას. გზა გადაევლო შემაღლებულ ბორცვის ქიმს. აჰყვნენ, ავიდნენ. გადაეშალათ მარცხნივ ვრცელი მინდორი და შუაზე ტბა. დასავლეთიდან გზას დაჰყურებდა წამოწვდილი კლდე, რომლის შემაღლებულ კონცხზედ აჩნდა ვაჟკაცის აღალმა კვარცხლბეკზედ მდგარი. შეკეცილი ფრთები ნაბდად მოსხმული. მის მაღალ სახებას გარს კედელი ერტყა მცირე კოშკით გამტკიცებული. ქოჩორა ხეები მოჩანდნენ გალავანში.

შეჩერდნენ მგზავრები. უფროსმა მარჯვენა გამოიღო უზანგოდან, ასწია ხელი, მიაპყრო თვალი აჩენილ ნიშს და წარმოსთქვა:

– მადლობა შენდა, სავალთ ბატონო ჯიმაღ ძლიერო! კეთილად გვიძღოდი გზათა ძნელთა, სვლა წარგვიმართე და მშვიდობით დაგვაბრუნე შენნი მონანი. აღგისრულოთ, დიდებულო, აღთქმა ყოველ!

გულზედ მიიდო მარჯვენა და დაბლად მოიხარა ხატის წინაშე. ქართველები ყველანი ეთაყვანნენ ადგილის ღმერთს. უცნობნი განცვიფრებით შეჰყურებდნენ მათ.

– სავალთ უფალია იქ დავანებული. მოგზაურთა მფარველი. განაგებს ის გზებს, მიმომავალთ, ნაზიდ სოვდას. დიდებული დამკვლევია, ვერაფერი ასცდება მის გამჭრიახ თვალს. იმ საყუდრის დასწვრივ არის მთავარსაზვერი, ბაჟს იქა ჰკრეფენ.

წამოემართნენ. გზის მოშორებით მთის კალთაზედ გამოჩნდა გელაზებით ნაშენი მცირე ყუდე. თაყვანი სცეს ნიშს.

– ყვავის საყდარი! გზის ბატონი ჯიმაღი გაშლის ღამე ფრთებს, გადმოფრინდება თავის კოშკიდან გზათა საკვლევად. ამ ნაგებზედ შეჰკეცავს ფრთებს დასასვენებლად. ცეცხლებივით უნათებენ უკუნში თვალნი.

2

გზა მტკვრის პირიდან მთის კალთისაკენ შებრუნდა, ლეღვთა ხევს აჰყვა. კლდეს რომ დაუახლოვდნენ, სპარსი განაცვიფრა მდუღარებათა სიმრავლემ:

ნაპრალებიდან მრავლად გადმოსჩქეფდა ქაფქაფი, ხევისაკენ ესწრაფებოდა. წყაროებს, ნაკადს, მთელს ხევს ორთქლი ბურუსად მოსდებოდა.

– მდუღარეთა სიუხვე! დიდი სიმდიდრე! ჩვენს კტეზიფონს რომ ჰქონდეს თუნდ ნახევარი ამ განძისა, ერთი ათად გარდიქმნებოდა მცხოვრებთა რიცხვით თუ სიკეთით.

– სამკურნალო წყალია გოგირდით განზავებული. უფრო მეტად დააფასებ ამაღამ, როცა ჰნახავ ციხის აბანოს, – უთხრა ჭაბუკმა.

– თუ ემჯობინება, ცოტა შევიფერხოთ და გაუდგეთ გზას: რაღა მანძილი დარჩა არმაზამდინ?! – წარსთქვა მოხუცმა.

– დაგვიღამდება, შეუძლებელი შეიქმნება დიდებული სტუმრის ღირსეულად მიღება: ხალხი ვერ გამოეფინება შესაგებებლად. არცა ვვარგივართ ნამგზავრები, დამტვერილები.

– კარგი! ისეთი სამსახური გაგვიწიე ამ ძნელ მგზავრობაში, რომ ღირსი ხარ შეგისრულო წადილი: არ გინდა წარსდგე სასახლეში მგზავრობისგან ნასახდაკრული.

შეწითლდა ჭაბუკი, დახარა თავი გულთმისანის წინ. შეუდგნენ აღმართს. შემოეგება ციხის თავი; სალამი უძღვნა; წაუძღვა წინა. მიადგნენ გალავანს. კარი ღია დახვდათ. იწყეს მისულთ მიღება.

– სიფრთხილით, ციხის თავო! ეგ ტაიჭები და ზინეთი ბრწყინვალე შაჰ-შაბურისაგან არის მოძღვნილი ბატონ მირიანისთვის.

– მეფეთმეფის საგანძურს თვალისჩინივით შავუფრთხილდები.

მოხუცი მაინც ვერ დაენდო მასპინძლის უნარს და ანიშნა ამზაილს. გაჰყვა ჭაბუკი მიმავალს, რომ თავის თვალით ენახა, როგორ დააბინავებდნენ მორთმეულ სიმდიდრეს და მოსულ ხალხს.

სანანურად არ დარჩათ დახანება: ნახეს აბანო, ხორცთ განუსვენეს, ისიამოვნეს. მარჯვე მექისეები და ბუნებისაგან ბრძნულად შეზავებული ცხელი წყალი ნაზად უალერსებდნენ მგზავრებს; უხვი ვახშამი, ქარვის ფერი ნექტარი, ლბილი ლოგინი სურნელოვანი ფუფუნებას განაცდევინებდნენ.

ადრე ადგნენ სავსენი ხალისით, ძალთა სიმრავლით. მთლად თუ დაჰვიწყებოდათ მგზავრობის სიძნელე. შეეკაზმნენ. აჰკიდეს. გამოემართნენ. სუფთად გამოწყობილიყო ეშხით სავსე ამზაილ. სახე უღიმოდა. გუშინ რომ არ უნდოდა განეგრძო გზა, ეხლა ის ანაღვლებდა, შეუძლებელი იყო ჭენებით წასვლა: ესწრაფოდა დაეკრა თვალი ქალაქ არმაზისთვის, მის გულში აღმოცენებულ კოკობ ვარდისთვის. სპარსმა მიავლ-მოავლო თვალი ციხის მდებარეობას და წარსთქვა:

– დიდებული ადგილია მთლად შეუვალი! მხოლოდ ერთი კოშკი?! უნდა გაფართოვდეს ციხე, გამტკიცდეს დიდი გალავანით, კოშკებით. შეიქმნება უტეხ ბურჯად საბრძანებლისა.

3

ვრცელი ტაშირი ყვავილოვანი. ცხვრის ფარები, ნახირთა თუ ჯოგთა სიმრავლე.

– ქარი არა ქრის!

– საკვირველია!

დაუახლოვდნენ მთის კალთას. გაიარეს კლდეში გაჭრილი გზა.

– დევის ნამუხლია! – უჩვენა მოხუცმა სპარსს.

– ძაღლპირას ნაკვალი?!

– უწინდელი ამბავია: დასტანებია ციშუბი სიასამურს. აქ მოსწდომია, დაუკრავს მეხი, დაუმუხლისთავებია; დევის წვივებს გაუღარავს კლდე.

გაიარეს კარსანი. მივიდნენ არმაზს. ღია იყო ქალაქის კარი. გამოვიდნენ შესაგებებლად. მეორე დღესვე დანიშნეს მეფის წინაშე სპარსთ ელჩის წარდგომა: ძნელ ამბავს მოელოდნენ სახელმწიფოს განმგებელნი და ხანის დაზმა შეუძლებელი ხდებოდა.

გაიმართა დარბაზობა. დიდებულთ მოეყარათ თავი მეფის წინ. დიდი ხალხი შეყრილიყო: ქუჩა, ეზო სავსე იყო მოზღვავებული მაყურებლებით. ზოგს ესწრაფებოდა გაეგო, რა ამბავი მოიტანეს კტეზიფონიდან, რას აპირებდნენ ქვეყნის პატრონნი; სხვებს უნდოდათ ენახათ, რა ზღვენი მოართვა დიდმა ხელმწიფემ საქართველოს მეფეთმეფესა.

იკმაყოფილებდნენ ცნობისყვარებას: სასახლის ეზოში ჩამოემწკრივებინათ შაჰისაგან მორთმეული ჰუნეები, მონები და სხვა ზინეთი. ტაიჭნი ძვირფასად იყვნენ შეკაზმულნი, სხვადასხვა ფერად. თვითეულ მათგანს ედგა მონა ზანგი. რჩეული ცხენები იყვნენ პირად-პირადი ფერისა და აგებულობისა. მაინც ვერც ერთი ვერ შაედრებოდა შავ რაშს. ბრდღვინავდა, მიმოხტოდა, ღრღნიდა ლაგამსა. მთელი მისი მორთულობა იაგუნდით იყო შეფრქვეული.

– საომარი ცხენია ბოროტი. ბრძოლას აპირებენ. ამაზედ შებრძანდება მეფე ბატონი.

– დიდებულია! ვერც ერთი ცხენი ვერ დაუდგება; შემუსრავს მკერდით, ტოტებით, კბილით. მაგრამ...

– რა გინდა სთქვა?

– ჩვენი მეფე მოხუცებაშია, ძველებურად ვეღარ შესძლებს ომში გარჯას; უფრო წყნარი ცხენი ემჯობინებოდა მისთვის.

გაატარეს სკივრები, ყუთები, მაფრაშები.

– სავსეაო ყველა ეს ზინეთით და ფარჩეულობით.

– ამზაილს ეთქვა, ერთი უზარმაზარი ხალიჩაა, ყვავილები ძვირფას თვლებითა აქვსო ამოქარგული.

– ბედნიერები!

– ღმერთები თუ არიან ამ ქვეყნად.

– მეტნიც არიან: არმაზს აღარა აქვს იმოდენა პატივი, რასაც მიუპყრობენ ეხლა მირიანს.

– ეკუთვნის! ძლიერია, მთელი საქართველო ხელთ უჭირავს.

– ადარბადაგანიც ხომ მას უწილადეს საუფროსოში. სიძე უზის იქ მმართველად.

– შაჰ-შაბური უფრო ძლიერია, სამი ამოდენა ქვეყანა უპყრიაო.

– მძლეთა მძლე მაინც არ დაილევა. რომთა კეისარი კონსტანტინე უძლიერესი ხელმწიფეა ქვეყანაზედ; თვალუწვდენელი საბრძანებელი აქვსო.

– ამბობენ, მუქარა შემოუთვლიაო შაჰისათვის, ჩვენი ხელმწიფისათვისაც...

– განზედ! განზედ! გზა მიეცით მეფის კარს მიმსვლელთ!

4

გაიმართა დარბაზობა. მიართვეს მეფეს შაჰის უსტარი. წამოდგა, მიიღო ეტრატი, მიიდო შუბლზედ, გადასცა წასაკითხად მწიგნობართუხუცესს. ამოიკითხა საამური სიტყვა შაჰისა. გამოგზავნილ მოსაკითხის სიაც ეტანა. გამოცდილმა

ხელისუფალმა თვალი აარიდა წიგნის იმ ნაწილს, რომელიც შეეხებოდა დიდ საზრუნავს: მისი საჯაროდ წაკითხვა და საყოველთავო სასმენად მასზედ მსჯელობა არ ეგებოდა.

ეს ადგილი შეეხებოდა სახელმწიფო დიდ საკითხებს და იმ ახალ სჯულს, რომელი უყენებელ მეწყერივით მოდიოდა დასავლეთიდან. დაეომებინა იგი მოძღვრება რომაელთა კეისარს, გაეხადნა თანამებრძოლად, გაემძღვარებინა აღმოსავლეთისკენ მის დასაპყრობლად. ძველისძველი იყო დასავლეთისთვის ეს ჰაზრი.

– დაიპყარ მცირე აზია, ეუფლე პონტს, დაიმონე საქართველო. შეჰზღუდავ აქედან და დასძლევ ირანს! შეიქმნები დიდის ქვეყნის ბატონ-პატრონი. გვექმნება წყარო უშრეტელი კეთილდღეობის. შენის სკიპტრის ძლიერება დაჰხარის შენ წინაშე ოქროს ინდოეთს!

ამ ზახილს შეალია თვისი ძალები ძველმა საბერძნეთმა. ერთის წუთით განახორციელა ეს მისწრაფება ისკანდარ ხელმწიფემ. კეისარი კონსტანტინე აევსო ამ სასურვს. შეეგნო მას ახალ სჯულის მნიშვნელობა ამ ძნელ სავალზედ, წარმოეგზავნა დაზავებული. ფეხდაფეხ მოსდევდა მას ფხიან ხმლით ხელში. რომაულ დროშას აწ ზედ ეწერა: ჯვარით დაიპყარ ქვეყნიერება.

ამ ძნელმა საზრუნველმა გამოიწვია მისვლა-მოსვლა კტეზიფონსა და არმაზს შუა. ამაზედ სწერდა შაჰი შაბური. ამის ამოკითხვა არ შეიძლებოდა საჯაროდ. იქნებოდნენ დარბაზში ჯვარცმულის და კონსტანტინეს თანამგრძნობები, რომაელთ მეფის იდუმალი მოკავშირეები. საქართველოს ჭირისუფალნი ვერ ანდობდნენ ქართველთ საიდუმლოს თუნდ შეუგნებლად მოღალატეებს.

შაჰის გამონაგზავნთა გადალაგების შემდეგ სთქვა მეფემ:

– მძიმე სახელმწიფო საქმე გვაქვს გასაბჭობი. მოფიქრება სჭირია. გიბრძანებ, ვეზირო: მოისაზრე დღე და მოუწოდე ბჭეთ!

უმრავლესობამ გუმანით იცოდა, რა იყო მოკავშირეთა შორის ჰაზრთა ტარების მიზეზი; ის იყო საგონებელი, რა მიმოხვრას მიიღებდა სპარსთა და ქართველთა კავშირი, რა სამოქმედო გზებს დაადგებოდნენ აღმოსავლეთის ეს ორი სახელმწიფო. დაფიქრებული დაიშალა კრება.

გამობრძანდა მირიანი აივანზედ, გადახედა ზღვნად მორთმეულ ტაიჭებს. ფართოო წინგარდი ხალხით აივსო. სასახლის მეორე ფრთიდან გამობრძანებულიყო დედოფალი ნანა სეფე-ქალების თანხლებით. გვერდს ედგა დედას ქალი ხვარამზე. შაჰისაგან მორთმეული ჰუნეები ლაგმით ეჭირათ მონა ზანგებს. მთელ ირანში თუ დაერჩია სპარსთ მბრძანებელს უკეთესები. შავი რაში წინ წაეწიათ. ცეკვავდა, ხტოდა; მედგრად იწევდა.

– დიდებულია! ეჰ, საჩემო ვეღარ არის: სიბერე მახლავს, საფერი მხედარი უნდა. გვიჩვენოს ამის უნარი, – ბრძანა ხელმწიფემ

და თვალი მოავლო კრებულს. გადახედეს რაინდებს. ვერვინ დაიძრა: ძნელი სჩანდა მეფის თვალთ წინ გამოწვევა ბედისწერისა. გაიღიმა ამზაილმა, წარუდგა მეფეს. მოსხეპილ ვაჟკაცს უხდებოდა ჩაცმა-დახურვა: ყომრალი კაბა, მწვანე წაღები ყელიანი. შევერცხლილი ქამარ-ხანჯალი; ბუსტუღის ფერის ახალუხი ბუზმენტვლებული. ერთს წამს შეფიქრდა მეფე და ანიშნა დასტური.

ჩაირბინა ახალგაზრდამ. შეავლო თვალი თავის ტანთსამოსს, გაიმაგრა ჩატეხილი ქუდი. დინჯად დაუახლოვდა მხეცს გაშმაგებულს. შემოუარა. გასინჯა მოსართავ-თაფხუნები. წინ დაუდგა და ჩააკვირდა. მიართვეს ლაგამი და სიმებჩართული მათრახი, მოახტა ზედ ელდის სისწრაფით. მძლავრად მოზიდა.

მათრახის ტკეცა. გადაირია რაში. გაფრინდა, გაქრა ცხენ-კაცი მმზერელთ თვალთა წინ.

5

იცოდა ამზაილმა, ძნელი დრო დასდგომოდა საქართველოს სპარსეთთან ერთად, მასაც მეტისმეტად აღონებდა ეს გასაჭირი. მაგრამ სისხლი უდუღდა ახალგაზრდას და დიდი საზრუნველი მაინც მიჩრდილული იყო მის გონების თვალთაგან. მის ფიქრთა არეს მფლობელობდა ერთი სურათი: ქალი ხვარამზე, ნათელი იგი მხიარული მეფის სასახლის.

რა ლამაზია! ორაზროვნად უმზერს მზე-ჭაბუკს. უნდა უბრძანოს, არ კი ამბობს განცხადებულად. სათქმელი აქვს სამხიარულო: უკრთის ღიმილი ბალღურ ბაგეზედ.

– ღიმო მაცდურო, გადმოჰხეთქე ლალის ნაპირნი, სიცილ-კასკასად მოეფინე ჩემს არემარეს!

გავრცელდა ღიმი, თვალებში ცელქად აეხატა უხმოდ მეტყველი.

– თქვი, გენაცვალე, გამაგონე სიტყვა მალხენი!

მსწრაფლ შეიცვალა აღალმა ქალის: ათრთოლებულს მუხლი მოეჭრა, მიიფარა ხელნი თვალებზედ.

– ნუ გეშინიან, სატურფალო! რას მიზამს რაში, თუნდაც შეშლილი, როცა შენ გხედავ ჩემ სანუგეშოდ?! დამჩეხოს, მომკლას, თუ ცრემლს დამაფრქვევ!

ქალმა ბეჭებზე გადაიყარა ნაწნავების ხელეურები, ნაზად გადისვა ბუდეშურის მტევანი ხელი: ალბათ იცოდა, ქუფრ ჭავლებში გაბმულიყო ჭაბუკის გული; ფრთხიალებდა გვრიტი იგი მახეს დაბმული.

შეიცვალა ნისლის სახედ ქალის ხატება. რად მოიწყინა? უმძიმს თუ რამე! თითქო წყრებაო...

– ნუ მირისხდები, სულის ბადალო! ხომ იცი, კარგო, სიკვდილამდინ მონა ვარ შენი; ტკბილი სახე თანამყვება ყველგან, ყოველს ჟამს: მამხნევებდა საძნელო გზებზედ; კტეზიფონის სასახლეშიც ჩემთანვე იყო. მითხარი, მამცნე, რა შეგცოდე, მზევ მოღრუბლულო!

მიუახლოვდა ჭაბუკი, მუხლი მოიდრიკა ხორცსხმულ ჩვენების წინ. გაშალა მკლავნი მოსაჭდომლად და... გამოფხიზლდა.

– რად წარმტაცე თავი შენი, მიუწდომელო? ბედმან მხოლოდ დამიწერა ცხად სიზმრად ყოფნა?! – წარსთქვა ვაჟმა უიმედოდ.

არ იცოდა ბეჩავმა, რა ეკალი შეჰხებოდა ქალის ნაზ გულსა, რად წყრებოდა იგი ლამაზი. ის აჯავრებდა: შორეულ მხრიდან, სიმდიდრეთა და სიმშვენივრეთ ქვეყნებიდან მთელი ხაზინა მოუვიდა სამეფო სახლს; პირად მისთვის არაფერი არ მოეტანათ.

– არვის ვახსოვარ! არ უზრუნვიათ, რაიმ ნიში წამოეღოთ ჩემდა საამოდ...

სცდებოდა კარგი: მისთვის გულმკვდარს მოეტანა პირად მისთვის შესამკობელი. ვერა ჰბედავდა, ეახლებინა, ჰბელავდა! ვერ გაეკვლივნა, გაეგზავნა ვისიმე ხელით, თუ პირად თითონ მიერთმია პირიმზისათვის.

– გავუგზავნი მსახურის ხელით! ვაითუ გაწყრეს: თითონ რაღას აკეთებდა, მონის ხელით რად მაახლაო. მე თითონ წავალ! ეწყინება: დიდი რამ ჰგონია მონატანი! თითონ მობრძანდა, პირად მიიღოსო ჩემგან მადლობა...

ყოყმობდა ვაჟი. მაინც მეტი გზა არ იყო, უნდა მიერთმია. დაასკვნა, მონა ეახლებინა. ბარათი არ გააყოლა. ჯერ არ მიახლებოდა კაცი სასახლეს, რომ ვეღარ შესძლო ცდა, თითონ დაადგა გზას სასახლისკენ. ნელ-ნელა მიდიოდა ბილიკებით.

– იქნებ არ მიიღოს და დამიბრუნობს. აქ აღარ მედგომილება, სამუდამოდ გადავიკარგები.

ელახვრებოდა გული. როგორღა უნდა ეცხოვრნა განშორებულს, ან რისთვის?! ამაოდ ღელავდა: მოსაკითხი მიეღო ქალსა. გულდასმით ათვალიერებდა პირმოღიმარე. ვეება შალი ცალ მუჭაში დასაჭერი. თეთრი ბეწვი საგანგებო მტკიცედ ნაქსოვი. გარს მოსდებოდა ყვავილთ ხლართები, საოცნებო მფრინველები მათში გაბმულნი. წამოისხა. მთლად დაიფარა.

– ჯერ არ მინახავს ასეთი კარგი!

ჰაზრთა არეში უალერსა თაყვანისმცემელს.

6

ისე სწრაფად ვერ შესდგა საბჭო, როგორც ითხოვდა სახელმწიფო განსაცდელი მოსწრაფებული: აუცილებლად იყო მსჯელობას დასწრებოდნენ თემთ წინამძღვრები, მთელი ერის მოთავენი, ჭირისუფალნი; ყრილობა ვერ იყო იმედიანი. საბედისწერო ჟამი დასდგომოდა საქართველოს და მის მფარველ ღმერთს არმაზ ბრწყინვალეს: ამხედრებულიყვნენ ქართველთ ტომის წინააღმდეგ უძლიერესი კეისარი და ახლად ჩენილი საკვირველი ღმერთი ჯვარცმული. ზავი შეეკრათო მათ ერთმანეთში; გაემტკიცებინათ დასავლეთი; მოზღვავებულიყვნენ აღმოსავლეთზედ. კადნიერად იმუქრებოდნენ:

– მიიღეთ მფარველობა რომთა კეისრის. აღიარეთ მისი სჯული განახლებული; შესწყდეს კავშირი თქვენი სპარსეთთან!

პასუხი უნდოდა ამ ბრძანებას გადაწყვეტილი. შესდგა საბჭო. ოქროს ტახტზედ დაბრძანდა მეფე. ეს სავარძელი მიერთმია მირიანისთვის თავის მამას დიდებულ ქასრე სასანიას, სამეფო ტალავრით შემკული მირიან. ჭაღარა ხშირად დაჭრეოდა, დაჭმჩნეოდა ხანთა სიმრავლე. მარჯვნივ ეჯდა სავარძლით და ბალიშით ქურუმთ უხუცესი მხცოვანი ბაბეგ. სამოსელი სპეკალ ნაჭარბი. მაღალ გვირგვინს სარტყლად ევლო ოქროს ფოთლები. შუბლის მხარეს მზე უმშვენებდა. დისკოც, სხივებიც შეფარდებულ თვლებით ნაკეთი. უმძიმესი მოსჩანდა მეფის გვირგვინზედ, რომელი ქონგურებიანი კოშკის სახე იყო პირდაპირად სპეკალით თხზილი. ბაბეგის პირდაპირ სავარძლითვე და ბალიშით იჯდა სპარსეთის ელჩი, რომლის პირით ბრძანებლობდა თვით შაჰინშაჰი. ქვევით მარჯვნივ და მარცხნივ ჩამომმწკრივებულნი ხარისხ-ხარისხად სავარძლებით, სელებით, სკამებით, ნატ-ბალიშებით, მხოლოდ ნატებით.

ხელმწიფემ გადაავლო თვალი კრებულს. ბრძანა:

– არ მახლავს ამზაილ!

კრებულს გაკვირვება აეხატა სახეზედ. აღელდა ბაბეგი.

– სახელმწიფო წესი არ უთხრობს მას აქ ყოფნას, მაგრამ ამ მძიმე საკითხში აუცილებელია ის: დიდად თავდადებული ჭაბუკი ღმრთისათვის და მეფის ტახტისათვის! პირად შესძლო დაეთვალიერებინა ტრდატის სამხედრო ძალები და შეიარაღება. ახლდა ბატონ მეფის ელჩს და შესწავლილი აქვს გზები. იცის ლაშქრის წყობილება უძლეველის შაჰ-შაბურისა. შესძლებს დასძინოს ჩვენ დიდს გამოცდილებას სასარგებლო ცნობები, – განმარტა ვაზირმა მეფის ბრძანება.

უხმეს. მოვიდა. მოწესემ ადგილი უჩვენა კრებულის ბოლოს. ვაჟკაცი შეყოყმანდა და მიმართა იმ ჭაბუკთა დასს, რომელი რკლად ერტყა ზურგით კერძო სამეფო ტახტს. ჩადგა მათ შორის. ამ მოძრაობამ სიამის სიმად ჩაუარა დიდებულთ მწკრივებს.

დედოფალი თვალს ადევნებდა დარბაზობას იდუმალი სარკმელიდან, რომელი ხელოვნურადა ჰქონდა დიდ დარბაზს დატანებული დედათ სავანის მხრივ. გვერდზედ ახლდა ქალი ხვარამზე. გაუკვირდა, რომ დაინახა ამზაილ. ისიც ეუცხოვა, როს რაინდი ასცდა კრებულს და შეუერთდა ხელმწიფის გუშაგთ. გაიტაცა ცნობის ყვარებამ. სავსებით ვერ დაკმაყოფილდა: შორს იყო მიჭვრიტა, დარკვევით ვერ სწვდებოდა ყურს ყოვლი სიტყვა.

ხვარამზე ჯერ გაანცვიფრა მზე-ჭაბუკის საბჭოში შესვლამ, მერმე აავსო სიამოვნებით, აავარდისფრა: ჰაზრით მიჰხვდა, აფასებდნენ ვაჟკაცს დარბაზში.

– მარჯვედ მოუვიდა, რომ თავს ნება არ მისცა დამსახურებულ დარბაისლებთან დაეჭირა ადგილი. განდიდებულებს ეკლად დაესობოდათ ესეთი წყალობა ჭაბუკისადმი, – გაიფიქრა დედოფალმა.

კარგი მოსჩანდა ამზაილ ნასიამოვნი. სასიკეთოდ ირჩეოდა განზრახ რჩეულ რაინდთა ჯგუფში.

7

წარმოსთქვა მეფემ:

– მოგიწვიეთ, მოისმინოთ შაჰინშაჰის სიტყვა ჩემდამი. საძნელო საკითხია გულდასმით მოსაფიქრი.

მოისმინეს შაჰის მონაწერი. სპარსეთის ელჩს მიაპყრეს თვალნი. დაიწყო:

– დასავლეთი გვებრძვის სასტიკად. უძველეს დროიდან სწარმოებს ეს შემართება. შემოქმედს სიუხვის კალთა დაუბერტყია აღმოსავლეთზედ. მწირ დასავლეთს ჰსურს დაგვიმონოს და ისაზრდოვოს. ძველადაც გვებრძოდა საბერძნეთი. ხანგრძლივი ომი ცვალებადი ისკანდარის გამარჯვებით დათავდა. დამდაბლდა და განიძარცვა მაშინ უსაზღვრო საბრძანებელი დარიო-ჰისტასპისა. ეხლა რომი გვებრძვის უძლიერესი და მასთან ისევ საბერძნეთი მისი მორჩილი, კეისარ კონსტანტინეს განუზრახავს განახორციელოს მარადი მისწრაფება დასავლეთისა. დაიმონოს ჩვენი ქვეყნები.

– ვერ ეწიოს იგი თვის სურვილს!

– იყავნ!.. საშიშია მპყრობელი ხმელთა და ზღვათა. ლაშქარი მზად ჰყავს უთვალავი. დაგვიახლოვდა: ბიზანტიას დაამყარა სამეფო ტახტი. გზის საკვალად დაადგინა ჰაისტანში თვის მონა ტრდატ! პონტში ჰანიბალ, თავისი შინში.

– ირანისთვის განსაცდელი მოვლენილა საბედისწერო, – წარსთქვა განდეგილმა მანგიურ.

– მასთან ერთად საქართველოსთვის! – დასძინა ვაზირმა.

– მაინც არ ვართ განწირულნი გამჩენისაგან: შაბურ ბრწყინვალეს აქვს ჩანერგილი სული მებრძოლი. ძალაც ახლავს: დაჰხვდება იგი ვაჟკაცურად ქუფრ მტერს მომავალს. მაინც გვჭირიან თანამებრძოლნი. ამის გამო შაჰინშაჰს განზრახვა ჰქონდა მოემართა, მეფევ, შენთვისა და იამა, თვით დაგენახა განსაცდელი, ელჩი შენი წარმოგევლინა. ირანი, საქართველო ვალდებულნი არიან, ერთად იბრძოლონ.

– როგორც წინადაც უბრძოლიათ თანხმობით, ძმურად.

– შემოქმედი წარმოადგენს ნათელ ძალებს ჩვენად წინამძღვრად და განაბნევს შავ განზრახვებს ჩვენის მტერისა! აღიჭურვოს საქართველო მტერთა შემუსვრად!

სდუმდა კრებული. ანიშნა მეფემ მთავარქურუმს. ადგა ბაბეგი.

– ამხედრებულან ჩვენ შესამუსრად ბნელნი ძალნი დასავლეთისა. მოუძღვიან ღმერთნი ძველნი და მათთან ერთად ახალი ხატი, ღმერთი ჯვარცმული.

– ხატი ტანჯული?!

– მომკვდარი ჯვარზედ, კვლავ ამდგარი დასამონად ქვეყნიერების!.. არა შეგვეშინოს ბევრეულისაგან ერთსა, არცა ღმერთთა მათთაგან! ნათელია შემოქმედი და მისნი ძალნი უხორცონი დაიცავენ აღმოსავლეთს ბნელ დასავლისაგან, წარუძღვება არმაზ ბრწყინვალე მის წილხდომილ საქართველოს შვილთ!

– იყავნ! იყავნ!

მანამ ბაბეგ ამბობდა, მხცოვანი მანგიური დიდის ღელვით იგვემებოდა. აწ წამოდგა ბობოქრებული:

– მოაბნელებს დასავლეთით მებრძოლთ სიმრავლე! ღმერთნი უძღვიან, მათ მარჯვენას განამტკიცებენ. ირყევ-ირღვევა სპარსთ ძლიერება!.. საკვირველება: აღჭურვილა ღმერთი ჩვენი ციშუბ-თარხუჯი არმაზის ბრძოლად! ციშუბის ცალი ითრუშანი განძვინებული! ქარი სასტიკი. ცეცხლის მქშენი ვეშაპებით ცა შეპყრობილი. წუმწუმა ციდან! შეიმუსრა სპარსთა ძალა საქართველოში...

– იყუჩე, დახელთილო!

ხმამ ვერ უწია: დაენარცხა ბერიკაცი და გაითანგა.

– თუ მოკვდა უკვე?!

– დააკვეთა სულმა ბოროტმა!

გაიტაცეს დარბაზიდან გონდაკარგული. მეფე მირიან არ რას იტყოდა, იჯდა უძრავად. წამოდგა ყათე, მთავარსარდალი:

– მომავალი შებრძოლება სასტიკი მოსჩანს. საჭიროა მებრძოლთ სიმრავლე დასახვედრად, მისაშველებლად. შეგროვდეს ჯარი მთელ სამეფოში! არ შეიძლება დაყოვნება: იმპერატორს ჰსურს, დაამხოს ადრე სპარსთა ძალა, მიშველებამდინ.

მოეწონათ სპასალარის თქმა. დაასკვნეს, მსწრაფლ მოეკრიბნათ ჯარი მეფის კარს. ჩაფიქრდა მეფე. ანიშნა ამზაილს. წარსდგა ჭაბუკი.

– სთქვი შენც სათქმელი!

– ვიყავ ჰაისტანს. ვნახე საომრად გამზადებული ტრდატის ჯარი. ცოტაა იგი. მაგრამ ძლიერი: უნაკლოდ შეჭურვილი და მსწრაფლ მოძრავი. კეისრის ძალა რჩეულია, თუმცა მცირეა. ბეგთარი და საჭურველი საუკეთესო. მთელი ჯარი ფრთიან ცხენებზედ. დავიარე სპარსთა ბანაკი: თვით ლაშქარი უთვალავია, მაგრამ... თითქმის უიარაღოს გაწრთვნა აკლია: მძიმედ მოძრაობს და მეტად შლილად. ეს საშიშია! იქ წამსვლელი ჩვენი ჯარი მცირე იყოს, მაგრამ რჩეული.

ყურადღებით მოისმინეს ჭაბუკის სიტყვა.

8

მოასულიერეს მანგიური, გონს მოიყვანეს.

– წავალ!

– მოიცა, მანამ მოიხედავ.

– იქ მალე მოვალ ღონეზედ.

ფეხით წასვლას აპირობდა. ნება არ მისცეს. ცხენზედ შესვეს, კაცი გააყოლეს. სანოვაგე ჩაულაგეს და სასმელი. მანგიური განდეგილადა ცხოვრობდა ციშუბის მთაზედ, კალას კოშკის დასავლეთით. მაღალი კლდე ჩამომზღვრეული მტკვრისაკენ.

შუაზედ შეკვეთილი კალო ადგილი. წავარნა მოსდევდა ნამზღვრევ-ნაშალზედ; ზევით შეუძლებელი იყო ფეხის მოკიდება.

გზაზედ მთლად მოკეთდა. აეზრახა თანამგზავრს:

– ღმერთი მეტყოდა. მის თქმას ვიმეორებდი მეფის წინ. ძნელია მომაკვდავისთვის ღვთაების ხილვა! ვეღარ შესძლო სხეულმა და უგონოდ გავხდი, ცნობა ჩამიქრა.

ჩამოუხდნენ ცხენებს. შეუდგნენ აღმართს.

– აქ იდგა უწინ ციშუბ-თარხუჯი. სდარაჯობდა ქართველთ მოდგმას და მათ ქვეყანას. რვალისა იყო. ბეგთარი ეცვა. მაღალ მუზარადიდან ჩამოფენილი წვრილთვალი ჰფარავდა ყელ-ყურს თუ კისერს. ჭვინტოსანი ფეხთსაცმელი ფანდაკიანი. ნაჯახი ხელში ორპირიანი. მეორეში ელვათა ხელეური ბოროტთ სატყორცნათ.

– თითონ გინახავს?

– არა, მახსოვს მამისგან... საქართველოს ცის ბატონი ყოფილა. ის და მისი ცალი ითრუშანი განაგებდნენ ჩვენის ქვეყნის ნაყოფიერებას: ციშუბი ცვარს ადენდა ზეცით, ითრუშანი აღმოაცენებდა უხვ ნაყოფს კეთილს. მისი საკუთარი საბატონო იყო აგერ ქვევით დაფენილი დაბა-სოფლები: მდუღარეთი, კალა, ვარდისუბანი, კალაუბანი; გაღმა ისნი. მის ბატონობას დასასრული მაინც ჰქონოდა...

– ღმრთის ბატონობის დასასრული?!

– ჰო! დიდ ბედისწერას თვით ღმერთნიც ჰმორჩილობენ! თურმე ეწერა განგების წიგნში: დადგება ჟამი: დაენაცვლოს ციშუბ დიდებულს უცხო არმაზი; ცარიელ იქმნას სავანე მისი; ჟამთა დასასრულ მაინც აღსდგეს ციშუბ ბრწყინვალე!

– უბრძოლველად დაემონა თარხუჯი ბედსა?!

– ერკინა არმაზს. იძროდა მიწა, გრგვინავდა ცა, ირხეოდენ ვითა ვერხვნი მთანი მაღალნი დიდებულ ღმერთთ შემართების ჟამს. მაინც ვერ უძლო... მას ჰმსახურებდეს გვარი ჩვენი მის დიდებით დაბრუნებამდის!

– ეხლა...

მაინც მიდის მისკენ ქართველი. ვარდობის თვეში იხსენებენ მის ძველ დიდებას. მსხვერპლს შესწირავენ, ევედრებიან, შესვამენ მის წყალს; შესთხოვენ ნაყოფს. ამცნობს ღმერთი თვის კეთილ ნებას: ქვას მიიკრავს სასწაულით სიპი კედელი!

აგერ ავიდნენ.

– გველები, მანგიურ, გველები მოცურავენ! – წამოიძახა თანამგზავრმა

და იძრო ხანჯალი.

– ნუ! მცველნი არიან.

ნელად მოიხლაკნებოდნენ საშინელნი. გადასცა ლაგამი თანამგზავრს. დაწინაურდა. მცურავები შემოეხვივნენ, გადაეჭდნენ, თვალებში შეჰმზერდნენ. თუ უხაროდათ პატრონის ნახვა. უბრძანა წასვლა. დაბრუნდნენ უკან ქვემძრომელნი, მისრიალებდნენ.

– წყვილად ავზარდე: სხვანაირად არ იქნებოდა: დიდძალი გველი იცის აქ, ხვლიკი, ჯოჯო ან მინდვრის თაგვი. არ მოასვენებენ ადამიანს. ესენი ჰნსთქავენ, შიშის ზარს სცემენ. ძლიერნი არიან. არ გაჰბადებენ აქ არც ნადირს ტყიდან ჩამოსულს.

ბაბეგს უხაროდა მეფის ყურადღება მის შვილისადმი. თანაცა სწყინდა: წესის ძალით მოგვთუხუცესობა მის უფროს შვილზედ უნდა გადასულიყო, ის კი ვერ იჩენდა შესაფერ ნიჭს.

ღმერთსაც თუ არ მოსწონს მთვლემარ გონების მექონი: ჯერაც არ მოუვლენია მისთვის სული მეცანი. იქნებ ამზაილ არის რჩეული და მისტაცა თვის უფროს ძმას შეცნობის ძალა. არა, არ დაირღვევა ჩვენი წესი მემკვიდრეობის: დამენაცვლოს შვილი უფროსი!

ის უფრო ადარდებდა ბაბეგს, რომ მომქმედი კაცი გამჭრიახი ეხლა მეტად ეჭირვებოდა არმაზს და მასთან ერთად ირანის გავლენას საქართველოში: მოიწევდა ურყევლად დასავლური ღმერთი ახალი. განმტკიცებულ იყო ის რომთ კეისრის მთელი ძალებით. შეუპოვრად შეჰმართავდა არმაზ ბრწყინვალეს, არყევ-არღვევდა მის სამფლობელოს, ანადგურებდა.

ამ ახალ მებრძოლს თუ გაემხნევებინა მივიწყებული ციშუბი: კვლავ ისწრაფიდა, აღედგინა თვისი დიდება. ადრეცა სცადეს თავის ძალა იმან, ითრუშან: მოავლინეს წარღვნა საშიში, ჩამოშალეს მთანი კლდოვანნი, შეაგუბეს მტკვარი, არაგვი, რომ ძირიანად შეემუსრათ არმაზის ყუდე, ჩაემარხათ თვის მეტოქე მთის ნანგრევებში. ვერ გაუმარჯვდათ: ბედისწერას არ თუ ენება.

საშიში იყო მდგომარეობა: ახალს სჯულს ფრთები გაეშალნა ოთხსავე მხარეს. წინ მიიწევდა მისრეთით თუ ზღვის კიდეებით; არაბეთი ჯვარცმულ ქრისტეს აღიარებდა; რომაელნი თუ ელინნი ამ ღმერთისკენ გადმოხრილიყვნენ; ხაზარეთის და სკვითეთის კარნი შაეღო; პონტო, ჰაისტან, მახლობელი სხვა ქვეყნები ხელთ დაეჭირა; მძლედ მოსულიყო საქართველოს დედაქალაქში...

– ქადაგი ნინო ცხადად ამბობს თავის ახალ ღმერთს, ჰბედავს და ჰგმობს ჩვენს სჯულს უწმიდესს. ვერ შესძლებდა ამას ვეროდეს, თუ დიდი რომი მარჯვენას არ განუმტკიცებდეს! – წარსთქვა ბაბეგმა

და ჩაფიქრდა. იმას ავლებდა გონების თვალს, როგორ შემოეტყუა იგი ქადაგი: სცხოვრობდა უჩუმრად და უჩინარად ურბნისს ურიებთან; გადმოსახლდა მცხეთას, სასახლის ახლოს დაივანა, რომ თვალი ედევნებინა ყველაფრისათვის და... აბიათარ, სიდონია იქიდან მოჰყვნენ თანამშრომლები.

– ნამდვილ გამოგზავნილნი გამოდგნენ. ეს ცხადჰყვეს, როდესაც მეფის ფირმანით აიცილეს განდევნა თუ სხვა განსაცდელი.

– სატანაილ მფარველობს ნინოს: ის აძლევს ძალას სასწაულთა მოქმედებისას...

– ექიმია ხელოვანი, იცის წამლობა და იმით ჰკურნავს.

– სიტყვით რომ ჰკურნავს ძნელ ავადობას, მხოლოდ შეხებით ან შეხედვით, ეს არის საქმე ეშმაკეული: არიან სულნიცა საეშმაკონი მოქმედნი სასწაულთა.

იცოდნენ, რა საშიში იყო ეს ქადაგი თვით ღმერთისათვის, რომელს ჰმსახურებდნენ. ეჰ, უღონო იყვნენ მასთან ბრძოლაში: ეს შემართება რომთან ბრძოლას მოასწავებდა.

– არ წამოვა ჩვენსკენ ხალხი, არ გამოგვყვება: ღმერთი მომკვდარი, დამარხული და კვლავ აღმდგარი ქართველთ ზღაპრად არ მიაჩნიათ: თაბუზიო თუ აგონდებათ, თვის ძველი ღმერთი.

– თაბუზიო?!

– ზამთრის პირს ტანჯვით მოკვდებოდა; მკვდრეთით სდგებოდა გაზაფხულზედ ახლის დიდებით... ბრძოლა გვიძს დიდი. გავტეხილვართ ჟამთა სიმრავლით. ჩემი შვილი ნარვარილი... ეჰ, ამზაილზედ უნდა გადადიოდეს ჩემი საყრადი, რომ იმედით მევსებოდეს საწყალი გული.

არა სცდებოდა მოხუცი: ცხოველმყოფელ რწმენით იყო ამზაილ გამსჭვალული, უწყვეტ ნაკადად სდიოდა მის გულს სიყვარული არმაზისადმი, სიმშვენიერედ უჩნდა იგი სამარადისოდ. ესავდა იგი ამ განსახებას ზეციურის სილამაზისა. ეთაყვანებოდა სიმშვენივრესაც ქვეყნიურს, რომლის ხატება იყო მისთვის ქალი ხვარამზე. ორის რაინდი მზე-ჭაბუკი, გულის ორივე დარანი სავსებით სავსე ჰქონდა ორსახე სიყვარულით არსებით ერთით.

– განუყოფი სიყვარული ორად ცხადვილი. სიყვარული სიმშვენივრეა და თვით ღმერთია ის სიყვარული. სილამაზე ზეციური და ქვეყნიური ორივ ერთი სიყვარულია. ვესავ არმაზს, ჩემს ღმერთს ზეციურს; ვეთაყვანები ჩემს ღმერთს ქვეყნიურს, ტურფა ხვარამზეს!

– თუ აუცილებელი შეიქმნება, დაუტევო ერთი მათგანი?

– ნუ იყოფინ! არც შეიძლება: გითხარ, ერთია სიმშვენივრე ზე ცაში, ქვე ქვეყანაზედ. სხვადასხვა სახით ცხადებული იგი ჭეშმარიტი, განუყოფელი.

10

ბჭობის დროს ცხადად დაინახა ამზაილ, რა განსაცდელი მოჰვლენოდა მის ზეციურ ღმერთს არმაზ ბრწყინვალეს. ვერ წარმოიდგენდა ამას ვერასდროს. ეხლაც მაინც არა სჯეროდა სინამდვილე მოსალოდნელ სიძნელისა და ძლიერება.

– უტეხია არმაზ ძლიერი, ურყეველია თვალწარმტაცი მის მამაცობა. სალ კლდეზეა დამკვიდრებული და ძალნი მბრძოლნი შავეთისა ვერ ერივნენ მას!

იცოდა, ღიმილით შესწირავდა თავს მის გამარჯვებისთვის, სხვანიც მრავალნი! სწამდა ეს ვაჟკაცს და იმედი არ ქრებოდა მის მებრძოლ გულში. არაფრის შიში!

უფრო ძნელი საომარი იყო ქვეყნიური ხატი მისი ხვარამზე. ვაჟკაცის მისწრაფებას აქ დიდი ხიფათი მოელოდდა შეუმართები. თითონ ქალწული მეტად შორს იდგა მასზედ და მაღლა. სად დიდი მარიამის ქალი, სად ვიღაც მისი ქვეშევრდომი ამზაილ?! ამ უსწორო ბრძოლაში თანამგრძნობი თუ თანამბრძოლი შეუძლებელი იყო და... შეუფერები. თავისთავს უნდა დაჰყრდნობოდა, საკუთარ იღბალს. ეჰ, მზისთვის შეედგა თვალი. ვის ძალევდა უზრუნველ ეყო დაბრმავებისგან?!

მეტოქენი ჰყავდნენ აქ ძნელი, სულ უცნობი მოსისხლე მტერნი: მრავალი უფლისწული მოისწრაფებოდა მზის სხივისაკენ, ბევრი განთქმული რაინდი შეჰღირებოდა, სიძობას ეაჯდა მეფეს. თავს ევლებოდნენ ანთებულ ალს ვით ფარვანები.

– ყველა დაიწვის ამ ტურფა ცეცხლზედ გარდა ერთისა. ახ, რომელია ის ბედნიერი?!

რითი დაარწმუნებდა თავის თავს, რომ იგი რჩეული იქნებოდა თვით ამზაილი?! სრულებით ვერაფრით! დიდ სურვილს მტანჯველს აევსო იგი, მოსწყურებოდა მასთან სიახლე; ნატვრით ნატრობდა, დაეკრა თვალი სატურფალისთვის. არ ეგებოდა! ახლო იყო ის ქალწული, რამდენსამე გადაფრენაზედ; მაინც შორს იყო, ულევ-უკეცელ სავალის ბოლოს.

– მიბრძანე, ტურფავ, გემსახურო, ვიყო ყმა შენი! დამსდევი ვალად, ხმლით შევიჭრა თვით ჯოჯოხეთში, ოღონდ კი ვნახო ერთის წამით ეგ შენი სახე!

რა იცოდა ბედნიერმა, რომ მისი ნატვრა ესმოდა ლამაზს, დაითვლიდა თვითეულად იმის გულისთქმას: გრძნეულ ძალას უხილავი სიმები გაება მათ გულთა შუა; არ სცდებოდა ერთიც ბგერა ქალის გულისყურს. როგორ მოიფიქრებდა

იმედმიხდილი, ქალსაც ჩასჭროდა მის სიყვარული, იგიც იმასთან ახლო ყოფნას მოინატრიდა. არც ვინ სხვამ იცოდა ეს, არც ქალის დედამ. ბჭობის შემდეგ ბრძანა დედოფალმა:

– კრებას ვხედავდი, საუბარი ვერ გავარკვიე. თუ მაცნობებს იქ თქმულ სიტყვას, მხოლოდ ამზაილ. მეახლოს იგი!

დედის სიტყვაზე ქალს ყაყაჩო აუყვავდა მწყაზარ ღაწვებზედ. მოწიწებით შემოვიდა ამზაილ. ეთაყვანა დიდ დედოფალს. მისი ხედვა შეუგნებლად მიეპყრო ქალწულს. და შეხვდნენ თვალნი გაღიმებულ თვალებს ვარდისა. ვაჟკაცის თვალთა მოძრაობა ნახა ნანამ; მსწრაფლ გაიგო მისი გულისთქმა. არ გაუკვირდა.

– წესი არის, ანდამატი იზიდავს რკინას, – გაიფიქრა მან

და სდუმდა. თავის გულშიც კი იყუჩა ამის შესახებ. ქალწულს ვაჟისეული შალი ეგდო მხარზედ. ირანულ ჰანგზედ მოხაზულ სახეს უხდებოდა სხივთა კრთობა სიცოცხლით სავსე: მემკვიდრეობა სპარს ვაჟკაცისა და ზღვისპირულ ქართველ ქალისა. ანიშნა დედოფალმა სკამი.

– რაც სპარსეთიდან ჩამოხველ, არ მხლებიხარ. მესწრაფის იქაური ამბები, საბჭოში თქმულიც.

– შემინდე, დედოფალო! გულით მოვილტოდი თქვენსკენ; ბრძანება არ მქონდა და ვერ გავბედე.

– ჩემი ქალი მადლობას გეტყვის შემოზღვნისათვის!

ქალმა შალის ფოჩები აათამაშა, ოდნავ დახარა თავი რაინდისაკენ.

– დავიარე მათი სატახტო, ბატონიშვილის შესაფერი ვერ რა მოვხელე.

– საგანგებოა, მეტად ძვირფასი! ბევრს გაიღებდა?

– არა! უამრავი ოქრო მქონდა მეფის წყალობა, შაჰინშაჰისაც.

უწყო დედოფალმა გამოკითხვა. ჭაბუკმა ბევრი მოახსენა, რაც ენახა და გაეგონა. ნაამბობიდან გამოირკვა, რა დიდი განსაცდელი აღმართოდათ წინ სპარსეთს და მის მოკიდებულ საქართველოს.

– კეისარ კონსტანტინეს შეუთვისებია ისკანდარ ხელმწიფის განზრახვა: სპარსეთისა და მთელი წინააზის დამონება. ამის გამო გაუძლიერებია ჰაისტანის მეფე ტრდატი, კაბადოკიაში დაუსვავს თავისი მომხრე ივრიზი, ურიასტანში მაკაბელთა შთამომავალი მარდოხე; პონტში ხომ თავის შინში ჰანიბალი ჰყავს. აუვსია ოქროთი და იარაღით, უბრძანებია ბრძოლის დაწყება. ჰანიბალი უთავებია. ფეხდაფეხ მოსდევს კეისარი რომაელთ ლაშქრით.

როდესაც ამ ამბებს მოუთხრობდა, უნებლიეთ წამოსცდა:

– მიბრძანა მეფემ საიდუმლოდ წასვლა ჰაისტანს დასაზვერავად მტერთა ჯარების: კეისარს იქ უსურვია ლაშქართ შეკრება.

ამ წამოთქმამ ააღელვა ჭაბუკი: ეგონა, სახელმწიფო საიდუმლო გავეციო. შეატყო დედოფალმა, დააწყნარა.

– მხოლოდ შენ იყო და მბრძანებელმა. წასვლის წინად მეახელ, გვნახე!

11

შაჰ-შაბურმა მაშინ იდროვა დაებრუნებინა დიოკლეტიანესაგან მოტაცებული სპარსთა მამული და სისხლი აეღო რომაელთაგან, როდესაც მხცოვანი კეისარი გადადგა მეფობიდან, მისი საბრძანებელი სამად გაიყო და ამ სამ მფლობელთა შორის ასტყდა ბრძოლა დაუნდობელი.

ფართოდ დაიწყო შაჰმა მზადება: მეტოქე მაინც მეტად ძლიერი ჰყვანდა; თანაც მხოლოდ წართმეული ქვეყნების დაბრუნება ვერ უშველიდა სპარსეთს: მკვეთრ სამზღვრებამდინ უნდა მიეტანა თავისი საბრძოლებელი დასავლეთით, ან მარად ყოფილიყო მომავალი განსაცდელის შიშში: ბრძოლა დასავლეთისა და აღმოსავლეთის შუა უნდა გათავებულიყო ერთ-ერთ მათგანის შემუსვრით.

– ესე ვფიქრობ, ვაზირო ჩემო, და ჩემი მისწრაფება სისწორით არის გათვლილი.

– შენის პირით ჭეშმარიტება უბნობს, ჰაზრი ნათელს ღმერთს შთაუგონებია. მაინც ნება მომეც, გამოვთქვა ეჭვი: დასავლეთში აღრეულობაა, მაგრამ მფლობელთ შორის მაინც პირველობს კონსტანტინე. ვინცობ მე იმას: ასურეთში ერთად ვმსახურობდით, ის მმართველად, მე მასთან ელჩად. მეტი სიფრთხილე გვმართებს და სისწრაფე: მალე შესძლებს სახელმწიფოს დამშვიდებას და მოგვევლინება უთვალავ ლაშქრით, რა გაიგებს შენს აქ მზადებას.

მართლაც საშიში იყო კონსტანტინე ირანისათვის: იცოდა მან სპარსთა გულისთქმა, გეგმაც ჰქონდა შედგენილი მათ დასამხობლად.

– აღვადგენ მცირე ერთ სამფლობელოებს, რომის მფარველობის ქვეშ დავაყენებ მათ, გარს შემოვარტყავ სალტად დიდ ირანს და იმათ ხელით მოვსწურავ იმას.

– როგორ? შენ გინდა აღადგინო თვითარსებობა მცირე ერების, რომელნი რომმა დაიმონა და გარდაქმნა რომაელებად?!

– მხოლოდ დაიმონა! ვერ წაართვა მათ სახე მათი, ვერც სიყვარული თავის მამულის. მათი ღელვა არა სცხრება, ვერც დაწყნარდება: გაიხსენე ამბოხებანი კართაგენში, მისრეთში, პალესტინაში, ჰაისტანში, პონტში და სხვაგან ყველგან. სისხლით ვაქრობდით აჩენილ კოცონს. ნაპერწკალი მაინც რჩებოდა და ღვივდებოდა. მიგვეცა მათთვის საკუთარი ქვეყანაც, სახეც; ეარნათ ჩვენ მფარველობით საკუთარი გზით. ძვირფასი შეიქმნებოდა იმათთვის რომი; სიძულვილის წილ თანაგრძნობას მოვიპოვებდით. თავისთავად მიიღებდნენ ბარბაროსნი ჩვენ განათლებას, მოგვბაძავდნენ ცხოვრების გზაზედ და...

კონსტანტინემ დიდის სისწრაფით და მოხერხებით მოსპო შუღლი შინაური, შეკრიბა მთელი ძალა თავის ხელში. იწყო ქმედობა: აღუდგინა თვითარსებობა აზიის ერებს. აგრძნობინა, რომის ოქრო და მახვილი სასიკეთოდ დასტრიალებდათ. მადლობელნი თვით შეჰმზერდნენ დიდს რომს თვალ-წარბში. დიდად ხელსაყრელი იყო ეს მისთვის: ირანთან განზრახულ დიდ ბრძოლაში ბევრ სამსახურს გაუწევდნენ მას წვრილი ერები.

ამ მხრივ კმაყოფილს სხვა დიდი ფიქრი ამძიმებდა კეისრის გულს: არ სცხრებოდა ქრისტიანობა! ანადგურა რომმა ეს ძალა, ვერ ეწია თავის სურვილს დიდ ჟამთა სვლაში: ერთს თავს ჰკვეთავდნენ, ნაცვლად ორი ამოსდიოდა. დევი თუ იყო საშინელი ახალი ძალა! ჩაჟანგდა დიოკლეტიანეს ხმალი მათი სისხლით, ვერ შეარყია მათი სიმტკიცე! მონათა დუნდგო, ხალხი მდაბიო ახალ სჯულისთვის თავდადებული...

– სდევნეს სასტიკად, შიგადაშიგ მაინც ასუნთქებინეს, მოუვლინეს ხანი მყუდროებისა: ქრისტიანე გასწყდეს ერთბაშად!

– და ხელში შეგრჩეს ერთი მუჭა ზედა წოდება, უსაქმურთ ჯგუფი. თუ მოვსპო ხალხი, მომესპობა მასთან ერთად მეც ძლიერება.

– ვერ მესმის კარგად შენი სიტყვა, ზეცით ცხებულო!

– მისმინე! შაჰ-შაბური დაგვიახლოვდა: კტეზიფონშო მოიტანა სამეფო ტახტი. შეკრიბა უკვე ძალა ძლიერი და მოდის ომად. შევანანოთ კადნიერება! ან ის, ან რომი! უნდა გადაწყდეს სამუდამოდ ეს შეჭიდება. ვაი დაძლეულს!

– ღირს მარჯვენას უჭირავს აწ უძლეველი ხმალი რომისა!

– მაინც მეტი სიფრთხილე გვმართებს. უკვე დარაზმული მყვანან სპარსეთის იმგრგვლივ ერთგული დამხმარენი: ჩემგან აღდგენილი სახელმწიფოები სისხლს დაჰღვრიან ჩემთვის. მაგრამ...

დაფიქრდა ერთს ხანს იმპერატორი.

– მაგრამ მებრძოლი ლაშქარი შესდგება მდაბიოთაგან, ისინი სულ ქრისტიანები არიან, მტრად მივაჩნივართ ძალთა მექონნი. თავს არ გასწირავენ ისინი ჩვენთვის: მათ სიძულვილი დაგვიდუნებს მებრძოლ მარჯვენას.

– ღმერთის შვილო, რას ბრძანებ მაგას?!

– უნდა დავუთმოთ გადამწყვეტი შებრძოლების წინ!

– როგორ?! ვაღიაროთ ქრისტიანობა, ვეთაყვანოთ ჯვარცმულ ჰურიას?!

– ბევრი დაუთმოთ, დავათმობინოთ იმათთათვის საბედისწერო, უდიდესი გამარჯვების მომტანი ჩვენთვის.

– კვლავ ვერ მივმხვდარვარ შენს ჰაზრს დაფარულს!

– ცხადვყოფ მე იმას, თუ წელს მარტყავს ჩემი მახვილი!

12

იმპერატორის ბრძანებები გასაკვირველი: ქრისტეს სჯული თავისუფლად იღიაროსო; აიხატოსო ალამზედ ჯვარიც; მოისპოს სიკვდილი ჯვარცმით; ქრისტიანე მღვდელთ-მსახურნი სახელმწიფო ხარჯისაგან თავისუფალნი; დაუბრუნდეს ქრისტიანებს მათი ქონება ჩამორთმეული; გაეხსნათ კარი ხარისხოვან ხელთუფლებისა.

ეს და ყველა ამ სახის განკარგულება იმპერატორისა ანცვიფრებდა აქამომდე სასტიკად დევნილთ. მდაბიო ხალხი და მონები აღტაცებულნი: დაკნინებულთ მფარველობდა სჯული ქრისტესი. იტყოდა ძმობას, თავისუფლებას, ერთობას თუ თანასწორობას. უარჰყოფდა წარჩინებას შთამომავლობით. კაცადკაცადს გაარჩევდა პირად ქმედებით. ჰგმობდა ქონების უსწორობით განაწილებას.

– ხალხიც ერთი ოჯახია, თუმცაღა დიდი: თვითეულ წევრს თანაბარი ჰქონდეს უფლება!..

– კეისარი შეჩერდა ერთს ხან ამ ახალ გზაზედ.

– კმარა! უკვე ჟამია, ახალი სჯული წარემართოს დათმობის გზაზედ!

– რა აქვსთ ისეთი დასათმობი, რომ უწონდეს ბევრ სიკეთეს შენგან მიპყრობილს?!

– სინამდვილედ გარდაქმნილი ოცნება ჩემი: რომის არწივი, ქრისტეს ჯვარი ერთად ორნივე! მთელი ერი ერთსულ სიმრავლედ. რომის მხედრობა ქრისტეს მოყვარე! წარუმძღვარო დროშა მძლეველი. დაპყრობილი აღმოსავლეთი!

საიდუმლო ხმა ამცნობდა ნიჭებულ მეფეს, რომ არ სცდებოდა; შესაძლო იყო მის სურვილის აწ განსახება. ალღოს ხმა თუ იყო იგი შეუცდომელი.

კეისრის ფიქრებს ხელს უწყობდა გარემოება: ვეღარ შეეძლო ახალს სჯულს სვლა წინანდებური; დაიქანცა, მოუძლურდა სისხლით დაცლილი. ძნელ დრომ განვლილმა დაამჩნია ნასახი ძნელი:

სიტყვა მარტივი, მთლად უბრალო, ზეკაცის თქმული გაწაფულ ჰაზრთა ხვეულებში გახლართულიყო; გულწრფელთა რწმენა უბირ-უბრყვილო ჰაზრთა ბრუნვაში დაწრახნილიყო; დაჰკარგოდა ბუნებრივი ტურფა ფერი და სურნელება.

იესოს მიერ მოტანილ თვალის დაწახნაგება წილად ხდომოდათ ანტიოქელ და მისრეთელ მსწავლულთ კრებულებს. ურიგებელი მეტოქენი, ერთმანეთის უარმყოფელნი!

აღმოსავლეთი უზენაესს ერთს ღმერთს იტყოდა. დასავლეთი ეგვიპტითურთ ორ ღვთაებას აღიარებდა. არიო ანტიოქელი ერთს ღმერთს ამბობდა ყოვლის შემომქმედს, იესოს ჰხადდა შექმნილ ზეარსად. ეგვიპტელნი დიდ შემოქმედის თანაარსად, თანასწორად ჰხადოდნენ ქრისტეს, არა ქმნილს, შობილს მამისაგან ჟამთ უწინარეს.

და იყო ბრძოლა იმათ შორის, განხეთქილება.

საკუთარ ჰაზრით გატაცებულმა კეისარმა ისარგებლა ამ ამბოხებით. დაუსახა თავისი თავი ახალ სჯულის თანამგრძნობელად. ქრისტიან ჯგუფთ მოთავენი მის ბრძანებით შეკრბნენ ნიკეას. მთელი ხარჯი სახელმწიფომ თითონ გაიღო. შეუდგა კრება ქრისტეს სჯულის დაყალიბებას. კეისარი თვალს ადევნებდა. განაგებდა ამ საქმეს საშიშს, ქრისტიანე თუმც ჯერ არ იყო. ეგვიპტისკენ იხრებოდა მის თანაგრძნობა. სძლია მისრეთმა: საბოლოვოდ აღიარეს მათ ორი ღმერთი: შემოქმედი ღმერთი მამა დაუსაბამო და თანაარსი, თანასწორი მისი ძე ქრისტე.

და გაუმარჯვდა კეისარს უხმლოდ!

– სული მეტყოდა, გაიმარჯვებო და არ მოვტყუვდი.

– ღმერთებმა თუ შთაგაგონეს ჰაზრი ძლიერი. აწ რავდენობით განირჩევა მათი რწმენა ჩვენი სჯულიდან: ორი, მრავალი.

– რა გარდალახეს ერთი ღმერთის ფარგალი ძნელი, ვერღ შესდგებიან: გამოჰნახავენ სხვა ღმერთებსაც, აღიარებენ.

– წასდგან ნაბიჯი: დაჰმორჩილდნენ ჩვენ ძველებურ სჯულს, შეუერთონ თვისნი ღმერთნი ჩვენ დიდებულ ღმერთთ.

– ჯერეთ ეს კმარა! უფრო შორს წავლენ: ღვთის მსახურების ჩვენ ძველ წესებს შეითვისებენ.

– ეგ ჟამთა შემდეგ!.. ჩვენთან ერთად იბრძოლებენ აწ სიხარულით: ჯვარს მოჰყვებიან.

მოიშორა კეისარმა თანამმართველნი; მიაყუჩა სჯულის გამო განხეთქილება; შესაძლოდ შექმნა ქვეშევრდომთა თანამშრომლობა. ეხლა დრო იყო შესდგომოდა თვის დიდ საწადელს.

– აწ შესაძლოა, გავიარო უფრო მარჯვედ გზა ისკანდარის! ბედის წერის მე ვარ რჩეული და მოვსპო ძალა მძლავრი აზიის! შევქმნა ერთი სახელმწიფო განსაცვიფრები, სამფლობელო თვალუწვდენელი. ჩააქროს ჩემმა ბრწყინვალებამ ისკანდარის ახატულობა!

ქრისტიანობა უკვე მძლავრ იარაღად შეიქმნა კეისრის ხელში მის გავლენის გასავრცელებლად. წარავლინა ყოველ მხარეს სჯულის ქადაგნი. საქართველოშიც. ისწრაფოდა უცხო ტომთა დამონებას ხორციელად და სულიერად. და მისწვდებოდა საარაკო თვის საწადელს ბიზანტიელი, თუ...

13

ქადაგ ნინოს გამოგზავნაში დიდ მონაწილეობას იღებდა კაბადოკიის მღვდელმთავარი, რომელს შეეკითხა ჰანიბალ პონტოელი. იცნობდა ევსევი ქალს. ნინო დახელოვნებული იყო ქართულში, ზედმიწევნით იცოდა ექიმობა და თან

დიდად გამოცდილი: ექადაგნა პალესტინას, ფრიგიას, კომაგონეში; თითონ რომშიც. მტკიცედ ედგა ნიკეელთა მიმართულებას.

ქალი ერთხანს შეაკრთო ამ არჩევანმა: გაუტეხელად ითვლებოდნენ ქართველნი სჯულში; ჯერაც ისევ მსახურებდნენ ძველისძველ ღმერთებს, არმაზამდინ რომ თაყვანს სცემდნენ. მეტად ძნელი იქმნებოდა მათ შებრძოლება. ყოყმანობდა, ლოცულობდა; მაინც გაბედა. გამოსთხოვა პონტოელს წიგნი ქართველთ მეფესთან. ჰანიბალი ზეშთა ძალით აღნიშნულად ჰხადდა ნინოსა. ანიშნებდა, რომ ქადაგი თვით კეისრის მფარველობაში იმყოფებოდა.

დააფიქრა პონტოელის წერილმა მირიანი. იცოდა, რა საბოლოვო მიზანი ჰქონდა ქრისტიანობის ქადაგებას საქართველოში. უნდა აერჩია მირიანს ან სპარსეთი, ან რომის იმპერია. ძნელი იყო გადასაწყვეტად: სპარსეთთან აკავშირებდა მას ნათესაობა, მახლობელი მეზობლობა და ის, რომ სპარსნი ვერ შესძლებდნენ ისე ძლიერად ესარგებლათ საქართველოთი, როგორც ჩვეული იყო რომი თავის ქვეშევრდომ თუ მოკავშირეთა შესახებ.

თითონ სჯული... მირიანს შესწავლილი ჰქონდა ძველი ქართული კერპთაყვანისმცემლობა და სპარსეთიდან შემოსული სარწმუნოება, რომლის ხილული ამსახველი იყო არმაზი. ორივ სჯულის მასწავლებელნი ჰყვანდნენ მას ბალღობიდან მიჩემებულნი. შემდეგ თითონ უნდა აერჩია ერთი მათ შორის. ესეთი იყო ქასრეს პირობა. ოსტატები უნებლიეთ ამცირებდნენ ერთმანეთის სჯულს. მირიანმა ორივ დაისწავლა, ვერც ერთი ვერ შეიყვარა. მაინც უფრო არმაზისკენ იყო გადახრილი: ის იყო ეხლა უფროსი ღმერთი სამფლობელოსი და უნდა დაეცვა მისი დიდება.

მირიანმა გაუგზავნა ჰანიბალს საპასუხო. აცნობებდა, ახალი სჯულის ქადაგთ ჩემის მხრით დაბრკოლება არ მოელითო.

სწერდა:

... საქართველოში უმთავრესი სჯულია ის, რომელი შემოუტანია ფარნაოზ მეფეს. ჩვენი ღმერთი არის არმაზ ბრწყინვალე. იგი მძლედა სდგას და მფარველობს ჩემ საბრძანებელს. სხვა ღმერთნიც არ იდევნებიან აქ. მათ შორის მიეცემა ადგილი ახალ ღმერთს ჯვარცმულს, თუ დაიმსახურა ხალხისაგან თაყვანისცემა...

დედოფალი ნანა ვერ ეთანხმებოდა ამ საქმეში თავის მეუღლეს. პონტოელი იყო ის, ქვეყნის წინანდელ მფლობელთა გვარიდან; გამოცდილი ჰქონდა, ახალი სჯულის ქადაგებას მოჰყვებოდა რომის გავლენა, ბიზანტიელთ უფლებების დამყარება. ფიქრობდა ნანა, შეეგონებინა ეს მეფისათვის. მირიანი თითონაც გრძნობდა, საით ისწრაფიდა რომთა ხელმწიფე. რა შეეძლო?! მძლავრი ძალა მოიწევდა, ვით ბედისწერა!

ჯვარის მსახურთ თავისუფლად ქადაგებას მთელის თვისის ძალით ეწინააღმდეგებოდა ქურუმთუხუცესი ბაბეგი.

თუ საქართველოს ჭვანგს ჩაჰკიდებს რომის არწივი, მთლად მოსპობს ჩვენს სჯულს, ძალას მოიტანს. ჩრდილოეთით მოექცევა რომი სპარსეთსა და გასწურავს რკინის სალტებში.

დედოფალი და ქურუმთუხუცესი ერთნაირად ფიქრობდნენ ამ დიდ საქმეზედ. უნდოდათ, მირიანიც თავის მხარეს გადმოეყვანათ, მაგრამ ვერ შესძლეს: ფართო მოსაზრება ნებას არ აძლევდა, მტრად აეჩინა პონტის მფლობელი და მასთან ერთად კეისარი ბიზანტიისა.

ქრისტიანობის მოციქულნი სამცხით შემოვიდნენ საქართველოში. ქვეითად მოდიოდნენ. ფერხთ ხამლი ეცვათ, ტანთ შალი. არგანისა და გუდის მეტი არ რა გააჩნდათ. სიღარიბის მაქებელნი სიმდიდრეს უარჰყოფდნენ სიტყვით და საქმით.

მტკვარს ამოჰყვნენ. შევიდოდნენ სოფელში, წარსთქვამდნენ სიტყვას, დაეხმარებოდნენ გაჭირვებულთ და წავიდოდნენ. ათასგვარი მგზავრი ვიდოდა მაშინ ამ გზებით: ერთნი გლახაკთა სახით, სხვანი რომელიმე ხატის დავალებით; ზოგნი ჯამბაზობას იჩენდნენ, სათვალთმაქცო გასართობს უჩვენებდნენ ხალხს; ხან-ხან ბერიკებიც გაჩნდებოდნენ, რომ წარმოედგინათ ხალხის წინაშე ამა თუ იმ ღმერთის ქმედობა სანცვიფრებელი თუ სასაცილო. სოვდაგრებს ხომ ხშირად მოჰქონდათ სავაჭრო საქონელი.

ეს ახალი მგზავრები ირჩეოდნენ სხვათაგან. საცა მოვიდოდნენ, ცდილობდნენ სარგებლობა მოეტანათ: ასწავლიდნენ, ავადმყოფებს ჰკურნავდნენ, ხელს წაახმარებდნენ გაჭირვებულებს. მეტადრე ნინო სჩანდა ექიმობაში დახელოვნებული მისი წამალი უებარი იყო, შელოცვა უწამლოდ არჩენდა; ხან არც ლოცვას იტყოდა, დააკვირდებოდა თავის გამჭვრეტ შავ თვალებით და უბრძანებდა:

– განკურნებულ ხარ ძალით ჯვარის!

ავადმყოფი კარგად იგრძნობდა თავს.

– კეთილი სული დაჰპატრონებია ამ ადამიანს, ავადობის ბატონები მას ჰმორჩილებენ.

– არა, ბოროტი ძალით განასხამს ეშმაკთ! – იტყოდა ქურუმი.

– ბოროტი ეშმას ვით ებრძოლება?!

უჯერებელ ქადაგებდნენ, მაინც ტკბილ სასმენს: კაცი თავის თავს თვითონ უნდა ემსახურებოდესო; დადგება დრო მოისპობა ბატონყმობა და მონობის სახსენებელიც: თითონ განაგოს ერმა თვის საქმე: უკეთ იცის თვის გაჭირვება!

ხალხს ჭკვაში უჯდებოდა მათი სიტყვა და გულდასმით უსმენდა. დიდებულთ თუ გამარჯვებულთ არ მოსწონდათ მათი თქმა და მტრულის თვალით შეჰმზერდნენ იმათ. ის უფრო ეუცხოებოდა ხალხს, რომ გასამრჯელოს არ იღებდნენ: ხმიადი გუდაში და წავიდოდნენ.

მოდიოდნენ დაუბრკოლებლივ, ძნელი სავალი იყო, სახიფათო კი არა სჩანდა რა: ხალხი გულკეთილი აღმოჩნდა, მგზავრთა პატივისმცემელი. წახალისდნენ ქადაგნი, თანდათან ფართოდ გაშალეს თვის საწადელი, მანამ განსაცდელს არ გადააწყდნენ დაბა წათეურში, თოფარავნის ტბის მახლობლად.

მანამ მიაღწევდნენ ამ სოფელს, აქ უკვე მოსულიყო მათი ამბავი: შეურაცხჰყოფენ ბატონთ უფლებას, მხოლოდ ღმერთია ბატონ-პატრონიო; არ არისო საჭირო ჰმსახურებდეთ უსულო კერპებს, ჰხამს თაყვანისცეთ ჯვარცმულ ქრისტესო.

ესენი რომ მოისმინა იქაურმა ქურუმმა, მიჰხვდა, ვინც იყვნენ მომავალნი.

– უბრალო მგზავრები არ არიან, ახალ სჯულის გასავრცელებლად მოდიან აქათ. მაგათ დაამხეს დიდი რომის სარწმუნოება. სდევნიან, ჰხოცენ; უფრო მრავლდებიან. შეარყევენ და შერყვნიან ჩვენ დიდებულ სჯულს! – წარსთქვა მოგვმა

და მზირად დადგა: განიზრახა, შეჰბრძოლებოდა.

გამოცდილი კაცი იყო ქურუმი, მცოდნე. მოვლილი ჰქონდა ევქსინის სანაპირონი. იქ ეხლა გავრცელებული იყო ახალი სჯული. იცოდა მოგვმა მის შინაარსი თუ ხასიათი.

– ძნელი რჯულია, გაუტეხელი. ბნელის ძალაა! სადაც კი შესძლებს კვალის შეტანას, სასტიკად ებრძვის კეთილის მქნელ ნათელ ღმერთებსა, ამსხვრევს მათ სახეს უმშვენიერესს და აღმართავს ჯვარედინ ხეს თაყვანსაცემად! ჯოჯოხეთით მოივლინა ქრისტეს სახით ღმერთთ მბრძოლი ძალა! – იტყოდა მოგვი

და იგზნებოდა საბრძოლველად განმზადებული. მიაღწიეს მგზავრებმა წათეურს. სოფლის გარეთ დაბინავდნენ ხეებქვეშ. დაფინეს ხმები: ავადმყოფთ ვულხენთ, ყოველ ჭირს ვკურნებთ! საქმით ამტკიცებდნენ ქადილს. განკურნეს ბევრი: წამალს ასმევდნენ, მალამოს ადებდნენ, შეულოცავდნენ, უბრძანებდნენ, ხელთ დაასხავდნენ. ასწავლიდნენ ხალხთ სნეულთ მოვლას.

ეს ეუცხოებოდა ხალხს: დაბაში შემოსვლისას თუ გასვლისას, საქმის დაწყებისას და გათავებისას, სანოვაგის მიღებისას თუ აღებისას ჯვარს ისახავდნენ; ქრისტეს სახელს ახსენებდნენ დაუცხრომლად. ყელზედ ჯვარი; ჯვრის სახე ყავარჯენზედაც. ასწავლიდნენ ამ ნიშნის სახვას. მეტადრე ბალღებს.

წათამამდნენ. ახალი ნაბიჯი გადადგეს: ადგილის ხატი იდგა ქვისა, მის წინ სამსხვერპლო. სოფელ გარეთ იყო ნიში იფანებით შემოზღუდვილი. თითონ კერპს ბრინჯა ჰფარავდა ხშირტოტიანი. მიახლება არ შეიძლებოდა, თუ არ ქურუმის წინამძღვრობით. მგზავრებს გაებედნათ: იფნების ქვეშ გადაეტანათ ბინა. გაჩნდა მოგვი. მორწმუნენიც შემოეხვივნენ. უბრძანა, გასცლოდნენ წმიდა ადგილს. მიუგეს:

– ადგილი უწმინდურია, ავთ სულისაგან შეხებული. არ გვეშინიან ბნელის ძალების!

ნინო გაემართა კერპისაკენ. გაწვდილ ხელში ჯვარი ეჭირა. გადაეღობა ხუცესი.

– ხელთ გიპყრია ავაზაკთა დასასჯელი ხე და...

– ჯვარი პატიოსანი, რომელზედ თვით ღმერთმა ინება სიკვდილი!

– სისულელეს იტყვი ბოროტს, დედაკაცო! – შესძახა მყუდელმა

და გამოსტაცა ჯვარი, გასტყორცნა.

– განვედით აქაით, მაცთუნებელნო!

ხალხი მოეშველა მოძღვარს. ბოროტი შეემთხვევოდათ მგზავრებს, თუ შემკრთალ ნინოს არ ამოეღო უბიდან ეტრატი. ქურუმმა დაჰკრა თვალი პონტელის ბეჭედს და შესდგა. არც მრევლს მისცა ნება ძალადობისა. მხოლოდ უბრძანა, წამს გასცლოდნენ ხატის სავანეს.

დაიბერტყეს ფერხთა მტვერი, გაუდგნენ გზასა. ტბიდან გამომავალ შემდინარეს მოსდევდნენ. შეჰყვნენ ისევ მტკვარს. წინ აჰყუდებოდათ უზარმაზარი მთები. ხეს ვეღარ მოეკიდნა ფეხი მათ თხემზედ. ზაფხული იყო; თოვლიანი ხევთ ფსკერები თეთრ ზოლებად ჩაჰყოლოდნენ მთებს. მიყრილიყვნენ უზარმაზარნი, სავალსა ჰხშავდნენ. ვერ სდევდა თვალი თვით მტკვრის სადინელს. ეს უვალი ადგილები ბნელის ხალხით დასახლებულნი. თაყვანსა სცემენ ქვათა თუ ხეთა. ზვარაკებად კაცთა სწირავენ.

– მამიდაჩემმა ნიანფორემ მართალი მითხრა, უძნელეს გზას დასდგომიხარო. დაგვხოცავენ! იქნებ შეგჭამონ...

შეძრწუნდნენ ფრიად, გზათა სიძნელით.

– უფალო, უფალო ჩემო, მიიღე სული ჩემი ჩემგან და დამხსენ განსაცდელთა მათ წინამდებარეთა! ჰე, უფალო, მხოლოდ დედაკაცი უმწეო! ვით შევსძლო, გმსახურო?! – შეჰღაღადა ნინომ

და მოესმა ხმა იდუმალი:

– წარვედ, ნუ ჰყოვნი, არჩეულო დედათა შორის! ანგელოსი გზას წარგიმართავს.

16

და გაუძღვა ნინო ქალი თვის თანამგზავრებს. პირველ ყოფილის სიმშვენივრით სავსე ბუნება უფროდაუფრო მკაცრის სახით ევლინებოდათ. უფსკრულნი ხევნი. უღრანი ტყე ღრუბელთ საყრდნობი. სახიფათო წავარნები, სად მთის ნადირს მხოლოდ ეძლო ლაღი რონინი. მიმხლტომის მტკვარის ქაფავარდნილ ჩანჩქრების ხრიალს ამრავლებდა სალ კლდეების მოძახილი ფერადხმიანი.

– ღმერთო ჯვარცმულო, დაგვიფარე განსაცდელისგან!

– ქართველთ ხატები გვსდევენ ფეხდაფეხ აღტყინებული ხმათა სიმრავლით.

– აღბორგებულ წარმართთ ბრბონი მოგვდევენ უკან!

– ჩვენთან არს ღმერთი!

– სცანთ, წარმართნო, და იძლიენით, რამეთუ ჩვენთანა არს ღმერთი!

ადვილად შეიძლებოდა ამ საშინელ გზებზედ ადამიანის მოსპობა. ბევრი მგზავრი იკარგებოდა აქ უგეშოდ, თუ რამ სახარბიელოს წარმოადგენდა. სოვდაგრები ისე ვერ გამოივლიდნენ ამ ვიწროებს, შეიარაღებული მცველნი არ ჰყოლოდათ თან.

გალიეს ტყე-ღრე, მალე გათავდებაო მთიანი სავალი, ანუგეშებდნენ. დაუჯერებელი სჩანდა ესეთი სიტყვა: არ კლებულობდა მთათა სიმაღლე; ღელე უფრო ვიწროვდებოდა; მხოლოდ ის გზაღა მოსჩანდა, რომ გაეჭრა ბითუმ კლდეში ლომგულ მდინარეს.

ფრიალოზედ არწივთ ბუდე თუ რაიმ კოშკი. ცოტაც და შეიარაღებული გუშაგნი გადაეღობნენ მომავალთ. შეაყენეს. გაჩხრიკეს. რას უპოვნიდნენ ქრისტესათვის დაგლახაკებულთ?! მეზვერე ხელცარიელი დარჩა. ვერც გუშაგმა შეაკავა:

– ეს გლახაკები პონტის ხელმწიფისანი ყოფილან, მზე მირიანთან მიმავალნი!

გასცდნენ კლდე-კარს. თვალთ წინ გადაეშალათ ქართლის მინდვრები კავკასიის მთათა მწკრივამდინ. მწვერვალები ცასა სწვდებოდნენ. თავს ევლებოდნენ ღრუბელთ დასები. ეყუჩა მტკვარსაც: მწყობრად მიაგელვებდა ტალღებს ტალღებზედ ხტომა-სრბოლით მუხლმოღებული. მდინარის სავალს ანიშნებდა ჭალა ქოჩორა. მთის ფერდოები, ფართოდ შლილი ტაშირები ჭირნახულით სავსებით სავსე. გულს ეფონათ ძნელ მგზავრობით განაწამებელთ.

– ვიშ ამ ედემსა!

– სამოთხის კუთხე ბედნიერებს თავის მამულად?!

– აქ აღმოცენდეს სამკალი უხვი ქრისტეს ყანისა! – წარმოსთქვა ნინომ

და შეჰყარა ხელნი:

– გმადლობ, იესო, აღმირჩიე შენ სიტყვის თესვად! განვიდეს ჩემგან შედრკომა გულის, ეჭვი ყოველი!

საქართველოში მოსულნი ფერნაცვალ ქრისტიანობის ქადაგნი იყვნენ, როდესაც ის ცხოვრების ბრუნვამ ააცილა წარმართობასთან შეურიგებელ ნიადაგს, დააშვებინა სხივთ მახვილი ბნელეთის მკვეთი და შეათვისა მოქიშპისგან ბევრი ისეთი, რასაც ხალხი გასაწირად ვერ ელეოდა. ადრევ დაიწყო ეს მორკალვა ახალის სჯულის და დაყალიბდა ნიკეაში უმთავრესი მის დებულებით. სხვანაირად არ

ეგებოდა: მახვილით ბრძოლამ სისხლი ადინა, ჰაზრთა ბრძოლაში შეეგლიჯა მას ბევრგან ზღუდე და...

– დაუთმოთ მცირე რამე მტერს მძვინვარესა, რომ...

– დაგვამკვიდროს მრავალთა ზედან!

– დავმორჩილდეთ თუნდ გარეგნულად, რომ...

– დავიმონოთ!

17

ორად გაიპო ნიკეაში ქრისტიანთა დიდი კრებული. მტრულად უპირდაპირდა აღმოსავლეთი დასავლეთს. მძულვარება სენად მოედოთ სიყვარულის მომტანის ცხოვართ. გადადიოდა ქალაქებში, დაბა-სოფლებში, უდაბნოებში, სად იღვწოდნენ განდეგილნი ქრისტეს სახელით. მეტად ღელავდნენ: ფიბაიდა, ლიბია, ბუკოლია, ნიტრია; უდაბნოები ასირიაში თუ არაბეთში.

– დადგა უკვე განცდის ჟამი უკანასკნელი!

– და განაცხადდა ანტექრისტე კეისრის სახით!

– საყდარს დასჯდა მაცხოვრისას, ვითა ღვთაება!

– მიერთვნენ მას სულმოკლენი და დრკუნი გულით.

– და მიანიჭა მათ გამარჯვება!

– ვიდრემდის, უფალო, ვიდრემდის?!

გადადიოდნენ დრტვინვის ზვირთნი უდაბნოდან უდაბნოებში, ქვეყნიდან ქვეყნად. განდეგილნი შემართებას მოინატრიდნენ. გაისმოდა შიგადაშიგ ხმაც სანუგეშო:

– მყის მოვიდეს ქრისტე უფალი. მოაკვდინოს შვილი ბნელისა სულისაგან თვისის პირისა. განქარდებიან მის საქმენი საეშმაკონი!

უშედეგოღა იყო ნიკეელთა წინააღმდეგ დრტვინვა თუ ღელვა: ქრისტიანთა მოთავენი კეისრის ხმალს მინდობოდნენ. სხვანი ყოველნი შესდგებიან იძულებით ამ ახალ გზაზედ!

ბრძოლის საგანი ხალხისათვის არც არსებობდა: საკუთარის რწმენისათვის მათ აღარ სდევდნენ; აღარ იყო საზიანო ქრისტიანედ თავის თავის აღიარება. ჯვარი დროშაზედ! მიუძღოდა გამარჯვებისკენ! სხვას რას ითხოვდა აქამომდე დევნილი დუნდგო?!

– ხალხი ეხლა მხარს მე დამიჭერს! ჩაიყარა ჩემ ქვეშევრდომთ ერთობის ბურჯი, – ფიქრობდა კეისარი

და აჩქარებდა ომის სამზადისს. უბრძანა ჯარებს თავის ახალ სატახტოსაკენ.

– არ არის საჭირო დიდი ლაშქარი. ცოტა იყოს და რჩეული. უნაკლულო აბგარ-აბჯარი! საომარი ტაიჭები საუკეთესო! – ბრძანებდა მეფე.

ბიზანტიაში მოსულ ჯარს თითონ ათვალიერებდა და ისე ისტუმრებდა ნიკომიდიას: განაწესა ამ ქალაქის სანახები ლაშქრის საკრებად. მთავარსარდლად თავისი თავი; თანაშემწედ ჰამურაპი, თვისი ოსტატი.

სულ ორმოც ათასამდინ იქნებოდა. თვითეული რვალისაგან ჩამოსხმული მხედარი იყო მკვირცხლად მოძრავი, ჰუნეთა და აქლემთ სიმრავლე. საომარი ეტლი მბრუნავი ბევრი არ იყო, მაგრამ ახალი სახით იყო შეჭედილი: მახვილთა და ბურჯთ სიმრავლით მეტად სავნები. ჰაზრადა ჰქონდა, ელვასებურ შემართებით გაეტეხნა მოპირდაპირე.

მოსწონდათ ლაშქარი. გამოცდილები აქებდნენ მის შედგენილობას, წესს სამხედროს, მოწყობილობას. ქრისტიანე ჯარის კაცთა აღფრთოვანება. აჩვენებდნენ იმპერატორს ერთგულობას! გამარჯვება მათი იყო, წინადვე გრძნობდნენ. დიდ დროშაზედ ჯვარი ბრწყინვალე! წარუძღვებიან უხილავად ძალნი მებრძოლნი. წარიქცევენ ბნელის მსახურთ და შემუსრავენ!

ემზადებოდა კეისარი ლაშქარში წასასვლელად. ხომალდი იდგა მორთული და მოკაზმული პირადპირადად. დიდი მოძრაობა იყო ახალ სასახლეში: ლაშქრის სარდალნი, თემთ თუ ხალხთა წინამძღოლები, ვარსკვლავთ მრიცხველნი, მომავალი ბედის მკითხველნი, მღვდელნი, ქურუმნი.

მოადგა სასახლეს მეუდაბნოე. ტილოს კვართი უსახელო, შალის ვარმანდი, შალისავე თავსარქმელი კალთებიანი, ხამლები ხეფზედ.

– მოახსენეთ: იუვენალ განდეგილი არაბეთიდან!

– რა საქმისათვის?

– წმინდა უდაბნომ მოუძღვნა ლოცვა ბრძოლად მიმავალს!

– ბევრი ისწრაფის წარუდგეს ღვთის შვილს, ოქრო ითხოვოს.

– არ მინდა ოქრო! კურთხევა მომაქვს, ფერხთ დავუფინო!

– არ შეიძლება!

– არ ყოფილა კეისარი ღმერთის რჩეული: მხოლოდ მისია მოტანილი ჩემგან ნიშანი, ვისაც განგებამ მიუსაჯა მისი მიღება!

დაიბერტყა ფერხთა მტვერი, გაბრუნდა ბერი. კარისკაცთ საჭიროდა სცნეს, მოეხსენებინათ. ბრძანა მიღება. ეთაყვანა ბერი კეისარს. გამოიღო ვარმანდიდან ქსოვილებში გახვეული რაღაც ნივთი და გაუწოდა.

– ამით სძლევ წარმართთ, ახალ სჯულის გამვრცელებელო!

შეხსნეს სახვევი, დაშნა აღმოჩნდა. მიართვეს მეფეს. ამოიღო მახვილი. მძიმე იყო. საბუმბერაზო. აალაპლაპა. ბუნდად ბრწყინავდა. ფხა გაუსინჯა. დიდებულია! სცადა ლითონზედ. ჰკვეთდა ყველივით.

– სად იშოვეთ ეს საკვირველი?

– წმიდა აბბას სიზმრად ენახა. გახსნა აკლდამა. დალოცა ჯვარით. წარმოგიგზავნა.

– მიეცეს ოქრო უდაბნოს საშენებლად!

– ვერ წარვიტან ოქროს გინა ვერცხლს! – სთქვა განდეგილმა და გამობრუნდა.

18

გავიდა ხანი. მეფეს უცნაური ქავილი ააჩნდა ხელებზედ, ტანზედ. ბრძანა აბანო. შეუდგა ქისადარი თავის ქმედობას და... ფერნაცვალი გადახტა უკან. ხელებს იფშვნეტდა ზარდაცემული.

– რა დაგემართა?!

მეფის ხმაურზედ ხმალმოწვდილი ყმა შემოვიდა. ქისადარი გაშეშებული. შეუტია კონსტანტინემ.

– კეთრი, ღვთის შვილო, კეთროვანება!

გაშრა ხელმწიფე. მამაცურად შეჰხვდებოდა სიკვდილს ბრძოლაში, ამგვარი სენი კი... მეფის ექიმი. კარისკაცნი. სხვა მკურნალები. ხელებზედ, ტანზედ უფერული ნამზნევი ჩანდა ფოლაქ-ფოლაქი. კეთროვნება უკურნებელი.

– საიდან უნდა შეხვედროდა სენი საზარი?!

– ვინ მოიტანა სასახლეში უწმინდურება?!

ამაო იყო განცვიფრება თუ გამოკვლევა. სასიკვდინოდ დალახვრილი იმპერატორი. მკურნალებმა არ იცოდნენ მისი მალამო. რა დროსღა ფიქრი ლაშქრობაზედ თუ სარდლობაზე?! მსწრაფლ მიიღეს იგი ზომა, რაც მათ იცოდნენ: განცალკევება.

სასიკვდინოდ დაშავებულმა ვერ შესძლო მეტად დაჰშორებოდა თავის საყვარელ ბიზანტიას, რომლისათვის ისე ეზრუნა: სატახტოდ დაესახნა, შეემკო უძვირფასეს შენობებით, ბაღწალკოტებით, თვის საბრძანებლის სხვადასხვა მხრიდან გადმოტანილ ლამაზ ძეგლებით. ვერც იმ კიდეს შეელეოდა ის, აზიის იმ ნაპირს, რომელი სჩანდა სრუტის გადაღმა. იქ იწყებოდა დიდებული მისი ოცნება.

– ლაშქარი ჩემი მახვილმოწვდილი! გავსწევ სამეფოს ამ კიდიდან ინდოეთამდინ, მეწამულ ზღვიდან გურგენისადმდე. უძლეველი ტახტი ჩემი საბრძანებლის ზედ შუაზედ ამაღლებული სხივოსნობდეს ქვეყანაზედ, როგორც მნათობი!

უკანასკნელ თვის სავანედ მოითხოვა სრუტის გაღმა მდებარე კოშკი-სასახლე აკირონი ბაღნარში მჯდომი. თვალუწვდენელ ქვეყნების მპყრობელი ვეღარ გასცდებოდა ციხის გალავანს, სანამ არ გადინაცვლებდა სამუდამო განსასვენებელს. ღვთის სახე ქვეყნად, აწ მარტო იყო. რამდენიმე მონა, მხევალი. მათთვის იგი ჯალათად სჩანდა. ერთიღა დარჩა ქვეყნის მპყრობელს ნატვრის საგანი: განეშოროს საზარელი უწმინდურება.

– ექიმო, ექიმო! განა შესაძლოა, არაფერი წამალი არა ჰქონდეს ამ სენს თვით კეისრისათვის, ძვირფასი მალამო მთელ სახელმწიფოდ ღირებული?!

– განგების ხელია აქ ასახული, მისი გახრა თუ უკუქცევა შეუძლებელია კაცთ ხელოვნებისთვის.

მაინც სცადეს ყოველივე საშუალება: ხმა მიაწვდინეს მისრეთიდან ინდოეთამდინ, სკვითეთიდან არაბეთამდინ. ამაოდ! ვერავინ აღმოჩნდა საშინელი სენის მკურნალი. მიჰმართეს ქურუმთ, სცადეს გრძნეულნი; ვერრა არგო რა მათმა ლოცვამ, მსხვერპლმა, თილისმამ.

– მიქადაგებდნენ ჯვარცმულის სჯულს, ღმერთად მეტყოდნენ იესო ქრისტეს, მარწმუნებდნენ მისგან ნაქმედ სასწაულებით. კეთროვნებსა ჰკურნავდაო ერთის ბრძანებით.

– მოვიკითხოთ იმათ შორისც სასწაულთ მქმედნი. იქნება იმ ღმერთმა თვის მოსავთ ხელით დაგვიფაროს განსაცდელისგან.

მიმართეს, სთხოვეს, აღუთქვეს, უბრძანეს – არავინ აღმოჩნდა აღჭურვილი ზეგარდმო ძალით!

– მათ დიდი წყალობა ვუყავი: დევნისა თუ აღხოცვის ბადლად თავისუფლება მივანიჭე და სიცოცხლე. იმათ ღმერთმაც ესე გამწირა. იქნებ ისიც უძლურია, როგორც რომ ძველნი...

შორიდან ესაუბრებოდნენ საშიშ ავადმყოფს. საბურველი ჰფარავდა: კაცთაგან აღარ ინახებოდა მისი სახე და ხელები უკვე დახრწნილი. ხმაც ჩახვეწოდა: ძლივ აგონებდა სიტყვას, ბრძანებას. მიჰმართა მან უკანასკნელ საშუალებას: ნათლის ღება მოიწადინა, რომ იესოს მიეხედნა მისთვის წყალობით, ეჩინა მასზედ თვის ძალა სასწაულებრი: არც ამან გასჭრა!

სახელმწიფოს ცხოვრება მაინც თავის სადინელზედ დიოდა და პატრონობა უნდოდა, ზრუნვა ყოველს ჟამს. მეტადრე ეხლა არ შეიძლებოდა არავითარი დაყოვნება: ნიკომიდიის სანახები სავსე იყო საომარ ფეხზედ შეყენებულ ლაშქრით და დროზედ უნდოდა გახსნოდა გზა ბევრეულად დაგროვილ ძალებს.

კონსტანტინე მკვდარი იყო ქმედობისათვის. საბრძანებელზედ ზრუნვა ბუნებრივად მემკვიდრეზედ გადადიოდა. სახელმწიფოს აღმოსავლეთი ნაწილის მფლობელად შეიქმნა მეფის ძე კონსტანცი. მას უნდა ეწინამძღვრა შექუჩებულ ჯარებისთვის. ამ ამბავმა შეაფერხა ბრძოლის დაწყება, ვერ კი ჩაშალა: ახალი კეისარი ისწრაფოდა, ესახელებინა თავი, აესრულებინა ჰაზრი მამისა.

მთავარსარდლად ატისოს მიზიელი დანიშნა. ჰამურაპი ბჭედ დაიჭირა თავისთან. აცნობა სახელმწიფოებს თვის ტახტზედ აბრძანება. შეუთვალა, შეერთებოდნენ მას თავიანთ ჯარებით. ამ ხანს ეკუთვნის ის ეტრატი, საცა იმპერატორი დაბეჯითებით ურჩევს მირიანს, უარჰყოს სპარსეთთან კავშირი და შეუერთდეს ჰანიბალ პონტოელს, რომელი უკვე იძვრის ბრძოლის ველისაკენ; კეთილად დაიჭიროს ქადაგნი ქრისტიანობისა, მასთან კონსტანტინეს დროს მივლინებულნი.

ახალმა იმპერატორმა რომ მიიღო და გასინჯა ომად განმზადებული ლაშქარი, აღიგზნო იმავ მისწრაფებით, რომელი ამოქმედებდა მის მებრძოლ მამას.

– ეს ლაშქარი მსწრაფლ დაიჭერს მთელს ქვეყანას ინდოეთამდინ! – წარსთქვა ამაყად.

წარმართნიც, არიანელნიც იმედით შეჰმზერდნენ ახალ იმპერატორს: იმათ ეგონათ, ერთის ბრძანებით აღადგენსო ძველ რჯულის ძალას, ძველ ღმერთთ ისევ განუბრწყინებს შარავანდედსო; ესენი ჰგონებდნენ, მოხსნისო იგი ნიკეელებს თვის მფარველობას, ვეღარ შეძლებენ განაგრძონ ბრძოლა და დაჩაგვრა თვის მეტოქეთა. არ აუსრულდათ იმედები: გაჰყვა კონსტანცი გეზს თავის მამის.

დაიძრა ჯარი. მოიწმინდა ნიკომიდია, მის სანახები. გაემართა ლაშქარი ეფრატის ხეობისკენ. გზადაგზა უერთდებოდნენ მას ჯარები ბითინიიდან, მიზიიდან, ფრიგიიდან. კაბადოკიაში შეუერთდა პონტის ლაშქარი. ტრდატის ჯარი მოწინავედ დიოდა. ყველა მხედრობას ჰანიბალ პონტოელის ჯარი სჯობდა: რჩეული ვაჟკაცები თვალსა სტაცებდნენ ადამიანს; უფრო მოძრავიც მოსჩანდა იგი.

სანამ ტავრის მთას გადალახავდნენ, ერთი კიდევ გადაავლეს თვალი მთელ ლაშქარს. მოაშორეს ჯარს ავადმყოფნი. მდარედ შეიარაღებულნი ბარგს მიუჩემეს. მოსწვიტეს ლაშქარს ზედმეტი ხალხი: მებრძოლთ გუნდებს მოძრაობას უბრკოლებდა ის.

20

შაჰ შაბურმა იცოდა ეს ყოველივე: ჯაშუშების შემწეობით თვალს ადევნებდა ბიზანტიის სახელმწიფო საქმეებს. როდესაც მოჰხსენდა კონსტანტინეს უკურნებელი დასნეულება, გული გაეღო.

– ეს ამბავი ვერ დაშლის ბიზანტიელთა მზადებას ომისათვის, მხოლოდ შეაფერხებს: ახალ კეისარს დრო დასჭირდება ტახტზედ დამკვიდრებისთვის, ვერ შესძლებს ეხლავ ომად წამოსვლას.

– შესაძლო იქნება, ვისარგებლოთ გარემოებით.

– მოვასწრობ, დავიბრუნო ჩემი ქვეყნები. გადავევლები ტავრის მთას ჩემის ლაშქრით, იქ გავმაგრდები და მოუცდი მტერთა მოსევას.

ამ მოსაზრებამ ააჩქარა შაბურ მეფე. მისწერა მომხრეებს დაძრულიყვნენ ჯარებით. ესეთივე წიგნი მოუვიდა მირიანს. ეს იყო მიზეზი, რომ მეფეს აღარ დასცალდა, გაეგზავნა კაცი ბიზანტიელთ დასაზვერად, იქაური სამზადის შესატყობად თუ განზრახვათა ასაკრებად. ბრძანა ლაშქრის ფეხზედ დაყენება შორეულ ომში წასასვლელად.

მირიანს ხელთ რომ ჰქონდა ახალი კეისრის მოთხოვნილება, ისიც ეწერა, სპარსეთის ხვედრი დასკვნილია: უნდა მოისპოს! ჰაზრი ცხადი იყო: შაბურისა და მის მომხრეთა სახელმწიფონი აღგვილ იქმნეს პირისაგან ქვეყნისა; მხოლოდ ერთი სახელმწიფო მთელ დუნიაზედ ბიზანტიისა და ერთი სჯული ბიზანტიური!

მირიანი ვერ მიჰყვებოდა ამ მოწოდებას, ვერ უღალატებდა მოსაზღვრე სპარსეთს მონათესავეს. ააჩქარა ჯარის გაგზავნა. თითონ არ ინება ლაშქრად წასვლა: აღარ შეჰფეროდა. მოთავეობა უბრძანა თავის მემკვიდრე ბაქარს.

აუცილებელი იყო ბჭეების გაყოლება, რომ გაჭირებაში დაჰხმარებოდნენ გამოცდილები. უნდოდა, უსათუოდ გაეტანებინა თავისი ნათესავი მოგვი აბუხვასრო, კაცი ბრძენი და დიდად ერთგული. რამლს აჰყრიდა, ჭეშმარიტს დაინახავდა; სიტყვას იტყოდა, ყველას ჭკვაში დაუჯდებოდა. მაგრამ იგი ქურუმი უძლებად იყო. მძიმე ავადმყოფობა არა ჰქონდა, ფეხზედ დადიოდა; მხოლოდ სუსტდებოდა შიგადაშიგ, ფერი მისდიოდა რამდენიმე წუთით, თვალი ეკარგებოდა, მსჯელობათა სიმი უწყდებოდა. არ იქმნა, ვერ მიუყენეს წამალი. მეფემ მიაქცია ყურადღება ნინოს ექიმობას. თითონ წაიყვანა ავადმყოფი.

– მომხსენდა, არჩენ ძნელ ავადობას, რომელი ღვთის ძალით მოგნიჭებია სენთ კურნების შეძლება? იქნება თვით არმაზის ქალი ხარ შენა?

– ჯვარცმულისაგან მომმადლებია ძალა სასწაულებრივ კურნებისა! – მიუგო ნინომ

და იწყო განმარტება სარწმუნოებისა. მიუთხრობდა: განგება როგორ ამზადებდა ცოდვისაგან შემბყრობილ კაცთა ნათესავს მიღებად მხსნელისა, მის ქვეყნად მოსვლას და კაცთათვის წამებას, სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვას...

– ქრისტეს სჯული საბოლოვო განცხადებაა ზეციური, სამარადისოა იგი; გავრცელდება მთელ ქვეყანაზედ და დარჩება დასასრულამდინ...

– გაჰკურნე სნეული! ეს მოგვი ნათესავია ჩემი. დაგიმკვიდრო ცხოვრება სანატრელი: ჩაგრიცხო მკვიდრთა შორის ქალაქ მცხეთისა და დაგადგინო მსახურად დიდის არმაზისა!

უარჰყო ნინომ წინადადება. განაგრძო თხრობა.

– უკვე დრო არის, დედაკაცო, გაათავო მოთხრობა უფერი და სიტყვა გრძელი. განკურნე, უკეთთუ ძალ გიძს!

ქადაგმა ამოიღო მცირე ჯვარი, ჩაასვენა წყალში, წარსთქვა ლოცვები. მიუახლოვა თასი ავადმყოფს.

– ცოდვათა სიმრავლით აღსავსე ხარ, მსახურო ბნელისაო! მაინც განგკურნავს ყოვლად მოწყალე. გაიმეორე!

– უარვყოფ სატანაილს და მსახურთა მისთა!

გაიმეორა.

– ვმსახურობდე ნათელს ღმერთს ჯვარცმულს!

წარსთქვა.

– საკურნებელად სულისა და ხორცთა შენთასა! – დაასკვნა ნინომ.

მიუპყრია თასი.

შესვა წყალი. ნინო გზნებულს თვალს არ აშორებდა: ბაგე მტკიცედ მოკუმული; უთრთოდნენ მოძრავი ნესტოები. ყუჩილი სრული. მოგვმა ნელ-ნელა დაკარგა თვალები. ამოიგმინა. გაიბრძოლა. დაეშვა მიწაზედ. თუ დაეძინა! ერთს ხანს აცალა მკურნალმა. გადიწერა პირჯვარი. უპყრო ხელი, უბრძანა:

– აღსდეგ, მონავ ჯვარცმულისა!

ადგა. თვალებში ჰაზრი მოუვიდა. სახე დაუმშვიდდა. ეთაყვანა მკურნალს.

– წარვედ მშვიდობით!

21

დიდკაცობა ახლდა მეფეს. ცნობისმოყვარეობით ადევნებდნენ თვალს. გაჰკვირდნენ, როცა ნინოს სავანეში დაჰხვდათ ხვარამზე. ქადაგის მახლობლად იდგა, სასოებით ელოდდა სასწაულს. ამზაილ ხან მოგვს შეჰმზერდა, ხან ქალწულს. ნინომ რომ პირჯვარი გადისახა, ხვარამზემაც გაიმეორა ეს საიდუმლო ნიშანი. გული შეეხუთა განცვიფრებულ ვაჟს: მახვილი თუ შეეხო მის გრძნობათ საკრებს.

– თუ მიდრკა ქალი ახალ ღმერთისაკენ და დაიღუპა?! არმაზის მზეთუნახავია იგი და...

ელდასავით გაურბინა საშიშმა ჰაზრმა. მაგრამ მაშინვე განუქარვდა ყოველი შიში: მომხდარ ამბით ღელვილი ქალი მისკენ გადავიდა, აეტოლა. ეტყოდა რასმე, უამბობდა. თუ ცდილობდა გაერკვია ეს სასწაული. სულ ერთი იყო ეს ვაჟისათვის; მხოლოდ მას გრძნობდა ბედნიერი, რომ მიჯნური მასთან იყო და ესიტყვოდა. უგალობდა! ბულბულთა მღერა, იადონთ ბგერა. მთელ ქვეყანას სიმშვენივრის ფერი ასდევდა. როგორ უნდოდა, ღმერთო ჩემო, შეჰხებოდა თუნდა შემთხვევით!

– როგორ შეიძლება! რომ იწყინოს, რა გეშველება?

მისდევდა ქალს მთავარცნება დაბნეული, სიტყვა ახდილი. სასახლის ეზო. ქალთ სავანისკენ შეუხვია ბატონიშვილმა. კარის ბჭიდან გადმოხედა, გადმოუნათა. რა კეთილია!

იდგა ვაჟი ადგილობრივ და ერთს იტყოდა:

– მხოლოდ ერთია ქვეყანაზედ ქალი მზის თვალი!

დაღონდა მეტად: მზის თვალის მიფარებამ სინათლე ჩაუქრო მას, ყოფა ჩაუბნელა. საშინელი სადარდელი დაუდგა თვალთ წინ.

– თუ მიდრკა ქალი, მოსპობს არმაზი!.. მიხრილია ქადაგისაკენ... ნეტა რად მითხრა, ჯვარცმული ქრისტე ღმერთიაო სიყვარულისა?! არა! ბიზანტია არ მოგვივლენს ღმერთს სიყვარულის. დამპყრობ ხატს იტყვის მოციქული რომაელთ ხმლისა... და ხვარამზე მის მოთაყვანე?! ნუ იყოფინ, ნუ! – წარსთქვა ამზაილ და გარინდდა. უძრავად იდგა. თუ აჰხდა ცნობა?! გაჰხედა არმაზს:

– ღმერთო ბრწყინვალე, გადმოგვხედე წყალობის თვალით, დაგვიხსენი განსაცდელისგან!

მარტო მირიანის ქალი არ იყო ახალგაზრდათაგან, ყური რომ მიეპყრო ქადაგისათვის. ახალნორჩნი შეეძინა სხვა მოწაფენიც, თვით ყმაწვილებიც. ქადაგი უამბობდა მათ ჯვარცმულ ღმერთის ცხოვრებიდან საკვირველ ამბებს ამაჟრჟოლებელს. ესწავლებინა საიდუმლო რაღაც ნიშნები, თქმები, ქმედობა; ჩაენერგა სულ სხვა გრძნობები. ქადაგთა ქმედობიდან ცხადადა სჩანდა, რომ სრულის შეგნებით შეცდილიყვნენ ყრმათ გადაბირვას.

მაინც ჯერ ისევ მოკრძალებით იქცეოდნენ მოსულნი და მოზომილად. ერიდებოდნენ, ცხადად ეგმოთ ძველი ღმერთები. ჰმართებდათ სიფრთხილე:

ერთგულნი იყვნენ ქართველები ადგილობრივ ღმერთებისა თუ ხატებისა, ადვილად ვერ დასთმობდნენ მათ. სპარსეთიც ჯერ ძლიერი იყო და მეფეც, ხალხიც თავის ნებით არ გასწყვეტდა კავშირს იმასთან, იქიდან მოსულ ღმერთებთან, რომელნი განამტკიცებდნენ კავშირს მათ შორის.

ქართველებში მრავლად ჩასახლებული ებრაელნიც უარყოფით უმზერდნენ მათ ქვეყნიდან წამოსულ ახალ ღმერთს და იმის სჯულდებას: უმცირებდა მამა-პაპურ სარწმუნოებას, აჩრდილად ჰხადდა ახალ სჯულისას. მათ ჰაზრს გავლენა ჰქონდა: იგინი საგრძნობ ძალას წარმოადგენდენ, ვაჭრობა მათ ხელში იყო.

ძველ ღმერთთ მოსავნი ქართველნი უარს ჰყოფდნენ არმაზსაც, ჯვარსაც.

ისე რომ მთელი ხალხი უარყოფით უყურებდა ჯვარის ქადაგებს. საქართველოში ქრისტე მოსულიყო ბიზანტიის მფლობელობის წინამორბედად; რომაელთ ბატონობის მომასწავებელი იყო, ხალხის დაჩაგვრისა. ერი სიამით ვერ დახვდებოდა მას.

22

ფიქრის დრო აღარ ჰქონდა ამზაილს, აღარც სხვა ქართველთ, არც თვით მირიანს: სპარსეთიდან მოვიდა კაცი, სწრაფად იარეთ, მეწყერივით წამოვიდა რომაელთ ჯარიო.

გასცეს ბრძანება. მებრძოლთ ზვირთნი საქართველოს ყველა კუთხიდან. მუხრანის სანახებში იკრიბებოდა ლაშქარი. აივსო ხალხით ველ-მინდორი, გორაკთ კალთები. შიგადაშიგ ფარჩის კარვები ფერად-ფერადი: სარდალთ სადგომი.

შვილდოსნები, მეშურდულენი, მსუბუქად შეიარაღებული ხელშუბიანნი, ჯაჭვ-მუზარადში მსხდომნი მებრძოლნი. წამავალი ჯარი ცხენოსანი იყო: ამ დიდ გზაზედ ქვეითი არ ივარგებდა, მით უფრო რომ მიისწრაფოდნენ. წასაღები ბარგი ცხენებზედ თუ ჯორებზედ.

მთელი ლაშქრიდან რვაასი კაცი გადაარჩიეს წასაყვანად. საქართველოს ყველა მხრიდან იყო მებრძოლი შემადგენლობა. დანარჩენი ჯარი მაინც მზად უნდა ყოფილიყო, საომარ ფეხზედ დაყენებული: ადვილად შესაძლებელი იყო, ბრძოლას ეწია საქართველომდინ, გადმოელახა ქართველთ საზღვრები.

დაათვალიერა მეფემ გამგზავრებად განმზადებული ჯარი. ესაუბრა: ბევრს პირად იცნობდა ხანდაზმული. ამხნევებდა ყველას, მთელ ლაშქარს:

– არმაზ ბრწყინვალე უხილავად წარგიძღვებათ საბრძოლელ გზაზედ, გამარჯვებას მოგანიჭებთ ურჯულოებზედ. შორით მოსულან ბოროტები სხვა ხალხთ, სხვის მამულთ დასაპყრობად, დასამონებლად, მართლმსაჯულია: უსამართლოდ მოქმედების ნებას არ მისცემს.

იმედიანი სახე არ ჰქონდა მეფეს: დაფიქრებული სჩანდა, სიამე არ დასციაგებდა. გვერდს ჰყვანდა თავისი შვილი ბაქარი. ეს ვაჟკაცი აბებორასაგან ჰყვანდა მირიანს, პირველი მეუღლისაგან, რომლის უდროვოდ სიკვდილმა ისე დაულახვრა ჯერ ნორჩი გული. ძმასავით მოსწრებოდა. მემკვიდრე იყო, საუფლისწულო მას ეპყრა ხელში. ეს ედგა სათავეში მიმავალ ლაშქარს.

მეფემ მთელი უფლებით აღჭურვა ის. ხალხსაც, ჯარსაც უხაროდათ მის წინამძღრობა: მხოლოდ ის აერთებდა ეხლა ფარნაოზიანთ ძველ სამეფო გვარს სასანელებთან. სხვა შვილები არც დედით, არც მამით არ იყვნენ ნებროთიანნი და ისე ახლო ვერ იდგნენ ხალხის გულთან, როგორც რომ ბაქარი!

თვით მირიანი არ ჩაუდგა სათავეში მიმავალ ლაშქარს. არ შეჰფეროდა; სახელმწიფო საზრუნავიც ნებას არ აძლევდა: თუ მარცხი მოუვიდოდა შაბურს და მასთან ერთად ქართველთა ლაშქარს, მეტად საშიში დრო დადგებოდა. ისკანდარს მიჰბაძავდა კოსტანცი: გამოჰგზავნიდა ჯარის ნაწილს საქართველოს დასაპყრობელად. საშიშ მომსვლელს გამოცდილი დამხვედრი დასჭირდებოდა.

დაიძრა ჯარი. დასტა-დასტა მოდიოდა ერთმანეთის ჩამოშორებით. აუცილებელი იყო ეს, რომ შიგადაშიგ მტვერი გაფანტულიყო და ჯარის ნაწილებიც არ არეულიყვნენ ერთმანეთში. მოწინავეებმა თითქმის ჩამოათავეს დიღმის მინდორი, როცა უკანანი გამოსცდნენ კართანს.

ლითონის აბგარ-აბჯარში მსხდომთ გარდა დანარჩენნი ტყავის მუზარადებით იყვნენ, ტყავის ფარები ჰქონდათ დიდრონ-დიდრონი. არ იყო ურიგო საფარველი: მსუბუქი იყო გამხმარი ტყავი კამეჩისა, მაგარიც იყო თითბრით სალტული: უძლებდა ისარს, ხელშუბსაც შორიდან ნატყორცნს. მოკლე ჩოხა შინდისფერი, ისეთივე შალი შალვარი საცვეთებში ჩატანებული; ხამლები ფეხზედ; ქამარ-ხანჯალი ჩოხის ზევიდან. დაშნა და ხელშუბი აუცილებლად. დინჯად დიოდა ჯარი, ცოტას იტყოდა.

23

მემკვიდრის უახლოესი თანამშრომელი ამ ბრძოლაში ამზაილ. მეფემ უბრძანა, არ მოჰშორებოდა იგი ბაქარს არც რა შემთხვევაში.

– ვიცი შენი ერთგულობა, გამჭრიახობა. გიბრძანებ, გვერდს ახლდე ბატონიშვილს მთელ ბრძოლის განმავლობაში!

მოსწონდა ბაქარს ახალგაზრდა. ბევრჯელ გადაუკრა სიტყვა, მის კარს მისულიყო, მის გვერდით ემსახურნა უჯარმაში. ამზაილსაც იქ ერჩივნა: ბრძოლის მოტრფიალეს კახეთ-კუხეთში ყოფნა ბევრ კარგ შემთხვევას შეახვედრებდა, რომ ეცადნა თვის ხმალის ფხიანობა. ეჰ, ვერ შეელეოდა მირიანის კარს: იქ იყო დავანებული ანდამატი მანათობელი, რომელი უწყვეტ-უშლელად იზიდავდა რკინის მზეჭაბუკს.

ესეთი ზნე დასჩემდა: რაკი თვალს მოაშორებდა სასახლეს, ეჭვით ივსებოდა; ეგონა, მოვიდოდა მეფის კარს ბედის რჩეული, ფრთიან რაშზედ შემოისვამდა ქალს და გააქროლებდა ცის ტატნობისკენ. გაიფიქრებდა ამისთანას და გული აუკვნესდებოდა, ნებისყოფა ჯიუტად შემოაბრუნებდა მცხეთისაკენვე.

ესევე გრძნობაც იყო იმის მიზეზი, რომ ბრძოლაში თუ სხვა მოვალეობის აღსრულებაში სწრაფი იყო, შეუდრკომელი. თავს არ ჰზოგავდა, შუა განსაცდელში გადაერეოდა, ოღონდ თავი ესახელებინა, მალე დაბრუნებულიყო გამარჯვებული, თაყვანი ეცა თუნდ შორიდან თავის მზისათვის. დაწყნარდებოდა დარწმუნებული, რომ შუქურ ვარსკვლავი იქვე იყო თავის სასახლეში და ბედის მწერალს არ გაეტაცნა სისწრაფის ფრთებით ეთერთ სივრცეში.

ეხლაც ორად გაპობილი მის პიროვნება. ეშხში მოსულს უხაროდა ბრძოლაში წასვლა: ჟინს მოიკლავდა, თავს ისახელებდა, სატრფოს თვალში ღირსეულ ბუმბერაზად აისახებოდა. მაგრამ მცხეთიდან გასვლა, შორს ქვეყნებში ხანის დაზმა მეტად ეძნელებოდა. იტანჯებოდა ორფერად მგრძნობი: საუნჯე რჩებოდა მას არმაზში და გული იქით იწევდა, თან არ მისდევდა.

მაინც აუცილებელი იყო დაშორება, როგორც რამ ბედისწერა შეურყეველი. დასტრიალებდა ღელვილი ვაჟი მეფის სასახლეს, სამეფო წალკოტს, რომ გზად მიმავალს თვალი მოეკრა მზეთამზისათვის. და... ბაქარმა იხმო იგი თავისთან.

– დედამ ბრძანა შენი მიყვანაც: ჰსურს დაგვლოცოს საშიშ გზაზედ მიმავალები.

– აგვყვება ჯავშნად დედოფლის ლოცვა, დაგვიფარავს განსაცდელისგან!

ნანა აღელვებული დაჰხვდათ, კიდეც ეტირნა. ხვარამზე დაღონებული მოსჩანდა. ბაქარი გვერდზედ მოუჯდა დედოფალს, მიართვეს ამზაილს სკამი. მოშორებით დაიდგა. დაჯდა მოკრძალებით. დედოფალმა დალოცა შვილი. ამზაილიც. ამოიღო ტაბრუციდან შანა.

– გამოცდილი თილისმა არის, არმაზისაგან ხმალშეხებული. დაგვიფარავს განსაცდელისაგან! – უთხრა ნანამ

და უწყო ავგაროზის შებმა თავისი ხელით. უფლისწულმა ხელზედ აკოცა. თვალცრემლიანი დედა ეხვეოდა შვილს.

ქალწული გამოელაპარაკა ჭაბუკს: ჰსურდა რაიმ გაეგო მისგან მომავალი ბრძოლის შესახებ. ამზაილმა მოკლე სიტყვით განუმარტა მდგომარეობა. როცა დედოფალმა ბაქარს შანა შეაბა, ხვარამზეს გული ეტკინა: ჭაბუკი მხოლოდ სიტყვას უნდა დასჯერებოდა თუ კეთილ სურვილს. ჰაზრად მოუვიდა, რამ სახსოვარი ეზღვნა ვაჟისთვის. ესევე სურვილი გასცხოველებიყო ჭაბუკს. ვეღარ მოითმინა, შეჰბედა;

– შენი ნაქონი რამ ნივთი მფარველ ხატად მომევლინებოდა იმ განსაცდელში.

ქალმა გაუღიმა ამ თქმაზედ. შეიხსნა მელავანდი.

– ჩემ სახსოვრად გქონდეს ესა! დედასთან ერთად ვილოცავ, მოგენიჭოსთ გამარჯვება თქვენ და ჩვენს ლაშქარს!

მალი ფრთები აქვს ქალწულის ლოცვას!

– ბეგთარ ქვეშ მექნება მკერდზედ გამაგრებული! – წარსთქვა ვაჟმა

და უნდოდა მიებაძნა მემკვიდრისათვის, ხელზედ ეკოცნა სატურფალისთვის. ვერ გაბედა! მხოლოდ დაბლა დახარა თავი.

24

დიდი ლაშქარი შეეკრიბნა შაჰ-შაბურს. ჰაზრადა ჰქონდა, სამუდამოდ გაემაგრებინა თვის საბრძანებლის აღმოსავლეთი სამზღვრები, აეშორებინა საშიშრობა, რომელი მოელოდდა სპარსეთს დასავლეთიდან, საიდან ეტანებოდნენ მას ძველად ელინნი, შემდეგ რომაელნი და ეხლა ბიზანტია, იგივე რომი განახლებული.

უწინ სპარსეთი უფრო ძლიერი იყო. სწამდა, განდევნიდა აზიიდან დასავლეთელებს, მიიტანდა თავის სამზღვრებს თითონ ზღვებამდინ. ეხლა შეჰზღუდოდა ეს მისწრაფება. მხოლოდ იმას ოცნებობდა, მიეტანა თვის სამზღვრები ისეთ ზღუდემდინ, სად ბუნება უშველიდა გამაგრებასა და მოწოლილ მტრის მოგერებას. თავდაცვის ჰაზრიღა იბყრობდა შაჰის მთელ ყურადღებას.

ეხლა შაბურს დასკვნილი ჰქონდა თვისი დიდი ლაშქარი გაეშალნა ტავრის მთების აღმოსავლეთით, ეფრატის სათავეში, კომაღონიის სანახებში; თითონ მთები მოწინავე ჯარებით დაეჭირა და გაემაგრებინა.

– გალაღებული მტერი ზვირთებად მოაწვება ტავრის უღელტეხილებს. უნდა შევსძლოთ, მეტი ზარალი მივაყენოთ იქ, რომ უკვე დაღლილი და ნავნები ჩამოეშვას ვაკეებში. მაშინ შესაძლო იქნება მთელი ლაშქრით დავატყდეთ თავს და მოვსპოთ იგი.

– ეგრე გვიჯობს! დარიო არ წააგებდა ბრძოლას, თუ ისკანდარს მთელი თვისი ჯარით ვიწროებში არ დაჰხვედროდა. იქ მის დიდს ლაშქარს საბრუნავი შეზღუდვილი შეექმნა და მებრძოლთ ნახევარი უქმ მზერელად დარჩა მომმეთა ჟლეტისა.

ამის გამო უთვლიდა შაჰი მირიანს, პირდაპირ კამაღონისაკენ დაეჭირა გეზი, სადაც დაჰხვდებოდა მას მოწინავე ლაშქრით თითონ შაბური.

– მთიანი ქვეყნის მეფე ხარ, შენნი მხედარნი შეჩვეულნი არიან წავარნებს თუ ერწოებს. ჰაზრადა მაქვს, მოწინავე ჯარში მოგაქციოთ, რომ ერთად გავიმაგროთ ტავრის უღელტეხილები.

ქართველთ ეს გეზი აიღეს, მაგრამ ჯერ ვანის ტბის მიდამოებში არ ჩასულიყვნენ, რომ მოუვიდათ სიტყვა: გეზი დასავლეთისკენ დასწიეთ, კაბადოკიას დაუპირდაპირდით; ბრძოლის ველი შესცვალა შაჰმა.

მალე თვით შაბურის წიგნი მოუვიდა ბაქარს:

... კონსტანტინე გარდაეცვალათ. მის საბრძანებელში არეულობა სწარმოებს, მისი შვილი ებრძვის ტახტის მახლობლებს. შინაური ბრძოლა დააბრკოლებს მათ. მსურს გადავვლო ტავრი მთელის ჩემის ლაშქრით. კაპადოკიის ვაკეებში გავშლი ჩემს ლაშქარს. მივყუდებ მთებს ზურგს და მოვსპობ მტერს უძღებს!..

უწერდა ქართველთ, ფეხი აეშურებინათ, რომ ბიზანტიის უნებლიეთ დაყოვნებისთვის სისწრაფე წაეყენებინათ წინ და მით ბრძოლის სასწორი თვისკენ დაეხარნათ.

იარეს ქართველთ. მარცხნივ დასტოვეს ტავრის კალთები. შეხვდნენ სპარსთ ჯარებს კაპადოკიის სანახებში. მხოლოდ მათი ლაშქრის ნაწილი გადმოსულიყო მთას; უმთავრესი ჯარი ჯერ ისევ მთების იქით იყო.

შეასვენა ბაქარმა ჯარი. გადაარჩია ავადებულნი. დააყენა თვისი ჯარი საომარ ფეხზედ. ქართველნი არ შეუერთდნენ სპარსთ ჯარებს. ცალკე დადგნენ, მათ მარცხენა ფრთის წინ. მაღლობი ამოირჩიეს. შეუდგნენ ბანაკის შემოფარგვლას და გამაგრებას. დაისვენეს. აღადგინეს ძნელ მგზავრობით შერყეული წესი. დიდი მხნეობა გამოიჩინა ბატონიშვილმა. მუხლჩაუდრეკლად მუშაობდა ჯარის არსებაში მოყვანაზედ. უბრალოდ ეჭირა თავი, როგორც ერთ მებრძოლთაგანს.

ქართველთ გასწვრივ, სპარსთ მარჯვენა ფრთის წინ, დაბანაკებული იყო ქურთისტანელი ლაშქარი.

– ბევრნი არც ისინი არიან, მაგრამ რჩეულ ვაჟკაცებისგან შესდგება ჯარი; კარგ სამსახურს გაუწევენ სპარსთ, მოვიდა ამბავი.

25

შაჰ-შაბური ჯერ არ მობრძანებულიყო. სპარსთა ლაშქრის გადმოსულ ნაწილს ტავრი ჩამოევაკნა, მდინარის პირზედ დაეკრა კარვები. ფართოდ გაშლილ ველზედ ადვილად მოთავსდებოდა მთელი ლაშქარი. მარჯვედ ამოერჩიათ ადგილი: სპარსნი უფრო მაღლობზედ იქმნებოდნენ, მანამ მათზედ მომდგარი მტერი. ბანაკზედ მომდინარე წყალი დიდ სამსახურს გაუწევდა ხალხს ბრძოლის ჟამს, მოძრაობას კი ვერ შეუფერხებდა: დიდი არ იყო. მთებზედ გადმოსავალი გზები სპარსთ ეჭირათ და გადმოსულ ჯარს არა ჰქონდა შეწყვეტილი კავშირი დანარჩენ ჯართან, არც სახელმწიფოს სამზღვრებთან.

– თუ ჯარი მთლად გადმოკრეფილი იყოს და საომრად მოწყობილი, უკეთესი ადგილი არ შეიძლებოდა.

– მართალს ამბობ, ბატონიშვილო. მაგრამ ლაშქრის მცირე ნაწილია გადმოსული. ღმერთმა ნუ ქნას, მოასწროს მტერმა!

– ალბათ დაწვრილებითი ცნობები აქვს შაბურს და მტრის ადრე მოსვლისა არ ეშინიან. თითონაც ჯერ აქ არ არის.

ორი გზით გადმოდიოდა სპარსი: მთას ორი უღელტეხილი ჰქონდა აქ. ვიწრო ხეობით მოდიოდა ხალხი. ძნელი გზები. ბევრი დრო დასჭირდებოდა, სანამ ჯარი გადმოიკრიფებოდა, დალაგდებოდა.

– უნდა ვურჩიოთ, ააჩქარონ ლაშქრის გადმოსვლა. სხვა გზებიც ნახონ.

– არ შეისმენენ! მაინცა სცდეთ. ჩვენი ჯარი კი ეხლავ უნდა დავაყენოთ საომარ ფეხზედ, რომ შეეძლოს მსწრაფლ ამხედრება.

– საშიშრად მიგაჩნია ყოფა?

– ოღონდაც! რომაელ ლაშქარში ყოველთვის უკლებლივი წესი ჰსუფევს. ჟამს არ დაჰყოვნიან, რაკი ნახეს, გადმოლახეს მათი საზღვრები. თუნდ კეისარმა ვერ მოიცალოს, თითონ სარდლები მოუძღვებიან: ნაჩვევნი არიან მკაცრად გაწვრთნილნი.

– თუ ადრე მოასწრეს... დარწმუნებული ვარ, რომაელთ დაწვრილებით იციან ეხლა აქაური ამბები: ჯაშუშებზედ უანგარიშოდ ჰხარჯავენ, ყველგან ქსელი აქვსთ გაბმული.

გადმობრძანდა თვით შაჰი. ეახლნენ მოკავშირეები, თაყვანი სცეს. მოახსენეს თავიანთ მდგომარეობა. დაუმადლა შაბურმა ქართველთ, კმაყოფილი დარჩა მათი. დიდებით მოვლინებულიყო: ფარჩის კარვები, აუარებელი სიმდიდრე და მონა-მხევალი. ცოლებიც გადმოეყვანა, მათ შიმუნვარნი. სადგომი დაბას დამზგავსებოდა ხალხთა სიმრავლით.

– არ მომწონს! რა დროს განცხრომაა ომის ველზედ და ფუფუნება?! – შენიშნა ბაქარმა.

დაუმოწმეს უფლისწულს. რა შეეძლოთ? თავინთ წესს ვერ შეიტანდნენ სპარსთა ყოფაში. აღარც დრო იყო. შაჰის მობრძანებამდინ გაჩდნენ სპარსთა პირდაპირ ტრდატ ჰაისტანელი და ჰანიბალ პონტოელი. ცალ-ცალკე დაბანაკდნენ სპარსთ მოშორებით, ბრძოლა არ დაიწყეს. მხოლოდ ბუმბერაზთა თუ რაინდთ პირისპირ შებრძოლებით ერთობოდნენ. ხან ერთი იმარჯვებდა, ხან მეორე. ეს ბრძოლა ვარჯიშობას და დროს ტარებას უფრო ჰგვანდა, თუმც სისხლიანი ბოლო მოსდევდა: კვდებოდა ან ერთი მოპირდაპირე ან მეორე; ბევრჯელ ორნივენი დაჭრილნი გაჰქონდათ. ერთი ჯავრი მაინც ჩაჰყვათ ქართველებს.

ტრდატ მეფე ჰაისტანელი გმირი იყო მეტად საშიში. კონსტანტინეს ხელში გაწრთვნილს ბევრი გმირი ჩამოეგდო ჩრდილურ ბარბაროსებთან ბრძოლაში. ეხლაც მოისურვა თავის ძალთა ჩენა: ხმალში გამოითხოვა დიდად განთქმული მებრძოლი ქურთისტანელი დუშრათი. ბრძოლამ დიდი ხანი გასტანა. მაინც ტრდატს დარჩა გამარჯვება: მოსდო მკლავი დუშრათს და გადმოიღო ცხენიდან. ერთი შეცდომა მოუვიდა: მიწაზედ განრთხმულს შეაყენა ზედ თვისი რაში. ეს ბუმბერაზულ ბრძოლის წესთა დარღვევა იყო და წამოვიდნენ ქურთნი სისხლის აღებად. მოეშველნენ ტრდატს თავისნი. რამდენიმე ათი კაცი დარჩა ომის ველს.

ამ პატარა შემართებაში ქართველთაც მიიღეს მონაწილეობა. მეორე დღეს მოადგა ტრდატ ქართველთ ბანაკს და ხმალში გამოითხოვა თვით ბატონიშვილი. იგი ვერ გაჰყვა: ვერ იყო ბუმბერაზთაგანი, არც ჯარმა მისცა ნება, შეუთვალეს შეუძლებლობა. სანაცვლოდ გაგა ხეთელი გავიდა ასპარეზზე. ტრდატმა იუკადრისა და გაბრუნდა. ამავე დავაში გაატარეს მეორე დღე. ალბათ ბუმბერაზთა ბრძოლით დათავდებოდა ეს კამათი, თუ მოულოდნელ ამბავს არ აეშალნა ყოველივე: მოვიდა ხმა, ახალი იმპერატორი თითონ მოდისო უთვალავ ლაშქრით. ყურადღება აღარ მიაქციეს კერძო შებრძოლებებს. იწყეს ჯართა განწყობა საომრად. მართალი გამოდგა: მოიგრაგნებოდა რომაელთ ძალა, ფეხთა მტვერი ღრუბლად მოსჩანდა.

დაინახა შაბურ-შაჰმა თავის შეცდომა: განსაცდელის ჟამს გაშანშლული ჯარიღა შერჩა. გატრიალდა. ბრძანებები, ამაოდ! დრო აღარ იყო მის სურვილთა აღსრულებისა.

ნახეს ქართველებმა, დამდგარიყო წუთი საძნელო და შეემზადნენ, აისხეს იარაღი. ნიშნებასღა ელოდდა ჯარი, გასულიყო ომში ხმალდახმალ.

26

დიდის სისწრაფით ეკვეთა სპარსთ ლაშქარს რომაელთ ტალღა; შეიჭრა შუაგულ ჯარში. შაბურ თითონ უძღოდა და ამხნევებდა თავისებს, მაგრამ მისი პირადი ვაჟკაცობა ვეღარ ბრწყინავდა. სპარსთ იარაღი მდარე გამოდგა მტრის აღჭურვილობასთან: რკინის კაცნი იყვნენ რომაელნი ფოლადის იარაღით ხელში; ცხენებიც ჯაჭვით დაფარულნი, ცვივოდა ისარი იძრს; ნატყორცნი შუბი ვერ ჰკვეთდა ბეგთარს; შურდული სულ არ გამოდგა ხელჩართულ ომში; ხმალიც კი გაცუდდა: ძნელი შეიქმნა მისთვის რომაულ წვრილთვალას კაფვა. სხლტებოდა დაშნა ნაკეც-ნაკეც ფოლადის ფარზედ. ვნება მოჰქონდა ისევ გურზს თუ ლახტსა.

სპარსთ საკმაოდ ვერა ჰფარავდა მათი აღჭურვილობა: ტყავისა თუ ხის ფარ-მუზარადი სწრაფად იკაფებოდა მძიმე ხმლების ქვეშ. ღრმად წავიდა მტერი წყობებში. ქართველები გვერდზედ დატოვა.

– ჩვენი დრო არის! უკან მოვექცეთ მტერს, ორ ძალშუა მოვამწყვდიოთ ის, – ბრძანა ბაქარმა.

დასძრეს ჯარი. დიდი გარჯა არ დასჭირდათ ქართველთ, რომ გაეფანტათ ჩამორჩენილნი და უკან მოჰქცეოდნენ რომაელთ. მაინც ამაოდა ჰგონებდნენ, შესცვლიდნენ ბრძოლის მიმართულებას: მტრის რამდენიმე რაზმმა პირი იბრუნა ქართველებისკენ და აგუბებდა მათ ტალღებს, თან უკან მიდიოდა, რომ არ ჩამორჩენოდა წინ მიმავალ მთავარ თვის ძალებს.

მაინც თანდათან დარიეს ქართველებმა. გასტეხდნენ, წინ წარიქცევდნენ, დაახლოვდებოდნენ უმთავრეს ბრძოლას შენივთებულს; ეს მით უფრო, რომ ქურთისტანელნი შეუერთდნენ ქართველთ მათ მხნეობით წაქეზებულნი. მაგრამ მოტყუვდნენ: იმათ რომ ეგონათ, რომაელთ მთელი ლაშქარი იბრძვისო, სამხედრო ხერხი ყოფილიყო ეს. აჩნდა მინდორში მტვერი საშინელი: მოიგრაგნებოდა მტრის ლაშქარი განზრახ უკან დატოვებული. ეხლა თითონ ქართველებს მოევლინა განსაცდელი: ემწყვდეოდნენ მტერთ გუნდთა შუა.

– ბატონიშვილო! ტყვედ ჩავცვივდებით ჩვენც, ჩვენი ჯარიც.

– ხმალით ხელში გვიჯობს სიკვდილი ერთხელ გაჩენილთ!

– გავიყვანოთ ხალხი ბრძოლიდან: ჯერ მანძილია მოწინავე ჯარისა და ახლად მომავალთ შუა.

– საით?

– ჩრდილოეთისკენ: მთები მოჩანს იქ. შევძლებთ გავმაგრდეთ.

– გადვუძღვეთ?

– შევამზადოთ სავალი! – სთქვა ბატონიშვილმა და მიჰმართა ამზაილს:

– უნდა გასჭრა და გაწმინდო გზა შენის რაზმით! ფეხდაფეხ მოგდევთ.

ჰქმნა რაზმმა პირი ჩრდილოეთისკენ. ამ გზით ქართველნი ასცდებოდნენ რომაელთ უმთავრეს ლაშქარს, რომელს მიზანში ჰყვანდა ამოღებული სპარსთა ლაშქრის შუაგული, სად იბრძოდა თითონ შაბური. მაინც მძიმე ბრძოლა მოუხდათ ქართველთ, მანამ გაარღვევდნენ მტერთა დასტებს და გავიდოდნენ სამშვიდობოს:

ბევრი ვაჟკაცი მოუკლეს მათ, ბევრი დაუჭრეს. გაკვეთეს გზა რომაელთ ახალ ჯარის მოსწრებამდინ, შეასწრეს მთებში. მტერი ვერა სდევდა მათ: მთელი მისი ყურადღება მიქცეული იყო სპარსთა უმთავრეს ჯარისაკენ.

– თვით შაბურ-შაჰი იბრძვის იქ. ერთი დაკვრაც და ტყვედ ჩაგვივარდება, – ამხნევებდა კეისარი თავის ლაშქარს.

ნამდვილ ესე მოხდებოდა და კიდეც დამთავრდებოდა ბიზანტიელთა და სპარსთ ეს ბრძოლა, თუ შაჰის პიროვნების დამცველ დასტას არ განევითარებინა სასწაულებრივი მხნეობა და თავი არ გადაედო. მძლე ჯარი იყო, მთელ სპარსთა საბრძანებლიდან საგანგებოდ არჩეული. მათი იარაღი და აღკაზმულობა კიდეცა სჯობდა რომაელთ აბგარ-აბჯარს.

27

მტრისაგან შეიწროებულ შაჰ-შაბურს ვეღარ უშველიდა ვაჟკაცური თავგანწირვა თავისი თუ მცველი დასტისა, უსათუოდ ტყვედ ჩავარდებოდა იგი და ბრძოლა ბიზანტიელთ სრული გამარჯვებით დათავდებოდა, თუ სხვა მხრიდან არ მოსწრებოდა იმას მშველელი.

ქართველთა ჯარი გასცდა განსაცდელს, შეეფარა ადგილს უშიშარს. შეეძლო ეხლა ჩაეთვალა თვისი ვალი შესრულებულად და გასცლოდა ბრძოლის ასპარეზს.

– ბრძოლა წაგებულია, ბატონიშვილო! ჩვენი პატარა ჯარით ვეღარ შემოვაბრუნებთ ბედის ბორბალს სპარსეთისაკენ. მხოლოდ უბრალოდ ჩავხოცავთ ხალხს და...

– აღარ გვიჯობს აქ დაყოვნება. სხვა მშველელნიც გაიფანტნენ, გაჰყვნენ თავის გზას.

ხედავდა ბაქარ, ბრძოლა წაგებული იყო, მაინც მეტად ეძნელებოდა ომის ველიდან უსახელოდ გალტოლვა. ისიც იცოდა, ამ პატარა ჯარის გადარჩენა მაინც ვერაფერს უშველიდა საქართველოს: ის სპარსეთზე იყო მოკიდებული და მასთან ერთად დაჰნსთქავდა რომი.

– ბიზანტიის მისწრაფებაა, დასცეს სპარსეთი და მასთან ერთად მისი მომხრეები. სპარსთა დამხობას თან მოჰყვება ბიზანტიის ძალთ განმრავლება საქართველოში.

– საშინელს იტყვი, ბატონიშვილო!

– მაინც მართალსა ბრძანებს ბატონი ბაქარ.

– ვეღარაფერს შევძლებთ ეხლა ჩვენ: ისეთი შეცდომა მოუვიდა შაჰს, რომ მის გამოსწორებას ბევრი დრო და მსხვერპლი დასჭირდება.

– მაშ ამაოა და უშედეგო აქ ჩვენი ყოფნა.

– მე ესე ვუმზერ: თუ შაბურმა ვერ გაახწია მშვიდობით, ვერ იხსნის სპარსეთს ვეღარა მსხვერპლი; თუ შაჰმა განერა, შეიძლება ძალა მოიცეს: ნახევარზედ მეტი ლაშქარი ხელუხლებელი ჰყავს მთების გადაღმა, – ბრძანა ბატონიშვილმა.

ამზაილ ყურს უგდებდა საუბარს და ქუფრი ჯავრი უღრღნიდა მას გულს. ვეღარ შესძლო მოთმენა და მოახსენა:

– მაინც ჩვენი უქმად დგომა აქ არ ეგების. დიდს განსაცდელშია ეხლა შაჰ-შაბურ. მიდევს ფეხდაფეხ თვით კეისარი. ვეღარ გაუძლებს ამდენ ბრძოლას თავდადებულთ ფოლადის დასტი და...

– ამ უგზო გზებით ვერ ივლის ჯარი მისაშველებლად. ჩაგვეხოცება ხალხი ამაოდ.

– სიმართლეს იტყვი: ხალხს გაფრთხილება უნდა ამ შორეულ უცხო ქვეყნებში.

– შაჰმა მაინც უნდა ნახოს, რომ ქართველნი გასაჭირში მას გვერდს ახლავან.

– როგორღა, როცა...

– შენ გვიბრძანე, ბატონიშვილო!

– თუ სცნობ შესაძლოდ აწ მიშველებას?

– მომეცი ნება, მცირე რაზმით გადავხედო ბრძოლას განწირულს.

უბრძანა ბაქარმა. ამზაილმა მიჰმართა მებრძოლთ:

– გამოდით ჩემკენ, ვის სახელი ურჩევნია ჯაბნურად სიკვდილს!

გადავიდა ორიოდე, მემრე მრავალი.

– კმარა ორასი! ბევრი მარჯვედ ვერ იბრძოლებს მთის ვიწროებში.

დახედა ბაქარმა დარჩეულ გმირებს, დაენანა მათი სიკვდილი.

– ისეც ნაქებ ქართველთ სახელს გაახმაურებთ, მაგრამ მეშინის: მოგელით გასჯა მეტად ძნელი, საბედისწერო.

– რა უშავს, ბატონიშვილო?! სავაჟკაცოდ ვართ წამოსულნი.

– არმაზს და მეფესაც შეუწირავთ ჩვენი სიცოცხლე!

– იარეთ, წინ მიგიძღვისთ საქართველოს სული მებრძოლი!

მიმავალთ შორის უფრო მთის ხალხი იყო. მალე მიაგნეს საცალფეხოებს. შემოესმათ შორეული ომის ხმაური. გადაადგნენ რაღაც ფრიალოს. ღრმა ღელეში იბრძოდა სპარსი თითქმის ძლეული.

– ეჰა, წაჰქელვენ მიმდევარნი ალაღებულნი.

– თავს დავლას ვერ ახერხებენ: გზას ვერ იგნობენ.

აგორებულ ლოდთ სისწრაფით ჩაეშვნენ ქვეით. დასცეს ყიჟინა. შეუნგრიეს გვერდი მებრძოლ მტერს. სავალი გზა ჩაუხერგეს მათივე მკვდრებით. შეგუბდა რომი. შესდგა სპარსი უკან-უკან მავალი. ისარგებლა შაბურმა წუთით: უკან მოექცა თვის მებრძოლ რაზმს და მსწრაფლ განერა. კიდეც შებინდდა. შეჩერდა ომი. გაიტაცეს ქართველებმა თვისნი დაჭრილნი. მთისავ სავლებით გასცდნენ ნაომარს.

რიჟრაჟზედღა მიაწიეს ქართველთ თვის ბანაკს. ამზაილი მხარში დაჭრილი: ნასროლი შუბი ფარს აესხლიტნა; ლახვარი მაინც მოსდებოდა ხორცში ვაჟკაცსა. გაფითრებული. ბევრ სისხლს ედინნა. გარდაჰკოცნა მზეჭაბუკი ბატონიშვილმა.

28

ეს უკანასკნელი შემწეობა იყო, რომელი აღმოუჩინა შაბურს ქართველმა. რახან შესძლო შახმა გასცლოდა საბედისწერო ადგილს, ისევ დაუბრუნდა მას ჰაზროვნება, ქმედობის ძალა.

უკანვე შეაბრუნა მომავალი თვისი ჯარები; შეკრიბა ლტოლვილნი; ჩაეშვა ეფრატის ვაკეებში; გამაგრდა იქ. საკმაო ჯარი იყო ეხლა მის ხელთ. თანდათან მდიდრდებოდა კაცით. მალე მისი ლაშქარი ისევ საგრძნობელ ძალას წარმოადგენდა. ეს მცირედ მაინც ახუნებდა ბიზანტიელთ ყინჩ გამარჯვებას.

რომაელთ გაირკვიეს მთის სავალი. ამოხოცეს ან გაფანტეს მოწინააღმდეგენი, მაგრამ უკვე წააგეს დრო: აღარ შეიძლებოდა დევნა უწყვეტი. დრო იყო საჭირო, რომ გადმოეყვანათ დანარჩენი ლაშქარი, შეეკრიბათ სხვადასხვა ბილიკებით წამოსულნი, წესში მოეყვანათ მთელი ჯარი. ისიც იცოდნენ, ამ დაყოვნებით კარგად ესარგებლნა შაბურს და უკვე შეეძლო დაჰხვედროდა მათ.

ქართველთ ეახლა გზა აღარ ჰქონდათ ბრძოლის ველისკენ, აღარც დრო იყო ხანდაზმისა, დაყოვნებისა. გატეხილ სპარსს თავის დაცვა უძნელდებოდა.

ხელგახსნილი კეისარი ეცდებოდა, მოეხვეჭა ძლევის ნაყოფი: სპარსთ გამოსწვდიდა წვრილ სახელმწიფოთ, მოაქცევდა თავის ფარგალში, დაიმონებდა.

ბაქარი იძულებული იყო ესწრაფა საქართველოსაკენ, რომ მიეღოთ საფერი ზომა მის დასაცავად, არსებობის უზრუნველყოფად. საქართველოს ეხლა თითონა სჭირდებოდა მთელი თავისი ძალები, მის წინ ულმობლად აღმართულიყო თვითყოფის საკითხი: ხმალი მოეღერებინა გალაღებულ ბიზანტიას მის სულიერ თუ ხორციელ არსებისათვის.

ბაქარის ჯარი რომ შემოვიდა საქართველოში თუნდაც ნამზნევი, ეს ღვთის წყალობად მიიღეს ქართველთ, სასიხარულოდ. ჯარის მოსვლამდინ აქ უკვე დაყრილი იყო ხმები, სპარსები მთლად განადგურდაო. დარწმუნებულნი იყვნენ, ქართველთ მცირე ჯარი ვეღარ გადარჩებოდა. დაუმადლეს ბატონიშვილს, რომ ხალხს გაჰფრთხილებოდა.

ჯარი დღისით შევიდა არმაზში. არა ჩქარობდა. უხმოდ მიდიოდა დაღონებული. დროშები არ გაეშალნათ ნიშნად გლოვისა. დაჭრილები მოსდევდნენ ცხენებით, საკაცეებით. ნავნებთ შორის იყო ამზაილ. ცხენდაცხენ მოდიოდა. მხარი ჰქონდა დაშარტული. ზარდანჩოს ფერი დასდებოდა. ირყეოდა უნაგირში ეს ბრგე ვაჟკაცი.

მირიანი თითონ გამოეგება მომავალთ. გამობრძანდა კართანამდინ. ბრძანა დაჭრილნი სასახლეში მიეყვანათ, განესვენებინათ მათთვის, ეწამლათ. დიდკაცობამ, შეძლებულმა ოჯახებმაც დაირიგეს იგინი. დარჩებოდნენ მათ ოჯახებში, სანამ განიკურნებოდნენ, ან პატრონები მიეშველებოდნენ. დედოფალი და ხვარამზე მიბრძანდნენ ამზაილის სანახავად.

– როგორა ხარ, შვილო? ალბათ ძლიერ გაწუხებს იარა.

გაფითრებული მზეჭაბუკი მადლობას უხდიდა დედოფალს და აღტაცებით შეჰყურებდა მის სადგომში მისულ ქალთამზეს.

– თუ მორჩა, დედოფალო, ნაჭრევი: სრულებით აღარა მტკივა!

მართალს იტყოდა ამზაილ: ვეღარ გრძნობდა ვერაფერ ტკივილს. მზად იყო მოეალერსნა ჭრილობისათვის: მან გააბედნიერა იგი; თავის ფეხით მიიყვანა მის ოჯახში მისი მზეთამზე.

29

ხელმწიფის კარს ცვლილება მომხდარიყო სახელმწიფო ჰაზრთა დენაში. თვალი ედევნებინათ ბრძოლის მსვლელობისათვის. ჯარის დაბრუნებამდინვე გაეგოთ, რა დიდი მარცხი მოუვიდა შაბურ-შაჰს. ჩაკმედილიყო სპარსთ ხმა მაღალი, მილეულიყო მათის გავლენის ძალა. ბიზანტიელთა სახელი შემაღლებულიყო, წელში გამართულიყო.

თვალსაჩინოდ დასტყობოდათ ესეთი ცვლა ქრისტეს ქადაგთ. აქამდის რომ ფრთხილად იქცეოდნენ და თვის თავს მხოლოდ ძმობისა და ერთობის მახარობლადა ჰხადოდნენ, ეხლა ხმა აემაღლებინათ, ცხადად თხოულობდნენ ქართველთაგან ახალს სჯულის აღიარებას. უარჰყავითო ღმერთნი თქვენნი; უნდა დასთმოთო არმაზ ბრწყინვალე.

– ქრისტიანობა სამეფო სჯულად არის აღიარებული რომაელთა სამფლობელოში; უნდა მიღებულ იქმნას ის აქაც! გავრცელდეს იგი მრთელ ქვეყანაზედ! შეიკრებს რომი ყველა ხალხებს თვის ფრთეთა ქვეშე. კაცობრიობა შეიქმნება ერთ სამწყსოდ მხოლოდ, ერთის ღმერთის თაყვანისმცემლად. ზეცას იესო,

ქვეყანაზედ კეისარი ყოვლის მპყრობელი! განგებისაგან მოვლენილია რომთა სამეფო. არ ექნება არც სამზღვარი, არც დასასრული, ვით ზეციურ სამფლობელოს თითონ ქრისტესი! – იტყოდა ნინო და ჰხედავდა აღგზნებულ თვალით ხალხის ერთობას, რომელს ჰმწყსიდა რკინის კვერთხით ზეცით იესო, ქვეყანაზედ კეისარი ყოვლად ძლიერი!

არ მოატყუა ალღომ ქადაგი. კეისრის ეტრატი მირიანისადმი იუწყებოდა: ზეშთა მეუფემ გამარჯვება მომანიჭაო; სპარსეთი უკვე გართხმულა ჩემ მძლე ფერხთა ქვეშ. განვაცდევინებ ჩემს ძლიერებას შაბურის მშველელთ! ეწერა:

„შენც ჰშველოდი ჯარით შაჰ-შაბურს. შემართება შეარყია ერთს წამს შენ რაზმმა და... დაახწია შაბურმა თავი. გმართებს აწ შენცა რომაელთ სისხლი! ჩემი სურვილი: მძევლად მაახელ უყოვნებლად შვილი ბაქარი; კეთილად გეპყრას ქრისტეს სჯულის მქადაგებელნი; ემორჩილე ჩემს მძლე ნებას შენ სასიკეთოდ!“

საგონებელში ჩავარდა მირიან. არ შეეძლო შეემართა კეისრისთვის, უნდა დაჰმორჩილებოდა. მეტად ძნელი იყო ღმერთთ უარყოფა: ხალხი გულწრფელად ესავდა მათ და ვერ დასთმობდა. ხმლითღა შეიძლებოდა ქვეშევრდომთა მოყვანა მორჩილებაში. გადაღმაც გასჭვრეტდა გამოცდილი.

– დათმობა მხოლოდ ჟამიერად დააწყნარებს უძღებ კეისარს. დასკვნილი აქვს, საქართველო დაიმორჩილოს, იგი ჩემს გვარს მოსპობს ბოლოს აქ! თავის კაცს დასვამს საქართველოს სამეფო ტახტზედ.

უნდა მაინც აესრულებინა გამარჯვებულის ბრძანება: დროებით ესხნა თვის სამეფო უცხო ტომთა შემოსევიდან, შეენახა თავის თავი მეფედ ქართველთა. წარგზავნა ბაქარ ბიზანტიად კეისრის კარსა. ზღვენი მდიდარი. აღუთქვამდა, მისი სიტყვა ძირს არ დაეშვა. ავასრულებო შენს სურვილებს სჯულის შესახებ. ვსპობო ამ დღიდან ყოველსავე კავშირს სპარსეთთან, არცა ომი, არცა ზავი არ ეგების ჩემგან უშენოდ!

ბაქარის გასტუმრებამ ჯავრი გამოიწვია სასახლეში, ქართველთა გულშიც. ამიერიდგან ხელშეკრული რჩებოდა მეფე: ხელში ჩაუგდო ჟინიან მტერს შვილის სიცოცხლე: შეიქმნა მეფე საპატიო მონად კეისრის.

30

მეტადრე დიდად იმოქმედა ამ ამბავმა ნანა დედოფალზედ. პონტოელ ქალს, იქაურ წინანდელ მმართველთა ოჯახის შვილს, განცდილი ჰქონდა, როგორ ძნელი იყო რომაელთ ბრძანებლობა. მათმა მფლობელობამ დააკნინა პონტი, დაშალა მის თვითარსებობის ნამდვილი სახე, მოსპო წინანდელი ხელმწიფობა; მმართველად მოსცა უფლისწული ბიზანტიელი.

– ამასვე უზამს კეისარი ჩვენ საქართველოს!

თავისი შვილი ტყვედ ჩააგდო სასტიკთ ხელშია. მგლოვობდა დედა შვილს ჯერეთ ცოცხალს. სხვის კერძად სთვლიდა სახელმწიფოს ჯერ არ წართმეულს.

– საშინლად სწუხხარ. განა მართლა ტყვედ წაგვგვარეს ჩვენი ბაქარი. კეისრის კარს იქნება იგი მეფურ პატივში, განისწავლება: დაბრუნდება სამშობლოში უკეთ გაწვრთნილი.

– მძვინვარე ლომის ბუნაგში გვყავს ამიერიდგან! მცირედი წყენა კეისრისა და მოსპობენ მას.

– არ განვარისხებთ!

ადვილი სიტყვა ძნელად სასრული. ბიზანტია ძალას მოიტანდა საქართველოს შინაურ საქმეებში ჩასარევად, გააძლიერებდა თავის ზედგავლენას და შეუძლებელი იქმნებოდა ბოლომდის თმობა. იცოდა ეს მირიანმა; მაინც იტყოდა ღელვილ ქალის დასაწყნარებლად.

– ნახოს ქვეყნები, სხვა ხალხთა ყოფა. სასიკეთოდ მიერგება გამოცდილება. იქნებ კიდეც აღზდგეს სპარსი, დაიბრუნოს თავის დიდება და კვლავ გამტკიცდეს ჩვენ შორის ძმობა.

– ვეღარ განიცადოს საქართველომ კავშირი სპარსთან; ვეღარ შესწიროს ქართველობამ არმაზ ბრწყინვალეს!

იცოდა მეფემ, ძნელი სიტყვები ბოდვა იყო წამებულ დედის, მაგრამ მის თქმაში თითონ მეფეც სიმართლესა სჭვრეტდა, მომავლის საშიშ სურათებს.

– ჩემს შემდეგ ბაქარ... ეჰ, თუ ისურვებს იმპერატორი... ბაქარ აერთებს ჩვენსა მოდგმას ფარნაოზისთან... ახალი ღმერთი მოიძღოლა ახალმა რომმა. ამ ღვთაებას ბიზანტიის მოსდევს მახვილი იმის ურჩთათვის, – ფიქრობდა მეფე და საგონებელს მისცემოდა, როგორ გაემაგრებინა ზურგი, რომ მთლად არ დაჰმონებოდა კეისარს, გაჭირებაში მცირედ მაინც შეემართა იმის ძალთათვის, გადაერჩინა თავის ხალხი, თავის გვირგვინი.

მაინც სამეფო სახლის ყველა წევრი როდი იყო იმედმიხდილი: ქალი ხვარამზე ისე ქუფრად არ ხედავდა ქართველთ მომავალს; ახალგაზრდას ახალი გზა ევლინებოდა ქართველთათვის განათლებული. ანუგეშა დაღონებულნი:

– ნუ სწუხარ, დედი: ნინო ქადაგი სიხარულს გვეტყვის და დიდებას ახალ სავალით. მისი ღმერთი ჩაგრულთ მომხრეა. კაცთ თუ ერებს თავისუფლად, თანასწორად აღიარებსო. გამძლავრებულთ სუსტთ დაჩაგვრის ნებას არ აძლევს.

– რას ამბობ, ქალო? ჭრელი თქმა არის ქადაგისა, სიტყვა გველური! ვინ მიანიჭა სიძლიერე ღმერთს ტანჯვით მომკვდარს?!

– მოგვითხრობს ნინო, ქრისტე ღმერთი ქვეყნად რომ იყო, ჰქონდა მაინც ძალა ციური: მკვდარს აღადგენდა მხოლოდ სიტყვით ან შეხებითო. მკვდრეთით რომ აღსდგა და ამაღლდა, მიეცაო ძლიერება შეუზღუდავი.

– მის სასწაულნი და ნინოსიც თვალთმაქცობაა სატანაის ძალით ქმედილი... გიბრძანებ, მოსპე მისვლა-მოსვლა ქადაგ ნინოსთან!

გაჩუმდა ქალი. სპეტაკ შუბლზედ აღებეჭდა ნაოჭთ ნასახი. წარსთქვა თავისთვის:

– რომში თურმე მრავლად აწამეს ახალ სჯულისთვის. მაცხოვარი განამტკიცებდა და სიკვდილსაც ღიმით ხვდებოდნენ.

შეაფიქრა ქალის სიტყვამ მეფე-დედოფალი. იმათაც იცოდნენ, წინანდელი კეისარნი ცეცხლითა და მახვილითა სდევნიდნენ ახალ სჯულის მიმდევართ, ჯვარის მოსავნი კი უფრო მრავლდებოდნენ. ნუთუ ისა ჰსურთ, ქართველთ მიწაც მოირწყოდეს წამებულთ სისხლით?!

31

განდეგილი თითქმის ყოველთვის ჩამოუსვლელადა სცხოვრობდა წმიდა მთაში ციშუბ-თარ-ხუჯისა. იმითი იკვებებოდა, რასაც შესწირავდნენ ამ ძველი ღმერთის მიმდევარნი.

ეხლა კი დაეტოვებინა მანგიურს თავის სავანე, არაგვის ხეობას დასდგომოდა: მთაში ასვლა მოეწადინებინა. წავარნებზედ სვლას ნაჩვევ ჯორაკზედ იჯდა. აღვირი

მიეშვა: გამოცდილი ცხოველი თითონ იკვლევდა გზას. მარტოდმარტო მიდიოდა ხანჯლის ამარა. იშვიათი მგზავრი ჰხვდებოდა. ვერა სცნობდნენ მოხუცებულს, გამარჯვებას მაინც ეტყოდნენ, ქუდს უხდიდნენ მის მხცოვანობას. არხოტისკენ ეჭირა გეზი. განსაზღვრილ მიზანს მკვეთრი ფიქრის მეტყველება აღებეჭდა ჭკვიან სახეზედ. თვალები უელვდებოდა, შუბლს შეიკრავდა, ძნელი რამ მისწრაფება ასდევნებოდა, ის იხვევდა მის გრძნობათ საკრებს. სიტყვაშიაც იხატებოდა:

– სულგრძელია ღმერთი ძლიერი: ოდესმე თვის მისაგებელს ყველას მიაგებს! იცდის საუკუნოებით. რეგვენს ჰგონია, დაავიწყდა შეურაცხყოფა. ჭკვათ არა მყოფი იტყვის იმასაც: თითონ ღმერთიც თუ განქარდაო. უკვდავია, ფიქრთ უწვეტი, მოუსპობელი! ეს კი არის: თვით ღმერთების განგებელი ბედისწერა უწესს უკვდავსაც ჟამიერად მიყუჩებას, უჩინარობას. შემდეგში კვლავ აღმობრწყინდეს შუქმომფინარი!.. იყო დრო და ღმერთი ღმერთთა ციშუბ-თარ-ხუჯი შეცვლილ იქმნა უცხო არმაზით, სპარსთ მფლობელობის მაჩვენებელ ღმერთით ირანის. აწ...

– მოიწია ჟამის წერა არმაზსა ზედან და... – მოესმა უფსკრულ ხევიდან.

– ციშუბის ცალი ითრუშანი დაუძლურდა, იტყვი გაშრაო. განქრა ხალხში სახელებიც მამა-პაპათ სალოცავ ხატთა. კვლავ განილია წელთ სიმრავლე და...

– შენ ხარ რჩეული ბედისწერისა, შენ იხილო საშინელი მარცხი არმაზის! – კვლავ მოესმა ხმა საიდუმლო.

გართობოდა ბერიკაცი თავის ფიქრებს; დაჰვიწყებოდა, სად იყო იგი. შედგა ჯორი გელაზების წინ. გამოერკვა მანგიური ოცნებიდან, თვალნი მოავლო.

– გზა ამრევია!

და დაიწყო დაკვირვებით თვალიერება: იცოდა ეს გზა. მაინც ველარ გარკვეულიყო. აპირობდა გამობრუნებას, რომ კლდის იქიდან შემოესმა ცხენის ფეხის ხმა. კიდეც გამოჩნდა გადაღმიდან მომავალი და დააკვირდა.

– მანგიურს გაუმარჯოს!

– გაგიმარჯოს! ჰაზრ ვერ მოვსულვარ.

– ველარ მიცან ხახონაი ხარაგაული?

– აუჰ! სიბერემ თუ წამართვა თვალის ჩინი. საით მიხვალ?

– აღარც სად: შენისთანა ძვირფას სტუმარს, ჩვენ მთაში მოსულს, მხლებელი უნდა, იარე!

– კარგი! მაინც უშენოდ არ გაკეთდების ჩემი საკეთი.

გადიარეს უგზო გზა ზვავისაგან ნაშალ ღორღით ამოქოლილი, ჩავიდნენ სოფელს. ბევრი ხანი არ დაჰყო განდეგილმა იქ. საგულისხმო ამბავი ჩაუტანა: უამბო ყველა, რაც მომხდარიყო საქართველოს მეფის კარს. ამცნო სპარსეთის დამარცხება რომაელთაგან; ახალი სჯულის გამეფება ბიზანტიაში; კეისარის ბრძანება ამ სჯულის ქართველთაგან მიღების შესახებ.

– ახალი რამ სარწმუნოება?!

– ქრისტეს სჯული, ჯვარის თაყვანის ცემა.

– კაცის მოსაკლავ ჯვარედინ ხეს რაღა თაყვანისცემა უნდა?!

– უნდაო! მოდის ქრისტე ღმერთი ბიზანტიიდან არმაზთან სამტროდ. მალე მოხდება მათ შორის ბრძოლა და...

– ჩვენთვის, მანგიურო ჩემო, ორივ სხვა არის: არმაზიც, ქრისტეც, სხვადგან მოსულან!

– ღმერთი ღმერთთა ჩვენი ციშუბი აიხსნება ბედისწერისგან, რომ კვლავ სცადოს თავის ძალა ამ საშინელ ხატთა ბრძოლაში.

– დიდება შენდა, ღმერთო! საიდან იცი ეგ ყველაფერი?

– თვით მომევლინა და შთამაგონა.

– რას ითხოვს ჩვენგან?

– ამ მძაფრ ბრძოლაში ჰხამს მივიღოთ მონაწილობა! ჩვენთან იქნებიან თითონ ციშუბი, ითრუშანი, გუდან მებრძოლი, ფრთიან რაშზედ მჯდომი ალტერი; ყველა სხვა ხატი ჩვენი მფარველი!

– დიდება მათ სახელს!

– გამცნობთ და გიწესთ ხატთა ბრძანებას: მზეჭაბუკნი მზადა გყვანდეთ პირველს ხმობაზედ!

– ჩვენი ხმალი ღმერთთ ბრძოლაში რას გამოდ...

– შევკრიბოთ ბჭენი: ხალხმა თითონ გადაწყვიტოს ძნელი საკითხი!

– აგრე!

32

მომხდარმა ამბებმა, დიდი მოძრაობა რომ შეიტანეს სასახლეში, უფრო მეტად ააღელვეს მოგვთა უბანი ხიდის ყურზედ. მეტადრე მოუსვენრადა გრძნობდა თავს მთავარქურუმი ბაბეგი. ცხადადა ხედავდა ის შაბურის დამარცხების შედეგებს.

– შეირყევა სპარსთ გავლენა საქართველოში და დაირღვევა. ბიზანტიელთ ძალა მოვა ამძლავრებული. აქ არიან წინამორბედნი, ჯვარცმულ ღმერთის მქადაგებელნი. ამოფხვრიან ყოველ სახელს სპარსთ გავლენისა. დაენაცვლოს იესო არმაზს! მზად უნდა ვიყვნეთ!

ზედიზედ იმართებოდა ყრილობა მთავარქურუმის კარს. უწყვეტი ურთიერთობა ჰქონდა ბაბეგს მირიანთან. კაცს კაცზედ ჰგზავნიდნენ სპარსეთში ამბავთ საცნობად. არ მოსდიოდათ სანუგეშო ხმა.

– შაჰი ჯერ კიდევ იბრძვის, ცდილობს შეაყენოს ძლევამოსილი მტერი; მაინც ველარ გამაგრებულა. იწევს თანდათან ბახტრიონისკენ, რომ შეეფაროს მთიან ადგილებს.

– კარგი ფიქრია! იქნებ შესძლოს, მოიშველოს თურანელნი, თითონ ხაზარნი. შეაფერხებს ბიზანტიელთ მათ დახმარებით.

– არა მგონია! ხაზინა ცარიელი ექნება. დაქირავებულ მებრძოლს ოქრო ბევრი უნდა.

– სჯობს პირდაპირ შევხედოთ საფრთხეს! სპარსეთი უძლურია დღეს. იქიდან არავითარი შველის იმედი აღარ არის. ბიზანტია არის ეხლა მბრძანებელი. ის უძინებელი მტერია სპარსეთისა, ყველა მისი მომხრეებისა და...

– შენის ჰაზრით სპარსეთს და მის სჯულს საბოლოვო შიში მოელისთ.

– აქაც ღმერთს არმაზს, სპარსთა გავლენას! და არა მხოლოდ ბიზანტიის მხრივ.

– მაშ კიდევ...

– შინა გვყავს მტერი ურიგებელი. ეცდება იგი, დრო იხელთოს, სისხლი აიღოს. საშიშ არიან თვით ქართველები: ჯერ კიდევ ახსოვთ თვისი სჯული მამა-პაპური. არ სწამთ მათ არმაზ; თაყვანს სცემენ მხოლოდ გარეწრად.

– წელმა სამასმა ვერ ათვისა ახალს სჯულს, ყოფას?!

– ჯიუტია ქართველი ერი თავის რწმენაში, ყოვლად უცვლელი. ისევ თაყვანს სცემს ძველისძველ ღმერთებს. ჰმართავენ გასაჭირში ადგილის ხატებს. უკარებლად მიაჩნიათ მათი სავანე, თუნდ ცარიელი, წმიდათა წმიდად. ვერ შევსძელით გაგვეხადნა ჩვენი სჯული ქართველთა რწმენად და არმაზი საქართველოს მფარველ დიდ ღმერთად. სასოებით იხსენებენ ითრუშანს, ციშუბს, იაღსარს, ილორს.

– მეტისმეტად მიმაჩნია მე შიში შენი. შესაძლოა ძველნი ღმერთნი ახსოვდეთ ბუნდად, ვით სიზმარი მივიწყებული. ჩამქრალნი ღმერთნი სამოქმედოდ არ ივარგებენ.

– მაშ სად წასულა ციშუბის მთიდან?

– სად იქნება ის მხცოვანი, მე ეგ არ ვიცი. მაინც მისი წასვ...

– ზევით მთაშია. ავრცელებს ხალხში სპარსეთის რღვევას. დადგაო ჟამი, ძველ სალოცავთ დაუბრუნდეს ქართველი ხალხი. კვლავ გაბრწყინდესო უკვდავ ხატთა სახელი ჩვენში. არ გვჭირიაო უცხო ღმერთნი, არც სხვისი ძალა. უსათუოდ აამხედრებს იგი ერს ჩვენზედ!

– შენის ჰაზრით დიდი შიში მოგველის ორმხრივ: ძველნი ქართველნი და ბიზანტია ირაზმებიან. ჩვენდ სიძულვილმა ორი მტერი ჟამიერად შეაკავშირა. ძნელი ბრძოლა შეარყევს მიწას და...

– და აუცილებლად გაიმარჯვებს არმაზ ბრწყინვალე: დაშნად უპყრია სხივი მზისა ფოლადებული.

– ვერ დაბზაროს მისი ძალა ბნელეთის რისხვამ.

– აქ მეფე არის თვით მარჯვენა ბედისწერისა: იქითკენ დაჰხრის ბრძოლის უღელს, სად თვით იქმნება.

– მირიან ერთგულია არმაზ ბრწყინვალის.

– სპარსთ ხელმწიფის ნათესავი არ უღალატებს.

– ნანაც მტერია დედოფალი ჯვარცმული ღმერთის, ბიზანტიამ რომ მოგზავნა წინამორბედად.

– მირიანი ქართველთ მეფეა გულით ქართველი; ვაჰ თუ სამეფო საზრუნველმა დაავიწყოს მას სხვა ყოველი.

– დაგვიფაროს არმაზ ბრწყინვალემ მაგისთანა განსაცდელისგან!

– იყავნ! იყავნ!

33

ველარ ჰფარავდა ბრწყინვალე არმაზ თავის მოსავებს. ბედისწერისგან განწირულ ხატს გასჭირებოდა. მაინც იგი არ იტეხდა რვალის მკერდში ფოლადის გულსა. ცდილობდა კვლავ შეეკრიბნა თავის სხივები და გაბრწყინებულს განეფანტა ბნელთა ძალები.

დიდს ფიქრს მისცემოდა მოხუცი მირიან: ჰხედავდა, დაერღვნენ ბურჯნი დიდებულ სპარსეთს, მასთან ერთად საქართველოსაც და...

– მოევლინება ჩვენს მიწა-წყალს მძლავრი ძალა ბიზანტიისა, როგორც მოსულა უცხო ძალა ისკანდერის დროს! მის უარყოფა...

ძნელი წარმოსადგენი იყო მეფისათვის შედეგები უარის თქმისა: შეჰსვამდა მის სისხლს კეისარი ალაღებული და მასთან ერთად ქართველთ სიცოცხლეს.

– ამოფხვრის ჩვენ გვარს საქართველოში. ჩააყენებს თავის ერთგულს, როგორც რომ პონტში. არ ეგების მის სურვილის უკუმიქცევა.

– მაშ გიჯობს, დაჰყვე.

– არ შეიძლება! დავმორჩილდე მას უბრძოლველად, დავთმო ღმერთები, წესდებანიც საქართველოსი; ყმად გავხადო სამფლობელო შორეულ რომის და მედგას მაინც ჯიღა მეფისა?! ყურმოჭრილი მონა სხვისა გვირგვინოსანი?!

ვეღარ ჰპოვებდა გველაშაპის ხლართებიდან გზას გამოსავალს. უნდა ემსხვერპლა თავის რწმენაც, თავის ღმერთებიც მოსულ ძალისთვის, რომ შეენახა გვარისათვის სამეფო ჯიღა!

– ნანა... სამშობლოში გასცნობია იგი ახალ სჯულს. გულით უარჰყოფს ღმერთს ჯვარზედ მოკლულს. მისაყვედურებს, ქადაგების ნებას აძლევო. გულს ასდევს მეტად. შთავაგონო, ბიზანტიელთ რბილად მოეპყრას.

– და რისთვის, მეფევ?! ვერ ეთვისება დედოფალი მოსულ ქადაგებს.

– კეისრის სურვილს მეტყველობს ნინო, მის ძლიერ ნებას!

– იქნებ ის სჯობდეს, შევებრძოლოთ მომავალ ძალას?

– არც დრო, არც ძალა აღარა გვაქვს შემართებისა. დავყვეთ განგებას! უნდა ვამხილოთ დედოფალი, რომ...

– მაშ უარვყოთ რწმენა ჩვენი, დავტოვოთ ღმერთნი?

– არ შეიძლება! ისეც ღირსნი ვართ ყოვლის ბოროტის: უდებ ვიქმნენით მსახურებად კეთილმყოფ ღმერთთა და შეგვაქცია პირი თვისი ნათელმა დიდმა.

– მივმართოთ ღმერთებს, შევსწიროთ არმაზს!

– ვბრძანებ: მოისრნეს მოსავნი ჯვარის! გულმხურვალედ ვმსახურებდეთ ჩვენთავე ღმერთთა! – იტყოდა მეფე

და აღთქმას აძლევდა არმაზს, გადასდგამდა გაბედულ ნაბიჯს, დასტოვებდა მერყეობას ღმერთთა შესახებ, მთელის არსებით უარჰყოფდა ახალ ღმერთს ქრისტეს.

– ესე მოითხოვს ჩემის ხალხის კეთილდღეობა!

ეჰ, დაეშვებოდა ისევ მალე მის ნებისყოფა, ეჭვით შეჰხედდა თავის ღმერთთა შემძლებელობას; სასომიხდილი ლბილდებოდა, იღვედებოდა.

34

ზეარსთა ბრძოლა მირიანის საბრძანებელში. საქართველო ძვირფასია ყველა იმათთვის; ამაზედ მოსდით საშინელი მათ შემართება. წილხდომილი ჩემიაო ედემის კუთხე. იარაღში ჩამსხდარიყვნენ: ძველისძველი ქართველთ ღმერთები. სპარსთ დიდი ღმერთის ანარეკლი ქართველთ არმაზი, დასავლეთით მოვლენილი ჯვარცმული ღმერთი.

ძველნი ღმერთნი საქართველოსი მედგრად იქმნენ არმაზისაგან დამარცხებულნი, როდესაც ირანმა ძალა მოიტანა საქართველოზედ და შეცვალა ღმერთნი, მმართველნი, წეს-წყობილება. ჩაანელა ერის სიტყვა, განძარცვა ის უფლებებიდგან და არჩეული მამა ხალხისა ხმლით შეცვალა ქართველთ მეუფით: მაშინ იძლია დიდი ღმერთიც ციშუბ-თარ-ხუჯი დაა გლოვად დაჯდა მისი ცალი ითრუშანი, დედა ქართველთა.

თითქო განქრენო იმის აქათ ქართველთა ღმერთნი. არა! იყუჩეს. გადიტანეს საყუდარი ქართველთა გულში და ელოდნენ აღდგომის დღეს, ჟამთ აღვსებასა. მაინცა სცადეს ერთხელ კიდევ არმაზის დანთქმა. ვერ გაუმარჯვდათ: განგებას თუ ჯერ არ ენება. აწ ჟამმა დაჰკრა და... აღიჭურვა საბრძოლველად ძველი ციშუბი! მისი ცალი ითრუშანი ალმასებული:

– სისხლი მწყურიან არმაზისა! გაუპობ მკერდს უტეხ ბრჭყალებით, გავსწურავ სისხლით მის გულს უგრძნობელს! – გაისმოდა კიდითკიდე თმაგაშლილი ითრუშანის ხმა.

მიმოფრინავდა. მებრძოლთ უხმობდა. ამხნევებდა თვით დიდსა ციშუბს.

– აღგვა არმაზის ნაცვლად ჩვენი დაკნინებისა!

ჰხედავდა ამას ღმერთი ჯვარცმული. ისიც იცოდა, შესაზარი ხატთა ბრძოლა გზას გაუკვლევდა მას ქართველთაკენ. სამოქმედოდ ემზადებოდა. ორი სახე ჰქონდა დასავლეთით მოვლენილ ქრისტეს: გარედან რომ სითავმდაბლის ძაძა ემოსა, ქვეშ ბექთარი ჩაეღილნა ქაჯთა ნაკვერი; იმის ხის ჯვარში დაშნა იდვა ურჩთ ცეცხლის მდები; მშვიდობის სახე, ბაიას რტო ნიში იყო ხმაჩაწყვეტილთ მორჩილებისა.

უყოვნებლად მოხდებოდა შემართება ზეშთა ძალების და მირიანს აღარ ჰქონდა დრო დახანების.

– აირჩიე ამ ბრძოლაში სავალი შენი, გაჰკვლიე მკვეთრად, რომ იცოდე, განსაცდელში საით მიჰმართო!

– უკვე გავკლიე ის სავალი, ხმავ იდუმალო!

– და მაშ...

– ვერ ვიზამ იმას, რაც მსურს მე გულით: ჟამთა დენა მამოქმედებს თავის ნებაზედ.

ნანა დედოფალი... მოტყდა იგი, რაც დაუთმო თავის ბაქარი. ანუგეშებდნენ:

– ნუ ნაღვლობ, ქალო! ჰაისტანის მეფე ტრდატიც იქ აიზარდა და კარგი დადგა თავის ხალხისთვის.

როგორ არ ედარდნა დედოფალს, როცა ცუდი ამბები მოდიოდა ბიზანტიიდან?! მეტად მკაცრი გამოდგა კონსტანცი: ამოხოცა ნათესავები; არ ინდობდა, ვისც ეჭვს დაჰკრავდა.

– მიაღებინებს კეისარი ჩემს შვილს ახალს სჯულს, დამიღუპავს სულით ხორცთამდე.

არ გავიდა ხანი და მოვიდა ეპისტოლე პონტოელისგან. ძმურ სიტყვას სწერდა. მოსაკითხიც წარმოეგზავნა. მაგრამ დამაფიქრებელი თქმა იყო შიგ:

– კეისარი კმაყოფილია შენის შვილის გაგზავნის გამო. იმედს გამოსთქვამს, ხალხს მაგალითს მისცემთ ჭეშმარიტი სჯულის მიღებისას. მაშინ უსაყვარლეს ძმად გიგულებს შენ.

ჰანიბალისგან მოწოდებული ცნობები კეისრის ბრძანებას უდრიდნენ სხვის პირით გადმოცემულს. ამან უფრო იმოქმედა დედოფალზედ და ჩაღამებული გული მთლად ჩაუშავა. დასუსტდა ფიქრწაღებული, მადა დაკარგა. უძრავად იჯდა, მარად ოხრავდა. მთლად გადაფითრდა. წამლები, შელოცვები, სალოცავები.

– არც არმაზი, ვერც სხვა ღმერთნი ვეღარ ჰშველიან. თუ მივმართოთ იმ ახალ ღმერთს და მის ქადაგს?

– ბრძანე, მეფეო! აღარ სჩანს სხვა გზა; იქნებ უშველოს.

ჯერ მაინც ყოყმობდა მეფე. არა ჰსურდა ბრძანების წართქმა.

35

აღარც დასჭირდა: თავისით შესრულდა მისი სურვილი. ბატონიშვილ ხვარამზეს ედარდნა ამაზედვე. ისიც იმ ფიქრს დასდგომოდა, ნინო შესძლებსო დედის განკურნებას. ინახულა მამა. ძნელი იყო ქალისათვის, გადაედგა ეს ნაბიჯი; მაინც გაბედა.

– მამი, მარტო დაგიგულე და შემოვედი.

– კარგი ჰქმენი, სიხარულო!

– დედა ძლიერ იტანჯება და ის მადარდებს.

– ეგ მეც მაშინებს. ვცადე ყველა საშუალება. ვერ მიუყენეთ ვერც წამალი, ვერც ხატის ძალა. ღმერთთაც თუ ვერ შეუძლიანთ სძლიონ ის სენი.

– მეშინიან, არ გამირისხდე.

– სთქვი! შეიძლება შენი სიტყვა ჭკუაში დამიჯდეს.

– ნინო რომ არის, იმ ქადაგს ვკითხე.

– მერე?

– შესაძლო არისო განკურნება იესოს ძალით.

– შემიძლიანო მისი მორჩენა?!

– თუ ავადმყოფი სასოებით შეუვრდებაო ქრისტე მაცხოვარს.

– დედაშენი უარჰყოფს ჯვარცმულს: მოსავეა არმაზ ბრწყინვალის. საიდან დაუახლოვდი, ქალო, იმ გრძნეულს?

– ხანდისხან მოდის, როცა წალკოტს ვარ. ხათუთამ მთხოვა, მებაღის ცოლმა, ნება მიეც, მოგეახლოსო ჭკვიანი არის, ბევრი რამ მითხრა.

– რას გიამბობდა?

– მასწავლა, ღმერთმა როგორ შექმნა ქვეყნიერება; პირველნი კაცნი როგორ ცხოვრობდნენ ძვირფას ედემში. თურმე ღმერთი განარისხეს და დაჰკარგეს ბედნიერება. შემდეგ თითონ მოვიდაო ქვეყანაზედ, რომ დაეთრგუნა სატანაილ მაცთუნებელი და მიეპყრო კაცისათვის წინანდელი ნეტარება. ეს ის ქრისტეა, მე რომ ვქადაგებო.

– მაშ სად არის კეთილყოფა, რად ვიტანჯებით?

– ვერ იცნესო ღმერთი კაცქმნილი. ჯვარზედ აცვესო. იმის სჯული ქვეყანაზედ რომ გავრცელდება, გულს მოიბრუნებს: კვლავ გააღებს ედემის კარსა.

– უბრალო თქმები!

– ვმოქმედებო სასწაულებს იესოს ძალით. დედოფალსაც განვკურნებო იმისი მადლით.

– ხშირადა გხედავს?

– თავის ქოხშიაც წამიყვანა. ბევრი სხვაც იყო. ქადაგად დაეცა. საკვირველებს წარმოსთქვამდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად.

– იცის დედაშენმა?

– ხათუთას ეთქვა. დედა... მეტად გამიწყრა.

– კარგი, შვილი, მოვიფიქრებ, – უთხრა მამამ და აკოცა ქალს.

ფიქრის დრო აღარ იყო. დედოფალი უძლურდებოდა. ავადობა ხელსა ჰრევდა მას. მოახსენეს, ურჩიეს, შეეხვეწნენ. დაჰყვა მათ ნებას. ბრძანა მეფემ მოყვანება იმ ქადაგისა. გაგზავნეს კაცნი. ეახლნენ, შეკრბნენ დედოფალთან, რომ დასწრებოდნენ საკვირველებას. დაბრუნდა კაცი, მოახსენა საოცარი სიტყვა უგვანი:

– ქრისტე ჯვარცმული თვით ბრძანდება მეფეთ მეფეო: არ ჰხამს ეახლოს თვის ქმნილებას, თვის მხევალსაო. მობრძანდეს თვით დედოფალი ჯვარის სავანეს და განიკურნოს!

გაოცდა, გაშრა ყველა იქ მყოფი. ალმურმა აჰკრა მეფეს სახეზედ. დედოფალი ჯავრით ათრთოლდა. შეძრწუნდნენ ფრიად კარის კაცნი თუ სეფე ქალნი. ჰლამოდა გრგვინვად გადმოშვებას ზვირთებული რისხვა მეფისა, რომ ჭაბუკმა ამზაილმა გადალახა ყოველი მზღვარი მოწიწებისა:

– აქ ვინა ჰბედავს აღმაშფოთველ კადნიერებას?! – სთქვა გონახდილმა

და ხანჯალი დაძრა ქარქაშით გასაგმირად თავხედად მთქმელის.

შუქის მსგავსად მიეახლა ქალი ხვარამზე, ხელი შეახო შეუგნებლად მის ხანჯლის კოტას. უხმოდ გაჩერდა ამზაილი ვით ქანდაკება.

გაძნელდა დედოფლის ავადობა. ვეღარ დადიოდა. ლაფანივით იღვედებოდა. აღარასფერს არ ხალისობდა: ერთი თუ გახდა ეხლა მისთვის ავი და კარგი. მდებარედ შეიქმნა განწირული. სასახლეში აჩრდილი გლოვის. ეახლა მეფეს ქურუმთ უხუცესი.

– ქადაგ ნინოს შეუსწავლია ისეთი საშუალებები, რომელნი აღემატებიან ჩვენს ცოდნას. არ შეიძლება არა ვსცადოთ იმისი ხელი! მოგვირჩინა იმ მისანმა სნეული მოგვი.

– მის კადნიერი შემოთვლილება... ჩვენგან არ არის ის დასათმობი!

– გვენანება დედოფალი მფარველი ჩვენი! ვერ გაბედავდა იმ თავხედობას, თუ არ იყოს ბიზანტიით განმტკიცებული. უარყოფამ დაგვიღუპოს კარგი სიცოცხლე...

– მართალს იტყვის ბაბეგი. ვსცადოთ იმ დედაკაცის ხელოვნებაც.

დაჰყვა მეფე. დაასკვნეს, საჯაროდ არ მომხდარიყო დედოფლის იქ მიყვანა. მაინც საჭირო იქნებოდა სიფრთხილე ხალხის მოსალოდნელ მოზღვავებისაგან და გასცეს სათანადო ბრძანება.

აცნობეს ნინოს, დედოფალი მობრძანდებაო. არ გაუკვირდა: ის ყველაფერს თვალს ადევნებდა სასახლეში და უკვე იცოდა მათი დასკვნა. მეფე დედოფლის მსახურთაგანნი თვალნი იყვნენ მისნი და ყურნი.

მაყვლოვანში დაჰხვდათ ქადაგი. ალაღებული მაყვლის ბუჩქი თალარად თხზილი. მოზდილი ადგილი ტოტთა კარავ ქვეშ. ჭილობები ეფინა. მუთაქა ეგდო ერთადერთი. აღმოსავლეთ მხარეს ლოდი ვეება. ზედ ესვენა წალმის ჯვარი ნაწნავით კრული. ქვის წინ შილა შეწამული. ინავლებოდა გუნდრუკი ქვაზედ.

ლოცვად იდგა მუხლმოყრილი ნინო, ხელნი გაეპყრო. ძაძა ემოსა. შუბლამდინ ჩამოფარებულ თავსაბურიდან ყელ-ყური არ უჩანდა. ჯიღა წარბებქვეშ ქუფრი თვალები. დაშტერებით იმზირებოდა.

მიბრუნდა დედაკაცი, მიესალმა დედოფალს, შეიწვია მაყვლოვანში. ბუჩქნარში მხოლოდ ხვარამზე დასტოვა. თალარში ჩაჭრილიყვნენ მზის ელმეცრივი სხივები. ნათელ ფოლაქებით მოექარგა იქაურობა.

უხმოდ დააკვირდა დედოფალს. მიბრუნდა ტრაპეზისაკენ. მუხლმოდრეკით ევედრებოდა; თან ირყეოდა მარჯვნივ თუ მარცხნივ. ხვარამზეც დაშვებულიყო დალიჭზედ მუხლმოყრილი. მობრუნდა ნინო. დაადო შუბლზედ დედოფალს ხელი. ცოტაც და ამოიგმინა ავადმყოფმა. შეაჟრჟოლა. დამწუხნა თვალნი.

– ცუდად შეიქმნა დედოფალი!

ნინო თვალს არ აშორებდა გართხმულ დედოფალს. შეიძრა ნანა. წამოჯდა. თვალებზედ ხელები გადისვა. მიიხედ-მოიხედა.

– განვიდა, დედოფალო, მანვე შენგანა! განკურნებულ ხარ, ქრისტეს მხევალო. წარვედ მშვიდობით!

თითონ ადგა დედოფალი; გამოვიდა; გაემართა. თვალნი ჰაზრით უბრწყინავდნენ. სახე შეჰფერიანებოდა. ჰმადლობდნენ ქადაგს სასწაულისთვის.

თითონ ქადაგი ყურს აღარავის უგდებდა. მოდუნებული იდგა მკლავებ ჩამოყრილი. უღონოდ დაეშვა საფენზედ. მეტისმეტად თუ დაღლილიყო.

37

წამოვიდნენ გაკვირვებულნი, დაფიქრებულნიც: ძველი რწმენის და წყობილების ციხე-გოდოლი იჭაჭებოდა, სკდებოდა, ირღვევოდა. ერთი ნაპრალი დღესაც ააჩნდა.

დედოფალი აქამდისინ მტკიცე ბურჯი იყო არმაზისა. აწ იძულებით ეთაყვანა ღმერთს ბიზანტიურს. თავისდახრა რომაელთ წინ, დამორჩილება.

– ბიზანტიელთ ეხმარება თვით ძალა ცისა. ჩემთვის ძვირფას საქართველოს იგივ მოელის, რაც ჰხვდათ წილად პონტს თუ ლიდიას: დასძალავს რომი, სახეს წაართმევს!

იქნებ კიდევ ცდილიყო დედოფალი ბრძოლის განგრძობას, თუ თვის სიცოცხლე ბაქარ ჭაბუკი იქ არ ჰყოლოდა, ბიზანტიაში.

– ჩემი ვაჟი გველაშაპის ბუნაგშია გესლიანისა, ჩანთქავს უმწეოს, თუ...

უნდა ჩაეკლა სურვილიც კი უარყოფისა. ბედისწერას ამჟამს ბიზანტიელთ მორჩილება დაესახა ქართველთ ერისთვის; ვერ იხსნიდა ამ ხვედრიდან თვით ქვეყნის ძალა.

– ნინოს ხელით კურნება ჩემი განგების ნებაა. მიკარნახებს იმ ქადაგთან დამეგობრებას.

რახან ერთხელ დაადგა დედოფალი ამ გზას, ბოლომდინ მიჰყვა: მოისურვა მეუღლე-მეფეც გარდაეხარა.

– რადღა უარყოფს ქართველ ხალხზედ მოქანებულ ძალას განგების?! სჯობს დაჰყვეს ნებით, ააცილოს თვის სამეფოს მძლავრის მახვილი.

ამის შემდეგ იყო, რომ სასახლიდან ყოველ დღე მისდიოდა ულუფა ქადაგ ქალს. ადონაიმ ისრაილს მანანა უწვიმა გამოსაზრდელად; პატიმრად მყოფ ჩვენს ამირანს ფრინველი განუწესა ულუფის ყოველდღე მისართმევად: ღმერთ-კაცის ქადაგს ხელმწიფის ტაბლა გაუშალა შიგ მაყვლოვანში.

– მიიღეთ მადლობით წყალობა ესე ჯვარცმულისა! – ეტყოდა ნინო თვის მოწაფეებს.

და ჯვარს გადასახავდა მგბარ სანოვაგეს. თითონ მცირედ შეეხებოდა: იმარხვიდა განუწყვეტლად და ილოცვიდა. აწ ქადაგებდა წელგაშლილი გაცხადებულად. კადნიერადაც! დღითი დღე უმრავლდებოდნენ მიმდევარნი, თანმოაზრენი. შეჰყრიდა ხალხს ქუჩა-ფოლორცში და ასწავლიდა. მახლობელ სოფლებში იწყო სვლა თავის მოწაფეებით. მეფე ვერაფერს ღა ბრძანებდა მის წინააღმდეგ. არმაზის მოგვნი მეფეს შეჰმზერდნენ, მასთან ერთად მოელოდნენ საშიშროებას ბიზანტიიდან.

ძველისძველი ქართველთ სჯულისა და ღმერთთა მიმდევარნი უფრო ახალ ქადაგისკენ იყვნენ:

– სძლიოს ჯვარცმულმა არმაზი და მის მომავლინებელი სპარსი! აგვშორდებიან ირანელნი, გაგვეცლებიან.

– გვეუფლებიან ბიზანტიელნი!

– გაგვიბატონდნენ! თუნდ ჯვარედინ ხეს გვათაყვანონ! შორეული ბიზანტია ისე მძლავრად ვერ დაგვრევს ხელსა. სპარსი ჩვენთან ლიქვნით მოსულა; მოუცია ღმერთნი, მეფენი; ცდილობს ნელ-ნელა სახე თვისი დაამყნოს ქართველს, – იტყოდა გაბოროტებული მანგიური

და ცდილობდა მეტი მებრძოლი შეეკრიბნა თავის გარშამო. იტყოდა იგი:

– მამცნო ითრუშან, დიდმა დედამ ქართველთ მიწისა. მოსულ ღმერთს არმაზს დასდგომია ძნელი ბრძოლის დღე: მას შეჰმართავს ღმერთი ჯვარცმული! ბრძანებს ციშუბი: მოსავნი ჩვენნი მზად იყვენით ძლიერ ბრძოლისთვის!

– თუ დაიძლია არმაზ ბრწყინვალე, დარჩებიან ერთურთ პირისპირ ღმერთი იესო და ციშუბი ბატონი ცისა.

– და დასძლევს ბოლოს ქართველთ ღმერთი საქართველოში!

– როდისღა, როდის, ჭირისუფალო?!

– ჟამს, დადებულს ბედისწერისგან! გახსოვდეს მხოლოდ: ათასი წელი მის წინაშე, ვით წუთი ერთი!

– და წუთი ერთი ვით წელთ სიმრავლე!

– ამ ბრძოლის გზაზედ დაიმსხვრევა არმაზი უცხო!

და მოდიოდნენ ვითა ზვირთნი შეთქმულთ ძალები.

38

ნინომ რომ გააფართოვა ქადაგების ასპარეზი და სოფლებშიაც დაიწყო სიარული, მიზანში ამოიღო მდაბიო ხალხი და მათ შორის უფრო შეჭირვებულნი თუ ტვირთმძიმენი. არმაზის განაპირა უბნებ შორის ყველაზედ მეტად შეიყვარა კართანი, რომელი მიჰკედლებოდა ქალაქის უმთავრეს კარებს და მანძილზედ გაეწივნა ქალაქის იქით.

კართანში ბოგანო ხალხი ცხოვრობდა მიწას აშორებული. მათი ცხოვრების სახსარი ქალაქი იყო: მიჰქონდათ ბაზარში, თუ რამ მოეჭარბებოდათ; ქალაქშივე მუშაობდნენ დღიურად კაცნიც, ქალნიც. ფაცხებში თუ ქოხებში სცხოვრობდნენ ბატონკაცების ხელში შემყურენი. ბაზარზე იყვნენ მოკიდებულნი: იქიდან მოჰქონდათ საზრდო. ნინოს სიტყვა მალამოდ ედებოდა სიღატაკით დაშაშრულ მათ ხორცს და სულს.

– კაცნი თანაბრად გაუჩენია დიდს შემოქმედს, ცხოვრებაში კი ვხედავთ დაბადებიდგანვე განდიდებულთ და დაკნინებულთ. წინააღმდეგია ეს ღვთის ნებისა, აუტანელი!

– ოღონდაც რომ უფერია ესეთი ყოფა!

– ერთნი ფუფუნებენ, მეორენი დამშეულნი მიწას ჭლოკავენ. ვის გაუგონია ეს?! უთანასწორობა კაცთ სიბოროტისგან არის შექმნილი. უნდა შეიგნონ, მოსპონ თითონვე!

– გვეუბნებიან, ღვთისაგან არისო ეს დადგენილი; მთა და ბარი ვის გაუსწორებიაო.

– უგულო და უაზრო ღმერთებისგან არის დადგენილი, ქვისა და ლითონისაგან შექმნილ შემოქმედებისაგან. მსხვრევა მათ! დამხობა მათ უკაცურ წესებს!

– შენი ღმერთი სხვანაირადა ფიქრობს?

– ჭეშმარიტი ღმერთი იესო იტყვის: მოყვასნი ვართ ყველანი ერთმანეთისა და ძმები. გვშვენის ერთობა, თანასწორობა. ხალხი ერთი დიდი ოჯახია და განა შეიძლება სახლის შვილნი ერთნი ძღებოდნენ უსაქმონი, სხვანი პირში შესცქეროდნენ უფრო მოქმედნი? ისინი ისხდნენ ფეხმორთხმულნი, ესენი თავს ევლებოდნენ დაკვართულები? ბედნიერებს ფარჩა ემოსოთ, უბედონი კონკებს აჟღარუნებდნენ! დაბადებით აღნიშნულნი, თუნდ უბადრუკნი, მბრძანებლობდნენ, სხვანი, ნიჭით აღსავსენი, მათა ჰმონებდნენ?

– მარგალიტი გცვივა პირიდან!

– დალოცვილს იტყვი, მაგრამ მაგის გამოსწორება შეუძლებელია!

– გონს ჩაუკვირდით, იანგარიშეთ! განდიდებულ-გამდიდრებულნი ცოტანი არიან, ღარიბნი და ტვირთმძიმენი ერთი ათასად. უნდა შეიგნონ, ბედისგან დამწარებული ხელი აღუპყრან.

– ჰაი, ჰაი კარგი იქნება!

– ჩაგრულთ სიმრავლე ჰმორჩილობს მძლავრებს, კიდეცა ჰშველის. შეიგენით, უბედურნო, ერთობის ძალა! აღემართენით!

– ჭეშმარიტად შენით უბნობს ღმერთი კეთილი!

– და იგი ღმერთი საწყალთ მფარველი იესო ტკბილი მხოლოდ ერთია სათაყვანები!

– არმაზ ბრწყინვალე და სხვა ღმერთები?

– ღირს არ არიან მთელის ერის თაყვანისცემის ისეთნი ღმერთნი, რომელნი აბედნიერებენ მხოლოდ ერთს ჯგუფს და არა მთელ ხალხს. დამდაბლებულთ დასანახათ არ ჰქონან თვალნი და შეჭივრებულთ სმენად არც ყურნი! დანთქმა იმათი!

ღელავდა ერი; მაინც სდუმდა.

– მოახლოებულ არს ღმერთი იგი ტანჯულთ მოყვარე! ყოველივე ბოროტება დასთრგუნოს იმან! აღადგინოს დავრდომილნი სიმდაბლისაგან. ღაღადებდა გატაცებული.

ჯერ ადრე იყო. გაემართა მთის ბილიკით კერპთ საყუდრისკენ. აჰყვნენ მსმენელნი. წყნარის ბიჯით მიდიოდა ძაძით მოსილი. განუმტკიცებდნენ მთის ძნელსა სვლას მოწაფე ქალნი, ხელთ აღუპყრობდნენ. მისდევდა ხალხი. მიახლოვდნენ სიწმინდის ადგილს. მოწინავეთ იწყეს გალობა:

ოსანა მაღალთა შინა! კურთეულ არს მომავალი სახელითა უფლ...

გალავნის კარნი განხმულნი დაჰხვდათ. არმაზს გვერდს ახლდნენ მორიგი მოგვი და მცველთა ჯგუფი. ხალხმა იგრძნო მოწიწება, ჩამორჩა ქადაგს. დიდებულს ღმერთს უახლოვდა ქადაგი ნინო და დააკვირდა.

39

კვარცხლბეკზედ იდგა არმაზ ბრწყინვალე. დიდი ტანისა მაღალ-მაღალი. გაცი, გაიმი მარჯვნივ და მარცხნივ. სრულტანიანნი შედარებით მომცრონი ჩანდნენ. რვალისაგან ჩამოსხმული დიდ ხელოვნებით. წვივნი ძლიერნი. მებრძოლი ღმერთი იყო არმაზ და ბექთარი ეცვა. გვირგვინივით მუზარადი ისარ ახრილი. საკმლავები, ხელჯაგები, საბარკულ-საწვივეები. ჭვინტიანი ფეხსაცმელი. აბგარ-აბჯარი ნაჭედი ოქრო. იქცევის ხმალი ამოწვდილი. მართლმსაჯული ღმერთი იყო არმაზ. შემცოდე განმარისხებელი ნუ მიეახლებოდა მას ნურც შესაწირად: ალმასის ხმალი გაჰკვეთდა ცოდვილს. ვადა ხმალისა და ქარქაში სპეკალ ნაჭარბი. დიდრონ-დიდრონი თვალნი ესხნეს ბივრილიონის. გულთამხილავი. თვალთ აყოლებდა ბოროტის მგულებს. შესაზარი მისი შეხედვა: მყის განსჭვრეტდა საიდუმლოს, ყოველს დაფარულს განაცხადებდა.

მოშორებით, ცოტა მარჯვნივ, უზარმაზარ ლოდებისაგან თხზილი სამსხვერპლო. მოოთხვილი გელაზები დაკუთხვილები. აქ შესწირავდნენ ყოვლად დასაწველს. გუნდრუკის კმევა. განუწყვეტელი.

ბევრთ დიდებულთ ჩჩვილი შესწიროდა აქ არმაზს, უხვი ცრემლი დაღვრილიყო მორწმუნეთაგან. კაკურაზი ღმერთი იყო არმაზ დიდებული: თუ არ დიდკაცთ შვილს, მსხვერპლად სხვას არ მიიღებდა.

არმაზის წინ, ფარნაოზის სამარეზედ, დრუნგილის ლოდი სუფთად ნათალი. გარს ხვეული ჩუქურთმა ევლო ვარაყიანი. საფლავის ქვის შუაზედ ჩაჭდეული ფრთიან მზის სახე სხივოსნებული. მთელი მზე ოქროდან ნაკვერი. ტაბლა ამ

ტრაპეზზედ იდგმებოდა. ქურუმი აქ ამწყალობლებდა მვედრებელს. მლოცავი რომ მუხლს მოიდრეკდა არმაზის წინ და თავს დახრიდა, ფარნაოზის საფლავს ეხებოდა შუბლით, ეთაყვანებოდა.

ეხლა საღამო იყო და მზე ზურგით კერძო ალაპლაპებდა არმაზს; ამოსვლისას პირველ სხივებით ამ ღვთაების სახეს ჰკოცნიდა.

დაკვირვებით უმზერდა ნინო არმაზ ბრწყინვალეს: თუ ჰსურდა, მის თვალებში ამოეკითხა მომავალი უტეხ ბრძოლის შედეგები. ვერ შესძლო დიდხანს დაჟინებით ჩაკვირვება.

– ეს რა მომდის, უფალო ჩემო?! ლამის გამტეხოს ამ კერპის თვალმა!

გაჰღვიძებოდათ არმაზის თვალებს, სიცოცხლის წყალი დიოდა მათში, იღელვებოდა.

– მაკვირდება, როგორც სულდგმული!

ქალმა გვერდზედ გადადგა ბიჯი. ღმერთმა თვალი ააყოლა, მასვე უმზერდა. სულში უტარებდა ხედვათა ისრებს. ბოროტმა ჟრჟოლამ აიტანა ქალი ქადაგი.

– დადგება ჟამი, ჩემის ხელით აგმოგწოდა ვალნი საზარნი!

პირი იბრუნა. გაემართა გალავნისკენ. მოწაფენი თანა ჰყვებოდნენ. გაიარეს იფნები. გასცდნენ გალავანს. ძველი ზღუდე ნაპრალებიანი. კედლებზედ სენაკები იყო აქა-იქ მიდგმული ღამისმთეველთათვის. არმაზის წყაროს ბილიკს დაადგნენ. აღარ მღეროდნენ: თავთავად აზრს შეეპყრო ხალხი. გრძნობდა ქადაგი, ძნელი იყო ნატვრით საქმის ასრულება ამ ქვეყანაში.

– შესჩვევია ხალხი თვის ღმერთებს. თვალსა სჭრის მათ სიტურფე მათი, ახოვანება. ხელთ მიპყრია წალმის ჯვარი, ტანჯვის ნიშანი. დუნდგომ რა იცის, რომ ეს ნიში გატანჯულთა მხსნელი არის ცხოველსმყოფელი?! ვაჰ, თუ ბოლოს გამიდგეს ხალხი და მეფეც მათი! – იტყოდა ნინო

და სიმძიმილით ილეოდა, იხრებოდა ქალი ტანადი. მსწრაფლ იმედსვე მოიცემდა, გასწორდებოდა.

– არა! მყვანან მომხრენიც: ძლევამოსილ კეისრის ხმალი და სიკვდილისაც დამთრგუნველი ღმერთი იესო. აღსდექი, სულო, აღიმართე, ნუ შეძრწუნდები!

და დადგა ლოცვად:

– ღმერთო იესო! დამიფარონ ამ ბრძოლაში ანგელოზთ გუნდთა... ეჰ, შევეწირო შენსა სახელს მხევალი შენი. განპოხიერდეს სისხლით ჩემით ქვეყანა ესე. აღმოცენდეს უხვი ყანა. ახალის აღთქმის!

ჩაივაკეს. შეისვენეს არმაზის წყალზედ. შესვეს ანკარა, სახეს გადივლეს.

– ეს წყარო იმ ტანჯულ დედათა ცრემლია, რომელთ ჩჩვილნი შეუწირავთ არმაზისათვის. წყაროს რაკრაკში შორეული მესმის ტირილი. მოისპობის ჯვარის ძალით გულქვა ღმერთი სხვაგნით მოსული!

40

ადვილად ითქმებოდა: მოისპოს! საჭირო იყო გაღვიძება უტეხ ქმედობის, მახვილთ წარმართვა.

– საკვირველი ხალხი არის თავისებური! უბრყვილოთა სწამთ თვისი ღმერთები, თითქო ეს მათთვის სუნთქვასავით ბუნებრივია. ყურს გიგდებენ, თქმულს გისმენენ, მოსწონთ კიდეც სიტყვა ნათქვამი; თავისასვე მოქმედებენ შეურყევლად!

– მაშ რად ესვიან მებრძოლ არმაზს უცხოდან მოსულს?

– არმაზი... ამ ქვეყანაში ქართველთ ღმერთსვე დაჰგვანებია; მიუღია აქაური სახე, თვისება. მცირედ ირჩევა მკვიდრ ღმერთებიდან. მისნი ქურუმნი... ქართველთავე სულით სუნთქვენ. მირიანი... სპარსია იგი; ჩასდებია გული ქართული. მაინც ჯერაც არ შეჰრიგებიან ქართველნი არმაზს: კიდევ არიან მათ შორის მის მოძულენი.

– მაშ შესაძლოა, ახალ სჯულსაც ფერი ეცვალოს, აითვისოს ქართველთ ღმერთთ სახე.

– რას მეტყვი მაგას?! იგი სულ სხვაა! არ აქვს ერთობა უცხო ღმერთებთან. ჯვარცმული ქრისტე ქართველთათვის სხვა ღმერთთა სახით?!.. მოისპობა ყოველი ხატი ადგილობრივი! მათი სახელიც აღმოიფხვრას ხალხის ხსოვნიდან! ცეცხლი ყოველს ნაშთს წარმართობისა, მსხვრევა მათ ღმერთებს!

ძალა შესწევდა ქადაგის ქადილს. მოდიოდა უცხო ხმალი ამ გზის საკაფად: ქართველთ მეფისგან თხოულობდა ბიზანტია სჯულის მიღებას. კიდეც გაეჭრა მოთხოვნილებას. ბევრი დაეთმო: სრული ნება განცხადებით ქადაგებისა; დედოფალი ქადაგთ მფარველად; ქურუმთ ძალა დაბლაგვებული. შინაცა სჩანდა სიძლიერე მისი მშველელი: ქართველ ძველ ღმერთთ ხმა ახლოვდებოდა არმაზთან ბრძოლად. მანგიური და სხვა ძველნი წინამძღოლობდნენ.

ყველა ეს ნივთიერი ძალები დაეხმარებოდნენ ნინოს და აუსრულებდნენ საწადელს. თვით ხალხი კი, გული ერისა... მცირე იყო შედეგები მის ქადაგების: ერთი მუჭა მოწაფენი, თანამგრძნობელნი და მათ შორის ნახევარი ისევ უცხონი: ებრაელნი, ჰაიკანნი, ბიზანტიელნი. მათშიც გულით მორწმუნენი მხოლოდ მცირენი. მიეზიდნა სხვანი ანგარიშს: საბოლოვოდ კეთილყოფას კეისრისაგან.

შეგრძნობილი ჰქონდა ეს ყველა გამოცდილ ქადაგს და შეგნებული. მით უფრო უღირდა მცირე რიცხვი მისკენ მიქცეულთ ქართველებისა და მათ შორის მეფის შვილი ხვარამზე ქალი. ტანჯულ ღვთისთვის გაეღო გული მგრძნობერ ქალწულს. ის უხაროდა, კაცთა შორის სათნოებას დაამყარებსო. რა იცოდა გამოუცდელმა, რომ იგი სჯულიც ისწრაფოდა სისხლის სავალით; სთრგუნავდა გზა-გზა ბევრ რამ სიკეთეს; აგზნებდა ხალხში ცეცხლს ყოვლად შემწველს; წარმართავდა მახვილს სისხლიანს.

უალერსებდა ქადაგი ქალწულს და ასწავლიდა. თუ ქალს წალკოტში იგულებდა, ეახლებოდა. იმას ცდილობდა, ჩაეხედა ქალწულის სულში, წაეკითხა მისი გულისთქმა.

– ჩემო ლამაზო, ხანი გითხრობს, აასრულო ცხოვრების ვალი. გიმღერის გული; რად არ ისმენ საწყლის გალობას?

შეწითლდა ქალი, დახარა თავი.

– ყური მოვკარი, შემოუთვლია პონტოელ მეფეს: გასტუმრებო ვაჟს; დამოყვრება მწადიანო.

– არ გამიგია. არ უთქვამთ ჩემთვის.

– იესო ტკბილი ლმობიერად უყურებდა ქალ-ვაჟთ ერთობას; აკურთხებდა ქორწილის ზეიმს.

უამბო, როგორი სირცხვილიდან გამოიყვანა მასპინძელი, როცა ქორწილში დააკლდათ ღვინო.

– არა, დედავ, არვის გავყვები... თუ არ რჩეულს ჩემის გულისა, მირჩევნია, აღთქმა დავსდვა ქალწულობისა, მოგბაძო შენა.

– არა, გენაცვა! ზეცით ვიყავ ამ ყოფისთვის მე ნაწოდები. მაინც კარგს იტყვი: გულს თუ არა ჰსურს... ბევრი შემოგტრფის, იქნებ ახლაც ჰყავს შენს ქალწულებას თვისი რჩეული.

ნინომ ამოიღო შირმაიის ჯვარი პაწაწა.

– მარგალიტის ყელსაბამი მეტად გიხდება. მაგ ძაფზედ გქონდეს, ტურფავ, ავ თვალისაგან დაგიფარავს: შელოცვილია.

41

ამზაილ ამოეღო ქადაგს მიზანში. შეენიშნა ქალ-ვაჟის გრძნობა. იცოდა ნინომ, არ დასთმობდნენ უბრძოლველად ქართველნი ღმერთებს. მებრძოლთა შორის ამზაილი პირველი იყო თავის მხნეობით, ჭაბუკური გატაცებით, მდგომარეობით: მას ჰმორჩილებდა ჯარი რჩეული. დაასკვნა ნინომ, ქალის გრძნობა ეხმარა ხიდად. შორით ზომავდა: აქებდა ჭაბუკს, გარს ახვევდა დედობრივ ზრუნვას. პონტოელზედაც მისთვის უამბო. აღეგზნა მათში გრძნობა ნთებული. მეტად ჰსურდა, პირად ემცნო ჭაბუკისთვის სჯული ქრისტესი. ბედი ჰშველოდა: დაჰკრა თვალი მომავალ ჭაბუკს და აეჩქამა:

– დახედე, ქალო, ამზაილსა ჰგავს ის მხედარი.

გულს ეკარნახა ქალისათვის მზე-ჭაბუკის მოახლოვება.

– ის არის! სავარჯიშოდ თუ ჰყვანდა ჯარი.

ვაჟს შეენიშნა ქალნი წალკოტში. გადაუხვია. სალამი მისცა შორიდანვე. ქადაგი წამოვიდა მისკენ. გამოჰყვა ქალი. დაჰყრდნობოდა ვაჟი გალავანს.

– ჯაჭვი გაცვია. მეკობრების სადევნელად თუ იქნებოდი, – ეძრახა ნინო.

– ვვარჯიშობდით. აუცილებელია საკურტაკე და ჩაბალახი: შეიძლება მოჰხვდეს ხმლის წვერი, ან ასხლტეს შუბი. ნამდვილ ომში ესეთი ჯაჭვი ქსოვილივით დაიფლითება.

ნინომ ანიშნა ქალს შემოწვევა.

– გარედან სდგეხარ, ყმაწვილო! რად არ გადმოხვალ? – მიეხმაურა ქალი.

უბრძანა მხევალს, გაეღო კარი.

ვაჟს სახე გაუნათდა. გადააგდო ცხენს ლაგამი. ერთის დაკვრით გადმოევლო გალავანს.

– ცხენი?

– იდგება!

– მთლად მოგრჩენია იარა? – შეეკითხა ნინო.

– ნასახიც აღარ მაჩნია! ჭრილობის წამალი დიდებული იცის მანგიურმა.

– რატომ მე არ მომმართე საექიმოდ? – უსაყვედურა და მიუბრუნდა ხვარამზეს:

– წამლობის ხსენებაზედ მომაგონდა. ნება მომეცი, ბატონიშვილო, მოვარჩიო სამკურნალო ზოგი ბალახი!

– ინებე, დედავ!

გასცდა ქადაგი ახალგაზრდებს. იქვე მდგომ მხევალს მისცა ხელმანდილი.

– წამომყევ, შვილო! შევაგროვოთ ბალახ-ყვავილი.

მარტონი დარჩნენ ქალ-ყრმა. შეწითლდა ქალი.

– მაშინ მინდოდა, წამლობისთვის ქადაგთან მოსულიყავ, მაგრამ...

– რად არ მიბრძანე?! ვარდად მივიჩნევ ახალ ჭრილობას, ეხლა მაინც შევასრულო სურვილი შენი.

– ნინოს ძალიან გულით უნდა მაშინდელი ომის ამბავი დაწვრილებით მოისმინოს შენგან.

– ვუამბობ ყველას.

– მეც იქ ვიქნები, რომ მოვისმინო.

– ბედნიერი ვარ! იმასაც ვეტყვი, რა თილისმა მინახავდა იმ ბრძოლის ცეცხლში.

– ვერ შეგინახა: მაინც ხომ დაგჭრეს.

– არ გაახარებს მებრძოლ ვაჟკაცს, გამოვიდეს დიდ ომიდან მთლად უვნებელი.

არ ხერხდებოდა გაბმული სიტყვა. ნაწყვეტს იტყოდნენ. რა საჭირო იყო?! უსიტყვოდაც უმღეროდა ერთურთს ქალ-ვაჟი. ნინოს შეეკრიბნა ყვავილები.

– ვუთხარ ამზაილს შენი სურვილი ომის ამბების შესახებ. ვეახლებიო.

– სასიამოვნოა!

42

ხვარამზეს მაგალითმა სხვა სეფე ქალნიც დაუახლოვა ქადაგს. ის იყო ძნელი, ვაჟკაცები ვერ მიეზიდნა. არა სჯეროდათ!

– ჰე, ჰე! ძმობაო, მონობისა და ხელქვეითობის მოსპობაო, ქონების გათანასწორებაო. მარტო ლამაზი სიტყვები. მთა და ბარი ვის გაუსწორებია?!

– ხელზედ რომ ხუთი თითი გაქვს, ისინიც თანასწორნი არ არიან; კაცთა შორის თანასწორობა როგორ დამყარდეს?!

– მაშ ქრისტიან ბიზანტიაში ხელმწიფობა აღარ არის და ბატონობა? განა იქ კაცი მხოლოდ თავის უნარით ფასობს? ჩამომავლობას ძალა არა აქვს? იქნებ დამყარდა ქონებათა თანასწორობა?

– ჯერ არაო. როცა ყველა ხალხი მოიქცევა ქრისტეს სჯულისკენ, მაშინ იქნება ძმობა, ერთობა, თანასწორობა, კაცთა შორის მშვიდობა და სათნოებაო.

– დაიჯერე! შეუგნებელნი ვგონივართ; გვაცთუნებენ საკვირველი თქმით და ჯადოსნობით. სულ სხვა უნდათ, სხვას ესწრაფვიან.

– რა მოჰსურვებიათ?

– თავიანთ სჯულის ჩვენში შემოტანა, შემოტყუება და დაპყრობა ჩვენი მიწა-წყლის, დამონება ჩვენის ხალხისა.

– სიბრძნე გაუბნებს!

– თუ ძმობა უნდათ, ძალა რად მოაქვთ? რად უნდოდათ ამანათად ბატონიშვილი?

– გვაქვს ქვეყანა, გვყვანან ხატები: შეგვიძლიან მოუაროთ ჩვენს თავს მათ მადლით.

მებრძოლ ვაჟებს არ მოსწონდათ ახალი მცნება:

– მტერს დაუთმეო; სილა გაგარტყას, მეორე ლოყაც მიუშვირეო; ჩოხა გაგაძროს, კვართიც მიეო. ბეჩავის სიტყვებია, მონების მცნება!

– დამკრან, დავუთმო; ზედ კი მერტყას ჩემი ხანჯალი?!

– რად ჩავაცმევ ჩემს ახალუხს ვიღაც კეთრიანს?!

– ენიანი კაბა ჩემი სხვას ეცვას ტანზედ?! აბა მომკვდარვარ.

იცოდა ნინომ ვაჟკაცთ ფიქრები და აფასებდა სეფე ქალთა მისკენ მიქცევას.

– მათი გული ამ ქალთ ხელშია. ესენი რომ მოდიან ჩემთან, ისინიც მე მეახლებიან. და მათ შორის ამზაილი მოვა პირველი, ჩემთან არის მისი საუნჯე; გულიც მისი გაბმულია ამ მაყვლოვანში.

უსრულდებოდა სურვილი ქადაგს: მზე-ჭაბუკნი მის სავანეს დასტრიალებდნენ. ქადაგი ლოცვად დგებოდა და გარს ერტყნენ თვის მოწაფენი, ეს ახალი მიდრეკილნიც ახლოვდებოდნენ. ცოტა დათმენაც და ნათელსსცემდა,

შეურევდა ახალ მოსულთ თავის არვეში. ლოცვის შემდეგ რონინებდნენ, ქალთ აცილებდნენ. იტყოდა ნინო:

– სჩვევოდა ქრისტეს: ქადაგების და ლოცვის შემდეგ გაივლიდა ქალაქიდან სანახებისკენ; მეტად მოსწონდა ბაღნარები გეთსიმანიის, მთის კალთები ელეონისა. ღიღინით სვლა უხაროდა რჩეულთა თანა. ბუნების წიაღს მიენდობოდა. გრძნობდნენ, ფიქრობდნენ ძნელს საკითხებს მძიმე ცხოვრების.

და ჰბაძავდა ქადაგი ქრისტეს: მოწაფეთა თანახლებით მიმოვიდოდა; უამბობდა საგულისხმოს, დასაფიქრებელს. ღვთის დიდებას ხმაშეწყობით აღამაღლებდნენ. ამ ურთიერთობის დროს თანისთანად უახლოვდა ამზაილ ქალწულს. სიყვარული უმძლავრდებოდა; სულს უხოკდა ღონემიხდილს, გულს უწურავდა. რას გაბედავდა?!

ერთი ამნაირ სეირნობის დროს საუბარი ჩამოაგდეს იმ წმიდა ნაძვზედ, არმაზის მთაზედ რომ ჰშვენოდა სწორუპოვარი. თაყვანსა სცემდა ერი იმ ნაძვს, მის ადგილი სიწმიდედ უჩნდა. დააპირეს დრო შეერჩიათ და გაევლოთ მის სახილველად.

43

შემოდგომის დღე იყო წყნარი. ხილი მილევაზედ მიმდგარიყო. ყურძენი დაეკრიფათ. ტყის ნაყოფი ჯერ ისევ მწიფდა: პანტა, მაჟალო, შინდი, ხუთყურა. მთისკენ ვიდოდნენ ქადაგი და მის მოწაფენი. გასცდნენ ხიდს. არმაზის წყაროსაკენ ჰქმნეს პირი: მიზნადა ჰქონდათ, შეჰყოლოდნენ წავარნას და ასულიყვნენ იმ სამღთო ნაძვთან, ქართველები წმიდად რომ ჰხადდნენ.

– მშვენიერო ხე არის. იტყვიან, თვით ლიბანის ნაძვიაო გადმონერგილი.

– შესაძლო არის: თესლს მოიტანდნენ აღმოსაცენად.

მანამ ქალაქს გასცდებოდნენ, ცალ-ცალკე მიდიოდნენ ქალნი და ვაჟნი. ქალაქ გარეთ მკაცრად ვეღარ იცავდნენ განცალკევებას: შიგადაშიგ ქალებს ხელის აპყრობა სჭირდებოდათ, ვაჟკაცს მათთვის გზის გაკვეთა თუ გამტკიცება. დაწყვილდნენ ზოგნი. ნინოს გვერდზედ მიდიოდა ხვარამზე ქალი და მათთან ცოტა ჩამოდგომით ვაჟი ამზაილ. ახალგაზრდები საუბარს ვერა ჰბედავდნენ ერთმანეთთან. შეანათებდა ქალი თვალებს, გულს უშუქებდა ეშხით დადაგულს.

რა ბედნიერი იყო მზეჭაბუკი! ვაჰ, რომ გზას სიგრძე მსწრაფლ ელეოდა! მივიდნენ უკვე არმაზის წყალთან. ალმასივით ლაპლაპებდა ანკარა, ცივი. ჩაირიგეს ვერცხლის თასით, შესვეს სიწმიდე. შეუდგნენ აღმართს. ხრეში ეზიდა, გზა ჩაეხერგა. გრძელად წავიდნენ ვიწრო წავარნით; ერთად ვიდოდნენ ბატონიშვილი და მის რაინდი. რამდენი რამ უნდა ეთქვა თვის სატრფოსათვის! სადღა იყვნენ ტურფა სიტყვანი?!

– ბედნიერი ვარ...

– ლამაზი დღე დაგვდგომია სასიამოვნო.

– კაბის ქობა დაგიკოცნე მიწად გართხულმა!

– იყუჩე, ვაჟო!

– ვეღარ, გენაცვა!

– ახ, რად წამოვედ?!

– ნუ, ნუ შემრისხავ!

მიიდრიკა სავალი ხევი და რომ ასცდნენ ბექს, გამოჩნდა ნაძვი. კვერნაკზედ იდგა. არმაზის წყალის ნაკადული ზედ მოდიოდა.

– როგორღა ავალთ ამ ფრიალოზედ?

– არის სავალი. მომეცი ნება, ხელი გიპყრა, ბატონიშვილო!

კიდევ მცირე და აივაკეს. თავკვეთილი ყოფილიყო კალოდ მოჭრილი. გარშემო ხევი. ყვავილოვან მდელოს ბიბინი. ზედ შუაზე ამართული ნაძვი ამაყი. ღრუბლებამდინ აეხედნა ისარივით სწორს. დიდრონნი ტოტნი მწყობრად მიჯრილნი. ნაძვის სუნნელით, ყვავილთ ფშვენით მტკბარი ჰაერი.

პატრუქები დაეხვივნათ ხისთვის ღეროზედ. ძირს თუ ტოტებზედ ირმის ჩხები, ჯიხვის რქები, ვერცხლის შანები. მთელ კვერნაკზედ არ იდგა სხვა ხე. ხევთ გაღმიდგან მოსდგომოდნენ ტყეთა ტევრები. შორიდანვე ეთაყვანნენ ქართველნი ნაძვსა.

– რის მომასწავებელია ეს ხე თქვენი სათაყვანები?

– ნათელ ძალთა შესაკრებელი! მბრწყინავ ბირთვებით ივსებიან ბნელ ღამეში ამის ტოტები.

– მოფრინდებიან შუქმფენელნი ქართველთ მფარველნი და იმას ბჭობენ, როგორ უნდა განაგებდნენ წმიდა ქვეყანას.

– ღვაწლდადებულ ქართველთ სულნიც მათთან ერთად ბჭედ მოდიანო.

– რა აყუდია?

– ალამი არის, იმ ნათელ სულთ დროშა მძლეველი!

დაფიქრდა ნინო. უნდოდა, ხმა აემაღლნა, ემხილებინა, ხეს შეჰხებოდა, რტო მოეტეხნა: ეჩვენებინა ხის უძლურება. ვეღარ ინება: არ უნდოდა შეერყია წყნარი სიამე.

– მაშ თქვენის ფიქრით, ხე ძლიერია, თაყვანსაცემი.

– ჰაი, ჰაი წმიდა ნაძვია, მადლშემოსილი.

– თუ შესაძლოა სახსოვრად ტოტი?

– არა!

– არას გზით!

– მხოლოდ ქურუმს შეუძლიან გაატანოს ამის ნატეხი, თუ მავნე სულმა დაივანა ვისიმ კერაზედ: განქრების ეშმა მის ნაწილის მიახლებაზედ!

სდუმდა ქადაგი და ფიქრობდა ძნელ რამ საფიქრებს:

– ამ ნაძვიდან გაკეთდების ჯვარნი ქრისტესნი; დაიდგმებიან იგი ჯვარნი სხვადასხვაგან საქართველოში; ქართველნი იმ ჯვართ სასოებით თაყვანსა სცემენ... ეს შემდეგ მოხდეს, კეისრის ხმალი რომ მოჰყვება ჩემს უძლურ სიტყვას...

მზე დაიხარა. დაჰკრა მთის სიომ. გაჩდნენ მფრინველნი: სავანეს თუ ჰსთხოვდნენ ხეს წმიდას. წამოიშალნენ მლოცავები: დრო იყო უკვე დაბრუნებისა.

შემოჯდა ყვავი კენწეროზედ და დაჰყრიტინა. ამზაილმა მსწრაფლ მშვილდს მოზიდა. თვალი დაჰკრა გაკვირვებით ბატონიშვილმა.

– შემინდეთ, ხატო დიდებულო, და შენც, ქალთამზევ! მთლად დამავიწყდა: არ შეიძლება წმიდა ადგილს სისხლის დათხევა!

44

სჯეროდა ქადაგს, რომ ხვარამზე გადაჰხრიდა ამზაილს მისკენ. გამარჯვება იქნებოდა ეს; მოწაფეები მეფის სახლიდან, ოჯახიდან მთავარქურუმის! მაგალითს მისცემდნენ ახალგაზრდობას, რომელზედაც ამყარებდა ის თვის იმედებს.

– დედოფალის უარყოფა გატეხილია. მირიანი... სხვა გზა არა აქვს. უნდა უარჰყოს სპარსთან კავშირი, დაიჭიროს კეისრის კალთა. ესევე ჰქმნეს ჰაისტანმა, პონტომ, ფრიგიამ. ბიზანტიას უჭირავს ხმალი, თვის სურვილზედ გაატარებს ურჩსა თუ მორჩილს.

– თუ ბედისწერა არ მოავლენს მებრძოლ სხვა ძალას!

– დარია ხელი ქრისტეს მცნებამ რომაელთ სჯულსა. გარდაქმნა იგი და ბედი...

– თვითც გარდაიქმნა.

– და ბედის წერა...

– მაინც მფლობელობს! ყველა არსი მას ჰმორჩილებს ზე ზესკნელი და ქვე ქვეყანა.

– ბიზანტიასა!

– კაცთ ნათესავს კეისრის ხელით, კაცობრიობას! ვხედავ მის საყდარს შუქთამფენელს, ზეცამდინ მაღალს და მის გარემო გვირგვინ დახრილ გვირგვინოსანთა. მორჩილებით თაყვანს სცემენ დიდს მბრძანებელსა და მათ შორის მირიანი ნათელღებული!

– კეისარს თუ ჯვარცმულს თაყვანი?

– უკეთუ მოვსწყდეთ დიდ მფლობელისთვის და ქვეყანაზედ იმის მსახველი კეისრისთვის, იესოსთან ვპოვოთ ცხოვრება კეისარი სახე არის ზეშთა მეუფის! ჰე, მოვალს იგი და მებრძოლთა ლეგიონნი მას თან ახლავან. იღვიძებდით! ვინ გაუწყოთ, როს მოვიდეს უფალი განსჯად?!

– არმაზ უძლევი დაიფარავს თვისსა ქვეყანას!

– გაცუდდეს ძალა არმაზისა და შეიმუსროს!

– ღმერთთა ღმერთის გმობას იტყვის დიაცი ესე: სიკვდილი ამას!

ობლად დარჩა ხმა გამყივარი. შიში და ძრწოლა მოჰხდენოდათ არმაზის მოსავთ.

ამ სახის თქმები მრავლდებოდა საქართველოში. ნელდებოდა თანისთანად არმაზის სხივი.

სასიამოდ სწვდება ხმები ძველისძველ ციშუბს, ქართველთ ღმერთთა ღმერთს ოდესმე ძლიერს. ჩამოდგა იგი დიდებიდან მძაფრ ბრძოლის შემდეგ, არ კი სცხრებოდა. ამხნევებდა მას ითრუშანი: ვერ შეურიგდა დაკნინებას ის თარ-ხუჯისას!

– ახალი ღმერთი აპირობსო არმაზის ბრძოლას.

– არვის დაუთმობს ციშუბ მრისხანე დაწყებას ბრძოლის!

თითონ დაიძვრის თავის ძალებით. ბიზანტიელი მხარს დაუჭერს თარ-ხუჯს ბრძოლაში. შეიმუსროს მათ შემართვით არმაზ ბრწყინვალე და მერმე...

– ახ, ვეღარ ვხედავ! ბნელა, ბნელა! ჩამოეშვა კრეტსაბმელი უკუნეთისა. აღარა სჩანს სახეები ქუფრ მომავალში. მიყუჩდა ხმები. ღმერთო მაღალო, თუ მოისპო ყოველივე ქმნილება შენი?!

ეჰა, აისი! აისახა საქართველოს წმიდა აღალმა...

მანგიური საშინელ ხმათ, საკვირველ თქმათ მიმოაბნევდა. ციშუბს მისთვის შთაეგონა თვის სურვილები: მისი პირით ამცნობდა ხალხს თვის წმიდა ნებას. აღტაცებით ასრულებდა დიდ ღმერთის სურვილს. აღიძრა ხალხი არმაზის ბრძოლად. აღმართულიყვნენ შესამართად ქართველთ სხვა ხატნიც: გუდან მებრძოლი, იაღსარი, ალერტი, ლაშარ.

ქადაგი ნინო ადასტურებდა არმაზის მარცხსა, სპარსთ გავლენის მთლად მოსპობას საქართველოში. ამყარებდა ამ მომავალს ქრისტეს მოსვლაზედ, ქართველთ შორის დამკვიდრებაზედ.

– მოისწარფვის იესო მხსნელი და მოგვფენს ნათელს სიხარულისა!

სდუმდა ქადაგი, რომ ჯვარცმულიც უცხო იყო ქართველთ ტომისთვის.

საქართველო ივსებოდა საშიშ ხმებითა. ყველა კერა უბნობდა ამას. გაჟღენთილიყო თვით ჰაერი ურკვევ ლანდებით.

მოგვთ უბანი ხიდის ყურზედ ღელვით ღელავდა. ქურუმთ უფროსი ნაწრთობი ბაბეგ შეძრწუნებული. ფიქრობდნენ, სჯიდნენ, განსაზრავდნენ არმაზზედ თუ სპარსთ ძალებზედ დამყარებულნი. რას მოზომავდნენ უშველებელ გასაჭირის ჟამს?!

– სასოებას მთლად ნუ დაჰკარგავთ! ჯერეთ ბრუნავს ომის ბორბალი; შესაძლოა სასიკეთოდ შემოტრიალდეს.

– ძნელი იმედი! თუნდ გადარჩეს სპარსეთი დაშლას, ვეღარ შესძლოს სხვის დახმარება.

მირიანი თუმც ძლეული კიდევ მაგრობდა. ცხადად უარს ვერა ჰყოფდა კეისრის ნებას, მაინც ჰყოვნიდა. რასღა ელოდდა?!

45

ზრუნვას მოეცვა მთელი ქვეყანა. ცხოვრება მაინც ჩვეულებრივ მიმოდიოდა. ყოველი დრო ამჟღავნებდა თვის წყობილებას. დადგა შემოდგომა. ერთხელ მიღებულ წესთა ძალით სანადიროდ უნდა გაბრძანებულიყო ხელმწიფე. ხორცად ვარგოდა ეხლა ნადირი; განმრავლების ხანსაც გაევლო.

ეახლა ბაზიერთ უხუცესი. უბრძანა მეფემ ნადირობის ფართოდ მოწყობა. ნადირთა ხოცვის ადგილად არჩეულ იქმნა მუხრანის სანახები. მოწვეულ იქმნენ წარჩინებულნი საქართველოს ყველა კუთხიდან. ნადირობა გართობაც იყო, ვაჟკაცების ვარჯიშობაცა. აუცილებელიც იყო მხეცთ შემცირება. განზრახული ნადირობა აღლუმსა ჰგვანდა.

შეიკრიბნენ წარჩინებულნი. ყველა მათგანს მოეყვანა ბაზიერნი, გაწრთვნილნი ძაღლნი თუ მფრინველები. უსიტყვო შეჯიბრებასა ჰგვანდა. მეტადა სწყინდათ, თუ სიმდარე შეემჩნეოდათ. მონადირე ავაზები თვალს იტაცებდნენ. სად წავიდოდა მათგან ნადირი?!

უამა მეფეს, რომ გადახედა თავის დიდებულთ ყოველ კუთხიდან. საკუთარი ჰაზრი ჰქონდა ამ ნადირობას: სახელმწიფო საზრუნავი უნდა დაესკვნათ. მუხრანის ველიც მისთვის იყო ამორჩეული, საქართველოს შუაგულს იდვა, ყოველ მხრიდან უფრო მისაწდომს. ნადირობამდინ მოაწყეს ბჭობა. დაასკვნეს ჰაზრი: შეუძლებელი იყო შეჰბრძოლებოდნენ ბიზანტიელთ. დაეთმოთ ყველა, თითონ სჯულიც კი; შეენახათ თვითარსებობა.

– სპარსეთი განადგურებულია; შენი სიძე ფეროზ დამარცხებული დაბრუნდა თავის ადარბადაგანში. ამაოა აქადან რაიმ დახმარების მოლოდინი.

– მაინც მთლად მოუმზადებელნი ვერ დავხვდებით მტერს: უნდა იცოდეს, თუ გაჭირდა, შევსწირავთ თავსა.

– ჩვენ მზად ვიქნებით. პირველ ზახილზედ ქუდზედ კაცი გამოვალთ ბრძოლად.

– საჭიროა ველურ მებრძოლთ გადმოყვანა გადაღმიდანა.

– აუცილებელია!

– მთლიან ლაშქარს ნუ შევქმნით მათგან: შეიძლება დაახარბონ ბიზანტიელთ და გადიბირონ. ჯგუფ-ჯგუფად დავყოთ, ჩვენის ლაშქრის ნაწილებში ჩავსხათ ცალ-ცალკე.

ნადირობად გაბრძანდა მეფე. ნადირთა სვრა თოხატის კვერნაკზედ უნდა მომხდარიყო, აქათ უნდა მოელალათ მხეცთა სიმრავლე. მორტყმული იყო დიდი ფარგალი. ჩასხდნენ, ჩასაფრდნენ მიჩემებულ ადგილებში მონადირენი. გვერდს ახლდა მეფეს უკეთესი მსროლელთა ჯგუფი და ამზაილი. მომრეკელთა ხმაურობა და

ყიჟინი ახლოვდებოდა. გაჩნდა ნადირი. ისართა ფრენა. მიწაზედვე აკერებდა წვრილფეხ ნადირსა. დიდრონს ადვილად ვერ იმორჩილებდა ბოძალი, სჭირდებოდათ ხელშუბები თუ სხვა მახვილი. ხალისობდა მოხუცი მეფე: მარჯვედ ესროდა, კიდევ შეეძლო დიდ-დიდ ნადირთ დამორჩილება.

მხეცთა სიმრავლემ აღძრა ხალისი, გაიტაცა, გაირთო ხალხი. მოეფანტნენ მხლებელნი მეფეს. არ სცილდებოდა მხოლოდ ამზაილ. გამოხტა ხშირიანიდან ფოცხვერი. მოავლო არეს ცეცხლივით თვალი. მირიანმა დაჰკრა ისარი. ბევრი ვერ ავნო. გადახტა მხეცი, მუხლთ ჩასჭიდა მეფეს ჭვანგები. ავნებდა მეტად, თუ არ დაჰსმოდა ნასროლი შუბი. შეაყენა მირიანმა შემფრთხალი ჰუნე.

– ეს ფოცხვერი ამ ადგილას კიდევ მინახავს. შევებრძოლეთ ერთურთს მაშინაც. აღარ მახსოვს, რით გათავდა ის შემართება.

– სხვაგან თუ მოხდა, სხვა ნადირობას.

– არა, სწორედ აქ! – წარსთქვა მეფემ ჟინიანად

და გაფითრდა, გადაჰკრა ფერმა.

– თუ დაიღალე, ბატონო მეფევ: ფერი გეცვალა.

– ვერც კარგად ვხედავ. აგერ შეყვითლდა ყველაფერი. მუქდება ყველა. თვალთ მიბნელდება.

– მეც ეგრე მომდის, სასწაულია!

შენივთდა ბნელი. ბღავილ-ყმუილი. ხმა შეძრწუნების. ხელნი შეყარა მეფემ ზეცასა:

– არმაზ ბრწყინვალე! დამიბრუნე თვალთა სინათლე. შეგცოდე ძნელად: ვერ დავიცევ სახელი შენი. აღგისრულო ყოველივე მოვალეობა. მომიტევე და დამიფარე!

უფრო დაბნელდა. აჩდნენ ვარსკვლავნი. არ სჩანდა მთვარე. გაიფიქრა:

– მრისხავს ჯვარცმული! ნინოს ღვთაებავ, მიხსენ ბნელიდან და ვიწამო სახელი შენი!

შემკრთალ ამზაილს მეფის ცხენი ლაგამით ეპყრა.

– აწ დაგმორჩილდე, დაგიმონო სამეფო ჩემი. დაგვიხსენი წყვდიადისაგან!

განელდა ბნელი. ნათლდებოდა ქვეყნიერება. აჩნდა მზის ყური. გადიწმიდა მნათობმა სახე. იწყო კაშკაში. შესწყდა მხეცთ დევნა. ულოცავდნენ მხცოვან მეფეს გადარჩენასა.

– ჩემ სამხილებლად დაბნელდა მზე, თუ ქვეყანაც მოიცვა ბნელმა?

– გადანთქა მზე შავმა ვეშაპმა!

– ნამდვილ!

– სამუდამოდ მოიცავდა ქვეყანას ბნელი, თუ ამირანს ლასტი არ ჩაედგა გველაშაპისთვის: გასწო წნელი მზემ და გამობრწყინდა!

– არმაზს მივმართე, უფრო დაბნელდა; ვევედრე ქრისტეს და გაგვითენა! – წარსთქვა მეფემ დაფიქრებულმა.

46

დიდი მღელვარება გამოიწვია მზის დაბნელებამ. შეშინდა ხალხი. არმაზის წყრომას მიაწერდნენ ამ მოვლენასა.

– ეწყინა დიდს ღმერთს უცხო ქადაგის შემოშვება იმის საყმოში.

– მისთვის ჩააქრო მზის ანთება თვის პირის ქარით.

– სინანული!

– შესაწირავი!

– უარყოფა უცხო სჯულისა!

– განიდევნონ ქვეყნიდან ქრისტეს ქადაგნი!

– მეფე ბატონი!

– სად არის მეფე?

– თუ დაემართა უბედობა მას უღრან ტყეში?

კაცნი აფრინეს. თვით გაბრძანდა დედოფალი შესაგებებლად. მოსდევდა ხალხი, მანდილოსნობა. ხვარამზე თრთოდა გაფითრებული.

– მამი! ამზ... თუ დაიღუპნენ? განრისხებულა არმაზი დიდი! მეცა ვსცოდე იმის წინაშე...

გასცდნენ ხიდს. დაადგნენ გზას. მოეგებათ კაცი.

– მშვიდობით ბრძანდება მეფე! ყველანიც.

– მობრძანდებიან.

– ეჰა, გადმოჩნდნენ!

– მაინც ხიფათი შეჰმთხვევია ბატონ მირიანს, – იტყოდნენ ჩუმად.

– ამზაილს ძლივს გადურჩენია.

დაახლოვდნენ. ჩამოხდნენ: გაიგეს, დედოფალი ბრძანდებაო. ეთაყვანნენ. მიულოცეს გადარჩენა, მეფის მშვიდობა. ცხენით ფოცხვერი ნანადირევი. ჩამობდღვნილი სახელო მეფის.

– ნადირობისას უბედობა შეგმთხვევია, ჩემო მეუფევ!

– არც ხელმწიფეა უზრუნველი განსაცდელისგან, – ბრძანა მირიანმა.

უამბო, როგორ შეეფეთა იშვიათი ნადირი.

– ამზაილმა გადამარჩინა.

– შვილო ამზაილ!

წარუდგა ჭაბუკი დედოფალს.

– გადაგირჩენია მეფე განსაცდელს!

მიიზიდა, დაჰკოცნა ვაჟი.

– ვაშა დედოფალს!

– ვაშა ხალხის დედას!

– გაუმარჯოს ჩვენს ხელმწიფეს, ბატონ მირიანს!

ფეხით გაემართნენ სასახლისაკენ. ხალხი თანდათან გროვდებოდა. ამზაილი აღარ მოიშორა დედოფალმა. მარჯვნივ ხვარამზე მისდევდა დედას; ჟამითჟამად შეხედავდა, გაუღიმებდა. მწვავე ცეცხლი ეგზნებოდა ცისფერ თვალებში. ქალწულის თვალნი დიდროვანნი ელვას ესროდნენ.

ბრძანა მეფემ დიდი ზეიმი.

– მსურს ხალხმაც ჩემთან ინადიმოს, იმხიარულოს!

ზეიმობდნენ აღტაცებულნი. მიბრძანდა მეფე მწყალობელი ხალხთა სუფრაზედ.

მხიარულობდა მეფე. თავიდანვე დაფიქრება ეტყობოდა: კაეშანი რამ აჰყოლოდა. დადგა ჟამი, ივსო თასი არმაზ ბრწყინვალის სამადლობელად. შეიმაღლა მეფემ სასმისი:

– გვაქვს არმაზისგან ნიჭებული მადლი მრავალი. ვმადლობთ ბრწყინვალეს მოწყალებისთვის. ერთი განცდა მაინც მაწუხებს და...

– გვიბრძანე, მეფევ!

– მყის შეგისრულოთ ყოვლი სურვილი!

– მაგრამ, ჩემო თავდადებულნო, ეს ჩემი დარდი ღმერთთ შეეხებათ; კაცნი უძლურვართ: რომ დამიბნელდა, შეევეედრე არმაზს დიდებულს და არ მისმინა; მივმართე ჯვარცმულს და მომფინა მყისვე ნათელი!

სდუმდა კრებული. რაიმეს თქმა არ იქნებოდა: ხადილზედ ისხდნენ არმაზისნი, ძველისძველ ხატთა მოსავნი, მორწმუნენი ჯვარცმულ ქრისტესი. სახლთუხუცესმა მოახერხა მარჯვედ წარმოთქმა:

– შევსწიროთ მადლი არმაზ ბრწყინვალეს, სხვა დიდ ღმერთებსაც: მათ დაგვიხსნეს განსაცდელისგან!

– დიდ არს არმაზი!

– ციშუბ-თარ-ხუჯი და მისი ცალი ითრუშანი, ქართველთა დედა!

– ბრწყინვალებით მომავალი ღმერთი იესო!

47

დედოფალი შვილივით უყურებდა ამზაილს, რაც მან გადაარჩინა მეფე განსაცდელს. არ გაიმართებოდა ნადიმი, მზეჭაბუკი არ ყოფილიყო. ქალ-ვაჟი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ვერ ხერხდებოდა განცალკევება, გულის გადაშლა: ჩვეულება არ აძლევდა ამის ნებას. გაშლილი იყო იმათ შორის უსიტყვო სიტყვა სიყვარულისა.

ბედნიერი დრო ვაჟკაცისათვის; თან ძნელი ჟამი საბედისწერო. სიყვარულის აცეცხლება ზედიზედ ნახვით, განმრავლება უიმედო იმედებისა; მათ შუა მზღვარის გადიდება, უფსკრულად ჩენა. შორეული თანაგრძნობა წმინდა ქალწულის; მეფეთა შვილნი მთხოვნელებად მირიანის კარს. ევსებოდა ბოღმით გული ნაღველნაჭარბევს.

– მთლად დავემონე ჩემს ბედს საბრალოს! ვეტრფი ჩემს ვარსკვლავს ჩემგან შორეულს. მინათებს ხანხან იმედთა შუქი; ვძრწი უფრო ხშირად, შიშით ვილევი.

– რა გაშინებს, ვაჟო ლომგულო, რას შეუდრკები?!

– თუ იწყინოს გამჟღავნება ჩემის გულისთქმის, თავხედობად მიიჩნიოს და...

– უარი გყოს, გაგრისხოს თვისგან?

– სიკვდილი ჩემთვის!

– შიშობ მოსპობას! უიმისოდ სიცოცხლე შენი არ ყოფნაზედ ძნელი არ არის?!

– ჰაი, ჰაი ძნელი იქნება!

– რაღასა ჰკრთები?! ბრძოლა! ომში სიკვდილი სჯობს ჭაბუკისთვის ქვეყნად ყოფნას ოხვრით, უდებად.

ამ ხმამ გაამხნევა ვაჟკაცი და დაასკვნა გადაედგა მკვეთრი ნაბიჯი.

– შევალ, ვეტყვი იმ ჩემს სათქმელს მეფე-დედოფალს: ან სიკვდილი, ან სიცოცხლე გადამიწყდება!

მაინც მსჯელობდა: ბუნდადა გრძნობდა გზის უფერობას. გამარჯვება ვერ შესაძლო ამ სადინელით! უსათუოდ უარს ჰყოფდნენ მის შეღირებას.

– შესაძლოა, არ გამირისხდნენ. სანუგეშოს ვერრას მეტყვიან. ენდომებათ თვის ქალთამზე უფლისწულისთვის. რად მომცემს ქალს მე, თავის ქვეშევრდომს?!

აწვდიდა ფიქრი ამგვარ ჰაზრებს, მუხლს უდუნებდა. მაინც იცოდა, გადასდგამდა საშინელ ნაბიჯს:

ადრეც სმენოდა ხატაველთ მეფეს ხვარამზეს ქება. კვლავ გაეგო დიდი ქება ფეროზის კარსა. მოუვიდა შემოთვლილობა: შვილისთვის ეთხოვნა ქალი. წიგნში ეწერა, სასიძო თვით გეახლებაო. დასახვედრად ემზადებოდნენ; დაყოვნება არ ეგებოდა.

– ხვალვე მივმართავ ქალსაც, მეფესაც. ხატაველი... ვერ იხილოს ხატაველმა ბედნიერება!

გაიგო ხვარამზემ ყოველივე. ისიც იცოდა, მამაც და დედაც დასტურს დართამდნენ უცხოდან მოსულს. არ ჰსურდა იგი!

– არ მოქმედობს ამზაილი! თუ შიშობს ჩემგან.

თვით ამოქმედდა. გაენდო მოხუც შიმუნვარს, გაუმჟღავნა თვის ძნელი გრძნობა და უბრძანა საიდუმლოდ მოეყვანა მასთან ამზაილ.

– ეგ სურვილი ხატმა გაგონა! მზეჭაბუკი იგვემება შენდამი ტრფობით. ბევრჯერ მინახავს უჟამო ჟამს წალკოტში თუ შენ სადგომს ახლო. შემდგარია ავ გუნებაზედ. მთლად განმარტოვდა. თავის თავს ეტყვის, რასმე აიტეხს!

– რად არ მაცნობე? ვაჰთუ ავი წაჰკიდებია!

– ვერ შემოგბედე. თვალს ვადევნებდი. შენს სიყვარულს აუხდია მისთვის გონება.

– აცნობე ეხლავ!

– აგისრულებ სურვილს, ლამაზო! შეგვედრი მხოლოდ: მრისხანებით გულს ნუ გაუპობ, ნუ შეასმევ მწარე სასმელს უიმედობის!

48

უმთვარო ღამე. ვახშამი აალაგეს ბაბეგის სახლში. ამზაილი უმადოდ სჩანდა: ახლიჩა ლუკმა, მწარე ეჩვენა მგბარი საჭმელი. ადგა. ხმალი შემოირტყა. უბრძანა, გრიგალი შეეკაზმათ.

– ვერ ივახშმა ამზაილმა, შეუძლოდ თუა, – წარმოსთქვა დედამ.

– არეულია. კაეშანი მოსწოლია საფიქრებელი.

– რა აწუხებს სიყრმით სავსე ბედნიერ ვაჟკაცს?!

– გუმანი მაქვს მიტანილი, დარწმუნებით მაინც არ ვიცი. ჩათხრობილი იარება მთელი დღე-ღამე. არც ტოლ-სწორშია. ერიდება კრებულს, ყრილობას, – მიუგო ქმარმა

და სდუმდა. მეტის თქმა ჯერ არ შეეძლო ბაბეგს ჯალაბში: მის ეჭვს ბურჯი არ უჩანდა გამამტკიცები და შესაძლო იყო წასცდენოდა სიტყვა ამაო ღვთაების მსახურს.

მოართვეს ჰუნე.

– ისევ წაიყვა, გადავიფიქრე!

გატრიალდა მეჯინიბე გაკვირვებული. გაემართა ამზაილი თავის კოშკისკენ. მოისმა ღრინვა, აყეფდა ძაღლი. ახმაურდა კარის დარაჯი. ამზაილი სმენად გარდიქცა.

– ბატონო ამზაილ!

– ვინ არის?

– ცხენოსანი! – გადმოსცა წიგნი და მიეფარა.

გახსნა უსტარი. გაჰყურებდა გაშტერებული. სწერდა ხვარამზე მხოლოდ ორ სიტყვას: მეახელ ეხლავ! მეტად აღელდა: ეგონა, ქალს გასაჭირი წაეკიდაო. უნდოდა გადაეძახნა, ცხენი ისევ მოერთმია მეჯინიბეს; ალღომ ამცნო, თავს დასწყნარებოდა. ჩამოვიდა. მეკარე დაჰხვდა.

– წადი შენს ადგილს! ჯარში გაჩენილა საქმე.

თავლისკენ გაემართა ამზაილ. მოეხადნათ ცხენისთვის შეკაზმულობა.

– აღკაზმე მსწრაფლად!

ჯაჭვი საკურტაკე, მსუბუქი ჩაბალახი. ხმალი. შეჯდა. ბანაკისკენ მიმართა ჰუნე. სასახლისკენ შემობრუნდა უგზო სავალით. მიეახლა. შეიპყრო შიშმა. უცემდა გული. მოშორებით დაჰხვდა მონა; ცხენი ჩამოართვა. ჭისშკართან თითონ დედაბერი. აახლა ქალსა. მიეახლა. ეთაყვანა. ტახტზე იჯდა. ანიშნა დამჯდარიყო.

– მიბრძანე, მზეო!

ქალს ფერი მისდ-მოსდიოდა: მეტად ღელავდა.

– ვიცი, გიყვარვარ!

სიტყვა შეაშრა ვაჟს აღტყინებულს.

– ამისრულებ სათხოვარს!

– უშენოდ ყოფნა ვეღარ შემიძლავს!

– სასძლოდ უნდივარ ხატაველთ მეფეს თავის შვილისთვის. წამოსულა თვით ჭაბუკი ჩემ სანახავად. მას ვერ გავყვები! მშობლებს იგი ჰსურთ: ფეროზს უქია ადარბადაგნელს. მეფის ნების უარყოფა არ შეიძლება. დამიმტკიცო სიყვარული, მისთვის გიწოდე!

– სიცოცხლევ ჩემო! – მუხლზედ დაეცა, დაუკოცნა ქალს კაბის კალთა.

– ადეგ!

– გზაშივ მოვკლა იგი ჭაბუკი!

– ჩვენ სამზღვრებშია. სტუმარს ხელი არ შეეხების!

– გაგიტაცებ, ჩემო სულის დგმავ!

– სირცხვილად ჩასთვლის სახელმწიფო, არ გაბოგინებს!

– მაშ...

– კმარა ამჟამად! ვიფიქროთ მერმე. შევთხოვ იესოს, შთაგვაგონოს, როგორ მოვიქცეთ: სიყვარულის ღმერთიაო ის, სიყვარული თითონ არისო.

– ჰო?! მებრძოლ არმაზს შეუვრდები, წარმიმართავს გზას სავაჟკაცოს!

– მოგიხმობ, მოხვალ.

– დამწვავს შენი სიყვარული, სანამდის გნახავ!

ბარბაცით გამოვიდა. თუ დამთვრალიყო. დაჰხვდა მიმყვანი. გარდაჰკოცნა შეუგნებლად მან დედაბერი.

– აი შვილო, სასყიდელი!.. ქისა ოქრო ჩალად არ მიღირს.

მოვიდა ხატაველი მირიანის კარს. დიდი ამალა მოჰყვა ოქრო-ვერცხლში ჩამჯდარი. გზაშიაც ფარჩა სცმოდა ძვირფასი. მეტად განაზებული ჩანდა: ფუფუნებით თუ აღეზარდათ. სასალი კაცი წაყვითანო; ვიწრო შუბლი; მიბნედილი თვალები. ისე ეჭირა თავი, თითქო უკვე დასტური აქვსო მიღებული. გარდირია, რომ ნახა ქალი. აგრძნობინეს, დახანება სჭირიაო, მოფიქრება აუცილებელი. სხვა ბატონიშვილებიც თხოულობენ, პონტოელიც გზაზედ არისო; არჩევანი არც ისე ადვილიაო. ნაწყენი სჩანდა. მაინც იცოდა. რა ღონე ჰქონდა?!

49

ტირისკონის თვე. მაინც ცხელოდა. გვალვიანმა შემოდგომამ ნამი არ მოსცა. დაფქვილული გზატკეცილი. ბუქად სდგას მტვერი. უახლოვდა არმაზის კარს მგზავრი საკვირი: ჩაჩქანში იჯდა; მუზარადის ისარი ჩამოეშვა. ხმალ-ხანჯალი, შვილდ-ისარი, გურზი თუ ლახტი, ჰოროლ-კინენი. ხელჯაგები წვრილთვალისა. რაში მაღალი, მკერდიანი, თითქო უმუცლო, კისერ რკალული. ძარღვიანი ნაგებობა ძლიერებას გაამჟღავნებდა.

მხედარი შესაფერი: ხმელ-ხმელი, ერთობ დიდი, წვერ-ულვაშ ახალ შლილი. შინაყმა მოსდევდა ცხენით. ღვედით ეჭირა სხვა ზერდაგი საკვირველი ბარგით ტვირთული: შუბები, ხმლები, ფარები, ჩაფხუტები, ისარ-მშვილდები. შერჩეული იარაღი! ყმას მხარ-იღლივ საყვირი ჰქონდა. ქალაქის კარს რომ უახლოვდა, შედგა, ჩამოხდა. გასინჯა ცხენის შეკაზმულობა, თავისი იარაღი. შეჯდა. მიუბრუნდა თანამგზავრს:

– დაუკარ!

გაისმა ბუკის ხმა. გამოვიდნენ, შეეგებნენ კარის მცველები.

– ვინა ბრძანდებით?

– თურანელი მფლობელის ძე თქვენ ხელმწიფესთან მიმავალი. თუ ვის არ სჯერა, ხმლით ჩავაჭდევ ჭეშმარიტებას!

აფრინეს კაცი სასახლეში. შეიწვიეს. როდი დაიძრა.

– მომეგებნენ სასახლიდანა!

მიიჭრა ამზაილ. მოიკითხა. შეიპატიჟა. არ გაჰყვა.

– დიდებული და მაინც მონა. თვით ხელმწიფე ან მისი შვილი!

გამობრძანდა ბატონი რევი. მიესალმა. შეიწვია. დინჯის ნაბიჯით მიდიოდა მასპინძლის გვერდზედ. მის პატივისა თუ ნდობის აღსანიშნავად ჩაფხუტის ისარი აეწივნა, საბუხრები წაეყარნა, სარტყელში ჰქონდა. მშრალი ხელები. თათნი ლომისა. სასახლეში მიეგება მეფე მოხუცი, გარდაჰკოცნა როგორც რომ შვილი. უჩემეს ბინა. აჩვენეს აბანო. მიართვეს სახელმწიფო ტალავარი. მძიმე ხმალი არ მოიშორა.

მიიღო ზეიმი. დიდ დარბაზში ორპირად ისხდნენ: ერთ მხარეს ვაჟნი, მეორეს – ქალნი. შუაში ორფერი ფარჩის ალაფარდა შერხევაზედ წითელ-მწვანედ იფერებოდა. კრეტსაბმელი გაპობილი იყო შუაზედ, ოქროს ეჟვნებით ჩაღილული. მირიანის მარჯვნივ იჯდა თურანელი, მარცხნივ – ხატაველი ოქროთი და სპეკალით ალაპლაპებულ ტანისამოსში.

მოვიდა ჟამი და თამადამ აამაღლა თასი დედოფლის სადღეგრძელოდ. მსწრაფლ ჩაიხსნა კრეტსაბმელი და გადიწია. აჩნდნენ დედოფალი, ხვარამზე, სეფექალნი. მწყაზარ ლოყებზედ ვარდი უყვავოდა ხვარამზეს.

– ქალი ხვარამზე!

– დახეთ, ქალთამზე!

წამოდგა ფეხზე თურანელი უზარმაზარი. დაიგრგვინა:

– უმშვენიერესი ქალი არის ხვარამზე მრთელ ქვეყანაზედ! ვისაც არ სჯერა, ხმლით დავარწმუნო.

მიავლ-მოავლო თვალი ვაჟკაცებს და ხატაველზედ შეაჩერა ხედვის სხივები. უფლისწული ღვინოს სრუტდა ოქროს ფიალით.

მოზომილად სჭამდა თურანელი. სასმელს არ სვამდა. მხოლოდ თასი გამოცალა უსუნთქებელად.

– მეტი არ შეიძლება: ჭაბუკობის აღთქმა მაქვს დადებული.

უნდოდათ აელაპარაკებინათ. ჰკითხეს მგზავრობის ამბავი. ყოფილიყო მარავში, ავღანში, ბელუჯისტანს; გადმოევლო სპარსეთზედ, ადარბადაგანზედ.

– ვიბრძოდი ყველგან ბუმბერაზებთან. ნიშნად ჩემის გამარჯვების იარაღს ვხსნიდი. ჩემს სიტყვას ადასტურებს თან მოტანილი მათი საჭურველი. ვისაც არ სჯერა, დავარწმუნო იგი ჩემის ხმლით! – წარსთქვა და მიხედ-მოხედა ვაჟკაცებს. თვალი ისევ მოსულ უფლისწულზედ შეაჩერა.

მიბრუნდა მეფისკენ.

– მზეთუნახავი გყოლია, რაინდნი იქნებიან მისთვის მოსულნი. ქალი ჩემია! ასპარეზმა ჰქმნას სამართალი!

უბრძანა მეფემ:

– მოვიფიქრებ. შენს უკეთეს ვეღასა ვპოვებ?!

განმარტა ვაზირმა:

– ბატონიშვილო! ჩვენში წესია, ქალსაცა ვკითხოთ. მებრძოლნიც მოვლენ და სცდიან ბედსა. გამმარჯვე ღმერთია. ეხლა ზრუნვა გადვიყაროთ, ვიმხიარულოთ.

ვაჟმა ხმა არ გასცა. ჯავრზედ მოსულმა ვერცხლის საინი დაახვია, ეტრატივით მიჭმუჭნ-მოჭმუჭნა. განახლდა სუფრა. ბუმბერაზი არ იღებდა მონაწილეობას.

– ნუთუ არ იცის ზეიმის წესი?!

– შესაძლო არის: ეტყობა, სულ გარე-გარე დადის, შემთხვევებს ეძებს ღონის საჩენად.

დათავდა სმეულობა. მიაცილეს თურანელი თავის ბინაზედ.

– შეამზადეთ ასპარეზი: ხვალ ბრძოლად მოვალ!

– სურვილი შენი ასრულდების, ბატონიშვილო!

50

ძნელ ყოფაში ჩააყენა თურანელმა სამეფო კარი. არშებრძოლება არ იქნებოდა: სირცხვილად დაედებოდა ქართველობას. ბრძოლას ვინ გაუსწორებდა ამ დევის ნაგლეჯს?! აფრინეს კაცნი განთქმულ გმირებთან.

ჯერ ახლად იყო მზე ამოსული. გამოვიდა თურანელი რაშზედ გამჯდარი. მოჰვლო ასპარეზს. დაჰბერა საყვირს მისმა შინაყმამ: საბრძოლველად გმირებს ითხოვდა. სამჯერ ხანდაზმით გამეორდა ნარა, ხმაური. ვერა ნახა მოპირდაპირე და გატრიალდა.

– რას ჰნიშნავს ესა?

– სამ დღეს გაიმეორებს ბუმბერაზთა ბრძოლაში წვევას. თუ პასუხი ვერ გავეცით, გამარჯვებულად ჩასთვლის თავს: მოითხოვს თავის თავხედურ სურვილის აღსრულებას და მაშინ...

– მოგვინდება მაგისი მოკვლა.

– არ შეიძლება!

წარსდგა ამზაილ. განაცხადა ბრძოლის სურვილი. მეფემაც, სხვებმაც შორს დაიჭირეს: მსხვერპლად განწირვა იქნებაო ნორჩი სიცოცხლის. მოდგა მეფის კარს ჭორმეშიონი. მძლავრი მებრძოლი გამოცდილი. თუ ვინმე გაუსწორებდა ხმალს იმ თავწასულს, მხოლოდ აბიკა. ძნელი ეს იყო: შუახნის კაცი ისეთ სიმარდეს ვეღარ გაშლიდა, როგორც ჭაბუკი მოპირდაპირე, თითონაც ეფიქრნა ამაზედ ნაწრთობს; სხვა გზა არ იყო.

გამოვიდა მებრძოლი მეორე დღეს. მოვლო მეიდანს. ახმაურდა საყვირი. ხალხით სავსე იყო ასპარეზი. გაჰყვა თურანელს ჭორმეშიონი. მკვიდრი წრე შემოავლეს საომარ ადგილს. მეფე და მისნი დიდებულნი გაბრძანდნენ მზერად. ქალნიც მოსჩანდნენ კოშკის სარკმლებში. შეავედრეს განწირული აბიკა არმაზს. ანიშნა მეფემ. დაიწყო ბრძოლა.

მეტად ფრთხილობდა ჭორმეშიონი. ფარი ეჭირა საუკეთესო. ძალას ატანდა. გასტანა ომმა. სწყინდა თურანელს და ღელდებოდა. ხმალი ვერასგზით მიუყენა ჭორმეშიონმა. ლახტს არ იღებდა: ამ იარაღში დასძალავდა აბიკას უცხო.

ამზაილი დაჟინებით ზვერავდა ბრძოლას. უებრო იყო თურანელი და საშიშარი. მოიმძიმებდა ოდნავ ტაიჭი.

შეახო ხმალი თურანელმა. ამოხეთქა სისხლმა ბეჭიდან. გადგა უკან გამარჯვებული. დაუშვა ხმალი. გაიყვანეს დაჭრილი წრიდან.

გადმოხტა თურანელი. გაუსინჯა თავის ჰუნეს შეკაზმულობა. გადაავლო თვალი იარაღს. შეჯდა. კვლავ საყვირის ხმა. კვლავ სწადდა ომი. ჩამოვარდა სიჩუმე. ბრძოლა გათავებული ეგონათ, წაგებული. გამოჩნდა შეიარაღებული ამზაილ. გრიგალზედ იჯდა. ცხენს ჯავშანი არ ფარავდა. მოიცვა შიშმა იქ მყოფები, შეშფოთდნენ მეტად.

– როგორ შესძლებს ამასთან ბრძოლას?!

– თავხედობაა ამასთან შებმა!

– ურჩობა არის: არ ასრულებს მეფის ბრძანებას.

ქალებს შიშით მუხლი მოეჭრათ. ხვარამზემ ხელნი ჩამოისვა ჩამოსაკრავად. ბუმბერაზმა იცნო ჭაბუკი, წამოვიდა მისკენ ღიმილით. ამზაილმა დეზი ჰკრა თვის ცხენს, ისეც მღელვარე სულ გადარია. კინენთ ძგერებით დაიწყო ომი. ხმალზედ გადვიდნენ. ამზაილი ცხენს მოაგდებდა, უკუ აფრენდა. დაქნეულ ხმალს ერიდებოდა. ფარების კეპით ხმლებს ფხა შეაცვდათ. იშიშვლეს დაშნა. საშინელი იარაღი თურანელისა. ამზაილს ბრძოლის ჰაზრი გრიგალის წინა-უკმო ხტომაზედ დაემყარებინა. ბუმბერაზმა დასჭექა მედგრად, მძიმე დაშნა დასაკაფად მძლავრად დაუშვა. უკუაფრინა ამზაილ ჰუნე. წვერითღა მოჰხვდა დაშნა მის ფარს, ჩასხლტა მიწამდინ. ამზაილმა აძგერა რაშს თავისი ცხენი და შეარყია. დაიხარა ბუმბერაზი უნაგირიდან. შეიმაღლა ამზაილმა დაშნა ელვარე. და შეაყენა ხელი ჰაერში. თუ დაეკრა, ჩაჰკაფავდა ჩაფხუტის ფარდას. შენიშნა ეს მოპირდაპირემ და... დახარა იარაღი, უკუდგა მცირედ; მახვილი ტარით მოაწოდა გამარჯვებულსა. არ ჩამოართვა ჭაბუკმა ხმალი. გადგა თითონაც, ხალხმა შვებით ამოისუნთქა.

არ აიმაღლეს ხმა გამარჯვების. მეომარნი გააცალკევეს. ის უკვირდათ, არ ღელავდა დამარცხებული. ჩამოხდა, დაათვალიერა თავისი რაში.

– მეგონა თუ დაჭრილია, მისთვის შეირყა, – წარსთქვა თავის წინ და დასცა ტაიჭს მახვილი მკერდში. გასწია დინჯად თვის სავანისკენ. მოართვეს მალე ხელმწიფის რაში, აბგარ-აბჯარი. შებრძანდა რევი და გადასცა მეფის თხოვნა, მიეღო ზღვენი. გამოვიდა. დაჰკრა რაშს თვალი. შეჯდა, გასწორდა: თუ მოეწონა. სხვა ბეგთარში ჩამჯდარიყო, ალბათ ნადავლში. გზად გაემართა. გაჰყვა შინაყმა. ხმა არვის გასცა. თვის საჭურველი გაეშვა დავლად ამზაილისთვის.

51

გაიმარჯვა კეისარმა სპარსეთის შაჰზედ, ვერ კი მოსპო მისი ლაშქარი. თუ შაბურს არ გადაესწრო, საფრთხეში იყო მთელი სპარსეთი. მოსახვეჭი მაინც მობოჭა: შეიძინა ადგილები სპარსეთისაგან. აწ მირიანის სამფლობელო ჰქონდა მიზანში.

– მემორჩილოს საქართველო, ვით ჰაისტანი! მიიღოს მან უყოვნებლად ახალი სჯული!

ბრძანა შეემზადებინათ საქართველოს გასაგზავნად მღვდელნი, საეკლესიო წიგნები, ხუროთმოძღვარნი, კალატოზები. მისცა ოქრო. გაატანა ჯარი.

– კვალი ჩვენი მფლობელობის სატახტომდინ საქართველოსი!

– არჩეულ იქმნას გზა-გზა დასაყრდნობი ადგილები! აშენდეს ყველგან ციხე-კოშკები! ჩადგნენ ყველგან მღვდელნი და მცველნი!

ამ ჯგუფს უძღოდა იოანე ეპისკოპოსი. დააშენეს ციხე-საყდრები შავშეთს, ერუშეთს, ჯავახეთში, მანგლისში. დასტოვეს ყველგან ქრისტიანული რამ სიწმიდე: ქრისტეს სამსჭვალნი, ჯვარისა თუ წამებულთა წმიდა ნაწილნი; ჩაუყენეს მღვდელები, რაზმები. მიუპყრეს მცხოვრებთ მარცხენით ოქრო, მარჯვენით ხრმალი. მოახწიეს თვით მცხეთამდისინ. აქ უკვე ჰყვანდათ ქადაგნიც, მღვდელნიც.

იცოდა მეფემ მათი შემოსვლა. თვალს ადევნებდა მათ მტრულ ქმედობას. უძლური იყო და სდუმდა იგი. როცა წარუდგნენ სატახტოში დამმონებელნი, ის ღა შეჰკადრა უღონო ქმნილმა:

– გზა-გზა დასტოვეთ სიწმიდენი ქრისტიანული. გასძარცვეთ ამით სატახტო ჩემი. აწ დიდ მცხეთას დაუსწორდნენ ის სავანენი!

უნუგეშო მისცეს ნუგეში:

– ქრისტეს სჯულის თესლსა ვთესდით გზა-გზა აქამდის. დიდს ნაყოფს მოგცემს იგი შემდეგში. დედაქალაქში გიმარხია იესოს ნაშთი უძვირფასესი: კვართი მისი სასწაულთმქმედი.

რა სიტყვა ჰქონდა მეფეს ამ თქმაზედ? ან მებრძოლ არმაზს უნდა მიჰყრდნობოდა მახვილით ხელში, ან ეტვირთა ქრისტეს ჯვარი და მისცემოდა ბიზანტიას, იესოს მფარველს.

– შესრულებია მებრძოლ არმაზს ჟამთ სიმრავლე ბედისაგან მისთვის მითვლილი! ჯერ ისევ ბრწყინავს; გარეგანია მის შუქთმფენლობა: ძლეულია დიდი სპარსეთი, მისი მონა და მისი ღონე!

გაჰხედა არმაზს. ელვარებდა მზის სხივებით შემოქარგული. დაენანა ღმერთი ლამაზი. იგრძნო კვალად შიში განგებისგან განწირულისა.

– შემინდე, ღმერთო! უბრალო კაცი მომაკვდავი როგორ შევსძლებ შევებრძოლო თვით ბედისწერას?!

დღეობითღა ითვლებოდა მეფის ყოყმანი. უნდა მიეღო სჯული ახალი, უარეყო კერპი არმაზი; ან დაჰკარგავდა სამფლობელოს და მისხითმისხივ მოისპობოდა.

– არ იცისო კეისარმა კაცის დანდობა: თურმე მოსპო მთელი თვისი საგვარეულო. ჩვენ რად დაგვინდობს?! ჩვენი ძალა მას ვერ გაუძლებს. მოვისპობით, თუ საომრად მივეგებებით.

– ჭეშმარიტს იტყვი, ჩემო მეფევ, ჩემ შვილთა მამავ! აღარ ეგების უარყოფა, არ დაყოვნება. შენ ხელთ არის ბედი ჩვენი და შენის ხალხის. ნუ აატირებ მრავალ დედას ამაო ბრძოლით. საყვარელი შვილი ჩვენი შენ შემოგმზერს ტყვეობისგან შეძრწუნებული!

52

აღტაცება გამოიწვია ამზაილმა რაინდული თვისი ქცევით, გამბედაობით. მიეფარა თურანელი დამარცხებული. ამზაილი აახლეს მეფეს. ხალხით აივსო შუკა და ეზო. ბევრეული მოსჯროდა წინგარდს. ვაშას ზახილი უწევდა ზეცას. უბრძანა მეფემ:

– დაგმარცხებოდა, მაინც ისევ იქნებოდი უძვირფასესი: შეგნებულად თავის განწირვა იშვიათია.

დედოფალმაც მიულოცა ვაჟს გამარჯვება.

– შვილო ამზაილ! დღეს განმაცდევინე უკიდურესი შიში და ძლიერი აღტაცება.

– მხოლოდ მოვალეობა შევასრულე თქვენს წინაშე!

დიდად შეაქეს სხვა დიდებულთაც გამარჯვებული. ახარებდა ახალგაზრდას ქება-დიდება. მზე მაინც იქ ამოსდიოდა. სადაც იდგა ქალი ხვარამზე. აღელვებულ

ქალს სიხარული ყვავილებად ეფურჩქნებოდა სახე-თვალებში. ძლივს ახერხებდნენ ბედნიერნი გრძნობათა ფარვას.

ამზაილს რომ დღე ლამაზი გასთენებოდა, მისთვის ღამეც კაშკაშობდა სუნნელოვანი. მიართვეს წიგნი: უბრძანებდა ქალი მზე-ჭაბუკს. წამს განვლო გზა. თუ გადაფრინდა! შევლო ოთახში. ქალთა მზე თვით მოეგება, გარდაეხვია.

– ჩემო ვაჟკაცო!

– სიცოცხლევ ჩემო!

იალერსეს, იმხიარულეს. მრავალი სთქვეს უხმოდ, უსიტყვოდ. უბრძანა ქალმა ხილეული და შარბათები. შეექცეოდნენ.

– ბნელი უკუნი განმითენე! ბატონიშვილო!

– ხვარამზე შენი!... რომ შეებრძოლე იმ ხორციელ დევს, ვიგრძგენი მაშინ, როგორ მიყვარხარ!

– კიდევ მითხარი, სატრფიალოვ, სიტყვა ციური.

– რად გახვედი საბრძოლველად იმ ბნელის შვილთან? რომ მოეკალი...

– ესეთია ბრძოლის თვისება: ადამიანს იმედი აქვს სულ ბოლომდისინ.

– სძლია შენ წინ უძლეველი ჭორმეშიონი, შენ კი...

– თუ ასპარეზს არ გავსულიყავ, სირცხვილს აჭმევდა მრთელ სახელმწიფოს.

– გიჟ ცხენზედ რომ დაგინახეთ, ელდამ შეგვიპყრო: ომში როდი გამოდგებაო.

– მართალი უთქვამთ. სახიფათო ხერხს მივმართე მეტად საეჭვოს, მაგრამ სხვა ფანდი აღარა სჩანდა.

– რად არ დაუშვი მახვილი მასზედ, რად შეაკავე?

– მოჰკვეთდა თავსა! აკი მიბრძანე, სტუმართ ვნება არ ეგებისო.

– იქაც გახსოვდა ნათქვამი ჩემი?!

– თვალთ წინ მედექი!

– როგორ მიყვარხარ!

– მომეცი ფიცი, არ გაჰყვები სხვას არც ხელმწიფეს.

– გითხარ, მიყვარხარ! სიცოცხლე ჩემი შენივ სიცოცხლე, ქვეყანა შენი ჩემივ ქვეყანა, ღმერთები შენი ჩემივ ღმერთები!

– ღირსი არა ვარ, უძვირფასესო!.. არმაზ ბრწყინვალევ, ტურფა სიზმარი გარდამიქმენ ტკბილ სიცხადეთა!

– ღმერთო იესო, ზმანებად არ გარდაგვიქმნა ეს სინამდვილე!

შეირხა ფარდა, აჩნდა მხევალი.

– ვარსკვლავები ათამაშდნენ, ფრთებს შლის აისი.

განცვიფრებით შეხედეს ერთურთს. ერთი წამია, რაც შეიყარნენ. ბევრ სათქმელიდან ორიოდე ძლივსღა მოასწრეს. და განვლო ღამემ?!.. უნდა განშორდნენ: ცრიატი ბნელი ვერ დაჰფარავს მათ საიდუმლოს.

53

შეშფოთებულიყო მოგვთა უბანი. ხიდის ყურზედ ჰქონდათ სავანე. შთამომავლობით მოსდგამდათ მათ ქურუმობა. ქართველობას შესდუღებოდნენ. დიდ ხანს გაევლო მათ გადმოსვლიდან. თანასწორობდნენ ქართველებთან მიწის ტრფობაში.

სძულვითა სძულდათ დასავლეთი, სად მფლობელობდა რომი უძღები. აქათ მხრიდან მოელოდდა ირანი შავს ბედს, მასთან ერთად თვით საქართველო. ესე იტყოდნენ მათი წიგნები.

ქართველთ ხატებს შესთვისებოდნენ. აღარ არჩევდნენ ირანიდან მოსულ ღმერთთაგან. თუ დაავიწყდათ ამ ხატების სხვადასხვაობა?! იქნებ ღმერთებიც დაკავშირდნენ ერთმანეთ შორის!

ერთი მეტად ჩასჭედოდა იმათსა ხსოვნას: ქართველთა ღმერთი ციშუბ-თარ-ხუჯი და მისი ცალი ითრუშანი დიდ მტრობით იყვნენ გამსჭვალულნი არმაზისადმი. არ ეგებოდა მათ გაზავება: სისხლი ემართა არმაზს ციშუბის.

– ძველისძველი ციშუბ, ითრუშან, ან სხვა ხატები დასავლეთით მოსულ ქრისტეს შეექვსებიან?

– არა! ხალხის თვალში იქნება ისიც არმაზივით მმართველთა ღმერთი და იმფლობელებს. ქართველნი და მათნი ღმერთნი ერთნი არიან: ქართველები მიწიერნი, იგივ ქართველნი ციურნი. ვერ შეითვისებს ქართველობა ღმერთს სხვიდან მოსულს!

– მაშ ეხლა...

– ქართველთ ღმერთი ციშუბ, ითრუშან ამხედრებენ ზე ქართველთ ხატებს, ქვე თვით ქართველებს. ჟამიერად უერთდებიან ქრისტეს მოსავთ არმაზთან ბრძოლად. დიდი სიფრთხილე, თვალხმიერობა!

– ახალი სჯულის და ბიზანტიის წინააღმდეგ მხედრდებიანო.

– შესაძლო არის!.. მხოლოდ შემდეგში!.. მანგიური არ დაგავიწყდეთ!... განაგებდნენ საქართველოს მაინც ოდესმე ქართველთა ხატნი...

– არმაზსავე მოანატრებს ღმერთი ჯვარცმული! ჯვარზედ აცვავს მათ დიდ ნდომას, დაჰფლავს მიწაში...

– მაინც აღსდგება ჟამთა სვლაში მათი სურვილი! ათასი წელი განგების წინ, ვითა დღე ერთი!

– ქურუმთ უფროსი სასომიხდილი?!

– მე ის მინდა აგიხატოთ: განსაცდელში ვიმყოფებით დიდი არმაზი და მის მსახურნი. ბრძოლა მოგველის ულმობელი. საჭიროა მსწრაფლ მომზადება!

– მირიანი...

– იძულებულია მიემხროს მოსულთ: გმობა არმაზის, ან მოსპობა თვითონ მეფისა, მისის ჯილაგის! მისმინეთ! გადავარჩინოთ, ხელთ გვექნება რის გადარჩენაც; დავიფაროთ განსაცდელისგან, ვის დაფარვა შესაძლო არი!

– აუცილებელია ქუფრი მომავალი?

– მსწრაფლ ასრულდების ბედის ბრძანება!

– მაშ...

– უნდა დავფლათ საგანძური დიდის არმაზის და მასთან ჩვენი. ამ მთის გულში დაიმარხოს ყოვლი ფიქალი თუ ლითონი უძვირფასესი, ღმერთთ სახებანი ფასდაუდები.

– იციან ეს სარდაფები და გვირაბები.

– არა! ყველამ არ იცის ჩვენთაგანმაც ქვედა ჯურღმულნი. ვერ მიაგნებენ!

– ნაფიქრია, მოსაზრებული! დავკრძალოთ იქვე წიგნთა სიმრავლე: ძველნი ეტრატნი; ფირფიტებზედ ნაწერ-ნახატნი; ნებროთის წიგნი...

– მაგას კარგს იტყვი: არ დაინდობენ ძველ რჯულის წიგნთ ქრისტეს ქადაგნი.

54

საკვირველად ამოძრავდა არმაზის ყუდე! მიდმოდიოდნენ მთის მწვერვალზედ ცეცხლის ბირთვები; უცბად ჰქრებოდნენ. მეტისმეტად ანათებდნენ სიბნელეში

არმაზის თვალნი: თუ მრისხანებდა დიდებული? ისმოდა ხმები გულიდან მთისა, ირხეოდა ღამის სიწყნარე; უდროვო დროს ირღვეოდა დუმილ-ყუჩილი.

– ტყის ხმა თუ არის?

– გამოძახილი მტკვრისა, არაგვის?

– არა! იცნობს ყური მაგისთანა ხმებს. ხმა ყრუდ მოისმის, შორეულ გრგვინვად.

– ისევ ჩაბნელდა.

– გალობის ხმას ჰგავს!

– ალბათ ქურუმნი ასრულებენ ღამის ლოცვასა.

– არ უწესთ დრო მაგისთანა ღვთისმსახურებას.

– ვინ იქნებიან?

– რას მოასწავებს?!

– ადრეულობას ხომ არ გვიქადის?

– ღმერთო, გვიხსენი!

მეტადრე ერთმა ღამემ მიიქცია ხალხის ყურადღება. დაფრინავდნენ ცეცხლები არმაზის თავს. ხან ქალაქისკენ გადმოდიოდნენ, გზაზედ ტყვრებოდნენ, სხივმფენ ისრებად იფანტებოდნენ; ზოგნი ზეცად ავიდოდნენ, ცის მნათობებს უერთდებოდნენ.

წინადაც ხდებოდა ამგვარი ამბები ღმერთთა საყუდარში, მაგრამ ესე დაჟინებით და მკვეთრად არასდროს. მაშინ მხოლოდ მოკრთალებას იწვევდა ხალხში და გაკვირვებას. ხატთ საიდუმლო განზრახები მოსავთ ვედრების გუნებაზე აყენებდა. ეხლა...

მაყვლიანშიც აინთო სანთლები. ქადაგი და მისიანნი გარს უვლიდნენ ეკლოვან თალარს. უძღოდა წინ იოანე ეპისკოპოსი. იქიდანაც მოისმოდა გალობის ხმები.

– ლამპრობა თუა!

– რას ამბობ, კაცო, რა დროსი არის?!

გაჰღვიძებოდა მოსახლეობას. აესინათათ. ხმაურობდნენ. ერთმანეთში მიდ-მოდიოდნენ. ჩოჩქოლი იდგა. შეკრთნენ: ეგონათ, მტერი არისო. მოახსენეს სახლთუხუცესს. უხმეს ამზაილს.

– გაგზავნეთ კაცი. მომგვარეთ აქ ქურუმთ უფროსი! წაესწრაფე, ამზაილ, რაზმით; მაცნობე ეხლავ, რა ხდება იქ!

– რაზმს სასახლეს შემოვარტყამ. მცირე ჯგუფით გავემართები, – მოახსენა ჭაბუკმა

და გატრიალდა. მოიყვანეს დიდი ქურუმი. უბრძანა, ჰკითხა, რა ხდებოდა ღმერთთა სავანს.

– ვინ მიხვდება უფლის განგებას?! მეტად ღელავს არმაზ მრისხანე. მის წილხდომილ ქართველთ შორის განმრავლდა ცოდვა. ალბად გვაუწყებს, კვლავ მივიქცეთ მის ნათელ გზაზედ.

გატყდა ღამე, მიჩუმდა მთაზე ყოველივე. ცეცხლის ბირთვნი მიმომფრენნი განქრნენ, განქარდნენ. ნინოს ბანაკში შეწყდა გალობა, ჩაქრა სინათლე. დაწყნარდა ხალხი.

არ წყნარდებოდა მხოლოდ არაგვი. ჩანჩქარებდა, ჩხრიალებდა, ლოდთ კბილით ღრღნიდა. დინჯმა მტკვარმა ვერ დააწყნარა.

– დაყუჩდი, ჩადეგ თვის სადინელში! აჩქარებულ, არეულ ხმებით, თუნდაც ქმედობით არ სრულდება საქვეყნო საქმე. დინჯი ფიქრი და ქმედობა სრულის შეგნებით! ხომ გწამს ურყევად: ღმერთნი ჩვენნი არ გასწირვენ თვის ხვედრ ქვეყანას, მიჰმადლიან საქართველოს ნათელ მომავალს!

არიგებდა უმცროს თვის ძმას დადინჯებული იმ ხანში მტკვარი, ჭკვას ასწავლიდა სხვის ომში ბრძენი. როდი ახსოვდა თვის განრისხება, როს ზვირთებით მთებს ანგრევდა, მოჰქონდა არე.

მოვიდა ამზაილ სასახლეში, მოახსენა:

– არმაზს სრული სიწყნარეა გამეფებული. საფიქრები სულ არაფერი!

– მაშ რად ხდებოდა?! ვერ იქნებოდა უმიზეზოდ, რაც ვნახეთ, გვესმა.

– მაინც ვედგები სამეფო სახლს ფხიზელ მცველადა. ჩემ უნებლიეთ ვერ გაჩნდეს აქ ცის მფრინველი, ვერც მიწის მგელი!

შეწყდა შემდეგ ხმაურობა და ცეცხლთა ფრქვევა არმაზის არეს. ჩადგა არაგვიც თავის ქერქში დაწყნარებული. ცხოვრებამ ისევ ჩვეულებრ სახე მიიღო.

55

მეტად გვალვიანი ზაფხული დადგა. ვარდობის თვიდან არ მოჟურა ჰაერმა წვეთი. ღრუბლის ფთილა არ გადმოჩნდა ცის კამარაზედ. გამოშრა მიწა, გახმა, დაიშაშრა, დასქდა. ვეღარ აწოვა მცენარეს ჟღენთი, მოიტუსა ყოველივე აღმოცენილი. ხალხი შემკრთალი შეჰღაღადებდა ღრუბელთ წინამძღოლს. კარდაკარს ატარებდა იმის სახეს სადიდებლად, ევედრებოდა:

ლაზარ მოდგა კარებსა, აბრიალებს თვალებსა.
მიდგა-მოდგა თაროსა, დაემსგავსა მთვარესა.
აღარ გვინდა გორახი, ლაშარ, მოგვე ტალახი...

არ ისმინა ბატონ ლაზარმა. უფროც განრისხდა. მიჰმართა მზესა:

– ცეცხლის თვალი დააგზნე ქვეყნად, უნანებელთ დაუგზნე ალი!

სცადეს, გული მოელბოთ ბრწყინვალე არმაზისთვის. შეჰღაღადეს, შესწირეს მსხვერპლი, შეაწყეს ხმები მის სადიდებლად. ამაოდ!

თვალთ აელვებდა, თვის მოსავთ კი არა ჰხედავდა; ყურნი ესხდნენ კეთილად ქმნილნი, ვედრებას კი არ მოისმენდა; ყნოსვა მისი დახშული იყო გუნდრუკისათვის, არ ინება გემოდ ეღო უსხი მომგბარი; არ შეიწირა დასაწველი მსხვერპლი რჩეული: არ აუშვა ცისკენ კვამლი, მიწას გაშალა.

აქადაგდა არმაზის მონა:

– განრისხებულა არმაზ ბრწყინვალე. უღირსნი გახდნენ ქართველები ჩემს წყალობასო: ღმერთნი უცხონი მოიყვანეს ჩემ საბატონოს. ქართველთ დიდება შეიმუსროს დასავლეთიდან! ფარი ჩემი არ მფარველობს მათ, ხმალი ჩემი აღარ სჭრის მათთვის!

სცადეს, მოეფინათ დამწვარ ქვეყნისთვის ძველ ღმერთთ წყალობა. დაიძრა ხალხი გუდარეხისკენ. იქ დაევანა ცის მეუფის მხცოვან მამიდას. თუ ის ქალ-ღმერთი ისურვებდა, ხალხის ნატვრა ასრულდებოდა. შეევედრნენ, შესწირეს მსხვერპლი. სცადეს მის დაძვრა ნაკურთხ კინენით. როდი შეიძრა. მეტად დაღონდნენ.

ჩახედეს უფსკრულს. ძირს ალგეთი ძლივსღა მოსჩანდა. დაჰკრეს თვალი ხევის პირზედ ამართულ ჯვარსა. მიჰხვდნენ ყველაფერს: მრისხანებდა ხატის მამიდა: სწყინდა ახალ ღმერთთა მოსვლა საქართველოში. თავის ყურით გაეგონა ძნელი სიტყვა ჯვარის ქადაგის:

– დავსცე იგი ღმერთთა მამიდა, მიწას განვართხო! აღვმართო იქ მყარი ჯვარი ქვიდგან ნაკეთი.

სცადა ნინომაც სასწაულით წვიმის მოყვანა. შეიმოსნენ მღვდელნი მოსულნი, ევედრებოდნენ. ოთხსავ კუთხივ მოასხურეს ნაკურთხი წყალი. არ გაუმარჯვდათ!

ღელავდა ნინო. მაინც ბოლო დროს ვეღარ გრძნობდა თავის თავს წყნარად. კარგად იცოდა, ახლო იყო ღმერთთ ბრძოლის ჟამი. ვერ დაუთმობდა სხვა ხატთ იესო, ვერც ვეღარ ციშუბს. ირაზმებოდნენ ქრისტეს მხედარნი. მებრძოლი ძალა მოდიოდა სხვადასხვა სახით.

ეკმეოდა საქართველოს სუნი ბრძოლისა. მრავალთათვის აღსრულების ჟამი დგებოდა.

უხილავ ღმერთთა ომი იყო განმზადებული, ციურ ბუმბერაზთ შემართება უსაშინლესი. და ნიშანნი მომავალის განსაცდელისა ყველასათვის საჩინო იყო, ვისაც ოდნავ შეჰხებოდა სული მეცანი.

ხალხი კი, თვით დუნდგო ერის, ჰხედავდა მხოლოდ არმაზობას მოახლოვებულს, იკრიფებოდა ამ ხატის კარს საქართველოს ყველა კუთხიდან.

56

ივსებოდა არმაზის მთა მლოცავთ სიმრავლით. დაჩარდახული ურმები, დაყაჯრული ცხენები. კარავთ ნაირობა. ყვავილებად რთული ქალ-რძალი. ხმაურობა უწყნარებელი. შეუწყვეტლად მოდიოდა ახლობელნი თუ შორეულნი.

დღესასწაული თან აღებ-მიცემის ადგილი იყო. გასასყიდად გამოეტანათ ჭრელ-ჭრელი ქსოვილები, თავსაბური, ფეხსამოსი სხვადასხვაგვარი, სამკაული თუ იარაღი, საციქველი. სანოვაგე გორებად იდგა. ხვადაგი ნახირ-ნახირი, ფარები ცხვრისა. დაკმაყოფილება უნდოდა მოზღვავებულ ხალხს. ხმაურობდნენ, ევაჭრებოდნენ, ყოდულობდნენ, ხან-ხან ჩხუბობდნენ. ვაჭრობა უფრო გაცვლა-გამოცვლით სწარმოებდა. უფარდებდნენ საქონელს, წილსა ჰყრიდნენ, სწონავდნენ, სწყავდნენ. ფულიცა სჩანდა; ქართული თეთრი, ოქრო სპარსული, ბიზანტიური; სკვითური თუ ხაზარული ბეწვეული ფულის სადარი.

რაც უფრო ახლოვდებოდა არმაზობა, იმდენად მეტი მლოცავი მოდიოდა. მთელი კვერნაკი, ფერდობები აყვავებული. ფერად-ფერად ალამთ სიმრავლე. თვისი დროშა ჰქონდა თვითეულ ხატს, თემს, გვარს თუ დიდებულს. შეაჟღარუნებდნენ დროშათა ეჟვნებს: ამწყალობებდნენ ხატის მოსავთ, ზღვნის მიმრთმეველთ; ღმერთის მადლს გამოითხოვდნენ მათთვის.

დილიდანვე იმართებოდა სმეულობა, დაძმობილება, ქალთა სინჯვა, ხელის დადება. მხიარულად იყო ქართველი თავის ღმერთთა კარს. მთელს წელიწადს ეყოფოდა საამბობლად ნახულ-განცდილი.

ფალავნების ცდაც მოწყობილიყო აქა-იქ. ჭიდაობდნენ, ფარიკაობდნენ, ჯირითობდნენ; ნიშანს ესროდნენ ისარს თუ ხელშუბს. წინასწარი მღერა იყო გამოსაცდელი. საბოლოვო შეჯიბრება ზედ არმაზობას მოხდებოდა.

სუფრებს ეშხს აძლევდნენ მიმომავალი მგოსნები. გაბერილი გუდა იღლიაში, ზედ მობმული სტვირი თავდახურული. დაუკარგავდნენ, დაამღერებდნენ. იქვე გამოიღებდნენ ლექსებს შესამკობს თუ მხასიათებელს. მეტად ლამაზი იყო, თუ მგოსნები შეიბმებოდნენ. მათი მწყობრი თქმა ფართოვდებოდა, ღრმავდებოდა, იჩენდა ფხასა; დამტკბარი ხმა პირადპირად ყვავილებად იფანტებოდა; ფრთაშესხმული ჭრელ პეპელად მიმოფრინავდა. მათ ხელოვნებას აღტაცებაში მოჰყვანდა მსმენი, აღუძრავდა მწყობრ თქმათა წყურვილს. ახ, არა ვსწერდი!..

ბეჩავნი, ხეიბარნი თუ ხატის მონანი არ თხოულობდნენ ამ ბედნიერ ჟამს: ყველა სუფრაზედ დათმობილი ჰქონდათ ადგილი. მივიდოდნენ, დასხდებოდნენ, შეექცეოდნენ: არმაზის მადლი მიუპყრობდა საზრდოს დღეს იმათ.

მლოცავთ სიმრავლეში თუ სხვადასხვაობაში მეტ ყურადღებას იპყრობდნენ ახალი მლოცავნი: პონტიდან იყვნენ, ზღვის პირებიდან. მოსხეპილი ვაჟკაცები! ერივნენ შიგადაშიგ რომაელნი, ბიზანტიელნი. იარაღში ისხდნენ. ერთობა ჰქონდათ ქადაგ ნინოსთან. არმაზის ქურუმთ ყურადღება მიიქციეს მათ. მიიხმო ამზაილ მამა ბაბეგმა.

– შვილო, ამზაილ! ამოდენა ხანია ვემსახურები დიდებულ არმაზს და ამდენი მლოცავი ჯერ არ მინახავს. ხატთ ადგილი ვეღარ იტევს ხალხს მოზღვავებულს.

– ვხედავ და მიკვირს. კვლავ ემატება ხალხი ყოველ წუთს.

– დამარწმუნეს, ცალ-ცალკე ჯგუფდებიანო ვაჟკაცები: ახალი სჯულის მიმდევარნი; მანგიურის გარეშამო უფრო მთიელნი. მთიელთ მსხვერპლი ცოტა მოდის არმაზის წინა.

– შევნიშნე მეც: ბევრია მათში შეიარაღებული. ჩხუბის აშლასა ცდილობენ. მზად არიან არმაზისანიც. ნუ გეფიქრება: მხედრობა ნებას არვის მისცემს შეარყიონ დღესასწაული.

– ეგრე! ისიც მითხრეს, მანგიური ცალკე ამწყალობებსო ციშუბისა, გუდანისა თუ სხვა ღმერთთა სახელით.

– მისგან მოსალოდნელია. საშიში არ უნდა იყოს: არმაზის შარავანდედმა უკვე დაჩრდილა ძველის ძველი სალოცავნი.

57

დადგა ქველთობის თვე. მოსულთ მოძრაობაში და მხიარულობაში სწრაფად განვლო ხუთმა დღემ. თენდებოდა დღესასწაული. იცოდა მზემ, თვისი საყვარელი შვილის არმაზის დღეობა იყო და მთელის ბრწყინვალებით იწყო შემოსვა. შეარხია აისის ფრთები; ვარდის ფურცლების მარაოდ გაშალა ალიონი; შეათამაშა განთიადი; ამოსცილდა მნათობი მთის ფხას და მიულოცა არმაზს თვისი დღე: სხივთა მრავლობით გადაჰკოცნა, გადაეხვია.

გაახარა არმაზ დიდებული მზის თბილ ალერსმა, ტკბილად აღელვა, სხივთ ბუნჯგლები გაუმრავლა მთელ არსებაში, აალაპლაპა. ლამაზი იყო ღვთაებური მათი ალერსი!

ამოეფინნენ ხრახნილი გზით ღმერთთა მსახურნი. უთვალავი ხალხი მოსდევდა. მთავარქურუმი წინ ვიდოდა ყავარჯნით ხელში. თეთრი ფარჩის კვართი ეცვა, ფერხთა სწვდებოდა, ვერცხლის ბაბთები; ღილნიც ვერცხლისა. თეთრივ სარტყელი თითქმის მკერდზედ მარგალიტით უხვად ფრქვეული. მას ზევიდან მუხლებამდინ სამოსელი ფირუზის ფერი; საყელო ღრმად ამოჭრილი; მოკლე სახელოები; წინ მთლიანი, გვერდებში ღია; მოკაზმული მსხვილი ფირუზით; ეჟვნებიანი. ბრტყელი ოლარი მეწამული ოქროს ბაბთებით; ყელზედ იყო შემოგრაგნილი; ერთი მხარე ბეჭს ჩაჰფენოდა, მეორე – მკერდსა. ფეხსაცმელი სპეკალშეყრილი. თავს უმშვენებდა ოქროს გვირგვინი მომაღლო; გარს ორპირად ძვირფას თვალთაგან შეთხზილი ყვავილები.

ქურუმნი ბაბეგს ხელს აღუპყრობდნენ, სვლას უმტკიცებდნენ. წინ სამღთო დროშა ფრთოვან მზიანი. ჟამითჟამად შეირხეოდა, ჟღრიალებდა ეჟვანმრავალი. მისდევდნენ მწყობრად ქურუმები, ქადაგები, ხუცნი, მყუდელნი. ყველა

სადღესასწაულო ბრწყინვალე შესამოსელში. მიუძღოდნენ მოსაკრავენი, მგალობლები ცისფერ კვართებში. უკრავდნენ საკრავთ, ჰიმნებს გალობდნენ. უთვალავი ხალხი მისდევდა. გალობის ხმას აზვირთებდა მლოცავების ღიღინ-გუგუნი.

შესდგა მსვლელობა არმაზის წინ. მუხლმოდრეკით ეთაყვანნენ ქურუმნი, ხალხი და დადგნენ მწყობრად: მეფეს ელოდნენ.

საყვირთ ზახილი. დაბდაბთ, ნაღარათ გრიალ-ტკრციალი. სასახლის წინ ხალხი მრავალი. ელოდნენ მეფე-დედოფლის გამობრძანებას. ცხენოსანთ ჯგუფი წინამსვლელი სწრაფად დაიძრა. გაქუსლეს გზა-გზა. სწმედავდნენ სავალს, ხალხს არ ინდობდნენ. სცემდნენ მათრახით. ცხენის მკერდით მიარღვევდნენ გახირულ ჯელგებს. გარბოდა ხალხი, გზას უთმობდა, საფარს ეძებდა.

გამოჩნდა ოქროს ტახტრევანდი. დედოფალი ბრძანდებოდა შიგ. ბრჭყვინავ-ბზინავდა ტანთსაცმელი სპეკალშეყრილი, სამკაული ფასდაუდები. ხნიერი იყო: ძვირფას ჯიღის ქვეშ თმა მოსჩანდა შეთეთრებული, შუბლი ნაღარი. ამაყად იჯდა. მოსდევდნენ მას სეფე-ქალნი, შიმუნვარნი, მოახლენი, მხევალთ სიმრავლე. მეტად შვენოდნენ ცხენებზედ მჯდომნი: სეფისპირობით, მოქნილობით თვალთ ატყვევებდნენ.

ხვარამზე ქალს მაინც ვერ სჯობდნენ. თეთრ ტაიჭზედ, თეთრად მორთული, მარგალიტით მოქარგული თვით მარგალიტი! ალაყაფთან დაჰხვდა ამზაილ თავისი რაზმით. დაჰკრეს ერთურთს შავარდნის თვალნი. ყვავილები გარდეშალათ ახალ ნორჩ გულში. ახ, არ შეეძლო დაძრულიყო, ქალთ გაჰყოლოდა: მეფის გამოსვლას ელოდდა ვაჟი.

ეჰე, გამოჩნდა დროშა სამეფო. ახმაურდნენ საკრავები, ხმა ზეშთ მოჰფინეს. ისმა ზახილი:

– მეფე მირიან!

ლურჯ რაშზედ იჯდა. დინჯად დიოდა. მუხლმოდრეკით თაყვანი სცეს ქართველთ მეუფეს.

– ვაშა ჩვენს მეფეს!

– ვაშა მირიანს!

დიდკაცობა მოჰყვებოდა მორთულ-შემკული. გაჰყვა ხალხი მიმავალ მეფეს. იქაურობა მთლად მოიწმინდა.

გამოვიდა სავანიდან ქადაგი ნინო. ძაძა ემოსა. თავსაფარი უმოსავდა ყელ-ყურს, ბეჭებსა, თმა არ უჩანდა. ჯიღა წარბები. ცეცხლის მფრქვევი შავი თვალები. ხელთ წალმის ჯვარი ნაწნავ-ნახვევი. მოსდევდნენ თან სამღვდელონი, მოწაფეები. საგალობლებს მოიმღეროდნენ. რუბაიას დაამთავრებდნენ, გუშად ურთობდნენ:

სცანთ, წარმართნო და იძლიენით,
რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

ზღვისპირელნი შეუერთდნენ იმათ მთის თხემზედ.

58

ხელმწიფის მიბრძანებას დიდის აღტაცებით დაჰხვდა ხალხი. მიეგება ბაბეგ, მიაცილა არმაზთან. მეფემ მუხლი მოიდრიკა ფიანდაზზედ, ხელნი განაპყრო. ლოცულობდა, ხალხს ავედრებდა. ოქროს ხონჩით წინ ტრაპეზზედ მსუბუქი ტაბლა: სტამნა გოლეულით, ბადია რძით, ჩოღრათო ღვინით, ქადა არმაზის ბეჭედდასმული.

მუჯამარზედ იკმეოდა სუნნელებაი. ილოცდა მეფე. მასთან ერთად მუხლმოდრეკით მისი ერი ევედრებოდა. გაათავა, მოიხარა, ტრაპეზის ქვას შუბლი შეახო. ამოწვდილი სამღთო ხმალი ამოძრავდა არმაზის ხელში, შეეხო მეფეს ნელიად, ნაზად.

– მოწყალე თვალით ბრძანდება არმაზ ჩვენ მეფეზედ და ჩვენს ერზედ! – წარსთქვა ბაბეგმა.

ააყენა მირიანი და წინ გაუძღვა. დაძრეს დროშები. გაისმა ძნობა. აჰყვა გალობა. ნელა ვიდოდნენ: გარს უვლიდნენ არმაზ ბრწყინვალეს. სამხიარულო საგალობელთ ხმა თანისთანად სწრაფდებოდა, ცხოველდებოდა. ბგერათა ტალღა შეწყობილი მოძრაობად გადადიოდა: ფეხს აყოლებდნენ, მკლავსა ჰშლიდნენ, ტანს შეარხევდნენ. აღტაცებულნი შიგადაშიგ მწკრივს გასცდებოდნენ, შეიშუშპრებდნენ, ისევ ხალხში შეერეოდნენ. სამჯერ შემოუარეს. მთავარქურუმი შედგა ისევ ტრაპეზის წინა, დაამწყალობა მლოცავები და მიუპყრა მეფე-დედოფალს ტაკუკით ღვინო, ქადის ნაწვრეთი. შეახეს ბაგე.

ეხლა უნდა შესწირვოდა ყოვლადსაწველი. კრავი იდვა სამსხვერპლოზედ განმზადებული. მიუახლოვდნენ. წარსთქვა ბაბეგმა მცირე ლოცვა და უნდოდა ენიშნებინა, მიეცათ ცეცხლი, რომ წარუდგათ თეთრმოსილი დედაკაცი თმა ჩამოშლილი. თან ჰყავდა ვაჟი წითლით მოსილი.

– მსხვერპლი დიდს არმაზს! შევსწირო შვილი დამწვარის გულით, დამიბრუნოს დაკარგული ჩემი ვაჟკაცი!

შეშფოთდა ხალხი. ახსოვდათ ამ დღეს შესწირავდნენ არმაზს სეფეწულს. კენჭით არჩევდნენ, თუ თვის ნებით არვის მიჰყვანდა. მაგრამ მოისპო ესეთი მსხვერპლი. საქონლის ზვარა დაენაცვლა ჩჩვილთა შეწირვას. ეხლა...

შეკრთა ერთს წამს ქურუმი უფროსი, თითქო დაიბნა. ხმა გაკმინდა მთელმა კრებულმა. მალე მოეგო ქურუმი თავსა. მიუბრუნდა არმაზს ბრწყინვალეს, დაიჩოქა, ხელნი შეჰყარა: უხმოდ ილოცდა. აღიმართა. მიჰმართა დედას:

– წყალობის თვალით გადმოგხედა დიდმა არმაზმა. მადლი მოგფინა დიდის რწმენისთვის. დაგიბრუნდება შენი ვაჟკაცი! შვილი შენი აღიზრდება ღვთის მსახურებად!

ყველამ შვებით ამოისუნთქა, დაეწმიდა ბატონ მეფეს სახე მღელვარე. დედოფალმა გადაჰკოცნა სამსხვერპლო ბავშვი. მყის აღეგზნო სამსხვერპლოზედ ცეცხლი ძლიერი. მსწრაფლ დაიბუგა ყოვლადსაწველი. მოართვეს ბაბეგს ოქროს თეფშით ნავლი მსხვერპლისა. შეაფრქვია იგი ნაშთი დიდებულ არმაზს.

დაბრუნდნენ მეფე, დედოფალი, მთავარქურუმი. ერის დრო დადგა. ლოცვა, შეწირვა, დამწყალობლება. გაიმართა სმა-პურობა. აჟიჟინდა, ახმაურდა მილეთის ხალხი. მიიწვიეს ამზაილი სამეფო სუფრას.

– მხოლოდ ერთს წამსა!

– რა ამბავია?! – შეეკითხა რევი.

– მკაცრი ბრძანება თვით მეფისაგან. თვალ-ყური ვუგდოთ. აქ შეყრილია მთელი დუნია და რომ დაჰლევენ...

– არ არის შიში! მწყობრად ჩავლო დღესასწაულმა, – წარსთქვა ხვარამზემ.

დაწვევა იყო ეს ქალის მხრივ. ერთს წამს შეყოყმანდა ჭაბუკი. მალე გამტკიცდა.

– რომ დათავდება დღესასწაული და მლოცავი დაშლას დაიწყობს, მხოლოდ მაშინ დავმშვიდდები, ბატონიშვილო!

– რაზმი მზად არის?

– მზად გახლავსთ! სჩანან ბოროტად განწყობილნი. შუღლს არ ჰრიდებენ და...

– ქალო ხვარამზე! ქადაგი ნინო აქ არის. წა, მოიწვიე: შენ უყვარხარ, იქნებ გისმინოს; სხვას არ დაჰყვება.

– წამობრძანდი, ბატონიშვილო, ზღუდის ნაპრალთან რომ სენაკია, იქ იმყოფება თვის მოწაფებით.

გამოჰყვა ქალი. მთლად მარტო იყვნენ ახალგაზრდანი: არავინ სჩანდა, გამქრალიყო მათ გარშემო ყოვლი სულდგმული, მიმწყდარიყო ხმა ყოვლის არსის. მათი ხმაღა გაისმოდა მთელ სამყაროში, ლამაზი ბგერა უთქმელად მთქმელი.

– სათაყვანებო, მზევ დიდებულო!

– შენთვის ვმნათობდე!

– მომეცი ნება, შეგახო ხელი!

შედგა ქალი ქვა-გორახზედ, დაირხ-დაირყა. ამზაილმა უპყრო ხელი და შეიმაგრა.

– კიდევა ჰხედავ რასმე საშიშს?

– აღარ! მკაცრი წესია დადგენილი. მაინც ბოლომდინ გვმართებს სიფრთხილე.

ნახეს ნინო. სთხოვეს. არ წამოვიდა: სჯული არ მიწესსო. გამობრუნდნენ. მოიყვანა. დაემშვიდობა.

59

სიმხიარულე; დიდებული სმეულობა. შუშპარი ღვთის კარს. სიმღერათ თქმები; საკრავთა ხმები. შეკრეს წრეები: უკვე დაიწყო შეჯიბრება ფალავანთა თუ ხელოვანთა. ისევ ცხელოდა.

– გახალისდა მზეც დალოცვილი!

– მთის წვერზედაც რომ იკბინება, ძირს გენია დაენთებოდა...

– ჰე, კიდევ ჩხუბი!

– რა დაემართათ?!

– ხატის ღვინო დაულევიათ.

მოწესენი შავარდნის თვალს მიმოავლებდნენ. ეს უშლიდა ძველ ხატთ მოსავთ დაეწყოთ ომი.

ცას შესთხოვდა მანგიური, ევედრებოდა:

– ციშუბ, ითრუშან, გუდან მებრძოლო! მოავლინეთ ძალა თქვენი თქვენთ მოსავთ თვალთ წინ! განქრეს არმაზი! დაიპყარით თქვენივ ტახტი საქართველოში!

ნინოსებიც შეფიქრიანდნენ: ვერ შესძლებდნენ ბრძოლის ტვირთვას თავის ძალებით. ის ჰქონდათ ჰაზრად: ესარგებლათ რამ აშლილობით და არმაზის საზიანოდ მიემართათ დიდი დღეობა. ილოცდა ნინო:

– ღმერთო იესო, ბნელის მსახურთ სამხილებლად ცეცხლი აწვიმე, შემუსრე კერპი!

მზირად იდგნენ არმაზისანი. დარაზმულიყვნენ. სრული იმედი: ამზაილი თვის მხედრობით იმათი იყო.

– ვგონებ წყნარად ჩაიაროს დღესასწაულმა.

– სამშვიდობოდ დათავდება დღე აგზნებული.

მზე მხურვალებდა კამკამ ცაზედ, იკბინებოდა. შემდგარ ჰაერს ღელვა შეაჩნდა: შეტრიალდა შიგადაშიგ ვიწრო გრკალადა. მიმორბოდა, ხვეულ სვეტად აჰქონდა მტვერი; ისევ ქრებოდა. ყურადღებას არ აქცევდნენ ჰაერის შუშპარს. ხალხს სულ სხვა ჰქონდა გასართობი ათასგვარი: დაწყებულიყო შეჯიბრება ნაირ-ნაირი.

მრავლდებოდნენ, ერთდებოდნენ წვრილნი გრიგალნი, ძალას იძენდნენ. გადმოიშალა კამკამა ცაზედ თეთრი ფთილები. სპეტაკ ქულების მთელი ფარა, ნახირ-ჯოგები. დაფრინავდნენ; კვლავ იყრებოდნენ, იგლიჯებოდნენ.

– რამ დააფრთხო ეს ცის შვილნი, რამ შეაშინა?!

გაჩნდა ვეშაპი, აღიმართა, იგრაგნებოდა. ჰნსთქამდა გზადაგზა ღრუბელთ სიმრავლეს. იზრდებოდა. ბნელდებოდა, ფრთებს ფართოდ შლიდა. ცას გადაერტყა; დაიგრგვინა; ცეცხლი გაყარა. მძლავრი გრიგალი. შეთეთრდა ფრთებში ქუფრი ვეშაპი, ძირს დაიწია. მოისმა ციდან რაღაც ხრიალი და ათამაშდა თეთრი გულა განხმელ მიწაზედ. გამძაფრდა ქროლვა. დასხვილდა სეტყვა. სჭექდა ცითგამო, ცეცხლებს ჰფანტავდა. ცა იმტვრეოდა შესაზარის ხმით. ეღვრებოდა დედამიწას ზეშთა წყალი ყინვის ლოდებად.

განწირულთა წივილ-კივილი. დაზეზებულ ცხოველთ სრბოლა ძირ გართხმულ ხალხში.

– იბრძვის ციშუბი!

– ებრძვიან არმაზს ძველნი ღმერთნი ქართველთ ტომისა!

– არმაზისკენ!

ბრძოდა არმაზი. ზედ ემტვრეოდა ცეცხლი, სეტყვა მძლედ მდგომ ბუმბერაზს. სტყორცნა ციშუბმა ცეცხლის ბირთვი, ზედ დაალეწა. ხელში ხმალი გაუტყდა მებრძოლს. კვარცხლბეკიდან შერყეულმა წინ წაიწია. მოჰხვდა გურზი, დასცეს ლახტები, მისცეს კინენნი. აწვებოდა ქარიშხალი, აძალადებდა. სასტიკი ომი ხელჩართული ღმერთის გარემო. ამზაილ ლომად იქცა განძვინებული. ვნებულთ სიმრავლე. მკვდართა ზვინები. ქადაგი ნინო ტრიალებდა მებრძოლთ გარშამო. დაეცა კერპი, დაიჟღრიალა.

– შეიმუსრენ ღმერთნი უცხონი! ღმერთნი სხვანი არა იყვნენ ჩემსა გარეშე!

მიიწევდა არმაზისკენ, მიისწრაფოდა. მისწვდა დაცემულს. რვალის შუბლი გაჰხეთქოდა, თვალნი სცვივოდა. დასწვდა ქადაგი, ამოსწოდა არმაზს თვალები.

– სატანაის თვალებია ჯოჯოხეთური! – შესძახა მძაფრად.

და დაანარცხა ტრაპეზის ქვას, დაანაჭუჭა.

* * *

მიყუჩდა ბრძოლა საზარელი. ცას მოჰშორდა ვეშაპი შავი. ისწრაფიდა არმაზისკენ ხვარამზე ქალი.

– სად არის რევი? ნახეთ ამზაილ!

ბატონიშვილი ხმალმოწვდილი ნავნებთა შორის. მზეჭაბუკი არსადა სჩანდა.

– ამზაილი! ნახეთ ამზაილ! – გაჰკიოდა თმა გაშლილი ქალი ხვარამზე.

ეძებდნენ ვაჟკაცს მკვდართა შორის თუ დაჭრილებში.

– ეჰა, ამზაილ!

გადმოაჩინეს. სასიკვდილოდ დაეჭრათ გმირი.

– ჯერ ცოცხალია!

– ამზაილ ჩემო! – შესძახა ქალმა

და მოეხვია. წაადგა ნინო ხელ სისხლიანი: თუ გაჰქლეშოდა.

– დაწყნარდი, ქალო! ჯვარის მადლი...

ქალმა შეხედა ქადაგ ნინოს ძნელის შეხედვით, შეიწყვიტა ყელზედ ჯვარი და გადასტყორცნა. მოეჭდო ჭაბუკს. გაიჟრჟოლა ამზაილმა ქალის მკლავებში და გაითანგა. დასწვდა ქალი ვაჟის ხანჯალს. დააკლა თავი.

1925 წ. მარიამ. 28.